

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე  
PROCEEDINGS OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

ენის,  
ლიტერატურისა  
და ხელოვნების  
სერია

Series  
of Language,  
Literature  
and  
Arts



თბილისი  
Tbilisi

1. 2026

**მთავარი რედაქტორი - ელიზბარ ჯაველიძე**  
**Editor in Chief - Elizbar Javelidze**

**სარედაქციო კოლეგია:**

ანზორ აბრალავა, გიორგი ალიბეგაშვილი, ავთანდილ არაბული, ვალერი ასათიანი, ირაკლი ბათიაშვილი, მერაბ ბერიძე, გიორგი გოგოლაშვილი, ინესა მერაბიშვილი, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ჯაბა სამუშია, სოსო სიგუა, ნესტან სულავა, შენგელი ფიცხელაური, მზექალა შანიძე, ვაჟა შენგელია, მარიკა ჩაჩიბაია, ელგუჯა ხინთიბიძე, ელიზბარ ჯაველიძე, მარიკა ჯიქია.

**Editorial Board:**

Anzor Abralava, Giorgi Alibegashvili, Avtandil Arabuli, Valeri Asatiani, Irakli Batiashvili, Merab Beridze, Giorgi Gogolashvili, Inesa Merabishvili, Avtandil Nikoleishvili, Jaba Samushia, Soso Sigua, Nestan Sulava, Shengeli Pitskhelauri, Mzekala Shanidze, Vazha Shengelia, Marika Chachibaia, Elguja Khintibidze, Elizbar Javelidze, Marika Jikia.

**ნომრის რედაქტორი - სოსო სიგუა**  
**Editor - Soso Sigua**

**კოორდინატორი - მანანა გარაყანიძე**  
**Coordinator – Manana Garakanidze**

**კომპიუტერული უზრუნველყოფა - ნათია ბუკია**  
**Computer Design - Natia Bukia**

© Georgian National Academy of Sciences, 2026

ISSN 2720-8443

## სარჩევი – Content

როინ მეტრეველი - ივანე ჯავახიშვილი - 150 .....	5
Roin Metreveli - On the 150th Anniversary of Ivane Javakhishvili .....	5
სერგი ჯიქია - „ვეთქუა მრავლისაგან მცირედი ესრეთ“ (მცირე მოგონება) .....	29
Sergi Jikia - I Will Tell You Only a Few of the Many .....	29
ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 85 წლისთავზე .....	32
Department of Language, Literature and Art on the 85th anniversary of the Georgian Academy of Sciences .....	32

### ენა - Language

ავთანდილ არაბული - ქართული ენის სასკოლო სწავლების უახლესი ამოცანები .....	59
Avtandil Arabuli - The Latest Challenges in Teaching the Georgian Language .....	59
გიორგი გოგოლაშვილი - დიალექტური შრეები და ილუზიური დიალექტი (სერიიდან „ენა და მწერალი“) .....	66
Giorgi Gogolashvili - Dialectal Layers and Illusory Dialect (From the series “Language and the Writer”) .....	84
არპად ელეში, ზურაბ ბარათაშვილი - უნგრული ენის ბგერითი სისტემის ქართულ ენაზე ტრანსლიტერაცია .....	85
Árpád Éles, Zurab Baratashvili - Transliteration of the Hungarian Sound System into the Georgian Language .....	102

### ლიტერატურა - Literature

ინესა მერაბიშვილი - რას შეიძლება მოასწავებდეს პირველი კრიპტოგრამის აღმოჩენა რუსთველის „ვეფხისტყაოსანში“ .....	104
Inessa Merabishvili - What Might the Discovery of the First Cryptogram in Rustveli’s Text be Conducive to? .....	110
გიორგი ალიბეგაშვილი - წმიდა გიორგი, ნაცარქექია, კირილე .....	112
Giorgi Alibegashvili - Saint George, Natsarkekia, Kirile .....	120
ეკა დულაშვილი - ეფთვიმე მთაწმიდელისადმი მიძღვნილი ბერძნული ჰიმნოგრაფიული კანონი .....	121
Eka Dughashvili - Greek Hymnographic Canon Dedicated to the Euthymius of Athonite .....	133
გიორგი ჩხაიძე - „ვეფხისტყაოსნის ერთი საღმრთო სახელის ინტერპრეტაციისათვის“ .....	135
Giorgi Chkhaidze - For the Interpretation of a one Divine Name in “The Knight in the Panther’s Skin” .....	140
ავთანდილ ნიკოლეიშვილი - ალექსანდრე ჭეიშვილის შემოქმედებითი გზა .....	142
Avtandil Nikoleishvili - The Creative Path of Aleksandr Cheishvili .....	176

<b>ელენე ჯაველიძე</b> - ორეულების ჰერმენევტიკა ორჰან ფამუქის რომანში „შავი წიგნი“ .....	178
<b>Elene Javelidze</b> - The Hermeneutics of the Doppelganger in Orhan Pamuk's “The Black Book” .....	201

### კულტურა - Culture

<b>სოსო სიგუა</b> - ქართველური არქაიკის არტეფაქტები (ძვ. წ. III ათასწ. - ძვ. წ. IV ს.) .....	203
<b>Soso Sigua</b> - Artifacts of the Kartvelian Archaic (3rd millennium BC - 4th century BC).....	213
<b>თემურ ჯაგოდნიშვილი</b> - ფოლკლორული „როსტომიანი“ და მისი რემინისცენციები ქართული ხალხური ეპოსის სივრცეში.....	214
<b>Temuri Jagodnishvili</b> - Folk “Rostomiani” and its Reminiscences in the Space of Georgian Folk Epos .....	234
<b>დავით ახლოური</b> - ქსნის ხეობა გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე.....	235
<b>Davit Akhlouri</b> - The Ksani Gorge in the Pages of the Newspaper “Sakartvelo” .....	255

### რეცენზია - Review

<b>სოსო სიგუა</b> - დიდთა საქმეთა საკეთებლად.....	257
<b>Soso Sigua</b> - In Order to Accomplish Great Things .....	262

### ხსოვნა - Memory

<b>ქეთევან ტომარაძე</b> - ზღვაში გაბნეული მარგალიტები.....	263
<b>Ketevan Tomaradze</b> - Pearls Scattered in the Sea.....	274

## როინ მეტრეველი

### ივანე ჯავახიშვილი - 150

ასორმოცდაათი წელი შესრულდა დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, XX საუკუნის პირველ ორმოცწლეულში მრავალი სასიკეთო საქმის შემოქმედის, თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებლის, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის (1976-1940 წწ.) დაბადებიდან.

ივანე ჯავახიშვილი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების პერიოდში თავისი ნაშრომების გამოცემებისას ითვალისწინებდა ქართული ისტორიოგრაფიის ყველა იმ მიღწევას, რომელიც კი ქარველოლოგიურ მეცნიერებაში გამოჩნდებოდა და გარკვეული შესწორებები შეჰქონდა თავის ნაშრომებში.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ არ არსებობს ქართველოლოგიის არც ერთი დარგი, რომელშიც ივანე ჯავახიშვილს თავისი დიდი წვლილი არ შეეტანოს.

„ჟამთააღმწერლობა ჭემმარიტების მეტყველება არს, და არა თვალახმა ვისთვისმე“ – ძველი ქართველი ისტორიკოსის, ჟამთააღმწერლის ეს მაქსიმა გახდა კრედო ივანე ჯავახიშვილისათვის. პირველი მნიშვნელოვანი განაცხადი დიდი მეცნიერისა სწორედ მამულიშვილობისა და მეცნიერების ურთიერთდამოკიდებულებას შეეხებოდა. „ყოველი განათლებული ეროვნებისათვის, რომელსაც თვითშემეცნება მოეპოვება, აუცილებლად საჭიროა, იცოდეს თავის წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია; უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭემმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი“ – ეს სიტყვები 28 წლის ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის და დაბეჭდილია ასოცზე მეტი წლის წინ, 1904 წელს, ჯერ გაზეთ „ცნობის ფურცელში“, შემდეგ კი ცალკე წიგნში, რომელსაც „მამულიშვილობა და მეცნიერება“ ჰქვია. აქ ნათლად არის ჩამოყალიბებული დიდი მეცნიერის მრწამსი, შეხედულება ჭემმარიტი მეცნიერის, კერძოდ, ისტორიკოსის მაღალი მოვალეობის შესახებ, მოცემულია ის პროგრამა, რომელიც ივანე ჯავახიშვილს საიმედო საგზლად გაჰყვა მთელი თავისი ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის გზაზე.

ივანე ჯავახიშვილი მთელი სიგრძე-სიგანით აყენებს საკითხებს საისტორიო მეცნიერების, ისტორიკოსების მაღალი ზნეობრივი მოვალეობის შესახებ, იმ დიდი პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც წარ-

სულის მკვლევარს სამშობლოს წინაშე ეკისრება. მეცნიერი ისტორიკოსის წმინდათაწმინდა მოვალეობად მიიჩნევდა წარსულის პირუთვნელ, ღრმად მეცნიერულ ასახვას, ამა თუ იმ სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების პირობების შესწავლასა და ამ განვითარების მიზეზების გარკვევას. საზოგადოებისათვის სარგებლობის მოტანა მხოლოდ იმ მეცნიერს შეუძლია, რომელიც უპირველესად თვით მეცნიერების წინაშეა პირნათელი.

გაზვიადებული, „ადვოკატური“ ისტორიის წერა იმ მეცნიერს ხელეწიფების, ვინც ვერ გრძნობს თავის ზნეობრივ მოვალეობასა და მაღალ პასუხისმგებლობას მეცნიერების წინაშე. იქნებ მამულიშვილური გრძნობა, სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარული უბიძგებს, ან აიძულებს ვინმეს ამგვარი ნაბიჯის გადადგმას? ასეთი მოქმედება იმათი ხვედრია, ვინც წარსულში ეძებს ხსნას. იმ ერის წარმომადგენელს კი, რომელიც თავისი ქვეყნის სიცოცხლესა და მოქმედებაზე ფიქრობს, ამგვარი სურვილი აზრადაც არ უნდა მოუვიდეს. ივ. ჯავახიშვილი ხმამაღლა აცხადებს, რომ „ქართველმა ისტორიკოსმა სრულიად პირუთვნელად უნდა შეისწავლოს თავისი ერის წარსული, პირუთვნელადვე უნდა წარმოუდგინოს თავის სამშობლოს წარსული თანამემამულეებსა და უცხოელებსაც“. ქართველი ისტორიკოსი ჯერ კიდევ რევოლუციამდე, მეტად რთული იდეოლოგიური ქაოსის პირობებში საოცარი გამჭრიახობით ასკვნიდა, რომ ხალხს, რომლის წარსული არაფერს საყურადღებოს არ წარმოადგენს, შესაძლოა ბრწყინვალე კულტურული მემკვიდრის იმედი ჰქონდეს, თუკი მთელი ძალ-ღონით იბრძოლებს საზოგადოებრივი ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ივანე ჯავახიშვილი კატეგორიულად მოითხოვდა, რომ „თუ წარსულში რაიმე ნაკლი გვქონდა, ამას დამალვა კი არა, გამომჟღავნება უნდა: მხოლოდ იმას, ვინც თავის ნაკლს შეიგნებს, შეუძლია იგი თავიდან მოიშოროს“. ასე რომ, მამულიშვილობა, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერი-ისტორიკოსისაგან ჭეშმარიტებასა და პირუთვნელობას მოითხოვს.

ივანე ჯავახიშვილმა დაუდგრომელი და უღმობელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ის მოსაზრება, თითქოს საქართველოში წინათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მყუდროება და სიმშვიდე სუფევდა, თითქოს მუდამ სიყვარული, თანხმობა, სათნოება, „მამა-შვილური“ განწყობილება არსებობდა და წოდებათა შორის ბრძოლაც არასდროს ყოფილა. ამგვარი წარმოდგენები იმის ბრალი იყო, რომ, სამწუხაროდ, მაშინდელმა საზოგადოებამ სამშობლოს ისტორია მხოლოდ მამა-პაპათაგან გადმოცემებით იცოდა. მეცნიერი ჩვენი ისტორიის შესწავლის საფუძველზე ასკვნიდა, რომ საქართველოს წარსული „დიდაც წოდებრივი ბრძოლის მაგალითებით არის სავსე“.

ივანე ჯავახიშვილმა მტკიცედ დააყენა საკითხი მეცნიერი ისტორიკოსების წინაშე, რომ უპირველესად კრიტიკულად განიხილონ ყველა ის ცნობა, რომელზედაც დამყარებულია წარმოდგენა ხალხის ცხოვრებაზე.

თვით ი. ჯავახიშვილი საქართველოს წყაროებს ძალზედ კრიტიკულად იხილავდა. მეცნიერი მიუთითებს ისტორიის ცოდნის მეტად დიდ პრაქტიკულ დანიშნულებაზე. იგი მიიჩნევს, რომ კრიტიკულად შესწავლილი ისტორია რომ ჰქონოდათ და გაეთვალისწინებინათ „ქართველ საზოგადოებას შეეძლო ბევრი შეცდომა აეცილებინა თავიდან და ჩვენ მოქმედებას და პოლიტიკას გარკვეული, მტკიცე ხასიათი ექნებოდა“. ასე რომ, ისტორიის ცოდნას საზოგადოებისთვის მარტო თეორიული ხასიათი არ ჰქონია. მისი გათვალისწინების შემთხვევაში შესაძლებელია გარკვეული ზემოქმედების განხორციელება საზოგადოებრივ წეს-წყობილებაზე, საერთოდ „ცხოვრების ჩარხის ტრიალზე“.

ივ. ჯავახიშვილმა მხარი დაუჭირა ნ. მარს, რომელიც მიიჩნევდა, რომ ისტორიის წერისას დაშვებული შეცდომები ზოგჯერ უცოდინარობა კი არაა, არამედ ის, რომ სამეცნიერო გამოკვლევების წერის დროს პატრიოტული გრძნობით ხელმძღვანელობენო. ნ. მარი მოითხოვდა, რომ ისტორიკოსებმა ყური ათხოვონ იმ ჭეშმარიტებას, რომელიც Jonckbleot-ის „Etude sur le roman de Renard“-შია მოცემული: „მშვენიერი რამაა სამშობლოსადმი სიყვარული, მაგრამ მაინც კაცი გადაჭარბებას უნდა უფრთხოდეს, მეტადრე მაშინ, თუ ამნაირი გადაჭარბება ჩვენს მსჯელობას ამახინჯებს“. ივ. ჯავახიშვილიც იგივეს უსვამდა ხაზს, რომ სამშობლოსადმი სიყვარული მშვენიერია, საზოგადოებრივ მოღვაწეობაში, ცხოვრებაში, მეცნიერებაში კი დიდი სიფრთხილეა საჭირო, რათა გადამეტებულმა პატრიოტიზმა მეცნიერს პირუთვნელობა არ დააკარგვინოსო.

მართლაც, ისეთი ძირძველი კულტურის მქონე ქვეყნის ისტორია, როგორც საქართველოა, არავითარ შელამაზებასა და გაზვიადებას არ საჭიროებს. დიდი ტრადიციების მქონე ქართული ისტორიოგრაფიისაგან ი. ჯავახიშვილი ბევრს მოითხოვდა. ქართული ისტორიული აზროვნება თავის საწყისებს ხომ უძველეს დროს იღებს. იოანე საბანისძე და გიორგი მერჩულე, ბასილ ზარზმელი და გიორგი მთაწმიდელი, ლეონტი მროველი და ჯუანშერი, ეფრემ მცირე და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, თამარის ისტორიკოსები და ლაშა გიორგისდროინდელი მემატიანე, ჟამთააღმწერელი თუ სხვები ავითარებენ და წინ სწევენ ქართულ ისტორიულ აზროვნებას.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ახალი ეტაპი იწყება ვახუშტი ბაგრატიონის მოღვაწეობით, რომელმაც ქართულ მეცნიერულ აზროვნებაში თავისი უზარმაზარი სიტყვა თქვა და საქართველოს ისტორია, გეოგრაფია თუ მეცნიერების სხვა დარგები ცოდნის გარკვეულ ჩარჩოებში მოაქცია.

ვახუშტის შემდგომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში საისტორიო აზროვნებაში ერთგვარი უკანსვლა იგრძნობა. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ქართულ ისტორიოგრაფიას გამოცოცხლება დაეტყო. ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიისადმი ინტერესის გაზრდა რამდენადმე პეტერბურგის უნივერსიტეტში მარი ბროსეს თაოსნობით

დაარსებულმა ქართული ენის კათედრამ განაპირობა. სწორედ პეტერ-ბურგში ეყრება საფუძველი მეცნიერულ ქართველოლოგიას, რომლის მოთავეები ალექსანდრე ცაგარელი და ნიკო მარი იყვნენ. მათი სკოლიდან არაერთი ქართველოლოგი გამოვიდა, რომელთა შორის ყველაზე თვალსაჩინო ადგილი ივანე ჯავახიშვილს უკავია.

150 წელი შესრულდა ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან. ამ მანძილიდან ნათლად ჩანს ის მძიმე და რთული გზა, თავაუღებელი შრომისა და წარმატების გზა, მრავალ სიმწარესთან ერთად რომ გაიარა მეცნიერმა. სრულიად უნიკალური მოვლენაა ივანე ჯავახიშვილი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში. XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ცხოვრებაში გამოჩნდა პიროვნება, რომელმაც თავისი დიდი დალი დასვა ჟამთასვლას; ადამიანი, რომელმაც ჭეშმარიტი მამულიშვილობის მისაზამი მაგალითი უჩვენა თანამედროვეებს, მაგალითი ღრმა მეცნიერული კვლევისა, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულისა, მოძმეთა პატივისცემისა; მოქალაქე და მეცნიერი, რომლის დიდი მცდელობის შედეგია საქართველოში უპირველესი განათლების კერის უნივერსიტეტის დაარსება და საქართველოს ისტორიის კვლევის, ქართული ისტორიოგრაფიის სრულიად ახალი ეტაპის დაწყება. ეს იყო ივანე ჯავახიშვილი, პიროვნება, რომელიც XX საუკუნის დასაწყისიდანვე თავდაუზოგავი მეცნიერული შრომითა და საზოგადოებრივი საქმიანობით მტკიცე ბურჯად შეეგება ილია ჭავჭავაძის მიერ დაწყებულ საქმეს ერის კულტურული ცხოვრების წინსვლისათვის.

ივანე ჯავახიშვილი დაიბადა 1876 წლის 11 (23) აპრილს, ალექსანდრე ჯავახიშვილის ოჯახში. ვინ არიან ჯავახიშვილები? ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „ხოლო გუარნი მთავართა მათ ძუელთაგან ესენი არიან: ქობულისძე, დონაური, ბაღუმი ... ჯავახიშვილი, ბურსელი და სხვანი მრავალნი, რომელნი ერისთაობით იწერებიან და გუარნი არა წარიწერებიან ცხადად საცნობელად“. ისტორიული საბუთების მიხედვით, ჯავახიშვილთა გვარი თორელებისაგან მომდინარეობს. საგვარეულოს საფუძველი დაუდო ჯავახ თორელმა (XIV ს.), რომლის შთამომავლები იწოდებიან თორელ ჯავახიშვილებად, ან ჩვეულებრივ, ჯავახიშვილებად (იხ. 1338 წლის წყალობის სიგელი გიორგი ბრწყინვალისა ივანე თორელ-ჯავახიშვილსადმი; 1345 წლის წყალობის სიგელი გიორგი ბრწყინვალისა გამრეკელ-ჯავახიშვილისადმი). ამ პერიოდიდან მოყოლებული ჯავახიშვილები საქართველოს ისტორიაში ჩანან როგორც მნიშვნელოვანი ფეოდალური საგვარეულო. ჯავახიშვილთა ერთი შტოს (კერძოდ იმისი, რომელსაც ივანე ჯავახიშვილის მამა ალექსანდრე ეკუთვნოდა) მამულობითი სამფლობელო იყო ხოვლე (სოფელი ქართლში, თანამედროვე კასპის მუნიციპალიტეტში).

ალექსანდრე ჯავახიშვილი თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებული იყო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თელავში, გორ-

ში, სიღნაღსა და სხვა ქალაქებში. ერთხანს თბილისში ავლაზრის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორის მოვალეობას ასრულებდა. მეტად მშვიდობიანი, ამასთან, მტკიცე ნებისყოფისა და გამტანი კაცი იყო. შემორჩენილია კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის ბრძანება თელავის სამაზრო სასწავლებლის მასწავლებლის ალექსანდრე ჯავახიშვილისათვის ერთგულიმუშაობისგამომადლობისგამოცხადების შესახებ: „объявляется благодарность учителю приготовительного класса Телавского уездного училища, губернскому секретарю князю Джавахову за отлично-усердную и ревностную службу его учебному ведомству. Попечитель Неверов“.

ივანე ჯავახიშვილის დედა სოფიო ათანასეს ასული ვახვახიშვილი, ლამაზ გარეგნობასა და სიღარიბისლესთან ერთად, სათნო და ჭკვიანი ადამიანი ყოფილა. ჯავახიშვილებს ტრადიციული ქართული ოჯახი ჰქონდათ და შვილებსაც სამშობლოსა და დედაენისადმი უსაზღვრო სიყვარულის სულისკვეთებით ზრდიდნენ.

1888 წელს ივანე ჯავახიშვილი გიმნაზიის მეორე კლასში ჩაირიცხა (მას პრო-გიმნაზია უკვე დამთავრებული ჰქონდა). გიმნაზიაში სწავლის პერიოდმა თავისი დაღი დაასვა მომავალ მეცნიერს. აქ რაიმე ეროვნულზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. ყოველგვარი პროგრესული იდეენებოდა. ივანე ჯავახიშვილი ვერ ეგუებოდა ამგვარ ატმოსფეროს, სწავლით კი კარგად სწავლობდა. მისი მეგობარი ივანე ნიჟარაძე იგონებდა: „გიმნაზია ვანოს არ მოსწონდა, სწავლობდა კი კარგად, გარუსების ტენდენცია და ქართული კულტურის დევნა სულს უხუთავდა ქართველ შეგნებულ მოწაფეობას«. ივანე ჯავახიშვილმა ადრევე გამოიჩინა მიდრეკილება ისტორიის შესწავლისადმი. იგი ამ პერიოდშივე იწყებს პატარ-პატარა, ამასთან, მეტად საინტერესო რეფერატების წერას. მის ნაშრომებს ანდრია პირველწოდებულის საქართველოში მოგზაურობის და ინგლისელი ისტორიკოსის ბოკლის შესახებ ადრევე მიუქცევია ყურადღება. ივანე ჯავახიშვილს იმთავითვე გადაუწყვეტია ისტორიკოსი გამოსულიყო.

1895 წელს ივანე ჯავახიშვილმა გიმნაზია დაამთავრა. ნიშანდობლივია, რომ გიმნაზიის დირექტორმა პეტერბურგის უნივერსიტეტს ივანეს შესანიშნავი დახასიათება გაუზავნა: «Ученик Иван Джавахов сын небогатого грузинского князя (смотрителя училища). Добрая патриархальная семья имела прекрасное влияние на юношу, сделав его религиозным, вежливым и приветливым. Характера он ровного, обходительного, отчего всеми любим. Джавахов имеет хорошие природные дарования, к тому же очень усерден и трудолюбив. Здоровье у него от природы хорошее, несколько потрясенное усердными занятиями последних лет. Он много читает и обладает хорошей начитанностью. Он хорошо играет на скрипке и отдается этому занятию. Он прекрасный сын и безукоризненно обходительный юноша не только со старшими, но и с товарищами, даже младшими. Политически он благонадежен».

ამავე 1895 წელს ივანე ჯავახიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-ირანულ განყოფილებაზე შევიდა, სადაც სპეციალდებოდა საქართველოსა და სომხეთის ისტორიაში. მან თავისი სიბეჯითითა და ნიჭიერებით სწრაფად მიიქცია პროფესორთა ყურადღება. ივანე ჯავახიშვილს დიდი გავლენა ჰქონდა პეტერბურგში მცხოვრებ ქართველებზე. ივანეს სიყრმის მეგობარი პოეტი და საზოგადო მოღვაწე კოტე მაცაშვილი იგონებდა, რომ მისი გავლენით „ენერგიულად ვკიდებ ხელს ქართული ენის შეთვისებას, ვუ-ზივარ „ვისრამიანს», „ქილილა და დამანას“, „დაბადებას», ვიზეპირებ „ვეფხისტყაოსანს“ და თანდათან ისევ ვქართველდებიო“.

ივანე ჯავახიშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა პეტერბურგის ქართული სათვისტომოს მუშაობაში. ხელმძღვანელობდა საქართველოს ისტორიის, სულიერი და მატერიალური კულტურის შემსწავლელ წრეს. მისი თაოსნობით დამყარდა ურთიერთობა სომხეთისა და აზერბაიჯანის სათვისტომოებთან და დაარსდა ამიერკავკასიის სათვისტომო.

1899 წელს ივანე ჯავახიშვილმა დაამთავრა უნივერსიტეტი და აღმოსავლური ფაკულტეტის დადგენილებით დატოვებული იქნა საპროფესოროდ მოსამზადებლად.

ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ არაერთ-გზის დაწერილა. არსებობს აკაკი შანიძის, გიორგი ჩუბინაშვილის, სიმონ ყაუხჩიშვილის, გიორგი ჩიტაიას, ნიკოლოზ ბერმენიშვილის, სიმონ ჯანაშიასა და სხვათა – ივანე ჯავახიშვილის თანამედროვეთა და თანამოსაგრეთა მოგონებები და წერილები; სხვადასხვა სახის დოკუმენტური მასალა. ის ლიტერატურა, რომელიც ქართველმა ისტორიკოსებმა - II (დ. გვრიტიშვილი, გ. ლომთათიძე, მ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე, გ. ყორანაშვილი, ო. ჯანელიძე, დ. ცინცაძე, გ. ციციშვილი და სხვ.) შექმნეს.

ასოცი წლის წინ, XX საუკუნის დასაწყისში, ახალგაზრდა ქართველმა ისტორიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა მართებულად განჭვრიტა, რომ ისტორიის, როგორც მეცნიერების დარგის წინაშე ახალი, მეტად მნიშვნელოვანი ამოცანები იდგა. ბევრი რამ გადასინჯვას, ახლებურად შესწავლასა და შეფასებას საჭიროებდა. ჭეშმარიტი, ნამდვილი მეცნიერული ისტორიის შექმნა უწინარესად მყარ ნიადაგს მოითხოვდა, რისი მიღწევაც შესაძლებელი იყო მაშინდელი თავადაზნაურული ინტელიგენციის იდეოლოგიური არსენალის, ე. წ. „მამულიშვილური ზნეობისაგან» განწმენდით. ივანე ჯავახიშვილი, როგორც ჭეშმარიტმა მამულიშვილმა აირჩია ერთადერთი სწორი გზა, გზა სიმართლის თქმისა და ანტიმეცნიერულ, ყალბ შეხედულებებს საქართველოს ისტორიაზე კრიტიკის ქარცეცხლი მიაგება. ივანე ჯავახიშვილმა ხმამაღლა განაცხადა: „ქართველმა ისტორიკოსმა პირუთვნელად უნდა შეისწავლოს თავისი ერის წარსული, პირუთვნელად უნდა წარმოუდგინოს თავის სამშობლოს წარსული თანამემამულეებსაც და უცხოელებსაც, რადგან მას არ უნდა

დაავიწყდეს, რა დიდი ღვაწლიც უნდა მიუძღოდეს ეროვნებას წარსულში, თუ იგი აწმყოში არას წარმოადგენს, ბრწყინვალე წარსული ვერას უშველის». ივანე ჯავახიშვილს თავის მრავალმხრივ და საოცრად მასშტაბურ შემოქმედებაში არასდროს უღალატია მეცნიერული კვლევის ერთხელ შემუშავებული პრინციპებისათვის. ივანე ჯავახიშვილი ხარბად დაეწაფა ილია ჭავჭავაძისა და XIX საუკუნის სხვა საზოგადო მოღვაწეთა მემკვიდრეობას, მათ ეროვნულ-განმათავისუფლებლურ იდეებს. იგი ჭეშმარიტად სულიერი თანამოაზრე იყო ილია ჭავჭავაძის, როგორც მოღვაწისა და მამულიშვილის. ილიას მრავლისმომცველი საქმიანობა, კერძოდ კი, ისტორიული კონცეფცია, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა და დიდ როლს ასრულებდა ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების საქმეში. „ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა» – ილია ჭავჭავაძის ეს მოსაზრება, აგრეთვე მისი მოთხოვნა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი წარსულის ეკონომიკური საფუძვლების გამოკვლევის შესახებ ივ. ჯავახიშვილს იმ დროს მნიშვნელოვან მიღწევად მიაჩნდა.

XX საუკუნის დასაწყისში ილიას მძიმე ტვირთმა ივანე ჯავახიშვილის მხრებზე გადაინაცვლა. მოვიგონოთ ექვთიმე თაყაიშვილის სიტყვები: „იშვიათია კაცი, რომელსაც რაიმე ნაკლი არ ჰქონდეს, თუნდაც სულ მცირე. ივანე ჯავახიშვილში, სანთლით რომ გემებნათ, ვერავითარ ნაკლს ვერ აღმოაჩენდით. ეს სრულიად უნაკლო ადამიანი იყო: ზნეობით სპეტაკი, ზრდილი, ალერსიანი, თავმდაბალი, კაცმოყვარე და გულშემატკივარი, ერთ უკადრის სიტყვას მისგან ვერ გაიგონებთ, ის შვილი იყო ქართველი ინტელიგენტი ოჯახისა, რომელიც გამსჭვალული იყო ქართული პატრიოტიზმით და საქართველოს კეთილდღეობისათვის მუშაობით». სწორედ ასეთ ადამიანს შეეძლო ქვეყნის ჭეშმარიტ სამსახურში ჩამდგარიყო, ერის წყლული საკუთარ ტკივილად შეეცნო, საკუთარი სიცოცხლე სამშობლოს საკურთხევლისათვის მიეტანა ზვარაკად და მისივე სიყვარულში ჩაფერფლილიყო.

XX საუკუნის დასაწყისში მთელი სიგრძე-სიგანით დადგა უნივერსიტეტის დაარსების საკითხი. ამ საქმის თაოსანი ივანე ჯავახიშვილი იყო. მან პრაქტიკულად შეიმუშავა ეროვნული უნივერსიტეტის დაარსების გეგმა. მეცნიერს კარგად ესმოდა, რომ საქმე სწორედ ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებით უნდა დაწყებულიყო (წინააღმდეგ კავკასიის უნივერსიტეტის, ან სამეცნიერო აკადემიის დაარსების იდეისა), თუმცა საამისოდ პირობები ძალზე მწირი იყო. 1907 წლის ბოლოს ივანე ჯავახიშვილის თაოსნობითა და უშუალო ხელმძღვანელობით პეტერბურგის უნივერსიტეტში დაარსდა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რომელმაც გააერთიანა უნივერსიტეტის გარდა სხვა ინსტიტუტების ქართველი სტუდენტები და ბესტუჟევის ქალთა უმაღლესი კურსების მსმენელი ქართველი ქალები. ამ სამეცნიერო წრემ 1911-1912 წლებში

მოაწყო რუსეთისა და დასავლეთ ევროპის უმაღლესი სასწავლებლების ქართველი სტუდენტების ანკეტური გამოკითხვა. დასავლეთ ევროპის უმაღლესი სასწავლებლებიდან მიღებული პასუხებით აღმოჩნდა, რომ ქართველ ახალგაზრდობაში ცოდნის წყურვილი დიდი იყო. ამას ისიც მოჰყვა, რომ 1914 წელს მეფის მთავრობამ გამოსცა კანონი რუსეთის იმპერიაში არარუსულ ენაზე კერძო ხასიათის უმაღლესი სასწავლებლების დაარსების შესახებ. ამან ხელ-ფეხი გაუხსნა ივანე ჯავახიშვილისა და მისი თანამოაზრეების საქმიანობას უნივერსიტეტის დაარსებისათვის. ჟამთასვლა თავისას აკეთებდა. ახალი ძვრებით აღინიშნა 1917 წლის თებერვალი... საზოგადოებას განვითარების ახალი გზები, ახალი მიმართულებები გაუჩნდა. ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის დაარსებისათვის მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს. თანამოაზრეებთან (აკაკი შანიძე, იოსებ ყიფშიძე, შალვა ნუცუბიძე, ზურაბ ავალიშვილი და სხვ.) ერთად იწყებენ ბრძოლას უნივერსიტეტის სასარგებლოდ საზოგადოებრივი აზრის შექმნისათვის.

1917 წლის გაზაფხულზე ივანე თბილისში ჩამოდის და პირველ ორგანიზაციულ ღონისძიებებს ატარებს. ამავე წლის 12 მაისს ჩატარდა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელი კრება, სადაც ივანე ჯავახიშვილის გვერდით ვხედავთ ექვთიმე თაყაიშვილს, ფილიპე გოგიჩაიშვილს, აკაკი შანიძეს, კორნელი კეკელიძეს, დიმიტრი უზნაძეს, ლუარსაბ ზოცვაძეს, გრიგოლ ვეშაპელს, ილია ზურაბიშვილსა და სხვ. „თუ ჩვენ გვსურს ჩვენი ერის გონებრივსა და კულტურულს ნორჩს აღორძინებას ფესვები გაუმაგროთ - აცხადებდა ივანე ჯავახიშვილი, - მთელი ჩვენი ძალღონით ქართული მეცნიერების შექმნასა და აყვავებას უნდა ხელი შევუწყოთ». დიდ მეცნიერს ნათლად ჰქონდა დასაბუთებული, რომ „ქართული უნივერსიტეტი ერთსა და იმავე დროს სამეცნიერო კვლევა-ძიების და ცდის დაწესებულებაც უნდა იყოს და უმაღლესი სამეცნიერო სასწავლებელიც, სადაც მეცნიერების შესწავლა და სამეცნიერო მუშაობის მეთოდებისა და პრაქტიკის შეთვისება შესაძლებელი იქნება“.

ფართო მუშაობა გაიშალა ქუთაისშიც. 1917 წლის 17 მაისს ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით ქუთაისში ჩატარდა კულტურულ, საკრედიტო დაწესებულებათა და პერიოდულ გამოცემათა წარმომადგენლების კრება, რომელმაც ერთხმად დაუჭირა მხარი უნივერსიტეტის დაარსებას.

1917 წლის 15 ივნისს განხილული იქნა ივანე ჯავახიშვილის მიერ მომზადებული წესდების პროექტი, რომელიც 22 ივნისს მიიღეს.

უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიის პირველი სხდომა 1918 წლის 13 იანვარს შედგა, რომელსაც ესწრებოდნენ პეტრე მელიქიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, შალვა ნუცუბიძე, იოსებ ყიფშიძე. თავმჯდომარეობდა პეტრე მელიქიშვილი; მდივანი აკაკი შანიძე იყო. აირჩიეს უნივერსიტეტის გამგეობა და ივანე ჯავახიშვილს მიმართეს თხოვნით, თავს ედო უნივერსიტეტის რექტორობა. ამ წინა-

დადებაზე ივანე ჯავახიშვილმა კატეგორიული უარი განაცხადა და თავის მხრივ სხდომას მოუწოდა, რექტორად პეტრე მელიქიშვილი აერჩიათ, თანაც ასაბუთებდა, რომ იგი „დიდად ცნობილი მეცნიერია, როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ და მისი არჩევა დიდ პრესტიჟს შეუქმნის ჩვენს უნივერსიტეტს“. პროფესორთა კოლეგიამ მიიღო ეს წინადადება. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანად ივანე ჯავახიშვილი აირჩიეს.

ქართული უნივერსიტეტი 1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის მოხსენიების დღეს გაიხსნა. პირველი ლექცია ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა თემაზე: „ადამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო-საფილოსოფიო მწერლობაში“.

1919 წლის 24 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილი არჩეული იქნა უნივერსიტეტის რექტორად. ამ თანამდებობაზე იგი 1926 წლის 24 იანვრამდე მუშაობდა. ეს პერიოდი ივანე ჯავახიშვილმა უნივერსიტეტის შემდგომ კეთილდღეობას მოახმარა. უნივერსიტეტი თანდათან იზრდებოდა, მძლავრდებოდა, იფურჩქნებოდა და საყოველთაო აღიარებას პოულობდა. თვით პეტრე მელიქიშვილი აცხადებდა, რომ „ივანე ჯავახიშვილი ბრძანდება ერთადერთი დამაარსებელი, სულისჩამდგმელი და ერთადერთი რაინდი ჩვენი უნივერსიტეტისა, აქ მას ვერავინ შეეუბნება და შეეზიარება». მაგრამ დრო იცვლებოდა, ახალი „ღირებულებები“ შემოდიოდა. ახალი ხელისუფლებისათვის, საბჭოთა წყობისათვის უნივერსიტეტი თავისი ავტონომიით და თვით ივანე ჯავახიშვილი მიუღებელი შეიქნა. 1925 წელს მთავრობამ იერიში მიიტანა უნივერსიტეტის ავტონომიაზე. დიდი მეცნიერი შეებრძოლა ამგვარ ქმედებას და ძვირადაც დაუჯდა. პრაქტიკულად გაუქმდა უნივერსიტეტის ავტონომია. 1926 წლიდან რექტორებს აღარ ირჩევდნენ, არამედ ზემდგომი ორგანოები ნიშნავდნენ. ასე გაგრძელდა 1992 წლამდე, ვიდრე არ აღდგა უნივერსიტეტის ავტონომია. 1926 წლის ივნისიდან ივანე ჯავახიშვილი გადააყენეს რექტორობიდან და პრაქტიკულად ჩამოაცილეს უნივერსიტეტს; თუმცა იგი საოცრად პოპულარული დარჩა ქართულ სტუდენტობასა და ინტელიგენციაში.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 7 ივლისის დადგენილებით ჩატარდა თბილისის უნივერსიტეტის „რეორგანიზაცია“ – უნივერსიტეტი დაიშალა რამდენიმე უმაღლეს სასწავლებლად. ეს პერიოდი მძიმე იყო ქართული ინტელიგენციისათვის. მთელს საბჭოთა კავშირში დაიწყო ბრძოლა ე.წ. „კონდრატევიშჩინის“ წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში საქართველოშიც გამოიჩინეს თავი. ეს იყო ბრძოლა ხელისუფლებისათვის არასაიმედო მეცნიერთა წინააღმდეგ 1930 წლის 13 დეკემბერს პედაგოგიურ ინსტიტუტში (ეს უნივერსიტეტის ერთ-ერთი განაყოფი ერთეული იყო) მისი რექტორი ივანე ვაშაყმაძე ივანე ჯავახიშვილისა და მისი სკოლის განქიქებას შეუდგა.

ყოველივე ამის შედეგი გახლდათ ის, რომ ივანე ჯავახიშვილი 1931 წლის 28 მაისს განათლების სახალხო კომისრის ბრძანებით უნივერსიტეტიდან დაითხოვეს. ერთხანს ივანე ყველა საქმეს ჩამოშორებული და უმუშევარი იყო. სამი თვის შემდეგ იგი სახელმწიფო მუზეუმში იწყებს მუშაობას მეცნიერ-კონსულტანტად. 1933 წელს უნივერსიტეტი აღდგენილ იქნა. ივანე ჯავახიშვილი დააბრუნეს. საქართველოს ძველი ისტორიის კათედრის გამგედ (საქართველოს ახალი ისტორიის კათედრას სიმონ ხუნდაძე ხელმძღვანელობდა). ორი წლის შემდეგ ძველი და ახალი ისტორიის კათედრები გაერთიანდა, რომლის გამგედ სიმონ ჯანაშია დაინიშნა. ივანე ჯავახიშვილი კვლავ გვერდზე დარჩა.

ახალი ეტაპი ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ ბრძოლისა განსაკუთრებული სიმძაფრით 1936 წელს დაიწყო. ამჯერად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, როცა მისი რექტორის, კარლო ორაგველიძის თაოსნობითა და აქტიურობით გაიმართა „დისკუსია“ საისტორიო მეცნიერების საჭირობოროტო პრობლემებზე. ეს პერიოდი, განსაკუთრებით 1936 წლის მარტი-აპრილი, უმძიმესი იყო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისათვის. ჩვეულებრივი მოვლენა გახდა ურთიერთდაბეზულება, ერთმანეთის გაწირვა, თანაც ყოველ ასეთ მოქმედებას, შესაძლოა, ადამიანის სიცოცხლაც შეეწირა.

1936 წლის 23 მარტს გაიმართა უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის საჯარო სხდომა, რომელზეც მოსმენილი იქნა კარლო ორაგველიძის მოხსენება: „საკ. კვ ცვ-ის და სახკომსაბჭოს დადგენილებები ისტორიის საკითხებზე და ჩვენი ამოცანები“. მომხსენებელმა თავის სამსაათიან მოხსენებაში „ამხილა“ ივ. ჯავახიშვილის „ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური სკოლა“. ეს იყო დიდი მეცნიერის სრულიად დაუმსახურებელი განქიქება. სულ ხუთი სხდომა ჩატარდა. ივანე ჯავახიშვილი სხდომებს არ დასწრებია. იგი ვარლამ დონდუას პეტერბურგში სწერდა: განახლდა ჩემ წინააღმდეგ ბრძოლა ტ. ს. უნივერსიტეტში. რექტ. ორაგველიძემ 3-საათიანი მოხსენება წაიკითხა უ-ტში, რომელშიც ყველა ჩემი ნაშრომების უვარგისობის დამტკიცებას ლამობდა იმის გამო, რომ მარქსისტული არ არის, რაც არავისთვის ახალ აღმოჩენას არ წარმოადგენდა. ამას მოჰყვა „კამათი« ოთხი დღის განმავლობაში, რომლის დროსაც... ზოგმა ჩემ ყოფილ მოწაფეთაგანმაც თავი ისახელა. ამბობდნენ, რომ ეს ვითომც ჩვეულებრივი კამპანიის დასაწყისია და ყურადღება არ უნდა მიაქციოთო“. უფრო გვიან ივანე ჯავახიშვილი იმავე ადრესატს უზიარებდა თავის აზრს: „ვერ წარმოვიდგენდი, თუ რომ ადამიანის უანგარო მოღვაწეობის ასე ურცხვად წაბილწვა შესაძლებელი იყო«. მართლაც, ვინც კი თუნდაც ზერელედ გადაავლებს თვალს „დისკუსიის“ სტენოგრამას, თვალნათლივ დაინახავს დიდი მეცნიერის სრულიად უმართებულო განქიქების საზარელ სურათს.

საბედნიეროდ იმავე 1936 წელს ვითარება კარდინალურად შეიცვალა. არა მარტო შეწყდა ივანე ჯავახიშვილის კრიტიკა-დევნა, არამედ

ცხოვრების ჩარხი მეცნიერისათვის სასიკეთოდ შემობრუნდა. დიდი მეცნიერისადმი ყურადღება გამოიჩინა ქართველმა ისტორიკოსმა, საკავშირო ჟურნალის «Вестник древней истории»-ის დამფუძნებელმა და მისმა პირველმა რედაქტორმა ალექსანდრე სვანიძემ. სწორედ მისი ინფორმაციით შექმნილი ვითარების შესახებ და სათანადო რეკომენდაციით იოსებ სტალინთან (იგი იოსებ სტალინის ცოლისძმა იყო) ივანე ჯავახიშვილი მთელი სისრულით დაუბრუნდა ჩვეულ სამეცნიერო და საზოგადოებრივ ცხოვრებას. მალე დაინიშნა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (ენიმიკი-ს) მუდმივ სწავლულ კონსულტანტად, არჩეული იქნა საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, განაგებდა საქართველოს მუზეუმის ისტორიის განყოფილებას, უშუალოდ ხელმძღვანელობდა „ვეფხისტყაოსნის» 750 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენის მოწყობას, დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით.

რაც შეეხება თბილისის უნივერსიტეტის რექტორებს ივანე ჯავახიშვილის შემდგომ, მათი ბედი მძიმე აღმოჩნდა. თედო ლლონტი, მალაქია ტოროშელიძე, ივანე ვაშაყმაძე, ლევან აღნიაშვილი, კარლო ორაგველიძე, ალექსანდრე ერქომაიშვილი არსებულმა პოლიტიკურმა რეჟიმმა, რომელსაც თავად ემსახურებოდნენ ერთგულად, ისინი იმსხვერპლა. 1937-1938 წლებში ისინი დახვრიტეს.

ივანე ჯავახიშვილს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან, ფართოდ სარგებლობდა საზოგადოების ფონდებში დაცული მასალით. ივანე სიამოვნებით გამოეხმაურა საზოგადოების საგამომცემლო რედაქციის წინადადებას სახელმძღვანელოების შედგენისა და მათი გამოცემის თაობაზე. იგი ატყობინებდა რედაქციას, რომ სასურველია შეიქმნას ორი სახელმძღვანელო ენათმეცნიერებაში, ერთი – ზოგადი ენათმეცნიერების, მეორე – ქართული ენათმეცნიერებისა. ავტორებად რეკომენდაციას უწევდა იოსებ ყიფშიძესა და აკაკი შანიძეს. ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ საჭირო იყო ძველი აღმოსავლეთის ზოგადი ისტორიის შექმნა. ამ წიგნის სასურველ ავტორად ივანე ჯავახიშვილი მიხილ წერეთელს ასახელებდა; ასევე საჭიროდ მიაჩნდა გზამკვლევის ტიპის საცნობარო ლიტერატურის გამოცემა.

ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარებაში. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, რომელიც 1907 წელს შეიქმნა ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით. ივანე ჯავახიშვილი აქტიურად ჩაება საზოგადოების მუშაობაში. იგი 1921 წლიდან, ექვთიმე თაყაიშვილის ემიგრაციაში წასვლის შემდეგ, სათავეში ჩაუდგა ამ საზოგადოებას და ათი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა მას. ჭეშმარიტად არსებითი ხასიათის იყო ივანე ჯავახიშვილის მოსაზ-

რეზივები კონსერვატორიის მოწყობის შესახებ. მეცნიერმა თავისი დიდი მზრუნველობა ქართული მუსიკალური განათლებისადმი პრაქტიკულ წინადადებებში გამოხატა, რომელთაც არსებითი როლი შეასრულეს კონსერვატორიის შემდგომ საქმიანობაში.

ივანე ჯავახიშვილი აქტიურად მონაწილეობდა „ქართული ენციკლოპედიის“ შექმნაში გასული საუკუნის 30-იან წლებში. სამწუხაროდ, ენციკლოპედია მაშინ ვერ გამოიცა. შემორჩენილი საარქივო მასალა ნათლად გვიჩვენებს ივანე ჯავახიშვილის როლს ენციკლოპედიის გამოცემის განხორციელების საქმიანობაში. ივანე ჯავახიშვილი სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო; იყო ავტორი სტატიებისა საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე. პირველი ტომისათვის მზად იყო სტატიები „ანზანი“, „ანდრია მოციქული“ და სხვ. აღსანიშნავია ამ სტატიების მაღალი დონე და არ არის შემთხვევითი, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოცემულ ენციკლოპედიაში ივანე ჯავახიშვილის ეს სტატიები კიდევ იხილა მკითხველმა.

ივანე ჯავახიშვილი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა სამუზეუმო საქმიანობას. 1931 წელს იგი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, საქართველოს მუზეუმის მეცნიერ-კონსულტანტად დაინიშნა. აქედან მოყოლებული დაიწყო ფართო სამუზეუმო საქმიანობა. მეცნიერის დასაბუთებული მოთხოვნით მუზეუმში შეიქმნა ისტორიის განყოფილება, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ივანე ჯავახიშვილი განაგებდა. „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა ივანე ჯავახიშვილის უშუალომონაწილეობითა და ხელმძღვანელობით მოეწყო. მეცნიერმა ყურადღება მიაქცია არა მხოლოდ გამოფენის სტრუქტურას, არამედ ზოგადად მუზეუმის საქმიანობას არქეოლოგიური მასალის გამოყენების თვალსაზრისით. აქ დაცული იყო ძალზედ მნიშვნელოვანი არქეოლოგიური საგანძური, რომელსაც ვერც მეცნიერები იყენებდნენ და საზოგადოებისათვისაც უცნობი რჩებოდა. გამოფენა ისე მოეწყო, რომ მან დიდი აღმზრდელობითი დანიშნულებაც შეიძინა. წარმოჩნდა ძველი საქართველოს ავლადიდება და კულტურის დონე.

ივანე ჯავახიშვილი უდიდეს ყურადღებას აქცევდა ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შესწავლის საკითხს. აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ „ქართული ხელოვნების საკითხებიც, ქართული ხელოვნების წარსულის შესწავლაც და მისი მომავალი ბედი ივანე ჯავახიშვილისათვის ისევე ძვირფასი და ახლონი იყვნენ, როგორც ქართული კულტურის სხვა საკითხებიც“. ივანე ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ძველი საქართველოსათვის მეტად მნიშვნელოვან მხატვრულ შემოქმედებას (პლასტიკური ხელოვნების დარგებს – არქიტექტურას, სკულპტურას, ოქრომჭედლობას და სხვ.) და მას ქართველი ხალხის მაღალი კულტურის, დამოუკიდებლობისა და ძლიერების მაჩვენებლად აღიარებდა. 1914 წლისათვის მეცნიერს მზად ჰქონია „ქართული ხელოვნების ისტორია“;

რომლის ერთი ნაწილი დაიბეჭდა სათაურით: „Термины искусств и главнейшие сведения о памятниках искусства и материальной культуры в древней литературе“. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი ქართული კულტურის ძეგლების დაცვის საქმეში. მეცნიერმა მოიწონა ქართველ ხელოვანთა საზოგადოებისა და ქართველი მხატვრების საქმიანობა ძველი ქართული მხატვრული ნაშთების გადარჩენისა და გადმოღების მიზნით. იგი აღტაცებული იყო ნაბახტევში მომუშავე მხატვრების (ლ. გუდიაშვილი, გ. ერისთავი, მ. თოიძე და მისი ვაჟი ერეკლე, მ. ჭიაურელი და დ. შევარდნაძე) საქმისადმი უანგარო სიყვარულით, რაც დაწყებული დიდი აღდგენითი სამუშაოს საწინდარი ჩანდა. მონუმენტურ მხატვრობასთან ერთად ივანე ჯავახიშვილი უდიდეს ყურადღებას აქცევდა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებს და თავად იღებდა მნიშვნელოვან ზომებს ხუროთმოძღვრების დაცვა-შენახვის უზრუნველყოფისათვის. 1946 წელს, მეცნიერის გარდაცვალების შემდგომ, გამოიცა მისი მეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევა „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის (მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში)“. ესაა ფუნდამენტური გამოკვლევა საცხოვრებელ ნაგებობათა სახეებისა, მათი სახელწოდებების, წარმოშობისა და განვითარებისა. ივანე ჯავახიშვილი მიმოიხილავს ქალაქის განმსაზღვრელ ძირითად ატრიბუტებს (უზნები, ქუჩები, მოედნები, ციხე-გალავნები, შესასვლელ-გამოსასვლელი კარები, ბაზრები, ხიდები, წისქვილები, სახელოსნოები, საპატიმროები და სხვ.), საკულტო-ნაგებობებს. ივანე ჯავახიშვილმა საგანგებოდ გამოიკვლია საფენელ-საგებელის, ავეჯისა და ჭურჭლის სახეები, ტანსაცმელი.

უაღრესად რთულსა და მძიმე პირობებში არგუნა ბედმა ივანე ჯავახიშვილს მოღვაწეობის დაწყება. საქართველოს ისტორიის არც ერთი სამეცნიერო დარგი, ფაქტობრივად, არ არსებობდა. იყო მხოლოდ მარი ფელისიტე ბროსეს, დიმიტრი ბაქრაძის, თედო ჟორდანის, ექვთიმე თაყაიშვილისა და მოსე ჯანაშვილის ნაშრომები საქართველოს ისტორიის ცალკეულ საკითხებზე. საქართველოს ისტორიის არსებითი, სისტემატიზებული გამოკვლევა მთლიანად ერთ ადამიანს დააწვა მხრებზე; ივანე ჯავახიშვილი გზის გამკაფველი გამოდგა, მან ახალი ქართული ისტორიოგრაფიის გუთნისდედის როლი შეასრულა, ცალ უღელში მყოფი ეწეოდა მეცნიერული კვლევაძიების ჭაპანს. „ჩემდა საუბედუროდ – წერდა მოგვიანებით ივანე ჯავახიშვილი, - შრომისა და მძიმე ტვირთის გამწაწილებელი არავინ მყოლია და მოუცლელიობის გამო ისეთ მდგომარეობაში ვიყავი ჩავარდნილი, რომ ერთხელ დაწერილის შემოწმებისათვისაც კი დრო არ მქონია».

ივანე ჯავახიშვილის გიგანტური შრომის ნაყოფია ქართული ერის ისტორია, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ქართული სამართლის ისტორია, ისტორიული გეოგრაფია, მეტროლოგიის, ნუმიზმატიკის, მუსიკის ისტორიის, წყაროთმცოდნეობის, სომხური საის-

ტორიო მწერლობის, სამშენებლო საქმისა და საერთოდ მატერიალური კულტურის ისტორიის საკითხები. აი, არასრული ნუსხა იმ პრობლემებისა, რომლებიც დიდმა მეცნიერმა ცოდნის ჩარჩოებში მოაქცია და მისცა საზოგადოებას.

### სამეცნიერო მემკვიდრეობა წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია

XX საუკუნის დასაწყისში, როცა ივანე ჯავახიშვილი სამეცნიერო ასპარეზზე გამოდიოდა, საქართველოს ისტორიის შესწავლა სათანადოდ დონეზე ვერ იდგა, მოიკოჭლებდა კვლევის მეთოდოლოგია, ნაკლები ყურადღება ექცეოდა წყაროების კრიტიკულ შესწავლას, ტექსტების აღდგენისა და გამოცემის საქმეს.

ივ. ჯავახიშვილი აუცილებელ ამოცანად სახავდა, რომ გათვალისწინებული ყოფილიყო წყაროს ამა თუ იმ ავტორის პიროვნება, განათლება, აზროვნება და, რაც მთავარია, მედასეობა. ივ. ჯავახიშვილმა ფაქტობრივად დაიწუნა „ქართლის ცხოვრების“ იმდროინდელი შესწავლულობა და აჩვენა, რომ „ნინოს ცხოვრებაში“ მოტანილი მასალა - ცნობები მეოთხე საუკუნის კი არ არის, არამედ უფრო გვიანაა შეთხზული. მეცნიერის შეხედულებები წყაროთმცოდნეობაზე რადიკალური იყო.

ივანე ჯავახიშვილმა პირველმა შეაფასა ქართული წყაროების რეალური მეცნიერული ღირებულება, თუ რა უნდა იქნეს მიღებული და რა უარყოფილი. ამასთან, იგი თვლიდა, რომ საქართველოს ისტორია უნდა იქნეს შესწავლილი მეზობელი ხალხებისა და ქვეყნების ისტორიასთან კავშირში. იგი ქართულ წყაროებთან ერთად სწავლობს სხვა ხალხების ისტორიულ წყაროებსაც და სათანადოდ იყენებს ამა თუ იმ საკითხის კვლევისას უცხოურ მწერლობაში დაცულ ცნობებს. ივანე ჯავახიშვილმა შექმნა ფუნდამენტური გამოკვლევა ძველი, სომხური საისტორიო მწერლობის შესახებ, რითაც ფაქტობრივად უდიდესი ამაგი დასდო მეცნიერული არმენოლოგიის შექმნა-განვითარებას.

ივ. ჯავახიშვილმა აღმოაჩინა, შეისწავლა და სათანადოდ შეაფასა „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნუსხები (ანასეული და ჭალაშვილისეული), თამარის მეორე ისტორიკოსი (მისივე ვარაუდით - ბასილი ეზოსმოდვარი), ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიაწე, „ხანმეტი ტექსტები“ და სხვ.

ივ. ჯავახიშვილმა შექმნა კაპიტალური ნაშრომი - „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად“. იგი ოთხი წიგნისაგან შედგება: „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.)“; „ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია“, „ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“, „ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა“.

ამ ნაშრომმა იმთავითვე მაღალი შეფასება მიიღო.

ივ. ჯავახიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მარტიროლოგიურ ლიტერატურას. ზოგჯერ მარტივლთა და წმინდანთა „ცხოვრებები“ მეტად საინტერესო მასალებს შეიცავს სამოქალაქო ისტორიის შესწავლისათვის. მეცნიერს მიაჩნდა, რომ ნამდვილი ღირსების გაგება ისეთი წყაროებისა, როგორც დავით აღმაშენებლის და თამარის ისტორიკოსთა თხზულებებია, შეუძლებელია, თუკი თავდაპირველად ბასილი ზარზმელის, გიორგი მთაწმიდელისა და ეფრემ მცირის საეკლესიო თხზულებები არ გვექნება შესწავლილი.

ივანე ჯავახიშვილმა დაადგინა ისტორიის აღმნიშვნელი ტერმინები. მისი ვარაუდით, ძველ საქართველოში ისტორიის გამომხატველ ტერმინად „ცხოვრება“ ან „ცხოვრება“ იხმარებოდა. იყო ტერმინი „მატიანეც“. ისტორიის ცნების აღმნიშვნელად იყენებდნენ აგრეთვე „ჰამბავს“, ან „ამბავს“.

ქართული საისტორიო მწერლობის ღრმად შესწავლამ ივანე ჯავახიშვილი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ძველი ქართული ისტორიკოსები საისტორიო მწერლობას მოწიწებით და თავიანთი მოვალეობის პასუხისმგებლობის სრული შეგნებით ეკიდებოდნენ. მათ ღრმად ჰქონდათ გააზრებული, რომ „ჟამთა აღმწერლობა ჭემმარიტების მეტყუელება არს“.

ივანე ჯავახიშვილმა გამოიკვლია, თუ როდის დაიწყო და როგორ ვითარდებოდა ქართული ისტორიოგრაფია V-XVIII საუკუნეებში იაკობ ცურტაველიდან ომან ხერხელიძემდე. ამ გრძელ პერიოდში შეიმჩნევა ისტორიოგრაფიის აღმავლობაც და დაქვეითებაც. ივანე ჯავახიშვილმა ეს ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნია და აჩვენა, რომ ისტორიოგრაფია უშუალო ნაწილია ქართველი ხალხის სახელმწიფოებრიობისა, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრებისა.

ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ ქართული ისტორიისათვის საწყისები უძველეს დროსაა საძიებელი. ჩვენამდე მოღწეული ისტორიული წყაროების საფუძველზე მეცნიერი ასკვნიდა, რომ ქართული ისტორიული აზროვნება განსაკუთრებით VIII საუკუნიდან განვითარდა და XIV საუკუნემდე გრძელდებოდა. იოანე საბანისძე, გიორგი მერჩულე, ლეონტი მროველი, ჯუანშერი, ბასილ ზარზმელი, გიორგი მთაწმიდელი, ეფრემ მცირე, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიკოსები, ლაშა გიორგის დროინდელი მემატინე, ჟამთააღმწერელი და სხვანი ქართული ისტორიოგრაფიის მშვენიერებს წარმოადგენდნენ.

ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ამ პერიოდის ისტორიოგრაფიის მიღწევა იყო: თხრობის საბუთიანობა, გადმოცემულის მთლიანობა და ანალოგიის მეთოდის გამოყენება.

XV-XVI საუკუნეებში ქვეყნის პოლიტიკურ დაქვეითებასთან ერთად ისტორიული მეცნიერებაც დაკნინდა. XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან თანდათან კვლავ ჩნდება ინტერესი ისტორიისადმი. ამ დროის საინტერესო ისტორიკოსია ფარსადან გორგიჯანიძე. XVIII საუკუნეში ფართო მასშტაბის კულტურული მოღვაწეობა გაშალა ვახტანგ VI-მ, დაწინაურდა

ისტორიული მეცნიერებაც, ვახუშტი ბაგრატიონი და პაპუნა ორბელიანი ამ ხანის ისტორიული აზროვნების ღირსეული წარმომადგენლები არიან. ვახუშტი ბაგრატიონმა ახალი ეტაპი შექმნა ქართულ ისტორიულ აზროვნებაში. მან ამაგი დასდო საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის, კარტოგრაფიის, ისტორიული გეოგრაფიის კვლევას.

XIX საუკუნის I ნახევარში მოღვაწეობდნენ: დავით და ბაგრატ ბაგრატიონები, ალ. ჭავჭავაძე, ო. ხერხეულიძე, ნ. დადიანი, ალ. ორბელიანი, პ. იოსელიანი, სულხან ბარათოვი და სხვ. თავისთავად მათ განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში, მაგრამ ვერ ამდღდნენ ვახუშტი ბაგრატიონის დონემდე.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება ქართული ისტორიოგრაფიის ერთგვარი გამოცოცხლება, რაშიც დიდი ამაგი მიუძღვის დიმიტრი ბაქრაძეს. ამავე პერიოდში დიდი წარმატებით მოღვაწეობენ ქართველოლოგიაში ალ. ცაგარელი, ალ. ხახანაშვილი და ნ. მარი. ამ სკოლამ წარმოშვა ივ. ჯავახიშვილი.

### საქართველოს ისტორია

ივანე ჯავახიშვილის კალამს ეკუთვნის „ქართველი ერის ისტორია“ ხუთ წიგნად. ქრონოლოგიურად ესაა საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე. პირველ წიგნში ივანე ჯავახიშვილმა წარმოადგინა ქართველთა პირველსაცხოვრისისა და ქართველთა წარმომავლობა-ვინაობის საკითხი. მეცნიერის დასკვნები უძველესი პერიოდის საქართველოს შესახებ შეესაბამებოდა იმ დროის მეცნიერულ დონეს. არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა, განსაკუთრებით ძველი ქვის ხანის პერიოდისა, ივ. ჯავახიშვილს საშუალება მისცეს, ბევრი რამ გაეთვალისწინებინა და გადაესინჯა თავისი ადრინდელი შეხედულებებიდან. „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი წიგნი უძველესი დროიდან VII საუკუნემდე მოდის. მეორე წიგნი მოიცავს მასალას VII საუკუნის 50-იანი წლებიდან (არაბთა ბატონობის დამყარება) თამარის მეფობის ჩათვლით. ამ წიგნში საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის პრობლემებია განხილული, შესწავლილია ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა; გამოკვლეულია საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის საკითხები; ფართოდ არის გაშუქებული XI-XII საუკუნეების საქართველოს ისტორია. ივ. ჯავახიშვილმა წამოაყენა მნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც საპროგრამო გახდა შემდგომი პერიოდის მკვლევრებისთვისაც. ნიშანდობლივია, რომ მეცნიერმა სოციალური ბრძოლის მიზეზებს ეკონომიკური საფუძვლები მოუწახა.

„ქართველი ერის ისტორიის“ მესამე წიგნი XIII-XIV საუკუნეების საქართველოს ისტორიას ეხება. ივ. ჯავახიშვილმა დაწვრილებით შეისწავლა და წარმოაჩინა მონღოლთა დაპყრობების ისტორია, მათ წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლის ფორმები, ქვეყნის შიგნით მომხდარი სოციალური ცვლილებები. მეცნიერმა მნიშვნელოვანი ად-

გილი დაუთმო გიორგი ბრწყინვალის ეპოქის შესწავლა-გაშუქებას, ეპოქისა, როცა საქართველომ მცირე დროით, მაგრამ მაინც დაიბრუნა მთლიანობა და დიდი საერთაშორისო ავტორიტეტიც მოიპოვა. ივ. ჯავახიშვილმა ღრმად გააანალიზა თემურ ლენგის ლაშქრობათა შედეგები. საქართველოს ისტორიის შემდგომი პერიოდის მოვლენები მეცნიერმა „ქართველი ერის ისტორიის“ IV და V წიგნებში მოგვცა. მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხების შესწავლა-წარმოჩენა.

საქართველოს ისტორიის მრავალმხრივი პრობლემების კვლევით ივ. ჯავახიშვილმა უდიდესი ამაგი დასდო ზოგადად ისტორიულ მეცნიერებას. მან პრაქტიკულად „გატეხა ყამირი“ და ქვეყნის ერთიანი, მთლიანი ისტორია წარმოგვიდგინა.

### ისტორიული გეოგრაფია

ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ისტორიის შესწავლა შეუძლებელია, თუ შესაბამისი პერიოდის გეოგრაფია არ იქნა გამოკვლეული. ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს მეცნიერი სხვადასხვა ნაშრომში ეხება და მეტად ფასეულ მოსაზრებებს გამოთქვამს. მისი ნაშრომი „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“ ფუნდამენტური გამოკვლევაა. ივ. ჯავახიშვილი ფართოდ იყენებს ქართულ ისტორიულ წყაროებს (ლეონტი მროველის თხზულება და სხვ.), ითვალისწინებს ვახუშტი ბაგრატიონის მეტად მნიშვნელოვან მემკვიდრეობასა და ადგენს ქართლის, კახეთის, ეგრისის, ტაო-კლარჯეთის საზღვრებს; აზუსტებს საგზაო მაგისტრალებს. ივ. ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებდა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ბუნებრივი გეოგრაფიული საზღვრები ჰქონდა, იგი თავისებურ შემოზღუდულ ქვეყანას წარმოადგენდა. მეცნიერი მიუთითებდა, რომ „თვით ბუნებას შეუქმნია ქართველი ერისათვის ბუმბერაზი დარაჯი კავკასიონის მთავარი უღელტეხილი ჩრდილოეთით და მაღალი მთების ზღუდე სამხრეთით, დასავლეთით კი მის ტერიტორიას შავი ზღვის, ხოლო აღმოსავლეთით მდინარეების ზოლი აქვს შემოვლებული“. შემთხვევითი არ იყო ბუნებრივი საზღვრების მოხერხებულობაზე ხაზგასმა. მიუხედავად იმისა, რომ გეოგრაფიული გარემო არ არის გადამწყვეტი ფაქტორი ამა თუ იმ ისტორიული პროცესის მსვლელობაში, იგი მაინც რჩება მნიშვნელოვნად ქვეყნის თავდაცვასა და სამეურნეო საქმიანობაში. გეოგრაფიულმა გარემომ თავისი დადებითი როლი შეასრულა ქართველი ხალხის გადარჩენის საქმეში. როცა მრავალრიცხოვანი მტერი მოადგებოდა ქვეყანას, ხალხი მთებსა და ხევებში აფარებდა თავს.

ივ. ჯავახიშვილმა პრაქტიკულად განსაზღვრა საქართველოს ტერიტორიული ერთეულების ადგილმდებარეობა და სახელწოდება. გაარკვია ამა თუ იმ კუთხის მნიშვნელობა საქართველოს ერთიანი სახელმწიფოსათვის.

უაღრესად მნიშვნელოვანია ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილი და გამოცემული საქართველოს რუკა. ესაა ერთიანი საქართველო „ნიკოფსიდან დარუბანდამდე და ოსეთიდან არეგაწამდე“. ნიშანდობლივია, რომ რუკაზე საქართველოს ყველა სოფელია დატანილი.

### არქეოლოგია

ივანე ჯავახიშვილმა დიდი ამაგი დასდო საქართველოს არქეოლოგიურ შესწავლას. მას მიაჩნდა, რომ არქეოლოგია იყო სათანადო სპეციალისტთა კონკრეტული კვლევა-ძიების სარბიელი. ჩვეულებრივ, არქეოლოგიური მასალით ისტორიკოსები სარგებლობენ თავისი გარკვეული მიზნებისათვის. ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ ქართველ ისტორიკოსებს ასეთი ბედნიერება არ ჰქონიათ, „რადგან კავკასიის არქეოლოგია თავის სპეციალურ საგნად ჯერ არავის აურჩევია. იგი წუხდა, რომ „ყველა ის მნიშვნელოვანი მონაპოვარი, რომელიც კავკასიის ნივთიერი კულტურის გასათვალისწინებლად უკვე არსებობს, სასხვათაშორისო კვლევა-ძიების შედეგს წარმოადგენს და უფრო ზოგადი პრობლემებით დაინტერესებულ, მაგრამ თავისი კვლევა-ძიების მუდმივი ასპარეზით დაშორებულ გამოჩენილ მეცნიერთა მონაწილეობით არის შეძენილი“.

ივ. ჯავახიშვილი წუხდა, რომ საქართველოში არ არსებობდა დაწესებულება, რომელიც თავს მოუყრიდა არქეოლოგიურ ძეგლებს. თვითონ კი რეალურად აჩვენებდა არქეოლოგიური მემკვიდრეობის მეცნიერული მიზნისათვის გამოყენების მაგალითს. ივ. ჯავახიშვილი უდიდეს ყურადღებას აქცევდა საქართველოს სხვადასხვა მხარეში აღმოჩენილ სხვადასხვა პერიოდის (ძველი ქვის ხანიდან დაწყებული, შუა საუკუნეებით დამთავრებული) იარაღსა და საყოფაცხოვრებო ნივთებს. ეს მასალა საშუალებას იძლეოდა, ერკვიათ ადამიანთა ურთიერთობის ფორმები. ივ. ჯავახიშვილი თავად ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას. მისი თაოსნობით მოეწყო რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის გამოფენა, სადაც ასახული იყო XI-XIII საუკუნეების სახელმწიფოებრივი ცხოვრება. ამ გამოფენამ საზოგადოებას დაანახა არა მხოლოდ ქართული კულტურა, არამედ მაღალი მეცნიერული დონეც. 1937 წელს გათხრები ჩატარდა ბოლნისში, აღმოჩნდა წარწერა, რომელიც ივ. ჯავახიშვილმა ამოიკითხა. 1938 წელს მცხეთაში დიდი არქეოლოგიური მუშაობა გაიშალა, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა. გათხრებმა მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო: ივ. ჯავახიშვილმა შესაძლებლად მიიჩნია, რომ მცხეთა უძველესი ქალაქია. იგი ბრინჯაოს ხანაშიც დიდი და ხალხმრავალი ქალაქი უნდა ყოფილიყო. არქეოლოგიური მასალა აჩვენებდა, რომ V საუკუნისათვის მცხეთა დაემხო, თბილისი კი მოძლიერდა. ეს ასეც იყო – თბილისი ამ პერიოდისათვის ფაქტობრივი პოლიტიკური ცენტრი გახდა.

ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ მცხეთა-არმაზის აღმოჩენის შემდეგ ბევრი ადრინდელი მოსაზრება საქართველოს ისტორიის შესახებ უნდა შესწორებულიყო. ივ. ჯავახიშვილმა ამაგი დასდო არქეოლოგიური მეცნიერების შემდგომ განვითარებას და არაერთი სახელმძღვანელო და ბუღება მოგვცა. იგი 1936 წლიდან სიცოცხლის დასასრულამდე გვერდით ედგა ქართველ არქეოლოგებს და თავისი მდიდარი გამოცდილების გამოყენებით და მეცნიერული კონსულტაციებით ზრდიდა არქეოლოგთა თაობებს.

### საქართველოს ეკონომიკური ისტორია

ივ. ჯავახიშვილმა აუცილებლად მიიჩნია საქართველოს ეკონომიკური ისტორიის შესწავლა. საქართველოს სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა, ამ დარგების პროდუქცია – ის აუცილებელი შესასწავლ-გამოსაკვლევ საკითხები იყო, რომელთაც უნდა გაეცა პასუხი, თუ რა იყო ძველი საქართველოს ეკონომიკური საფუძველი. ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე შეჩერდა და დაინტერესდა ძველი საქართველოს ეკონომიკის საკითხებით. ამგვარი მიდგომა ახალი იყო. როცა მემბტიანენი გადმოგვცემენ ქართველთა გაუთავებელი ბრძოლების ამბებს, ეკონომიკურ მდგომარეობაზე დუმან. ილია სწორედ ამ მხარეზე შეჩერდა: „საკვირველი ეს არის – რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფას? რა ჰკვებავდა ხალხს, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლისღვრასა“. ივ. ჯავახიშვილს კარგად ესმოდა, რომ ქვეყნისათვის ეკონომიკა არსებითია და მისი შესწავლაც გადაუდებლად მიაჩნდა. საკმაოდ დიდი დროის მანძილზე იკვლევდა იგი ეკონომიკის პრობლემებს. თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში - „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“ (1907 წ.) – ივ. ჯავახიშვილმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო მიწისმფლობელთა და მიწისმოქმედთა შესწავლას. მან გამოიკვლია ქვეყნის სოციალური დიფერენციაციის, ქონების მფლობელობის წესები, ვაჭრობა-ხელოსნობა და მრეწველობა-აღებ-მიცემობა, სახელმწიფოს შემოსავლები და სხვ.

ივ. ჯავახიშვილმა გააგრძელა ეკონომიკური საკითხების კვლევა. გამოიყენა როგორც ზოგადისტორიული, ისე უმთავრესად, ეკონომიკური ხასიათის წყაროები. ხალხის აღწერის დავთრების შესწავლისას ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა აღწერასთან დაკავშირებული ტერმინები, მოგვცა აღწერის ისტორია, გაარკვია აღწერის დავთრების სანდოობა, შეეხო საფინანსო მეგლებს, საკორპორაციო და კერძო მეურნეობის შემოსავალ-გასავლის საბუთებს (აღაპები, მზითვის წიგნები და სხვ.).

ივ. ჯავახიშვილმა გამოიკვლია ძველი საქართველოს სოფლის მეურნეობა, მისი ცალკეული დარგები; საგანგებოდ შეისწავლა სოფლის მეურნეობის იარაღები. მეცნიერმა დაადგინა სასოფლო-სამეურნეო მცენარეების გვარობათა ტერმინოლოგია. ივ. ჯავახიშვილი საგანგებოდ ჩერდება ვახუშტი ბაგრატიონის ღვაწლზე, რომელმაც აღწერა „ჩვენი

ქვეყნის ბუნება, თვისებები, მოსახლეობა და ეკონომიური მდგომარეობა”, გვიჩვენა ბოტანიკურ-გეოგრაფიული არეების მეცნიერული დაკვირვების შედეგები.

ივ. ჯავახიშვილმა მიმოიხილა ძველი საქართველოს მემინდვრეობა, მესაქონლეობა, მებოსტნეობა, მევენახეობა. დასაბუთებულად გაუსვა ხაზი მევენახეობა-მელვინეობის დარგის სიძველეს. მეცნიერმა დაასაბუთა, რომ ქართველი ერის საქმიანობა-მოღვაწეობა საუკუნეთა განმავლობაში მხოლოდ პოლიტიკური, კულტურული ან სოციალური ასპარეზით კი არ იფარგებლებოდა, არამედ სამეურნეო დარგშიც მეტად ნაყოფიერი ყოფილა.

ივ. ჯავახიშვილის დვაწლი საქართველოს ეკონომიკური ისტორიის კვლევაში ფასდაუდებელია. იგი საფუძველს ქმნის თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების შემდგომი წინსვლა-განვითარებისათვის.

### ქართული სამართლის ისტორია

ქართული სამართლის ისტორიის პრობლემების კვლევას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ივ. ჯავახიშვილის მრავალფეროვან შემოქმედებაში. 1905 წელს გამოიცა მისი „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია“ და „Государственный строй древней Грузии и древней Армении“. ამავე პერიოდში ქართულ პერიოდულ გამოცემებში („ერი“, „ჩვენი ერი“, „საქართველოს მოამბე“) დაიბეჭდა მეცნიერის იმავე საკითხებისადმი მიძღვნილი სტატიები. აქ უმეტესწილად ქართული სამართლებრივი აზროვნება იყო მიმოხილული. ნიშანდობლივია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ივ. ჯავახიშვილი საქართველოს ისტორიის ზოგადი თუ ცალკეული სპეცკურსების გვერდით, კითხულობდა ქართული სამართლის ისტორიასაც. ეს დარგი ივ. ჯავახიშვილმა მაღალ მეცნიერულ სიმაღლეზე აიყვანა.

ივ. ჯავახიშვილმა შეისწავლა ქართული, ბიზანტიური, სპარსული, არაბული, სომხური და სხვა წყაროები და ამ საფუძველზე დაადგინა სამართლის ისტორიის მთელი რიგი საკითხებისა. მან შეისწავლა სახელმწიფოსა და სოციალური წეს-წყობილების პრობლემები, გაარკვია სახელმწიფოს მიწა-წყლის, მოსახლეობის, საზოგადოებრივი და წოდებრივი დანაწილების, პატრონყმობის, მოხელეთა ფუნქცია-მოვალეობების საკითხები.

ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ სოციალურად აღზევებული პირები მეფის გვერდით სახელმწიფო სამსახურში იდგნენ. მეცნიერი გვამლევს მოხელეთა კლასიფიკაციას მათი საქმიანობისა და უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით. „ხელისუფალი“ ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ის მოხელეა, რომელსაც ბრძანება-განკარგულების გაცემის უფლება აქვს, ხოლო „საქმისმოქმედი“ – ბრძანების აღმსრულებელია. მოხელეები ორ ჯგუფად იყოფოდნენ: „დარბაზის კარის“ მოხელენი ცენტრალურ დაწესებულებაში – „დარბაზში“ მოღვაწეობდნენ. „საქვეყნოდ გამრიგენი“

(ერისთავები, ციხისთავები და სხვ.) ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში საქმიანობდნენ. ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია ვაზირთა (ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი, მსახურთუხუცესი) უფლება-მოვალეობანი.

ივ. ჯავახიშვილმა საგანგებოდ შეისწავლა საეკლესიო მსახურებთან და სამეფო ხელისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები, სამოქალაქო საქმის ორგანიზაციისა და საკორპორაციო საკითხები.

### არმენოლოგია

ივანე ჯავახიშვილმა დიდი ამაგი დასდო ძველი სომხური საისტორიო მწერლობის შესწავლას. სომხურ ძეგლებზე მუშაობა ივანე ჯავახიშვილმა 1898 წლიდან დაიწყო, სტუდენტობის დროს. მისი ხანგრძლივი მუშაობის ნაყოფია 1935 წელს გამოქვეყნებული „ძველი სომხური საისტორიო მწერლობა“ (პირველი წიგნი). მეცნიერმა ჩვეული ყურადღებით მიმოიხილა სომხური აგიოგრაფიული ლიტერატურა და ის ცნობები, რომლებიც სომხური დამწერლობის შესახებ არსებულ წყაროებში მოიპოვება. ივ. ჯავახიშვილმა ქართული ისტორიოგრაფიის დარად, უდიდესი ყურადღება მიაქცია მწინდანთა ცხოვრებას. ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობა არმენოლოგიაში მეტად მნიშვნელოვანი იყო. მან ერთი მხრივ გაამახვილა ქართველ ისტორიკოსთა ყურადღება სომხური საისტორიო მწერლობის შესწავლაზე, მეორე მხრივ კი გაამდიდრა მეცნიერული არმენოლოგია.

### ენათმეცნიერების საკითხები

ივ. ჯავახიშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა ქართული ენის უძველესი აგებულებისა და ნათესაობის საკითხების დამუშავებას. მან პირველმა დაასაბუთა ქართველური ენების მთის იბერიულ-კავკასიურ ენებთან როგორც სტრუქტურული, ისე მასალობრივი ერთიანობა ძირითადი გრამატიკული კატეგორიისა და ლექსიკის მიხედვით. ივ. ჯავახიშვილმა ნიადაგი მოუმზადა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ჩამოყალიბებას. მეცნიერების აზრით, ცალკეული სინდური (აფხაზურ-ადიღური), ლილური (ნახური), ლეგურ-ალბანური (დალესტური) – ენების შესწავლასთან ერთად საჭირო იყო გამოკვლევა ზოგადი შარომატული (ჩრდილო-კავკასიური), ქართულ-შარომატული (იბერიულ-კავკასიური) ენების პრობლემებისაც. ივ. ჯავახიშვილმა ჩამოაყალიბა მათი შესწავლის მეთოდიკა, რომელიც ითვალისწინებს ჯერ ცოცხალენოვანი მასალის ანალიზს, შემდეგ ენათა ჯგუფის საერთო დახასიათებას, ბოლოს კი შედარებას. ასე გააანალიზა იბერიულ-კავკასიურ ენათა ყველა ჯგუფის ლექსიკური ფონდის მასალა: რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები, სახელთა ძირები, ზმნის უღლება.

ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ მსოფლიოს აღმოსავლეთმცოდნეობისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო ქართული და კავკასიური

ენების ბუნების გარკვევა, მათი ნათესაობა ისეთ ენებთან, როგორებიცაა: ხეთური, ხალდეური და შუმერული.

ივ. ჯავახიშვილის სახელთანაა დაკავშირებული უძველეს პალიმფ-სესტურ ხელნაწერებში V-VII საუკუნეთა ხანმეტი ტექსტების აღმოჩენა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ენის წერილობითი ისტორიის პერიოდიზაციისათვის. მას გამოკვლეული აქვს ქართული მეცნიერული და სამეურნეო-ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრების თითქმის ყველა დარგის ტერმინოლოგია და, საერთოდ, ლექსიკა, ჩატარებული აქვს მნიშვნელოვანი ეტიმოლოგიური ძიებანი.

### მუსიკის ისტორია

განუყრელადაა ივანე ჯავახიშვილის სახელთან დაკავშირებული ქართული მუსიკის ისტორიის შესწავლა-განვითარება. მშვენიერი მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ მეცნიერს (იგი შესანიშნავად უკრავდა ვიოლინოზე) მაღალი კომპეტენცია ჰქონდა და თავისი რჩევა-დარიგებებით ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებას. ყველა ახალ ნაწარმოებს ზაქარია ფალიაშვილი ივანეს ასმენინებდა პირველად. მეცნიერი ეხმარებოდა კომპოზიტორს ხალხური სიმღერების შეკრებაში. ქართლის სოფლებში ივანე ჯავახიშვილთან ერთად მოგზაურობის დროს ზაქარია ფალიაშვილს „აბესალომ და ეთერის“ ლექური ჩაუწერია და შემდგომში მას შინაურობაში „ივანეს ლექურს“ უწოდებდა. გიორგი ჩუბინაშვილი იგონებდა ივანე ჯავახიშვილის ნათქვამს: „ბატონმა ივანემ როგორღაც მითხრა: ჩემს ახალგაზრდობაში ისე ვიყავი გატაცებული მუსიკის მეცნიერული საკითხებით, რომ თავდაპირველად ვფიქრობდი სწორედ ამ საკითხების შესწავლას შევდგომოდიო». ივანე ჯავახიშვილმა სხვადასხვა, მეტად მრავალგვარი სახის წყაროების შესწავლის საფუძველზე გამოიკვლია ქართული მუსიკის ძირითადი საკითხები: განვითარების მთავარი საფეხურები, ქართული მრავალხმიანობის წარმოშობა, მუსიკალური ტერმინები, მუსიკალური საკრავები და სხვ. ფასეულია ივანე ჯავახიშვილის დასკვნა, რომ მრავალხმიანობა ქართული მუსიკის შინაგანი განვითარების ნაყოფია.

\* \* \*

ივანე ჯავახიშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა კულტურის მოღვაწეებთან: ზაქარია ფალიაშვილთან და დავით კაკაბაძესთან. გამორჩეული იყო მისი ურთიერთობა ნიკო მართან. ეს უკანასკნელი ივანე ჯავახიშვილის ძირითადი ხელმძღვანელი იყო პეტერბურგის უნივერსიტეტში. სწორედ ნ. მარის ხელმძღვანელობით, 1901 წლის 27 იანვარს ივანე ჯავახიშვილმა მოიპოვა ქართული სიტყვიერების მაგისტრის ხარისხი (დისერტაცია უფრო გვიან, 1907 წლის 13 მაისს 333: «Государственный строй древней Грузии и древней Армении»). მეტად

მნიშვნელოვანი იყო ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის ერთობლივი მოგზაურობა სინას მთაზე ქართული ხელნაწერების მოკვლევისა და შესწავლის მიზნით (1902 წლის აპრილი-სექტემბერი). ნიკო მარი გულწრფელი კმაყოფილებით წერდა: „ჯავახიშვილი მუშაობაში ძალიან ბეჯითი და ამტანი აღმოჩნდა“. ერთ დღეს ივანეს ხელში ჩაუვარდა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ძვირფასი ხელნაწერი. ეს უდიდესი მონაპოვარი იყო. იგი მაშინვე მიხვდა, თუ რა დიდმნიშვნელოვან ძეგლთან ჰქონდა საქმე. მოწაფეს ხელნაწერი მასწავლებლისათვის გადაუცია, თანაც დაუძენია: პირველ რიგში, ძეგლის გაცნობა-შესწავლა თქვენ გეკუთვნითო. ნიკო მარი თავისი მოწაფის ამგვარ დიდბუნებოვნებას მაღალ შეფასებას აძლევდა. ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის ურთიერთობა, მიუხედავად ზოგიერთი გართულებისა, ბოლომდე კეთილი და მეგობრული დარჩა.

ივანე ჯავახიშვილი დიდად აფასებდა და ხელს უწყობდა თავისი მოწაფეების -თამარ ლომოურის, სიმონ ჯანაშიას, სიმონ ყაუხჩიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის და სხვათა საქმიანობას.

ივანე ჯავახიშვილს ფართო მიმოწერა ჰქონდა ცნობილ მოღვაწეებთან: კიტა აბაშიძესთან (იგი ივანეს ახლო ნათესავი იყო), მოსე ჯანაშვილთან, შიო არაგვისპირელთან, ივანე ბერიტაშვილთან, ვუკოლ ბერიძესთან, გიგო გაბაშვილთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან, კორნელი კეკელიძესთან, აკაკი შანიძესთან, სიმონ ყაუხჩიშვილთან და მრავალ სხვასთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბატონი ივანეს წერილები ვარლამ დონდუასადმი, რომლებიც მდიდარ მასალას გვაძლევენ დიდი მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მრავალი ასპექტის შესახებ. ივანე ჯავახიშვილის ურთიერთობას საზოგადო და კულტურის მოღვაწეებთან საფუძვლად მაღალი მოქალაქეობრივი და მეცნიერული პრინციპები ასაზრდოებდა. დიდი მეცნიერი აღნიშნავდა, რომ „სამეცნიერო მუშაობა ბედნიერებაა. ეს ისეთი ბედნიერებაა, რომ ყველას ხვედრს არ წარმოადგენს და ვინც ისეთი ბედნიერია, რომ ბუნებისგან დაჯილდოებულია ნიჭით... აქვს ნებისყოფა... აქვს აგრეთვე გატაცება, ის უნდა გრძნობდეს, რომ... ვალდებულია გადაუხადოს იმ ერს, რომლისგანაც ის წარმოშობილა“. თვით ივანე ჯავახიშვილი ერისა და მეცნიერების სამსახურის განუმეორებელ მაგალითს იძლეოდა.

დიდი მეცნიერი ცხოვრებაში სრულიად უპრეტენზიო იყო და განსაკუთრებული თავმდაბლობით გამოირჩეოდა. ერთ-ერთ პირად წერილში იგი ვარლამ დონდუას გულწრფელად სწერდა: „არამც თუ აკადემიკოსობა, პროფესორობის მაძიებელიც კი არ ვყოფილვარ არას დროს“. ნიკო მარის წინადადებაზე – გადათარგმნეთ ერთ-ერთი გამოკვლევა და სადოქტოროდ წარმოადგინეთო, ბატონი ივანე უარით პასუხობს: „რაკი ეს ჩემთვის დროის ზედმეტ დაკარგვას უდრიდა, სამაგისტრო დისერტაციის შემდგომ სადოქტორო დისერტაცია არ წარმიდგენია და არასდროს პირადად მე, არამცთუ პროფესორის, არამედ პრივატდოცენტის წოდებულებითაც არ მისარგებლია“.

1940 წლის 18 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის მოხსენების მოსასმენად ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ მოიყარა თავი. პრობლემა მნიშვნელოვანი იყო: „ფილოლოგიური მეცნიერების მიზნები და ქართული ლიტერატურული ძეგლები“. დანიშნულ დროს ივანე ჯავახიშვილმა მოხსენება დაიწყო... რამდენიმე წუთში აქ, კათედრასთან, მოხსენების კითხვისას შეწყდა დიდი მეცნიერის მაჯისცემა. გარდაიცვალა ივანე ჯავახიშვილი; გარდაიცვალა თავისი მეცნიერული და მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულების დროს. პარიზში მყოფმა მიხეილ წერეთელმა ასეთი სიტყვებით მიმართა დიდ მეცნიერს: „განისვენე, ძვირფასო და დიდო ივანე, საუკუნოდ იმ ქართველთა შორის, რომლებიც შენსავით არიან შემკულნი ღვაწლისა და წამების გვირგვინით. შენი ადგილი დიდ ილიასთან არის, რომელმაც შენზედ ადრე მიიღო ჯილდოდ დიდი ღვაწლის იგივე გვირგვინი. ძეგლი, რომელიც ადიგე შენ, მხილველმან, განმცდელმან და მგრძნობმან საქართველოსა ოცდაათი საუკუნის სიგრძეზედ, ჯალათთა ბატონობისა და ყოველივე სხვა უკეთურებისა ჩვენ ქვეყანაში უფროის ხანგრძლივი იქმნება – იგი მარადისი იქმნება, და ჩვენც ვნატრიდეთ, რომ შენი დიდი პიროვნებაც, აღსავსე მოქალაქეობრივი სიმამაცითა და კეთილშობილებითა და დიდი მოწამის სულის მატარებელი სიცოცხლეში, – პიროვნება შენი... ქართველ მოქალაქეთა და მოღვაწეთა თვალის წინ მომავალ თაობათა მარადის უკვდავ სახედ ყოფილიყოსა!“ (Bedi kartlisa, Revue de Kartvélogie, vol. XXXV).

დიდ მეცნიერზე, მამულიშვილსა და საზოგადო მოღვაწეზე – ივანე ჯავახიშვილზე შთამომავლობას ხმამაღლა, სიამაყით შეუძლია გაიმეოროს დიდი ილიას სიტყვები: „აღასრულა მან თვისი ვალი“.

## სერგი ჯიქია

### „ვთქუა მრავლისაგან მცირედი ესრეთ“

#### მცირე მოგონება

ეს იყო ჯერ კიდევ რევოლუციამდე. თბილისის ვაჟთა მერვე გიმნაზიაში ვსწავლობდი (ყოფილ სასულიერო სემინარიაში, რომელიც რევოლუციის შემდეგ, 1917 წელსვე, გადაკეთდა გიმნაზიად). ქართულ ენასა და ლიტერატურას მთელი ოთხი წლის განმავლობაში გვასწავლიდა გამოჩენილი ქართველი მწერალი ვასილ ბარნოვი. იგი ქართულ ლიტერატურასა და ქართველ მწერლებზე საუბრისას ხშირად მოიხსენიებდა ხოლმე თვალსაჩინო ქართველ მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებსაც. ივანე ჯავახიშვილის სახელიც პირველად ვასილ ბარნოვისაგან გავიგონეთ: პეტერბურგის უნივერსიტეტი დაამთავრა და ამჟამად ნიკო მართან მუშაობსო, უკვე დაიბეჭდა და გამოვიდა მის მიერ დაწერილი „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი წიგნიო.

როცა 1919 წელს თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი (ეს იყო 1918 წლის იანვარში დაარსებული უნივერსიტეტის მეოთხე სემესტრი) და ჩემი მატრიკული დაამზადეს, მითხრეს: სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანთან - პროფ. ივანე ჯავახიშვილთან უნდა გამოცხადდეო, მან უნდა გადახედოს შევსებულ მატრიკულს და ხელი მოაწეროსო, (1919 წლის სექტემბერში ბატონი ივანე ჯერ კიდევ დეკანის თანამდებობაზე იყო უნივერსიტეტში). ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა: შესაძლებლობა მომეცა, მენახა ბატონი ივანე, რომელზეც უკვე ბევრი მქონდა გაგონილი, ვიცოდი რომ იგი იყო დიდი ქართველი მეცნიერი, რომელიც სათავეში ედგა თბილისის უნივერსიტეტის დამარსებელ ქართველ პატრიოტ მეცნიერთა შესანიშნავსა და სახელოვან პლეადას. დიდი მოკრძალებით შევალე დეკანის კაბინეტის კარი. მაგიდას უჯდა ფრიად სასიამოვნო გარეგნობის კაფანდარა კაცი, რომელმაც გამომართვა მატრიკული, გადახედა და პირველი გვერდის მთელ სიგანეზე თავისი მეტად თავისებური და კალიგრაფიული ხელით მოაწერა: „ივ. ჯავახიშვილი.“

საერთოდ, ცოდნასა და, განსაკუთრებით, მშობლიურ ენაზე უმაღლეს განათლებას მოწყურებული იმდროინდელი ქართველი სტუდენტობა დიდი გატაცებით ისმენდა ივანე ჯავახიშვილის მომხიბლავ ლექციებს საქართველოს ისტორიაში. ეს ლექციები იმდენ მსმენელს

იზიდავდა (მათ ესწრებოდა ქალაქის ინტელიგენციის დიდი ნაწილიც), რომ უნივერსიტეტის დიდ აუდიტორიებშიც კი ტევა არ იყო ხოლმე. ჩვენ პირველად ვისმენდით ასე თანმიმდევრულად მეცნიერულ თხრობას ქართველი ერის ისტორიული ცხოვრებისა და მისი გმირული ბრძოლების შესახებ სხვადასხვა ჯურის დამპყრობლებთან ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშობლიური კულტურის დასაცავად.

ჯერ კიდევ სტუდენტი, 1923 წლიდან, პროფ. აკაკი შანიძის რეკომენდაციით „თბილისის უნივერსიტეტის მოამბის“ კორექტორად ამიყვანეს (იმ ხანებში „მოამბე“ იყო უნივერსიტეტის ერთადერთი სამეცნიერო ორგანო, რომელიც წელიწადში ერთხელ გამოდიოდა, რედაქტორობდა პროფ. ა. შანიძე, მოგვიანებით რედაქტორის მოადგილედ პროფ. ს. ყაუხჩიშვილი მოიწვიეს. „მოამბის“ ათი ტომი გამოვიდა, (შემდეგში მას „თბილისის უნივერსიტეტის შრომები“ დაერქვა). ჩემი, როგორც კორექტორის, მოვალეობა იყო რედაქციაში წარმოდგენილი სტატიების გასწორება სტამბაში აწყობის შემდეგ, სტატიების დასაბეჭდად მომზადება და ავტორებთან შეთანხმების შემდეგ მათი დაბეჭდვა, რედაქციაში 1926 წლამდე ვმუშაობდი, უნივერსიტეტში ასპირანტად დატოვებამდე. ამ ხნის განმავლობაში და შემდეგშიც, ბედნიერება მქონდა შევხვედროდი დიდ ივანე ჯავახიშვილს არა მხოლოდ ლექციებზე, აუდიტორიაში, არამედ რედაქციაში და ზოგჯერ შინაც.

ეს სახელოვანი მეცნიერი, მაღალი მადგომარეობისა და სახელის მქონე მოღვაწე, უაღრესად თავმდაბალი, თავაზიანი, ჰუმანური და დიდად ყურადღებიანი იყო საერთოდ, ყველას მიმართ, თვით რიგითი თანამშრომლებისა და სტუდენტების მიმართაც კი. ეს დიდი მკვლევარი და მოქალაქე შეუწელებელი გულისყურით ეკიდებოდა უნივერსიტეტის სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერული კადრების მომზადებასა და აღზრდას, ყოველთვის მზად იყო წახეხალისებინა ისინი, ხელი შეეწყოს სიტყვით თუ საქმით. ამავე დროს უყურადღებოდ არ დარჩებოდა მისდამი გაწეული უმცირესი სამსახურიც კი. ადვილი წარმოსადგენია ჩემთვის, სტუდენტისათვის, რა დიდი სიხარულის მომნიჭებელი უნდა ყოფილიყო, რომ ივანე ჯავახიშვილი თავისი შრომის „საფას-საზომთამცოდნეობა, ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგიის“ ტფილისი, 1928 წ. წინასიტყვაობაში მაღლობა გადამიხადა კორექტურის გასწორებისათვის. ანდა როგორ უნდა წავეხალისებინე ბატონ ივანესაგან საჩუქრად მიღებულ და მისი ავტოგრაფით დამშვენებულ წიგნებს: „ქართული სამართლის ისტორიას“ „ქართველი ერის ისტორიას“, „საქართველოს ეკონომიურ ისტორიას“... სტამბოლის უნივერსიტეტში ორწლიანი მივლინებიდან დაბრუნებისთანავე, 1929 წლის დასასრულს, ჩვენმა უნივერსიტეტმა კვლავ მიმავლინა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ახლადდაარსებულ ასპირანტურის ინსტიტუტში. ლენინგრადში ჩასვლის წელსვე (1930) მიმიწვიეს ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში თურქული ენის

ლექტორად. ამ სამსახურს საკმაოდ დიდხანს შევრჩი, შეთავსებით ვმუშაობდი კიდევ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და აზროვნების ინსტიტუტში და 1936 წლის ბოლომდე თბილისში არ დავბრუნებულვარ. ხოლო 1936 წელს ლენინგრადში დაიბეჭდა ჩემი პირველი მეცნიერული ნაშრომი, ეს ნაშრომი გამოფუგზავნე ჩემს თბილისელ მასწავლებლებს, მათ შორის ბატონ ივანესაც. მისგან მალე მივიღე საპასუხო წერილი, რომელსაც აქვე ვურთავ.

„1936-19-X. ტფილისს, კალინინის ქ., 66.

დიდად პატივცემულო ბატონო სერგი, მივიღე თქვენი საინტერესო ნაშრომი, რომელიც სიამოვნებით გადავიკითხე. მოხარული ვარ, რომ თურქეთამცოდნეობის იმ ასპარეზს ეხება, რომელიც ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია. იმედი მაქვს რომ ეს ამ ასპარეზზე მუშაობის მხოლოდ დასაწყისი იქნება და ამას ბევრი სხვაც მოჰყვება. უფრო მოხარული ვიქნები, როდესაც თქვენ სამშობლოს დაუბრუნდებით, სადაც ბევრი რამეა გასაკეთებელი, რომელიც მეცნიერებისათვისაც მნიშვნელოვანი იქნება და ქართველთამცოდნეობისათვის ხომ აუცილებლად არის საჭირო. თქვენი მისამართი არ ვიცი და ამიტომ ამ წერილს დაწესებულების მისამართით გიგზავნით.

თქვენი პატივისმცემელი ივ. ჯავახიშვილი”.

ამ წერილიდან, გარდა დიდი მეცნიერის მაღალბუნებოვანებისა, ჩანს მისი ზრუნვა ახალგაზრდა მეცნიერებზე, ზრუნვა ქართულ უნივერსიტეტსა და, საერთოდ, ქართულ მეცნიერებაზე.

შემიძლია ვთქვა: უთუოდ ამ წერილის გამოც იყო, რომ ამავე 1936 წლის ბოლოს დავუბრუნდი ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტს.

## ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 85 წლისთავზე

გასული საუკუნის დასაწყისში საქართველოს ისტორიის განსაკუთრებულ მოვლენად გვევლინება ეროვნული უნივერსიტეტის დაარსება. უნივერსიტეტის წიაღი გამორჩეულად ნაყოფიერი აღმოჩნდა, ზოგადად, ქართული მეცნიერული აზრის გაღვივებისა და წინსვლისათვის და, უფრო კონკრეტულად, ეროვნული სამეცნიერო სკოლების ჩასახვისა და სწრაფი განვითარებისათვის მეცნიერული კვლევის არსებითად ყველა მიმართულებით. ქართულმა უნივერსიტეტმა, უპირველესად, შემოიკრიბა მსოფლიოს მოწინავე საგანმანათლებლო-სამეცნიერო ცენტრებში აღზრდილი თუ მოღვაწე ცალკეული მეცნიერი მამულიშვილები, შემდგომ კი, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ეროვნული საუნივერსიტეტო იდეის ხორცშესასხმელად ჩამოყალიბებული სასწავლო სისტემა მეტად სასარგებლო ნიადაგი აღმოჩნდა ცალკეული სამეცნიერო დარგების და, მათ შორის, ქართველოლოგიური დისციპლინების უსწრაფესი განვითარებისათვის. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ეროვნული უნივერსიტეტის არსებობის ორი ათწლეულის ფარგლებში თავად უნივერსიტეტის წიაღში უკვე წარმოიქმნება ქართველოლოგიური მიმართულების პირველი სამეცნიერო ინსტიტუტები - ელხი (ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი) (1933) და შემდგომ - საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ბაზაზე - ენიმკი (ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი) (1936).

ამდენად, 30-იანი წლების დასაწყისშივე სრულიად აშკარაა, რომ, რამდენადაც საუნივერსიტეტო ჩარჩოები უკვე აღარ ჰყოფნის სამეცნიერო დარგების განვითარების ტემპებსა და მასშტაბებს, დღის წესრიგში დგება იდეა ეროვნული მეცნიერების ორგანიზაციის უფრო ოპტიმალური - აკადემიური სისტემის დაფუძნებისა. საბჭოთა იმპერიულმა ცენტრმა სცადა ქართველთა ეს მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა საკავშირო აკადემიის რესპუბლიკური ფილიალის შექმნით (1933), მაგრამ პირველმავე მცდელობამ აშკარა გახადა, რომ ეს ჩარჩოები საკმარისი არ იქნებოდა ეროვნული მეცნიერების დიდი პერსპექტივებისათვის. ამიტომაც მეორე მსოფლიო ომის დაწყებამაც ვეღარ შეუშალა ხელი იმას, რომ შემდგარიყო

ჩვენი ქვეყნის აღმასვლის კიდევ ერთი გამორჩეული მოვლენა - 1941 წელს დაფუძნებულიყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.

ეროვნული უნივერსიტეტის სრულფასოვანი განვითარების იდეა უპირველესად გულისხმობდა მრავალსაუკუნოვანი ქართული სიტყვიერი კულტურის, ქართული ენისა და ლიტერატურის გენეზისისა და განვითარების კანონზომიერებათა, მათი ადგილის ობიექტურ წარმოჩენას საკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის ისტორიულ რუკაზე.

**ენის ისტორია და თეორია. შედარებითი და სტრუქტურული ენათმეცნიერება. ტიპოლოგია. ქართველური ენები. ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფია**

ამდენად, ქართული ეროვნული ენის სტრუქტურისა და ისტორიის, ერთი მხრივ, ქართული სამწიგნობრო ენის, ხოლო მეორე მხრივ - ქართველურ ენათა და მათი ცოცხალი კილოების სწავლებისა და კვლევის ამოცანები იმთავითვე ერთ-ერთ ცენტრალურ მიმართულებად დაისახა. ამავე დროს, ივ. ჯავახიშვილისა და მის თანამოსაგრეთა მიერ ქართული უნივერსიტეტის მამოძრავებელ იდეად განისაზღვრა ქართული ენისა და კულტურის ისტორიული კავშირების ძიება ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებთან და ერებთან, ანტიკურ სამყაროსთან, მეზობელსა თუ ისტორიულად დაკავშირებულ სახელმწიფოებსა და ხალხებთან, განსაკუთრებით, კავკასიის ეთნოსებთან ისტორიული ურთიერთობებისა და ენობრივი ურთიერთმიმართების გაღრმავებული კვლევა. სწორედ უნივერსიტეტში დაედოსათავება შემდგომ აკადემიური სისტემის ინსტიტუტების სახით გაგრძელდა ფუნდამენტური კვლევები არა მხოლოდ ქართველური ენებისა და დიალექტებისა, არამედ მთის კავკასიური ენობრივი სამყაროს, უძველესი ხეთურისა და შუმერულის, ძველი ბერძნულისა და ბიზანტიურის, სემიტური ენების, სპარსული ენისა და კულტურის, კავკასიის ალბანეთისა და სომხეთის მწიგნობრული მემკვიდრეობისა. სწორედ უნივერსიტეტის ენათმეცნიერული მიმართულების განსაკუთრებულ წარმატებას წარმოაჩენს ის სურათი, რომლის თანახმადაც მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელთაგან სამი წევრი ამ დროისათვის უკვე საყოველთაოდ ცნობილი ენათმეცნიერია - გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე და არნოლდ ჩიქობავა.

გიორგი ახვლედიანმა საფუძველი ჩაუყარა ზოგადსა და ქართულ-ქართველურ ფონეტიკას („ზოგადი ფონეტიკის საფუძველები“, 1949), თეორიული ენათმეცნიერების პრობლემებისა და შესაბამისი ტერმინოლოგიის დამკვიდრებას საქართველოში; მანვე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ინდო-ირანული ენებისა და კულტურების კვლევაში, განსაკუთრებული ამაგი დასდო ოსური ენის შესწავლისა და სწავლების საქმეს...

აკაკი შანიძემ ფართოდ მოიცვა ის პრობლემატიკა, რაც ფილოლოგიური კვლევების აკადემიური დონის შექმნას უკავშირდებოდა სა-

ქართველოში. მან შექმნა ქართული გრამატიკის თეორია და პირველი აკადემიური გრამატიკა ქართული ენის ურთულესი სისტემისა და სტრუქტურისათვის („ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“, 1953), განსაკუთრებული ღვაწლი დასდო ძველი ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის შესწავლას (ძველი ქართული ენის გრამატიკა“, 1976), მან უდიდესი წვლილი შეიტანა სვანური ენის მასალების შეკრებასა და კვლევაში, საფუძველი დაუდო ქართულ-ქართველური ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის აკადემიურ განვითარებას, შექმნა მყარი ფუნდამენტი მდიდარი ქართული მწიგნობრული მემკვიდრეობის მეცნიერული ტექსტოლოგიისა და აკადემიური გამოცემებისათვის, დასახა საწყისები სემიტიური ენების შესწავლა-სწავლებისათვის, მკვიდრი საუნივერსიტეტო საფუძველი დაუდო ალბანოლოგიურსა და არმენოლოგიურ კვლევებს...

არნოლდ ჩიქობავამ მკვიდრ მეცნიერულ საფუძველზე დააფუძნა ქართველური ენების ისტორიულ-შედარებითი კვლევა, შექმნა პირველი შედარებითი ლექსიკონი ამ ენებისათვის (ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“, 1938) და ჩამოაყალიბა თეორია ქართველური ენობრივი საწყისების ბუნებისა და განვითარების კანონზომიერებების შესახებ (სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“, 1942), მან შექმნა სრული ზოგადენათმეცნიერული თეორია და მისი სახელმძღვანელოებით გასული საუკუნის ათწლეულებში ლინგვისტურ მოძღვრებას ეუფლებოდნენ არა მხოლოდ საქართველოს, არამედ იმდროინდელი საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში. მან მწყობრი ლინგვისტური ხედვით დაძლია ე.წ. მარიზმის მცდარი თეორიული წანამძღვრები და ამით განაპირობა „საბჭოთა“ ენათმეცნიერების დაბრუნება ევროპული ენათმეცნიერების განვითარების კალაპოტში (თ. გამყრელიძე). არნ. ჩიქობავამ მიიღო ივ. ჯავახიშვილის იდეური მემკვიდრეობა და ჩამოაყალიბა იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიული ნათესაობის თეორია, შექმნა ფუნდამენტური სახელმძღვანელო წიგნები ამ მიმართულებით („იბერიულ კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“, 1979). თბილისის კავკასიოლოგიური სკოლა არა მხოლოდ საკავშირო მასშტაბით, არამედ მსოფლიოში ყველაზე აღიარებული ცენტრი გახდა. არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით შეიქმნა ქართველოლოგიის ერთ-ერთი ფუნდამენტი - რვატომეული „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ (1950-1964).

ქართული აკადემიური მეცნიერების ამ ფუძემდებელთა მასშტაბური მოღვაწეობის წარმოდგენილი ზოგადი შტრიხებითაც თვალსაჩინოა იმ პრობლემათა მრავალმხრივობა, რისი დაძლიევაც ქართველოლოგიის პირვემკვალავთ უწევდათ. პირველ რიგში, აღნიშნული დროისათვის წარმოჩენილ მიმართულებათაგან უმეტესი რამ ახლად დაწყებასა და ჩამორჩენის ოპერატიულ ანაზღაურებას მოითხოვს. ეს იგრძნობა როგორც ისტორიული, ისე სტრუქტურული კვლევების თვალსაზრისით.

მაგალითად, ენათმეცნიერების ძირითად მიმდინარეობათაგან, მონათესავე ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ევროპული პრაქტიკა აკადემიის დაარსების დროისათვის უკვე საუკუნის ისტორიისაა და წამყვან ენებს ფრიად ფასეული შედეგებიც ამ თვალსაზრისით უკვე „დალაგებული“ აქვთ და ამ სანათესაო რუკაზე ჩვენი ენების ადგილი ფრიად ეფემერულია. შესაბამისად, ჩვენი მეცნიერების წინაშე დგას სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანა - ქართველი ერის ენობრივ მემკვიდრეობას დაუმკვიდრონ კუთვნილი ადგილ მსოფლიო ენათა „მზის ქვეშ“. ამავე დროს, ამ დროისათვის არანაკლებ აქტუალურია სტრუქტურალიზმის აუცილებელი მოთხოვნები - ენათა სისტემისა და სტრუქტურის სრული დესკრიფციული ასახვა და შინაგანი ენობრივი კანონების დადგენა. ასევე დღის წესრიგში დგება არა მხოლოდ მონათესავე ენათა შედარება ისტორიის დადგენის მიზნით, არამედ ნებისმიერი ორი (თუ მეტი) ენის ტიპოლოგიური შედარება, ენობრივი უნივერსალიებისა თუ უნიკალიების დადგენა. ამიტომაც არის, რომ ქართული ენათმეცნიერების „პროტაგონისტები“ თავიანთ მეცნიერულ შესაძლებლობებს წარმატებით წარმოაჩენენ არა მხოლოდ დარგობრივად, არამედ მეთოდოლოგიურადაც სრულიად განსხვავებული სხვადასხვა მიმართულებით.

მაგალითად, აკაკი შანიძე ფუძემდებლურ აღწერით გრამატიკებს ქმნის ახალი ქართული ენისა და ძველი ქართულისათვის, აყალიბებს ქართული გრამატიკის თეორიას, რის გამოც მას ადრეულ სტრუქტურალისტად წარმოაჩენენ ახალი თაობის გამოჩენილი ლინგვისტები (გივი მაჭავარიანი და თამაზ გამყრელიძე). ამავე დროს, ა. შანიძე თავის მოღვაწეობაში განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ქართული ენის ისტორიის კვლევას და არაერთ მნიშვნელოვან ნაშრომს ქმნის ქართველურ ენათა ისტორიის გასააზრებლად.

არნოლდ ჩიქობავას ადრეული ლინგვისტური ნაშრომები წმინდად დესკრიფციული ხასიათისაა (მაგ., „ვინის რეფლექსები ფერეიდნულში“, „გრძელი ხმოვნები მთიულურში“...); განსაკუთრებით ეს ითქმის მის პირველ მონოგრაფიაზე - „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ (1928), რომელიც სრულყოფილი სტრუქტურულ-აღწერითი ანალიზის უადრესი ნიმუშია და იგი ქრონოლოგიური თვალსაზრისით წინ უსწრებს ლ. ტენიერის საყოველთაოდ ცნობილ „სტრუქტურულ სინტაქსს“. ასევე, ენის აღწერით ამოცანებს უპასუხებს მეცნიერის მოღვაწეობის შედეგები თეორიული ენათმეცნიერებისა, მთის კავკასიური ენების აღწერისა და ლექსიკოლოგიურ-ლექსიკოგრაფიული მიმართულებით. ამავე დროს, არნ. ჩიქობავას უდიდესი ძალისხმევა, ძირითადი მონოგრაფიული კვლევები მიმართული იყო ქართველური ენებისა და, უფრო ფართოდ, იბერიულ-კავკასიური ენობრივი სამყაროს ისტორიულ-შედარებითი კვლევის, ანუ კავკასიის აბორიგენ ენათა ისტორიული ადგილის განსაზღვრისათვის მსოფლიოს ლინგვისტურ რუკაზე. და მან ამ ასპარეზზე არაერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა.

ქართველ მეცნიერთა სასარგებლოდ ისიც უნდა ითქვას, რომ მათ შემდგომ, არასახარბიელო იდეოლოგიური პირობების მიუხედავად, წმინდად დაეცვათ მეცნიერული პრინციპები და არ დაქვემდებარებოდნენ პოლიტიკურ კონიუნქტურას.

უწინარესად სწორედ ლინგვისტურ მიმართულებათა ფუძემდებელ მეცნიერთა აღნიშნულმა თეორიულმა მომზადებამ და მრავალმხრივობამ განაპირობა ის, რომ მათს თეორიულ ბაზისზე აღმოცენებული სამეცნიეროსკოლები, მათი კოლეგების, მოწაფეებისა და მოწაფეთა მოწაფეების სახით, ნაყოფიერად წარმოაჩინდა ყველა იმ ძირითად მიმართულებას, რაც მათი მასშტაბური მოღვაწეობის შედეგად დაისახა.

ამ ვითარების გათვალისწინებით, მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში სხვადასხვა ეტაპზე შეიქმნა დამოუკიდებელი სამეცნიერო ერთეულები (ინსტიტუტებისა და სპეციალობების სახით), რომლებიც უპასუხებდნენ ზოგადფილოლოგიური და ენათმეცნიერული კვლევების თანადროულ ამოცანებს ყველა დასახული მიმართულებით, კერძოდ:

ენათმეცნიერების ინსტიტუტი, რომელიც ითავსებდა ქართული ენის ისტორიისა და სტრუქტურის კვლევას, ქართველური ენების აღწერისა და ისტორიულ-შედარებით შესწავლას, ძირეული კავკასიური ენების ყოველმხრივ კვლევას, ქართულ-ქართველური ლექსიკის აღნუსხვა-შესწავლას, ტერმინოლოგიისა და სალიტერატურო ენის ნორმათა მოწესრიგებას, თეორიულ კვლევებს ქართველური და იბერიულ-კავკასიური ენობრივი სამყაროს თავისებურებათა გათვალისწინებით.

ხელნაწერთა ინსტიტუტი, რომელსაც დაეკისრა მდიდარი ქართული წერილობითი წყაროების მოვლა-პატრონობა, მათი სრული კოდიკოლოგიური, ტექსტოლოგიური და ენობრივი შესწავლა.

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, რომელსაც ეკისრებოდა ორიენტალისტური კვლევების წარმართვა ისტორიის, ლიტერატურათმცოდნეობისა და ენათმეცნიერების მიმართულებებით.

აქვე უნდა ითქვას უფრო ლოკალური სტრუქტურების შესახებ, რომლებიც სხვადასხვა დროს შეიქმნა აკადემიის წიაღში; მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც გასული საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისში შეიქმნა იმდროინდელი რუსთაველის 800 წლისთავისათვის საიუბილეო მზადების ნიშნით და შემდეგ ჩამოყალიბდა როგორც მნიშვნელოვანი ინსტიტუტი რუსთაველისა და მისი ეპოქის დიდი კულტურული მემკვიდრეობის შესასწავლად (დღეს ეს სტრუქტურა აკადემიის სისტემაში ფუნქციონირებს „რუსთაველის კომიტეტის“ სახელით).

აკადემიის ამ სამეცნიერო სტრუქტურების მუშაობის მასშტაბურ შედეგებზე შეჩერება შორსმიმავალი თემაა, მაგრამ აუცილებელია დავასახელოთ ის მეცნიერები, რომლებიც სხვადასხვა დროს ლინგვისტური პროფილით იქნენ არჩეული მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში, როგორც გამორჩეული წარმომადგენლები ინსტიტუტებში შედეგიანად

წარმართული სამეცნიერო მიმართულებებისა და მათი შედეგებისა. კერძოდ, მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების ნამდვილი წევრები იყვნენ: ვ. თოფურია, გ. წერეთელი, შ. ძიძიგური, ქ. ლომთათიძე, ს. ჯიქია, მ. ანდრონიკაშვილი, თ. გამყრელიძე, გ. კვარაცხელია. წევრ-კორესპონდენტები: ილ. აბულაძე, ივ. გიგინეიშვილი, კ. დონდუა, თ. შარაძენიძე, გ. თოფურია, ი. მელიქიშვილი, ზ. სარჯველაძე, ბ. ჯორბენაძე. დღეს განყოფილების საენათმეცნიერო მიმართულებას წარმოადგენენ აკად. მზ. შანიძე, აკად. ა. არაბული და წევრ-კორ. ვ. შენგელია.

შესაბამისად, აკადემიის ერთიან სამეცნიერო სისტემაში განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა პრიორიტეტული ენათმეცნიერული მიმართულებები: ქართველურ ენათა სტრუქტურა და ისტორია (ვ. თოფურია, კ. დონდუა, თ. გამყრელიძე...), ენათმეცნიერების თეორიული პრობლემები (თ. გამყრელიძე, თ. შარაძენიძე, ი. მელიქიშვილი...), ქართული ენის ისტორიული განვითარებისა, სისტემური ანალიზისა და ფუნქციონირების ფართო სპექტრი (შ. ძიძიგური, ზ. სარჯველაძე, გ. კვარაცხელია, ბ. ჯორბენაძე...), ქართული დამწერლობისა და მწიგნობრული მემკვიდრეობის აღწერისა და ანალიზის ამოცანები, პალეოგრაფია, ტექტოლოგია და კოდიკოლოგია (გ. წერეთელი, თ. გამყრელიძე, ილ. აბულაძე, მზ. შანიძე, ზ. სარჯველაძე...), აღმოსავლური ენები და მათი ისტორიული ანაბეჭდები ქართულ ენასა და კულტურაში (გ. წერეთელი, მ. ანდრონიკაშვილი...), მთის კავკასიური ენების სტრუქტურისა და შედარებითი გრამატიკის საკითხები (ვ. თოფურია, ქ. ლომთათიძე, გ. თოფურია, ვ. შენგელია...), ცალკე უზნად გამოიყოფა რუსთველოლოგიური მიმართულების ტექტოლოგიური და ენობრივი კვლევები (გ. წერეთელი, ივ. გიგინეიშვილი...).

მეცნიერებათა აკადემიის წიაღში, კერძოდ, ენათმეცნიერების ინსტიტუტში შეიძინა მნიშვნელოვანი მასშტაბი იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის თეორიამ. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება არის მეცნიერული თეორია ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემისა და ისტორიის შესახებ. კვლევის ობიექტია ოთხი (ქართველური, აფხაზურ-ჩერქეზული, ნახური, დაღესტნური) ჯგუფის ენათა ფონოლოგიური სისტემა, გრამატიკული სტრუქტურა და ლექსიკა როგორც აღწერთი, ისე ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით. ამასთან, ყურადღების საგანია გარენათესაობის პრობლემებიც, კერძოდ, ბასკურ ენასა და ძველი აღმოსავლეთის მკვდარ ენებთან ურთიერთობის კვლევა.

1946 წლიდან გამოდის პერიოდული ორგანო „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“. გამოიცა ასობით მონოგრაფია და კრებული. 1965 წლიდან ქართველ მეცნიერთა ხელმძღვანელობით კავკასიის სხვადასხვა ქალაქში იმართებოდა იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემისა და ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სე-

სიები (ჩატარდა 12 სესია). ამ სესიათა გაგრძელებაა ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც ტარდება სამ წელიწადში ერთხელ (2024 წელს გაიმართა VII სიმპოზიუმი). აკადემიის ეგიდით დაარსდა საკავშირო მნიშვნელობის ყოველწლიური ორგანო - „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადული“ (1974-1994).

ამჟამად მთის იბერიულ-კავკასიურ ენებს საქართველოში იკვლევენ სპეციალისტები არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტსა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტში.

ქართული ენათმეცნიერების განვითარებამ ახალ სიმაღლეს მიაღწია გასული საუკუნის 60-ანი წლებისათვის, როდესაც ასპარეზზე გამოვიდა ლინგვისტთა ახალი თაობა (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი...). მათ დაამკვიდრეს სტრუქტურალიზმის ზუსტი ანალიზის პრინციპები და მეთოდოლოგია, ფონოლოგიური გადაწერის წესები და ფონემათა კომბინატორიკის კანონზომიერებანი. რაც მთავარია, მათ მეცნიერებას შესთავაზეს ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევისა და სტრუქტურალისტური მეთოდების ოპტიმალური სინთეზი და შექმნეს ახალი თეორია ქართველურ ენათა სტრუქტურული ბუნებისა და ისტორიული განვითარების კანონზომიერებათა შესახებ („სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“, 1965). თამაზ გამყრელიძემ (აკადემიის წევრი 1974 წლიდან) საერთაშორისო მასშტაბები დაუშკვიდრა სახელოვან ქართულ საენათმეცნიერო სკოლას, მან ოპტიმალური ინტეგრირება შეძლო უახლესი ლინგვისტური იდეებისა და სამამულო ენათმეცნიერების მიღწევებისა და ამით მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია ქართველური ენების მდიდარი მონაცემების ჩართვას საერთაშორისო სამეცნიერო მიმოქცევაში, სრულიად ახალი თეორია შესთავაზა ევროპულ ენათმეცნიერებას ინდოევროპული ენების პირვანდელი ფონოლოგიური სისტემისა და განვითარების ბუნების შესახებ (ე.წ. „გლოტალური თეორია“ და ვ. ივანოვის თანაავტორობით შექმნილი 2-ტომეული მონოგრაფია „ინდოევროპული ენები და ინდოევროპელები“, 1984). აკად. თ. გამყრელიძის ფიგურა გამოკვეთილად იკავებდა ადგილს გასული საუკუნის მეორე ნახევრისა და ამ საუკუნის დასაწყისის მსოფლიო ლინგვისტური საზოგადოების ავანგარდში და ხშირად სწორედ მისი ხედვა განსაზღვრავდა ახალი სამეცნიერო იდეების მიმართულებას თანამედროვე ლინგვისტიკის სფეროში. იგი იყო ლინგვისტურ სიახლეთა აქტიური დამამკვიდრებელი და მხარდამჭერი და მისი ნაშრომები საიმედო ფუნდამენტად ევლინებოდა ამ ახალ კვლევით ინიციატივებს დესკრიფციულსა და შედარებით ენათმეცნიერებაში, მათემატიკურ ლინგვისტიკასა და ტიპოლოგიაში, ენის ფილოსოფიასა და ლინგვოკულტუროლოგიაში... მეცნიერების განვითარების ახალ ეტაპზე ასევე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა

აღმოსავლური ანბანური დამწერლობების წარმომავლობისა და ისტორიის კვლევის მიმართულებით (თ. გამყრელიძე, ზ. ალექსიძე...).

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება დღეს არსებული შემადგენლობით ძირითადად ინარჩუნებს რამდენიმე ენათმეცნიერულ მიმართულებას, რომელთა განხორციელება აკადემიური მეცნიერების აუცილებელ ტრადიციად ჩამოყალიბდა; სახელდობრ:

აკად. მზექალა შანიძე (აკად. წევრი 2013 წლიდან) კვლავაც მუშაობს ქართული ბიბლიური წიგნების პირველწყაროებთან მიმართებისა და უძველესი ხელნაწერების ტექტოლოგიისა და ენობრივ თავისებურებათა პრობლემებზე. ქართული ბიბლიოლოგიისა და ენის ისტორიის სფეროში საეტაპო მნიშვნელობისაა მისი ნაშრომების ბოლოდროინდელი სოლიდური კრებული - „სამეცნიერო სტატიები“, რომელიც 2021 წელს გამოიცა.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვაჟა შენგელია (წევრ-კორ. 2009 წ.) არის იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელი, კავკასიური ენების თავისებურებათა საყოველთაოდ აღიარებული ექსპერტი, აფხაზურ-ადიღური ენების, კერძოდ, ჩერქეზულის შესანიშნავი მცოდნე. იგი დღესაც აქტიურად იკვლევს ამ ენათა სტრუქტურულ აგებულებასა და ისტორიას. მან დიდი ამაგი დასდო არნ. ჩიქობავას მეცნიერული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობას, კერძოდ, დაასრულა დიდი მეცნიერის შრომების შედგენა-გამოცემა.

აკად. ავთანდილ არაბულის (წევრი 2015 წლიდან, წევრ-კორ. 2009 წ.) კვლევები შეეხება ქართული და ქართველური ენების სტრუქტურისა და ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებს. მან ჩამოაყალიბა ქართველურ ენათა უძველეს ძირ-ფუძეთა ფორმირების ახალი, განსხვავებული თვალსაზრისი (ჩიქობავასა და გამყრელიძე-მაჭავარიანის თეორიებთან მიმართებით), მიიჩნია რა, რომსაწყისი საერთო ძირი ზმნური შინაარსისაა და ის პირველ ეტაპზე მონომორფემულია, ალტერნაციის ლექსიკური პოტენციით („ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში“, 2001). ა. არაბული აქტიურად იკვლევს ძველი და ახალი ქართულის გრამატიკულ აგებულებას, დიალექტოლოგიის საკითხებს. იგი ხელმძღვანელობს ლექსიკოგრაფიულ სამუშაოებს ენათმეცნიერების ინსტიტუტში, კერძოდ, მთავარი რედაქტორია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალი რედაქციისა, რომელიც ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკის სრულ განახლებას გულისხმობს და რომლის ოთხი ტომი უკვე გამოიცა. მისივე ხელმძღვანელობით დამუშავდა განმარტებითი ლექსიკონის სრული ელექტრონული ვერსია. ა. არაბული აქტიურად მუშაობს ქართული სახელმწიფო ენის საკანონმდებლო უზრუნველყოფის, ნორმალიზაციისა და სწავლების საკითხებზე. მნიშვნელოვან თეორიულ სიახლეებს შეიცავს მისი უახლესი მონოგრაფია აკადემიის უცხოელი წევრის, პროფ. ვ.

ბოედერის თანაავტორობით - „სინტაქსურ კოორდინაციასა და ზმნურ სიტყვაწარმოებას შორის“ (2023). სრულიად ახალ მიმართულებას წარმოადგენს ის სამუშაოები, რომლებიც მეცნიერებათა აკადემიის „რუსთაველის კომიტეტში“ მიმდინარეობს და რომლის წამყვან თემას, აკად. თ. გამყრელიძის იდეით, წარმოადგენს „ქართული ენის თესაურუსი“ და რომელსაც ა. არაბული ხელმძღვანელობს. ამ მიმართულებით უკვე დამუშავდა ძველი ქართული წერილობითი წყაროების მნიშვნელოვანი ნაწილი; მაგრამ ამ პროექტის მთავარი თავისებურება ის არის, რომ იგი სრულად უპასუხებს ქართული სახელმწიფო ენის წინაშე მდგარ უახლეს გამოწვევებს. კერძოდ, კაცობრიობის განვითარების უახლეს ეტაპზე ტექსტური ციფრული ბაზების შექმნა და ენობრივ მონაცემთა პროგრამული დამუშავება ყველაზე აქტუალური ამოცანაა.

2024 წლის ბოლოს განყოფილების სტიპენდიატის ვაკანსიაზე არჩეულ იქნა ახალგაზრდა ენათმეცნიერი, პროფ. ზურაბ ბარათაშვილი. მან თამაზ გამყრელიძის ხელმძღვანელობით შეასრულა სადოქტორო ნაშრომი შუმერული ენის სტრუქტურის შესახებ. იგი ხანგრძლივად იკვლევდა ავსტრალიის აბორიგენ ენებს და ეზიარა თანამედროვე ლინგვისტური კვლევების უახლეს გამოცდილებებს. ზ. ბარათაშვილი აქტიურად არის ჩართული „რუსთაველის კომიტეტის“ „თესაურუსის“ სამუშაოებში.

**ლიტერატურის თეორია. ლიტერატურის ისტორია.**

**ლიტერატურული ურთიერთობები**

მეცნიერებათა აკადემიამ ეროვნული უნივერსიტეტისაგან ასევე მნიშვნელოვან მემკვიდრეობად მიიღო ის სამეცნიერო ამოცანები, რომლებიც უკავშირდებოდა ქართული მწიგნობრობის, ქართული სიტყვიერი ხელოვნების მრავალსაუკუნოვან განვითარებას, დაწყებული ზეპირსიტყვიერი შემოქმედებიდან და გაგრძელებული ქართული სასულიერო მწერლობისა და საერო ლიტერატურის განვითარების მეტად ნაყოფიერი ისტორიული ეტაპებით. ამ პროცესში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ძველ ქართულ მწერლობას, რომლის სრულყოფილი ძეგლები ქრისტიანული კულტურის პირველივე საუკუნეებიდან ფიქსირდება. ამ მემკვიდრეობის კვლევაში ფუძემდებლური მნიშვნელობისაა აკადემიის კიდევ ერთი დამფუძნებლის, აკადემიკოს კორნელი კეკელიძის წვლილი, რომელიც შემდგომ ღირსეულად გააგრძელეს და გააღრმავეს დიდი მეცნიერის მოწაფეებმა და მოწაფეთა მოწაფეებმა. აკადემიის ერთიან სისტემაში, ზემოდასახელებულ ინსტიტუტებთან ერთად, ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი განვითარების სრულფასოვანი შესწავლის ფუნქცია დაეკისრა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს (დაარსდა 1942 წ.). თვალი გავადევნოთ ამ მიმართულებით კვლევის ძირითად ეტაპებს.

**კორნელი კეკელიძე** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი შემადგენლობის ნამდვილი წევრი (1941 წ.); თბილისის უნივერ-

სიტეტის დამაარსებელ პროფესორთა წევრი (1918 წ.); უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის დამაარსებელი და ხელმძღვანელი; წლების მანძილზე უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი; სასწავლო-სამეცნიერო ნაწილის პრორექტორი; შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ხელმძღვანელი. კ. კეკელიძეა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მეცნიერული კურსის შემქმნელი: „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ორტომეული (პირველი გამოცემა, ტ. I, 1923 წ. ტ. II, 1924 წ.) მისი სამეცნიერო ნაშრომები გამოცემულია 14 ტომად - „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“ (1936-1986 წწ.). კ. კეკელიძის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“ ენციკლოპედიური ხასიათისაა იგი წარმოადგენს ძველი ქართული ლიტერატურის ჩვენამდე მოღწეული ყველა თხზულების და მათ შესახებ დაცული ყველა პირველწყაროს აღნუსხვას, სისტემაში მოყვანას, მეცნიერულ განზოგადებას და ქართული ლიტერატურული პროცესის წარმოჩენას. კ. კეკელიძე ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც რუსთაველის მსოფლმხედველობის კვლევა ეროვნულ აზროვნებას, ქართულ ქრისტიანობას დაუკავშირა, „ვეფხისტყაოსნის“ ბიბლიასთან მიმართების პასაჟები გამოავლინა.

კ. კეკელიძე ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც ევროპულ მედიევისტკას დაანახვა შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურის მნიშვნელობა ქრისტიანული საღვთისმეტყველო მწერლობის საწყისი ეტაპის შესასწავლად („იერუსალიმის განჩინება“, 1912წ.). მანვე აღნუსხა, გამოაქვეყნა და შეისწავლა ბერძნული ენიდან ქართულად თარგმნილი ბიზანტიური აგიოგრაფიის მთელი მემკვიდრეობა („კიმენი“ ტ. I, 1918 წ.; ტ. II, 1946 წ.). ქართულ ხელნაწერებში აღმოაჩინა, გამოაქვეყნა და შეისწავლა ბიზანტიური მწერლობის ისეთი თხზულებების ქართული თარგმანები, რომელთა ბერძნული დედნები დაკარგულია. გამოავლინა და შეისწავლა ძველ ქართველ მწერალთა ცნობები ბიზანტიური აგიოგრაფიის ერთი მიმართულების (მეტაფრასტიკის) ჩამოყალიბების ისტორიისა და თეორიის პრინციპულ საკითხებზე, რაც მნიშვნელოვანი სიახლე აღმოჩნდა მედიევისტკისათვის საზოგადოდ.

კ. კეკელიძის შრომები გერმანულად ითარგმნა და გამოქვეყნდა ევროპაში, რითაც მყარ მეცნიერულ დონეზე დადგა უცხოელ ქართველოლოგთა მოღვაწეობა: „უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“, 1930-32 წწ.; „ქართული ნათარგმნი აგიოგრაფია“, 1955 წ.; „ქართული საეკლესიო ლიტერატურის ისტორია“, 1955 (თარგმნილი და გადამუშავებული მ. თარხნიშვილისა და ი. ასფალგის მიერ).

**ალექსანდრე ბარამიძე** - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 1946 წ.; ნამდვილი წევრი, 1960 წ.; პროფესორი. 1962-70 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ხელმძღვანელი; 1966-

85 წლებში შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი. იგი კ. კეკელიძესთან ერთად ავტორია „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ერთ-ერთი გამოცემისა („ქართული ლიტერატურის ისტორია ტ. I, 1954 წ.). მისი სამეცნიერო შრომები დაბეჭდილია 9 ტომად („ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, 1945-1997 წწ.).

ა. ბარამიძის სამეცნიერო მოღვაწეობის უმთავრესი სფეროა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. მის მონოგრაფიაში „შოთა რუსთაველი“, რომელიც გადამუშავებული და შევსებული სახით სამგზის გამოიცა (1958, 1966, 1975 წწ.). ენციკლოპედიური სისრულითაა შესწავლილი რუსთაველის პოემასთან დაკავშირებული ყველა საკითხი - ისტორიული ლიტერატურული, ტექსტოლოგიური და მხატვრულ-მსოფლმხედველობითი პრობლემატიკა. მნიშვნელოვანია ა. ბარამიძის წვლილი ძველი ქართული მწერლობის თხზულებათა და საკუთრივ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისა და პუბლიკაციის საქმეში. საგანგებოდაა აღსანიშნავი მისი რედაქტორობით (ა. შანიძესთან ერთად) პოემის ხელნაწერთა ვარიანტებით გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ (1966 წ.); ასევე, საზოგადოდ, მისი რედაქტორობით ან თანარედაქტორობით გამოქვეყნებული ე.წ. აღორძინების ხანის ქართული ლიტერატურის მრავალი ძეგლი. ქართული ლიტერატურა თავისი სრული მოცულობით იყო ა. ბარამიძის მეცნიერული ინტერესის საგანი. მაგრამ მისი კვლევადიების ძირითადი სფერო მაინც ძველი ქართული საერო ლიტერატურაა, კერძოდ კი ამ პერიოდის ქართული თხზულებების სპარსულ წყაროებთან მიმართების პრობლემები. საგანგებოდაა აღსანიშნავი მისი გამოკვლევა „ამირანდარეჯანიანის“ შედგენილობის, ჟანრობრივი თავისებურებებისა და ლიტერატურული წყაროების საკითხზე; უარყოფა ნიკო მარის ვარაუდისა (მის წყაროდ „ყისაჲ-ჰამზას“ მიჩნევის თაობაზე). იგი იკვლევს ქართული „ვისრამიანის“ სპარსულ „ვის-ო-რამინთან“ მიმართებისა და ჟანრობრივი თავისებურებების საკითხს. აგრძელებს ნ. მარისა და კ. კეკელიძის კვლევებს „აბდულმესიანის“ ქების ობიექტების თაობაზე, განსაზღვრავს თხზულების ჟანრობრივ რაობას და მიმართებას თამარის ეპოქის სახელმწიფოებრივ პრობლემატიკასთან. თვალსაჩინოა ა. ბარამიძის ნარკვევები ე.წ. აღორძინების ხანის ქართული საერო მწერლობის თხზულებათა მრავალმხრივი და ბუნდოვანი საკითხების კვლევაში; კერძოდ, „შაჰ-ნამეს“ და „ქილილასა და დამანას“ ქართული ვერსიების, ასევე სულხან-საბას „სიბრძნე-სიცრუისას“ შექმნის ქრონოლოგიისა და აღმოსავლურ ლიტერატურაში პოპულარულ იგავ-არაკთა კრებულებთან მიმართების შესახებ.

**ელენე მეტრეველი** - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 1974 წ.; ნამდვილი წევრი, 1983 წ.; პროფესორი. 1968-88 წლებში იყო ხელნაწერთა ინსტიტუტის („საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი“) დირექტორი. ე. მეტრეველი იყო არქეო-

გრაფი, კოდიკოლოგი, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების ცნობილი მკვლევარი. მისი ხელმძღვანელობითა და თანამონაწილეობით ხდებოდა ქართულ ხელნაწერთა კოლექციების აღწერა და „აღწერილობათა“ მრავალი ტომის გამოცემა. კერძოდ, აღსანიშნავია „ქართული ირმოლოგიონის ორი ძველი რედაქცია“ (1971 წ.); „უძველესი იადგარი“ (1980 წ.). იგი იკვლევდა ქართულ საღვთისმეტყველო-ლიტერატურულ ცენტრებსა და მათში დაცულ ხელნაწერთა კოლექციებს ათონზე, იერუსალიმში, პალესტინასა და სინას მთაზე. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია მისი მონოგრაფიები: „მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისთვის XI-XIII სს.“ (1962 წ.); „ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან“ (1996 წ.); „ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი“ (1998 წ.). მნიშვნელოვანია ე. მეტრეველის დამსახურება შუა საუკუნეების ქართული კულტურისა და ლიტერატურის პრობლემატიკის ბიზანტიანოლოგთა საერთაშორისო ცენტრების კვლევის ინტერესში შეტანის საქმეში. საგანგებოდაა აღსანიშნავი კავშირები პარიზის ბიზანტიანოლოგიურ ცენტრთან. ე. მეტრეველთან თანამშრომლობით იქნა გამოცემული პარიზში „ივირონის აქტების“ ოთხი ტომი (1985-95 წწ.). ე. მეტრეველი იყო დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი სერიისა „ძველი ქართული მწერლობის ძეგლები“ და წლების მანძილზე რედაქტორი ხელნაწერთა ინსტიტუტის პერიოდული ჟურნალისა „მრავალთავი“.

**სარგის ცაიშვილი** - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 1983 წ.; პროფესორი. 1988-92 წლებში იყო შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი; 1964 წლიდან „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი (თავმჯდომარის მოადგილე, მეცნიერ-დირექტორი). იყო დამაარსებელი და რედაქტორი ჟურნალისა „ლიტერატურა და ხელოვნება“. ს. ცაიშვილი არის გამოკვლევებისა და ლიტერატურული ესეების ავტორი ქართული ლიტერატურის ისტორიის ცნობილ ავტორებზე, დაწყებული შუა საუკუნეებიდან (იაკობ ხუცესი, დავით გურამიშვილი...) თანამედროვე ეპოქის ჩათვლით (გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია...). ძირითადი სფერო მისი მეცნიერული კვლევებისა ძველი ქართული საერო ლიტერატურაა („შოთა რუსთაველი - დავით გურამიშვილი“, 1974 წ.); უპირატესად კი - რუსთაველის „ვეფხისტყაოსანია“. საგანგებო აღნიშვნას მოითხოვს მისი მონოგრაფია ორ ტომად - „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია“, 1970 წ.).

**გურამ შარაძე** - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 1997 წ.; პროფესორი. 1994 წლიდან იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისივე დაარსებული ქართული ემიგრაციის მუზეუმის დირექტორი; 1989 წლიდან - ივანე მახაბლის საზოგადოების დამფუძნებელი და თავმჯდომარე. იგი იყო ქართული ლიტერატურის ისტორიის სხვადასხვა ასპექტის მკვლევარი:

რუსთველოლოგიის ისტორიის (მონოგრაფიები: „თეიმურაზ ბაგრატიონი [...]“, სამ ტომად 1972-74 წწ.; „მიხაი ზიჩი [...]“, 1978 წ.; „ევგენი ბოლხოვიტინოვი [...]“, 1978 წ.; „პლატონ იოსელიანი [...]“, 1980 წ.; „დავით ჩუბინაშვილი [...]“, 1982 წ.; „მარი ბროსე [...]“, 1983 წ.. მან შექმნა ქართველ კლასიკოს მწერალთა ფოტომატიანეები: „ილია ჭავჭავაძე“, ორ წიგნად 1987-90 წწ.; „აკაკი წერეთელი“, ხუთ ტომად 2006-07 წწ. გ. შარაძის მეცნიერული შემოქმედების საგანგებოდ აღსანიშნავი სფერო იყო ქართული ლიტერატურისა და კულტურის კვლევა საზღვარგარეთ. მონოგრაფიები: „ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე (უორდროპები და საქართველო)“, 1984 წ.; „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, ექვს ტომად 2001-2005 წწ.

**რევაზ სირაძე** - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 2008 წ.; პროფესორი. 1996-2004 წწ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ქრისტიანული კულტურისა და სიტყვიერების ისტორიის კათედრის ხელმძღვანელი. რ. სირაძე იყო ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხების მკვლევარი (მონოგრაფია „ქართული აგიოგრაფია“, 1987 წ.; სახელმძღვანელო საჯარო სკოლებისთვის „ძველი ქართული ლიტერატურა [...]“, 2005 წ.). მისი კვლევა-ძიების სპეციფიკური აქცენტი ქართული მწერლობის ესთეტიკური, მხატვრულ-ლიტერატურული არსის გამოვლენა და ინტერპრეტირება იყო („ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან“, 1978 წ.; „სახისმეტყველება“, 2000 წ.), რაც, საზოგადოდ, ქართული ქრისტიანული კულტურისა და ლიტერატურის მონოგრაფიულ შესწავლაში გამოიკვეთა („ქართული კულტურა და ქრისტიანული მწერლობა“, 1992 წ.; „ქართული კულტურის საფუძვლები“, 2000 წ.). აღსანიშნავია რ. სირაძის ნარკვევები ქართულ-საზღვარგარეთული, კერძოდ, ქართულ-ბულგარული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებზე (ნარკვევები: „ბულგარულ-ქართულ-ბიზანტიურ ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიიდან“, „ივირონი და პეტრიწონი“). რ. სირაძე იყო ავტორი და ხელმძღვანელი მნიშვნელოვანი სამეცნიერო პროექტისა - „წმინდა ნინო“ (სამეცნიერო კრებული „წინდა ნინო“, ორ ტომად, 2008-2914 წწ.; მონოგრაფია „წმინდა ნინოს ცხოვრება და დასაწყისი ქართული აგიოგრაფიისა“, 1997 წ.). მისი სამეცნიერო ნარკვევების კრებული გამოქვეყნდა 2021 წელს - „ფიქრი, რომელიც მნიშვნელობს“.

**ელგუჯა ხინთიბიძე** - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 1997 წ.; ნამდვილი წევრი, 2013 წ.; პროფესორი. თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი (1976-1985); პრორექტორი სამეცნიერო მუშაობის დარგში (1986-1993); ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ხელმძღვანელი (2000 -); ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ს/ს ინსტიტუტის ხელმძღვანელი (2006 -); ქართველოლოგიური სკოლის ცენტრის დამაარსებელი და ხელმძღვანელი (1992 -); საერთაშორისო

ორენოვან (ქართულ-ინგლისური) ჟურნალის „ქართველოლოგის“ დამაარსებელი და რედაქტორი (1993-); საერთაშორისო გერმანულ-ენოვან ჟურნალ „გეორგიკის“ რედკოლეგიის წევრი (1978 -); ჟურნალ „ლიტერატურათმცოდნეობის“ რედაქტორი (1976-2004 წწ.). მისი ინიციატივითა და ორგანიზებით ჩატარდა 7 საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმი და გამოიცა სიმპოზიუმის მასალები (1967-2016 წწ.). მეცნიერული კვლევის ძირითადი სფეროები: 1. ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობები: ქართული „ბალავარიანიდან“ ბერძნულ-ევროპული „ვარლაამ და იოასაფის“ შექმნის დეტალების გამოვლენა: თხზულების შეტანა ევროპულ სივრცეში, ეფთვიმე ათონელის ავტორობა და შექმნის დრო („ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიისთვის“ - ქართულად, თბ. 1882 წ., რუსულად, თბ. 1989 წ., ინგლისურად, ამსტერდამი 1996 წ.). 2. რუსთველოლოგია: „ვეფხისტყაოსნის“ წყაროების გამოვლენა: ქართული პატრისტიკა, ანტიკური ფილოსოფია; ტიპოლოგიური მიმართება ევროპულ წინარე რენესანსის მსოფლმხედველობასთან; კონცეფცია „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობაზე - შუასაუკუნეობრივისა და რენესანსულის ჰარმონია („ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო“, 2009 წ.); გამოვლენა და მტკიცება: „ვეფხისტყაოსანი“ ლიტერატურული წყაროა ინგლისური დრამატურგიისა; კერძოდ, შექსპირის „ციმბერლინის“, ბომონტისა და ფლექტერის „ფილასტერის“, „მეფე და არა მეფის“ („ვეფხისტყაოსანი“ შექსპირისა და მისი თანამედროვეების ინგლისურ დრამატურგიაში“, თბ. 2016 წ.; „რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და ევროპული ლიტერატურა“, ინგლისურად, ლონდონი 2011 წ.; „შუასაუკუნეების ქართული რომანი „ვეფხისტყაოსანი“ და შექსპირის გვიანდელი პიესები“, ინგლისურად, ამსტერდამი, 2018 და 2022 წწ.). 3. წყაროთმცოდნეობა: ესპანეთის საარქივო მასალებში უცნობი დოკუმენტების მიგნება და გამოქვეყნება, კერძოდ - XV ს. ესპანელი მონარქების წერილი ქართველთა მეფისადმი, უძველესი ინფორმაცია გეორგიევსკის ტრაქტატზე ევროპაში; ძველი ქართული უცნობი ხელნაწერების და ფრაგმენტების აღმოჩენა ათონის ხელნაწერებში და ბრიტანეთის მუზეუმში; უცნობი დოკუმენტების თარგმანების გამოქვეყნება - XIII საუკუნის სირიული ჰიმნი თბილისის აოხრებაზე; ალავერდი ხანის სიტყვა შაჰ-აბას I-ის კარზე („წყაროთმცოდნეობითი ძიებანი“, თბ. 2021 წ.).

აკადემიური სამეცნიერო სისტემის ფარგლებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა ევროპულ ენებთან და კულტურასთან ჩვენი ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ურთიერთმიმართების პრობლემატიკა, ენობრივი კონტაქტების, ხელოვნების მნიშვნელოვანი მონაპოვრების თარგმნისა და ინტეგრირებული კვლევის ამოცანები. ამ მიმართულებით თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის აკად. ინესა მერაბიშვილს - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი,

2018 წ.; საქართველოს ბაირონის საზოგადოების პრეზიდენტი (1988-); ბაირონის საერთაშორისო საზოგადოების დირექტორთა საბჭოს წევრი (1991-); თბილისის ბაირონის სკოლის დამფუძნებელი და დირექტორი (1995-). მეცნიერული კვლევის ძირითადი სფეროები: ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა, თარგმანმცოდნეობა. ძირითადი მეცნიერული მიღწევები და აღმოჩენები:

1. სიტყვის მნიშვნელობაში ცნების სემანტიკური სტრუქტურის შესწავლა და განვითარება, რამაც გამოავლინა გალკტიონის პოეზიაში ტაბუდადებული შესიტყვებების შინაარსი: „გალაკტიონის ენიგმები“, თბ., 2003;

2. სიტყვის მნიშვნელობაში ენოლოგიური ხატის გამოვლენის საფუძველზე ლინგვისტური ხატის გამოყოფა და ახალი სემანტიკური სამკუთხედის დამკვიდრება: Innes Merabishvili, A Linguistic Image and a New Semantic triangle, US-China Foreign Language, David Publishing company, New York, 2017, Vol. 15, No 6.

3. ლინგვისტურ კონცეფციათა საფუძველზე თარგმანის ახალი თეორიის შექმნა: პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა, თბ., 2005; თარგმანი - კულტურათა დიალოგი, თბ., 2005; Innes Merabishvili, Towards Some Aspects of Linguistics of Poetic Translation, International Journal of Applied Linguistics and Translation, Science Publishing Group, New York, 2021, Vol. 7, no 4. ი.მერაბიშვილის თეორიის ერთ-ერთი საფუძველია სათარგმნი ტექსტის ლინგვო-სტილისტიკური ანალიზი, როგორც პირობა წარმატებული თარგმანისა, რასაც თავად იყენებს, როგორც მთარგმნელი: ლორდ ბაირონი, ლექსები და პოემები, თბ., 2013; Galaktion Tabidze, Poems, translated by Innes Merabishvili, ccc, Nottingham, 2011; Galaktion Tabidze: A Selection of His Poems in a New Parallel Translation by Innes Merabishvili, London, 2017.

4. გალაკტიონის შემოქმედებაში მერის რეალური პროტოტიპის დადგენა: გალაკტიონის მერი - პროტოტიპის ძიებაში, თბ., 2012.

5. ბაირონისა და საქართველოს საკითხის განვითარება; ბაირონის ცხოვრებაში ქართველ ქალთან შეხვედრის ეპიზოდის მიგნება და მისი ასახვის დადგენა პოეტის შემოქმედებაში: Lord Byron's Thyrza, თბ., 2007; Encounter with Lord Byron, Byron and Georgia, London, 2014; ბაირონის ცხოვრებასა და შემოქმედებაში რიცხვის სიმბოლიზმის გამოვლენა და აღწერა: Mysticism of Numbers in Lord Byron's Life and works, Buletin of the Georgian National Academy of Sciences, Vol.18, no 4, 2024.

6. რუსთველოლოგიურ პრობლემათა ახლებური განხილვა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის “მაცნე”(ენისა და ლიტერატურის სერია), 2021-2024.

#### **ანტიკური ლიტერატურა. ბიზანტინისტიკა**

ქართული სულიერი კულტურის განვითარება უძველესი დროიდანვე აღმოჩნდა დაკავშირებული ანტიკური ფილოსოფიისა და ხე-

ლოვნების მონაპოვრებთან. ამიტომაც ქართული მეცნიერული კვლევა-ძიების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად გამოიკვეთა ბერძნულ-ბიზანტიური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა და უნივერსიტეტში იმთავითვე ჩაეყარა საფუძველი კლასიკური ფილოლოგიის სკოლას, რომელმაც ფრიად ღირებული შედეგები მოგვცა.

ივანე ჯავახიშვილის მიერ დაფუძნებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გრიგოლ წერეთლისა (1870-1939) და სიმონ ყაუხჩიშვილის (აკადემიის წევრი 1969 წლიდან) მიერ შემდგომში საერთაშორისო აღიარების მქონე კლასიკური ფილოლოგიის ქართულ სკოლაში ფუნდამენტურად დამუშავდა ქართულ-ბერძნულ მრავალმხრივ ურთიერთობათა პრობლემები. ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია აკადემიკოს ს. ყაუხჩიშვილის ღვაწლი. მან პირველად 1920 წელს გამოაქვეყნა „ხრონოგრაფი გიორგი მონაზონისაი“, იოანე პეტრიწის „შრომების“ 2 ტომი (1937-40), პეტრიწონის მონასტრის „ტიპიკონის“ ბერძნული ვერსია ქართული თარგმანით (1963), მიქაელ ფსელოსის ტრაქტატები (1966). დიდია მეცნიერის დამსახურება ბერძნული ლიტერატურის შესწავლაში. ს. ყაუხჩიშვილმა პირველმა განსაზღვრა ბიზანტინიზმი, როგორც 4 საწყისის - ელინურობის, რომაულობის, აღმოსავლურობისა და ქრისტიანობის სინთეზი, გამოავლინა ბიზანტიური კულტურის ჩამოყალიბებაში აღმოსავლეთის ხალხების, მათ შორის ქართველების როლი. 1932 წ. დააარსა სერია „გეორგია“ - „ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ (ტ. 1-8, 1934-70), შეადგინა „ლათინურ-ქართული ლექსიკონი“, შეისწავლა ბერძნულ წერილობით ძეგლებში საქართველოს შესახებ დაცული ცნობები, რითაც მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ანტიკურ და ბიზანტიურ სამყაროსთან საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის შესწავლას; განახორციელა „ქართლის ცხოვრების“ აკადემიური გამოცემა; იკვლევდა ქართული ლიტერატურის, „არეოპაგტიკის“ და „ბალავარიანის“ პრობლემებს; ეწეოდა პედოგოგიურ და მთარგმნელობით საქმიანობას; შექმნა ქართული ბიზანტინისტიკის აღიარებული სკოლა, აღზარდა მეცნიერთა თაობები.

**აკადემიკოსი თინათინ ყაუხჩიშვილი** (აკადემიის წევრი 1993 წლიდან) - წყაროთმცოდნე, საქართველოში ბერძნული და რომაული ეპიგრაფიკული ძეგლების გამომვლენი და შემსწავლელი, ქართულ-ანტიკურ სამყაროთა, ქართულ-ბერძნულ ისტორიულ, პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობათა აღიარებული მკვლევარი. მან მრავალი საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა ქართული ტოპონიმიკის, ონომასტიკისა და ტერმინოლოგიის შესახებ, დააზუსტა არაერთი სახელისა და ლექსიკური ერთეულის ეტიმოლოგია, კავკასიის ტომთა ეთნოგენეზისის, რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიის შესახებ. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა თ. ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემული „საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი“ (1-3, თბ., 1999-2000),

„ბერძნული ეპიგრაფიკა“, თბ., 2002. თ. ყაუხჩიშვილმა პირველად თარგმნა ქართულ ენაზე არაერთი ბერძენი ავტორის თხზულებები, ჰეროდოტეს (ჰეროდოტოსის) „ისტორია“ და მრ. სხვ.

**აკადემიკოსმა რისმაგ გორდეზიანმა** (აკადემიის წევრი 2013 წლიდან, წ/კ 1988 წლიდან) ღირსეულად განაგრძო სახელოვან წინამორბედთა საქმე და მნიშვნელოვნად განამტკიცა კლასიკური ფილოლოგიის ქართული სკოლის საერთაშორისო ავტორიტეტი. ქართულ და უცხოურ ენებზე გამოქვეყნებული მეცნიერის მრავალრიცხოვანი მონოგრაფიები და სტატიები ეძღვნება ბერძნული და რომაული ცივილიზაციების, ჰომეროლოგიის, ეგეისტიკის, ეტრუსკოლოგიის, ქართველოლოგიის პრობლემებს.

რ. გორდეზიანმა საფუძვლიანად შეისწავლა ხმელთაშუაზღვის-პირეთის რეგიონში დადასტურებული უძველესი ენების ქართველურთან მიმართების საკითხები. მეცნიერმა დაადგინა, რომ გეოგრაფიულ სახელწოდებათა წარმოების ყველა ძირითად ეგეოსურ ტიპს აშკარა პარალელი მოეპოვება ქართველურ ტოპონიმში. ამგვარ პარალელებს მრავლად ავლენს ეგეოსურ-ქართველურ ტოპონიმთა ფუძეების შეპირისპირებაც. მნიშვნელოვანია რისმაგ გორდეზიანის გამოკვლევა ქართველთა თვითშეგნების ფორმირების განსაზღვრასთან დაკავშირებით, რომელშიც ხაზგასმულია, რომ „ეროვნული თვითშეგნება ეფუძნება რამდენსამე უმნიშვნელოვანეს საყრდენს, რომელთაგან, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ ამა თუ იმ ხალხში არსებული გენეტიკური ერთიანობის მახსოვრობა თუ რწმენა. ვიდრე ხალხი, რაოდენ დანაწევრებული და ფართოდ განფენილიც იყოს იგი დედამიწაზე, ინახავს ამ რწმენას, შეიძლება ითქვას, რომ მას თანდაყოლილი ორიენტაცია აქვს ეთნიკურ ერთიანობაზე“.

რ. გორდეზიანის ძალისხმევით 1997 წელს თსუ-ში (რექტორი - აკად. როინ მეტრეველი) დაარსდა კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი. იგი იყო მისი პირველი დირექტორი.

რ. გორდეზიანის „ბერძნული ლიტერატურა“ წარმოაჩენს ძვ. ბერძნული მწერლობის შესწავლის უახლეს მდგომარეობას, ხოლო მონოგრაფიაში „ინოვაცია, ფორმალიზმი, ავანგარდი ანტიკურ ლიტერატურაში“ განხილულია იმ მწერალთა შემოქმედება, რომელთაც საფუძველი დაუდეს ევროპულ ლიტერატურას. რ. გორდეზიანის მიერ გამოიცა სერია „ბერძნული მითების სამყარო“. რომელშიც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მეცნიერის ავტორობით წიგნი - „მითების სიბრძნე“. რ. გორდეზიანის სამეცნიერო ხელმძღვანელობით განხორციელდა უნიკალური ენციკლოპედიის „ანტიკური კავკასია (BAURAMUშ ANთIQUUშ)“ ხუთტომეულის გამოცემა (2010-2023).

**აკადემიკოსი ვალერიან (ვალერი) ასათიანის** (აკადემიის წევრი 2021 წლიდან) შრომები ეძღვნება კლასიკური ფილოლოგიის, ბიზან-

ტინისტიკისა და კულტუროლოგიის საკითხებს. მის მონოგრაფიებში „ანტიკურობა ძველ ქართულ მწერლობაში“ (თბ., 1987), „ანტიკური და ბიზანტიური ტრადიციები ძველ ქართულ მწერლობაში“ (თბ., 1996), „ანტიკური კულტურა, ბიზანტია და საქართველო“ (2021) შესწავლილია ბერძნულ-ქართულ ისტორიულ-კულტურული ურთიერთობის საკითხები, მოძიებული და გაანალიზებულია არქივებსა და წიგნთსაცავებში დაცული ცნობები, წარმოდგენილია ერთგვარი „პანორამა“. ავტორის „ბიზანტიური ცივილიზაცია“ (თბ., 2006, 2015) მიზნად ისახავს „ახალი რომის“ არსის ჩვენებას და მისი კავშირის ხაზგასმას ქართულ სამყაროსთან. წიგნი „კლასიკოსი“ (თბ., 2018) წარმოაჩენს დიდი ქართველი ელინისტის - გრიგოლ წერეთლის ღვაწლს. ვ. ასათიანის რედაქტორობით საარქივო მასალების საფუძველზე პირველად განხორციელდა შემდეგი გამოცემები: გრ. წერეთელი, „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“, 3, კომედია, თბ., 2021 (მიჩნეული იყო დაკარგულად); ვ. ასათიანი, „გრ. წერეთელი - არისტოფანეს „ფრინველების“ მთარგმნელი“, თბ., 2021; გრ. წერეთელი, „ჰორაციუსი“, თბ., 2022. ვ. ასათიანი რედაქტორ-შედგენელია წიგნებისა: „ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქია“, თბ., 2013; „ლეჩხუმი“ (თბ., 2019), „სუხიშვილები“ (თბ., 2019), „გიორგი ლეონიძე“ (2021), „ირაკლი აბაშიძე“ (2022), „გალაკტიონ ტაბიძე“ (თბ., 2023), არის ენციკლოპედიური ხასიათის პროექტების (“BYZANTINO-GEORGICA” და “ITALICA-GEORGICA”) ხელმძღვანელი (მთ. რედაქტორი) და თანაავტორი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ელინოლოგთა წარმომადგენლობამ დიდად შეუწყო ხელი კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტინისტიკის საერთაშორისოდ აღიარებული ქართული სკოლის ჩამოყალიბებას, რამაც, თავის მხრივ, თბილისი აქცია ელინოლოგიის სფეროში მსოფლიოში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრად.

**აღმოსავლეთმცოდნეობა. სემიტოლოგია. ირანისტიკა.**

**თურქოლოგია. არმენოლოგია**

აღმოსავლეთმცოდნეობის განვითარება, აღმოსავლური ენებისა და კულტურების მრავალმხრივი შესწავლა, როგორც ითქვას, ჯერ ეროვნული უნივერსიტეტის, ხოლო შემდეგ მენიერებათა აკადემიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად ჩამოყალიბდა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში არაბული, სპარსული და თურქული რელიგიის, კულტურის, ზნეობისა და მისტიკური აზროვნების კვლევას საფუძველი ჩაუყარეს დიდმა მეცნიერებმა: აღმოსავლეთმცოდნე გიორგი წერეთელმა, სპარსოლოგმა დავით კობიძემ, თურქოლოგიის ფუძემდებელმა სერგი ჯიქიამ.

გამოჩენილი ქართველი აღმოსავლეთმცოდნე, აღმოსავლეთმცოდნეობის ქართული სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის

ინსტიტუტის დამფუძნებელი, აკადემიკოსი გიორგი წერეთელი 1944 წელს აირჩიეს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1946 წელს - ნამდვილ წევრად.

გ. წერეთლის ინიციატივით 1945 წელს დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სემიტოლოგიის კათედრა, ხოლო 1960 წელს - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. აღნიშნულ კათედრასა და ინსტიტუტს იგი ხელმძღვანელობდა სიცოცხლის ბოლომდე. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტს შემდგომ მისი დამაარსებლის სახელი მიენიჭა. 1957-1967 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებას. 1967-1970 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

გიორგი წერეთლის სამეცნიერო კვლევების სფერო ფართო სპექტრს მოიცავდა: არაბული ენათმეცნიერება და ფოლკლორი, ებრაისტიკა და არამეისტიკა, ახლო აღმოსავლეთის ძველი ენები და დამწერლობათა ისტორია, ქართველური ენათმეცნიერება, ქართული და შედარებითი ლექსთწყობის საკითხები, თეორიული ლინგვისტიკის პრობლემები, ქართული ანბანის წარმოშობისა და განვითარების საკითხები, რუსთველოლოგია. გ. წერეთელს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ძველი აღმოსავლური ენების შესწავლაში. თეორიული ლინგვისტიკის დარგში აღსანიშნავია მისი გამოკვლევა: „ენობრივი ნათესაობისა და ენობრივ კავშირთა შესახებ“ (1968), რომელშიც ჩამოყალიბებულია ახალი თეორია ენათა „შენათესავების“ შესახებ, რასაც მან ენათა „ალოგენეტური ურთიერთობა“ უწოდა (ალოგენეტური თეორია).

ყოფილი საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის იმჟამინდელი პრეზიდენტი მსტისლავ კელდიში აღნიშნავდა: საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის რიგი სკოლები მსოფლიოში არის ცნობილი და მათ მსოფლიო მნიშვნელობა აქვთ. ესენია: მათემატიკური სკოლა, რომელიც თავის საწყისს აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილისაგან იღებს, ფიზიოლოგიის სკოლა, რომელიც აკადემიკოს ი. ბერიტაშვილისაგან მომდინარეობს და აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლა, რომელსაც აკადემიის წევრი გ. წერეთელი მეთაურობს. აკად. თამაზ გამყრელიძის თანახმად, გიორგი წერეთლის როგორც მეცნიერის სიდიადე განისაზღვრება არა გამოქვეყნებულ შრომათა რაოდენობით, არამედ მის მიერ შექმნილ გამოკვლევათა ხასიათით, რომელთაგან თითოეული თავისებურ აღმოჩენას წარმოადგენს და წარუშლელ კვალს ტოვებს ეროვნული და მსოფლიო მეცნიერების სათანადო დარგებში. აკადემიკოსი გიორგი წერეთელი ყოველთვის იდგა მსოფლიო ფილოლოგიისა და ლინგვისტიკის უახლეს მიღწევათა დონეზე და ხშირად თავისი გამოკვლევებით თვით განსაზღვრავდა ამ დონეს.

დიდია გიორგი წერეთლის ღვაწლი „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკული ტექსტის შესწავლის და დადგენის საქმეში. ამ დარგში გამოქვეყნებულ

შრომათაგან აღსანიშნავია მონოგრაფია „მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში“ (1973 წ.). 1962 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იგი ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიას, რომელმაც განუზომელი წვლილი შეიტანა შოთა რუსთაველის გენიალური პოემის კვლევასა და კრიტიკული ტექსტის დადგენაში, აგრეთვე, ქართული ენის ისტორიული ლექსიკური ფონდის შექმნაში. 1999 წლიდან გ. წერეთლის უერთგულესი მოწაფის, აკად. თამაზ გამყრელიძის ინიციატივით ამ კომისიას, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო სტრუქტურად განისაზღვრა („ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და „ქართული ენის თესაურუსის“ კომიტეტის სახელწოდებით), მიენიჭა აკად. გიორგი წერეთლის სახელი.

სწორედ აკად. გ. წერეთლის უმნიშვნელოვანესმა სამეცნიერო შრომებმა განაპირობა შესანიშნავი ქართველი მკვლევარების, აღმოსავლეთმცოდნეების მთელი პლეადის შექმნა, რომლებიც წარმატებით აგრძელებდნენ შემდგომ კვლევას მის მიერ დასახული მიმართულებებით. მათმა შრომებმა ფართოდ გაუთქვეს სახელი აღმოსავლეთმცოდნეობის ქართულ სკოლას - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, კონსტანტინე წერეთელი, აკად. აპოლონ სილაგაძე, პროფ. ალექსი ლეკიაშვილი, პროფ. ნანა ფურცელაძე, პროფ. თინა მარგველაშვილი...

**აკად. კონსტანტინე წერეთელი** (აკადემიის წევრი 1988 წლიდან) - ქართული ორიენტალისტური სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი - არამეისტრიკის დარგში მისი დიდი მასწავლებლის, აკად. გ. წერეთლის საქმის ღირსეული გამგრძელებელია. კონსტანტინე წერეთლის შრომებმა ფართოდ გაუთქვეს სახელი სემიტოლოგიის ქართულ სკოლას. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კ. წერეთლის შრომებმა არამეულ დიალექტოლოგიაში საფუძველი ჩაუყარა ამ სამეცნიერო დარგის პრობლემათა ფართო კვლევას და განაპირობა მსოფლიო ორიენტალისტიკაში მისი ინტენსიური განვითარება.

კ. წერეთლის სამეცნიერო შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ქართულ-აღმოსავლურ ენობრივ და კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობებს. აქ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ქართულ-არამეული და ქართულ-ებრაული ურთიერთობანი, რომლებიც სათავეს წინაქრისტიანულ ხანაში იღებენ. ამდენად, მათ შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართველი ხალხისა და მისი კულტურის ისტორიის კვლევისათვის.

ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის, კერძოდ, არაბისტიკის თვალსაჩინო წარმომადგენელია **აპოლონ სილაგაძე**, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი (2009-2017). 2004-2017 წლებში იგი ხელმძღვანელობდა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტსა და არაბისტიკის კათედრას. აპ.

სილაგაძე არის 100-ზე მეტი ფასეული ქართველოლოგიური და აღმო-სავლეთმცოდნეობითი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათგან 35 გამოცემულია წიგნად. იგი 1998-2004 წწ. იყო საქართველოს პირველი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი არაბულ ქვეყნებში (ეგვიპტის არაბთა რესპ. და სხვ.).

აპ. სილაგაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა არაბული ენებისა და ისლამური კულტურის კვლევის საქმეში. მისი არაბისტიკული ნაშრომები ეხება არა მხოლოდ წმინდა ლიტერატურულ პრობლემებს („ახალი მასალები XVIII საუკუნის ეგვიპტის ეპიგრაფიკისათვის“, 2002); აპ. სილაგაძის მიერ გამოცემულია ყურანის ტექსტის ნაწილის კომენტარებული თარგმანი (მე-14 სურის ჩათვლით, 4 ნაწილად, 2009-2012); მის ცალკეულ ნაშრომებში საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული ყურანის ტექსტის შედგენილობისა და შინაარსის შესახებ.

ქართველოლოგიის მიმართულებით აპ. სილაგაძის სამეცნიერო ინტერესის ცენტრალური სფეროა ლექსმცოდნეობა. მის წიგნში „ლექს-მცოდნეობითი ანალიზის პრინციპების შესახებ“ (1987) ქართული ლექსის განვითარება განიხილება როგორც ერთ საერთო კანონ-ზომიერებაზე დამყარებული საფეხურებრივი სილაბური სისტემა. ყოველი სინქრონიული ჭრილის ანალიზისას გაითვალისწინება სტრუქტურათა რეალიზების ყველა შესაძლებლობა. დიაქრონიული თვალსაზრისით ქართული ლექსწყობის განვითარებაში გამოყოფილია სისტემის რეალიზაციის ოთხი დონე. მონოგრაფიაში „ძველი ქართული ლექსი და ქართული პოეზიის უძველესი საფეხურის პრობლემა“ (1997) დადგენილია, რომ ქრისტიანულ სასულიერო პოეზიას საქართველოში დახვდა ქართული ლექსწყობა ჩამოყალიბებული სისტემის სახით. ამავე კუთხით აპ. სილაგაძის ინტერესების სფეროში შემოვიდა ქართველური ლექსწყობის საკითხებიც („მეგრული ლექსი“, 2012).

**სერგი ჯიქია** - მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აკადემიკოსი (1968 წლიდან) - არის საქართველოში თურქოლოგიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, დამფუძნებელი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის შექმნის თავკაცი და პირველი დეკანი, თურქოლოგიის კათედრის დამაარსებელი და პირველი გამგე, ყველა თურქოლოგიური დისციპლინის პირველი ლექტორი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თურქოლოგიის განყოფილების გამგე; საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროების კომისიის თურქულენოვანი სერიის რედაქტორი.

ს. ჯიქიამ მოამზადა მრავალი სპეციალისტი და მოწაფეებთან ერთად წარმართა თურქოლოგიური კვლევები ისტორიის, ლიტერატურათმცოდნეობისა და ენათმეცნიერების მიმართულებით. ქართულ-აზერბაიჯანული, ქართულ-თურქული ენობრივი და ისტორიულ-ლიტერატურული ურთიერთობანი, აზერბაიჯანულისა და

ანატოლიური თურქულის აღმოსავლური დიალექტები, ოსმალური ენის ისტორიის საკითხები, ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონების, ქრესტომათიებისა და სახელმძღვანელოების შედგენა, თურქულ-ლაზური ენობრივი კონტაქტების დადგენა, ქართველურ არეალში დამკვიდრებული არაბულ-სპარსულ-თურქული წარმომავლობის ლექსიკური ერთეულების გამოვლენა, საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიის შესახებ ისტორიული ცნობების შემცველი ოსმალური საარქივო მასალების - ისტორიული დოკუმენტებისა და ნარატიული წყაროების - პუბლიკაცია-კომენტირება, ოსმალური პალეოგრაფიისა და დიპლომატიკის მნიშვნელოვანი საკითხების კვლევა, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია და ტოპონიმის წარმოადგენს აკად. სერგი ჯიქიას სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითად სფეროს. მისი მემკვიდრეობით დიდძალი დოკუმენტური, ისტორიულ-ლიტერატურული და ფოლკლორული მასალის მოხმობით ქართული ისტორიოგრაფიის განკარგულებაშია ფილიგრანული ხელოვნებით გაშიფრული უამრავი ოსმალური საარქივო მასალა და წერილობითი ძეგლი. ს. ჯიქია იძლევა ოსმალური წყაროს პალეოგრაფიულსა და დიპლომატიკურ ანალიზს, თარგმანს ურთავს ვრცელ კომენტარებს; განსაზღვრავს ტექსტის ენობრივ თავისებურებებს. მან დაამუშავა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტსა და საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ოსმალური დოკუმენტური მასალა, აღწერა სხვადასხვა ფორმულარის 700-ზე მეტი თურქულენოვანი დოკუმენტი, განსაზღვრა მათი რაობა და შეადგინა კატალოგი. მას ეკუთვნის ოსმალურ სულთნებისა და ფაშების მიერ საქართველოს მეფე-დიდებულებისადმი გაცემული ფირმანების პირველი მეცნიერული პუბლიკაცია. მისი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ სამი წიგნი საეტაპო ნაშრომია ოსმანისტიკაში. ს. ჯიქია პირველი თურქოლოგია, რომელმაც გამოაქვეყნა დავთრის სრული ოსმალური ტექსტი და თარგმანი.

დავით კობიძეს (აკადემიის წევრ-კორ. 1979 წლიდან) გამოქვეყნებული აქვს ორტომეული „ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი“: I ტომი, შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები; II ტომში განხილულია ქართული და სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი. ამ პრობლემებს ასევე ვრცლად, სიღრმისეულად განიხილავდნენ ირანისტები ალექსანდრე გვახარია (აკადემიის წევრ-კორ. 1988 წლიდან) და მაგალი თოდუა (გელათის მეცნ. აკადემიის წევრი).

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1988-2002) ალექსანდრე გვახარია წლების განმავლობაში წარმატებით იკვლევდა ირანისტიკისა და ქართველოლოგიის კარდინალურ საკითხებს. მას ეკუთვნის მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომები ქართულ და სპარსულ მწერლობაზე: „ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (2 ნაწილად), „ბალა-

ვარიანის“ სპარსული ვერსიები; „სპარსული ხალხური პროზის ისტორიიდან: „დასთანები“ და მრავალი სხვა.

თსუ პროფესორი, თსუ ირანული ფილოლოგიის კათედრის ხელმძღვანელი 1987-2002 წლებში, ასევე, გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მთავარი სპეციალისტი **ალ. გვახარია** იკვლევდა შუა საუკუნეების სპარსულ ლიტერატურულ ტექსტებს და თანამედროვე ირანულ მწერლობას. მეცნიერმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის საქმეში. მან, როგორც ფართო თვალსაწიერის მქონე მეცნიერმა, ფასდაუდებელი სამსახური გაუწია „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიას.

სპარსული და ქართული ლიტერატურული ძეგლების ანალიზისას ალ. გვახარია ავლენს შუა საუკუნეების მწერლობაში წვდომისა და მასშტაბური ხედვის განსაკუთრებულ უნარს. დავით აღმაშენებლის ეპოქისა და ქართულ-სპარსული ლიტ. ურთიერთობების ჩასახვის პროცესს მეცნიერი შეისწავლის ენასა და მატერიალური კულტურის ძეგლებზე, ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით. გამოკვლევაში „ნიზამი და საქართველო“ ალ.გვახარია აჩვენებს, თუ რაოდენ მჭიდრო კავშირშია გენიალური პოეტი საქართველოსთან. მრავალმხრივი ტექსტოლოგიური კვლევის საფუძველზე იგი ზუსტად განსაზღვრავს პოემა „ისქანდერნამეს“ დაწერის თარიღს. ნაზამის ცალკეული ნაწარმოებების ისტორიულ-ფილოსოფიურმა და მხატვრულმა გააზრებამ მკვლევარს საშუალება მისცა კულტურულ-გეოგრაფიული არეალის დაკონკრეტებისა და ნიზამის შემოქმედების ქართულ სინამდვილესთან კავშირის ჩვენებისათვის.

უაღრესად მნიშვნელოვანია ალ. გვახარიას მეცნიერული დაკვირვება შუა საუკუნეების სპარსული პოეტიკის საკითხებზე, რომლის შედეგად იგი გვთავაზობს ახლებურ დასკვნას, რომ „რითმის ყველა გართულებული სახეობის (შინაგანი, ორმაგი, სამმაგი და ა.შ.) გაჩენა-განმტკიცებას ხელი შეუწყო მეტყველებაში - როგორც პროზაულში, ისე პოეტურში - არსებულმა ტენდენციამ, რასაც ფიქსირებული ფორმის განმეორებას უწოდებენ.

დღეს აღმოსავლურ კვლევებს მათი რელიგიის, ლიტერატურის, მსოფლმხედველობის, ესთეტიკის მიმართულებით წარმოადგენს აკად. ელიზბარ ჯაველიძე (აკადემიის წევრი 2013 წლიდან, წევრ-კორ. 1986 წლიდან).

მახლობელი აღმოსავლეთის ისლამის რელიგიურ სამყაროში თავს იყრის არაბული, სპარსული და თურქული კულტურისა და ლიტერატურის პრობლემები, ერთ სახეობას, ტიპს რომ ქმნის და მოქმედებს მესამე დონის ერთი და იგივე, შეიძლება ითქვას, იდენტური კანონები. დივანის „კლასიკური ლიტერატურა“ სუფიზმის გაფურჩქვნის და განვითარების პერიოდია, რომელშიც განხილული იქნა ყველა ის ძირეული

პრობლემა, რომელიც მისტიკურ-რელიგიური სამყაროს საფუძველს წარმოადგენს („ჯელალ-ედინ-რუმი“, თბ. 1979; „იუნუს ემრე“, თბ. 1985; „აშიკ ფაშა“). ასევე საეტაპო მნიშვნელობისაა ავტორის გამოკვლევა „ფუთუვეთი - სულიერ-რაინდული ძმობა“ (თბ. 2010), რომელიც წარმოაჩენს ფუთუვეთის სულიერი ძმობის მიმართებას და გავლენას ძველ ქართულ რაინდულ-ყარაჩოღლურ ტრადიციებთან.

რაც შეეხება შუა საუკუნეების თურქულენოვან კლასიკური დივანის ლიტერატურას, აქ შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი ლიტერატურული კანონიკურ ხასიათს ატარებს, აქ ყველაფერი წინასწარ არის განსაზღვრული და დადგენილი, რაც უნდა ითქვას და როგორ უნდა ითქვას. დივანის „კლასიკური ლიტერატურის“ თემატიკური რკალი მოიცავს შემდეგ თემებს:

- 1) სიყვარულს ანუ აშიკ-მაშუკის ურთიერთობებს;
- 2) ჰინდის და ზაჰიდის ურთიერთშეპირისპირებას;
- 3) ჰედონიზმის თავისებურებას;

4) მედიქ - “ქება, დიდება”; ჰიჯვ - “სატირა, კიცხვა”, რომელსაც გამოიყენებდნენ პირადული ურთიერთობებისა და იმ დროს არსებულ ხელისუფალთა წრესთან დამოკიდებულებისათვის.

- 5) მეღამეთის პრობლემები.

„დივანის ლიტერატურა“ (თბ. 2022).

კლასიკურ ლიტერატურას წინ უსწრებდა ხალხური ფოლკლორი, რომელიც ეფუძნებოდა უძველეს ტრადიციებს, განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს მოლა ნასრედინის ანეკდოტები, რომელიც გავრცელებული იყო ფართო წრეებში და გარკვეულ პერიოდში მისი ანეკდოტები გამანადგურებელ სიცილად ანუ სატირად იქცა და აწესრიგებდა სოციალურ პრობლემებს. ასევე ყარადსადებია საგმირო ეპოსი „დედე ქორქუთი“ და ეპოსის მთავარი გმირის, ყაჩაღი ქოროღლის სახე, რომელიც იბრძვის სამართლიანობისათვის („ოდეს შავისგან თეთრის გამორჩევის ჟამი დადგება“, თბ. 2020).

საერთოდ, წარმართულ, უძველეს თუ შუა საუკუნეების აზროვნებაზე დიდ გვლენას ახდენს მუჰამედი და მისი ყურანი, რომელიც წარმართავდა და დღესაც წარმართავს მთელ სამყაროს სოციალურ-ზნეობრივი თვალსაზრისით („განთიადის გამნათებელ ღმერთს ველტვი, რათა უკუნი ღამის ბოროტებას განვერიდო“, თბ. 2021).

როგორც ითქვა, ეროვნულ უნივერსიტეტში დიდი მნიშვნელობა მიენიჭა სომხური ენისა და კულტურის კვლევას. ქართულ-სომხური ენობრივ-ლიტერატურული ურთიერთობების კვლევაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანა აკად. აკაკი შანიძის მოწაფემ, აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა (1950 წ.) ილია აბულაძემ. სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ თვალსაჩინო ქართველი მეცნიერის, კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დამაარსებლის და მისი დირექტორის ილია აბულაძის მრავალრიცხოვან

სამეცნიერო შრომებს არმენოლოგიაში, რომლის საფუძველზეც აღიზარდა ქართველოლოგთა და არმენოლოგთა მაღალკვალიფიციურ მკვლევართა თაობები.

ხოლო შემდეგ ეს ტრადიცია წარმატებით განაგრძო აკად. ზაზა ალექსიძემ (აკადემიის წევრი 2013 წლიდან). 1989-2006 წწ. მუშაობდა ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორად, იყო თსუ არმენოლოგიის კათედრის ხელმძღვანელი.

აკად. ზ. ალექსიძის უნიკალური სამეცნიერო მემკვიდრეობა მოიცავს უაღრესად მნიშვნელოვან ნაშრომებს ქართველოლოგიაში, არმენოლოგიასა და ალბანისტიკაში. მის მთავარ საკვლევ მიმართულებას ქართველოლოგიის, არმენოლოგიის და ალბანისტიკის ისტორიულ-რელიგიური საკითხების კვლევა წარმოადგენდა.

### **მწერალი აკადემიკოსები**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების შემადგენლობას განსაკუთრებით ამდიდრებდა ის, რომ აკადემიის წევრად მიღების წესი ითვალისწინებდა მწერალი-აკადემიკოსის სტატუსით არჩევას. ამ წესით განყოფილების წევრები იყვნენ ქართული კლასიკური მწერლობის ბრწყინვალე წარმომადგენლები. სხვადასხვა დროს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად არჩეულია ცხრა გამოჩენილი პოეტი და პროზაიკოსი. მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართულ კულტურაში და შემოქმედებით მუშაობასთან ერთად სამეცნიერო მოღვაწეობასაც ეწეოდნენ.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ საქართველოს სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე. გენიალური შემოქმედი, ქართული ლექსის რეფორმატორი, რომელმაც შემოიტანა და დაამკვიდრა ევროპული მოდერნიზმის ფორმები, სტილი და იდეები ქართულ ლიტერატურაში (იგულისხმება სხვა თანამშრომელთა დამსახურებაც). განაახლა ქართული სიტყვის ესთეტიკა და ზეგავლენა იქონია მთელ თაობებზე.

1944 წლის თებერვალში გალაკტიონ ტაბიძესთან ერთად მეცნიერებათა აკადემიამ თავის ნამდვილ წევრებად აირჩია პროზაიკოსი კონსტანტინე გამსახურდია და პოეტი გიორგი ლეონიძე.

კონსტანტინე გამსახურდია ავტორია საყოველთაოდ ცნობილი რომანებისა - „დიონისოს ღიმილი“, „მთვარის მოტაცება“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „დავით აღმაშენებელი“. მაგრამ იგი ასევე წლების განმავლობაში ეწეოდა სამეცნიერო და მთარგმნელობით მუშაობას - იტალიურიდან თარგმნა დანტეს „ღვთაებრივი კომედია“, ინგლისურიდან - უიტმენის პოეზია, გერმანულიდან - რემარკის „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“, გამოაქვეყნა ესეები და მონოგრაფიები გერმანულ, ფრანგ, იტალიელ, რუს პოეტებზე, პროზაიკოსებსა და ფილოსოფოსებზე.

დიდად პოპულარული იყო გიორგი ლეონიძის ლექსები და პოემები თანამედროვეობაზე, საქართველოს წარსულზე, ომის თემატიკაზე, ხალ-

ხთა მეგობრობაზე. ჰქონდა მნიშვნელოვანი გამოკვლევები XVII-XVIII საუკუნეების ქართველ მწერლებსა და მოღვაწეებზე. იყო სახალხო პოეტი.

1947 წელს აკადემიკოსად აირჩიეს იოსებ გრიშაშვილი, შემდეგში - სახალხო პოეტი, რომელმაც ადრეულ წლებში გავლენა იქონია ქართული ლექსის ფორმირებაზე. სატრფიალო თემატიკა, ძველი და ახალი თბილისი, წარსული და თანამედროვეობა - ეს იყო მისი ლირიკის ასპარეზი. მაგრამ პარალელურად ეწეოდა სამეცნიერო მუშაობას, რომლის შედეგია მრავალი გამოკვლევა, მონოგრაფიები - „საიათნოვა“, „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“, „ალექსანდრე ჭავჭავაძე“.

1960 წელს აკადემიკოსი გახდა ირაკლი აბაშიძე, შემდეგში - აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. იგი ასევე ავტორია ესეისტურ-პუბლიცისტური ნაშრომებისა - „ინდოეთის გზებზე“, „ევროპა თვალის ერთი გადავლებით“, „ამერიკა თვალის ერთი გადავლებით“, „პალესტინის დღიური“.

1960 წელს მან აკად. ა. შანიძესთან და აკად. გ. წერეთელთან ერთად შეისწავლა იერუსალიმის ჯვარის ქართული მონასტერი, რის შედეგადაც მოპოვებულ იქნა შოთა რუსთაველის პორტრეტი.

1969 წელს არჩეულ იქნა დემნა შენგელაია, პროზაიკოსი და მთარგმნელი. მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭება მითოსურ და ფოლკლორულ მოდელებსა და მოტივებს, რაც ლიტერატურული კვლევის საგნადაც აქცია (მაგ., „ამირანიანის“ შესახებ).

1979 წელს კიდევ ერთი მწერალი გახდა აკადემიკოსი - გრიგოლ აბაშიძე. მისი ლექსები და რომანები ძირითადად საქართველოს ისტორიაზე, მის ტრაგიკულ წარსულზეა დაწერილი. პოპულარული შანდორ პეტეფისა და ფრანგული პოეზიის თარგმანებიც. ამასთან ერთად, გრ. აბაშიძე ავტორია არაერთი ლიტერატურული და პუბლიცისტური ნაშრომისა.

დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში აკადემიამ ორი გამოჩენილი პოეტი აირჩია თავის რიგებში - ანა კალანდაძე და მუხრან მაჭავარიანი. ანა კალანდაძე ადრეული წლებიდან პოპულარული იყო როგორც გამორჩეული პოეტური ნიჭიერებით და სამეცნიერო მოღვაწეობით. მუშაობდა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში. მუხრან მაჭავარიანი, როგორც ეროვნული თემატიკის პოეტი, დიდად იყო პოპულარული. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი. იგი ავტორია ლინგვისტურ-ლექსიკოლოგიური მონოგრაფიისა - „რამდენიმე სიტყვა“.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული განასახიერებს იმ საყოველთაოდ გამოცდილი, ოპტიმალური მეცნიერული ორგანიზაციის შედეგებს, რასაც წარმოადგენდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემა მეოცე საუკუნის განმავლობაში. ახალი ათასწლეულის დასაწყისიდან მეცნიერების ორგანიზაციის აკა-

დემიური სისტემის მიზანმიმართულმა დაშლამ შედეგად მოიტანა ის, რომ დაირღვა ტრადიციული კავშირი და კოორდინაცია არა მხოლოდ აკადემიასა და მის ყოფილ კვლევით ინსტიტუტებს შორის, არამედ აკადემიასა და იმ უნივერსიტეტებს შორისაც, რომლებთანაც მოხდა კვლევითი დაწესებულებების სრულიად ხელოვნური კონგლომერაცია. შესაბამისად ამისა, აკადემიას დღეს აღარა აქვს შესაძლებლობა შეასრულოს წარმმართველი, მაკოორდინირებელი ფუნქცია; ამდენადვე, დარღვეულია აკადემიის ჯანსაღი უკუკავშირი სამეცნიერო სტრუქტურებთან, რომელთა განვითარება უკიდურესად არის შეფერხებული.

ავთანდილ არაბული

ქართული ენის სასკოლო სწავლების უახლესი ამოცანები

გასულ წელს საქართველოს ხელისუფლებამ განათლების სისტემის მასშტაბური რეფორმის დაიწყება გამოაცხადა როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის, ისე საუნივერსიტეტო სწავლების მიმართულებით. საზოგადოების ყურადღებას განსაკუთრებულად იქცევს ის ვითარება, რაც ოცი წლის წინანდელი რეფორმების შედეგად შექმნილა სასკოლო სწავლა-აღზრდაში. გამოცხადებული მიზნების თანახმად ახალი სასწავლო წლისათვის უკვე მზად უნდა იყოს სასკოლო საგნების ახალი პროგრამები და სახელმძღვანელოები. მათგან წამყვანი ადგილი უკავია ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას. ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეროვნული პრობლემათა შემსწავლელი კომისიის ა.წ. 6 აპრილის სხდომაზე მოხსენებით წარდგა ენათმეცნიერი, აკადემიკოსი ავთანდილ არაბული:

- რეფორმა, საერთოდ, მასშტაბურ ცვლილებებს გულისხმობს. ამიტომაც ვფიქრობ, რომ საზოგადოება, ერი, ამგვარ პროცესებს უფრო სერიოზულად უნდა მოეკიდოს. ჩვენ, მეტწილად, ერთჯერად რეაქციას (დადებითს თუ უარყოფითს) გამოვხატავთ ხოლმე - ემოცია უცებ ააღდება და მალევე ქრება. შედეგები ამ სფეროში ერთსა და ორ წელიწადში არ ვლინდება, მერე კი გვიანია “თავში ცემა”. 2004 წლიდან დაწყებულმა საგანმანათლებლო რეფორმამ კატასტროფული შედეგები მოგვიტანა. ამჟამად ხელისუფლება განათლების რეფორმის კუთხით მნიშვნელოვან პოლიტიკას ატარებს, რათა არსებული კრიზისი დაიდლოს. ოღონდ ამ საქმეში სპეციალისტების, დარგების ექსპერტების მაქსიმალური ჩართულობაა აუცილებელი. დღეს ბევრს ჰგონია, რომ განათლების რეფორმას საფუძველი “ნაცემოდრობამ” ჩაუყარა. სინამდვილეში, ეს პროცესი 1999 წელს ალექსანდრე კარტოზიამ დაიწყო, რა დროსაც დაიწყო ეროვნული გამოცდების მომზადება, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პროგრამების განახლება, ახალი, ალტერნატიული სახელმძღვანელოების შექმნაზე კონკურსების ორგანიზება და სხვ. კარტოზია ამ სერიოზულ ცვლილებებს სათანადო პასუხისმგებლობით, შეიძლება ითქვას, სიფრთხილით ეკიდებოდა. რაც მთავარია, პროცესში მეცნიერებიც ჩართო. ზოგი ცვლილებების ტემპით

კმაყოფილი არ იყო, ის კი ამბობდა, სანამ ეროვნული გამოცდების “გამოცდა“ არ ჩატარდება მანამდე ამ პრაქტიკას ვერ დავნერგავთო. კიდევ ორი წელი იყო საჭირო, რათა ეროვნულ გამოცდებს საგანმანათლებლო სისტემაში თავისი ოპტიმალური ადგილი დაეკავებინა. ლომიამ ორი წელი “მოიპარა”, პარტიული პიარისათვის ეროვნული გამოცდები ნაადრევად შემოიღო, სხვა პროცესებიც ამგვარი ფორსირებით წარიმართა, რის შედეგებსაც ახლა ვიმკით...

ამიტომაც, ამჟამად დაწყებულ რეფორმას ძალიან სერიოზულად უნდა მივუდგეთ, უპირველესად, იმ მომავლის თვალსაზრისით, რომლისთვისაც მას ვამზადებთ. ძველი თაობების წარმომადგენლები, ჩვეულებისამებრ, ახლანდელ ბავშვებს თავისი ბავშვობის ცნობიერებითა და ფსიქიკით წარმოიდგენენ. სინამდვილეში ახალი, ციფრული თაობის ბავშვი სრულიად განსხვავებულია, ისეთი, რომლის შეცნობაც კი სერიოზული ამოცანაა. ადრე, ძველი თაობის წარმოდგენით, ბავშვი “დაუწერელი დაფა“ იყო, ახლა ეს მობილურის ბავშვი სკოლაში გვარიანად “დაფხაჭნილი დაფის“ სახით მოდის, ფსიქიკის ჩათვლით.

- ამ მკვეთრ მეტაფორაში იმას ვგულისხმობ, რომ დღევანდელი მოზარდი პირველივე წლებიდან სრულად ხდება დამოკიდებული საინფორმაციო ტექნოლოგიებზე. მაგრამ რაკი ახლა საგანმანათლებლო პროცესი გვაინტერესებს, შევხედოთ, რით მოდის ის სკოლის პირველ კლასში. ლამის პრობლემის ქვაკუთხედად ვაქციეთ ის, თუ რომელ თვეში უნდა შეუსრულდეს სკოლამდელ ბავშვს ექვსი წელი ორ სექტემბერში თუ ნოემბერში. ხოლო ამ დროს ამ ბავშვების უმეტესობა კაი გვარიანად არის გაცილებული ჩვენი წარმოდგენით პირველმეორე კლასებს! ნახეთ: დედაქალაქში და ზოგ დიდ ქალაქში არსებობს სკოლამდელი განათლების პროგრამა ბავშვის გონებრივ, სოციალურ-ემოციურ, შემოქმედებით და ფიზიკურ განვითარებას. აღნიშნული პროგრამა სკოლამდელი განათლების ფინურ მოდელს ეყრდნობა. ამ პროგრამის ფასი რამდენიმე ათასი დოლარია. რაც მთავარია, “ფრესქულს“ ორი - ინგლისური და ქართული სექტორი აქვს და თქვენ თვითონ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ქართულ სექტორზე იქნება მეტი კონკურსი, თუ ინგლისურზე. ახლა “ფრესქულ“ გავლილი ბავშვი სკოლაში რომ მოდის, მას პირველივე კლასში ინგლისურის სწავლება ხვდება. ეს კი სერიოზული დარღვევა, საერთაშორისო გამოცდილების უგულვებელყოფაა. ეროვნული სკოლის ფუნდამენტური ამოცანაა ბავშვის ცნობიერება და უნარები განავითაროს მშობლიური ენის ბაზაზე. როცა ეს ასე არ ხდება, მინიმუმ, ეროვნულ განათლებაზე ლაპარაკი ზედმეტია. მოდით, დღევანდელი ბავშვისაგან ერთგვარ ტაქტიკურ დისტანცირებას მივმართოთ (თუმცა დღევანდელი პრობლემა იმ ძველთან მართლაც რა შესადარებელია!). ჩემს ახალგაზრდობაში დიდ ქალაქებში რუსული სკოლები იყო პრესტიჟული, პირველ რიგში, განსაკუთრებით ნომენკლატურული ოჯახებისთვის. ჰოდა, ცნობილი

იყო რუსული სკოლადამთავრებული ახალგაზრდების პრობლემაც - ვინმეს რამეს თუ ვერ გააგებინებდნენ ან ქცევაში შეეჭვდებოდნენ, ირონიით იტყოდნენ, რუსული სკოლა ხომ არა აქვს დამთავრებულიო! ერთი სიტყვით, თავად საზოგადოებაც ხვდებოდა და ხვდება, რომ ენა პიროვნების მენტალობას აყალიბებს. მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ნაცნობებს ეძებს საკუთარი ბავშვის “ფრესქულში“ და ინგლისურ ან გამლიერებული ინგლისური სწავლების სკოლაში “მოსაწყობად“...

- ჩვენ, უპირველესად, ქართველი ბავშვი უნდა გავზარდოთ. კი ბატონო, მას უნდა ჰქონდეს ფართო განათლება - უცხო ენების ცოდნა, საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის უნარები, მაგრამ ის ქართველი უნდა იყოს. თუმცა, როგორ გაიზრდება ბავშვი ქართველად მშობლიური ენის არცოდნის გარეშე?!

ეროვნულ სკოლაში ქართული ენა არ არის მხოლოდ მშობლიური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო. ქართული ეროვნული სკოლის სწავლების ენაა და ქართული ენის მასწავლებელი არის ნებისმიერი საგნის სახელმძღვანელო. ტრადიციულ სკოლაში მშობლიური ენის სიწმინდეს ქართული ენის საგნის პედაგოგებზე არანაკლებ იცავდნენ მათემატიკის, ისტორიის, ქიმიის და სხვა საგნების პედაგოგები, რომლებიც ჩინებულად მეტყველებდნენ და ბარბარიზმებს არანაკლებ ედგნენ დარაჯად. დიახ, ისინი იმ უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში იყვნენ აღზრდილი, სადაც ქართული სახელმწიფო ენა მოვლილი და დაფასებული იყო...

ამდენად, ეროვნული სკოლის შენარჩუნების მთავარ პირობად საგანმანათლებლო პროცესში ქართული ენის ტრადიციული ადგილისა და ფუნქციის დაბრუნება უნდა დავისახოთ.

- კარგი ქართული სახელმძღვანელო, საფუძველშივე, მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მიერ უნდა შეიქმნას, ამ პროცესს სათავეში უმაღლესი რანგის მეცნიერები უნდა ედგნენ. ამის გარეშე სასურველი შედეგების მიღწევა საეგებოა. დღეს მაინც, ამ მწარე გამოცდილების ფონზე, ყველასთვის უნდა იყოს თვალსაჩინო, რომ მეცნიერების განვითარება, საუნივერსიტეტო განათლება და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ერთი უწყვეტი ჯაჭვია; ამ სისტემის რღვევის შედეგია ის, რომ თანამედროვე სახელმძღვანელოების ნაკლებობაა უმაღლეს სასწავლებლებშიც, რასაც ყურადღება გაამახვილა პრემიერმა. ასეა: ჩვენი დედაუნივერსიტეტის გამოცდილებაც კარგად აჩვენებს, რომ მაღალი დონის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნის პირობაა მაღალი კვალიფიკაციის მეცნიერი, ხოლო საგნის სასკოლო სახელმძღვანელოს წინაპირობაა აღნიშნული საუნივერსიტეტო მაღალკვალიფიციური კურსი. შესაბამისად, მეცნიერების მოშლა, რაც წარმატებით განხორციელდა, მეორე დღესვე ურტყამს საუნივერსიტეტო სწავლებას, ხოლო მესამე დღეს სასკოლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს. დიდად სამაყოა, რომ დედაუნივერსიტეტის დამფუძნებელმა დიდმა

მეცნიერებმა ერთი საუკუნის წინ ისეთი დონის სახელმძღვანელო წიგნები შექმნეს, რომლებიც დღესაც კი შეუცვლელია, მაგარამ ეგვევ ფაქტი სულაც არ მეტყველებს ჩვენი თანამედროვეობის სასარგებლოდ. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენ ვერ ვპასუხობთ იმ თანამედროვე მოთხოვნებს, რომელსაც ჩვენ წინაშე ზემოდასახელებული ციფრული ეპოქის ახალი თაობა აყენებს... ამიტომაც დიაღაც საკითხავია: მათ არ ესმით ჩვენი, თუ ჩვენ ვერ გაგვიგია მათი?!..

საგნობრივი პროგრამებისა და სახელმძღვანელოების კუთხით ვითარებას სწორედ მეცნიერების მდგომარეობა ამძიმებს. გასული ერთი საუკუნის განმავლობაში და, მათ შორის, 90-იანი დამოუკიდებლობის პირველ წლებში, მხოლოდ ჩემი პროფესიული სფერო რომ ავიღოთ, ორი ძლიერი ენათმეცნიერული სკოლა იდგა პირისპირ - საუნივერსიტეტი (აკაკი შანიძის) და საინსტიტუტო (არნოლდ ჩიქობავასი), რომელთა ხედვები განსხვავებული იყო. თითოეული ამ სკოლის შიგნით კიდევ იყო განსხვავებული მეცნიერული ჯგუფები. ასე რომ, მაშინ სახელმძღვანელო წიგნებზე მუშაობისას სერიოზული კონკურენცია არსებობდა. ახლა კი სერიოზული პრობლემაა ის, რომ არათუ კონკურენტული ჯგუფები, არამედ ისეთი კვალიფიციური გარემოს შემოკრება ჭირს, რომელშიც ნორმატიული გრამატიკის თანამედროვე პრობლემებს გადავწყვეტდით!.. ამის გათვალისწინებით ალბათ ობიექტურად გამართლებულიც არის ის გადაწყვეტილება, რომ საგანში კონკურენტული სახელმძღვანელოები კი არ იყოს, არამედ ერთადერთი და უალტერნატივი...

აქვე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო: ჩვენ, როგორც მცირერიცხოვანი ერი და სახელმწიფო, არ შეიძლება გულგრილად ვუყურებდეთ ტექნოლოგიური პროცესების ფაქტობრივ უკონტოლო ზეგავლენას, იმას, რის გამო ევროპის მოწინავე ქვეყნებიც განგაშს ტეხენ. მაგალითად, საფრანგეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ 14-წლამდე ბავშვებში სოცქსელების გამოყენება უნდა შეიზღუდოს. იქვე, რა ხანია, ბავშვებს სკოლაში მობილურის შეტანა აუკრძალეს და მისთ. ჩვენ კი თითქოს არც ვიმჩნევთ, რომ ლამის მთლიანად „შეისრუტა“ მობილურმა ჩვენი ოქროს მომავალი...

- დიახ, ამიერიდან ქართულ ენას როგორც დამოუკიდებელ საგანს, გამოეყოფა კვირეული ორი საათი და, ასევე, ცალკე შეფასდება.

როგორი უნდა იყოს ქართული ენის სახელმძღვანელო? ამ კუთხით პრობლემა ბევრია. ამ მეოთხედი საუკუნის წინ, როდესაც ქართული ენის ახალი სახელმძღვანელოს შედგენა პირადად დავიწყე, მთავარ ამოცანად დავისახე, მშობლიური ენის სახელმძღვანელო უცხო ენის სახელმძღვანელოს ასლი არ ყოფილიყო. საბჭოურ პერიოდში ქართული და რუსული ენის გრამატიკა ორივე მეორე კლასიდან ისწავლებოდა. დავსვათ კითხვა: რით განსხვავდებოდა რუსული ენის გრამატიკის სწავლება ქართულისგან?! - ფაქტობრივ, არაფრით. არადა, უცხო ენის

გრამატიკის სწავლება სრულიად სხვა ამოცანაა, ვიდრე მშობლიურისა. ეს იმიტომ, რომ უცხო ენის გრამატიკა, როგორც ჩვენი მასწავლებლები ამბობდნენ, რუკაა უცხო ქალაქში გზის გასაგნებად, მშობლიური ენის გრამატიკა კი მემკვიდრეობით ეძლევა ადამიანს, ის გრამატიკულად იდგამს ენას. ერთ მაგალითს მოვიყვან: სამი-ოთხი წლის ბავშვი უკვე გრამატიკულად მეტყველებს. მაგალითად, მას თუ შეეკითხები: რომ დაგავალე, თუ დახატეო, წმინდა ქართული კონსტრუქციით გიპასუხებს: არ დამიხატავსო (და არა - არ დავხატეო). ახლა პედაგოგს რომ ჰკითხოთ, - რომელ კლასში შეიძლება ბავშვს ასწავლოთ, რომ უარყოფით ნაწილაკთან 1-ლი თურმეობითის საუღლებელი ერთეული უნდა გამოიყენოს და არა წყვეტილი, გიპასუხებთ, - ალბათ მერვე კლასშიო. აბა, რა სამსახურს გაუწევს მერვე კლასში “ნასწავლი“ უკვე მოზრდილ ბავშვს, რომლისთვისაც ეს “წესი“ სკოლამდეც კი ავტომატური ცოდნა იყო. ამიტომაც ჩემი მთავარი დებულება კონცეფციის შედგენისას იყო ის, რომ მშობლიურისა და უცხო ენის სწავლების ამოცანა სხვადასხვაა. ანუ სახელმძღვანელოები სხვადასხვა პრინციპით უნდა შეიქმნას.

ამის გათვალისწინებით მშობლიური ენის გრამატიკის კურსი არაერთ ცვლილებას გულისხმობდა ცნებებისა და კატეგორიების მიწოდებაში, სტრუქტურების აგებაში...

გასული საუკუნის 80-90-იან წლებში ჩვენმა ფსიქოლოგებმა რამდენიმე თემა დაამუშავეს ამ მიმართულებით. მაგალითად, როგორ აღიქვამენ ასაკობრივად ბავშვები ცნებებს: ზმნა, არსებითი, ზედსართავი და სხვა. აღმოჩნდა, რომ ტერმინს “ზმნა“ 10-ჯერ უფრო წარმატებით ითვისებენ, ვიდრე შემასმენელს. ასევეა სხვა ცნებებთან დაკავშირებითაც; ამიტომაც სერიოზული ამოცანაა ცნებითი უზუსტობებისა და გაორებათა დაძლევა, ენობრივი მასალის წარმოდგენა სისტემურ შემეცნებით ობიექტად... იმიტომ, რომ ზმნა პირდაპირ საწყისის ფორმაა - ქმნასთან არის დაკავშირებული,

- ისევ გამოჩნდა იდეა, რომ ქართულის ახალი სახელმძღვანელო ენის სწავლების ბრიტანულ მოდელს დაეფუძნოს, რაც გულისხმობს იმას, რომ საგაკვეთილო პროცესი ემყარება რაიმე ტიპის ტექსტს (ლიტერატურულს, პუბლიცისტურს...) და გრამატიკული ანალიზი ამ ტექსტის დამუშავების ერთ-ერთი ასპექტია. ეს იდეა უცხოელმა ექსპერტებმა შემოგვთავაზეს ჯერ კიდევ 2000 თუ 2001 წელს, ალ. კარტოზიას მინისტრობისას; ჩამოსული იყო ამერიკელი ინდოელი ჰიტენდრა პილაი, რომელაც სასკოლო რეფორმა წარმატებით ჰქონდა დანერგილი ავსტრალიაში. მან საგნების სწავლების მოდელები გაგვაცნო და ენის სწავლებისთვის ბრიტანული მოდელი შემოგვთავაზა. ამ იდეაზე უარი ვუთხარით შემდეგი არგუმენტით (დასაბუთება პირადად შევადგინე): სკოლა, საზოგადოება ამ ცვლილებას არ მიიღებს, რადგან საქართველოში ლიტერატურა და ისტორია ეროვნული იდენტობის გამოხატულებად იყო მიჩნეული კომუნისტური რეჟიმის დროს და ლიტერატურის

ტრადიციული კურსის უარყოფა საზოგადოების სამართლიან რეაქციას გამოიწვევდა. ექსპერტმა საფუძვლიანად მიიჩნია ჩვენი დასაბუთება და ტრადიციული სისტემა შენარჩუნდა. მაგრამ, მოგეხსენებათ, შემდეგ ნაციონალების მიერ შემოთავაზებულმა საგნობრივი ინტეგრირების ფორმამ დაშალა ეს სისტემა. გამოდის, რომ ამჯერად კიდევ ერთხელ ვუბრუნდებით ტრადიციულ სქემას. ახლა სტანდარტული სახელმძღვანელო იქმნება, ოღონდ პრაქტიკული გრამატიკის ფორმით.

სიახლე ისაა, რომ ქართული ენა და ქართული ლიტერატურა ცალ-ცალკე საგნებად იქნება, ნიშანიც ცალკე დაიწერება, რაც წინგადადგმული ნაბიჯია. რამდენად შედეგიანი იქნება ეს სიახლე, გარკვეული დროის შემდეგ გამოჩნდება.

- დღეს ბევრი წუხს იმაზე, რომ საკანონმდებლო ორგანოსა თუ ჟურნალისტურ წრეებში ქართული სიტყვა იშვიათად ისმის. ბავშვები ერთმანეთს, ძირითადად, ინგლისურ ენაზე ესაუბრებიან და არა მშობლიურზე. ამ პრობლემას რა ეშველება? - ეს გლობალური პროცესია. ეროვნულმა სკოლამ ეს პრობლემა უნდა დაძლიოს. ბარბარიზმები საგნებიდანაც შემოდის, იგივე, საგანმანათლებლო ლექსიკონით, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დაზიანებული ლექსიკონია. ასე რომ, საგნებისთვის კარგი ქართული სახელმძღვანელოების შექმნა უნდა შევძლოთ. ჩვენ, რა თქმა უნდა, ტექნოლოგიური პროცესებიდან ბავშვებს ვერ გამოვთიშავთ და მით უფრო სასიცოცხლო ამოცანაა, რომ, სანამ ისინი სრულწლოვანნი გახდებიან, მათში გამართული ქართული ჩავნერგოთ...

- ბატონი მ. ფირცხელანის მიერ დასმულ კითხვასთან დაკავშირებით მოკლედ შემდეგს აღვნიშნავ: ქართველური ენები და დიალექტები, ასევე, ჩვენი ეროვნული ენის სიმდიდრე, მისი ცოცხალი ქვესისტემებია. ქართველური ენები ნამდვილად ჩვენი ეროვნული საგანძურია. ეს ენები არქაული მოვლენების საბადაოა, უმდიდრესი ლექსიკითა და გრამატიკული აგებულებით. ის ჩვენი ეროვნული ენობრივი საგანძურის ნაწილია. მეგრული და სვანური ენების დასაცავად გულგრილი დამოკიდებულება არ შეგვფერის. ამ ენების წარმომადგენლებთან ამ პრობლემის შესახებ ბევრჯერ გვისაუბრია. მცირე ენობრივი ჯგუფები განსაკუთრებული დარტყმის სამიზნედ აქცია გლობალიზაციის ულმოებელმა შემოტევამ. გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ ენობრივ ერთეულებს საერთაშორისო კონვენციები იცავს, მაგრამ ჩვენ მათი შემახილი არ გვჭირდება, რადგანაც ეს ჩვენი საგანძურია და ჩვენვე უნდა ვიზრუნოთ. დიდი გულისტკივილით გეტყვით, რომ რაკი ჩემი მშობლიური კუთხე, ხევსურეთი, მოსახლეობისგან დაიცალა, ხევსურული დიალექტი ფაქტობრივად არსებობს, რაც ეროვნული ენისთვის ძალიან დიდი დანაკლისია.

ასე რომ, ამ ენებისა და კილოების შენარჩუნება სერიოზული პრობლემაა. ნამდვილად ბევრი რამ კეთდება ქართველური ენობრივი საგან-

ძურის შესწავლის თვალსაზრისით; ასევე - საკანონმდებლო თვალსაზრისით. სახელმწიფო ენის კანონში შესულია საგანგებო პუნქტი, რომელიც ქართველური ენებისა და კილოების მნიშვნელობაზე ლაღადებს სახელმწიფო ენის სიცოცხლისუნარიანობისთვის. შესაბამისი ამოცანები სამომავლოდ, ოღონდ გადაუდებლად, უნდა ჩაიწეროს სახელმწიფო ენის განვითარების ერთიან სახელმწიფო პროგრამაში...

## გიორგი გოგოლაშვილი

### დიალექტური შრეები და ილუზიური დიალექტი (სერიიდან „ენა და მწერალი“)

ცნობილი ამბავია: ენა ცოცხალი ფენომენია. იგი იცვლება დროსა და სივრცეში. დროში ცვლილების შედეგად ვიღებთ ისტორიულ ნაირსახეობებს (პერიოდებს, ეტაპებს – ძველი ქართული, საშუალო ქართული, ახალი ქართული...); სივრცეში ცვლილების შედეგად ვიღებთ დიალექტებს (კახური, ქართლური, ხევსურული, ფშაური, რაჭული, იმერული...). ეს ბუნებრივი ნაირსახეობებია. ვსაუბრობთ ასევე ხელოვნური (არაბუნებრივი) ნაირსახეობის – „ილუზიურ ნაირსახეობის“ ანუ „ილუზიური დიალექტის“ – შესახებ.

რას გულისხმობს „ილუზიური ნაირსახეობა“ („ილუზიური დიალექტი“)? ეს არის „წრმოსახვითი“, „არარეალური“, „სტილიზებული ენა“, „კილოური მეტყველების იმიტაცია“, „ხელოვნური ვარიანტი“ ქართული მეტყველებისა... თითქმის ყველა ეს ტერმინი შეგხვდება სამეცნიერო ლიტერატურაში. ჩვენ ვირჩევთ „ილუზიურ დიალექტს“, „ილუზიურ ნაირსახეობას“...

„ილუზიური“ ენობრივი ფაქტის თვალსაჩინო ნიმუშად მოვიყვანთ ერთ კრიტიკულ წერილში მოხმობილ მაგალითს; ვკითხულობთ: „ჩვენი სასიქადულო მწერლის, ძველი ქართულის დიდი მოტრფიალის კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ მიხედვით გადაღებულ ფილმში გვესმის ასეთი უცნაური ფრაზა: „განიძარცვე სამოსელი დედოფლისა და აღიძარცვე მონაზვნისა“. სრული გაუგებრობაა! აღძარცვა ძველ ქართულში ნიშნავს გახდას, ახდას და არა „შემოსვას“.

სცენარისტმა მოახერხა ამით შეექმნა ილუზია ძველი ქართულისა... როგორი მნიშვნელობითაც უხმარიათ სცენარის მეურვეებს, სამწუხაროა, რომ ეს შეცდომა ბოლომდე შეუმჩნეველი და გაუსწორებელი დარჩენილა“ (ჭუმბურიძე, 1982, გვ. 168)...

„აღიძარცვე“ ამ კონტექსტში ენობრივი თვალსაზრისით საკმაოდ უხეში შეცდომაა („გაიძვრე“ „ჩაიცივს“ ნაცვლად...)... სპეციალისტმა შეამჩნია, მასობრივმა მაყურებელმა – ვერა; მისთვისაც ის მნიშვნელობა აქვს, რა გაგებითაც იხმარა სცენარისტმა; მაგრამ ძველი ქართული რომ არ არის? ილუზიაა ძველი ქართულისა... ნუ ავჩქარდებით და ნუ ვიტყვით, მერე რაო...

ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა, როცა ავტორი ქმნის ილუზიურ ფორმებს; რაც მთავარია, ეს არ არის გამიზნული ილუზია... ეს ძველი ქართულის უცოდინრობით შექმნილი ილუზიური ფორმაა...

1968 წელს ჟურნალ „ცისკარში“ (N4) ენათმეცნიერმა **არლი თაყაი-შვილმა** წამოიწყო დისკუსია თემაზე „ენა ძველი, ენა ახალი“ (თაყაიშვილი 1968). ამ პოლემიკამ აჩვენა, რომ მთარგმნელთა ერთი ჯგუფისთვის, ე. წ.

„არქაისტებისათვის“, „დამახასიათებელია არქაიზმის მძაფრი განცდა, ძველი ქართულისაკენ დაბრუნების დაუოკებელი სურვილი. ეს ენობრივი პრინციპი წითელი ხაზით გასდევს მათ მშვენიერ თარგმანებს“... და, ეტყობა, საკმაოდ ხშირია ზემომოყვანილი მაგალითის მსგავსი შემთხვევები: მთარგმნელები არაიშვიათად ძველი ქართულის მიმსგავსებული ფორმებით ქმნიდნენ ძველი ქართულის ილუზიას...

ვფიქრობთ, ასეთივე ილუზიურია იმ ფორმათა დიდი ნაწილი, ანტონ კათალიკოსი და მისი სკოლის მწიგნობრები რომ გამოიყენებდნენ „მაღალი სტილისათვის“; ვწერდით ერთგან: „ახალი ქართულის ენობრივი სინამდვილე ახდენს გავლენას ანტონზე: იგი ახალი ქართულის სემანტიკურ-ფუნქციური პოზიციებიდან უყურებს ძველი ქართულის ფაქტებს“ (გოგოლაშვილი 2010, 47), რაც ხდება საფუძველი ილუზიისა...

ეს იყო მაგალითი არქაული მეტყველების (ძველი ქართულის) ილუზიისა, ანუ **„ილუზიური არქაიზმისა“**...

ჩვენ ვისაუბრებთ **„ილუზიური დიალექტიზმის“** შესახებ. ერთ საინტერესო მაგალითს მოვიყვან:

ილიასდროინდელ კახურში მრავალგზისობის გამოსახატავად რამდენიმე ენობრივი შესაძლებლობაა (ხოლმეობითის მწკრივი, „ყე“ (კე) ნაწილაკი, „ხომე“ ნაწილაკი...), მაგრამ გლახა ჭრიაშვილის მეტყველებაში ილია ჭავჭავაძე გამოიყენებს ლიტერატურული „ხოლმე“ ნაწილაკის ფონეტიკურ ვარიანტს **„ხვალმე“**.

„კიდონ ბატონი **წამცდება ხვალმე**“,

„ყველაფერს მალე **დავიჯერებთ ხვალმე**“... (გოგოლაშვილი 2024).

რა ფორმაა „ხვალმე“? **ხვალმე** არ ჩანს ბუნებრივი ფორმა; დიალექტოლოგიურ ტექსტებში თუ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ფორმა ვერსად დავადასტურეთ... მაგრამ იგი აშკარად ქმნის გარკვეული დიალექტური მეტყველების ეფექტს... ამ ფორმას, ცხადია, მიზანმიმართულად ქმნის მწერალი: ჭრიაშვილი ცდილობს, „განათლებული“ კაცის შთაბეჭდილება დატოვოს; გავიხსენოთ მისი ფრაზები: **„განაზაკონის კანონი ჩვენ კი არ ვიცით... ლამაზად კი დავიწყე... ჩვენს სოფელში სიტყვაპასუხიანს კაცს მეძახიან...“** და „ხვალმეთი“ („ხოლმე“ იმ დროისათვის წიგნური ვარიანტია) ცდილობს ლაპარაკს... ილუზია განათლებული საუბრისა „ილუზიური დიალექტიზმის“ მოშველიებით!..

ილუზიური „ხვალმეს“ შექმნის საფუძვლის დაძებნა ძნელი არ იქნება: ილიასთვის „კარგად ნაცნობ“ მოხეურში დადასტურებული ფორმების ანალოგია ჩანს: გივარგი (< გიორგი), ვანისე (< ონისე), ვართთი (< ორთთი), მინდვარი (< მინდორი) (ქავთარაძე 1985)...

\*\*\*

საინტერესოდ გვეჩვენება მხატვრულ ლიტერატურაში „ილუზიური დიალექტიზმების“ შემოტანის (გამოყენების) პრინციპი. ამ მოვლენისადმი მწერლის მიდგომა ორგვარი შეიძლება იყოს: ა) ილუზიური ფორმები იქმნება გამიზნულად; ბ) ილუზიურ ფორმებს ვიღებთ უნებურად (ანუ: მწერალს სურს ნამდვილი დიალექტური ვარიანტის გამოყენება, მაგრამ რეალურის სიღრმისეულად არცოდნის გამო ვიღებთ დიალექტურთან მიმსგავსებულ, „ილუზიურ“ ფორმას)... ასეთ ფაქტად მივიჩნევთ:

\*\*\*

1926 წელს მიხეილ ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა რომანი „თეთრი საყელო“. სკანდალური გამოდგა ეს პუბლიკაცია. ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ქეთევან ჯავახიშვილი (ქ. ჯავახიშვილი 2000 წ.). გვიამბობს, რომ „თეთრმა საყელომ“ დიდი აურზაური გამოიწვია ხევსურეთში. ორი რამ გახდა უკმაყოფილების მიზეზი: რის შესახებ წერს მწერალი და როგორ წერს. ანუ: ერთი მხრივ, როგორ აღწერს ხევსურულ ყოფას, ადათ-წესებს და, მეორე მხრივ, როგორი სიზუსტით წარმოადგენს ხევსურულ დიალექტს. 1927 წელს გამართულა „სრულიად საქართველოს საბჭოთა მეოთხე ყრილობა“. საქართველოს მთავრობის ანგარიში წარუდგენია შალვა ელიავას. გაზეთი „კომუნისტი“ ბეჭდავს ამ ანგარიშსაც და გამომსვლელთა სიტყვებსაც. ყრილობაზე სიტყვით გამოსულა „ამხ. ნაროზაული (ხევსურეთი)“ (ასეა გაზეთში). ხევსურეთის საყოფაცხოვრებო და კულტურულ პრობლემებზე საუბრის შემდეგ „ამხ. ნაროზაული“ ამბობს: „ქართველ განათლებულ საზოგადოებას ყალბი წარმოდენა აქვს ხევსურეთზე და სრულებით არ იცნობს მას. ზოგიერთ ქრთველ მწერალს აუღია და სწერს თავის ნაწარმოებში, რაც იცის და არ იცის. აი, მაგალითად, მწერალ ჯავახიშვილს დაუწერია „თეთრი საყელო“, რომელიც ერთი მეოთხედიტაც არ შეეფერება სინამდვილეს. ამ წიგნმა ხევსურეთში დიდი აღშფოთება გამოიწვია. უკეთესი იქნებოდა, ასეთ მწერალს მთავრობა მელანს გადაუღვრიდეს. (...) თუ მას აინტერესებს ხევსურეთის ცხოვრება, უკეთესი იქნება ამოვიდეს ხევსურეთში. აქ მას გაურეცხავენ მის საყელოს“. ყრილობა ტაშს უკრავს ნაროზაულს...

შევნიშნავ: მ. ჯავახიშვილი აზუსტებს (თავის ჩანაწერში): ბოლო წინადადება სტენოგრამაში ასე იყო: „უკეთესი იქნება, ასეთი მწერლები ამოვიდნენ ხევსურეთში და გაურეცხავდნენ მათ ჭუჭყიან საყელოს და განათლებას შეიტანდნენ მათში“...

პარტიულ ყრილობაზე ასეთი გამოსვლა დასმენის ტოლფასი იყო... ამით დაიწყო... ჟურნალ „მნათობში“ ვინმე ალექსი ოჩაძეს მიუტანია წერილი „თეთრი საყელოს“ შესახებ. ოჩაძე მოითხოვდა, მწერალმა ხევსურთა „ზნე-ჩვეულების, ენისა და თავმოყვარეობის შელახვისათვის“ პასუხი გასცეს მკითხველსო... ნ. მიწიშვილის ინიციატივით რედაქციამ მწერალს პასუხი დააწერინა; სურდათ ერთად დაებეჭდათ ოჩაძისა და

მწერლის წერილები, მაგრამ, ეტყობა, გადაიფიქრეს: მ. ჯავახიშვილის პასუხი არ დაბეჭდეს... ეს წერილი არქივმა შემოგვინახა.

მწერალი იძულებულია, განმარტოს, რატომ შეარჩია ეს თემა და რა წყაროებს ემყარებოდა რომანის წერისას; ასახელებს ეთნოგრაფებისა და ენათმეცნიერების ნაშრომებს. მწერალი განმარტებას აკეთებს რომანის თემატურ-შინაარსობრივი მხარის გამოც. „მნათობის“ რედაქტორისათვის, ვალია ბახტაძისთვის, მიუწერია: „თქვენმა შენიშვნებმა „თეთრი საყელოს“ შესახებ ერთხელ კიდევ ჩამაფიქრა. (...) მე შედარება მინდოდა პრიმიტივისა და კულტურისა, სამუალო საუკუნეების კარჩაკეტილობის და დღევანდელი კარლიაობისა, განდევილობის და ქალაქის სოციალობისა, ცოცხალი რომანტიკისა და მიწა-ქალაქის რეალობისა. (...) რაკი პრიმიტივს დავუწყე ძებნა საქართველოს არეში, ძალაუნებურად ან სვანეთი უნდა ამელო, ან ხევსურეთი. რაკი ხევსურეთს მივადექი, იგი უნებურად უნდა შემეღება რომანტიკული საღებავით, ვინაიდან ხევსურეთი პირწავარდნილი რომანტიკა გახლავთ: ზნე-ჩვეულებანი, ლეგენდები, ტრადიციები, გმირული სული...“ (მ. ჯავახიშვილი 2001, 630).

მწერალს ბოდიშის მოხდა მოუწია ხევსურული კილოს არასწორი ფორმების გამოყენების გამოც. პირად წერილში მიუწერია ვინმე ლადო ხევსურისათვის (ფსევდონიმია): „ზოგი რამ მართლა დამახინჯებულია. კილოკავი დავაგონჯე, მაგრამ მეორე გამოცემაში გავასწორე“ (წერილი ინახება პირად არქივში: (ქ. ჯავახიშვილი 2000, 193)...

არ შველის ბოდიში და განმარტება... თითქოსდა ენობრივ ნიადაგზე წარმოქმნილი საკმაოდ უსიამოვნო კონფლიქტი კარგა ხანს გაგრძელდა. ეს საინტერესო ფაქტია, მაგრამ არის კი საფუძველი მწერალსა და მკითხველს შორის წარმოქმნილი დაპირისპირებისა? ჩვენი აზრით, მცდარი დიალექტური ფორმების გამოყენება კონფლიქტის საბაზი უფრო ჩანს, ვიდრე მიზეზი. ეტყობა, მიზეზი „პრიმიტივისა და კულტურის“ შედარება და ჩვენებაა...

რატომ ვფიქრობთ ასე? მოგახსენებთ.

საინტერესო პარალელის გავლება შეიძლება „თეთრი საყელოს“ ხევსური პერსონაჟების მეტყველებასა და ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ პერსონაჟის – ლელთ ღუნias – მეტყველებას შორის.

\*\*\*

ლელთ ღუნias საუბარი არაერთი მკვლევრის ინტერესის საგანი გამხდარა (ვ. გუგუშვილის, ი. ქავთარაძის, ავთ. არაბულის...). ითქვა, რომ ილია ჭავჭავაძემ „ლელთ ღუნias აზრს მისივე ფერი შეუნარჩუნა და სიტყვას – ისეთივე კილო“ (ქავთარაძე 1985, 8); თუმცა აზუსტებენ: „ლელთ ღუნias ენა ხელოვნურია“ და იგი „ძირითადად არ ასახავს მოხეური დიალექტის სპეციფიკურ ნიშნებს“ (არაბული 2013); ლელთ ღუნias საუბარი „არ არის მოხეური მეტყველებისთვის დამახასიათებელი მოვლენა“ (გუგუშვილი 1960). ანუ: ლელთ ღუნია არ საუბრობს მოხეურად... მაშ, რას წარმოადგენს მისი მეტყველება?

ფაქტია, ლელთ ღუნია მოხევეა, „ქართველი ვარ, მახევე!“ – ასე გაგვეცნობა და ასე ემშვიდობება მწერალი: „მიგიხვდი, ჩემო მოხევე“... ილია მის საუბარს მოხეურად „შემოგვასაღებს“... და ჩვენ კი ვამბობთ, არაა ეს მოხეური დიალექტიო... რა ხდება?

„მგზავრის წერილების“ შექმნის (დამუშავების) პერიოდში ილია-დუშეთში მომრიგებელ მოსამართლედ მსახურობდა და ხშირი ურთიერთობა ჰქონდა მთიანეთის სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებთან; ეტყობა, მწერალი აკვირდებოდა, ინიშნავდა და იმახსოვრებდა მათი მეტყველების თავისებურ ფორმებს და გამოიყენებს მოთხრობაში; ამიტომაც **ლელთ ღუნიას საუბარში რამდენიმე დიალექტური ნაკადია შერეული: მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული, ფშაური და ხევსურული...**

ვინც იცნობს აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტთა ვითარებას, დამეთანხმება: ერთი მხრივ, იმდენადაა განსხვავებული და, მეორე მხრივ, იმდენია საერთო ამ დიალექტებში, რომ არაა იოლი გარჩევა, მითუმეტეს „უცხოსაგან“, რა რომელი დიალექტის ფაქტია; მნელია განსხვავების დანახვაც...

და მივიღეთ „შერეული“ დიალექტური ტექსტი... ამ საუბარში გვხვდება „ხელოვნური“ ფორმებიც...

დიახ, აქ კიდევ ერთი საინტერესო შემთხვევა იჩენს თავს; ნაწარმოებში დიალექტიზმების მხატვრული დანიშნულებით გამოყენების მიზნით **ჩნდება ფსევდოდიალექტური, ილუზიური ფორმები...**

**ფსევდოდიალექტური, ილუზიური ფორმების გაჩენის მიზეზი არის ის, რომ ილია არ არის იმ დიალექტის (თუ დიალექტების) წარმომადგენელი...**

სხვაც შეიძლება თქმულიყო, მაგრამ ამ დასკვნისათვის საკმარისია: დღემდე არავის უთქვამს, რომ **ამით რაიმე დაშავდა**; საუბარი მხოლოდ იმის შესახებ გაიშალა, ეს მწერლური ხერხი რამდენად ეფექტურია...

კითხვა: არის თუ არა მისაღები ანდა გაზიარებული ამგვარი ხერხი, ანუ: **დიალექტურობის ილუზიის შექმნა ფსევდოდიალექტური ფორმებით?**

ილია ჭავჭავაძის შემთხვევაში ამას პრობლემა არ შეუქმნია, მაგრამ მიხეილ ჯავახიშვილის ვითარება კი საგანგებოა (სამსჯელო გახდა); მხედველობაში გვაქვს „თეთრი საყელო“.

„თეთრ საყელოს“ შემთხვევამ კითხვა ასე დაგვასმევინა: როცა მწერალი გამოიყენებს დიალექტიზმებს მხატვრული დანიშნულებით, რამდენად მნიშვნელოვანია, ეს იყოს რეალური (სწორი, ნამდვილი) დიალექტური ფორმები... დასაშვები არის თუ არა მხატვრულ ნაწარმოებში დიალექტური მეტყველების ილუზიის შექმნა მიმსგავსებული ფორმებით? (დაახლოებით ისეთი, როგორცაა „ლელთ ღუნიას მოხეური“). ამგვარი კითხვა არქაიზმების მიმართაც შეიძლება დაისვას... ფაქტია: ზემოთმოყვანილი ილუზიური არქაიზმის მაგალითის ავტორებისთვის ილუზია მიუღებელია...

საკითხს ამგვარადვე სვამს მკვლევარი **ნოდარ არდოტელი**, რომელიც გურამ რჩეულიშვილის პროზაზე საუბრისას წერს: „მწერალს, მისი მთაში ხშირი სტუმრობიდან გამომდინარე, ხევსურული კილოს საკმარისი ცოდნა მოეპოვება, რაც მის მოთხრობებშიც თვალნათლივ მჟღავნდება. მიუხედავად ამისა, დიალექტურ ფორმათა სიზუსტის თვალსაზრისით, მწერლის მოთხრობებში აქა-იქ თავს იჩენს უზუსტობანი. ცხადია, ამ შემთხვევაში კოლორიტული ტიპების დახატვა სრულყოფილი ვერ იქნება, რადგან უზადო პერსონაჟი ენობრივ და ცნობიერებით მხარეებსაც გულისხმობს“ (ცსარგებლოლთ ხელნაწერი ნაშრომით)... ეს ამ მკვლევრის თვალსაზრისია...

ჩვენ ჩვენსას ვიტყვით...

\* \* \*

ფაქტია: არც ლელთ ღუნიას და არც „თეთრი საყელოს“ პერსონაჟთა მეტყველება არ არის ნიმუში ქართული ენის კონკრეტული დიალექტისა; ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს „ილუზიურ ნაირსახეობასთან“ (მეტნაკლები მსგავსებით ნამდვილ დიალექტთან). ორივე შემთხვევაში მწერალი არქმევს (მიმართავს) იმ დიალექტს, რომლის წარმომადგენელიც არის თავად პერსონაჟი და არა მწერალი... ერთ შემთხვევაში ამან შესაბამისი დიალექტის წარმომადგენელთა რისხვა გამოიწვია, მეორე შემთხვევაში ამ ფაქტისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ... ვთქვით მიზეზი: „თეთრ საყელოში“ **„დიალექტის დაგონჯება“ საბაბი იყო...** კიდევ ერთი არგუმენტი ამის დასტურად:

კონსტანტინე გამსახურდიამ მოთხრობაში „ხოგაის მინდია“ ხევსურული დიალექტის ფაქტები გამოიყენა: „სწორედ ამ წუთში თვალი დააფახულა და დაიკვნესა ხოგაიმ:

„სანთელი!“

„ვაჰმე, ხოგაი!“ (...)

„ხრმალი!“ (...)

„მახკალით!“

დაიხროტინა ხოგაიმ“.

ანდა: „წამადით, წამადით, ოჟკაცნო, ვისაც გინდათ, უფასო ას, ფასს არავინ გამოგართომთ!“ და ა. შ.

როცა ვამბობ, მიხეილ ჯავახიშვილის შემთხვევა საგანგებოა-მეთქი; აი, რას ვგულისხმობთ: **„თეთრ საყელოში“** და კ. გამსახურდიას **„ხოგაის მინდიაში“** ხევსურული დიალექტის გამოყენება **ერთნაირად არის შეფასებული**, როგორც „სტილიზაცია, ანუ კილოურად მეტყველების იმიტაციის შექმნა“ (არაბული 2013, 197). შეფასება - ერთნაირი, ბედი - სხვადასხვა.. მ. ჯავახიშვილი „თეთრ საყელოს“ წერს 1926 წელს; კ. გამსახურდია „ხოგაის მინდიას“ - 1937 წელს. პირველმა შემთხვევამ სერიოზული პრობლემა შექმნა; მეორემ - ნაკლები (უფრო სწორად, არანაირი)... საკითხი დიალექტიზმებთან მიმართებითაც სხვადასხვაგვარია: „ხოგაის მინდიას“ შემთხვევაში არ საუბრობენ

იმის შესახებ, რამდენად სწორად არის წარმოდგენილი ხევისურული დიალექტი... ასე რომ, „თეთრი საყელო“ განცალკევებით დგას...

ანალოგიურ შემთხვევას გავიხსენებ: ერთმა დასავლური წარმოშობის მწერალმა მოთხრობა დაწერა სიღნაღში ჩამოსახლებულ ამერიკელ მხატვარზე... იუმორისტულ (უფრო ირონიულ) სტილში იყო გადაწყვეტილი... ჭარბად იყო გამოყენებული დიალექტური ფორმები... გაუნაწყენდნენ ავტორს და ადგილობრივ გაზეთში ვრცელი წერილი დაიბეჭდა: მწერალმა შეურაცხყოფა მოგვაყენა, დაამახინჯა კახური მეტყველებაო...

კი, ნამდვილად იყო მცდარი დიალექტური ფორმები, მაგრამ აქაც ირონია ვერ აიტანეს, დაცინვად მიიღეს... ნოველაში კი ნამდვილად „ილუზიური ქიზიყური“ იყო... მან წარმატებით შეასრულა მხატვრულ-სტილისტური დანიშნულება... მაგრამ... ამან ვერ უშველა – მწერალი შერისხეს...

ამ მსჯელობის შემდეგ ლოგიკურია დავსვათ კითხვები:

**გამართლებული არის თუ არა კონკრეტული დიალექტის გამოყენების სურვილის შემთხვევაში „ილუზიური“ ფორმების შემოტანა (თუნდაც გაუმინჯავად)? და რას ცვლის ეს ნაწარმოებში მხატვრული თვალსაზრისით?**

ამ კითხვებზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა გაჭირდება, თუკი არის შესაძლებელი საერთოდ...

მოდით, ვინც დიალექტურ ფორმათა სიზუსტეს ითხოვს, კითხვა ასე შევუბრუნოთ: საერთოდ, არის კი შესაძლებელი მხატვრულ ნაწარმოებში დიალექტური თავისებურებანი ზუსტად აისახოს? ცხადია, – არა. ზოგი დიალექტისთვის დამახასიათებელია ისეთი მოვლენები, როგორცაა: ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლე, უმლაუტი, მაგარი შემართვა-დამართვა; ბგერები *ჲ*, *ჳ*, დიფთონგები... ამ ენობრივი ფაქტების შემოტანა სალიტერატურო ენაში ვერ მოხერხდება; სამწერლობო ენის ორთოგრაფია ამის უფლებას არ მისცემს... ასე რომ, მწერალი სიზუსტეს მაინც ვერ დაიცავს, ამიტომ რაც არ უნდა მოინდომოს, სანახევროდ ილუზია გამოდის... ამის კარგი მაგალითია ეთერ თათარაიძის მშვენიერი პოეზია... ამ ვითარებაში „დიალექტის დაგონჯება“ გარდაუვალია...

აქ ისე გამოვიდა, ილუზიურად მივიჩნიეთ ის შემთხვევა, როცა მწერალი მხატვრულ-სტილისტური მიზნით მიმართავს მისთვის არამშობლიურ დიალექტს; საჭირო დიალექტისათვის, მცდარი, არანორმატული (იგულისხმება დიალექტური ნორმა), არაბუნებრივი ფორმები მივიჩნიეთ ილუზიურად...

\*\*\*

სხვა შემთხვევაც გვაქვს: მწერლის მიერ გამიზნულად შექმნილი წარმოსახვითი „ნაირსახეობისა“. ამის სანიმუშო მაგალითად შეიძლება დაგვესახელებინა „ჯაყო ჯივაშვილის ქართული“. ეს ვარიანტი ილუ-

ზიური ნაირსახეობისა უნიკალურია ქართულ მწერლობაში. ძნელი სათქმელია, როგორ ლაპარაკობდა ჯაყოს პროტოტიპი და რა აიღო მისგან მწერალმა, მაგრამ ფაქტია:

„ჯაყოს ენა“ არის კარგად გააზრებული, გულმოდგინედ დამუშავებული „ილუზიური ნაირსახეობა“ ქართულისა. ქართული ენის „ფანატიკოსი“ (ერთგან ასე მოიხსენიებს თავის თავს მწერალი), ეტყობა, საგულდაგულოდ ქმნის „ჯაყოს ქართულს“; მიაგნო მთავარ ნიუანსს, პრინციპს; გაუჩინა „კანონზომიერება“; „სისტემურობა“ მისცა ჯაყოს მეტყველებას.

მ. ჯავახიშვილმა ძირითადი აქცენტი ზმნაზე გადაიტანა. ორი მთავარი „წესი“ შეიმუშავა მწერალმა „ჯაყოს ენისა“:

1. დიალოგში ჯაყო მეორე პირის ფორმებს გამოიყენებს პირველი და მესამე პირებისთვისაც...

2. აწმყო-მყოფადისა (რას ვშვრები?.. რას ვიზამ?..) და წყვეტილის (რა ვქენი?..) მწკრივებს „ჯაყოს ენაში“ ენაცვლება პირობით-ხოლმეობითი ან პირველი კავშირებითი (რას ვიზამდი? რას ვიზამდე?) მაგალითები ტექსტიდან:

**პირთა მონაცვლეობა:**

**პირველი პირის ნაცვლად – მეორე:**

ასეთი ჩერვონცები დაგაგროვე და დაგაგროვე....(დავაგროვე)

ამ ბნელაში გზას ვერ იპოვნი... (ვიპოვი)

ზეგ დილით მე შენთან მოხვიდოდე... (მოვალ)

სუქდები და სუქდები, მაშა... (ვსუქდები)

მადლობელი ხარ სადილისთვის... (ვარ)

**მესამე პირის ნაცვლად – მეორე:**

ისეთი ძალა გაქვს ამ თუმანსა... (აქვს)

ყველას ჯაყო დედას გიტირებდე... (უტირებს)

რა კეინას საქმე ხარ ჩხუბი... (არის)

ვინ გაბედავ რამესა... (გაბედავს)

როგორ მოხდი და ასე მოხდი... (მოხდა)

**მეორე პირის ფორმებში პირთა შენაცვლება ჩვეულებრივ არ ხდება;**

ფორმათა სხვა მხრივ დამახინჯება – კი:

სამსახურს არ მოგცემდე... (მოგცემ)

ყველგან გამოგაგდე... (გამოგაგდეს)

ქალაქიც ვედარ წახვიდოდე... (წახვალ)

ვაჭრობა როგორ მოგწონდე? (მოგწონს)

უსაქმოდ დაეხეტებოდე... (დაეხეტები)

**მწკრივთა მონაცვლეობა:**

**აწმყოს ნაცვლად** პირობით-ხოლმეობითი ან პირველი კავშირებითი:

მარგოჯან, დაიძინებდე? (გძინავს)

პატარა ხომ არ იქნებოდე... (ხარ)

ღმერთს ნუ დააბრალებდე... (აბრალებ)

აქაც უსაქმოდ დაეხეტებოდე... (დაეხეტები)

დილაზე რომ ერთი მილიონი ეღირებოდი... (ღირს)

**მყოფადის ნაცვლად** პირობით-ხოლმეობითი ან პირველი კავშირებითი:

კარგად სწამდე და დაიძინებდე... (ჭამე და დაიძინე)

ახალს გიყიდიდე ჯაყოი... (გიყიდის)

როგორც კნეინა, ისე შეგინახავდე... (შეგინახავ)

ხუთი მოჯამაგირე დაგიყენებდე... (დაგიყენებ)

ეგეც ვიყიდედე ჯაყოი... (ვიყიდი)

**წყვეტილის ნაცვლად** პირობით-ხოლმეობითი ან პირველი კავშირებითი:

ღამე ლევანაშენში გაათენებდე... (გავათენე)

ძალიან კარგად დაგიხვდებოდეს თომაი... (დაგვიხვდა)

მოკითხვასაც მოგიტანებდე თომასგან... (მოგიტანე)

შენ არხეინად იქნებოდე... (იყავი)

კნეინა ურმიდან ჩამოხტებოდე... (ჩამოხტა)

ესაა ის ძირითადი „პრინციპები“, თავისებურებანი (სხვას წვრილმანები შეიძლება ეწოდოს...), რასაც ემყარება „ჯაყოს ენა“; რაც „სისტემურადაა“ გატარებული მთელ რომანში. (ექსპერიმენტისათვის მიცდია „ამ პრინციპით“ საუბარი და გამომსვლია კიდევ...)

„ჯაყოს ენა“ დიალექტური ნორმის პინციპზეა აგებული (დიალექტურ „ნორმად“ მიიჩნევა დიალექტისათვის ნიშანდობლივი, დიალექტისთვის დამახასიათებელი, დიალექტის თავისებურების განმსაზღვრელი მონაცემი. მას არა აქვს სავალდებულო ხასიათი).

შევნიშნავთ: „იცის“ ზმნა რომ თავისებურია ქართულში, ამ ფაქტსაც „სათავისოდ“ იყენებს მწერალი და ქმნის „ჯაყოს ენის“ სისტემისათვის განსხვავებულ „ფორმულას“ ჯაყოს მეტყველებისას: **„აგრე ვიცის ჯაყომა“** (I-III პირის კონტამინირებული ფორმა; უაღრესად ორიგინალური)...

\*\*\*

საერთოდ ამ თემის – „ილუზიური დიალექტის“ – შესწავლის თვალსაზრისით საინტერესო მასალას მოგვცემს პოეზია:

„გულო, ოცნებას მალავ,

ცაო, ლურჯდება ზოლი,

ვაჟი: „დაიცა, ქალავ!“

ქალი: „დაგიბრმეს თოლი!“ (გალაკტიონი)

ბევრი კითხვა იჩენს თავს: აქვს კი იმას მნიშვნელობა, რომელი დიალექტის ფაქტებია „ქალავ“, „დაგიბრმეს“, „თოლი“... და რამდენად ზუსტად ასახავს ამა თუ იმ კონკრეტული დიალექტის ფაქტებს? რა ქმნის მხატვრულ ეფექტს? და ა. შ... განსაკუთრებით თარგმანი იმსახურებს ყურადღებას. დედნისეული დიალექტური ფაქტები როგორ გადმოვა

ქართულში. წამიკითხავს, მ. შოლოხოვის რომანის თარგმნისას დონელ კაზაკთა დიალექტური მეტყველება მთარგმნელმა კახური დიალექტის მოშველიებით გადმოიღო...

საინტერესო ვარიანტი შემოგვთავაზა დავით წერედიანმა ფრანსუა ვიონის „ანდერძის“ თარგმნისას (ფაქტზე მიგვითითა პაატა ჩხეიძემ): დედნისეული „პუატოური დიალექტი“ ქართულად „ილუზიური დიალექტით“ გადმოსცა:

„ემვენად ყოფნი უფლებაი უთმოზ.  
 რითა მაქვ? მითა, რო გავჩნდი პარიზ,  
 პუატოურად თუ ვუქცემ უფრო,  
 სულ ორი გოგოი წყალობა არი.“

ენობრივ-სტილისტური თვალსაზრისით, ვფიქრობ, თემა მეტ ყურადღებას იმსახურებს...

\*\*\*

„ილუზიური ნაირსხეობის“ არსი კარგად წარმოჩნდება ბუნებრივი და წარმოსახვითი დიალექტების გვერდიგვერდ დაყენებით.

ილუზიური და რეალური დიალექტების გვერდიგვერდ დაყენების თვალსაჩინო მაგალითი მოგვცა **გოდერძი ჩოხელმა** მოთხრობაში „მიჯაჭვული რაინდები“... ეს რომ გამიზნულად შექმნილი სიტუაციაა, ამაში მწერლის ენობრივი პოზიციის გააზრებაც დაგვარწმუნებს:

გოდერძი ჩოხელი ენობრივი თვალსაზრისით თაობაში გამორჩეული მწერალია; მისი აზრით, „მწერალი უნდა ცდილობდეს სანთელივით ენთოს მშობლიური ენის ტაბლაზე, რათა უფრო განათდეს ამ ტაბლაზე უხვად მიმობნეული და ხანდახან ჩრდილში მყოფი, სხვათათვის შეუმჩნეველი სიტყვები... როცა მწერალი მოკრძალებული და მონამორჩილია დედაენის, მაშინ დედაენაც ლოცულობს შვილისათვის და ღვთის დიდ მადლად იღვრება მწერალთა მიერ დაწერილ ყოველ სიტყვაში“.

როგორ აღიქამს მწერალი მშობლიურ დიალექტს? – გ. ჩოხელი წერს ერთ-ერთ ინტერვიუში: „ჩემს სოფელში მრავალფეროვნად და საინტერესოდ ლაპარაკობენ.

მაგალითად, იტყვიან – გამიხარდაი, გამიხარდია, გამიხარდი. სამივე სწორია, სამივე გავრცელებულია ხალხში. მწერალი ხომ სიტყვის შემგროვებელია, სიტყვის მომბრუნებელი, სიტყვის გადამრჩენი. მეც შევეცადე, ეს მრავალფეროვნება მეჩვენებინა ჩემი გმირების საუბარში“.

აქ ყურადღებას მივაქცევ ფრაზას – „სამივე სწორია“. სწორი ნიშნავს ბუნებრივ ქართულს, ხალხურ ქართულს; და კიდევ, აქ იგულისხმება **დიალექტურად სწორი**. მწერალი განარჩევს **სწორ ლიტერატურულ** და **სწორ დიალექტურ** ქართულს. ვფიქრობ, მიდგომა უდავოდ საინტერესო და საგულისხმოა.

ერთ მაგალითს მოვიყვან იმისათვის, თუ როგორ იცნობს და გრძნობს მშობლიურ გუდამაყრლ მეტყველებას. საერთოდ, საუბრობენ სიტყვის

ფერზე, გემოზე, სურნელზე, მის ხმოვანებაზე... – ასე ხედავს გოდერძი ამ სიტყვას:

„ავაჰმეე!

ეს სიტყვა რაღაცით ჰგავს გუდამაყრელ დედაკაცებს, თუკი შეიძლება სიტყვა ადამიანს ჰგავდეს და მსგავსება ზოგად სახეს ატარებდეს.

ავაჰმეე!

ეს სიტყვა დადის სახნავ სამკალზე, სათიბ სახვეტზე. დადის წელში ოდნავ მოხრილი. შავი სამოსი აცვია ტანზე. გუდამაყრელი დედაკაცების მსგავსება ამ ერთ სიტყვაშია მომწყვდეული. ცად აზიდული მთებით არის შემოფარგლული ეს სიტყვა. აჰ, გუდამაყრის ვიწრო ხეობაში არის მისი საუფლო“...

ასეთია ენობრივი თვალსაწიერი გოდერძი ჩოხელისა... დედაენისადმი ასეთი დამოკიდებულება როცა აქვს მწერალს, საფიქრელია, რომ **ენობრივი თვალსაზრისით მასთან შემთხვევით არაფერი ხდება**. გოდერძის აქვს თავისი ენობრივი პოზიცია. მის პროზაში შეიძლება დავინახოთ, თუ რას ნიშნავს:

(ა) კარგი ცოდნა საკუთარი დიალექტისა;

(ბ) სურვილი არამშობლიური დიალექტის სტილისტურ-მხატვრული დანიშნულებით გამოყენებისა და

(გ) გამიზნული ილუზიური ნაირსახეობის შექმნის ინტერესი.

ჩვენიარკვევისმიზნისათვისვისაუბრებთმოთხრობის „მიჯაჭვული რაინდების“ შესახებ. ეს მოთხრობა ენობრივი თვალსაზრისით რთული და საინტერესო ნაწარმოებია. ენობრივ-სტილისტურ საშუალებათა ფართო სპექტრს მიმართავს: მწერალი მოთხრობაში რამდენიმე სტილურ შრეს წარმოგვიდგენს;

**ერთი მხრივ**, გამოჰყავს თავისი მშობლიური დიალექტის წარმომადგენლები: თოთია და დედაბერი გუდამაყრელები არიან;

**მეორე მხრივ** – კახური დიალექტის წარმომადგენლები: ლუარსაბი და დარეჯანი; ისინი XX საუკუნის მიწურულის ქართველები არიან კახეთიდან;

**მესამე მხრივ** – სერვანტესის პერსონაჟები – დონ კიხოტი და სანჩო პანსა;

**მეოთხე მხრივ** – ამირანი – მითოლოგიური გმირი.

და წარმოვიდგინოთ ყოველივე ეს გოდერძი ჩოხელისეული სალიტერატურო ქართულის ფონზე. ავტორი ცდილობს, ყველა „შრეს“ ჰქონდეს თავისი დამახასიათებელი ენობრივი სახე... ეს უაღრესად რთული ენობრივი სიტუაცია მწერალს ოსტატურად და მოხდენილად აქვს გამოყენებული და ეფექტიც შთამბეჭდავია. ეს მოთხრობა საგანგებო ანალიზს იმსახურებს: როცა ამდენი ენობრივი შრეა, საინტერესოა, თითოეული ენობრივი ნაირსახეობიდან რომელ თავისებურებებს მოიხმობს და როგორ; რამდენად „სწორი ქართულია დიალექტურად“ შესაბამის პერსონაჟთა მეტყველება და ა. შ. შევეხებით მოკლედ თითოეულ „შრეს“...

\* \* \*

### პირველი შრე

მოთხრობაში ორი მოხუცი გუდამაყრელი შემოჰყავს ავტორს: ასიოდე წლის **დედაბერი** და მოხუცი **თოთია**.

უცნაურ სიტუაციაში ჩავარდნილი მოხუცი გუდამაყრელები ჩვეულებრივ სიტყვაძუნწები არიან:

- „ - თოთიაუ! მიშველე, თოთიაო! ეშმაკები დამესხნენ, თოთიაო!
- თოთიაუ! მიშველე, თოთიაუ!
- საიდან მოთესლდნენ ეს ეშმაკები!
- მაგისი შახედვა ჭკუიდან მრევს...“

მოდით, აქ მოთხრობის დასაწყისში ავტორსა და მოხუც გუდამაყრელს შორის გამართული დიალოგიც გავიხსენოთ (გუდამაყრული მეტყველების გასააზრებლად):

„იცით, რა მითხრა მთის ერთ მიტოვებულ სოფელში მოხუცმა ქალმა?

- ყველანი რო ი ქალაქში გაიკრიფენით და ერთად გროვდებით, არ გეშინიათო?

- ერთად ყოფნისა რატომ უნდა გვეშინოდეს-მეთქი?

-თქვენ კი ხართ ერთად, მაგრამ ე მთებსა და ადგილმამულს რო მარტოკებს სტოვებთ?

- ერთად რომ ვართ, უკეთესია, ენა იხვეწება კუთხურობისაგან-მეთქი.

- იხვეწება კიდეც და უფერულდება კიდეცაო...“

ეს ერთი შრეა – გუდამაყრული მეტყველება.

### მეორე შრე

გ. ჩოხელს მოთხრობაში შემოჰყავს ილია ჭავჭავაძის პერსონაჟები **ლუარსაბი** და **დარეჯანი**. ხაზგასმით მიანიშნებს მათ კახელობაზე.

კახური დიალექტური ფორმების გამოყენება ჩეულებრივი მახასიათებელია კახელი პერსონაჟებისა:

„უი, შენ კი შამოგევლოს შენი დარეჯანი!“

„შობე, რა!... თორო მოვიდა ი თათრის ხელმწიფე და ეგ არის!“

„არ მინდა გითხრა, მაგრამაა...“

„მა ვინ დაუდგება წინა...“

„დარეჯან, შაგთხოვ რომა, არშიყოლა არ იყოს...“ და მისთანანი...

მე-20 საუკუნეში გადმოსახლებულები ილიასდროინდელი ლუარსაბისა და დარეჯანისაგან რომ განასხვავოს, ჟარგონულ მეტყველებას მოიშველიებს:

„იცი, რა ტიპი ხარ, ლუარსაბ!“

„აი, ესეთი ტიპი ვარ!.. ზოგადი ტიპი ვარ!“...

გამოდის, რომ მაინც ილუზიას ქმნის კახური მეტყველებისას: დარეჯანი ხშირად გამოიყენებს მიმართვისას ფორმას „ქა“; და, რაც მთავარია, ასე მიმართავს ლუარსაბს („რას აბობ, ქა!“ „უი, ქა!“). კახეთში

ამგვარად ქალი მხოლოდ ქალს მიმართავს... (ეს იმის მაგალითიც არის, თუ რამდენად სახიფათოა მწერლისთვის არამშობლიური დიალექტის მოხმობა სტილისტური მიზნით... ეტყობა, შინაგანად ამას გრძნობდა დ. კლდიაშვილი, როცა თქვა, არ ვიცნობ ქართლსა და კახეთსო, იმიტომ არ გადავიყვანე პლატონი დედინაცვლის საძებრად აღმოსავლეთშიო...).

### მესამე შრე

ესაა მოთხრობაში ალბათ ყველაზე საინტერესო შრე... **დონ კიხოტი** – შუა საუკუნეების ესპანელი რაინდია, რომელმაც „იცის“ ქართული, რა თქმა უნდა, და ზრუნავს კიდევ ამ ქართულის დაცვაზე. შუა საუკუნეების რაინდის მეტყველება არქაიზებულია: „ჩვენს ამა ადგილსამყოფელს საქართველო უნდა ერქვას“... „კარგი რამ ქვეყანა ყოფილა ეს საქართველო“...

„წმინდა რამ ქვეყანა“...

„ანუ ერთი რამ ამათთაგანი“...

„დევების ოინია სოფლის ესე დაცარიელება“...

„მტერთა თქვენთა თავსა ზედა მეცადა ჩემი მახვილი“ და მისთანანი; აქვე უნდა შემოვიყვანოთ **სანჩო პანსა** – მდაბიო ესპანელი თავისი „დამახინჯებული ქართულით“; გრამატიკული თავისებურებანი ნაკლებადაა მის მეტყველებაში, უფრო ლექსიკური დამახინჯებანი:

დონ კიხოტი ამბობს – **მიჯაჭვული, გეოგრაფია...**

სანჩო პანსა – **მიჭედებული, გეოგრაფია...**

და ბატონის საქებარ ეპითეტთა სანჩოსეული არსენალი: **უკავკასიონესოებავ, უდულსინესოებავ, უკიტოხესოებავ,**

(ამან ლუარსაბის მოურავი დათოც ასე აალაპარაკა: **უმუცლესობავ** – მიმართავს ლუარსაბს...)

შეიძლება ენობრივი თავისებურებით იმდენად ორიგინალურად და „მდაბიოდ“ არ გამოიყურება „სანჩოს ქართული“, მაგრამ ამ შთაბეჭდილებას დონ კიხოტის გამუდმებული რეპლიკები ავსებს:

„ესპანური ენის დამახინჯება უფრო გეპატიება, სანჩო, ვიდრე ქართულისა, ვინაიდან ვთვლი, რომ ქართული უმშვენიერსი ენაა და ქართველები არ გაპატიებენ მის დამახინჯებას“...

„სხვა თუ არაფერი, ამ ძვირფას ქართველებს მაინც ეცი პატივი და გამართული ქართულით ილაპარაკე!“

„ნუთუ იმიტომ მაინც არ უნდა სცე პატივი მშვენიერ ქართულს, რომ ესპანელებსა და ქართველებს რაღაც საერთო გვაქვს“...

„ქართული სიტყვის დამახინჯებისაგან თავი შეიკავე!“...

„შეგაჩვენოს ღმერთმა, ყეყეჩო, ქართული და ესპანური ენის დამახინჯებელო“.

„ქართულს ნუ ამახინჯებ-მეთქი, ჯოჯოხეთის გუბერნატორო“.

ამგვარი შემახილები რეფრენივით გასდევს მოთხრობას. ეს მესამე შრე არის სწორედ გამიზნული ილუზია...

### მეოთხე შრე

ყველა პერსონაჟის მეტყველება გარკვეულწილად შეფერილია ენობრივ-სტილური ელფერით, გარდა ამირანისა. ამით გამოარჩია ავტორმა ამირანის მეტყველება. ამირანი მითოლოგიური გმირია (იყო, არის და იქნება), ამიტომ „დარბაისლური ქართულით“ უნდა ისაუბროს და ამით განასხვავებს სხვათაგან: „მისი (ღმერთის – გ.გ.) ნახვა ერთი გზით შეიძლება. აი, კუთხეში რომ ელვარე თეფში დგას, ამ თეფშით შეიძლება, მაგრამ არა მგონია თქვენ ეს მანქანა დაძრათ ადგილიდან. მე კი ისე ვარ მიჯაჭვულ-ჩაკეტილი, თუ ჩემს მიმჯაჭველს ამ კლიტის გასაღები არ წაართვით, ვერ ავეხსნები“...

არც არქაიზაცია და არც არანაირი სტილიზაცია; ამირანი მარადიული გმირია და ასე უნდა ილაპარაკოს... ამგვარად ფიქრობს მწერალი, ალბათ...

\*\*\*

ილუზიურ ნაირსახეობას ისეთივე დანიშნულება აქვს, როგორც ბუნებრივ დიალექტიზმებს...

ამ მოთხრობაში ეს ენობრივად რთული ვარიანტი ჩაიფიქრა მწერალმა და გვიჩვენა, რა შესაძლებლობები აქვს ენას მწერლის ჩანაფიქრის მკითხველამდე მისატანად. აქ კარგად გამოიკვეთა ბუნებრივი ნაირსახეობების გვერდით **ილუზიური ნაირსახეობის დაშვების შესაძლებლობა**. ეს გამიზნული, ნებსითი ილუზიაა.

გოდერძი ჩოხელი წერს ერთგან: „მეტყველება (ზეპირი თუ წერიტი) სიტყვისა და დუმილის მონაცვლეობაა. როდესაც ვსაუბრობთ სიტყვაზე, იქ იგულისხმება დუმილიც“...

ასე წავიკითხე „მიჯაჭვული რაინდები“... რამდენად შევძელი დუმილის ამოკითხვაც, თქვენ განსაჯეთ...

\*\*\*

დიახ, გ. ჩოხელთან ილუზიურ ნაირსახეობას ისეთივე დანიშნულება აქვს, როგორც ბუნებრივ დიალექტიზმებს... მთავარი აქ მაინც მწერლის ოტატობაა.

\*\*\*

ზემოთ ორიოდ სიტყვით კონსტანტინე გამსახურდიას „ხოგაის მინდია“ გავიხსენეთ: - როგორაა წარმოდგენილი ხევსურული დიალექტი... რომანში „ვაზის ყვავილობა“ მწერალმა არ მიმართა ამ ხერხს. ეტყობა, რომანის განხილვაზე ამის გამო საყვედური მიიღო. მწერალი „თავს იმართლებს“: „მე ამ რომანში ავერიდე პროვინციალიზმებს ავტორისეულ მეტყველებაში და დიალოგში...ნიორთავას წერილი, რომელიც ბესოს არ მოეწონა, ხომ აღწევს მიზანს? აქანაით და მაქანაით ხომ არ დავაწერინებდი მწერალს?“

და ამ განმარტების შემდეგ გამოთქვამს ძალიან საინტერესო აზრს: „მე მაქვს ჩემი ენობრივი პოლიტიკა, თორემ როგორმე კახურ მოქცევასაც მოვახერხებდი, ვინაიდან **პატარა ნიუანსიც საკმარისია**“ (ვ. გამსახურდია 1965, 533).

საუბარი მიიწვია განვაგრძო საკითხით – „პატარა ნიუანსიც საკმარისია“...

მართალია, მაგრამ რა შეიძლება იყოს ეს „პატარა ნიუანსი“?

ამ ნიუანსის მიგნება და შერჩევაა ოსტატობა მწერლისა... ნიუანსი, რომელიც ზუსტად მიგვანიშნებს დიალექტზე, ხატავს პერსონაჟს და გახსნის მის ხასიათს, ქცევას... გავიხსენოთ გალაკტიონის კომენტარი დავით კლდიაშვილზე: „ვერც ერთი მწერალი ვერ მოისაზრებდა გამოესახა ბეკინა და ერთადერთი მთელ შავიზღვისპირზე დარისპანი, რომელიც მოგზაურობს თავისი ურყევი მიზანით, მოგზაურობს თავისი ლაფჩინებით და „იმე, იმე“-თი, რომ არა დავით კლდიაშვილი“...

მიუხედავად იმისა, რომ პიესაში დასრისპანი ამ შორისდებულს საუბარში არ გამოიყენებს...

„იმე“ სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ იმერეთი წარმოვიდგინოთ, იმერეთი დაიხატოს...

„– პეტუშა გახსოვს?

–იმე!“ (მ.მაჭავარიანი)...

შემდეგი კითხვა:

„– რა ბიჭი იყო!..

– აჰა!“

ესეც იმერეთია...

კითხვაზე ასეთი პასუხი თუ გაეცემოდა,

– რა ბიჭი იყო!...

– მააშ!

ეს კახეთში გადაგვიყვანდა...

– რა ბიჭი იყო!...

– ჰაი, ჰაი!

ეს ქართლია...

„იმე“, „აჰა“, „მააშ“, „ჰაი, ჰაი“ – ესაა (და მრავალი სხვა) ის „მცირე ნიუანსი“, კ. გამსახურდია რომ გულისხმობს...

იმერულისათვის ასეთი ნიუანსების ჩამონათვალიც გააკეთა ერთ ლექსში მუხრან მაჭავარიანმა:

„– იმე,

– კი მარა,

– შე კაცო,

– ქე მაინც და

– რა მცოდნია...

ისმენენ ჩვენი ყურები...

მოდიან ჩვენებურები...“

გლახა ჭრიაშვილის მეტყველებაში ასეთ „მცირე ნიუანსად“ აქცია მწერალმა ილუზიური „ხვალმე“... მაგრამ ეს არ არის რომელიმე კონკრეტული ნაირსახეობა, ეს „გლახა ჭრიაშვილის ქართულია“ (შდრ „ჯაყო ჯივაშვილის ქართული)... ამ „მცირე ნიუანსების“ ცოდნისა და მისი

გამოყენების კლასიკურ მაგალითად მიმაჩნია დ. კლდიაშვილის პროზა (აქ ქალისა და მამაკაცის მეტყველებათა განმასხვავებელი ნიუანის მიგნება და გამოყენებაც იკმარებდა დასტურად), გვითქვამს ამის თაობაზე (გოგოლაშვილი 2019)...

ზუსტი გააზრება დიალექტური შრეებისა და შემოტანა მხატვრულ ნაწარმოებში არაა მარტივი საქმე; არადა ნაწარმოებს ენობრივ-სტილისტური თვალსაზრისით დიდ ფასსა სძენს. დიალექტის ღრმა ცოდნა, ვარიაციების ურთიერთმიმართება და საჭიროებისამებრ (მხატვრული დატვირთვით და არა გარეგნულ სამკაულად) გამოყენება. ერთ კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან; მიმაჩნია, რომ ესეც არის სიღრმისეული ხედვა დიალექტისა...

**თამაზ ხმალაძის** ერთ მოთხრობაზე („ორი ზოლი“) შევაჩერებ ყურადღებას. ოთხნი სხედან მყუდროზე – ბებოები და შვილიშვილები. შიო უყურებს მათ და ამბობს: „ეგენი ახლა ერთად სხედან, თორემ ისე სხვადასხვა დროში იმყოფებიან;“ აი, ეს უნდა აჩვენოს მწერალმა ენობრივად: ერთი დიალექტის სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები, ანუ „სხვადასხვა დროში მყოფნი“... აქ სათქმელის შესაბამისი ენობრივი ნიუანსი უნდა დაიძებნოს.

მოკლე ამონარიდი დიალოგიდან:

ახალგაზრდა იტყვის, ავად ვიყავიო. მოხუცი შეეპასუხება:

„– რანაირადაც შენ იქცევი, ან აქამდე როგორ არ გახდი ავად, – ეუბნება ნალფარიანთ დედაბერი, – ამაცმევ პაწაწკინა ნიფხავს, ჩაიცმევ მოკლესა და გულამოღებულ კაბას და მიდიი, ზევით და ქვევით! დაჰფრიალებ ეგრე შიშლიკანა.

– შენ რაღას ამბობ, ქა, ნეტავ რა იცი, რას ამოვიცვამ ხოლმე და რას – არა? ერთი-ორი შენნაირი მოწმე და მეტი კი არ უნდათ ზედაშიანის ჭორიკრიკეებსა. ... ან ვისი რა საქმეა, მე იქნება არც ეგ პაწაწკინა უნდა ჩავიცვა?

– არ ჩაიცმევ და ნუ ჩაიცმევ, თავშიც ქვა გიხლია, ჩვენ რას გვაგულისჭორებ, ქა! სიმართლე გითხრა, სუ რო ტატრაყუნებმა ირბინოთ, არც ის გამიკვირდება მამიჩემის სულის ცხონებამა!...“

ყველანი საუბრობენ „ქიზიყურად“; ამ საუბარში არის ისეთი დიალექტიზმები, რომელთაც ორივე თაობა გამოიყენებს: **ქა**, **გო**, **სუ**, **რო**... თუმცა არსებობს ნიუანსობრივი სხვაობაც (**ქა**-ს მიმართავს როგორც ერთი მეორეს, ისე მეორე პირველს (ზოგადია!)... „ასაკობრივია“ **გო**: ბებოები შვილიშვილებს ეტყვიან, შვილიშვილები – ერთმანეთს... მთლიანობაში ისინი ერთი ენობრივი „კოლექტივის“ წევრები არიან ამ „ქრონოლოგიური“ განსხვავებით („სხვადასხვა დროში იმყოფებიან“).

აქ მოტანილ დიალოგში მიაქციეთ ყურადღება გრამატიკულ ფორმებს ამაცმ-**ევ**, ჩაიცმ-**ევ** (არანორმატული **ევ** სუფიქსიანი ფორმა), რომელსაც ხმარობს დედაბერი და **ჩავიცვამ** (სალიტერატურო ვარიანტი, რომელსაც გამოიყენებს ელიკო)... სხვაობა ესაა არსებითად, მაგრამ

იოლად შესამჩნევი მკვეთრი შტრიხი ჩანს... ისეთ კონტექსტშია ჩასმული, მეორდება რამდენჯერმე და თანაც ძალიან ბუნებრივად... ლოგიკური მახვილი ამ სიტყვაზეა გადატანილი. ესაა ის „მცირე ნიუანსი“, რაც მიანიშნებს, რომ ისინი ერთად კი სხედან, მაგრამ „**სხვადასხვა დროში იმყოფებიან**“; „დროულ“ განსხვავებაზე მიანიშნებს -**ევ/-ამ** სუფიქსთა მონაცვლეობა... საინტერესო მიგნებაა... (ძნელად შესამჩნევი „შრეები“...)

სხვა მაგალითი „მცირე ნიუანსის“ გამოყენებისა თ. ხმალაძის მეორე მოთხრობიდან („რიკულებიან აივანზე“). ნასყიდა მეგობრობს შვილიშვილის ტოლა ნათლულთან – იასესთან; შეხუმრებულები არიან. „სხვადასხვა დროში“ ცხოვრების ფაქტორი აქაც იჩენს თავს.

იასე სარგებლობს ნასყიდას „ნდობით“ და ირონიას გაურევს საუბარში; ნასყიდას „მისსავე ენაზე“ დაელაპარაკება (ანუ პაპის თაობის დიალექტიზმს გაურევს საუბარში): „ო, ეგ კი ვერ **მასვლიათ** კარგი საქმე“... ნასყიდა მიუხვდა ირონიას: „შენ მაიმუნობას თავი დაანებე!“ – გაბრაზებული ეტყვის...

ეს ხერხი, „ნასყიდასდროინდელი დიალექტიზმის“ გამოყენება, სტილისტურ ხერხადაა ქცეული: მოთხრობაში ასეთივე სხვა შემთხვევაცაა სხვა ეპიზოდში. განაწყენებულ ნასყიდას შერიგებას სთხოვს იასე: „კარგი, **შავრიგდეთ**, ნათლი, – რამდენს მახვეწებ, – ისევ სცადა თავის საცდელი იასემ, **შავრიგდეთ** და ხვალე ერთად წავიდეთ ქალაქში, თქვენების ნახვა არ მოგენატრა?

ამ სიტყვებზე ნასყიდა ფიცხლად შემოტრიალდა... “

ისევ მიუხვდა ირონიას...

თან ლაპარაკობენ ერთნაირად და თან განსხვავებით... აი, ეს: „ქრონოლოგიური შრეების“ წარმოჩენა „მცირე ნიუანსებით“, ფასეული მგონია ენობრივ-სტილისტურად...

შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის მხატვრულ ნაწარმოებში დიალექტიზმების სტილისტური დანიშნულებით გამოყენების მარჯვე ნიმუში. ეს არის ის, რასაც კ. გამსახურდია „მოქცევისათვის“ საჭირო „მცირე ნიუანსს“ უწოდებს:

გამოიკვეთება სათქმელი („**სხვადასხვა დროში იმყოფებიან**“), მწერალი ეძებს მის შესატყვის ენობრივ საშუალებას... და პოულობს: დიალექტში ქრონოლოგიურ შრეებს წარმოაჩენს... მიზანი მიღწეულია... ამგვარი „მცირე ნიუანსის“ შემოტანა მეტ ფასსა სძენს მხატვრულ ნაწარმოებს...

ჩემი აზრით, ორივე შემთხვევაში ავტორი რიგიანად ართმევს თავს ამოცანას...

ასეთი „მცირე ნიუანსების“ შემჩნევა და მიზნობრივად გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მშობლიურ დიალექტში... არამშობლიური დიალექტის გამოყენებამ შეიძლება (გაუმიზნავი) ილუზიური ფორმები შეგვაქმნევინოს...

\*\*\*

დაგვეხმარება კი ეს მაგალითები ზემოდასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად?

გავიხსენოთ კითხვები: **გამართლებული არის თუ არა კონკრეტული დიალექტის გამოყენების სურვილის შემთხვევაში „ილუზიური“ ფორმების შემოტანა (თუნდაც გაუმიზნავად)? და რას ცვლის ეს ნაწარმოებში მხატვრული თვალსაზრისით?**

ცხადია, აქ ვერავინ მზამზარეულ რეცეპტს ვერ შესთავაზებს მწერალს... ეს ის საკითხია, რასაც „ის“ განსაზღვრავს, როგორც ანა კალანდაძე იტყოდა, „ვინც (თუ რაც) შთაგონებით წყალობს შემოქმედს“...

### გამოყენებული ლიტერატურა

1. არაბული 2013 - ა. არაბული, ენა ჩვენი არსობისა, 2013;
2. გამსახურდია 1965 - კ. გამსახურდია, „ვაზის ყვავილობის გამო“: ტ. მე-7, 1965;
3. გოგოლაშვილი 2010 - გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნა, 2010
4. გოგოლაშვილი 2019 - „შევენებით სავსე ქართული“ (ფიქრები დავით კლდიაშვილზე), 2019
5. გოგოლაშვილი 2024 - გ. გოგოლაშვილი, დიალექტიზმების საკითხისათვის ი.ჭავჭავაძის შემოქმედებაში: 50-ე დიალექტოლოგიური სესიის მასალები, 2024
6. გუგუშვილი 1960 - კ. გუგუშვილი, ი. ჭავჭავაძე და მოხეური კილო: გორის პედ. ინსტ. შრ., ტ. 5, 1960
7. თაყაიშვილი 1968 - ა. თაყაიშვილი, ენა ძველი, ენა ახალი: „ცისკარი“, N4, 1968;
8. ქავთარაძე 1985 - ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, 1985 გვ.8
9. ჭუმბურიძე 1982 - ზ. ჭუმბურიძე, თ. კოპლატაძე, „რამეთუ არა უწყიან;“ წიგნიდან: ზ. ჭუმბურიძე, „მადლი დედაენისა“, 1982;
10. მ. ჯავახიშვილი 2001 - მ. ჯავახიშვილი, წერილები, 2001,
11. ქ. ჯავახიშვილი 2000 - ქეთევან ჯავახიშვილი, „მოგონებები მამაზე“, 2000 წ.
12. გოდერძი ჩოხელი, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. III, 2010.
13. თამაზ ხმალაძე, „დღეთა ქარავანი“ (მოთხრობები), 2007.
14. მიხეილ ჯავახიშვილი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, 1959.

---

GIORGI GOGOLASHVILI

**DIALECTAL LAYERS AND ILLUSORY DIALECT**

**(From the series “Language and the Writer”)**

Summary

Dialect is a natural spatial variation of language. Writers frequently employ dialectal forms for artistic purposes, particularly in the representation of characters' speech. There are, however, instances in which authors resort not to authentic dialectal forms but to approximated, imagined-so-called illusory dialectal-forms. This practice may be motivated by two different factors: first, the writer's insufficiently deep familiarity with the dialect in question; and second, the writer's deliberate use of dialectal illusion as an artistic strategy. An example of the former can be found in the speech of the character in *Traveler's Letters* by Ilia Chavchavadze, while the latter is exemplified by the speech of the protagonist in *Jaqo's Dispossessed* by Mikheil Javakhishvili.

The paper examines the extent to which the accuracy of dialectal forms is significant from an artistic perspective and explores the aesthetic differences between authentic and illusory dialectisms. It also discusses cases in which a writer is compelled to depict speakers representing several dialects simultaneously. As illustrative examples, the prose works of Guram Chokheli and Temur Khmaladze are analyzed. The study demonstrates how effective the simultaneous representation of multiple dialectal layers can be within a literary text.

**არპად ელემი**  
**ზურაბ ბარათაშვილი**  
**უნგრული ენის ბგერითი სისტემის ქართულ ენაზე**  
**ტრანსლიტერაცია**

**შესავალი**

ტრანსკრიფციისა და ტრანსლიტერაციის საკითხების განსახილველად აუცილებელია, გაიმიჯნოს ეს ორი ტერმინი ერთმანეთისგან. ტრანსკრიფცია არის სპეციალური ნიშნების საშუალებით ამა თუ იმ ენის ფონემური თუ ალოფონური სისტემის ჩაწერა: თითოეულ ფონემას შეესაბამება ერთი გრაფიკული ნიშანი, ხოლო ალოფონი, როგორც წესი, ამ გრაფიკულ ნიშანზე დიაკრიტიკული ნიშნის დართვით გამოიხატება.<sup>1</sup> ამის გათვალისწინებით, გამოიყოფა ორი ტიპის ტრანსკრიფცია: ფონემური, ანუ ფართო, და ფონეტიკური (resp. ალოფონური), ანუ ვიწრო (ეშბი, მეიდმენტი 2005: 5-7; სიგა 2013: 18-20; ლადეფოგედი, ჯონსონი 2015:50). ტრანსკრიფციისგან განსხვავებით, ტრანსლიტერაცია გულისხმობს მიმღებ ენაზე ამ ენის დამწერლობის საშუალებით უცხოური ტოპონიმების, ანთროპონიმების და ა. შ. სახელების ჩაწერას, რაც გულისხმობს მიმღები ენის როგორც ფონოლოგიური, ასევე ორთოგრაფიული წესების გათვალისწინებას. თავიდანვე ცხადია, რომ ტრანსლიტერაცია ზუსტად ვერ ასახავს გამსესხებელი (resp. დონორი) ენის ფონოლოგიურ თუ გრაფიკულ სისტემას და მორგებულია მიმღები ენის წესებზე. ამას განაპირობებს ის რომ, რომ გამსესხებელი და მიმღები ენის ფონოლოგიური სისტემები არ არის იდენტური. ტრანსლიტერაცია შესაძლებელია მიჰყვებოდეს მეტნ-ნაკლებად გამსესხებელი ენის წარმოთქმას (resp. ტრანსკრიფციას), დაწერილობას (resp. ორთოგრაფიას) ან ორივეს ერთად (თოფურია 2005: 71-73; არაბული 2008: 78-79). მაგ., ტრანსკრიფციას მიჰყვება ფრანგული გვარი Coulomb /kʉlɔ̃/, რომელიც ქართულად გადმოდის როგორც „კულონი“ (ფიზიკოსი და მუხტის ერთეული ფიზიკაში); ორთოგრაფიას მიჰყვება გვარი Marat /mɑrɑ/,

---

<sup>1</sup> თანამედროვე ფონეტიკაში სამეტყველო ბგერების ჩასაწერად გამოიყენება საერთაშორისო ფონეტიკური საზოგადოების შემუშავებული საერთაშორისო ფონეტიკური ანბანი, რომელიც ლათინური დამწერლობის გრაფიკულ ნიშნებს ეფუძნება (<https://www.internationalphoneticassociation.org/content/full-ipa-chart>).

რომელიც ქართულად გადმოდის როგორც „მარატი“ (ჟურნალისტი და პოლიტიკოსი); შერეული შემთხვევის მაგალითია Hugo /ygo/ „ჰიუგო“ – h დასტურდება მხოლოდ ორთოგრაფიულად და არა წარმოთქმაში, ხოლო u გადმოდის არა გრაფიულად, არამედ წარმოთქმის/ტრანსკრიფციის მიხედვით (u გრაფემა ფრანგულში გამოხატავს არა/u/, არამედ /y/ ფონემას).

ამ ზოგადი პრინციპებისა და ტრადიციის გათვალისწინებით, მოცემულ სტატიაში წარმოდგენილია უნგრული ენის ანთროპონიმთა, ტოპონიმთა და ა. შ. სახელთა უნგრულიდან ქართულად გადმოღების პრინციპები. განხილულია როგორც უნგრული ანბანის (ლათინური ანბანის საფუძველზე), ასევე უნგრული ენის ფონოლოგიის საკითხები და დადგენილია შესაბამისობა ქართულ ანბანსა და ფონოლოგიურ სისტემასთან.

### 1. უნგრული ენის შესახებ

უნგრული ანბანი 44 გრაფემას შეიცავს, რომლისგან 4 (q, w, x, y) მართლწერის დანიშნულებით გამოიყენება (j და ly თანამედროვე სტანდარტულ უნგრულში ერთნაირად წარმოითქმის). თითოეული გრაფემა გამოხატავს კონკრეტულ ფონემას, ასევე რამდენიმე თანხმოვანი ორი გრაფემის (დიგრაფი) საშუალებით გადმოიცემა:

**a, á, b, c, cs, d, dz, dzs, e, é, f, g, gy, h, i, í, j, k, l, ly, m, n, ny, o, ó, ő, ő, p, q, r, s, sz, t, ty, u, ú, ü, ű, v, w, x, y, z, zs**

*უნგრული ენა* მიეკუთვნება ურალური ოჯახის ფინურ-უგორულ (reps. ფინურ-უნგრულ) ენათა შტოს. მას ახასიათებს სუფიქსების დიდი რაოდენობა, რომლებიც 3 სახეობად იყოფა; უნგრულისთვის ასევე დამახასიათებელია მორფოფონოლოგიური ცვალებადობა, რომელსაც ხმოვანთა ჰარმონიას უწოდებენ (შიპტარი 2015; ლაცკო 2017); მას აქვს 1 პრეფიქსი და სხვადასხვა ზმნისწინი, პრეპოზიციების ნაცვლად პოსტპოზიციებს იყენებს; უნგრულ ენას 18 ბრუნვა აქვს (ბალოგი (2017): 200-202); უნგრული ენა თავაზიან მიმართვას მხოლოდითსა და მრავლობითში მე-3 პირით გამოხატავს, იყენებს წარსულს, ახლანდელსა და მომავალ დროს; უნგრული გრამატიკა იცნობს განსაზღვრულ და განუსაზღვრელ ობიექტს, შესაბამისად, იყენებს განსაზღვრულ და განუსაზღვრელ უღლებასა და არტიკლს (ბალოგი 2017b: 420-422); სხვა ფინურ-უგორული ენების მსგავსად, უნგრული ენა თითო მიმართულებას ცალკეული ბოლოსართებით გამოხატავს; ანთროპონიმების წყობა გვარისა და სახელის რიგით არის განსაზღვრული; ინდოევროპული ენებისგან განსხვავებით უნგრული ენაში სიტყვათა წყობას პრაგმატიკული დანიშნულება აქვს; უნგრული ენა არ იცნობს გრამატიკულ სქესს.

## 2. შესავალი

### 2.1 სტატიის მიზანი

სტატიაში აღწერილია უნგრული ენის ბგერითი სისტემის ქართულ ენაზე ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები, რომელიც წარვადგინეთ სახელმწიფო ენის დეპარტამენტში 2025 წელს. სტატიის მიზანია, შექმნას სახელმძღვანელო ანთროპონიმებისა და ტოპონიმების ქართულად ჩაწერის მსურველთათვის და აჩვენოს მათ თანამედროვე უნგრულში შენარჩუნებული ფორმების სწორი ან შესაძლო ქართული ტრანსლიტერაცია (ქართული დამწერლობა და წარმოთქმა). აქედან გამომდინარე, ეს ნაშრომი სახელების სემანტიკურ ასპექტებს არ ეხება, არც იმ ფონეტიკისა და ფონოლოგიის ვიწრო საკითხებს შეიცავს (მაგალითად, ბგერითი ასიმილაციები) და არც ისტორიულ საკითხებში ერევა, როგორც, მაგალითად, უნგრული ბგერითი შედგენილობის ისტორიული განვითარებაა.

ანთროპონიმების ფარგლებში ჩამონათვალი არ იყოფა გვარებით და სახელებით, ვინაიდან უნგრეთში სახელი ხშირად გვარადაც არის გამოყენებული. ტოპონიმებს შორის ემატება ქვეყნის ნაწილები (*Dunántúl* „ტრანსდუნაი“), გეოგრაფიული სახელები და ჰიდრონიმები, მუნიციპალიტეტები (ე.წ. *vármegye* „კომიტატი“, მაგალითად: *Pest vármegye* „პეშტის კომიტატი“), მუნიციპალიტეტების ცენტრები, უნგრული ეკონომიკისა ან კულტურის მხრივ მნიშვნელოვანი, დასახლებული პუნქტები და სხვა ადგილის სახელები.

ვინაიდან ქართული და უნგრული ენის ფონეტიკური სისტემა ერთმანეთისგან განსხვავებულია, საჭიროა თანამედროვე უნგრული ენის ბგერითი შედგენილობის მოკლე მიმოხილვა, რომელსაც მე-2 თავში წარმოვადგენთ. ამ შემთხვევაში ვიყენებთ როგორც უნგრულ ორთოგრაფიას, ასევე საერთაშორისო ფონეტიკურ ანბანს (IPA). მიუხედავად იმისა, რომ უნგრული ანბანი დაფუძნებულია ფონეტიკურ პრინციპზე, მასში მაინც გვხვდება ის გარკვეული ფორმები, რომლებიც დროთა განმავლობაში ტრადიციის და არა წარმოთქმის, ან ფონოლოგიური წესების საფუძველზე განვითარდა. ამ ფორმებს მოკლედ მე-3 თავში შევაჯამებთ.

### 2.1 პროექტის წყაროები

„უცხოურ პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონსა“ და „საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ (კობახიძე, ჭაბაშვილი 1989a: 15; კობახიძე, ჭაბაშვილი 1989b: 14) მოცემულია უნგრული ანბანის მხოლოდ 15 მონოგრაფი და დიგრაფი (c, cs, eö, gy, ly, ő, s, ss, sz, th, ts, ü, yi, z, zs) და მათი ქართული შესატყვისი. ამ სტატიაში მოცემულია უნგრული ანბანის ყველა ნიშანი, მათი ფონემური ღირებულება და ქართული შესატყვისები შესაბამისი მაგალითებით.

ანთროპონიმების ფარგლებში გთავაზობთ ყველაზე გავრცელებულ სახელებს და გვარებს, რომლებიც თანამედროვე უნგრულ საზოგადოებაში გამოიყენება, ან რომლებიც საერთაშორისო გარემოში არის ცნობილი. ანთროპონიმების მართლწერა საზოგადოებაში გამოყენების საფუძველზე არის მითითებული, გვარების მართლწერა ინტერნეტსა და „გვარების ენციკლოპედიაზე“ დაყრდნობით არის შემოწმებული (ჰაიდუ 2010).


ტოპონიმების მართლწერა შემოწმებულია უნგრეთის ცენტრალური სტატისტიკის ბიუროს სიაში (სტატისტიკის ბიურო 2024). იმ ტოპონიმების მართლწერა, რომლებიც საზოგადო არსებით სახელებს შეადგენს, უნგრეთის სამეცნიერო აკადემიის მიერ გამოცემული უახლესი „უნგრული ენის მართლწერის“ წესების საფუძველზე მივუთითეთ (უნგრეთის მეცნიერებათა აკადემია 2015). მცირე გრამატიკული ინფორმაცია უნგრულენოვანი აკადემიური სახელმძღვანელოებიდან ავიღეთ, მათ შორის, „უნგრული ენიდან“ (კაში 20215; კიში 2015; შიპტარ 2015) და „უნგრული ენის გრამატიკიდან“ (ბალოგი 2017: 200-202; ლაცკო 2017: 51); უნგრული ენის ისტორიასთან დაკავშირებული ნაწილი კი აკადემიური ნაშრომიდან – „უნგრული ენის ისტორია“ (კიში, პუსტაი 2003: 581, ასევე ფაბიანი 1967: 39).

### 3. უნგრული ენის ბგერითი შედგენილობა

#### 3.1 ხმოვნები

უნგრულ ენაში არის 14 ხმოვანი, რომელთაგან 5 მოკლეა და 5 გრძელი (i “ í, o “ ó, ö “ ő, ü “ ú, u “ ú). დანარჩენი (a, á, e, é) გარკვეულ მორფოფონოლოგიურ სიტუაციაში მოკლე-გრძელი წყვილივით იქცევა, მაგრამ ფონოლოგიურად ერთმანეთისგან განსხვავებულ სხვადასხვა ფონემას გამოხატავენ (შიპტარი 2015: მეორე თავი). განსხვავებული ხმოვნები (a, á) და მოკლე-გრძელი წყვილები (o “ ó) არა მხოლოდ წარმოთქმაზე ახდენენ გავლენას, არამედ მინიმალურ წყვილებს ქმნიან, მნიშვნელობას ასხვავებენ, მაგრამ არ ეხება ტრანსლიტერაციის საკითხებს, რადგან ტრანსლიტერაციის დროს გრძელ და მოკლე ხმოვნებს არ ვასხვავებთ: *kar* „ხელი“ “ *kár* „ზიანი“; *kor* „ხანა“ “ *kór* „ავადმყოფობა“. ლექსიკის გარდა დიალექტები ერთმანეთისაგან და სტანდარტული უნგრულისგან ყველაზე მეტად ხმოვნების გამოყენებით გასხვავდება. მაგალითად: ჩრდილოეთი უნგრეთი – á → /a:/; სამხრეთი უნგრეთი e → /ø/; აღმოსავლეთი უნგრეთი – ó → /ou/, და ა.შ. (კიში 2015). ვინაიდან ეს სხვადასხვაობა სტანდარტულ უნგრულში არ მოქმედებს და არც ტოპონიმებისა ან ანთროპონიმების გამოყენებაზე ახდენს გავლენას, დიალექტური ფონეტიკის დეტალური მიმოხილვა არც აქ და არც თან-ხმოვნების თავში არ იქნება წარმოდგენილი.

სტანდარტული უნგრული ენის ხმოვანთა სისტემა ამგვარია:



უნგრული ენის ბგერითი შედგენილობა ქართულ ფონოლოგიურ სისტემაში მსგავსი ბგერის არსებობა არარსებობის მიხედვით შეგვიძლია დავყოთ. ქართულში უნგრულისათვის შესაბამისი ხმოვნებია: á („ა“), e („ე“), i „í“ („ი“), o „ó“ („ო“), u „ú“ („უ“); მაგრამ არ გვაქვს შემდეგი ხმოვნებისათვის ფონოლოგიურად შესაბამისი ქართული ხმოვნები: a /a/, é /e:/, ö /ø/ „ő /ø:/, ü /y/ „ű /y:/. გრძელი ხმოვნების გადმოსაცემად ვიყენებთ შესაბამის მოკლე ხმოვნებს, ე. ი. სიგრძე ქართულად არ გადმოიცემა. ასევე არ გადმოიცემა ლაბიალიზაცია (ბაგეების მომრგვალება) საშუალო აწეულობის წინა რიგის ხმოვნებისათვის: გრაფემებს ö-სა /ø/ და ő-ს /ø:/ ქართულად (ტრადიციის ძალით) შეესატყვისება ორივე შემთხვევაში „ე“ (და არა „იო“), რაც, რა თქმა უნდა, ერთი მხრივ, იწვევს „ე“ ხმოვნის დატვირთვას, რადგან ამ ლაბიალიზებული ხმოვნების გარდა გადმოსცემს e /e/ და é /e:/ ხმოვნებსაც. შესატყვისების დადგენისას ვიყენებთ პროტოტიპურ მაგალითების, როგორებიცაა *Petőfi* „პეტეფი“, *Törley* „ტერლეი“, *Görgey* „გერგეი“, ევროპული ენებიდან სესხების ტრადიციას.<sup>2</sup> მაგრამ, მეორე მხრივ, ამგვარი შესატყვისობა მიჰყვება სიმარტივის პრინციპის: უნგრული ენის ყველა წინა რიგის საშუალო აწეულობის ხმოვანს ქართულში შეესატყვისება „ე“ ხმოვანი. თუ ხმოვნის შესატყვისი ქართულში არ არსებობს, ვითვალისწინებთ სხვა ხმოვნებთან ფონოლოგიურ მსგავსებას და სხვა ევროპული ენებიდან გადმოტანის პრინციპებს. მაგალითად: é ინგლისური /e:/ ბგერის მიხედვით ქართულში „ე“ დაიწერება; გერმანული ü ხმოვნის მსგავსად, ü “ ü ქართულ ტრანსლიტერაციაში „იუ“ ხმოვნებით გადმოვა. a ბგერა ფონეტიკურად და გრაფიკულად ყველაზე მეტად á ხმოვანს ჰგავს, ჩამონათვალში ქართულ „ა“ ხმოვანს უწყვილდება.

2 შეიცვალა მხოლოდ გერმანულისთვის ö „იო“, მაგრამ დარჩა გამონაკლისები, რომლებიც „ე“ ხმოვნით ჩაიწერება (ანდრაზაშვილი, კარტოზია, მუჯირი 2021-2022: 49).

ტრადიციისა და ფონეტიკურ-ფონოლოგიური მსგავსების პრინციპების გათვალისწინებით, ხმოვანთა შესატყვისობები ამგვარად შეიძლება წარმოვადგინოთ:

უნგრული გრაფემა	ფონემა IPA	ქართული შესატყვისი	უნგრული გრაფემა	ფონემა IPA	ქართული შესატყვისი
A	/ɒ/	ა	o	/o/	ო
Á	/a:/	ა	ó	/o:/	ო
E	/ɛ/	ე	u	/u/	უ
É	/e:/	ე	ú	/u:/	უ
I	/i/	ი	ő	/ø/	ე
Í	/i:/	ი	ű	/ø:/	ე
			ü	/y/	იუ
			ű	/y:/	იუ

ქართულად ვერ გადმოიცემა უნგრული ხმოვნების სიგრძე და ლაბიალიზაცია (ბაგეების მომრგვალება). შესატყვისებში დატვირთულია და უპირატესობა ენიჭება „ე“ ხმოვანს, რაც, ერთი მხრივ, დამოკიდებულია e და é ხმოვნების ფონეტიკურ მსგავსებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, სესხების ტრადიციასა და პროტოტიპულ მაგალითებზე, ამგვარი შესატყვისობა მიჰყვება სიმარტივის პრინციპს: უნგრული ენის ყველა წინა რიგის საშუალო აწეულობის ხმოვანს ქართულში შეესატყვისება „ე“ ხმოვანი.

### 3.1.1 ხმოვანთა ჰარმონია

**ხმოვანთა ჰარმონია** უნგრული გრამატიკის კიდევ ერთი თავისებური წესია, რომელიც ხმოვნების მორფოფონოლოგიურ ცვლილებად მიიჩნევა. ეს წესი ჩვეულებრივ ფინურ-უგორულ და თურქულ ენებს ახასიათებს. ამ სისტემაში ხმოვნები 2 ჯგუფად იყოფა, იმის მიხედვით, გარკვეული ხმოვანი პირის ღრუს უკანა სივრცეში წარმოიქმნება თუ წინა. ეს 2 ჯგუფი არის: **უკანა რიგის ხმოვნები: a, á, o “ ó, u “ ú** და **წინა რიგის ხმოვნები: e, é, i “ í, ő “ ő, ü “ ű** (შიპტარი 2015). წინა და უკანა პოზიცია არსობრივად და ფუნქციურად არ ემთხვევა ქართული ხმოვნების სამეულ (წინა, შუა და უკანა რიგის) კლასიფიკაციას. ხმოვანთა ჰარმონია ფონოლოგიური თავისებურებაა, რომელიც მორფოფონოლოგიურ შედეგს აჩენს (ლაცკო 2017). უნგრულ ენაში ბოლოსართს ჩვეულებრივ 2 ან 3 ვარიანტი აქვს და ბრუნვისა და უღლების დროს ფუძეს ბოლოსართის ის ვარიანტი ემატება, რომელიც ფუძის ჰარმონიულ ფონეტიკას შეესაბამება. ამ წესს ტოპონიმებისა და ანთროპონიმების განვითარებაზე გავლენა არ მოუხდენია და ამიტომ არც ქართული ტრანსლიტერაციის საკითხებს ეხება. თუმცა სახელებს შორის რამდენიმე დაბალ-მაღალი და შუა-მაღალი წყვილი არსებობს: *András* „ანდრამ-ი“ “ *Endre* „ენდრე“

(ქართულად „ანდრია“ შესატყვისება); *Attila* „ატილა“ “*Etele* „ეტელე“ და მისი გვიანი გერმანული ფორმა (უნგრულ ენათმეცნიერთა კვლევითი ცენტრი 2013-2025)); სივრცეში მდებარეობის შედარებითი წყვილი: *Alsó-* „ქვემო“ “*Felső-* „ზემო“; უცხოური-უნგრული ჟღერადობის წყვილი: *Kanizsa* „კანიჟა“ – *Kenese* „კენეშე“ (ტოპონიმები: Nagykanizsa, Balatonkenese); ისტორიულად ცვალებადი წყვილული: *kend/kende* „კენდი/კენდე“ (უძველესი საზოგადოებრივი სტატუსის ტიტული) – *Kond* (ტოტფალუში 2001) „კონდი“ (ანთროპონიმი) (ტოტფალუში 2001); **ეთნონიმი:** *magyar* „მადიარ-ი“ (= „უნგრული“ ან „უნგრელი“) “*megyer* (ტოტფალუში 2001) „მედიერ-ი“ (ტომის სახელი); **ტოპონიმები:** *Magyarország* „მადიარორსაგი“ (= „უნგრეთი“; *Magyarbánhegyes*), *Megyer* „მედიერ-ი“, *Békásmegyer* „ბეკაშმედიერ-ი“, *Káposztásmegyer* „კაპოსტაშმედიერ-ი“ (ტოტფალუში 2001); შემთხვევით განვითარებული წყვილული: *Acsád* „აჩად-ი“ “*Ecséd* „ეჩედ-ი“ (ტოპონიმები). მაღალი ხმოვნების ფარგლებში არალაბიალიზებული “ლაბიალიზებული წყვილულებიც არის გავრცელებული. ვინაიდან ო ქართულ ფონეტიკაში არ არსებობს, ეს მაგალითები ჩამონათვალში იგივე „ე“ ტრანსლიტერაციის ფორმით არის მითითებული: *Bedecs* “*Bedőcs* “*Bödöcs* (ანთროპონიმები) → „ბედეჩ-ი“; *Berzsenyi* “*Börzsönyi* → „ბერჟენი“, *Demeter* “*Dömötör* → „დემეტერ-ი“; *Veres* “*Vörös (Weöres)* → „ვერეშ-ი“.

### 3.2 თანხმოვნები

უნგრული ენის თანხოვანთა სისტემა შეიცავს 30 გრაფემასა და 25 ფონემას. ფონემების უმეტესობა უნგრული ენის შინაგანი განვითარების შედეგია, ხოლო **q, w, x, y** უცხო ენებიდან ნასესხებ სიტყვებში გვხვდება. თითოეული ფონემა მონოგრაფით გამოიხატება, მაგრამ 9 ფონემის გამოხატვისთვის ორ-სამ გრაფემას (დიგრაფსა და ტრიგრაფს) იყენებს: **cs, dz, dzs, gy, ly, ny, ty, sz** და **zs**.

თანხმოვნების გარკვეული ნაწილი უნგრულ ენაშიც მჟღერ და ყრუ ფონემებად შეგვიძლია დავაწყვილოთ: **b “ p; dz “ c; dzs “ cs; d “ t; v “ f; g “ k; gy “ ty; zs “ s; z “ sz**. დანარჩენებს მეწყვილე არ ჰყავთ, მხოლოდ წარმოთქმის მიერ შეგვიძლია აღვწეროთ: ნაზალური (**m, n, ny**), პალატალური (**j, ly**) ყრუ ლარინგალური (**h**) და ნარნარა (**l, r**).

თანხმოვნების უმეტესობა (ფონემურ დონეზე) ახლოს დგას ქართულ თანხმოვნებთან და ამიტომ მარტივად დგინდება შესატყვისობები. ვხსნით მხოლოდ განსხვავების მაგალითებს.

უნგრული ენის ფონეტიკაში მკვეთრი თანხმოვნები (მაგალითად **წ, ჭ, ყ**) არ არსებობს, მაგრამ ზოგიერთი მკვეთრი თანხმოვნების ტრანსლიტერაციაში გამოყენება საჭიროა. ასეთია **კ, პ, ტ** თანხმოვნები, რომლებიც უცხო ენიდან ნასესხები ტრადიციის საფუძველზე უნგრულში **k, p, t** ასოებით არის დაწყვილებული. უნგრულში ხშირად გამოიყენება 3 ბგერა/ფონემა: მათი წარმოთქმის დროს ენისა და სასის მთლიანი

გრაფემა	ფონემა IPA
<b>b</b>	/b/
<b>c</b>	/t͡s/
<b>cs</b>	/t͡ʃ/
<b>d</b>	/d/
<b>dz</b>	/d͡z/
<b>dzs</b>	/d͡ʒ/
<b>f</b>	/f/
<b>g</b>	/g/
<b>gy</b>	/j/
<b>h</b>	/h/
<b>j</b>	/j/
<b>k</b>	/k/
<b>l</b>	/l/
<b>ly</b>	/j/

გრაფემა	ფონემა IPA
<b>m</b>	/m/
<b>n</b>	/n/
<b>ny</b>	/ɲ/
<b>p</b>	/p/
<b>r</b>	/r/
<b>s</b>	/s/
<b>sz</b>	/s/
<b>t</b>	/t/
<b>ty</b>	/c/
<b>v</b>	/v/
<b>w</b>	/v/
<b>x</b>	/x/
<b>y</b>	/i/
<b>z</b>	/z/
<b>zs</b>	/z/

ზედაპირი ერთმანეთს ეხება: **gy** „დი“, **ny** „ნი“, **ty** „ტი“. პრობლემას ქმნის **gy** /j/ და **ty** /c/, რომლებიც ერთმანეთისგან მხოლოდ მჟღერობა-სიყრუის მიხედვით განსხვავდება, მაგრამ გრაფიკულად უნგრულშივე არ გამოიციემა სიმეტრიულად: თუ ყრუ პალატალური თანხმოვანი გამოიხატება **t + y** გრაფემათა მიმდევრობით, მაშინ, სიმეტრიულობის დაცვით, შესაბამისი მჟღერი თანხმოვანი უნდა გამოიხატებოდეს **d + y** გრაფემათა მიმდევრობით, მაგრამ ამის ნაცვლად გამოიხატულია **g + y** მიმდევრობით. ამის გათვალისწინებით, ტრადიციით (რაც რუსული გავლენით არის ჩამოყალიბებული) და ინგლისურად ახსნით (რომელიც პალატალურ მჟღერ თანხმოვანს ხსნის როგორც **d**-ს რბილ ვარიანტს soft form of /d/), ქართულში **gy** /j/ უნდა გამოიციემოდეს (რაც ასახულია როგორც ძველ, ასევე ახალ სატრანსლიტერაციო წესებში) „დი“ მიმდევრობით.

**ly** და **j** თანხმოვნები ისტორიულად სხვადასხვა ფონემას გამოიხატავენ, მაგრამ თანამედროვე უნგრულში ფონეტიკურად იდენტურებია. **ly** გრაფემა მხოლოდ უნგრულ მართლწერაში არის შენარჩუნებული. ორივე გრაფემა წარმოითქმის /j/ ბგერად, ამიტომ მათ ქართული „ი“ ხმოვანი შეესატყვისება.

#### 4. ტრანსლიტერაცია და უნგრული ენის მართლწერის ტრადიციები

უნგრულში სიტყვების მართლწერა თავდაპირველად ფონოლოგიური და მორფოფონოლოგიური პრინციპებით განვითარდა. ტოპონიმებისა და ანთროპონიმების უმეტესობა ამის საფუძველზე იწერება:

*Árpád* „არპად-ი“, *Emese* „ემეშემე“, *Magyarország* „მადიარორსაგ-ი“, *Székesfehérvár* „სეკესფერვარ-ი“.

თანამედროვე მართლწერის (უნგრეთის აკადემიის მიხედვით განსაზღვრული მართლწერა, რომელიც აწესებს თანამედროვე უნგრული ენის მოხმარების წესებს) ფარგლებში უნდა აღვნიშნოთ ის ფორმები, რომლებიც ყველაზე ხშირად მეორე გვარის შემოკლებული, ანუ გრაფემის ფორმით არის გამოყენებული. ამ შემთხვევაში გრაფემას ანბანური სახელი შეესატყვისება და მის ტრანსლიტერაციისას წარმოთქმის მიხედვით გრაფემის სახელწოდებთ უნდა გადმოვიდეს: *Hajdu B. István* „ჰაიდუ ბე იშტვან-ი“, *S. Nagy István* „ეს ნადი იშტვან-ი“. ასეთ გვართა ფორმების უმეტესობა თანხმოვნებისგან შედგება:

<b>B</b>	ბე	<b>K</b>	კა	<b>S</b>	ეს
<b>C</b>	ცე	<b>L</b>	ელ	<b>SZ</b>	ეს
<b>D</b>	დე	<b>M</b>	ემ	<b>T</b>	ტე
<b>G</b>	გე	<b>N</b>	ენ	<b>TY</b>	ტიე
<b>GY</b>	დიე	<b>NY</b>	ენი	<b>V</b>	ვე
<b>H</b>	ჰა	<b>P</b>	პე	<b>Z</b>	ზე
<b>J</b>	იე	<b>R</b>	ერ	<b>ZS</b>	ჟე

ეს შემთხვევები განსხვავდება ისეთი შემთხვევებისგან, როდესაც შესაძლებელია ინიციალის გახსნა (ცნობილია სხვადასხვა ცნობარებისათვის ენციკლოპედიების მიხედვით). ზემომოყვანილი მაგალითები განსხვავდება G. B. Shaw-სგან „ჯ. ბ. შოუ“, რომელიც სრულად წაიკითხება როგორც George Bernard Shaw „ჯორჯ ბერნარდ შოუ“, ხოლო უნგრულის შემთხვევაში არასდროს იხსნება და ყოველთვის ერთი მთავრული გრაფემით ჩაიწერება.

ზოგი უნგრული გვარი ორ ნაწილისგან შედგება. ამ გვარების შემთხვევაში ქართული ტრანსლიტერაცია ორიგინალურს მიჰყვება: *Tinódi-Lantos* „ტინოდი-ლანტოშ-ი“.

უნგრული საკუთარი სახელების მართლწერის მეორე მნიშვნელოვანი პრინციპია ის, რომ უნგრული და უცხო სიტყვები ერთმანეთისგან განსხვავდება. ამ ჯგუფს მიეკუთვნება ანთროპონიმებს შორის არარეგულარული (დიდგვაროვანი) გვარებიც. აქედან გამომდინარე, ზოგი ბგერის გრაფემა ცვალებადია. მაშასადამე, ტრანსლიტერაციაში დეტალურად უნდა აღვნიშნოთ სახელების გარკვეული ფორმები, რომლებიც თანამედროვე უნგრულ ფონეტიკას (და ასე, თანამედროვე მართლწერას) ემთხვევა და ისინიც რომლებიც მისგან განსხვავებულია. შესაბამისად, დამწერლობის მაგალითების სია უხეშად ასე უნდა დავყოთ: ყველაზე ხშირად უნგრული ენის შესახებ რეგულარული ენობრივი წესების მხრივ

ვსაუბრობთ, ამიტომ ყველგან თანამედროვე მართლწერა არის ჩვენთვის ამოსავალი პრინციპი; მაგრამ თუ უფრო იშვიათ, არარეგულარულ ფორმებს აღნიშნავთ, მაშინ იგულისხმება ტრადიციული მართლწერა.

უცხო სიტყვების კუთხით, შეიძლება ითქვას, რომ უნგრული ენა „კონსერვატიული“ პრინციპით ჩამოყალიბდა, ანუ მართლწერაში თითქმის ყოველთვის აღნიშნული უნდა იყოს ის, თუ რომელი სიტყვა არის უცხო ენიდან ნასესხები: 1. ამ სიტყვების ჯგუფი სხვა ენიდან შემოსული ლექსიკისაგან შედგება, როგორებიც, მაგალითად, დასავლური გვარები და ტოპონიმებია, და ორიგინალური მართლწერით იწერება ან/და წარმოითქმის. მაგ.: *Wagner* „ვაგნერ-ი“ → ორიგინალური /a:/ ბგერით წარმოითქმის; 2. მაგრამ ვინაიდან დროთა განმავლობაში ზოგი სიტყვის წარმოთქმა უნგრული საწარმოთქმო ჩვევით შეიცვალა, კიდევ დამატებით 2 ჯგუფი არსებობს: *ნაწილობრივ შეცვლილი წარმოთქმა და მართლწერა: Semmelweis* „სემელვეის-ი“ (შეიცვალა საწყისი /z/ მგერა და ბოლო გერმანული ორმაგი ss / ʃ გრაფემი); *Bayer* „ბაიერი“ (წარმოითქმის /v/ ბგერით); 3. იშვიათი, შერეული, ფორმა, რომელიც ორიგინალურ (განმსესხებელი) და ფონეტიკურ (უნგრულ) მართლწერას აერთიანებს: *Baár-Madas* „ბარ-მადამ-ი“, *Laár* „ლარ-ი“ /a:/. მათი მართლწერის ანალოგიით იგივე მეთოდი არის გამოყენებული: *Veér* /e:/ „ვერ-ი“, *Kodás* /o:/ „კოშ-ი“; 4. უნგრული ფონეტიკით დასაწერი ფორმები: *Sinkovics* (სავარაუდოდ, პირველი და ბოლო სამხრეთ-სლავური გრაფემები (š და ć) უნგრული s და cs სახით გარდაიქმნა).

დიდგვაროვანთა გვარებს შორის, უნგრულ ö ხმოვანს ზოგ შემთხვევაში eö ან უფრო იშვიათად ew ტრადიციული ფორმები გამოხატავს (კიში, პუსტაი 2003), რომლებიც ქართულ ტრანსლიტერაციაში ერთი „ე“ ასოთი იწერება (*Eötvös* „ეტვეშ-ი“, *Dessewffy* „დესეფ-ი“) (ფაფიანი 1967)<sup>3</sup>. ამ ჯგუფს ეკუთვნის ტოპონიმებისგან აღებული გვარებიც: მათი დაბოლოება არის -i „-ელი“. ეს უნგრეთის ტერიტორიაზე მთელ გავრცელებული გვარები მართლწერაში 2 ჯგუფად იყოფა: ჩვეულებრივი -i /i/ ხმოვნად (ი) და (დიდგვაროვანთა) -y ვარიანტად (ასევე /i/ „ი“). მაგ.: *Gyulai* „დიულაი“ და *Andrássy* „ანდრაში“.

ამ ხმოვნების მსგავსად, თანხმოვნებს შორის ტრადიციული (არა-ფონეტიკური) მართლწერის ჯგუფს ქმნიან შემდეგი გრაფემები, რომლებიც ანთროპონიმებში გამოიყენება: cz /tʃ/, ch /tʃ/, ff /f/, th /t/. აქ კიდევ ცალკე ჯგუფს ქმნიან ის ანთროპონიმები, რომლებიც გერმანული ენიდან წარმოიშვა: \*ch /x/, w (v).

როგორც ჩანს, პრობლემას ქმნის ორმაგი დამოკიდებულება: მართლწერა და წარმოთქმა. აქედან გამომდინარე, ჩამონათვალი, ერთი მხრივ, უნგრულ ანბანურ რიგს მიჰყვება, მეორე მხრივ კი მართლწერის

<sup>3</sup> ö ხმოვნის მართლწერის შესახებ იხ. ზოგიერთი უნგრული ნაშრომი (მათ შორის, კიში, პუსტაი 2003: 581; ფაფიანი 1967: 46); მე-18 და მე-19 საუკუნის მართლწერის მიმოხილვა (ფაფიანი 1967: 39).

ფორმების მიხედვით არის ფორმირებული, რადგან ზოგი გრაფემა ქართული მკითხველისათვის ასე იქნება ყველაზე გასაგები. ასეთი რიგია მაგალითად: **s – sch – ss – ssz – sz**. ამ აღნიშნულ ოთხისგან პირველი და ბოლო გრაფემა არსებობს ანბანში, ხოლო ორმაგი **ssz** მორფოლოგიური შედეგია. რაც შეეხება **ss** ფორმას, ის მართლწერის ტრადიციაა და ამიტომ მისი წარმოთქმა ცვალებადია.

უფრო დიდი განხსვავებებიც ამ პრინციპით უნდა დავყოთ: **eö** და **ew** ვარიანტების ხაზები წარმოთქმის პრინციპით **ö** ხმოვანს კი არ მიჰყვება, არამედ ანბანური რიგით არის ფორმირებული: **e “ eé “ eö “ ew**.

ზოგი გრაფემა, როგორცაა **w, y** და **x**, უცხო წარმოშობის მიუხედავად უნგრული ანბანის ნაწლად ითვლება, მაშასადამე, იმ თანამედროვე მართლწერის პრინციპით ვიყენებთ, რომელიც აწესებს უნგრულ და უცხო სიტყვების დაწერილობას. გარდა ამისა, ისინი ბევრ თავისებურ, ესე იგი ტრადიციული მართლწერის მიხედვით შემორჩენილ უნგრულ სახელებშიც გამოიყენება (*Weöres* „ვერემ-ი“). შესაბამისად, აღნიშნული 3 გრაფემის შემთხვევაში სამივე მიზეზი მიეთითება ჩამონათვალში: ანბანი, თანამედროვე მართლწერა, ტრადიციული მართლწერა.

ჩამონათვალში ანბანურ ფორმაზე განსხვავებული გრაფემები შემდეგი რიგით გვხვდება:

გრაფემა	მითითების მიზეზი
<b>A</b>	<b>ანბანი</b>
*ä	ტრადიციული მართლწერა (გერმანული)
aa	ტრადიციული მართლწერა
<b>B</b>	<b>ანბანი</b>
bb	ტრადიციული მართლწერა
<b>C</b>	<b>ანბანი</b>
ch	ტრადიციული მართლწერა
*ch	ტრადიციული მართლწერა (გერმანული)
<b>cs</b>	<b>ანბანი</b>
cz	ტრადიციული მართლწერა

<b>D</b>	<b>ანზანი</b>
dgy	ტრადიციული მართლწერა
<b>E</b>	<b>ანზანი</b>
eé	ტრადიციული მართლწერა
eö	ტრადიციული მართლწერა
ew	ტრადიციული მართლწერა
<b>F</b>	<b>ანზანი</b>
ff	ტრადიციული მართლწერა ან თანამედროვე მართლწერა
<b>G</b>	<b>ანზანი</b>
gg	თანამედროვე მართლწერა
<b>gy</b>	<b>ანზანი</b>
ggy	თანამედროვე მართლწერა
<b>J</b>	<b>ანზანი</b>
jj	ტრადიციული მართლწერა
<b>K</b>	<b>ანზანი</b>
kk	ტრადიციული მართლწერა ან თანამედროვე მართლწერა
<b>L</b>	<b>ანზანი</b>
ll	ტრადიციული მართლწერა ან თანამედროვე მართლწერა
ly /j/	ანზანი და ტრადიციული მართლწერა
lly/j/	ტრადიციული მართლწერა ან თანამედროვე მართლწერა
<b>M</b>	<b>ანზანი</b>
mm	ტრადიციული მართლწერა
<b>O</b>	<b>ანზანი</b>
oó	ტრადიციული მართლწერა
<b>P</b>	<b>ანზანი</b>
pp	ტრადიციული მართლწერა ან თანამედროვე მართლწერა

<b>S</b>	<b>ანზანი</b>
*sch	ტრადიციული მართლწერა (გერმანული)
ss	ტრადიციული მართლწერა ან თანამედროვე მართლწერა
<b>sz</b>	<b>ანზანი</b>
ssz	თანამედროვე მართლწერა
<b>T</b>	<b>ანზანი</b>
Th	ტრადიციული მართლწერა
Ts	ტრადიციული მართლწერა
Tt	თანამედროვე მართლწერა
<b>Ty</b>	<b>ანზანი</b>
tty	თანამედროვე მართლწერა
Tz	ტრადიციული მართლწერა
<b>Z</b>	<b>ანზანი</b>
*z	ტრადიციული მართლწერა (გერმანული)

მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ ქართული -ი სუფიქსის პრინციპებიც, რომელიც უცხო ენებიდან ნასესხები სახელების ბოლოს გამოიყენება. 1. თუ უნგრული სიტყვის ბოლო გრაფემა/ფონემა ხმოვანია, ქართული -ი ბოლოსართის დამატება ტრანსლიტერაციაში სასურველი არ არის. *Békéscsaba* „ბეკეშაბა“ (ტოპონიმი); 2. თუ უნგრული სიტყვის ბოლო გრაფემა/ფონემა -i ან მასთან ფონეტიკურად იდენტური -y გრაფემაა, მაშინ ტრანსლიტერაციაში დეფისს არ ვიყენებთ: *Békési / Békéssy* „ბეკეში“ (ანთროპონიმი). 3. იმ უნგრული სიტყვების შემთხვევაში, რომლებიც თანხმოვნებზეა დამთავრებული, ქართულში ტრადიციულად „-ი“ ფორმის ინტერპრეტაცია გვიწვევს: *Békés* „ბეკეშ-ი“ (ტოპონიმი). 4. ისეთ კომპლექსურ ტოპონიმებს, რომელთაც სტრუქტურის პირველ, თანხმოვანზე დამთავრებულ ნაწილს წესით - ი ბოლოსართი უნდა დაემატოს, მარტივი წარმოთქმის მისაღწევად ბოლოსართს არ ვამატებთ, ყურადღებას ვაქცევთ მხოლოდ მეორე სიტყვის სწორ ტრანსლიტერაციას. მაგალითად, პირველი ნაწილი ცალკე: *Gellért* „გელერტ-ი“; მაგრამ *Gellért-hegy* → *gy* (დი) თანხმოვნის ტრანსლიტერაციის მიხედვით „გელერტ-ჰედი“ (დ არა \*„გელერტი-ჰედი“). 5. თუ „ი“ გრაფემის ფარგლებში, ქართულში არსებობს უკვე დამკვიდრებული ნასესხები ფორმა, მაშინ არ შეიცვლება: *Duna* „დუნა“.

*Mihály* „მიხაი“ ანთროპონიმთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ ის, რომ ქართული ენის გარემოში უნგრული **h** გრაფემის ტრანსლიტერაცია მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში რუსული ენის შუამავლობით ჩამოყალიბდა, მამასადაძე, /h/ → ქართული „ხ“ შესატყვისობის მიხედვით

გამოყენებული იყო ქართულში (მაგალითად: *Mihály Zichy* „მიხაი ზიჩი“). ვინაიდან, ქართულ გარემოში სახელი ამგვარად გამოიყენება, მაგრამ უნგრულ ფონემას არ შეესაბამება, ამიტომ გამონაკლისს შემთხვევად მიიჩნევა. ორთოგრაფიულ ლექსიკონში დასტურდება სხვა პიროვნებებიც, რომელთაც უკლებლივ ყველას უწერია „მიხაი“ და არა „მიჰაი“: მიხაი ბაბიჩი-ი (*Babits*), მიხაი ვაცი (*Váci*), მიხაი ვერემმარტი (*Vörösmarty*), მიხაი იმტვანოვიჩი/ უნგროვლახელი (*Istvánovics*), მიხაი კაროი (*Károlyi*), მიხაი მუნკაჩი (*Munkácsy*), მიხაი პოლაკ-ი (*Pollack*), მიხაი ჩოკონაი ვიტეზ-ი (*Csokonai Vitéz*), მიხაი ჰორვატ-ი (*Horváth*)

გაუგებრობების ასარიდებლად, კიდევ უნდა ავხსნათ **ly** გრაფემების თანახმარება: 1. გამოხატავს /j/ ფონემას და l თანხმოვანი არ წარმოითქმის (*Borbély* „ბორბელი“, *Erdélyi* „ერდელი“ *Gergely* „გერგელი“, *Gulyás* „გულიაში-ი“, *Károly* „კაროი“, *Károlyi* „კაროი“, *Mészely / Mészöly* – მესელი *Mihály* „მიხაი“, *Polyák* „პოლიაკ-ი“, *Solymosi* „სოლიმოში“, *Sulyok* „სულიოკ-ი“, *Szapolyai* „საპოლიაი“, *Vitályos* „ვიტალიოში-ი“, *Zólyomi* „ზოლიომი“); 2. თუ ბოლო -y გრაფემა /i/ სუფიქსია, მაშინ l თანხმოვანი ფუძის ნაწილად მიიჩნევა და წარმოითქმის: *Áprily* „აპრილი“, *Jékely* „იეკელი“ *Moholy-Nagy* „მოჰოლინადი“, *Szamuely* „სამუელი“. ორივე საკითხს (-ი სუფიქსის დამატებასა და ly-ს ტრანსლიტერაციას) ეხება ეს იშვიათი მაგალითი: *Csíkszentmihályi*. ამ ანთროპონიმის შემთხვევაში ly გამოხატავს /j/ ფონემას და ბოლოში -i ხმოვანიც წარმოითქმის. ორივე ბგერას ქართულში „ი“ შეესატყვისება, მაგრამ ვინაიდან გაორკეცებული „ი“ რიგი არ არის დაშვებული, ტრანსლიტერაცია ამ ფორმით მარტივდება: „ჩიქსენტმიხაი“. იმავე სიტუაციას ქმნის კიდევ *Szent-Györgyi* გვარისა და *Szentgyörgy* ტოპონიმის საკითხიც: ორვე შემთხვევაში „-დი“ დაბოლოება იწერება („სენტ-დიერდი“ და „სენტდიერდი“). მსგავსი შემთხვევა ჩნდება ny თანხმოვანზე დამთავრებულ სახელებთან: *Tihany* (ტოპონიმი) და *Tihanyi* (ანთროპონიმი) ერთნაირად „ტიჰანი“ ფორმით ჩაიწერება.

თუ რომელიმე გვარს თანამედროვე და სხვადასხვა ტრადიციული ფორმაც აქვს, ჩამონათვალში, უმჯობესია, ამგვარად მივუთითოთ: *Bárdosi, Bárdossi, Bárdossy, Bárdosy* „ბარდოში“.

## 5. პოზიციის საკითხის მიმოხილვა

უნგრული ორთოგრაფია ფონემებს ეფუძნება, ამიტომ სხვადასხვა ალოფონი პოზიციის მიხედვით არ გამოიხატება. თუმცა არსებობს რამდენიმე ტენდენცია, რომლებიც უნდა აღვნიშნოთ, გავითვალისწინოთ იმის შესაძლებლობა, თუ ასეთები რამდენადაა ტრანსლიტერაციის საგანი. მათ შორის, ბევრი გაბმულ მეტყველებაში იჩენს თავს, რაც ფონეტიკური ტრანსკრიფციის საკითხად მიიჩნევა.

აქედან გამომდინარე, ტრანსლიტერაციას არ ემატება ფონოტაქტიკა და ზოგადი მორფოლოგიური ტენდენციები. ასეთია, მაგალითად, როცა წარმოთქმაში მჟღერობა-სიყრუის ასიმილაცია მოქმედებს: *Nyíregy-*

háza → \*nyíretyháza h-ს გავლენით gy → ty (შიპტარი 2015); r, l ფონემათა დამაგრძელებელი ფონეტიკური გავლენა წინა ხმოვნებზე წარმოთქმის დროს: *Szolnok* (/o/ → \*/o:/), *Karcag* (/n/ → \*/n:/) (კაშაი 2015); მართლწერაში არაა აღნიშნული ასიმილაცია: *Jászság* → *jásság* (/s/ + /j/ → /ʃ:/).

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, თუ რა შეიძლება გადმოვიტანოთ უნგრული ენის მახასიათებლებიდან ქართული ტრანსლიტერაციის ფარგლებში. **l** და **ll**, **p** და **pp** და **s** და **ss** გრაფემები უნგრულ ენაში ბოლო პოზიციაში მხოლოდ ტრადიციული მართლწერის შედეგებია, ხოლო შუა პოზიციაში სწორი (ჩვეულებრივი უნგრული) წარმოთქმის მიხედვით გრძელია. ვინაიდან ქართულისთვის თანხმოვანთა გემინაცია მიუღებელია, ამიტომ ნებისმიერ პოზიციაში გადმოვა მხოლოდ ერთ თანხმოვანად: 1. შუაპოზიცია: ll/l/ (*Sallai* „შალაი“), ss/ʃ:/ (*Kassák* „კაშაკ-ი“); 2. ბოლო პოზიცია: -ff = /f/ (*Abaffy* „აბაფი“), ll = /l/ (*Páll* „პალ-ი“) და ss = /ʃ/ (*Andrássy* „ანდრაში“). თუ გარკვეული სახელის მართლწერა ცვალებადია, მაშინ ფორმა გამონაკლისების ფარგლებშიც არის მითითებული: *Bornemissa* / *Bornemisza* – ტრანსლიტერაცია ორივეს შემთხვევაში იგივე იქნება „ბორნემისა“.

**h** თანხმოვანს საწყის და შუა პოზიციაში „ჰ“ თანხმოვანი შეესატყვისება. *Hegy* „ჰედი“, *Hevesi* „ჰევეში“, *Moholy* „მოჰოლი-ნადი“. აღნიშნული **h** ფონემა ბოლო პოზიციაში არ წარმოითქმის არც უნგრულ და არც ქართულ ენაში, მაგრამ ასეთი მაგალითი თანხმოვანზე დამთავრებული უცხო სიტყვების ფარგლებში უნდა ჩავთვალოთ, და მათ ტრადიციულად „-ი“ სუფიქსი უნდა დავამატოთ. მაგალითად: *Oláh* „ოლაჰ-ი“; *Cseh* „ჩეჰ-ი“ (ანთროპონიმები). ხოლო აღნიშნული გრაფემა ბოლო პოზიციაში თანხმოვნის შემდეგ არ წამოითქმის, შესაბამისად, ქართულ ტრანსლიტერაციაშიც თავდაპირველი უნგრული წარმოთქმა არის საფუძველი, და ეს მაგალითები ჩამონათვალში გამონაკლისებს შორის მიეთითება. *Ágh* „აგ-ი“, *Eördögh* „ერდეგ-ი“, *Végh* „ვეგ-ი“.

ქალთა ანთროპონიმების ფარგლებში ცალკე არ მივუთითებთ -nÉ სუფიქსთან ერთად გამოყენებულ სახელებს და გვარებს. აღნიშნული მორფემა ქმრის სახელს ან გვარს ემატება უნგრეთში და ქალთა გათხოვილ მდგომარეობაზე მიუთითებს და ყველა ანთროპონიმს შეიძლება იმავენაირად დაიმატოს: *Nagy* „ნადი“ “ *Nagyné* „ნადინე“ (გვარი), *Nagy András* „ნადი ანდრაშ“ – *Nagy Andrásné* (სახელი).

## 6. დასკვნა

სტატიაში განიხილება უნგრული ენიდან ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები, რომლებიც უნგრული ენის არმცოდნესაც შეუძლია გამოიყენოს და ჩაწეროს სიტყვები ქართულად. სტატიაში განვიხილეთ:

**ანთროპონიმები**, ყველაზე გავრცელებული სახელები და გვარები, ძირითადად: მეფეებისა, უნგრეთის ისტორიის მნიშვნელოვანი მოღვა-

წეებისა, პოლიტიკის წარმომადგენლებისა, მსოფლიოს მასშტაბით ცნობილი ან უნგრეთში მნიშვნელოვანი ხელოვანებისა და მწერლებისა, ცნობილი პრიზების ლაურეატებისა, ხშირი უნგრული სახელები და გვარები, სპორტის სამყაროს რჩეული მოღვაწეებისა, ასევე ძველი უნგრული სახელები და გვარები.

**ტოპონიმები**, ძირითადად: ქალაქების, მუნიციპალიტეტების, მუნიციპალიტეტების ცენტრალური ქალაქების, ბუდაპეშტის უბნების, სოფლების და სხვა დასახლებული პუნქტების, ეროვნული პარკების, სხვადასხვა რაიონის, ასევე, ჰიდრონიმების სახელწოდებები.

ამ წესების გათვალისწინებით ასევე შესაძლებელია, საჭიროებისამებრ, **საზოგადო არსებითი სახელების ტრანსლიტერაცია** (განსაკუთრებით მაშინ, როცა ესა თუ ის საზოგადო სახელი ამა თუ იმ ორგანიზაციის, დაწესებულებისა და ა. შ. სახელწოდებაში შედის).

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ანდრაზაშვილი, კარტოზია, მუჯირი 2021-2022: მარინა ანდრაზაშვილი, ალექსანდრე კარტოზია, სოფიო მუჯირი, გერმანული ენის ბგერითი სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები, ბიულეტენი III, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, გამომცემლობა „გრიფონი“, თბილისი
2. არაბული 2008: ავთანდილ არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი
3. ბალოგი 2017a: Balogh Krisztina, A névszóragszása [სახელების ბრუნვა]. Magyar grammatika. [უნგრული ენის გრამატიკა] Szerk.: Keszler Borbála. Műszaki Könykiadó. Budapest
4. ბალოგი 2017b: Balogh Krisztina, A tárgy. [ობიექტი]. Magyar grammatika. [უნგრული ენის გრამატიკა] Szerk.: Keszler Borbála. Műszaki Könykiadó. Budapest
5. გიგინეიშვილი 1972: ივანე გიგინეიშვილი, უცხოურ პირთა და გეოგრაფიული სახელების ქართულად გადმოცემისათვის, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი 1, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი
6. ეშბი, მეიდმენტი 2005: Michael Ashby and John Maidment, Introducing phonetic science, Cambridge introductions to language and linguistics, Cambridge University Press, Cambridge
7. თოფურია 2005: ვარლამ თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი
8. კაშია 2015: Kassai Ilona, IV. 26. Fonetika. 26.4.2. Alkalmazkodási folyamatok. Kiefer Ferenc (szerk): A magyar nyelv. Akadémiai Kiadó. Budapest [ილონა კაშია, IV. 26. ფონეტიკა. 26.4.2. ხმოვანთა ადაპტაციის პროცესები. წიგნში: ფერენც კიფერი (რედ.): უნგრული ენა. აკადემიის გამომცემლობა. ბუდაპეშტი. ონლაინბმული: [www.mersz.hu](http://www.mersz.hu)
9. კიში 2015: Kiss Jenő: III. 18. Nyelvjárások és regionális nyelvváltozatok. Kiefer Ferenc (szerk): A magyar nyelv. Akadémiai Kiadó. Budapest [იენე კიში, III.

18. დიალექტები და რეგიონული განსხვავებები ენის მოხმარებაში. წიგნში: ფერენც კიფერი (რედ.): უნგრული ენა. აკადემიის გამომცემლობა. ბუდაპეშტი], ონლაინბმული: [www.mersz.hu](http://www.mersz.hu)
10. კიში, პუსტაი 2003: Kiss Jenő, Pusztai Ferenc, Magyar nyelvtörténet, Osiris, Budapest [იენე კიში, ფერენც პუსტაი, უნგრული ენის ისტორია, გამომცემლობა „ოზირისი“, ბუდაპეშტი]
11. კობახიძე, ჭაბაშვილი 1989a: საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონი, რედაქტორები ალექსანდრე კობახიძე, მიხეილ ჭაბაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
12. კობახიძე, ჭაბაშვილი 1989b: უცხოურ პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, რედაქტორები ალექსანდრე კობახიძე, მიხეილ ჭაბაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
13. ლაცკო 2017: Laczkó Krisztina, Az alaktan tárgya és alapkategóriái [მორფოლოგიის საგანი და მისი საფუძველი კატეგორიები]. Magyar grammatika. [უნგრული ენის გრამატიკა] Szerk.: Keszler Borbála. Műszaki Könykiadó. Budapest
14. ლადეფოგედი, ჯონსონი 2015: Peter Ladefoged and Keith Johnson, A Course in Phonetics, Seventh Edition, Cengage Learning, Stamford
15. სიგა 2013: Elizabeth C. Zsiga, The sounds of language: an introduction to phonetics and phonology, Linguistics in the World (textbook series), Publishing house “Wiley-blackwell”, Chichester / Malden / Oxford
16. სტატისტიკის ბიურო 2024: Központi Statisztikai Hivatal: Helyiségnévtár [უნგრეთის ცენტრალური სტატისტიკის ბიურო / „დასახლებული ადგილების სია“] სია ყოველ წელს განახლდება. ონლაინბმული: <https://www.ksh.hu/apps/hntr.egyeb?p-lang=HU&p-sablon=TELEPULESEK-ABC>
17. ტოტვალუში 2001: Tótfalusi István, Magyar etimológiai szótár/ K – kende. M – magyar. უნგრული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი. ონლაინ და DVD გამოცემა: 2001. <https://www.arcanum.com/en/online-kiadvanyok/Lexikonok-magyar-etimologiai-szotar-F14D3/>
18. უნგრული ენათმეცნიერთა კვლევითი ცენტრი 2013-2025: დარეგისტრირებული სახელების სია. Nyelvtudományi Kutatóközpont. Utónévkereső, ონლაინბმული: <http://utonevkereso.nytud.hu/>
19. უნგრეთის მეცნიერებათა აკადემია 2015: A magyar helyesírás szabályai. 12. kiadás Magyar Tudományos Akadémia. Akadémiai Kiadó. Budapest [„უნგრული ენის მართლწერა“. მე-12 გამოცემა]
20. ფაბიანი 1967: Fábrián Pál, Az akadémiai helyesírás előzményei – Helyesírásunk alakítására irányuló tudatos törekvések 1772 és 1832 között. [აკადემიური მართლწერის წინამორბედი – მისწრაფებები ჩვენი მართლწერის შექმნისთვის 1772-1882 წ. პერიოდში] Akadémiai Kiadó. Budapest [პალ ფაბიანი, აკადემიურ მართლწერამდე – გააზრებული მისწრაფებები 1772-1882 წლის პერიოდში ჩვენი მართლწერის ჩამოყალიბებისათვის, აკადემიის გამომცემლობა, ბუდაპეშტი].
21. შიპტარი 2015: Siptár Péter: 2. A magánhangzók. 2.2.1 Hosszú-rövid párok. 2.2.2 A Zöngésségi hasonulás. In: Kiefer Ferenc (szerk): A magyar nyelv. Akadémiai Kiadó. Budapest. Online megjelenés: 2015. [პეტერ შიპტარი, 2. ხმოვნები, 2.2.1 გრძელი-

მოკლე წყვილეულები. 2.2.2 ასიმილაცია მქდერობის მიხედვით. წიგნში: ფერენც კიფერი (რედ.): უნგრული ენა. აკადემიის გამომცემლობა. ბუდაპეშტი], ონლაინბმული: [www.mersz.hu](http://www.mersz.hu)

22. ჰაიდუ 2010: Hajdú Mihály, Családnevek enciklopédiája. Leggyakoribb mai családneveink. Tinta Könyvkiadó. Budapest [მიხაი ჰაიდუ, გვარების ენციკლოპედია, ჩვენი ყველაზე ხშირი გვარები, ონლაინბმული: <https://dtk.tankonyvtar.hu/xmlui/bitstream/handle/123456789/8871/Csaladnevek-enciklopediaja.pdf?s>]

## ÁRPÁD ÉLES

ZURAB BARATASHVILI

### TRANSLITERATION OF THE HUNGARIAN SOUND SYSTEM INTO THE GEORGIAN LANGUAGE

#### Summary

This article presents a comprehensive set of transliteration guidelines for rendering Hungarian anthroponyms and toponyms into Georgian. Developed for submission to the Department of State Language of Georgia in 2025, the study aims to establish a standardised manual for translators and linguists by aligning the Hungarian phonetic and orthographic systems with Georgian phonology.

The theoretical framework distinguishes between transcription – the phonetic or phonemic recording of sounds using specialised symbols – and transliteration, which adapts foreign names into the recipient language according to its specific orthographic and phonemic rules. The authors emphasise that transliteration is inherently adaptive, as the phonological systems of the donor and recipient languages are not identical.

The analysis of the Hungarian sound system and its Georgian correspondences highlights several key principles:

**Vowels:** Hungarian features 14 vowels forming short-long pairs. In Georgian transliteration, vowel length and labialisation are typically ignored due to the absence of phonological equivalents. Front mid-vowels (e, é, ö, ő) are generally rendered with the Georgian ე /ɛ/, while the high front rounded vowels (ü, ú) are transliterated as იუ /iu/.

**Consonants:** The system includes 30 graphemes representing 25 phonemes. While many consonants have direct Georgian counterparts, Hungarian lacks ejectives (წ /tsʰ/, ჭ /tʃʰ/, ყ /qʰ/). Significant attention is given to palatal consonants: gy is rendered as დი /di/, ny as ნი /ni/, and ty as ტი /tʰi/.

**Orthographic Traditions:** The guidelines account for traditional (non-phonetic) Hungarian spellings found in noble surnames and archaic forms. For instance, the digraphs eö and ew are simplified to the Georgian ე /ɛ/. The study also addresses the treatment of the Georgian nominative suffix -ო /-i/, noting that it should be appended to names ending in consonants but omitted for those ending in vowels.

**Specific exceptions** are noted, such as the name Mihály, which is traditionally rendered with the Georgian ხ /x/ (e.g., მიხაი ზიზი /miχai zitʃi/) despite the phonemic correspondence of h to ჰ /h/.

In conclusion, this research provides a rigorous methodological basis for the phonetic and graphic integration of Hungarian names into Georgian. By balancing phonetic accuracy with established transliteration traditions, the proposed rules ensure consistency in academic, administrative, and cultural contexts.

## ინესა მერაბიშვილი

### რას შეიძლება მოგვასწავებდეს პირველი კრიპტოგრამის აღმოჩენა რუსთველის „ვეფხისტყაოსანში“?

წლების წინ „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის ინგლისურ თარგმანზე მუშაობისას, ჩემთვის დილემად იქცა ფრაზა: „მე, რუსთველი ხელობითა“, საკუთრივ კი სიტყვა „ხელობა“, რომელმაც მის თარგმნასთან დაკავშირებული გარკვეული სირთულეები წარმოშვა. საილუსტრაციოდ წარმოგიდგენთ სათანადო სტროფს დედანში:

მე, რუსთველი **ხელობითა**, ვიქმ საქმესა ამა დარი:

ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის **ვხელობ**, მისთვის მკვდარი;  
დავუძღურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი,  
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი. (სტრ.8)

მოგეხსენებათ, სტროფის პირველ პწკარში, სიტყვა „ხელობის“ მნიშვნელობაზე, რუსთველოლოგიაში ძირითადად ორი მოსაზრება ფიგურირებს:

1. აკაკი შანიძის თანახმად, ფრაზა „მე, რუსთველი ხელობითა“ გულისხმობს შემდეგს: „მე, რომელსაც რუსთავი მაქვს სახელოდ, მე რუსთავის გამგე“ (9).

ამ შეხედულებას იზიარებს კორნელი კეკელიძე (1).

2. ვიქტორ ნოზაძისა (5) და ნოდარ ნათაძის (6;7) მიხედვით, აქ წარმოდგენილი სტროფის პირველ და მეორე სტრიქონში სიტყვები: „ხელობითა“ და „ვხელობ“ მიჯნური პოეტის გაშმაგებას ნიშნავს.

ფრიად საგულისხმოა პირველი რუსთველოლოგის, ვახტან VI-ის მოსაზრება, რომელიც პოემასთან ერთად დასტამბულ მის გამოკვლევაში გვხვდება. სიტყვას „ხელობითა“ იგი განმარტავს როგორც პოეტის თამარ მეფისადმი სამსახურს, ხოლო ზმნას „ვხელობ“ - როგორც მიჯნურის გახელებას.

ჩატარებულმა ლინგვო-სტილისტიკურმა ანალიზმა საშუალება მომცა დამესკვნა, რომ ქართული პოლისემანტიკური სიტყვა „ხელობა“, რომელიც, გარდა ზემოაღნიშნული ორი მნიშვნელობისა (საქმიანობა, გაშმაგება), „დახელოვნებასა“ და „ხელოვანებასაც“ ნიშნავს, „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში სწორედ ამ უკანასკნელის მნიშვნელობითაა წარმოდგენილი. გავიხსენოთ თუნდაც ერთ-ერთი წინა სტროფის პწკარი: „აწენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება“ (სტრ.6).

გამომდინარე იქიდან, რომ ინგლისურ ენაში არ მოიძებნება ზემო-აღნიშნულ სამივე მნიშვნელობის გამაერთიანებელი სიტყვა, „ხელობა“ ვთარგმნე როგორც – „არტ“, რომლის მნიშვნელობათა ძირითადი სპექტრი ასე გამოიყურება: ხელოვნება, ხელობა, სიმარჯვე, ცოდნა, უნარი. აქვე გთავაზობთ ამ სტროფის ჩემეულ ინგლისურ თარგმანს:

I, Rustveli by my art, do work of this kind:  
Hosts of warriors whom obey, for her I strive, die;  
An exhausted, tired lover, remedy won't find,  
She may either deign to cure, or a grave to find.

რუსთველის დედნისეული სტროფის მიზანმიმართულმა მრავალ-ჯერადმა წაკითხვამ და მისი აკუსტიკური ველის, მუსიკალური ჟღერადობის ღრმად შეგრძნებამ ჩემთვის მოულოდნელი შედეგი გამოიღო: წაკითხვისას ყურში გამუდმებით ჩამესმოდა სახელი „თამარი“. მოგეხსენებათ, ამ სტროფში ეს სახელი ნახსენები არ არის, მას ვხვდებით მხოლოდ პროლოგის მე-3 და მე-4 სტროფებში – „**მეფისა მზის თამარისა, დაწვ-ბადახმ, თმა გიშერისა**“, „**თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული**.“

მაშ რატომ ჩამესმოდა სტროფის კითხვისას სახელი „თამარი“? იქნებ იმიტომ, რომ სტროფის ოთხივე პწკარი, ისევე როგორც სახელი „თამარი“, ერთნაირად ბოლოვდება სამ ბგერაზე „არი“: „**ამა დარი**“, „**მისთვის მკვდარი**“, „**არსით არი**“? მაგრამ მიზეზი მარტო ეს არ აღმოჩნდა!

როგორც კი სტროფს უფრო დაკვირვებული თვალით ჩავუღრმავდი, აღმოვაჩინე, რომ „**თამარი**“ ცალკეულ მარცვლებად და ასო-ბგერებად არის ჩაქსოვილი სტროფში, როგორც კრიპტოგრამა, ანუ ფარული კოდი. და ეს ხდება არა ერთხელ, არამედ სამჯერ და შემდეგ სურათს გვაძლევს:

პირველ პწკარში მარცვალი „**თა**“ გვაქვს სიტყვაში „ხელობი-**თა**“, მარცვალი „**მა**“ – სიტყვაში „**ამა**“, ხოლო მარცვალი „**რი**“ სიტყვაში „**დარი**“. ამგვარად მივიღეთ სახელი „თამარი“.

მეორე პწკარში მარცვალი „**თა**“ გვაქვს სიტყვაში „**სპა-თა**“ და ასე შემდეგ, ხოლო მესამე პწკარში „**თა**“ ჩაქსოვილია სიტყვაში „**მიჯნურ-თა** - თვის“ და ასე შემდეგ.

განმეორებით გთავაზობთ სტროფს, სადაც კრიპტოგრამის შემადგენელი მარცვლები და ბგერები გამოყოფილი და გამუქებულია:

მე, რუსთველი ხელობითა, ვიქმ საქმესა **ამა დარი**:  
ვის ჰმორჩილობს ჯარი **სპათა**, მისთვის ვხელობ, მისთვის **მკვდარი**;  
დავუძღურდი, მიჯნურ**თათვის** კვლა წამალი არსით **არი**,  
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი. (8)

დღეს ჩვენთვის უცნობია, ამოიცნო თუ არა ეს ფარული ნიშანი თამარ მეფემ, ან რომელიმე მისმა თანამედროვემ, მაგრამ ფაქტია, რომ რუსთველმა ის საგანგებოდ ჩააქსოვა და ჩააწნა იმ სტრიქონებს, სადაც ყველაზე აშკარად გამოხატა თავისი პოეტური ოსტატობა, მოვალეობა, თავდადება და მგზნებარე გრძნობები.

იმასაც მივაქციოთ ყურადღება, რომ სტროფში სამჯერ ფარულად ნათქვამი „თამარს“ წინ უძღვის ერთხელ ცხადად ნათქვამი „რუსთველი“, ვითარცა ამ იდუმალი სახელის ფარი. ამასთან, ეჭვგარეშეა, რომ პოეტის სურვილი და მიზანი იყო, მისი სახელი „რუსთველად“ გადასცემოდა მემკვიდრეობას და ის აუცილებლად თამართან ყოფილიყო დაწყვილებული. ეს სურვილი ქართველმა ერმა პოეტს შეუსრულა, რადგან, იწამა რა მისი დიდი გრძნობა, ამ სიყვარულით გასხივოსნებული „მარგალიტი წყობილი“ ხელის გულზე ატარა და ჩვენამდე მოიტანა.

აქ წარმოდგენილი საკითხები გაცილებით ვრცლად არის აღწერილი ჩემს პუბლიკაციებში (2;3).

კრიპტოგრამის ხერხის პოეზიაში გამოყენების ტრადიცია კარგად იყო ცნობილი შუა საუკუნეების აღმოსავლური და დასავლეთის მწერლობისათვის. ეს გახლავთ ფარული ენა და კოდი, რომელიც ზედაპირზე არ ჩანს, იდუმალია და აუცილებლად შეიცავს რაღაც მნიშვნელოვან, საიდუმლო ინფორმაციას. პოეტურ ტექსტში კრიპტოგრამა ქვეცნობიერად მოქმედებს მკითხველზე და დამატებით შინაარსობრივ პლასტს ქმნის, რომელიც მეტ სიღრმესა და ემოციურობას სძენს ტექსტს. ჩვენგან საუკუნეებით დაშორებული ასეთი იდუმალი კოდი შეგვიძლია შევადაროთ მაგ., თანამედროვე კინოში ფართოდ გავრცელებულ 25-ე კადრს.

„ვეფხისტყაოსანი“, როგორც პოეზიის მწვერვალი, ქართული რენესანსული აზროვნების ნაყოფია, რომელიც დაახლოებით სამი საუკუნით უსწრებს ინგლისურ რენესანსს და თავად ვილიამ შექსპირის მოღვაწეობას. ჩანს, სწორედ შექსპირის კრიპტოგრამებზე გავარჯიშებამ მიბიძგა „ვეფხისტყაოსნის“ ფარული კოდის ამოცნობისკენ. აქვე დავსძენ, რომ რუსთველის მკვლევრებს „ვეფხისტყაოსანში“ კრიპტოგრამის არსებობის ფაქტი არასოდეს შეუნიშნავთ.

ამდენად, მიზანშეწონილად მიმაჩნია, მოკლედ მოგახსენოთ შექსპირის ერთ-ერთ საკვანძო კრიპტოგრამაზე (4).

1785 წელს, ვორიკშირის საგრაფოს მოძღვარმა ჯეიმზ ვილმოტმა, მასთან დაახლოებულ პირს, ვინმე კოუელს, გაანდო ამბავი, რომ შექსპირის თხზულებების ნამდვილი ავტორი იყო ცნობილი ფილოსოფოსი ფრენსის ბეკონი (Francis Bacon, 1561-1626). ნაამბობი კოუელმა ჩაიწერა და ეს წერილობითი მასალა დღესაც დაცულია ლონდონის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. საგულისხმოა ის წერილიც, რომელიც ფრენსის ბეკონს მისმა უახლოესმა მეგობარმა, არქიეპისკოპოსმა ტობი მეთიუმ მისწერა ჯერ კიდევ XVI საუკუნის დამლევს: „ყველაზე მძლავრი და გასაოცარი გონება, რომლის შესახებაც ოდესმე მსმენია ჩემს ქვეყანაში თუ ოკეანის მიღმა, თქვენში მეგულება, თქვენო უგანათლებულესობავ, და ისიც სხვა სახელითაა ცნობილი“. ეს მართლაც არ არის პატარა მინიშნება, მით უმეტეს, თუ ვიცით, რომ იმდროინდელ ინგლისში ყველაზე დიდი ინტელექტუალი და ბრძენი ფრენსის ბეკონი გახლდათ.

შექსპირის პიესებში ძალზე ბევრი ქარაგმა, მინიშნება და რებუსია, რაც საშუალებას აძლევს მკვლევართ ამტკიცონ, რომ ფრენსის ბეკონი იყო შექსპირის თხზულებების რეალური ავტორი. ამ საკითხთან დაკავშირებით პირველი ნაშრომი ქვეყნდება უ. სმიტის მიერ 1856 წელს, სათაურით: „იყო თუ არა ფრენსის ბეკონი ავტორი შექსპირის პიესებისა“. მოგვიანებით, 1887 წელს ქვეყნდება ი. დონელის ნაშრომი: „დიდი კრიპტოგრამა“, სადაც ავტორი უკვე გვესაუბრება იმის შესახებ, რომ შექსპირის თხზულებებში მოცემულია გარკვეული შიფრი ფრენსის ბეკონის ავტორობის შესახებ. 1910 წელს იბეჭდება ფ. დარნიზ ლორენსის წიგნი: „ბეკონი - შექსპირია“, სადაც ვკითხულობთ, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შიფრი მოცემულია შექსპირის ადრეულ კომედიაში „Love’s Labour’s Lost“ - „სიყვარულის ამაო გარჯა“. ეს გახლავთ გრძელი, თითქოს უაზრო ლათინური სიტყვა - **“honorificabilitudinitatibus”**, რომელსაც პიესის პერსონაჟი წარმოთქვამს. როგორც ავტორი ასკვნის, ეს ლათინური სიტყვა რეალურად არის ანაგრამა და იკითხება შემდეგნაირად - **Hi ludi F. Baconis nuti tuiti orbi**, რაც შემდეგს გვაუწყებს: „ეს თხზულებები ფრენსის ბეკონმა შექმნა კაცობრიობისათვის“. ანაგრამებით, ქარაგმებით, ალუზიებით, რებუსებით, იგავებით, ენიგმებითა თუ კრიპტოგრამებით საუბარი, უხსოვარი დროიდან დღემდე, ჩვეულებრივი მოვლენაა ინტელექტუალურ მწერლობაში. თუმც უნდა ითქვას, რომ ამ მეთოდს განსაკუთრებით ხშირად მიმართავდნენ შექსპირის ხანაში. თავად გვარი შექსპირიც ამ პრინციპით უნდა იყოს შედგენილი. სონეტების პირველ გამოცემაზე შექსპირი დეფისით წერია - „Shake-speare“, რაც ხაზს უსვამს ამ ორი სიტყვის შინაარსს: „მოიქნიე შუბი“.

კიდევ უფრო საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ბეკონის, როგორც ფილოსოფოსის მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზე, დედოფალ ელისაბედ I-ის ინიციატივით, იქმნება კლუბი სახელწოდებით „Spear Shakers“ - შუბის მქნევლნი.

1945 წელს გამოდის კიდევ ერთი ნაშრომი - უ. მელსომის „ბეკონ-შექსპირის ანატომია“, რომელშიც აღნიშნულია, რომ, ვიდრე ბეკონი თავის ფილოსოფიურ შეხედულებებს და თეორიებს გამოაქვეყნებდა, ეს ყოველივე შექსპირის შემოქმედებაში უკვე იყო ასახული. ისიც საგულისხმოა, რომ ბეკონი მაშინ აქვეყნებს თავის ამ ნაშრომებს, როცა შექსპირი უკვე გარდაცვლილია. რჩება ვარაუდი, რომ შექსპირმა ამ ყველაფრის შესახებ უკვე იცოდა, ანუ შექსპირი თავად იყო ბეკონი.

რაც შეეხება თეატრ „გლობუსის“ მსახიობს ვილიამ შექსპირს, ის ნამდვილად არსებობდა, მაგრამ საკუთარი გვარის ოდნავ გადაკეთებული ფორმით იყო ცნობილი. მისი ნამდვილი გვარი გახლდათ შაგსპერი, სადაც ფუძე „შაგ“ ნიშნავდა გარეულ ცხოველს, ხოლო გვარი Shakespear - შექსპირი, როგორც ასეთი, არც მანამდე არსებობდა და არც შემდგომ. როგორც ჩანს, სრულიად გაუნათლებელი, მაგრამ ნიჭიერი მსახიობი ვილიამ შაგსპერი დაიყოლიეს, მიეღო ფსევდონიმი Shakespear და თავი სხვის მიერ შექმნილი პიესების ავტორად გამოეცხადებინა.

დიდი შინაარსის მატარებელი ფსევდონიმით “Shakespear” - „მოიქნიე შუბი“ და იმავე შინაარსის კლუბის არსებობით - “Spear shakers” - „შუბის მქნეველნი“, ელისაბედ I შუბს იქნევდა გაუნათლებლობის წინააღმდეგ და ამკვიდრებდა ცოდნას დიდ ბრიტანეთში. აქედან მოდის ფრენსის ბეკონის ცნობილი გამოთქმა: „ცოდნა ძალაა“. სწორედ ამ ცოდნამ და განათლებამ ააღორძინა ქვეყანა და უძლეველ ესპანურ არმადაზე გამარჯვება მოაპოვებინა, ისევე როგორც საქართველოში ეს შესძლო დავით აღმაშენებელმა, როდესაც გამარჯვება მოიპოვა დიდგორის ომში, თუმც გაცილებით ადრეულ პერიოდში.

2004 წელს დიდ ბრიტანეთში, კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობამ დასტამბა პიტერ დოკინსის (Peter Dawkins) 500-გვერდიანი წიგნი „The Shakespear Enigma“ (10) - „შექსპირის ენიგმა“. ეს ნაშრომი ყველაზე მნიშვნელოვანი და საფუძვლიანი გამოკვლევაა იმ დაახლოებით ასი ნაშრომიდან, რომელიც ბეკონისა და შექსპირის შეპირისპირებას სწავლობს და დღეს ამაზე საუბრის საშუალებას გვაძლევს.

XXI საუკუნემ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომით გააკვირვა შექსპირის თხზულებებით მონუსხული მკითხველი. ეს გახლავთ 2006 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცემული ვირჯინია ფელოუსის (Virginia M. Fellows) 400- გვერდიანი ნაშრომი „The Shakespear Code“ - „შექსპირის კოდი“ (11). წიგნში მოთხრობილია საუკუნის წინანდელი ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ შექმნეს შექსპირის პიესების გასაშიფრი მანქანა. ეს მანქანა იმ ექიმმა გამოიგონა, რომელიც ძალიან კარგად იცნობდა შექსპირის შემოქმედებას და გრძნობდა, რომ მის ტექსტში დიდი საიდუმლო იმალებოდა.

მანქანა ბორბალის ფორმისაა, რომელიც იწერს პიესას, უყენებს მას სათანადო შიფრს და ეს შიფრი სრულიად სხვა ახალ ამბავს გვიყვება. გაშიფვრის შედეგად აღმოჩნდა, რომ შექსპირის პიესებში, გარდა იქ მოთხრობლი ამბისა, ჩადებულია ფრენსის ბეკონის ცხოვრების ამბავი, რასაც მხოლოდ დაფარული ინფორმაციის დეკოდირების შედეგად ვიგებთ. როგორც დიდი ფილოსოფოსის ბიოგრაფია მოწმობს, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ბეკონი, იდუმალი კოდის შექმნის ოსტატობას პარიზში დაეუფლა. მის ხელთ არსებული მეთოდი მან კიდევ უფრო დახვეწა და განავითარა, რაც საფუძვლად დაედო შემდგომში მის მიერვე მორზეს ანბანის შექმნას.

მოგეხსენებათ, ასეთი შიფრის შექმნისა და არსებობის აუცილებლობა გამოწვეული იყო იმ ვითარებით, რომ ძალადი წრეების წარმომადგენლები მიმოწერისას ვერ ენდობოდნენ ქალაქს, რომელიც, შესაძლოა, სხვის ხელში ჩავარდნილიყო და საიდუმლო ინფორმაციას მხოლოდ შიფრით გადასცემდნენ. წიგნი „შექსპირის კოდი“ მალევე ითარგმნა რუსულ ენაზე და 2008 წელს გამოიცა მოსკოვში (12).

ბოლოდროინდელი შთამბეჭდავი პუბლიკაციების მიუხედავად, იმასაც ვიტყვი, რომ არც სახელგანთქმულ შექსპიროლოგებს და არც

ბრიტანულ ინდუსტრიას, ხელს არ აძლევს ამ სიახლეთა დამკვიდრება თუნდაც იმიტომ, რომ ტურისტების აურაცხელი ნაკადი ყოველდღიურად სტუმრობს ინგლისის შუაგულში, მდინარე ავონზე მდებარე პატარა ქალაქ სტრედფორდს - Stratford-upon-Avon, სადაც განლაგებულია შექსპირის მშობლების, მისი მეუღლისა და მისი ქალიშვილის სახლები, გარს შემორტყმული სუვენირების მაღაზიებით, სადაც დამთვალიერებლებს უმოწყალოდ ატყუებენ, რომ ეს ყველაფერი ავთენტურია. ფაქტობრივად, ეს სახლები შექსპირის დროინდელი შენობების იმიტაციით აიგო XIX საუკუნეში, შექსპირის მემკვიდრეობის უკვდავსაყოფად. საერთაშორისო ინტერესი შექსპირისადმი და მისი თარგმნაც სწორე XIX საუკუნეში დაიწყო, როდესაც მეორე დიდი ინგლისელის, ლორდ ბაირონის სახელი ცეცხლივით მოედო ჯერ ევროპას და მერე მთელ მსოფლიოს. აი, სწორედ ამ ფონზე მსოფლიომ მიაპყრო ყურადღება ინგლისს, სადაც აღმოაჩინეს დიდი შექსპირი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავს უფლებას ვაძლევ, პირველი კრიპტოგრამის აღმოჩენის კვალობაზე, შევუძახო ჩვენს თანამედროვე მეცნიერებს, გავაგრძელოთ ძიება, რათა მეტი ფარული კოდი გამოვავლინოთ რუსთველის ტექსტში. არ გამოვირიცხავ, რომ ამ ძიების შედეგად, მივაკვლიოთ პოეტის ნამდვილ სახელსა და გვარს, რომელიც თავად ფსევდონიმის სახით - „რუსთველად“ წარმოგვიდგინა, ორჯერ პროლოგში და ორჯერ ეპილოგში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. კორნელი კეკელიძე, “ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია” ტ. 2, თბ., 1958.
2. მერაბიშვილი, ი., როგორ გვმართებს ვეფხისტყაოსნის ავტორის მოხსენიება? გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 25 მარტი, 2022.
3. მერაბიშვილი, ი., როგორ გვმართებს ვეფხისტყაოსნის ავტორის მოხსენიება? ჟურნალი “მაცნე” . საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, 2022.
4. ინტერვიუ ინესა მერაბიშვილთან, იხ., გაზეთი „საქართველი XXI“, 11-17 მაისი, 2009.
5. ნოზაძე, ვ., თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ I, თბ., 2004.
6. რუსთველი, შ., ვეფხისტყაოსანი, მესამე სასკოლო გამოცემა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი, კომენტარი და ბოლო სიტყვა დაურთო ნ. ნათაძემ, „განათლება“, თბ., 1986.
7. რუსთველი, შ., ვეფხისტყაოსანი, სასკოლო გამოცემა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი, კომენტარი და ბოლო სიტყვა დაურთო ნ. ნათაძემ, თბ., 2022.
8. რუსთაველი, შ., ვეფხისტყაოსანი, ა. ბარამიძის, კ. კეკელიძისა და აკ. შანიძის რედაქციით, თბ., 1957.
9. შანიძე, აკ., ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი, იხ., შემდეგი: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ა. ბარამიძის, კ. კეკელიძისა და აკ. შანიძის რედაქციით, თბ., 1957.

10. 10. Cambridge University Press, UK, 2004.
11. 11. Fellows, M. Virginia, *The Shakespeare Code*, Summit University Press, USA, 2006.
12. 12. Феллоуз, М. Вирджиния, Код Шекспира, «Издательство «ДИЛЯ», Москва, 2008.

INESA MERABISHVILI

## WHAT MIGHT THE DISCOVERY OF THE FIRST CRYPTOGRAM IN RUSTVELI'S TEXT BE CONDUCTIVE TO?

### Summary

Rustveli's „Vepkhistkaosani“ (The Man in the Tiger's Skin), created in the Golden Age of Georgia, the time of King (Queen) Tamar's powerful and culturally elevated reign, has been universally acknowledged as the greatest piece of Georgian poetry.

Enigmatic content of one of the stanzas of the Prologue of Rustveli's poem, in my opinion, is caused due to the misinterpretation of a Georgian polysemantic word «ხელობა».

One group of scholars assumed that the word «ხელობა» is used here with the meaning of «occupation», while the others defined it as «madness of a lover».

Here is the original text of the stanza:

“მე, რუსთველი ხელობითა, ვიქმ საქმესა ამა დარი:  
ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი;  
დავუძღურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი,  
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი.”

Meticulous semasiological and stylistic analysis of the text of the Prologue permitted to conclude that Rusvelologists never took into consideration the third meaning of the discussed word, namely, “art” or «the art of creating poetry», to which the poet refers in on of the previous stanzas.

Therefore I had good fortune to translate it as follows:

“I, Rustveli by my art, do work of this kind:  
Hosts of warriors whom obey, for her I strive, die;  
An exhausted, tired lover, remedy won't find,  
She may either deign to cure, or a grave to find.”

Deep reading into the sounding and music of the stanza to perceive better its content, quite unexpectedly, led to the discovery of a cryptogram as a hidden code, interwoven into the text through separate syllables, creating together a female Christian name «Tamari» - the name of the Queen, the poet's contemporary and beloved lady, called «King Tamar» to whom the poem is dedicated. The poet repeats this cryptogram three times but in different lines, namely in the first, second and thirds ones, and of course through different words.

In Rustvelology it appeared to be the first case of discovering a cryptogram in Rustveli's text. This discovery apparently stems from my experience of being well-versed in Shakespeare's enigmas and cryptograms, when the most distinguished one among them is an absolutely strange, long and unfamiliar Latin word "honorabilitudinitatibus" that had been deciphered by British scholars as an anagram for the following: "Hi LudiF, Baconis nuti tuiti orbi", that means that all these works were created for the world by F. Bacon.

Therefore, I may encourage all the reserches of Rustveli's text to investigate the poem from the point of discovering more hidden information, hoping to find out what was the real name (Christian and Family) of the greatest poet, who presented himself to the readers through a pseudonym "Rustveli" on four occasions: twice in Prologue and twice in the Epilogue.

## გიორგი ალიბეგაშვილი

### წმიდა გიორგი, ნაცარქექია, კირილე

ქართული ხალხური ზღაპრების ერთ-ერთი სასაცილო და ამავე დროს გამორჩეულად სიმპათიური გმირი არის ნაცარქექია. იგი მრავალმხრივი, ასე ვთქვათ, მოზაიკური სახეა (გ. ასათიანი), რომელიც ერთიანად საინტერესოა როგორც მოზარდი, ასევე უფროსი თაობებისთვის; ზავშვებისთვის - ხალისიანი, მატყუარა, მაგრამ მიმზიდველი ჰეროიკული თავგადასავლის გამო, რომელიც საზრიანობითა და გამბედაობით უშიშრად ამარცხებს ბოროტებას, ხოლო უფროსთათვის იმ ისტორიული ძნელბედობის ალეგორიულად შეხსენებით, თუ მცირერიცხოვანი ქართველი ხალხი საუკუნეების მანძილზე გამჭირახობითა და სტრატეგიული განჭვრეტის უნარით როგორ უმკლავდებოდა გაცილებით ძლიერ და მრავალრიცხოვან მტერს. ასეთია „ერის შინაგანი, რთული სილამაზე“ (კოტე მაცაშვილი).

ვიდრე სათაურად გამოტანილი საკითხის განხილვას შევუდგებოდეთ, შევეხებით წმ. გიორგისთან დაკავშირებულ ორ წერილობით წყაროს, თუ რატომ, ქვემოთ შევეცდებით ჩვენებას.

„იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: წმ. ეფთვიმე (955-1028 წწ.) „იყო ნათესავით ქართველი, რომელმან იგი მრავალნი წიგნნი საღმრთონი თარგმნნა ბერძულისაგან ენისა ქართულთა ენასა, რომელ გამოიტყოდა იგი ენათა მადლითა სულისა წმიდისათა და ესე მცირედი კითხუაჲ - მიგებაჲ მოჰსცა თევდორე ხუცესსა საბაწმიდელსა, რომელ იყო იგიცა მღუდელი კეთილი ქართუელივე. კითხუა: გვედრები შენ, ღმერთშემოსილო მამაო, მაუწყე, თუ რომელნი წიგნნი არიან, რომელთა იგი წმიდაჲ კათოლიკე ეკლესია არა შეიწყნარებს.“ კითხვის მიგებაში წმ. ეფთვიმე განმარტავს, რომ „წიგნნი, რომელთა კათოლიკე ეკლესია არა შეიწყნარებს, არიან ყოველნი, რომელნი მწვალებელთა მიერ აღიწერნეს.“ ასეთთა სიაში სხვებს შორის წმ. მამა ასახელებს შემდეგ წიგნებს, გარყვნილთ ერეტიკოსების მიერ: მოციქულთა ცხოვრებანი „წმიდისა მათე მახარებლისაჲ და წმიდისა ანდრიასი, კუალად წმიდისა გიორგისა არს წამება უცხო და უცხონი რამე საქმენი ჰსწერიან, რომელსა დადიანესი ეწოდების; ხოლო წამებაჲ ჭემმარტი წმიდისა გიორგისა, რომელი ეკლესიათა შინა იკითხვების, იგი არს, რომელ დიოკლიტიანეს მიერ იწამა“<sup>1</sup>...

1 საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882, გვ. 432-33

ასე რომ, ეკლესიის მიერ ძველი დროიდანვე შეწყნარებულია „წმ. გიორგის წამების“ ის რედაქცია, რომელშიც აღწერილია იმპერატორ დიოკლიტიანეს მიერ წმ. მხედრის წამების ისტორია და რომელსაც ჩვენ ვიცნობთ.

მეორე: თავის თანამოაზრეებთან ერთად ხანცთაში ჩასულმა წმ. გრიგოლმა „პირველად აღაშენა ძელისა ეკლესია და შემდგომად საყუდელი თვისი და თითო სენაკები ძმათა მათთვის მცირედ და ერთი სენაკი საოსტიგნედ დიდი“<sup>2</sup> (აქ არ ჩანს, თუ ვის სახელზე აიგო ეს ტაძარი); ხოლო მას შემდეგ, რაც ნეტარმა მამამ გაიცნო გაბრიელ დაფანჩული, ამ „დიდებულმან აზნაურმან ფრიადითა კეთილითა წარმოგზავნა მამად გრიგოლ და მოსცნა კირითხურონი და ნივთი ყოველი ქვითკირისა ეკლესიისა საშენებლად“<sup>3</sup>; „თვისსა ვანსა“ მისულმა წმ. გრიგოლმა

„ადგილი ესე, წმიდისა... ეკლესიისა სამკვიდრებელი,“ ასე აკურთხა: „ღირს ვიქმნე გლახაკი შენი სრულიად აღშენებად ამისა სახელსა ზედა და უძლეველსა სარწმუნოებასა დიდისა მოწამისა შენისა, გიორგი ჯუარითა მოქადულისა, ახოვნისა და სახელოვნად განთქმულისა ბრწყინვალედ შორის წმიდათა შენთა მარტვილთა და მოწამეთა, რომელთაცა ხორცნი მახვილითა დაიჭრებოდეს, ხოლო სარწმუნოებად არა განიკუთებოდა! ხოლო მათ ყოველთა უმეტეს იპოვა სიმხნითა წმიდად გიორგი და მრავლით ჟამითგან უშჯულოთაგან ზარგანხდილთა ქრისტეანთა ასწავა სიმხნედ ძლიერი, მხიარულებით რად მოითმინნა მრავალფერნი სატანჯველნი და ძლევით შემოსილი იდიდა ცათა შინა და ქუეყანასა ზედა. ამისთვისცა ანგელოზთა თანა წმიდათა განიხარეს მოწამეთა ნეტართა სრულებად ღუაწლთა მისთად, რამეთუ მას მისცა ქრისტემან ძლევად ყოველთა მტერთად და აწ ნაწილთა და სახელსა მისსა, და მეოხებად მისი მფარავს ყოველთა მადიდებელთა მისთა მარადის და უკუნისამდე“<sup>4</sup>.

ასე რომ, ნეტარი გრიგოლი წმ. გიორგის, სხვა წმიდანებთან შედარებით „უმეტეს სიმხნითა“ მიიჩნევდა მის მიერ წამოწყებული დიდი საქმის მფარველად, რომელიც უნდა გაძლოდა ერთიანი საქართველოს საფუძვლის ჩაყრას - დიდმოწამე და ძლევამოსილი, ახოვანი და მხნე

2 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, თბ., 1963, გვ. 257  
3 იქვე, გვ. 260

4 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, გვ. 261.

\*წმ გრიგოლ ხანცთელი 781 წელს ჩავიდა ტაო-კლარჯეთში-ამ გაუდაბურებულ და უშენ ქვეყანაში, სადაც საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცენტრი იყო და მკრთალად, მაგრამ უკვე ისახებოდა ერთიანი საქართველოს კონტურები. ნეტარი მამა ხშირად ევედრება შეწვენას „სიმხნითა“ გამორჩეულ გიორგის („შევიწიოთ წმიდად გიორგი“), რითაც კიდევ ერთხელ საჩინოვდება გრიგოლ ხანცთელის მოღვაწეობის ხასიათი: მისი იდეალი და გზისწარმმართველი ბოროტებასთან ბრძოლაში ძლევამოსილი წმიდა მხედარია (გ. მურღულია, გ. ალიბეგაშვილი, ვ. მაღლაფერიძე, საუბრები ძველ ქართულ ლიტერატურაზე, თბ., 2019, გვ. 94, გვ. 107). შევნიშნავთ, რომ ამ ნარკვევში ჩვენი მიზანი არ არის წმ. გიორგის ისტორიის ჩვენება.

კაბადოკიელი წმიდა მხედარი<sup>5</sup>. ამის შემდეგ ნეტარმა გრიგოლმა „ჯუარი დასწერა ადგილსა წმიდისა ეკლესიისა და იწყეს შენებად. და ესრეთ კეთილად განსრულდა ძუელი იგი ეკლესიად ხანცთისად შეწევნითა ქრისტესითა და მეოხებითა წმიდისა გიორგისითა და ლოცვითა ნეტარისა მამისა გრიგოლისაჲთა, ხოლო ხორციელად მოლუაწებითა დიდებულისა გაბრიელ მთავარისაჲთა და ყოველთა მართლმორწმუნეთა.“<sup>5</sup>

წმ. გრიგოლ ფერადის მოსაზრება, რომ „წმ. გიორგი ბერების საყვარელი ან სპეციალური წმიდანია არ იყო“ (X საუკუნემდე<sup>6</sup>), ვფიქრობთ, დასაზუსტებელია წმ. გრიგოლ ხანცთელის

მოღვაწეობის მონაცემთა გათვალისწინებით<sup>7</sup>: ნეტარი მამის ცხოვრების წლებია 759-861წწ; ე.ი. VIII საუკუნის დასასრულამდე აშენებული წმ. გიორგის სახელობის ეკლესია იმაზე მეტყველებს, რომ კაბადოკიელი წმიდანია ამ დროისთვის უკვე გამორჩეულ მფარველადაა მიჩნეული საქართველოს ეკლესიის მიერ (ვფიქრობთ, დაწერილ ხატებსა და მონასტრულ ფრესკებს შორის წმ. გიორგის გამოსახულებიანი ნიმუშებიც იქნებოდა); ისიც დადგენილია, რომ, როგორც ზემოთ ითქვა, დადიანის ალწერილი წმ. მხედრის წამება არის მწვალებელთა მიერ „განრყენილი“, ხოლო ჭეშმარიტი წყარო კი, „რომელი ეკლესიათა შინა იკითხვების, იგი არს, რომელ დეოკლიტიანეს მიერ იწამა“.<sup>8</sup>

რაც შეეხება ქართული ფოლკლორის პერსონაჟის - ნაცარქექიას გრიგოლ ფერადისეულ საინტერესო შედარებას წმ. გიორგისთან. უნდა შევნიშნოთ, რომ ფოლკლორისტთა ნაწილი „ნაცარქექიას“ სიუჟეტის ფესვებს ღრმა წარსულში, წარმართულ ფენებში ეძიებს, მაგრამ ეს არ არის

<sup>5</sup> ძეგლები, I, გვ. 261

<sup>6</sup> წმ. გრიგოლ ფერადე, თხზულებათა კრებული, წიგნი პირველი, ვარშავა, 2012, გვ. 225-226. წმ. გრიგოლ ფერადე შენიშნავს: „X საუკუნის გიორგი იხატება როგორც უბრალო ჯარისკაცი. X საუკუნიდან ის უკვე ცხენზე ზის და XII საუკუნეში კლავს გველემას“ (გვ. 220); იქვე სქოლიოში ვკითხულობთ: „თითქოს მარტვილის მონასტერში უნდა იყოს წმ. გიორგის ხატი (ფრესკა?) VI-VII საუკუნეებში, აგრეთვე ვალეს ეკლესიაში ახალციხის ახლოს (ამავე დროიდან?) (ო. გ. ვეზენდონკი, გვ. 96), მაგრამ ამ ხატის შესახებ ვეზენდონკს დანამდვილებით თქმა არ შეუძლია, წარმოადგენენ ისინი თუ არა წმ. გიორგის ხატს. XI საუკუნიდან წმ. გიორგის ხატები უფრო ხშირია.“

<sup>7</sup> უნდა შეინიშნოს, წმ. გიორგის განსახოვნების არტეფაქტები წინა საუკუნეებშიც გვხვდება, კერძოდ: ბურდაძორის სტელა, მე-6 საუკუნე (მდ. ბანაშის წყლის, ძველი ხოჯორნის მარცხენა ნაპირზე წოფის ციხესთან მდგარი დარბაზული ნაგებობის ეკლესია, მარნეულის რაიონი), ხანდისის ქვასვეტი, მე-6 საუკუნის მეორე ნახევარი (გორის მუნიციპალიტეტი); არის მე-10-11 საუკუნეების რელიეფები ჯოისუბანში (ონის რაიონი), მარტვილში, მრავალძალში (ონის რაიონი), ილორში (ოჩამჩირის რაიონი) და სხვ. (მონაცემები მოგვაწოდა მხატვარ-რესტავრატორმა მერაბ ბუჩუკურმა). დაფუძნებული: ბოდბის მონასტრის მთავარი ტაძარი წმ. გიორგის სახელზე აგებული (IX ს.), ადიშის წმ. გიორგის ეკლესია (მესტიის რაიონი) კი X საუკუნის ძეგლია, რომლის ფრესკებიც მთლიანად წმ. მხედრის კულტს ეძღვნება (შესრულებულია ადგილობრივი ხელოვნის მიერ).

მთავარი - არსებითიას, რომ ქართული ზღაპრის გმირის თავგადასავალი მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და თაობების მხატვრული ნააზრევის ერთგვარი ფოლკლორული პანოა.

წმიდა გიორგის და ნაცარქექიას საერთო აქვთ გმირის არქეტიპი, რაც სიკეთის ქმნით არის რეალიზებული.

ამას ადასტურებს გრიგოლ ფერაძის მიერ მოყვანილი კოტე მაცაშვილის ლექსიც:

„ოჰ, ნაცარქექია, შენა?!  
სალამი მშობლიურ გმირს!  
ამეხსნა შეკრული ენა,  
ღიმილი მომიდის პირს, ...  
ჩავწვები ლოგინში წყნარად,  
ძილითა შევიქცევ თავს! ...  
**ქაჯებო, დევებო, ფარად**  
**მე ნაცარქექია მყავს! “**

მეცნიერი ასეთ მსჯელობას გვთავაზობს: „კოტე მაცაშვილმა ამ ხალხურ ნაცარქექია - გიორგიში ერთი ნაბიჯი წინ წადგა მისი, ე.ი. ნაცარქექიისა და წმ. გიორგის დასაახლოებლად. მაცაშვილის ნაცარქექია არ არის უკვე მხდალი ან ხერხიანი, არამედ არის გამბედავი და თამამი; ამიტაც, ვგონებ, გენიალურად დასრულდა ეს განვითარება. შემდეგში თუ ვინმემ მოინდომა ნაცარქექიის ცხენზე შეჯდომა ან ვეშაპის მოკვლა, **გვექნება მხოლოდ წმ.გიორგის კარიკატურა**, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, თვით ჩვენი ნაცარქექია კარგავს თავის ბუნებრიობას და უშუალობას; დასრულებულია აგრეთვე მხედრის ტიპი წმ. გიორგი“.<sup>7</sup>

ვიდრე ამ მოსაზრებას შევაფასებდეთ, წარმოვადგენთ გურამ ასათიანის კვლევის ძირითად დებულებებს ნაცარქექიასთან დაკავშირებით ნარკვევიდან „სათავეებთან“. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც მსჯელობა გარკვეული მეტაფორულობისგან არ არის დაზღვეული, მეტიც, სახეზეა ერთგვარი ლიტერატურული უტრირება.

გ. ასათიანი ნაცარქექიაში სასაცილო და ამავე დროს ყველაზე სიმპათიურ გმირს ხედავს. მისი აზრით, თავისი ზნითა და საქციელით ქართული ზღაპრის პროტაგონისტი სიზარმაცის მიმართ ზიზღს არ იწვევს - ხალხურმა შემოქმედებამ ასეთი სწორხაზოვანი მორალიზება არ იცის. ლიტერატორი აგრძელებს: „რალა თქმა უნდა, სიზარმაცე ნაცარქექიას ზღაპარში სიცილის მთავარი ობიექტია, **მაგრამ, აბა,**

7 წმ.გრიგოლ ფერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 223. ეს ლექსი მოჰყავს ზაალ ბოტკოველსაც კოტე მაცაშვილის შემოქმედების მოკლე მიმოხილვისას ( კოტე მაცაშვილი - 140, ლიტერატურული საქართველო, 13 ნომბერი, 2015 წ.), რომელშიც წერს: „იქნებ, ნაცარქექიას სახის მაცაშვილისეულმა ინტერპრეტაციამაც დააფიქრა ათწლეულების შემდეგ ქართული კრიტიკის აღიარებული მეტრი გურამ ასათიანი, როდესაც თავის უაღრესად მნიშვნელოვან გამოკვლევაში „სათავეებთან“ ცალკე თავი მიუძღვნა ქართული ფოლკლორის ამ კოლორიტულ პერსონაჟს“.

გამოასწორეთ ეს გმირი, გამრჯე და მუყაით ჭიანჭველად აქციეთ და მერე ახედ-დახედეთ, რას დაემგვანება! სიზარმაცის გარეშე ნაცარქექია მთლიანად თუ არა, სანახევროდ მაინც დაკარგავდა თავის უნიკალურ მომხიბვლელობას“.

გურამ ასათიანის თვალთახედვით, ეს უბრალო მცონარობა არ არის. ეს „ფილოსოფიური“ სიზარმაცეა - შეუძლებელზე მუდმივი ოცნებით შემუშავებული, გამოუსწორებელი პროექტიორისა და რომანტიკოსის ხვედრი. კითხვებიც ასეა დასმული: „სიზარმაცისა და ბაქიაობის გარეშე ვის რა ჯანდაბად უნდა ნაცარქექია? მისი ბაქიაობაც ხომ ჩვეულებრივი არაა? ის ყველაზე დიდ დუშმანს - ბაყბაყ დევს უნდა მოერიოს, თორემ პატარ-პატარებთან დაჭიდებაც ეთავილება.“<sup>8</sup>

მწერალი ნაცარქექიასთან ლიტერატურულ პარალელსაც წარმოადგენს - ესაა დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვლის“ ერთ-ერთი „შემოდგომის აზნაური“ კირილე მიმინოშვილი, რომელიც პლატონ სამანიშვილთან ალიანსით არქექტიპურად, ერთი მხრივ, ტარიელისა და ავთანდილის დამძობილებაში პოვებს მსგავსებას, რადგან „ვეფხისტყაოსანსა“ და „სამანიშვილის დედინაცვალს“ შორის ასეთი კავშირი შესაბამის სიუჟეტურ კოლიზიებშიც, პერსონაჟთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაშიც და იმ ფუნქციებშიც შეინიშნება, რომელთაც თითოეული მათგანი ასრულებს, როგორც დამძობილებაში წყვილის ერთეული;<sup>9</sup> და, მეორე მხრივ, კირილეს ხასიათის პაროდირების ფონზე ხორციელდება, რა დროსაც აქ პაროდია არა ლიტერატურული, არამედ ცხოვრებისეული მნიშვნელობით მოქმედებს და ამ კუთხით ნაცარქექიას ემსგავსება - კირილევ და ნაცარქექიაც ქართული ხასიათის შემადგენელი ელემენტები არიან. ეს ხასიათები მეტად რთულია და მრავალფეროვანი, არა ერთიანი ქვისგან გამოთლილნი; „შეიძლება ითქვას, რომ ეს უფრო მოზაიკური ხასიათია, ვიდრე სკულპტურული და ამ თავისებურ მოზაიკაში ყოველი კენჭის გამოკლება უთუოდ გაადარებებდა საერთო კომპოზიციას, საბედისწეროდ დაარღვევდა ფერთა შეთანხმებულ გამას, შეუვსებელ ხარვეზად დაეტყობოდა ჩანაფიქრის მთლიანობას.“<sup>10</sup>

ასე რომ, მსგავსება ორ პერსონაჟს შორის პაროდირების ხაზზე გადის - კირილესებური წრეგადასული სიმჩატე, ბაქიაობა, თავზეხელაღებული, თვითკმარი, არაფრის დამდევი, მხიარული „თამაში“, ბედ-იღბალი, მანერები, თვითგამოხატვის სტილი, აღვირახსნილი თავქარიანობა მეტნაკლებად ნაცარქექიასაც მიემართება, რომელსაც კონკრეტულ მომენტამდე საკუთარი, პირადი თუ სახვალის არაფერი ედარდებოდა, და მართლაც, რამდენი თაობა იცინის გულიანად ამ ორი გმირის თავგადასავლის შემყურე?!

8 გ. ასათიანი, სათავეებთან, ოთხტომეული, ტ. 2, თბ., 2002, გვ. 59-60

9 გ. ასათიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 57

10 იქვე გვ. 60

დავუბრუნდეთ გრიგოლ ფერაძის თვალსაზრისს: „ჩვენი ეროვნული ლიტერატურის შემოქმედების ერთ-ერთი უმთავრესი გმირთაგანი არის ნაცარქექია და სწორედ ამ უკანასკნელის თვისებებს ვხედავთ წმ. გიორგიზე გადატანილს,<sup>11</sup> რომელიც წმ.მღვდელმთავრებს ასევე ლიტერატურის შემოქმედებით ნაყოფად მიაჩნია. ნაცარქექიას დევიზია „ხერხი სჯობია ღონესაო“. ის არაა ჩვენი ხალხის იდეალი, არამედ რეალობა ჩვენი ცხოვრების და ერის ნაწილის სიმბოლო: ზარმაცი, თავისი ძმისა და რძლის მიმართ ანგარებიანი, გაუბედავი, სუსტი, უღონო; მაგრამ თუ გაჭირვება თავზე დაადგა და ეს უკანასკნელი კრიტიკული წუთი მოვიდა, იგი შემძლებელია, მთებიც კი გადატრიალოს, სძლევს დევებს და იმონებს მათ მხოლოდ ხერხითა და გამჭირახობით. შემდგომ წმ. გრიგოლ ფერაძე გამოყოფს ქართველი ერის შეხედულებებს, განსახიერებულს ნაცარქექიაში:

უხეში ძალის დამონება მხოლოდ **ხერხით** და ჭკუით შეიძლება;

წარმართულ ღმერთებთან არც სიმართლე გადის და არც ჭეშმარიტება და მხოლოდ ისევ **ხერხით**, ე.ი. მათი გულის მოგებით, ქლესობით შეიძლება გამარჯვების მოპოვება;

ქართველი ხალხი, მუდამ მასზე უძლიერესი მტრებით გარშემოზღუდული, იძულებული იყო, მტერთან ერთგვარი ენა გამოემეზნა, ან **ხერხით** ემოქმედა და თავი გადაერჩინა.<sup>12</sup>

შემაჯამებელ მოსაზრებად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი აზრები; ერთი მხრივ, წმ. გიორგი არის წმ. მხედარი, მხედრობის მფარველი, მეფეთა და მოწინავე საზოგადოების იდეალი - გამბედავი, თამამი, რუსთაველის „სჯობს სიცოცხლესა ნამრახსა სიკვდილი სახელოვანის“ გამომხატველი; იგი მხოლოდ სიმართლის სიყვარულის გულისთვის კვდება და, მეორე მხრივ, მისი ღვიძლი ძმა მეორე სახით არის ნაცარქექია - მხდალი, ორჭოფი, მატყუარა: ორთავე კი ერთ საქმეს ემსახურება.<sup>13</sup>

ვფიქრობთ, გურამ ასათიანი წმ. გრიგოლ ფერაძის ნაშრომს არ იცნობს; ამიტომ პირველის კვლევა თუ **პაროდირების მიმართულებას** წარმოადგენს, მეორის დაკვირვება უფრო მოხერხებულობაზე, გარკვეულწილად ისტორიულ გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას, რომელშიც წმ. გიორგის ერთგვარი **კარიკატურული სახე** გამოიკვეთება.

ახლა მოკლედ გავიხსენოთ, თუ როგორ არიან წარმოდგენილნი ეს ხასიათები სასულიერო მწერლობაში, ფოლკლორსა და ლიტერატურაში:

წმ. დიდმოწამე გიორგი არის ტყვეთა გამათავისუფლებელი, გლახაკთა ხელის აღმპყრობელი, სნეულთა მკურნალი, მეფეთა უძლეველი წინამბრძოლი, მოწამის ღვაწლით შემოსილი საქართველოს მფარველი მებრძოლი წმ. მხედარი;

11 გრ.ფერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 221

12 იქვე, გვ. 222

13 გრ.ფერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 222

ხალხურ, განსაკუთრებით მთიელთა პოეზიაში, წმ.გიორგის სახე კიდევ უფრო ფართოდ და მრავალფუნქციურად არის განსაზღვრული: ის არის მგზავრების პატრონ-მფარველი, ამავე დროს „მშველელი უყმო ყმისა“, გამარჯვების რწმენისა და ძალგულოვნების მიმცემი და სხვ. მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ლექსს ხალხური პოეზიიდან:

„წმინდა გიორგი ცხენზე ზის,  
ქვეშ უქრის ნიავექარია,  
მხარზედა ჰკიდავ მათრახი  
სამოცდასამი მხარია,  
ვისაც დაუქნევს, დააჩნევს,  
მაგის დაკრული მწარია,  
შამაუარა საყმოთა,  
სუ შააგროვა ყმანია,  
უგულოს გული ჩაუდვა,  
წელზე შააბა ხმალია“<sup>14</sup>...

როგორც ითქვა, ნაცარქექიას ფოლკლორული სახე უფრო მოზაიკურია; ის ორი ნაწილისგან შედგება: ერთი მხრივ, მის ხასიათში გვაქვს უარყოფითი თვისებები - ძმისა და რძლის მიმართ ანგარებიანობა, სიზარმაცე, სისუსტე, უღონობა, ბაქიაობა, რაც, გრ. ფერადის აზრით, „არაა ჩვენი ხალხის იდეალი“, ხოლო, გ. ასათიანის შეხედულებით, მართალია, „სიზარმაცე ნაცარქექიას ზღაპარში სიცილის მთავარი ობიექტია, მაგრამ თუ ასეთი გმირი გამოსწორდება, „გამრჯე და მუყაით ჭიანჭველად“ იქცევა და მერე ახედ-დახედავთ, „რას დაემგვანება“?! „სიზარმაცის გარეშე ნაცარქექია მთლიანად თუ არა, სანახევროდ მაინც დაკარგავდა თავის უნიკალურ მომხიბვლელობას“! მეორე მხრივ, ის არის მოხერხებული, საზრიანი, ფიზიკურად სუსტი, მაგრამ გამჭრიახობით ძლიერი მტრის დამმარცხებელი; ნაცარქექიას ახასიათებს „ფილოსოფიური სიზარმაცე.“

გურამ ასათიანის დასკვნა ერთგვარ რომანტიკულ ელფერს იძენს: „ვინ იცის, მერამდენე საუკუნეა, რაც ქართველი კაცი გულიანად დასცინის თავის თავს, სიცილით კვდება, მწარედაც ქირქილებს, როცა თანამემამულეს ასეთ რამეებზე წაასწრებს (ბაქიაობაზე-გ.ა) და მაინც რაღაც გულს უჩუყებს, რაღაც არ ეთმობა ამ თავის სამარცხვინო სისუსტეებში. ეს „რაღაც“ გულისგულია მათი. ღმერთმა ნუ ქნას, ჩვენს სულში (სხვათაგან წრფელად აღმტაცი) პედანტური აკურატობა გამჯდარიყოს ისე, რომ ერთი მისხალიც აღარ შეგვრჩენოდეს ამ „უნიადაგო ოცნებისა, ან ცხოვრებას მთლიანად ამოეკვეთოს ჩვენს ხასიათში ქადილის უნარი.“<sup>15</sup>

კირილე მიმინოშვილი დავით კლდიაშვილის გენიალური მოთხრობის ლიტერატურული პერსონაჟია; გარკვეული აზრით, ის „ვეფხის-

14 გ. ალიბეგაშვილი, ქართული ხალხური პოეზია, თბ., 2004, გვ. 17

15 გ. ასათიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 60

ტყაოსნის“ ავთანდილის ფუნქციის პაროდირებულად მატარებელია. კირილეს საკუთარი, პირადი თუ სახვალის არაფერი ედარდება, არის ამაყი, უბოროტო, ბაქია, მცონარაც და სასაცილოც - კუდაბზიკა, მსგავსად ნაცარქექიასი, თუმცა ერთი წამითაც არ სწყდება გული, რომ სხვისთვის-პლატონისთვის კარგავს დროს, არც რისიმეს დამადლება მოსდის თავში... მისი ქადილი და ტრაბახი ლალი, ღია და სასაცილოა, მაგრამ პლატონ სამანიშვილის „ავთანდილი“ ბოროტების წინააღმდეგ არ იბრძვის, ის ორნაქმარევი უშვილო ქვრივი ქალის ძებნაში ეხმარება ცოლისძმას - ასეთია მისი პაროდირებული ავთანდილობა, სასაცილოც და სევდიანიც.

შევაჯამოთ: გარკვეული სახასიათო ნიშნებით წმ. გრ. ფერადისთვის ნაცარქექია წმ. გიორგის ემსგავსება: მას თუ თავს ხიფათი დაატყდება და კრიტიკულ ვითარებაში აღმოჩნდება, შეუძლია, მთებიც კი გადადგას, სძლიოს ბოროტ ძალებს და ხერხითა და საზრიანობით დაიმონოს ისინი. გ.ასათიანის შედარებით კი, ნაცარქექიას სახეში ქართული ხასითის შტრიხები შეინიშნება და ეს, უპირველეს ყოვლისა, ტრაბახსა და ბაქიობაში აისახება, რაც კირილე მიმინოშვილის პერსონაჟთან ერთგვარი რომანტიკული კავშირით გამოიხატება. თუ ამ მსჯელობის ხაზს გავყვებით, წმ.გიორგისა და კირილეს ურთიერთმიმართებაზეც უნდა ვიფიქროთ, ასევე შეიძლება გავიხსენოთ პოლიკარპე კაკაბაძის ყვარყვარე თუთაბერიც, როგორც გმირის არქექტიპის პაროდირება. მაგრამ ამგვარი განსჯანი შორს წაგვიყვანს...

ასევე შეიძლება გაგვეხსენებინა აკაკი ბაქრაძის მოზომილი აქცენტი „ოთარაანთ ქვრივის“ პერსონაჟზე: „თითქოს სხვათა შორის, მაგრამ ზუსტად მიგვანიშნებს ილია დედა-შვილის თვისებების ზეციურ წარმომავლობაზე. საქმეის გახლავთ, რომ გიორგი შობის ღამეს დაიბადა... ოთარაანთ ქვრივიც შობა ღამით გარდაიცვალა. ეს შემთხვევითი მინიშნება არ არის. იგი მიგვითითებს გიორგის თვისებების ღვთაებრივ თვისებებთან წილნაყარობაზე. კიდევ ერთხელ გვახსენებს გიორგის მსხვერპლობას, რამეთუ ისიც, ვისი დღესასწაულიც შობაა, ტარიგი იყო კაცობრიობის ხსნად მოვლინებული.“<sup>16</sup>

მხატვრული აზრის განვითარების, შეფასების ხიბლი სწორედ ის არის, რომ დროულად დაისვას წერტილი და მკითხველის „ფანტაზიის“ მრავალფეროვნებას დაეთმოს ადგილი. ნაცარქექიას ხასიათის განხილვის ორ ნაკადს საპირისპირო, სრულიად დამორებული მიმართულებით მივყავართ, რაც, რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ, „კვლა აქაცა ეამების“ ხასიათის პოეტიკური სჯანია: მოსასმენად თუ წასაკითხად და გასააზრებლად მიმზიდველი.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ალიბეგაშვილი გ., ქართული ხალხური პოეზია. თბ., 2004
2. ასათიანი გ., სათავეებთან, ოთხტომეული. ტ. 2, თბ., 2002
3. ბაქრაძე აკ., ილია და აკაკი, თბ., 1992
4. მურდულია გ., ალიბეგაშვილი გ., მაღლაფერიძე ვ., საუბრები ძველ ქართულ ლიტერატურაზე, თბ., 2019
5. საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882
6. ფერაძე გრ., თხზულებათა კრებული, წიგნი პირველი, ვარშავა, 2012
7. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, თბ., 1963

GIORGIALIBEGASHVILI

SAINT GEORGE, NATSARKEKIA, KIRILE

#### Summary

The article examines three different protagonists: the holy warrior from religious literature - St. George, the hero of Georgian folklore fairytales - Natsarkekia, and one of the characters from David Kldiashvili's story "Samanishvili's Stepmother" - Kirile Miminoshvili.

Through certain characteristic features, Natsarkekia resembles St. George: when danger befalls him and he finds himself in critical situations, he is capable of moving mountains, overcoming evil forces through cunning and wisdom. On the other hand, in Natsarkekia's character one can discern traits of the Georgian character, which is reflected in boasting and braggadocio, and in this regard is expressed through a kind of romantic connection with the literary character - Kirile Miminoshvili. This type of character analysis stimulates the development of the diversity of the reader's artistic "imagination," which should be subject to measured judgment.

## ეკა დულაშვილი

### ეფთვიმე მთაწმიდელისადმი მიძღვნილი ბერძნული ჰიმნოგრაფიული კანონი

ათონის ივერთა მონასტერი და მასთან დაკავშირებული ყველა საკითხი ქართული ფილოლოგიური და ისტორიული მეცნიერებისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ივერთა მონასტრის ისტორიული მნიშვნელობის გამო. მისი ქართულ და ბერძნულ ხელნაწერთა კოლექცია დიდი ხანია, ჩვენი და უცხოელი მეცნიერების კვლევის საგანია. თუმცა არსებობს ჯერ კიდევ ისეთი ხელნაწერები, რომლებიც სამეცნიერო წრეებისთვის უცნობია. მათი სხვადასხვა ასპექტით კვლევა მნიშვნელოვანია ათონის ქართველთა მონასტრის კულტურული მემკვიდრეობის შესასწავლად. ამგვარ ხელნაწერთა შორის უნდა დავასახელოთ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ბერძნულ ხელნაწერთა კოლექციაში დაცული ეფთვიმე მთაწმიდელისადმი მიძღვნილი საეკლესიო განგება Gr..24.

აღნიშნული ტექსტი პლატონ იოსელიანმა 1849 წელს ათონის მთაზე ყოფნისას გადააწერინა და ჩამოიტანა საქართველოში. ამაზე მითითებებს ხელნაწერის სატიტულო გვერდზე მინაწერი: „ესე მწუხრისა და ცისკრის საგალობელნი პატივად წმიდისა ქართუელის ევთიმისა გარდამოვაწერინე ათონის მთასა ყოფასა ჩემსა, ლავრასა შინა ყოვლად წმიდისა პორტაიტის ღ(მრთი)სმშობელისასა, - 12 მაისს 1849 წელსა, პლატონ იოსელიანმან.“

იმავე გვერდზე: „მაისის 13-სა ხსენება ღირსისა მამისა ევთიმი ქართუელისა საგალობელნი მცირესა, დიდსა მწუხრსა ზედა, და ცისკარზედ სათქმელნი.“

ხელნაწერი შეიცავს 21 ფურცელს. ნაწერია მინუსკული კალიგრაფიული ხელით, შავი მელნით, სათაურები და მთავრული ასოები წითელი მელნით. სტიქარონების დასაწყისი მთავრული ასოები ოდნავ ორნამენტულია, შედგენილობა-შინაარსი ასეთია: ეფთვიმე ათონელისადმი მიძღვნილი ერთი დღის 13 მაისის განგება შედგება მწუხრის, ცისკრის სტიქარონებისგან და ცისკრის ორი კანონისგან, მათგან ერთი კანონი სრულია და აქვს აკროსტიქი. მეორე კანონი ნაკლულია (ἐτερος-სხუა) განგება კომპილაციური ხასითისაა.

მოვიყვანთ ტექსტის შედგენილობის მოკლე აღწერილობას:

Τῷ αὐτῷ μῆνι, ιγ´, τοῦ ὁσίου καὶ θεοφόρου πατρὸς ἡμῶν Εὐθυμίου, τοῦ τῆς καθ´ ἡμᾶς βασιλικῆς, πατριαρχικῆς, μεγίστης λαύρας τῶν Ἰβήρων κτήτορος. Ἐν τῷ μικρῷ ἔσπερινῷ ἰσθῶμεν στίχους δ´· στιχηρὰ προσόμοια. Ἦχος δ´· ἔδωκας σημείωσιν. (φ. 3r)

წმიდისა და ღმერთშემოსილის მამისა ჩვენისა, სამეფო და საპატრიარქო დიდი ლავროს ივირონის დამაარსებლისა, მცირე მწუხროს.

**სტიქარონების დასაწყისები:**

Inc: Ὁ στῆλος ὁ πύρινος, ὁ ἀπὸ γῆς ἐνδεικνύμενος...

Ἐδειξεν ὁ Κύριος θεωρήμονα ὑπερλαμπρόν...

Οἱ κόσμον μισήσαντες...

Δόξα, ἦχος πλάγιος β´.

Inc.: Συγαίρετε ἡμῖν ἅπασαι...

Καὶ νῦν τῆς ἑορτῆς. (φ. 4r)

Εἰς τὸν στίχον· στιχηρά. Ἦχος β´.

Οἶκος τοῦ Ἐφραθᾶ.

Καθάπερ ἀστραπή...

Δίκαιος ὡς φοῖνιξ ἀνθήσει.

Inc.: Ὡς ἐξ ἀνατολῶν ἡλιος ἀνατείλας...

Πεφυτευμένος ἐν τῷ οἴκῳ Κυρίου,

ἐν ταῖς αὐλαῖς τοῦ Θεοῦ ἡμῶν ἐξανθήσει.

Inc.: Λάυραν τὴν ἱεράν...

Δόξα καὶ νῦν, ὅμοιον.

Inc.: Ταχύνον, ὦ ἀγνή...

Ἐν δὲ τῇ ἀγρυπνίᾳ εἰς τὸν μέγαν ἔσπερινόν· «Μακάριος ἀνήρ». Εἰς τὸ «στῶμεν» στίχους η´. Καὶ ψάλλομεν τὴν παροῦσαν ἀκολουθίαν, ἣτις ἐτυπώθη ὑπὸ τοῦ κυρ Μανουήλ τοῦ μεγάλου ῥήτορος τῆς Μεγάλης Ἐκκλησίας. Ἦχος α´. Τῶν οὐρανίων ταγμάτων.

დიდი მწუხროს ღამისთევზზე - ხეტარ არს კაცი.... და ვგალობთ ამ აკოლუთიას, რომელიც შეადგინა მანუილ დიდი ეკლესიის რიტორმა. ხმა ა).

Inc; Τῷ τῆς σοφίας κρατήρι...

ტროპარების დასაწყისები:

Ἦχος δ´· ὡς γενναῖον ἐν μάρτυσιν.

Inc.: Φωταυγῆς ὡσπερ ἡλιος...

Δόξα, ἦχος πλάγιος β´.

Inc.: Ἐξελάμψεν ἡ μνήμη σου σήμερον...

Καὶ νῦν τῆς ἑορτῆς· εἴσοδος, προκειμένον τῆς ἡμέρας, καὶ τὰ ἀναγνώσματα.

Σοφίας Σολομῶντος τὸ ἀνάγνωσμα.

Inc.: Δικαίων ψυχὰι ἐν χειρὶ Θεοῦ...

Σοφίας Σολομῶντος τὸ ἀνάγνωσμα.

Inc.: Δίκαιος εἰς τὸν αἰῶνα ζῆ...  
 Σοφίας Σολομῶντος τὸ ἀνάγνωσμα.  
 Inc.: Δίκαιος ἐὰν φθάσῃ τελειωθῆναι...  
 Εἰς τὴν λιτὴν· ἰδιόμελα, ἦχος α΄. (φφ. 7r–8v)  
 Inc.: Ἐπρεπε τοῖς αὐτόπταις τοῦ λόγου...  
 Ἦχος β΄.  
 Inc.: Ἐν εὐθυμία ψυχικῇ εὐφημήσωμεν...  
 Δόξα, ἦχος πλάγιος α΄.  
 Inc.: Σαλπίσωμεν ἐν σάλπιγγι ἀσμάτων...  
 Καὶ νῦν τῆς ἑορτῆς. (φ. 9r)  
 Εἰς τὸν στίχον· στιχηρά, ἦχος β΄.  
 Ὅτε ἐκ τοῦ ζύλου σε νεκρὸν...  
 Inc.: Ὅτε ἐν τῷ ὄρει τῷ σεπτῷ...  
 Δίκαιος ὡς φοῖνιξ ἀνθήσει.  
 Inc.: Ἄλλον σε γινώσκει ἡ μονή...  
 Περυτευμένος ἐν τῷ οἴκῳ Κυρίου.  
 Inc.: Ῥῦσαι πειρασμῶν καὶ συμφορῶν...  
 Δόξα, ἦχος πλάγιος δ΄.  
 Inc.: Ἐν ἀσκηταῖς καὶ ὀσίοις...  
 Καὶ νῦν τῆς ἑορτῆς. (φ. 10r)  
 Τροπάριον, ἦχος α΄.  
 Inc.: Ἰσάγγελος ἀνύσας ἐπὶ γῆς βίον ἔνδοξε...  
 Εἰς τὸν ὄρθρον· μετὰ τὴν α΄ στιχολογίαν, κάθισμα, ἦχος α΄.  
 Inc.: Νηστεία καὶ προσευχῆ τῶν παθῶν...  
 Ἔτερον, Δόξα.  
 Inc.: Ἐξανθήσας, σοφέ, ἐν τῷ ὄρει...  
 Καὶ νῦν τῆς ἑορτῆς.  
 Εἰς τὴν β΄ στιχολογίαν· κάθισμα, ἦχος δ΄.  
 Ἐπεφάνης σήμερον.  
 Inc.: Τὴν τοῦ βίου ταραχὴν...  
 Δόξα.  
 Inc.: Καθαρθεὶς τῷ πνεύματι ἐν τῇ ἀσκήσει...  
 Καὶ νῦν τῆς ἑορτῆς. (φ. 11r)  
 Μείζον σημεῖωμα: τὸν πολυέλεον· κάθισμα, ἦχος δ΄.  
 Ταχὺ προκατάλαβε.  
 Inc.: Ταῖς θεαῖς ἰκεσίαις σου...  
 (δὶς)  
 Καὶ νῦν τῆς ἑορτῆς· οἱ ἀναβαθμοί, τὸ α΄ ἀντίφωνον τοῦ δ΄ ἦχου.  
 Προκείμενον:  
 Τίμιος ἐναντίον Κυρίου ὁ θάνατος...  
 Στίχος: Τί ἀνταποδώσομεν τῷ Κυρίῳ...  
 Πᾶσα πνοή...

Εἰς τοὺς αἴνους· ἰδιόμελα, ἦχος πλάγιος β´.

Inc.: Τὴν ποιμένην σου, πρίσμακάρι...

Οἱ κανόνες τῆς ἑορτῆς μετὰ τῶν εἰρμῶν εἰς στ´· καὶ τοῦ ἁγίου δὺο εἰς η´.

Ὁ κανὼν ποίημα Μανουὴλ ῥήτορος τῆς μεγάλης ἐκκλησίας· οὗ ἡ ἀκροστιχίς:

Ἄσμασιν Εὐθύμιον ὑμνῶ, Εὐθυμίω, Μανουήλ.

Ἰβδὴ α´, ἦχος δ´.

კანონები ძლისპირებით. კანონი - ქმნილება მანუილ დიდი ეკლესიის რიტორის. მისი აკროსტიქია: „ვუგალობთ ეფთვიმეს (აქ ეს სიტყვა შესაძლებელია იყოს ეპითეტი „კეთილგონიერს“), ვუგალობთ ეფთვიმეს, მანუილ. გალობა ა, ხმა დ).

ανοίξω το στομα μου.

Inc.: Ἀγγέλλων στρατεύμασι, ...

შენიშვნა: შეიცავს 4 ტროპარს;

• ἕτερος κανὼν τοῦ ἁγίου, ᾠδὴ, α´. (φ. 12ρ)

ἦχος, πλάγιος δ´. ἀρματηλάτην φαραῶ.

Inc.: Ἀνοίξον ἔφης τῷ προφήτῃ ...

შენიშვნა: შეიცავს 4 ტროპარს;;

• ᾠδὴ, γ´. τοὺς σοὺς ὑμνολόγους θεοτόκε.

Inc.: Σταυρὸν τοῦ Κυρίου ...

შენიშვნა: შეიცავს 4 ტროპარს;

• ἄλλος

ὁ στερεώσας κατ' ἀρχάς.

Inc.: Μείζονος βίον γυναικῶν, ...

შენიშვნა: შეიცავს 4 ტროპარს;

• καθήσμα, ἦχος, πλάγιος δ´. τὴν σοφίαν καὶ λόγον.

Inc.: Ἐγκρατείας τοῖς πόνοις πάτερ σοφέ...

• Καὶ τῆς ἑορτῆς ᾠδὴ, δ´. ὁ καθήμενος ἐν δόξῃ.

Inc.: Ὑπεσήλθες τοῦ Κυρίου ...

შენიშვნა: შეიცავს 4 ტროპარს;

• ἄλλα. συμου ἰσχυς Κυριε.

Inc.: Ἡ φωταυγής, σοῦ καὶ φωσφόρος πανήγυρις, ...

შენიშვნა: შეიცავს 4 ტროპარს;

• ωιδη, ε´.

ἐξέστη τὰ σύμπαντα.

Inc.: Ἰάματα ἅπασιν

დოც.: ἵνα τί με ἀπώσω. ἄλλος.

Inc.: Ἀρετὴν ὥσπερ μιὰν ...

შენიშვნა: შეიცავს 4 ტროპარს;;

την θειαν ταυτην και παντιμον ωιδη στιχ.

Inc.: Μετα των ανω δυναμεων ...

შენიშვნა: შეიცავს 4 ტროპარს;

ἄλλα. ἰλασθήτι μοι σωτήρ.

Inc.: Ἰσαγγελον ἐπι γης

შენიშვნა: შეიცავს 4 ტროპარს;

• κοντάκιον

ηχος, δ´. ἐπεφανης σημερον.

შენიშვნა: შეიცავს 2 ტროპარს;

• ὁ διασώσας ἐν πυρὶ ῥῆθ´ ζ´.

Inc.: Ὑπεξελθόντος τοῦ πατρὸς ...

შენიშვნა: შეიცავს 4 ტროპარს;

• ἄλλος. Παῖδες Ἑβραίων ἐν καμίνῳ.

Inc.: Παῖδες Ἑβραίων τὴν σοφίαν ...

შენიშვნა: შეიცავს 4 ტროპარს;

• Παῖδας εὐαγεῖς ἐν τῇ ῥῆθ´ η´.

Inc.: Ὡσπερ ποταμὸν τοῦ στόματός σου ...

შენიშვნა: შეიცავს 4 ტროპარს;

• ἐπταπλασίως πάμινου. ἄλλον.

Inc.: Ὀλολαμπῆς ὡς ἥλιος ...

შენიშვნა: შეიცავს 4 ტროპარს;

• ἄλας γηγενῆς, ῥῆθ´ θ´.

Inc.: Ναὸς φωταυγῆς ...

შენიშვნა: შეიცავს 4 ტროპარს;

• ἄλλα ἐξέστη ἐπὶ τοῦτο ὁ οὐρανός.

Inc.: Ὡς ἄσαρκος βίωσας ...

შენიშვნა: შეიცავს 4 ტროპარს;

ἐξ.აპ.: Ὁ δύνων ?? τοῖς ἀστροῖς;

Inc.: Τῶν μοναζόντων τὰ στήθη ...

• Καὶ τῆς ἐορτῆς.

• Εἰς τρῆς αἴνους ἰστωμεν στιχ. δ´. ἦχος, α´. Πανεύφημοι μάρτυρες.

Inc.: Ἐκβρέφους ἀοιδῆ, ἐ Χριστῷ ...

შენიშვნა: შეიცავს 3 ტროპარს;;

Δοξα, ηχος, δ´.

Inc.: Το ναζαρηγῶν θεῖον κλητος ...

• Καὶ νυν τῆς εορτῆς. Δοξολογία μεγάλη, καὶ ἀπολυσις.

Εἰς τὴν λειτουργίαν τυπικὰ, καὶ ἐκ τῶν κανόνων. ᾠδῆ, γ´. καὶ στ´. κοινὰ: Εἰς μνημόσυνον (φ. 21 )

ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული განგების ტექსტი შეიცავს მწუხრისა და ცისკრის სრულ რეპერტუარს სტიქარონებითა და ორი საცისკრო კანონით. განგების ტექსტშივე ჩართულია ლიტურგიკული საკითხავები ძველი აღთქმიდან (სიბრძნე სოლომონისა). განგების ორი კანონიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეორე სრული რვაოდიანია და თითოეულ ოდას აქვს თავისი ძლისპირი. ცალკეული ტროპარებისა და სტიქარონების და პირველი კანონის ავტორზე მითითება არ არის

ხელნაწერში. მეორე კანონის ავტორად დასახელებულია მანუილ დიდი რიტორი. კანონი აკროსტიქულია და მასში იკითხება:

„ἔσμαιον Ἐθῆμιον ἵμων Ἐθῆμιὰ Μανουήλ“

საგალობლის ავტორზე მითითება საყურადღებოა, რადგან სწორედ ეს ფაქტი გვაძლევს შესაძლებლობას, ტექსტის შექმნის თარიღი განვსაზღვროთ.

ბერძნული წყაროების მიხედვით, მანუილ დიდი რიტორი იყო XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე ცნობილი პიროვნება. მისი სახელი ბერძნულ წყაროებში ხშირად გვხვდება. მანუილ რიტორი<sup>1</sup> დაიბადა XV ს-ის 80 -იან წლებში კორინთოში და მოღვაწეობდა XVI ს-ის პირველ ნახევარში. 1506-1520 წლებში იგი იყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საღვთისმეტყველო სკოლის მასწავლებელი. მანუილი დიდი რიტორის და ხარტოფილაკის თანამდებობაზე მსოფლიო საპატრიარქოში მსახურობდა XVI ს-ის 40-იანი წლების ბოლომდე, რადგან კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს 1547 წლით დათარიღებულ სინოდალურ წერლში ის ჯერ კიდევ ცოცხლად იხსენიება:

Ὁ Μανουήλ ὁ Ῥηγῆρ τῆς Μεγάλης Ἐκκλησίας (მანუილი დიდი ეკლესიის რიტორი), ასევე წყაროების მიხედვით, იგი უნდა გარდაცვლილიყო 1550-1551 წლებში, რადგან 1553წელს რიტორის თანამდებობაზე სხვა პიროვნება ჩანს იოანე ზიგომალასი.<sup>2</sup>

მანუილ რიტორი იწოდება **Μανουήλ ὁ Χαρτοφύλαξ καὶ Μέγας Ῥήτωρ τῆς Μεγάλης Ἐκκλησίας** („მანუილი, ხარტოფილაქსი და დიდი რიტორი დიდი ეკლესიის).

„ხარტოფილაკი“ და „დიდი რიტორი“: კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში თანამდებობა „ხარტოფილაკი“ დაწესდა VI ს-ში და საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა მისი მოვალეობები. თავდაპირველად „ხარტოფილაკის“ ფუნქცია იყო საპატრიარქოს ან ეპისკოპოსების დოკუმენტაციის დაცვა და მეთვალყურეობა, VII საუკუნიდან მას ევლემბოდა მსოფლიო საეკლესიო კრებების დოკუმენტაციის მომზადება და განაგებდა საპატრიარქოს სასამართლოსაც. XI საუკუნიდან იმპერატორ ალექსი კომნენოსის ბრძანებით „ხარტოფილაკი“ გახდა კონსტანტინოპოლის პატრიარქის მოსაყდრე ანუ მისი ნაცვალი.<sup>3</sup>

1 **Λάμπρου Σπ.** *Κατάλογος των ελληνικών χειρογράφων του Αγίου Όρους*, Cambridge 1900 - «Μανουήλ ο Κορίνθιος» *Νέος ελληνισμός*, τ.4ος τχ.Α', Αθήνα 1907, σελ. 116-117 «Μανουήλ ο Κορίνθιος» *Πάπυρος-Λαρούς-Μπριτάνικα, εγκυκλοπαίδεια*, τ. 40

2 **Παπαδόπουλος Γεώργιος** „Ιστορική επισκόπησις της βυζαντινῆς ἐκκλησιαστικῆς μουσικῆς ἀπὸ των ἀποστολικῶν χρόνων μέχρι των καθ' ἡμᾶς (1-1900 μ.Χ)“, εκδ. Τέτριος Κατερίνη;

3 **Επισκόπου Φαναρίου Αγαθαγγέλου**, Γεν. Διευθυντοῦ **Ἑρμηνεία των οφθικίων της Αγίας του Χριστοῦ Μεγάλης Ἐκκλησίας**. Αποστολικῆς Διακονίας της Ἐκκλησίας της Ἑλλάδος. 1-2. [www.apostoliki-diakonia.gr](http://www.apostoliki-diakonia.gr)

მანუილ დიდი რიტორი ცნობილია, როგორც ერთ-ერთი გამორჩეული ჰიმნოგრაფი და ჰომილიების ავტორი. მას ეკუთვნის მრავალფეროვანი საგალობელი რეპერტუარი და სხვადასხვა საუფლო დღესასწაულზე დაწერილი ჰომილიები. საგულისხმოა, რომ მანუილის ჰომილიებისა და ჰიმნოგრაფიის დიდი ნაწილი შემორჩენილია ათონის ივერთა მონასტრის ბერძნულ ხელნაწერებში, მათ შორის, მაგ., აღდგომის დღესასწაულის ჰომილია გვხვდება მხოლოდ ქართველთა მონასტრის ხელნაწერში Ibir.512<sup>4</sup>.

ამავე ხელნაწერში დასტურდება ეფთვიმე ახალი ათონელისადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონი.

მკვლევარი გ. პაპადოპულოსი მიუთითებს, რომ მანუილ დიდი რიტორი ხშირად სტუმრობდა ქართველთა მონასტერს და ახლო ურთიერთობა ჰქონდა მის სამმოსთან, ხელნაწ. N 512 დათარიღებულია 1515 წლით, და როგორც მკვლევარი აღნიშნავს, მანუილის ჰიმნოგრაფიული რეპერტუარის შემცველ ხელნაწერთა შორის ეს არის უძველესი. ტექსტს ამგვარი სათაური აქვს „τὸν ὄσιον Εὐθὺμιον τὸν νέον“; ათონის ივერთა მონასტრის მოსახსენებლებსა და, ზოგადად, ხელნაწერ ტრადიციაში „Ὁσιος Εὐθὺμιος ὁ Νεός“ არის ეფთვიმე ათონელი, ეფთვიმე იბერი<sup>5</sup>. Ibir.512 -ში მოცემული ტექსტი სწორედ ის ჰიმნოგრაფიული კანონია, რომელიც პლატონ იოსელიანის მიერ ჩამოტანილ ჰიმნოგრაფიულ განგებაშია ჩართული. ამგვარად, გამოვლინდა XVI საუკუნეში დაწერილი ეფთვიმე მთაწმიდელისადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონი, რომლის ავტორიც არის პოსტბიზანტიური ეპოქის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომდგენელი, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მაღალი თანამდებობის პირი და ავტორიტეტული ფიგურა, ცნობილი ჰიმნოგრაფი. დღეისთვის სამეცნიერო ლიტერატურაში ბერძნულ ენაზე შექმნილი ეფთვიმე მთაწმიდელისადმი მიძღვნილი სხვა საგალობელი ცნობილი არ არის.

ზემოთ შევნიშნეთ, რომ Gr.24 შეიცავს სტიქარონებსაც და გარდა მანუილ რიტორის მიერ დაწერილი ჰიმნოგრაფიული კანონისა, მეორე არასრულ კანონსაც, რომლის ავტორი მითითებული არ არის; ამრიგად, ეს განგება კომპილაციური ხასიათისაა, აკროსტიქში მონაწილეობს მხოლოდ მანუილის დაწერილი ტროპარები, მეორე კანონის ტროპარებს კი მიწერილი აქვს ἔπειος - სხვა; ეს სტროფები გრამატიკული თავისებურებებით ერთმანეთისგან განსხვავდება. კერძოდ, მანუილის ტექსტი ბერძნული ენის უფრო ადრეულ ეტაპს ასახავს, სხვა კანონის სტროფები კი გვიანდელი XVIII საუკუნის ენისთვის დამახასიათებელი ფორმებით ხასიათდება.

4 BYZANTIAKA Τόμος 30ός Αφιέρωμα στη Θεσσαλονίκη για τα 100 χρόνια από την απελευθέρωσή της Θεσσαλονίκη 2012-2013, Μυρσίνη Σ. Αναγνώστου Μανουήλ Κορινθίου τοῦ μεγάλου ρήτορος Λόγος στὴν Ἀνάστασι καὶ στὴ Ζωοδόχο Πηγὴ

5 Παπαδόπουλος Γεώργιος „Ιστορική επισκόπησης της βυζαντινῆς εκκλησιαστικῆς μουσικῆς από των αποστολικῶν χρόνων μέχρι των καθ' ἡμᾶς (1-1900 μ.Χ), εκδ. Τέτριος Κατερίνη;1902. 245

ამ საკითხის უფრო ზუსტად გარკვევა საგალობლების ენობრივი ანალიზით არის შესაძლებელი, უნდა ითქვას, რომ XVI -XVIII სს-ეების მანძილზე მიმდინარეობდა ბერძნული ენის ცვლილება, პოსტბიზანტიური ბერძნულიდან „კათარევუსას“ (ბერძნული ენის განვითარების ეტაპი, ე.წ. „სუფთა“ ენა) ადრეული ფორმების ჩამოყალიბება<sup>6</sup>, როცა ტექსტებში არსებობს ძველი ბერძნული ენისთვის დამახასიათებელი გრამატიკული ფორმები და იმავდროულად ჩნდება „კათარევუსას“ საწყისი ეტაპის ამსახველი ელემენტებიც. მიუხედავად ამგვარი სიტუაციისა, ტექსტების ანალიზის საფუძველზე გარკვეული დასკვნის გამოტანა მაინც შეიძლება. „კათარევუსასთვის“ დამახასიათებელი უმთავრესი ნიშანი არის ზმნის კავშირებითი კილოს ძველი ბერძნულისგან განსხვავებულად გადმოცემა. ბერძნული **να** არის მოდალური ნაწილაკი, რომელიც გამოხატავს სურვილს, შესაძლებლობას, მიზანს ან დამოკიდებულ მოქმედებას (ქართულში ხშირად გადმოიცემა ქვემდებარე/მიზნის კონსტრუქციებით: „რომ“, „-დ“, „-სთვის“, ან ინფინიტივური მნიშვნელობით).

**να** **ἐξεσπᾶμεν** „რომ აღმოვაჩინოთ“/„აღმოვაჩინოთ“, **να** **τις** **βλέπη** „რომ უყურებდეს მათ“ / „უყურებდეს მათ“ ისინი რომ ენახა) და ა.შ. კავშირებითი კილოს ამგვარად გადმოცემა ნორმაა XVIII საუკუნიდან. ასეთი ფორმები გვხვდება იოვანესა და ეფთვიმეს ბერძნული ცხოვრების რედაქციებში, როლებიც XVIII ს-ის დასაწყისით არის დათარიღებული.<sup>7</sup> განგების ტექსტებში კი კავშირებითი კილო ძველი ბერძნული კონსტრუქციით გადმოიცემა, მაგ., **βοήσῃμεν** (ვუხმოთ), **Συγχαίρητε** (გიხაროდეთ), **προσπαύνησῃμεν** (მივეგებოთ, aorist კავშირებითი კილო) და სხვა.

ყურადღება მივაქციეთ განგების ტექსტების ლექსიკასაც და ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობას. მოვიყვანთ ერთ მაგალითს: **τῶν Ἰβήρων κισμήταρ** - კოსმიტორი (კისმერთა) სიტყვა ძველ ბერძნულშიც გვხვდება და კათარევუსაშიც და ახალ ბერძნულშიც, თუმცა განსხვავებული მნიშვნელობით. ძველ ენაში იგი ნიშნავს წინამძღოლს, მომწესრიგებელს, ხოლო მოგვიანო პერიოდის ენაში და თანამედროვე ბერძნულში **κισμήταρ** აღნიშნავს მომკაზმველს, მომრთველს. საგალობლის ტექსტში **τῶν Ἰβήρων κισμήταρ** გამოყენებულია ძველი მნიშვნელობით - ივერთა წინამძღოლი, მომწესრიგებელი და არა მომკაზმველი. თვალში საცემია ასევე აქტიურად გამოყენებული ინფინიტიური კონსტრუქციები **καταπεμφθῆναι**, **φύλαττειν**, ბერძნული კილოსთვის დამახასიათებელი ფორმები: **ῥῆσαι**, **κατηγιάσαι**, **κατανῆσαι**.

მანუილ რიტორის მიერ დაწერილი ჰიმნოგრაფიული კანონი ტექსტობრივად მეტად მრავალფეროვანია და საინტერესო მხატვრულ სახეებს შეიცავს. ცნობილია, რომ ჰიმნოგრაფიულ ტექსტში თხრობის

6 მახარაძე ნ., ბიზანტიური ბერძნულის წარმოთქმის საკითხები, თბილისი, 1978

7 „იოანე . ეფთვიმე და გიორგი ათონელების“ ბერძნული ცხოვრება, ტექსტი გამო-საცემად მოამზადა მ. მაჩხანელმა, თბ., 1982

ელემენტები არ არის, გალობა არის შესხმა წმიდანის ღვაწლისა. საგალობლის ცალკეული ოდების ფარგლებში ხდება თემის ვარიაცია.<sup>8</sup> შესაძლებელია ერთი და იგივე თემა მეორედობდეს კანონის სხვადასხვა ოდაში. ამ თვალსაზრისით ეფთვიმე მთაწმიდელისადმი მიძღვნილი ტექსტი გამონაკლისი არ არის. რვა ოდის თითოეულ სტროფში შესხმულია ეფთვიმე მთაწმიდელი, როგორც ჭეშმარიტი მონაზონი, ასკეტურ ღვაწლში მისაბამი მოღვაწე, წმიდა წერილის ქართულად მთარგმნელი და ქართველთათვის ახალი ოქროპირი, ებრაელთა საცთურის დამრღვევი. ამ თემების ვარიაციაა მოცემული კანონში.

Σοφῶς ὑπεξέφυγες τὸν κόσμον πᾶσαν προσηπάθειαν, ἐκ βρέφους ἀοιδίμει, πάτερ Εὐθίμει, μαράνας τὸν σάματος, τὰ ἐπὶ γῆς μέλη ὄσσε, σοφῶς κατησπέταξας τῷ νόμῳ τὸν νοός.

სიბრძნით განემორე ამა სოფლის ყოველგვარ მცდელობებს, სიყრმიდან, ნეტარო მამაო ეფთვიმე, დააჭკნე სხეული და მიწიერი სხეულის ნაწილები სიბრძნით განაგდე,/ განწმინდე (დაუმორჩილე გონების კანონს), Ὅσως ὄντως ἐξασθήσας οἰάνπερ ὄρει τὸν ἄθωσος Δαβιδικός ποῖνιζ ἀყვავდი, როგორც ნეტარი ათონის მთაზე დავითის ფინიკი);

σταυρὸν τὸν Κυρίου ἐπὶ ἄμων, πάτερ, Χρυσόστομε Εὐθίμει, τὴν θείαν Γραφὴν ἐρμηνεύσας ἐκ τῆς Ἑλλάδος πρὸς τὴν Ἰβήρων φωνήν. („უფლის ჯვრის მხრებზე მტვირთველო მამაო, ოქროპირო ევთიმო, საღმრთო წერილის განმმარტებელო“ (მთარგმნელო, ბერძნულიდან იბერთა ენაზე გადმომცემელო.)

Ἐβραίων ἄσπερ ἰσθόν, ἀράχνη, πάτερ διέλυσας προτάσεις λόγους τοῖς σοῖς, θεοσοφοῖς ὄσσε. („ებრაელთა ქსელი, ობობის მსგავსად, მამაო, შენ დაარღვიე შენი ღმრთივისიბრძნით სავსე სიტყვებით, წმიდანო.“)

ეფთვიმესადმი მიძღვნილ საგალობელში გვხვდება მხატვრული სახეები, შედარებები და ეპითეტები;

παυσυμήτε (ყოვლადსაგალობელო) Θεόφρον (ღმრთივგონიერო), Θεοδῶρε (ღმერთშემოსილო), σοφῆ (ბრძენო), μακάρ (ნეტარო), ὄσσε (ღირსო), τρισμάκαρ (სამგზისნეტარო), τῶν Ἐβραίων μᾶστιζ (ებრაელთა მათრახო).

განგების ტექსტებზე დაკვირვებით აშკარად ჩანს, რომ ეფთვიმე მთაწმიდელის ღვაწლის შესხმისას გამოკვეთილია შემდეგი თემები:

იგი არის ასკეტური ღვაწლის იდეალი;

ღმრთივგანბრძნობილი სიტყვით განაქიქებს იუდეველთა სარწმუნოებას;

იგი არის ქართველთა სულიერი წინამძღოლი და წმიდა წიგნების ქართულად მთარგმნელი.

ეს სამი თემა ასახულია ეფთვიმე მთაწმიდელის ცხოვრების როგორც ქართულ, ისე ბერძნულ რედაქციებში.

8 **Ξυδης Θεόδωρος**, *Στοιχειακές παρατηρήσεις στην ἐκκλησιαστική ποίηση*, Αθήναι 1951

რაც შეეხება მანუილ რიტორის საგალობლების წყაროს, აქვე გამოვრიცხავთ ეფთვიმეს ბერძნული ცხოვრების რედაქციას, რადგან ეს ტექსტი გვიან XVII - XVIII სს-ებშია შექმნილი. რაც შეეხება ქართულ ენაზე დაწერილ საგალობლებს, ცნობილია XI საუკუნეში შექმნილი გიორგი მთაწმიდელის მიერ დაწერილი საგალობელი (Ath. 56) თვენის ბოლოს დართული და XVIII საუკუნეში ანტონ კათალიკოსის მიერ შედგენილი განგება. სავარაუდოა, რომ მანუილ რიტორი ჰიმნოგრაფიული კანონის შედგენისას ისარგებლებდა რაიმე ბერძნული წყაროთი ან ქართველთა მონასტერში ეფთვიმე მთაწმიდელის ღვაწლის შესახებ არსებული ზეპირი ტრადიციით. უშუალო ბერძნული წყაროს არსებობა დასაშვებია, თუმცა მისი არსებობა ცნობილი არ არის. ვფიქრობთ, მეტად სარწმუნოა, ჰიმნოგრაფიული კანონის ტექსტი ეყრდნობოდეს ეფთვიმეს მოღვაწეობის შესახებ ზეპირ ცოდნას. ჩვენთვის საინტერესოა განგების ყველა ნაწილი, მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა ნაცნობი ავტორის მიერ შედგენილი ტექსტი. Gr.24-ის ტექსტზე დაკვირვებით ნათლად ჩანს, რომ მისი შემადგენელი ნაწილები სხვადასხვა საუკუნეშია შექმნილი; თუკი მანუილ რიტორის მიერ დაწერილი საგალობელი XVI საუკუნეშია დაწერილი, მეორე კანონი უფრო გვიან, XVIII საუკუნეში უნდა იყოს შედგენილი, ამაზე ზემოთმოყვანილი გრამატიკული ფორმები მეტყველებს, საბოლოოდ მთელი განგება XVIII საუკუნეში უნდა ჩამოყალიბებულიყო, ამ ვარაუდს ამყარებს მ. მაჩხანელის მოსაზრება: „XVIII ს-ის დასაწყისში მონასტრის სიძველის დამტკიცებისთვის მის შესწავლას არა მარტო სჭირდებოდათ საქვეყნოდ გამოტანა იმ ფაქტისა, რომ მათი მონასტერი X ს-ის ბოლოსაა დაარსებული ქართველთა მიერ, არამედ ამაყობდნენ კიდევ ამით. ამიტომაც შეიქმნა ათონელი მამების იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრება და ნიკოდიმოს მთაწმიდელის დაწერილი საგალობელი. ქართველთა მონასტრის კტიტორთა ღვაწლის გახსენება და პატივისცემა ამ პერიოდში დადასტურება იყო დიდი მამების სულიერი მემკვიდრეობის გაგრძელებისა.“<sup>9</sup>

მ. მაჩხანელის დაკვირვება სარწმუნოა და ნათელია, რომ XVIII საუკუნეში რამდენადმე განახლდა ქართველთა მონასტრის კტიტორთა მიმართ ყურადღება და მათი ღვაწლის ხელახლა წარმოჩენის აუცილებლობა დადგა.

ჩვენთვის საინტერესოა, თუ რამ განაპირობა XVI საუკუნეში მანუილ რიტორის მიერ ეფთვიმე მთაწმიდელისადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული განგების შექმნა. ცნობილია, რომ ამ დროს ივერთა მონასტერი აღარ არის ქართული მწიგნობრობის მძლავრი კერა. ბიზანტიის დაცემამ, გაუთავებელმა რბევამ მონასტერი დაასუსტა და დააუძლურა, სავანის ბერებმა დასახმარებლად მიმართეს თანამემულეებს. ამ დროს

<sup>9</sup> „იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების“ ბერძნული ცხოვრება. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მ. მაჩხანელმა, თბ., 1982, გვ. 18-19

საქართველოს ერთიანი სამეფოც დაშლილი იყო და საზღვარგარეთის ქართულ სამონასტრო კერებს დახმარებას უწევდნენ სამცხის ათაბაგები ყვარყვარე II (1451-1498) და მზექაბუკი (1500-1515). ქართველთა დახმარებამ და შეწირულობამ გამოაცოცხლა ივერთა ლავრა და ნაგებობათა განახლება დაიწყო.<sup>10</sup>

XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისში ათონის ქართველთა მონასტრის მფარველობდა ჯაყელ-ციხისჯვარელთა ფეოდალური საგვარეულო. ამის შესახებ ცნობები დაცულია ალაპთა წიგნის ჩანაწერში (№162-164) და მონასტრის არქივის სხვა დოკუმენტებში. ათაბაგი ყვარყვარე დიდი (1451-1498), მისი შვილები ქაიხოსრო (1498-1500) და მზექაბუკი (1500-1515) მონასტრისთვის მნიშვნელოვან შეწირულობას გასცემდნენ, რითაც აღადგინეს კოშკი – **ბასტიონი** და სენაკების ნაწილი. თავიდან აშენდა მთავარი კოშკი, საავადმყოფო, კათოლიკონის გვერდითი მინაშენი, აიგო და მოიხატა ტაძრის გალერეა. ტაძარი მოიხატა **კტიტორების** – ქაიხოსროსა და მზექაბუკის – ასევე, იმ ქართველი მეფეების პორტრეტებით, რომელთაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღოდათ მონასტრის აშენება-გაფართოებაში. 1883 წელს მონასტრის ბერძენი წინამძღვრის მითითებით ტაძარი ახალი ფრესკებით მოიხატა, ხოლო წარწერები გადაკეთდა. „ალაპთა წიგნი“ ადასტურებს ბერძნულ წარწერას კათოლიკონის დასავლეთ კედელზე, რომელზეც აღნიშნულია, რომ 1513 წელს დამთავრებული იყო სამშენებლო სამუშაოები ეკლესიასა და კოშკში; ასევე გარემონტდა მონასტრის კედლების ღიობები და სათოფურები. შემოწირულობა ქართველთა მონასტრში, იერუსალიმსა და სინის მთაზე ხორციელდებოდა ქაიხოსრო ათაბაგის აღზრდილი ამბროსის მეშვეობით, რომელმაც ივერთა ლავრის ბერებს გადასცა 25 500 თუმანი. საკუთარი ხარჯით ვერცხლით შეამკო ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი, რაზეც მეტყველებს მასზე ამოტვიფრული ასომთავრული წარწერა XVI ს-ის დასაწყისში. 1500-1503 წლებში სამცხის ათაბაგები ინტენსიურად სტუმრობდნენ და უხვ შეწირულობას იღებდნენ ქართველთა სამზრუნველოსთვის<sup>11</sup>. ამდენად, ათაბაგების აქტიური მოღვაწეობა ივერთა მონასტრის აღორძინებისთვის ნათელია წყაროების მიხედვით.

ათაბაგების ღვაწლთან მიმართებით ყურადღება უნდა გავამახვილოთ XVI ს - ში შექმნილ ერთ ბერძნულ ტექსტზე, რომელიც ბერძენმა ისტორიკოსმა სპირიდონ ლამპროსიმ გამოსცა 1909 წელს. ეს ტექსტი აწყურის ღვთისმშობლის ხატის სასწაულთა თხრობას შეიცავს და მისი შემქმნელიც არის მანუილ რიტორი, ტექსტის ბოლოს დართულია ქაიხოსრო ათაბაგისა და მისი ძმის მზექაბუკის შესხმა, მათი

10 მენაბდე ლ., „ქართული კულტურის კერა ათონზე“, თბილისი, 1982

11 სხირტლაძე ზ., ივერიის ღვთისმშობლის ხატის მოჭედულობა, თბილისი, 1994, 17-27

მოღვაწეობის ქება. ეს ტექსტი რუსული თარგმანით გამოსცა მეცნიერმა ჰრაჩ ბართიკიანმა<sup>12</sup>. ბერძნული ტექსტის გამომცემელი და ბართიკიანიც ყურადღებას ამახვილებენ პოსტბიზანტიურ ეპოქაში სამცხის ათაბაგების ურთიერთობაზე ბერძნებთან. ამ ტექსტიდან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მანუილ რიტორი პირადადაც იცნობდა სამცხელ ათაბაგებს, ვინაიდან კონსტანტინოპოლი საპატრიარქოს ხარტოფილაკი და დიდი რიტორი ხშირად იმყოფებოდა ქართველთა მონასტრში, როგორც ამას აღნიშნავს გ. პაპადოპულოსი. XV- XVI საუკუნეებში სამცხის სკრიპტორიუმში შექმნილი არაერთი ხელნაწერის ანდერძ-მინაწერებში იხსენიება ათაბაგების მიერ ათონის ივერთა მონასტრისთვის გაღებული შეწირულობის შესახებ. ამგვარი ინტენსიური ურთიერთობის არსებობა სამცხის ათაბაგებსა და ლავრას შორის, ასევე მანუილ რიტორის მიერ შექმნილი „თხრობა“ გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია, ეფთვიმე ათონელისადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონიც სწორედ ათაბაგთა დაკვეთით დაწერა მანუილ რიტორმა. შემდეგ ეს ტექსტი შევიდა ბერძნულ „ეორტოლოგიონში“ და შემთხვევითი არ არის, რომ ამ საგალობლის ყველაზე ადრეული ხელნაწერი სწორედ ქართველთა მონასტრის კოლექციაში აღმოჩნდა. ვფიქრობ, ლოგიკურია, რომ სამცხის ათაბაგები ლავრის აღმშენებლობასთან ერთად მისი კტიტორის სახელის აღორძინებაზეც იფიქრებდნენ. ამრიგად, Gr. 24-ში არსებული მანუილ რიტორის მიერ დაწერილი ეფთვიმე მთაწმიდელისადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონი ერთადერთი ადრეული ბერძნული ტექსტია, რომელიც ქართველთა მონასტრის კტიტორის ხსენების დღეს 13 მაისს სრულდება მონასტერში მისი შექმნის დროიდან დღემდე.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ზალდასტანიშვილი მ., „მანუილის მოთხრობა აწყურის ხატის შესახებ“, არტანუჯი, ახალგაზრდა ისტორიკოსთა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, V. თბილისი, 1996, 17-21;
2. „იოანე , ეფთვიმე და გიორგი ათონელების“ ბერძნული ცხოვრება, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მ. მაჩხანელმა, თბ., 1982
3. მახარაძე ნ., ბიზანტიური ბერძნულის წარმოთქმის საკითხები, თბილისი, 1978
4. მენაბდე ლ., „ქართული კულტურის კერა ათონზე“, თბილისი, 1982
5. მენაბდე ლ., ძველი ქართული სამწიგნობრო კერები, ტ. II, თბილისი, 1980

12 Бартикян Р., Приписываемый Мануилу, Великому ритору Константинопольской Патриархии (Первая Половина XVI века) Панегирик Государям Самцхе-Саатабаго Кваркваре II, Кайхосро и Мзечабуку, тсუ შრომები, ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, N 266, 1987, 37-118. სომეხი მეცნიერი ამ ნაშრომს პანეგირიკონს უწოდებს; საინტერესოა ისიც, რომ ხელნაწერი დაცულია ათონის მთის ქართველთა მონასტრის წიგნთსაცავში N 811. ხელნაწერის პირველი პუბლიკაცია ცნობილ ბიზანტიოლოგს, სპირიდონ ლამბროსის ეკუთვნის. მ. ზალდასტანიშვილი, მანუილის მოთხრობა აწყურის ხატის შესახებ, არტანუჯი, N5, 1996, 17-21

6. სხორტლაძე ზ., ივერიის ღვთისმშობლის ხატის მოქედულობა, თბილისი, 1994, 17-27
7. Επισκόπου Φαναρίου Αγαθαγγέλου, Γεν. Διευθυντού ,Ερμηνεία των οφικίων της Αγίας του Χριστού Μεγάλης Εκκλησίας. Αποστολικής Διακονίας της Εκκλησίας της Ελλάδος. 1-2. www.apostoliki-diakonia.gr
8. ΒΥΖΑΝΤΙΑΚΑ: ΒΥΖΑΝΤΙΑΚΑ Τόμος 30ός Αφιέρωμα στη Θεσσαλονίκη για τα 100 χρόνια από την απελευθέρωσή της Θεσσαλονίκη 2012-2013, Μυρσίνη Σ. Αναγνώστου Μανουήλ Κορινθίου τοῦ μεγάλου ρήτορος Λόγος στὴν Ἀνάσταση καὶ στὴ Ζωοδόχο Πηγὴ
9. Λάμπρου Σπ. Κατάλογος των ελληνικών χειρογράφων του Αγίου Όρους, Cambridge 1900 -«Μανουήλ ο Κορίνθιος» Νέος ελληνομνήμων, τ.4ος τχ.Α΄, Αθήνα 1907, σελ. 116-117 «Μανουήλ ο Κορίνθιος» Πάπυρος-Λαρούς-Μπριτάνικα, εγκυκλοπαίδεια, τ. 40
10. Ξύδης Θεόδωρος, Στιχουργικές παρατηρήσεις στην ἐκκλησιαστικὴ ποίηση, Ἀθήναι 1951
11. Παπαδόπουλος Γεώργιος „Ιστορικὴ επισκόπησις της βυζαντινῆς ἐκκλησιαστικῆς μουσικῆς ἀπὸ των ἀποστολικῶν χρόνων μέχρι των καθ’ ἡμᾶς (1-1900 μ.Χ), εκδ. Τέτριος Κατερίνη;

EKA DUGHASHVILI

GREEK HYMNOGRAPHIC CANON DEDICATED TO  
THE EUTHYMIUS OF ATHONITE

Summary

This article examines a Greek manuscript preserved at the National Center of Manuscripts containing a liturgical rite that includes hymnographic canons dedicated to Euthymios the Hagiorite (Gr. 24). The manuscript was copied in 1849 by Platon Ioseliani during his visit to Mount Athos and subsequently brought to Georgia. The canon comprises a complete liturgical cycle, including vespers and matins with kontakia, as well as two matins services, and incorporates Old Testament material, particularly from the *Wisdom of Solomon*. The second canon is structured into eight odes, each containing multiple troparia, some of which fall outside the acrostic composition. The acrostic troparia are attributed in the title to Manuel the Rhetor of the Great Church, a prominent fifteenth–sixteenth-century ecclesiastical figure, hymnographer, chartophylax of the Patriarchate of Constantinople, and theological instructor.

Ioseliani indicates that these hymns were derived from Greek festal calendars. The canon dedicated to Euthymios is characterized by elaborate poetic diction, including tropes, epithets, and metaphors. In each ode, Euthymios is portrayed as an exemplary monk, a model of ascetic discipline, a translator of the Holy Scriptures into Georgian, and a “new John Chrysostom.”

An eighteenth-century Greek edition of the *Life of John and Euthymios* is known, while no additional Greek texts concerning Euthymios were previously identified. The discovery of this hymnographic canon, attributed to Manuel the Rhetor, provides new evidence for his authorship and contributes

to the understanding of the transmission of traditions concerning Euthymios. The text reflects knowledge transmitted through oral tradition and emphasizes his monastic activity primarily. It further suggests that, despite the reduced number of Georgian monks at the Iviron Monastery, the memory of Euthymios the Hagiorite continued to be preserved with particular reverence.

The historical context of the canon's composition is also significant. In the sixteenth century, Georgian monastic institutions abroad received support from the Atabags of Samtskhe, Kvarqvare II (1451–1498) and Mzechabuki (1500–1515). A related Greek text authored by Manuel the Rhetor, published by Spiridon Lampros in 1909 and translated into Russian by Hrach Bartikian, includes accounts of the miracles of the icon of the Theotokos of Atsquri and concludes with encomia addressed to Kaikhosro Atabagi and his brother Mzechabuk. These works highlight the close connections between the Samtskhe Atabags and the Greek ecclesiastical milieu in the post-Byzantine period.

Based on this evidence, it is plausible that Manuel the Rhetor was personally acquainted with the Samtskhe Atabags, as officials of the Patriarchate of Constantinople, including chartophylakes and rhetors, frequently visited the Iviron Monastery. Surviving manuscript colophons from the Samtskhe scriptorium in the fifteenth and sixteenth centuries also attest to donations made by the Atabags to Iviron. The strong relationship between the Samtskhe rulers and the Athonite Georgian monastic community, together with Manuel's literary output, suggests that the hymnographic canon dedicated to Euthymios the Hagiorite may have been composed at the request of the Atabags. The text was later incorporated into the Greek *Eortologion*, and its earliest manuscript tradition is preserved in the Iviron collection. It is likely that the Atabags sought not only to support the material restoration of Iviron but also to promote the legacy of its founder.

Manuscript Gr. 24 thus preserves the earliest known Greek hymnographic canon dedicated to Euthymios, attributed to Manuel the Rhetor. This canon remains part of the liturgical commemoration celebrated on May 13, the feast day of the founder of the Iviron Monastery, and continues to hold both liturgical and historical significance.

გიორგი ჩხაიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი საღმრთო სახელის  
ინტერპრეტაციისათვის

„ვეფხისტყაოსანი“ სხვადასხვა კუთხით და სხვადასხვა მეთოდოლოგიით მრავალგზის შესწავლილი ტექსტია. ის, როგორც შუა საუკუნეების ქრისტიანული ძეგლი, თეისტური ნაწარმოებია და მასში მრავალჯერ ვხვდებით ღმერთთან, უზენაეს არსებასთან მიმართებას ან მასზე საუბარს. თუმცა მასში არ არის დასახელებული რომელიმე კონკრეტული რელიგიის ღვთაება ან სახელი, რომელიც მას მიემართება. მეტიც, ტექსტში გამოვლენილი მიმართებები და საღვთო სახელები რამდენიმე რელიგიის თეოლოგიას შეიძლება შეუკავშირდეს. *ღვთაებრივი სახელების დიდი უმრავლესობა, ისე როგორც ბიბლიური გამოთქმები და შეგონებები ვეფხისტყაოსანს აქვს საერთო სამივე რელიგიასთან: იუდაიზმს, ქრისტიანობასა და მაჰმადიანობასთან* (ე. ხინთიბიძე 2009: 229).

ისეთ სიღრმისეულ საკითხზე მსჯელობისას, როგორცაა ქრისტიანული დოგმატიკა, შეუძლებელია თავი ავარიდოთ წმინდა მამათა მიერ გამოთქმულ და მსოფლიო კრებებზე წერილობით ფორმულირებულ მოძღვრებას. ამის გათვალისწინებით, შევეცდებით სწორედ მათზე დაყრდნობით შედარებითი ანალიზი გავაკეთოთ „ვეფხისტყაოსნის“ ერთ საღმრთო სახელთან.

რუსთველი მრავალჯერ ახსენებს უზენაეს არსებას სხვადასხვა გზით, იქნება ეს სახელი - ღმერთი ( 2, 64, 77, 120, 470, 926, 938 და სხვა), უფალი (862, 1048), ნაცვალსახელი - რომელმან (1), ხატოვანი გამოთქმები - „მზიანი ღამე“, „ერთარსება ერთი“, „უჟამო ჟამი“ (837) და სხვა.

ჩვენი ყურადღება კი სწორედ „უჟამო ჟამმა“ მიიპყრო. 837-ე სტროფში დასახელებული „უჟამო ჟამი“ რამდენიმე ჰიპოთეზის თანახმად კონკრეტულად ქრისტეს სახელია<sup>1</sup>. ამ ჰიპოთეზის ჩამოყალიბებით მეც-

---

1 მკვლევრების მიერ შენიშნულია, რომ ჟამი, დროის პრედიკატი, არ შეიძლება მიეწეროს ღვთაებას, რომელიც დროზე მაღლაა და მოცემული გამოთქმა მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული, თუკი, იგი ქრისტეს მიემართება (იხ. მ. რაფაა 1966: 115). ასევე, რამდენიმე მკვლევარი იზიარებს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც „უჟამო ჟამი“ ქრისტეზე მინიშნებული გამოთქმაა (იხ. მ. გიგინეიშვილი 1941: 27).

ნიერები გაცნობიერებულად და აშკარად შეეხნენ ქრისტიანული დოგმატიკის უმთავრეს დარგებს - ტრიადოლოგიას და ქრისტოლოგიას - სწავლებებს წმინდა სამებისა და იესო ქრისტეს შესახებ. შესაბამისად, მეთოდოლოგიურად გამართლებული და სასურველი იქნება, თუკი კონტრარგუმენტაცია ამ დარგების შესაბამის სწავლებათა გამოყენებით შედგება. ზემოხსენებული ჰიპოთეზის ერთ-ერთ კონტრარგუმენტად სწორედ ტრიადოლოგიური სწავლების მრავალთაგან ერთი მაგალითი მოჰყავთ - „ის, რაც შეიძლება იყოს ქრისტეს სახელი უნდა იყოს მამა ღმერთის და სული წმიდის სახელიც. ის, რაც მიეწერება სამებისაგან ერთ ჰიპოსტასს, უთუოდ მიეწერება დანარჩენ ორ ჰიპოსტასს და მთლიანად სამებასაც. სხვაგვარად გაუმართლებელი იქნება დოგმა სამების ერთ-არსებისა. რაც არის ერთი პირი ამ სამებისა ის უნდა იყოს სამივე პირიც“ (ე. ხინთიბიძე 2009: 267). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მკვლევარი საუბრობს არა ჰიპოსტასურ, ანუ კონკრეტული პირის (ან მამის, ან ძის ან სულიწმიდის), არამედ ბუნების, ანუ არსების (სამი პიროვნების საერთო) გამომხატველ სახელებზე.

ზემოხსენებულ არგუმენტს დამატებით სხვა წყაროებიც მოემბენება ტრიადოლოგიასა და ქრისტოლოგიაში, რომელთაგან რამდენიმე ქვევით მოვიყვანეთ. მანამდე კი აუცილებლად აღსანიშნავია საღვთო სახელთა მნიშვნელობა მართლმადიდებლურ თეოლოგიაში, სადაც დიდი ყურადღება ეთმობა ტერმინებსა და სახელებს, რომლებიც ღმერთს ან მის რომელიმე ჰიპოსტასს მიემართებიან. ერთია არსობრივი ტერმინები, ანუ არსების, ბუნების გამომხატველი ტერმინები და მეორეა, - რომლებიც ჰიპოსტასის აღმნიშვნელნი არიან, მხოლოდ ჰიპოსტასს მიემართებიან და არა არსებას, ესენი გახლავთ ჰიპოსტასური ტერმინები. მაგ. უზენაესი ტერმინებიდან ასეთია “მამობა”, რაც მხოლოდ მამა ღმერთს განეკუთვნება, “მეობა”, რაც მხოლოდ ძე ღმერთს განეკუთვნება. იგივე, რაც “შობილობა”, “მხოლოდშობილობა”, რაც ასევე მხოლოდ ძე ღმერთს განეკუთვნება, და “გამომავლობა”, რაც მხოლოდ სულიწმიდას განეკუთვნება (იხ. ე. ჭელიძე, 2016). წინასწარვე საგულისხმოა, რომ შემდგომში მოყვანილი სიტყვებით - საღვთო სახელი, საღვთო მიმართება, ტერმინი (რომელიც უზენაეს არსებას მიემართება) - ჩვენ აღვნიშნავთ ბუნების, არსების გამომხატველ ტერმინებს და არა ჰიპოსტასის აღმნიშვნელთ.

ასევე აღსანიშნავია ამ თემაზე მომუშავე მეცნიერთა მისწრაფება დაშალონ მიმართება „უჟამო ჟამი“. მკვლევრებთან უდიდესი აქცენტი „ჟამზე“ გაკეთებული, როცა ეს იმთავითვე არასწორი და მეთოდოლოგიურად გაუმართლებელია. რუსთველს არ მოჰყავს მხოლოდ „ჟამი“, არამედ აწყვილებს მას საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვასთან „...ერთარსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად...“ (837) და ამ საკითხის კვლევაც ამის გათვალისწინებით უნდა წარიმართოს (იხ. ე. ხინთიბიძე 2009: 264-271).

დავუბრუნდეთ თავდაპირველ ჰიპოთეზას „ჟამის“ ქრისტესთან მიმართების შესახებ. ტრიადოლოგიის და კონკრეტულად მე-4 საუკუნე, როდესაც მსოფლიო კრების მიერ უნდა დადგენილიყო მამისა და ძის ურთიერთკავშირის საკითხი. წარმოიშვა კრიზისი სახელად „არია-ნელოზა“. მას დაუპირისპირდნენ წმინდა ათანასე დიდი, კაბადოკიელი მამები და სხვ. დაპირისპირების შედეგია ნიკეის I მსოფლიო კრების (325 წ.) დოგმატის ერთ-ერთი მონაკვეთი, სადაც მე-4 საუკუნის შესახებ გავრცელებული რამდენიმე სწავლება იგმოზა: „ხოლო რომლებიც ამბობენ, რომ *“იყო, როდესაც არ იყო”*, და რომ *“შობამდე არ იყო”*, და რომ არაარსთაგან შეიქმნა ანდა ამბობენ, რომ არსებობს იგისხვა ჰიპოსტასისგან ან არსებისგან, ან კიდევ, რომ ცვალებადია ან გარდაქმნადი მე-4 ღვთისა, ამათ შეაჩვენებს კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“. მოგვყავს ორიგინალი ვარიანტი ბერძნულად: „*τὸς δὲ λέγοντας «ἦν ποτε ὅτε οὐκ ἦν» καὶ «πρὶν γεννηθῆναι οὐκ ἦν» καὶ ὅτι ἐξ οὐκ ὄντων ἐγένετο, ἢ ἐξ ἑτέρας ὑποστάσεως ἢ οὐσίας φάσκοντας εἶναι, ἢ τρεπτὸν ἢ ἀλλοιωτὸν τὸν υἱὸν τοῦ θεοῦ, τοὺς αὐτοὺς ἀναθεματίζει ἡ καθολικὴ καὶ ἀποστολικὴ ἐκκλησία.*“<sup>2</sup> (I. Καρμίρη 1960: 123). როგორც ვხედავთ, არიოზის მიერ გავრცელებული სწავლება - იყო დრო, როცა მე არ იყო (*ἦν ποτε ὅτε οὐκ ἦν*) - ეკლესიის უმაღლესმა ორგანომ, მსოფლიო საეკლესიო კრებამ მკაცრად დაგმო.

ყურადსაღებია წმ. იოანე დამასკელის შრომა „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა“, რომელიც მე-13 საუკუნისთვის უკვე რამდენჯერმე იყო დამუშავებული და თარგმნილი ექვთიმე ათონელის, ეფრემ მცირის და არსენ იყალთოელის მიერ. „სამწმინდაობის“ შესახებ საუბრისას ბიზანტიელი ღვთისმეტყველი საღმრთო სახელებს არ განუჩენს მხოლოდ ერთ რომელიმე ჰიპოსტასს სამებისას, არამედ სამივეს. *ყველა ღმერთსახელს მარტივად და ხსნილად შემოვიღებთ ყველა ჰიპოსტასისადმი, ვბაძვთ რა საღმრთო მოციქულს...* (დამასკელი, LIV თავი). შესაბამისად, თავდაპირველი მოსაზრების თანახმად, თუკი „ჟამი“ მიეწერება განკაცებულ მე-4 ღმერთს, იესო ქრისტეს, იგივე სახელი უნდა მიეწეროს მამა ღმერთსა და სულიწმიდასაც, რაც ქრისტიანული დოგმატიკის ცალსახა დარღვევა იქნებოდა.

2 ნიკეის კრების ზემორე ტექსტს შეიცავს, ROKz ΦαLa ხელნაწერების ჩვენებათა საფუძველზე, ქალკედონის მეოთხე მსოფლიო კრების (451 წ.) აქტები ანუ «საქმენი», კერძოდ, V საქმე («საქმე ე» - Πρῆξις Ε΄). შდრ. ჰილარიუს პიქტავიელის მიერ 356-360 წწ-ში შესრულებული უძველესი ლათინური თარგმანი: „Eos autem qui dicunt: ‘erat [tempus], quando non erat’, et ‘antequam [priusquam] nasceretur, non erat’, et ‘quod [quia] de [ex] non [nullis] extantibus factus est’, vel ‘ex alia substantia’ aut [sive] ‘essentia’, dicentes [‘mutabilem’et] ‘convertibilem et [-] demutabilem [-] Filium Dei’, hos anathematizat catholica [et apostolica] ecclesia“.

ასევე, მე-14 საუკუნის მოღვაწე წმ. გრიგოლ პალამა, ეყრდნობა რა ქრისტიანული სულიერი ცხოვრების გამოცდილებას და გვაწვდის მრავალსაუკუნოვანი ისიხასტური ტრადიციის დოგმატურ სინთეზს, ამტკიცებს, რომ ღვთის მრავალნაირი გამოვლინებები არ უარყოფს ღვთის ერთიანობას, რადგან ის მთლიანის და ნაწილის კატეგორიებზე მაღლა დგას და, რჩება რა არსით შეუცნობელი, სრულად ვლინდება მის ყოველ ენერგიაში, როგორც ცოცხალი ღმერთი (ი. მეიენდორფი, 2022: 84). *სახიერება არ არის ღმერთის ერთი ნაწილი, სიბრძნე - სხვა და დიდებულება და განგებულება კიდევ სხვა; მაგრამ ერთიანი ღმერთი თავად არის მთელი სახიერება, მთელი სიბრძნე, მთელი განგებულება და მთელი დიდებულება; არის რა ერთი და განუყოფელი და შეიცავს თავის თავში თითოეულს ამ ენერგიათაგან, ის თითოეულ მათგანში სრულად ავლენს თავს თავისი მყოფობით და ენერგეებით ერთიანი, მარტივი და განუყოფელი სახით* (Palamas, 55). წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, რომლის ჰომილიები რუსთველამდე უკვე ქართულად თარგმნილი გახლდათ ეფთვიმე მთაწმინდელის, დავით ტბელის და ეფრემ მცირის მიერ, თავის სიტყვაში ნათლისღების შესახებ ამბობს: *მე ჯერ ფიქრიც არ დამიწყია ერთებაზე, სამება კი უკვე მასხივებს თავის ნათელს. ის იყო სამებაზე დავიწყე ფიქრი, რომ ერთებამ კვლავ მომიცვა. როდესაც სამიდან ერთი წარმომიდგება, ვფიქრობ, რომ ეს მთელია, იმდენად არის ჩემი მზერა მისით აღვსილი, დანარჩენი მისხლტება, რამეთუ ჩემს საკმაოდ შეზღუდულ გონებაში, იმისათვის, რომ შევიმეცნო ერთი, აღარ რჩება ადგილი სხვა დანარჩენისთვის. როდესაც მე ვაერთიანებ სამს ერთსა და იმავე აზრში, ვხედავ ნათლის ერთ წყაროს, მაგრამ მე არ შემძლია განვყო ან განვიხილო შეერთებული ნათელი.*<sup>3</sup> წმ. მაქსიმე აღმსარებლის სიტყვებით, ღმერთი ერთნაირად არის ერთბაგ და სამებაც.<sup>4</sup> შესაბამისად, თუკი ჩვენ რომელიმე ტერმინს მივუწერთ მე ღმერთს, მასში ავტომატურად იგულისხმება მამა ღმერთიც და სული-წმიდაც.

მე-5 საუკუნის ქრისტიანი მოღვაწე, წმ. კირილე ალექსანდრიელი წერს - *არანაირად არ შეიძლება, რომ მხოლოდმობილთან დაკავშირებით დასაბამი აღვიქვათ დროში მოაზრებულად, რადგან უფალი ყოველგვარ*

3 Γρηγορίου του Θεολόγου, αρχιεπισκόπου Κωνσταντινουπόλεως, Λόγος ΙΖ΄, Εἰς τὰ ἄγια Φῶτα, ΜΑ΄, Migne, Jacques Paul (რედ.). Patrologiae cursus completus, series Graeca, ტ. 36, Paris: 1858, 417BC: „Ὅταν ἔν τι τῶν τριῶν φαντασθῶ, τοῦτο νομίζω τὸ πᾶν, καὶ τὴν ὄψιν πεπλήρωμαι, καὶ τὸ πλεῖον διεφύγειν. Οὐκ ἔχω τὸ μέγεθος τοῦτου καταλαβεῖν, ἵνα δῶ τὸ πλεῖον τῷ λειπομένῳ. Ὅταν τὰ τρία συνέλθω τῆ θεωρίᾳ, μίαν ὁρῶ λαμπάδα, οὐκ ἔχων διελεῖν ἢ μετρησαί τὸ φῶς ἐνιζόμενον. [ქართული თარგმანი მელიქიშვილი ნ.]

4 Μαξίμου του Ομοιογητού, Κεφάλαια Σ΄, Περὶ θεολογίας καὶ τῆς ἐνσάρκου οἰκονομίας τοῦ Υἱοῦ Θεοῦ, Ἐκατοντάς Β΄, α΄, Migne, Jacques Paul (რედ.). Patrologiae cursus completus, series Graeca, ტ. 90, Paris: 1865, 1125A: „Εἷς Θεὸς, ὅτι μία θεότης... ἡ αὐτὴ μονὰς καὶ Τριάς“

ჟამზე უწინარესია და მას წინასაუკუნო მყოფობა აქვს.. (კირილე ალექსანდრიელი, განმარტება 1.1). XI საუკუნისთვის ეფთვიმე მთაწმინდელს თარგმნილი აქვს იოანეს სახარების განმარტება წმ. იოანე ოქროპირის მიერ, საიდანაც ვკითხულობთ - „სიტყუად იგი იყო პირველითგან ღმრთისა თანა“, ესრეთ დაუსაბამო არს ვითარცა მამადვე, რამეთუ არაოდეს ყოფილ არს მამად თჳნიერ სიტყვსა ამის დაუსაბამოდსა, არამედ მარადის ღმერთი ღმრთისა თანა იყო გუამოვნებითა განყოფილითა (ოქროპირი, თავი დ). ძე თვითგუამოვანი, თანაარსი და თანადაუსაბამოა მამასა და სულიწმიდასთან ერთად. აღსანიშნავია, რომ ამ უმთავრეს საღვთო სახელებში თანადაუსაბამოც შედის და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს წმინდა მამათა სწავლებაში, ეს კი მიუთითებს ძე ღმერთის ზედროულაბაზე, ხოლო „ჟამის“ ქრისტესთან მიკუთვნება კი ქრისტიანული თეოლოგიური გადმოსახედით შეუსაბამო იქნება.

როგორც ვხედავთ ქრისტიანი მოღვაწეები ერთხმად აღიარებენ სამი ჰიპოსტასის ერთიანობას, რაც მის მიმართ გამოყენებულ მიმართებებსა და ტერმინებშიც ვლინდება. ასევე ცნობილია, რომ რუსთველი ქრისტიანულ თეოლოგიაში ღრმადაა გათვინცნობიერებული. ის იცნობს ბასილი დიდის შრომებს, არეოპაგეტიკას, რომელიც მის დროს უკვე თარგმნილი და ორთოდოქსულად კომენტირებულია ეფრემ მცირის მიერ, იყენებს მასში მოცემულ კონცეფციებს („ამ საქმესა დაფარულსა ბრძენ დიონოს გააცხადებს“, 1491) და ა.შ. პოეტი ეყრდნობა სწორედ ფსევდო დიონისეს მიერ საბოლოოდ ჩამოყალიბებულ კატაფატიკურ-აპოფატიკურ მეთოდს. *პოემაში ამ მეთოდის გამოყენების მხოლოდ ერთეული შემთხვევები არ დასტურდება, იგი რუსთველის სააზროვნო სტილია* (ე. ხინთიბიძე 2009: 727).

ასევე, როგორც ვხედავთ, წმინდა მამების ინტერესი ყოველთვის იყო საღვთო სახელთა ჰერმინეტიკა, მათი გამიჯვნა და აღრევისგან თავშეკავება. როგორც თავში ვახსენეთ, წმინდა მამათა სწავლების ხაზი და მათ მიერ დოგმატურ საკითხებზე მსჯელობა ერთ განუწყვეტელ მემკვიდრეობას წარმოადგენს, ეს კი გვამღვეს იმის საფუძველს, რომ მყარად დავეყრდნოთ მათ თეოლოგიურ ცოდნას, რადგანაც „თუ უქმნელია არსი, კანონზომიერების წესის თანახმად, უეჭველად უცვლელიცაა“. (დამასკელი, III თავი ).

ამ ყოველივეზე დაკვირვებით, იმ შემთხვევაშიც, თუკი პოემის უზენაესი არსება ქრისტიანული რელიგიის ღმერთია, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ესოდენ განათლებული და ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში გათვინცნობიერებული მწერალი საღვთო სახელში იგულისხმებდა ქრისტეს ან რომელიმე ჰიპოსტასს განცალკევებულად. შესაბამისად, მოსაზრება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ „უჟამო ჟამი“ არის უზენაესი არსების, ღმერთის, კატაფატიკურ-აპოფატიკური სახელი და არა მაინცდამაინც სამების მეორე ჰიპოსტასის - ქრისტეს სახელი, სავსებით მისაღებია.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. გიგინეიშვილი მ., „მზიანი დამე“ ვეფხისტყაოსნისა და ქრისტიანული მსოფლმხედველობის ზოგი საკითხი, კრებ. „შველი ქართული მწერლობის საკითხები“, III. 1968.
2. მეიენდორფი ი., წმინდა გრიგოლ პალამა და მართლმადიდებლური სულიერება, თეიმურაზ ბუაძის თარგმანი, „ქრონიკონი“, 2022
3. მელიქიშვილი ნ., ბასილი კესარიელის, გრიგოლ ნაზიანზელის, გრიგოლ ნოსელისა და იოანე ოქროპირის ჰომილეტიკური თხზულებები ქართულ ენაზე, თბილისი, 2000.
4. რაფავა მ., ვეფხისტყაოსანის ზოგი ადგილის გაგებისათვის, კრებული „შოთა რუსთაველი“ (კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის საიუბილეო კრებული). თბილისი, 1966.
5. წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ედიშერ ჭელიძის რედაქციით. „გრიგოლ ხანძთელის სახელობის ფონდი“. თბილისი, 2012.
6. წმ. იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა, თარგმანი წმ. ექვთიმე მთაწმინდელისა. რედაქტორები: მზექალა შანიძე და ზურაბ სარჯველაძე, 1993.
7. წმ. კირილე ალექსანდრიელი, იოანეს სახარების განმარტება 1-5, ედიშერ ჭელიძის თარგმანი. [http://library.church.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=249](http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=249). საეკლესიო ბიბლიოთეკა. 2010
8. ჭელიძე ე., საღვთისმეტყველო ტერმინთა სამი ჯგუფი, <http://library.church.ge/index.php?option=com-content&view=article&id=597%3A2016-04-15-15-37-14&catid=54%3A2016-03-23-07-24-06&Itemid=73&lang=ka>. საეკლესიო ბიბლიოთეკა. 2016
9. ხინთიბიძე ე., ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო. თბილისი: 2009, „ქართველოლოგი“.
10. St. Gregory Palamas. Dialogue d'un orthodoxe et d'un barlaamite, inédit, Coisl. 100, fol. 55. KAPMIPH IQANNOY, TA DOGMATIKA KAI SYMBOΛIKA MNHMEIA THS OPΘODOEOY KATHOLIKHS EKKΛHΣIAΣ, τ. 1, EN AΘHNAIS 2 1960.
11. Migne, Jacques Paul (რედ.). Patrologiae cursus completus, series Graeca, ტ. 36, 90. Paris: 1858-1865.

GIORGI CHKHAIDZE

### FOR THE INTERPRETATION OF A ONE DIVINE NAME IN “THE KNIGHT IN THE PANTHER’S SKIN”

#### Summary

This academic work examines the theological interpretation of the divine name “Timeless Time” (უქამო ჟამი), found in the 837th verse of Shota Rustaveli’s *The Knight in the Panther’s Skin*. The paper addresses the poem’s syncretic theistic framework, noting its references to the Supreme Being often transcend specific religious confines while drawing heavily on Christian, Judaic, and Islamic theological concepts. The primary objective of this work is to counter the specific

scholarly hypothesis asserting that “Timeless Time” refers exclusively to the name of Jesus Christ, the Second Hypostasis of the Holy Trinity. Utilizing the established doctrines of Triadology and Christology-the core tenets of Christian dogmatics-the text provides a systematic refutation grounded in Patristic writings and conciliar decisions. The central counter-argument relies on the principle of the consubstantiality and indivisible essence of the Holy Trinity. In Orthodox theology, terms referring to God’s essence or nature must be equally applicable to the Father, the Son, and the Holy Spirit, as articulated by St. John Damascene. Assigning an essential divine name, such as “Timeless Time,” solely to the Son would violate the dogmatic unity of the Trinity, as any attribute of the shared divine essence pertains to all three Hypostases equally. Only hypostatic terms, like “Fatherhood” or “Sonship,” are distinct to individual Persons. Furthermore, the paper underscores that associating the term “Time” with the Son in isolation contradicts the established Christological dogma of the Son’s supra-temporality and co- eternity with the Father. The First Ecumenical Council of Nicaea (325 AD) explicitly anathematized the Arian tenet, “There was a time when he was not” (,τὸς δὲ λέγοντας «ἦν ποτε ὅτε οὐκ ἦν» καὶ «πρὶν γεννηθῆναι οὐκ ἦν» καὶ ὅτι ἐξ οὐκ ὄντων ἐγένετο, ἢ ἐξ ἑτέρας ὑποστάσεως ἢ οὐσίας φάσκοντας εἶναι, ἢ τρεπτὸν ἢ ἀλλοιωτὸν τὸν υἱὸν τοῦ θεοῦ, τούτους ἀναθεματίζει ἡ καθολικὴ καὶ ἀποστολικὴ ἐκκλησία) thereby confirming the Son’s pre-eternal existence outside the boundaries of created time. Patristic authorities, including St. Cyril of Alexandria and St. John Chrysostom (whose works were translated into Georgian by the 11th century), consistently affirm the Lord’s existence prior to and beyond all temporal dimensions. Thus, applying a concept derived from temporality to Christ alone is theologically inconsistent with the Orthodox understanding of His divine nature. The author argues that Rustaveli, demonstrably proficient in Christian theology and familiar with works such as the Areopagitica (Pseudo-Dionysius), employs the phrase “Timeless Time” as a classic instance of the Apophatic-Cataphatic method. By conjoining the positive term “Time” with the negative qualifier “Timeless”, Rustaveli creates a descriptor for the ineffable, divine essence that affirms God’s simultaneous relation to and transcendence of temporality. In conclusion, given Rustaveli’s sophisticated understanding of Christian theological tenets- where the hermeneutics of divine names carefully distinguish between hypostatic and essential attributes-it is highly improbable that an educated writer would employ such a term to designate the Second Hypostasis in isolation. The work asserts that “Timeless Time” is most credibly interpreted as a complex, theologically sound Apophatic-Cataphatic descriptor for the unified essence of the Supreme Being.

## ავთანდილ ნიკოლეიშვილი

### ალექსანდრე ჭეიშვილის შემოქმედებითი გზა

საქართველოში მოღვაწეობის დროს ალექსანდრე ჭეიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის ყველაზე მნიშვნელოვან ნიმუშად რომანი «ლელი» (1938 წ.) იქცა, ე. წ. სოციალისტური რეალიზმის იდეოლოგიურ პრინციპებზე დაყრდნობით დაწერილი ის ნაწარმოები, რომელშიც მძლავრად გამოხატული იდეოლოგიური ტენდენციურობით იყო წარმოსახული სოფლად კოლექტიური მეურნეობის დამკვიდრების პროცესი. ხსენებულმა რომანმა მის ავტორს არა მარტო საქართველოში მოუტანა დიდი შემოქმედებითი წარმატება, არამედ მთელ საბჭოთა კავშირშიც. კერძოდ, გარდა იმისა, რომ „ლელი“ რამდენჯერმე გამოიცა საქართველოში, იგი დაიბეჭდა რუსულ ენაზეც, 1950 წელს კი ხსენებული რომანის დაწერისათვის მწერალს სტალინური პრემია მიენიჭა. იმდროინდელ კრიტიკოს-შემფასებელთა აზრით, ალ. ჭეიშვილის «ლელი» მხოლოდ «ქართული პროზის თვალსაჩინო გამარჯვებას» (ს. ჭილაია) კი არ წარმოადგენდა, არამედ მთელი საბჭოთა მწერლობის მნიშვნელოვანი შენამენიც იყო.

ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ ალ. ჭეიშვილის რომანის ამგვარი შეფასება დღესდღეობით არა მარტო მასში აღწერილ მოვლენათა ყავლგასულობისა და სიყალბის გამოა მიუღებელი, არამედ მხატვრული ოსტატობის მხრივაც. კერძოდ, თავისი ლიტერატურული ღირსებებითა და სიტყვიერი ხელოვნებით «ლელი» აშკარად ჩამოუვარდება იმავე თემაზე დაწერილ ისეთ ნაწარმოებებს, როგორებიცაა: კ. გამსახურდიას «მთვარის მოტაცება», ლ. ქიაჩელის «გვადი ბიგვა» და კ. ლორთქიფანიძის «კოლხეთის ცისკარი.»

ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ალ. ჭეიშვილის რომანში შენიღბული ფორმითაც კი არ ვლინდება ეპოქალური სინამდვილის კრიტიკულ-ოპოზიციური წარმოსახვის ის ტენდენცია, რითაც ხსენებული რომანები (განსაკუთრებით - «მთვარის მოტაცება») ხასიათდება მეტნაკლები დოზით. მიუხედავად იმისა, რომ «გვადი ბიგვასა» და «კოლხეთის ცისკრის» დაწერის უმთავრეს მიზანს საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული სოციალური პოლიტიკის აქტიური მხარდაჭერა წარმოადგენდა, ხსენებულ ნაწარმოებებში შიგადაშიგ ისეთი ეპიზოდებიც გვხვდება, რომლებშიც ამ პოლიტიკის ნეგატიური მხარეებიცაა ქცეული მეტნაკლებად კრიტიკული განსჯის საგნად.

სამწუხაროდ, ალ. ჭეიშვილის რომანში მსგავსი ეპიზოდები საერთოდ არ გვხვდება და მწერლის მთელი ძალა და ენერჯია მხოლოდ იმ სოციალური პოლიტიკის განდიდებისკენაა მიმართული, რომელსაც 1930-იან წლებში ატარებდა ხელისუფლება კოლექტიური მეურნეობის შესაქმნელად და გასამლიერებლად.

ალ. ჭეიშვილის შემოქმედებაში «ლელი» ზემოთქმული თვალსაზრისით გამონაკლის ნაწარმოებს არ წარმოადგენს და მისი მხატვრული და პუბლიცისტური ტექსტების დიდი ნაწილის დაწერის უმთავრეს მიზანს უპირველეს ყოვლისა სწორედ ეპოქალური სინამდვილის იდეოლოგიური ტენდენციურობით განდიდება წარმოადგენდა.

იმდროინდელი ხელისუფლება მისადმი ამგვარ მსახურებას ალ. ჭეიშვილს სათანადოდ რომ უფასებდა, იმითაც დასტურდება, რომ მას არა მარტო საბჭოთა კავშირში წასასვლელად ჰქონდა ყველგან გზა ხსნილი, არამედ უცხოეთში სამოგზაუროდაც. კერძოდ, ემიგრაციაში წასვლამდე (1958 წ.) იგი რამდენჯერმე იმყოფებოდა გერმანიაში. აი, რას წერდა მწერლის მოღვაწეობის ამ მხარესთან დაკავშირებით გიორგი ნატროშვილი: «ის მუდამ მოგზაურობს ქალაქიდან ქალაქში, ქვეყნიდან ქვეყანაში... მეტად ვრცელია მისი გამუდმებული მოგზაურობის მარშრუტები: სად არ შეხვდებით მას, სად არ წააწყდებით: ბერლინში რომ იმყოფებოდეთ, უცებ უნტერდენლინდენის მხრიდან, ცაცხვების ჩრდილში ალექსანდრე ჭეიშვილი გამოჩნდება, გაიღიმებს თავისი ჩუმი ღიმილით და სიტყვას ჩამოგიგდებს იმაზე, თუ რაოდენ შეცვლილა ეს ქალაქი მას შემდეგ, რაც მას იგი აღარ უნახავს... ასევე მოულოდნელად შეხვდებით მას მოსკოვშიც და ლენინგრადშიც, კიევშიც და სტალინგრადშიც, სალსკის მინდვრებშიც და პოლესიეს ტყეებშიც. მას მოვლილი აქვს მთელი კრასნოდარის მხარე, უკრაინა, ვოლგა-დონი და ურალი. ასეული კილომეტრები გადაუსერავს ხან თვითმფრინავით, ხან მატარებლით, ხანაც საბარგო მანქანის ძარაში მდგომარეს პოლტავშიც, ზაპოროჟიეში, ხერსონის ოლქში, ლაიპციგის საშემოდგომო ბაზრობაზე...“

თავად მწერალი კი მოგზაურობით მის ამგვარ გატაცებას შემდეგნაირად განმარტავდა: „მუდამ სალაშქროდ და სამგზავროდ ვიყავი ატეხილი, მუდამ ახლის ნახვა, ცხოვრების ახლებურად განცდა მეწადა... ეს ჩემი მოუსვენარი, მომთაბარული სული, ცხოვრების ნაირფერობის შეცნობის დაუცხრომელი წყურვილი ყველაზე კარგად გიორგი ნატროშვილმა გაიგო და გამოხატა თავის წერილში, ჩემ «რჩეულ ნაწერებს» რომ წარუმძღვარა (იგულისხმება გ. ნატროშვილის ზემოთ დამოწმებული წერილი – ა. ნ.). ამ დაუცხრომელმა წყურვილმა მომიყვანა აქ, ამჯერათ ერთის შეხედვით უცნაური და გაუგებარი გზით (იგულისხმება მწერლის ემიგრანტად გადასვლა დასავლეთ გერმანიაში – ა. ნ.). მაგრამ მჯერა, რომ ყველა, ვინც მე კარგად მიცნობს, ნათესავები, მოკეთეები და ამხანაგები, გამიგებენ, არასოდეს იფიქრებენ, რომ მე

სხვა რამ მამოძრავებდა, გარდა კარგისა და სიკეთისა“ (ეს და ნაშრომში დამოწმებული ალ. ჭეიშვილის სხვა წერილები იხ: გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი (შემდგომში ქლმ), ალ. ჭეიშვილის პირადი ფონდი, საქმე №27102).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვნად იმის თქმა, რამ აიძულა მწერალი, ოჯახი რომ დაეტოვებინა და ემიგრანტი გამხდარიყო, საკმაოდ რთულია. ამ გადაწყვეტილების მიღებით იგი ხომ არა მარტო სამშობლოსა და მის უახლოეს ადამიანებთან წყვეტდა კავშირს, არამედ ფაქტობრივად მანამდელ პერიოდში შექმნილ თავის შემოქმედებასაც ემიჯნებოდა იმის გამო, რომ მისი იმდროინდელი მხატვრული და პუბლიცისტური ტექსტების დაწერის უმთავრეს მიზანს სოციალისტური სინამდვილის განდიდება განდიდება წარმოადგენდა.

თავად მწერლის ხაზგასმით, მის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი არამც და არამც არ უნდა შეფასებულიყო სამშობლოს ღალატად. ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ ფრაგმენტს ცოლ-შვილისადმი გერმანიიდან გამოგზავნილი მისი ერთ-ერთი წერილიდან: «ყველაზე მეტად ამ პირველი კითხვის დასმა მიმიძიმს: «როგორ ხართ?» მეფიქრება, რომ თქვენც და ჩვენებიც მაქედან მომდურავად შემომხედავთ და საყვედურით მომიგებთ, აბა, როგორ უნდა ვიყოთ, შენ თვითონ რას ფიქრობო. მართლაც ძნელი გამოცდის წინაშე დაგაყენეთ. მაგრამ ღმერთმა იცის, ცუდის გულით და ცუდის ზრახვებით არაფერი გამიკეთებია. ყველაფერი ეს იმის გაგრძელებაა, რასაც მე მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე თავსა და ხშირად თქვენს ინტერესებსაც ვწირავდი.»

ალ. ჭეიშვილისავე თქმით, ქვეყნიდან ქვეყანასა და სოფელ-ქალაქებში მისი დაუსრულებელი ხეტიალისა და დაუსაბამო მოგზაურობების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად უპირველეს ყოვლისა მწერალური მისწრაფებები იყო ქცეული. მისი განმარტებით, ვინაიდან მწერალი უწინარესად «ცხოვრების მრკვეველია,» იგი მთელი თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის განმავლობაში, – სამშობლოში ცხოვრების პერიოდშიცა და ემიგრანტობის დროსაც, – პირველ რიგში სწორედ «ამ ცხოვრების რკვევითა და სინჯვით» იყო დაინტერესებული.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, «ლელოში» იდეოლოგიური ტენდენციურობითაა ასახული სოფლად კოლექტიური მეურნეობის დამკვიდრებისა და განმტკიცების პროცესი. იმ დროს, როცა ალ. ჭეიშვილის რომანი იწერებოდა, უკვე გამოქვეყნებული იყო ამავე თემაზე დაწერილი ლ. ქიაჩელისა და კ. ლორთქიფანიძის ნაწარმოებები. ამ ფაქტმა, ეტყობა, აშკარად მოახდინა თავისებური ზეგავლენა «ლელოს» ავტორის ლიტერატურულ წარმოსახვაზე. ეს რომ მართლაც ასეა, ამას იმ პიროვნულ-სახასიათო თვისებათა მსგავსებანიც ადასტურებს, რითაც ალ. ჭეიშვილის რომანის პერსონაჟთა ერთი ნაწილი შეიძლება დავუკავშიროთ ზემოთ მოხსენიებულ ნაწარმოებთა მოქმედ პირებს.

მაგალითად, «ლელოს» ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ბონდო, რომელსაც ავტორი მეტსახელად «მანსიან ბიჭს» უწოდებს, თავისი ცხოვრების წესითაც და პიროვნული ბუნებითაც ძალზე ჩამოგავს კ. ლორთქიფანიძის «კოლხეთის ცისკრის» «ყოჩაღ ბიჭს» – ხაჟომიას.

«ლელოსთვის» შემოქმედებითი იმპულსის მიმცემ წყაროდ ლ. ქიაჩელია და კ. ლორთქიფანიძის რომანების მიჩნევასთან დაკავშირებით ზემოთ გამოთქმული მოსაზრება საფუძველს მოკლებულ თვალსაზრისს რომ არ წარმოადგენს, ამას ხსენებული ნაწარმოებების ალ. ჭიჭიშვილისეული შეფასებებიც ადასტურებს. კერძოდ, «გვადი ბიგვასა» და «კოლხეთის ცისკრის» გასაანალიზებლად დაწერილ წერილებში მან ტექსტუალური მასალის უხვად მოშველიების საფუძველზე ცადა წარმოეჩინა ხსენებულ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული სამყარო და დიდმნიშვნელოვანი ადგილი საბჭოთა პერიოდის ქართულ ლიტერატურაში (დასახელებული წერილები იხ. წიგნში: ჭიჭიშვილი, 1948 წ.).

ალ. ჭიჭიშვილის რომანის სიუჟეტური ქარგა იმ დაპირისპირების საფუძველზეა გაშლილი, საკოლმეურნეო ცხოვრების აქტიურად მშენებელ ადამიანებსა და ამ ცხოვრების ხორცმეტებად სახელდებულ მათ კლასობრივ მოწინააღმდეგეებს შორის რომ არსებობს. იდეოლოგიური სწორხაზოვნებით წარმოსახული ამ დაპირისპირებით მწერალმა ცადა მთელი სიმწვავით ეჩვენებინა ის უკომპრომისო ბრძოლა, რომელსაც ახალი ცხოვრების სამსახურში ფანატიკური ერთგულებით ჩამდგარი ადამიანები აწარმოებდნენ მათ კლასობრივ მტრებად მიჩნეულ პიროვნებებთან. ამ დაპირისპირებას ავტორი მეტ სიმწვავეს იმითაც სძენს, რომ მათ შორის არსებულ კონფლიქტს კლასობრივ და სოციალურ პრობლემებთან ერთად, სიყვარულის საფუძველზე წარმოქმნილი დაპირისპირებაც განსაზღვრავს მნიშვნელოვანწილად (მხედველობაში მაქვს ციცინოს, ქიშვარდისა და ბონდოს ურთიერთობა ერთმანეთთან).

ზემოთ აღნიშნული კონფლიქტების არსსა და ახალი ცხოვრების მშენებელთა იდეოლოგიურ თვალთახედვაზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმებ ფრაგმენტებს რომანიდან.

კოლექტიური მეურნეობის ასაყვავებლად სოფელ სამღვთოს მკვიდრთა ზღვარდაუდებელი ენთუზიაზმით სავსე შრომით საქმიანობას აქტიურად ეწინააღმდეგებიან კერძო მესაკუთრული გრძნობებით შეპყრობილი სიპიტო და მისი შვილი ბონდო. განსხვავებით მამისაგან, რომელსაც მთელი ცხოვრება შრომასა და სიმდიდრის გროვებაში გაუტარებია, ბონდო ფუქსავატი და დროსტარებას გადაყოლილი უსაქმურია.

მიუხედავად იმისა, რომ სიპიტო დროის მოთხოვნას დამორჩილებია და ფორმალურად კოლექტივის წევრიც გამხდარა, იგი თანასოფელთა შრომით საქმიანობაში თითქმის არანაირ მონაწილეობას არ ღებულობს, რის გამოც მასა და კოლექტივის აქტივისტებს შორის თანდათან იძაბება ურთიერთობა. ვითარების გამწვავებას არსებითად შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ სოფლის მესვეურებმა სიპიტოს კუთვნილ საკარმიდამო

მიწას საუკეთესო ნაწილები ჩამოაჭრეს და კოლმეურნეობას გადასცეს საერთო სარგებლობისათვის. საკარმიდამო ფართობის სრულად შესანარჩუნებლად სიპიტომ შვილთან ფორმალურად გაყრა და ამ გზით კოლექტივის მიერ მისასაკუთრებელი მიწის უკან დაბრუნება ცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ამ ამბით კიდევ უფრო მეტად გაბოროტებულმა სიპიტომ დახმარების თხოვნით თბილისსაც მიმართა, მაგრამ მის თხოვნას მხარი არავინ დაუჭირა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, მკითხველს სავსებით ბუნებრივად გაუჩნდება კითხვა იმასთან დაკავშირებით, ბოლოს და ბოლოს, რა ისეთი მიუტევებელი დანაშაული ჩაიდინა ამ კაცმა, ასეთი უმკაცრესი განაჩენი რომ გამოუტანეს? მხოლოდ და მხოლოდ ის, სხვებზე უფრო შეძლებულად რომ ცხოვრობს, საკოლმეურნეო შრომაში ნაკლებად რომ მონაწილეობს და საკარმიდამო მიწის ნაკვეთი მეზობლებზე კარგად რომ აქვს მოვლილი.

როგორც ითქვა, სიპიტოსა და მისი შვილის კლასობრივ მოწინააღმდეგეებად მწერალს საკოლმეურნეო ცხოვრების აქტივისტები ჰყავს გამოყვანილი. ალ. ჭეიშვილი საბჭოთა პერიოდის ჩვენი მწერლობისათვის ფართოდ დამახასიათებელი იდეოლოგიზებული ფორმით გვიამბობს ჰეროიზებულ ეპიზოდებს კოლმეურნეთა შრომითი საქმიანობიდან. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღების საგნად პირველ ყოვლისა საბჭოთა ეპოქის მესვეურთა მიერ საყოველთაოდ განდიდებული სოციალისტური შეჯიბრებაა ქცეული.

რომანის მიხედვით, სოციალისტურ შრომით საქმიანობაში გასამარჯვებლად ერთმანეთს ეჯიბრებიან როგორც თანასოფლელები, ისე მეზობელი სოფლისა და შორეული ჩუვამეთის ავტონომიური რესპუბლიკის ერთ-ერთი კოლმეურნეობის მშრომელები. მწერლის წარმოსახვით, ამგვარ შეჯიბრებას იმდენად დიდი მასშტაბები ჰქონდა შემენილი, რომ შრომით საქმიანობაში წარმატებათა მოსაპოვებლად თავდადებული ბრძოლა ფაქტობრივად მთლიანად ჩრდილავდა რომანის პერსონაჟთა პიროვნულ გრძნობებსა და მისწრაფებებს.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ყურადღებას აქვე იმასაც მივაპყრობ, მწერალს ეს ყველაფერი 1930-1950-იანი წლების ჩვენი ეპოქალური სინამდვილისათვის ნიშანდობლივად დამახასიათებელი სააგიტაციო-პროპაგანდისტული ფორმით რომ აქვს მოთხრობილი. მაგალითად, სამღვთოში ახალი ხიდის გახსნასთან დაკავშირებით გამართულ შეკრებაზე სოფელში სტუმრად მყოფ ჩუვამელ კოლმეურნეებს ერთ-ერთი სამღვთოელი ამ სიტყვებით მიმართავს: «ნადინების ხიდი ერთი აგურია კომუნისიმის იმ გრანდიოზული შენობისა, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მშრომელები აგებენ. ჩვენ სოციალისტური შეჯიბრება გვაქვს ჩვენს ძვირფას სტუმრებთან საგზაო მშენებლობაში და ეს ხიდი შეაერთებს არა მარტო ჩვენი დაუდევარი ნადინების ორ ნაპირს, არამედ დაგვაკავშირებს ჩვენ რუსეთის დიდი მდინარის – ვოლგის ნაპირებთან.»

რომანის პერსონაჟები სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებას იმდენად დიდ მნიშვნელობასაც კი ანიჭებენ, რომ წარმატების მისაღწევად ზოგჯერ არასაკადრისი საქციელისგანაც არ იკავებენ თავს. მაგალითად, მეზობელი სოფლის – მელიქაურის თავმჯდომარემ მელიქაურელებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული სამღვთოელების შრომითი მიღწევების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად უკადრებელი იკადრა და ქურდულად შეიპარა მათ ბანაკში.

სოციალისტურ შეჯიბრებასთან ერთად, ალ. ჭეიშვილის რომანში პროპაგანდისტული განდიდების საგნად ე. წ. სტახანოვური მოძრაობაცაა ქცეული. ნაწარმოების პერსონაჟთათვის ეს მოძრაობა არა მარტო შრომით წარმატებათა მოპოვების საიმედო გზა იყო, არამედ ადამიანების ერთმანეთთან დაკავშირებისა და დაახლოების საშუალებაც. სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის მონაწილენი თავიანთი ამგვარი შრომითი ენთუზიაზმით აქტიურად უპირისპირდებოდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც საკოლმეურნეო შრომას თავს არიდებდნენ და ზარმაცობდნენ.

სტახანოვური მოძრაობის მოწინავეებს საკოლმეურნეო შრომაში მონაწილეობა იმდენად დიდ ბედნიერებად მიაჩნდათ, რომ ხშირად საკუთარი ინიციატივით მიდიოდნენ ხოლმე ყველაზე ძნელი სამუშაოების შესასრულებლად. მაგალითად, დილაზნელზე ჩაის პლანტაციაში გასული ქიშვარდი ბრიგადირის მისვლას არ დაელოდა და «გააფთრებული დაემგერა ყველაზე ძნელ სამუშაოს.»

ქიშვარდისა და საკოლმეურნეო ცხოვრების შრომით ფერხულში მისებრი უსაზღვრო ენთუზიაზმით ჩაბმული ადამიანების მხატვრულ სახეთა შექმნით ალ. ჭეიშვილის რომანში პროპაგანდისტული ფორმით ვლინდება ის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა, რომელსაც საბჭოთა დიქტატურის პერიოდში ატარებდა იმდროინდელი ხელისუფლება. იმის გამო, რომ ამ პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელების საქმეში ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენ ძალას კომკავშირული ორგანიზაცია წარმოადგენდა, მწერალს არც ეს მხარე დაუტოვებია უყურადღებოდ.

ალ. ჭეიშვილის რომანში საბჭოთა პერიოდის ჩვენი ყოფისათვის დამახასიათებელმა ანტირელიგიურმა პოლიტიკამაც ჰპოვა ასახვა. კერძოდ, თანასოფლელთა კრებაზე სიტყვით გამოსვლისას ერთ-ერთმა სამღვთოელმა მათი სოფლისთვის «ხუცების მიერ შერქმეული» რელიგიური სახელის გადარქმევა მოითხოვა, რაც შემდეგნაირად დაასაბუთა: «ჩვენ სოფელს ხუცებმა დაარქვეს ეს სახელი... მე ასე ვიტყვოდი, ამფერ კარგ შემთხვევაზე, დღეს რომ გვაქვს, ჩვენი სოფელი გადავნათლოთ. ახლა აგი სიღარიბის და ყრუობის სახელი უნდა გადავაგდოთ. ისეთი სახელი დავირქვათ, ამ ახალ დროს რომ შეეფერება. ახლა შრომას მოწონება რომ აქვს, მე ასე ვიტყვოდი, დავარქვათ შრომა!» მწერლის ხაზგასმით, თანასოფლელის მიერ სპონტანურად დასმულ ამ წინადადებას ხალხმა

ერთსულოვნად დაუჭირა მხარი და შინიდან «დილით სამღვთოელებად წამოსულნი ახლა უკან უკვე შრომელებად ბრუნდებოდნენ მხიარული ჟრიამულით.»

როგორც უკვე ითქვა, დამოწმებულ მაგალითებსა და მათ მსგავს ეპიზოდებს, რომლებიც საკმაოდ ბევრია რომანში, დღეს უკვე მხოლოდ ერთადერთი მიზნით თუ წაიკითხავს მკითხველი – საბჭოთა ეპოქაში ფართოდ დამკვიდრებული ცხოვრებისეული რეალობის შესაცნობად.

აღ. ჭეიშვილის გერმანელი მეგობრის – ევგენია ციტერმანის ინფორმაციით, ემიგრაციაში მყოფი მწერალი აქტიურად შედგომია საბჭოთა კავშირში ცხოვრების დროს დაწერილი მისი ნაწარმოებების, პირველ ყოვლისა კი «ლელოს» საფუძვლიან გადამუშავებას. ციტერმანის თქმით, რომანის განახლებული და არსებითად შეცვლილი ამ ვარიანტით აღ. ჭეიშვილს უნდოდა ეს ნაწარმოები, რომლის საბჭოურ ვარიანტშიც მან «მხოლოდ სინამდვილის ერთ, ხილულ მხარეს მოჰვინა ნათელი, მეორე მხარე კი სიბნელეში დარჩა და დღის სინათლეზე არ გამოსულა,» «ისეთი სახით მიეტანა მკითხველამდე, როგორადაც ის თავდაპირველად ჰქონდა ჩაფიქრებული. ეს იყო კამათი ბოლშევიკური სოფლის მგეგმავებთან, რომელთაც სურდათ საქართველოს ხილის ბაღები ჩაის პლანტაციებად ექციათ და აქედან გამომდინარე, საქართველოს ლამაზი ქალები ჩაის ბუჩქებზე ბორკილებით მიბმული მკრეფავები გაეხადათ, რასაც შედეგად მათი უნაყოფობა მოჰყვებოდა.»

სამწუხაროდ, რომანის განახლებული ვარიანტის ხელმიუწვდომლობის გამო ახლა იმაზე საუბარი, მწერლის ამ ჩანაფიქრმა ნაწარმოების გადამუშავებულ ხელნაწერში რამდენად შეისხა ხორცი, შეუძლებელია. «ლელოსა» და აღ. ჭეიშვილის შემოქმედების სხვა საბჭოური ნიმუშების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ე. ციტერმანის მიერ ზემოთ ხაზგასმული კრიტიკული პოზიცია მწერალს ემიგრაციაში წასვლამდე არა თუ ასე პირდაპირ და სწორხაზობრივად არასოდეს გამოუხატავს, არამედ შენიღბული ფორმითაც კი.

ასე რომ, აღ. ჭეიშვილის «ლელო» იმდროინდელი ხელისუფლების მიერ საბჭოთა მწერლობის ერთადერთ სახელმძღვანელო მხატვრულ-შემოქმედებით მეთოდად აღიარებული სოციალისტური რეალიზმის იდეოლოგიური პრინციპებისადმი უღალატოდ ერთგული მწერლის ნაკალმევია და მასში მიზანმიმართულად კრიტიკულ-ოპოზიციური ფაქტობრივად არაფერია.

იმის გამო, რომ საქართველოში ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში აღ. ჭეიშვილის მიერ დაწერილი თითქმის ყველა ნაწარმოები ზემოთ ხაზგასმული იდეოლოგიური პრინციპებითაა შებოჭილი და მწერლური ოსტატობის თვალსაზრისით ნაკლებად ფასეულ ქმნილებებს წარმოადგენს, მათზე ყურადღებას მეტად აღარ შევამჩნევ.

\* \* \*

როგორც უკვე ითქვა, ალ. ჭეიშვილის შემოქმედების უმთავრესი თემა იმ სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის პროპაგანდისტული ფორმით განდიდება იყო, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ატარებდა 1920-1950-იან წლებში. მისი შემოქმედება ამ თვალსაზრისით ხაზგასმულად პოლიტიზებულია და სწორხაზობრივად დაქვემდებარებული ე. წ. სოციალისტური რეალიზმის იდეოლოგიურ პრინციპებს.

განსხვავებით მაშინდელი ჩვენი მწერლობის არაერთი წარმომადგენლისაგან, რომლებიც სიმბოლურ-ალეგორიული ქვეტექსტებითა და მინიშნებებით მაინც ახერხებდნენ არსებული ცხოვრებისეული რეალობისადმი თავიანთი კრიტიკული დამოკიდებულების გამოხატვას, ალ. ჭეიშვილი ემიგრაციაში წასვლამდე ბოლომდე დარჩა ე. წ. სოციალისტური რეალიზმის პრინციპებისადმი ერთგულ შემოქმედად. სწორედ ამის ნათელ დადასტურებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ მის იმდროინდელ შემოქმედებაში ისეთ ეპიზოდებს, რომლებიც არსებული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი რეჟიმისადმი ავტორის ოპოზიციური დამოკიდებულება თუნდაც შენიღბული ფორმით იქნებოდა გამოვლენილი, ძალზე იშვიათად იპოვიით.

ზემოთქმული თვალსაზრისით ერთგვარ გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს 1929 წელს ჟურნალ «მნათობის» XI-XII ნომერში გამოქვეყნებული მხტვრული ნარკვევი «სვანეთი ცხენის უზანგიდან.» სიტყვა მხატვრულისათვის აქ შემთხვევით არ გამისვამს ხაზი, რადგანაც ხსენებული ნარკვევი მხატვრული ოსტატობის თალსაზრისით გამორჩეულად საყურადღებო ნაწარმოებია ალ. ჭეიშვილის შემოქმედებაში.

ამგვარი შეფასება გადაჭარბებული შექების შედეგს რომ არ წარმოადგენს, ამის დასტურად კონკრეტულადაც დავიმოწმებ რამდენიმე ფრაგმენტს დასახელებული ნარკვევიდან, სადაც სვანეთში მწერლის მოგზაურობის ამბავი და იქაური ბუნების კოლორიტული სილამაზეა წარმოსახული: «გზა აღმართს მისდევს ნახტომებით. ცხენი ჯერ წინა ფეხებით მოსინჯავს ნიადაგს, დალილ კუნთებს მოსწურავს და ნახტომს აკეთებს, მგზავს ერბოს სადღვებ გუდასავით შეანჯღრევს და შემდეგ მიდის ჩაქჩაქით დავაკებაზე.» «აქ ნამდვილ მთის ტყვეთ გრძნობს კაცი თავს. ამდენი მწვერვალი, ამდენი მთა, კაცს სული შეეხუთება. ეს პატარა ბილიკი, მთის ზურგს რომ მისდევს, მოგონილი რაღაც გგონია, თითქოს აქედან არ ჩანს ხსნა და გამოსავალი. ერთმანეთზე მიდგმული მწვანე მთაგრეხილები ჩრდილოში წამოწოლილი ფანტასტიური ჯოგის ზურგებსა ჰგავს. თოვლით და ყინულით დაზვიინული კავკასიონის მთავარი ქედი თითქოს თოკზეა აცმული და ჰაერში გამოკიდებული გასაშრობად. რომ აღმართის სიმძაფრე შეანელოს, გზა დაუბოლავებული გველივით იკლავნება.» «სოფელი დრო-გასულ რაინდივით შავი-ქვის აბჯარ-მუზარადში ჩამჯდარა.»

ვფიქრობ, მხატვრული წარმოსახვის ხატოვანებით აღბეჭდილი ეს და მსგავსი ეპიზოდები აშკარად მეტყველებს იმაზე, მათი ავტორის სახით იმდროინდელ ჩვენს მწერლობას უდავოდ ნიჭიერი წარმომადგენელი რომ ემატებოდა. ამგვარი შეფასების საფუძველს ისიც იძლეოდა, რომ ხსენებული ნარკვევის ავტორი შეულამაზებლად წარმოსახავდა იმ მძიმე ცხოვრებისეულ რეალობას, რომელიც 1920-იანი წლების სვანეთში იყო დამკვიდრებული. იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნეს საბჭოთა ხელისუფლების მესვეურთა მიერ გატარებული პოლიტიკისადმი მწერლის კრიტიკული დამოკიდებულების მასშტაბებზე, დავიმოწმებ ფრაგმენტებს ხსენებული ნარკვევიდან.

«ერთ ეზოში შევუხვით წყლის დასალევად. ჩამონგრეულ კომპოზე მიდგმულ ფარდულში სანიავებელი მანქანა სდგას, კალოზე კი პურს ნიჩბით ანიავებენ. ოჯახის უფროსი კომკავშირის მდივანი აღმოჩნდა. მანქანა კოლექტიურად შეუძენიათ სოფლელებს, ეხლა სახელური მოსტეხია და უქმადა სდგას. სვანეთის სოფელში ერთ ხელოსანს ვერ ნახავ.

ესერთადერთი მანქანა ამთელს სოფელში და ისიც უმოქმედოთ სდგას. სხვა არაფერი გაკეთებულა სოფლის მეურნეობის გარდაქმნისათვის... თემში 2 ოთხწლედია და 4 წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა. ჩოლურში სამკითხველოც არის, მაგრამ გამოწერილი ჟურნალ-გაზეთები ანიკარგება, ან ორი კვირის დაგვიანებით მოდის. ფოსტა საერთოდ მთელს სვანეთში კუს ნაბიჯით დადის.... ჩოლურელებისთვის რადიოაპარატი უჩუქებიათ ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციის კარგად ჩატარებისთვის. მაგრამ აპარატს რაღაც ნაწილები აკლია. საამისო ფოლიც შეუგროვებიათ შაბათობაზე, თბილისში გადაუგზავნიათ, მაგრამ ამაოდ ელოდებიან რადიოს ამუშავებას აგერ ერთი წელიწადია.»

აღნიშნული თვალსაზრისით ხსენებული სოფელი გამონაკლისი არ ყოფილა და მსგავსი ვითარება იმხანად მთელ სვანეთში არსებულა. მაგალითად, იფარის თემში საერთოდ არ ყოფილა სამკითხველო, გაზეთები კი ორი კვირის დაგვიანებით მიდიოდა. «ასეთ პირობებში დიდი საშუალება იყო რადიო, მაგრამ რადიო ცენტრი ამ საქმეს სათანადო ყურადღებას ვერ აქცევდა. აქ თითქმის ყოველ თემში იდგა იდგა რადიო-აპარატი, რომელიც ტექნიკოსის უქონლობის გამო ტყვილა ჟანგდებოდა. ასეთივე მდგომარეობა იყო ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებშიც.»

ლაშხეთის სამკითხველოში კი, სადაც იმავდროულად დაზღვევის კანტორაც ყოფილა მოთავსებული, მწერალს არც სკამი დახვედრია და არც მაგიდა. კიდევ უფრო უნუგემო მდგომარეობა არსებულა უშგულში, სადაც «არც კოოპერატივი იყო, არც საექიმო პუნქტი, არც აგროპუნქტი.» მწერლის ინფორმაციით, სამაზრო ცენტრს «ერთობ მოწყვეტილ და უყურადღებოდ მიტოვებულ» ამ სოფელში მდებარე ერთადერთ ოთხწლიან სკოლაში მხოლოდ ერთი მასწავლებელი მუშაობდა.

იფარის თემში კი სკოლების რიცხვი, მართალია, საკმაო იყო, მაგრამ «მუშაობა მათში სათანადოდ ვერ იყო დაყენებული. სამოსწავლო

წლის მიწურულს მთელს სკოლაში ერთი ან ორი მოწაფე რჩებოდა და მასწავლებელს მთელი დელეგაციის გაგზავნა უხდებოდა ამ ორი მოწაფისათვის, რომ რევიზიის დროს სკოლაში გამოცხადებულიყვნენ.»

ალ. ჭეიშვილის ხაზგასმით, ხსენებული სოფლები ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით გამონაკლისი არ ყოფილა და მსგავს მდგომარეობაში მთელი სვანეთი იყო მოქცეული. მაგალითად: «სწავლა მთელს ზემო სვანეთში ერთობ სეზონურ ხასიათს ატარებს. სამოსწავლო წლის დასაწყისში თითო ჯგუფში 25-30 მოწაფეა, გაზაფხულზე კი, როცა სეზონური სამუშაოები იწყება, მასწავლებელს შაქრით უხდება მოწაფეების მიზიდვა სკოლაში.»

სვანეთში არსებულ ასეთ უმძიმეს მდგომარეობას ალ. ჭეიშვილი პირველ ყოვლისა ხელისუფლების არაგონივრული საქმიანობისა და არაკვალიფიციური მმართველობითი პოლიტიკის შედეგად მიიჩნევდა. მაგალითად: «თემსაბჭო სუსტად მუშაობს. აღმასკომის თავმჯდომარე, ახალგაზრდა, მოუმზადებელი და გამოუცდელი კომკავშირელი, ვერ სარგებლობს სათანადო ავტორიტეტით... კომკავშირის სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელობა აქ სუსტია. მაზრიდან ორჯერაც არ ამოვა კომკავშირის ინსტრუქტორი. პოლიტსკოლა უჯრედთან არ მუშაობს. სამკითხველო აქ არ არის, რომ თვით-განვითარების გზით მაინც შეეძლოს სწავლას მოწყურებულ ახალგაზრდას თავისი ცოდნის ოდნავ მაინც გაფართოვება.»

სამწუხაროდ, ცხოვრებისეული სინამდვილის ამგვარი თვალთახედვით წარმოსახვის ტენდენცია ალ. ჭეიშვილის შემოქმედებაში ხსენებული ნარკვევით შემოიფარგლა და მის შემდგომდროინდელ ნაწარმოებებში ეს ტენდენცია არა თუ აღარ გაგრძელებულა, არამედ, პირიქით, ხელისუფლების მიერ გატარებული მმართველობითი პოლიტიკის ხოტბა-განდიდებაში გადაიზარდა, რამაც მწერლის შემოქმედებითი წვლილი საბჭოთა პერიოდის ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში მნიშვნელოვნად დაამცრო და დააკნინა.

საქართველოში ცხოვრების პერიოდში ალ. ჭეიშვილის მიერ შექმნილი ერთადერთი მხატვრული ნაწარმოები, რომელიც იმდროინდელი ხელისუფლებისგან ერთადერთ სახელმძღვანელო შემოქმედებით მეთოდად დაკანონებული ე. წ. სოციალისტური რეალიზმის იდეოლოგიური პრინციპებით შეუბოჭველ ქმნილებად შეიძლება მივიჩნიოთ, ესაა «სიკვდილი ბაღში.» ამ მოთხრობის მეშვეობით მწერალი შეეცადა, შთამბეჭდავად მოეთხრო გერმანიის ერთ-ერთ ქალაქში ებრაელთა სისხლიანი დარბევის შემადრწუნებელი ამბავი. იქიდან გამომდინარე, რომ, მსოფლიოს ბევრი ქვეყნისაგან განსხვავებით, ებრაელებს საქართველოში ეთნიკურ ნიადაგზე წარმოქმნილი დევნა-შევიწროება არასოდეს განუცდიათ, მკითხველი მძაფრი შინაგანი პროტესტის გრძნობით ეცნობა იმ ტრაგედიას, რომელიც მოთხრობის ებრაელ პერსონაჟებს ატყდებათ თავს მათი ებრაელობის გამო.

მეტი სიცხადისათვის მოკლედ გავიხსენოთ მოთხრობის სიუჟეტური ქარგა. ნაქირავებ ბინაში მოწყობილ თეთრეულის სამრეცხაოში ჩაკეტილი მოხუცი ებრაელი ბენიამინი და მისი ქალიშვილები შემფოთებით ადევნებდნენ თვალს ქუჩაში მიმდინარე მოვლენებს. მათი შემფოთება იმით იყო განპირობებული, რომ ქალაქში პოლიციელებს ებრაელთა ხოცვა-ჟლეტა ჰქონდათ გამართული. ამ ბარბაროსული აქციის ჩატარებამდე, მოსათარეშებლად შერჩეულ ქუჩებს ისინი წინასწარ დაივლიდნენ, ებრაელთა მისამართებს დაადგენდნენ და შემდეგ იარაღსხმულნი დაეროდნენ მათ. მეზობელ ქუჩებზე ჩატარებული ამ სისხლიანი დარბევების შემდეგ ჯერი უკვე იმ ქუჩაზეც მიდგა, სადაც ბენიამინი და მისი ქალიშვილები ცხოვრობდნენ.

თავისი ებრაელობის გამო მსგავსი დევნა-შევიწროების მსხვერპლად ბენიამინი, რომელიც ადრე ოპერის თეატრის მუსიკოსი იყო, მანამდეც იყო ქცეული. კერძოდ, ოპერიდან იგი მხოლოდ ებრაელობისათვის გამოაგდეს და ამ დროიდან მოყოლებული, «სულ დაბლა-დაბლა ეშვებოდა ცხოვრების კიბის საფეხურებზე.» მსგავსი დევნის ობიექტად იქცა მისი ქალიშვილიც. საბოლოოდ, ყოველმხრივ დევნილ-შევიწროებული ბენიამინი და მისი ქალიშვილები დიდძალი ქირის გადახდის ფასად ერთ ნესტიან ბინას შეეხიზნენ, თეთრეულის სამრეცხაო გახსნეს და ამ გზით ირჩენენ თავს. თუმცა ქალაქში ეთნიკურ საფუძველზე გამძვინვარებით მიმდინარე ტერორს ვერც მაინც ვერ გადაურჩნენ და პოლიციელთა შეიარაღებული რაზმის მსხვერპლად იქცნენ.

გარდა იმისა, რომ ალ. ჭეიშვილის მოთხრობაში ეს ყველაფერი ფსიქოლოგიური სიმართლითა და სიუჟეტური დრამატიზმითაა მოთხრობილი, ნაწარმოებისადმი მკითხველის ინტერესს ის ტოლერანტული დამოკიდებულებაც განაპირობებს, რასაც ქართველი ხალხი იჩენდა ებრაელობისადმი ყველა დროსა და ეპოქაში.

\* \* \*

იდეოლოგიური ტენდენციურობით შებოჭილი მხატვრული ტექსტებისაგან განსხვავებით, დღევანდელი მკითხველისათვის გაცილებით საინტერესოა ალ. ჭეიშვილის ლიტერატურული წერილები. უცხო ენების საფუძვლიანი ცოდნა, მეცნიერული განსწავლულობა და მაღალი პროფესიონალიზმი მწერალს მყარ საფუძველს აძლევდა საიმისოდ, მოვლენები ღრმად და რამდენადმე ახლებური თვალთახედვით რომ გაეაზრებინა (ალ. ჭეიშვილის ლიტერატურული წერილები იხ. მის წიგნებში: «კრიტიკული წერილები» (1948 წ.) და «ნარკვევები, წერილები» (1955 წ.).

ალ. ჭეიშვილის წერილები პირობითად სამ ჯგუფად შეიძლება დავეყოთ: ქართველი კლასიკოსების (შოთა რუსთაველის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას...) შემოქმედებასთან დაკავშირებული პრობლემური საკით-

ხების გასაანალიზებლად დაწერილი ლიტერატურული ნარკვევები, ავტორის დროინდელი ჩვენი მწერლობის ცნობილი წარმომადგენლების: ლეო ქიაჩელისა და კონსტანტინე ლორთქიფანიძის რომანების («გვადი ბიგვასა» და «კოლხეთის ცისკრის») განსახილველად დაწერილი წერილები და საზღვარგარეთული ლიტერატურის ცნობილი ოსტატების (ნიკოლოზ ოსტროვსკის, ადამ მიცკევიჩის, ვიქტორ ჰიუგოს, ანრი ბარბიუსის, დენი დიდროს...) შემოქმედებისადმი მიძღვნილი ესეები.

დასახელებული ჯგუფის წერილებიდან ალ. ჭეიშვილის, როგორც ლიტერატურულ მოვლენათა განმსჯელ-შემფასებლის, შესაძლებლობებს ყველაზე მეტად ქართველი კლასიკოსების შემოქმედებისადმი მიძღვნილი წერილები ავლენს. უცხოური ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნა ავტორს შესაძლებლობას აძლევდა, მყარ არგუმენტებზე დაყრდნობით ემსჯელა იმ მხატვრული და მსოფლმხედველობრივი პარალელების რეალურობასა თუ არარეალურობაზე, რომელსაც მკვლევართა ერთი ნაწილი ავლებდა ქართული და უცხოური ლიტერატურის ცალკეულ წარმომადგენელთა შემოქმედებას შორის. ალ. ჭეიშვილის მსჯელობას მეტ დამაჯერებლობას ამ შემთხვევაში ის ფაქტიც სძენდა, რომ იგი ამგვარი პარალელების ძიების დროს უცხოელ ავტორთა შესაბამის ქმნილებებს ორიგინალში კითხულობდა და დასამოწმებელ მაგალითებსაც ხშირად სწორედ ამ ტექსტების ორიგინალიდან იმოწმებდა.

მაგალითად, ჩვენი ლიტერატურათმცოდნეების იმ წარმომადგენლებისაგან განსხვავებით, რომელთა მტკიცებითაც ნ. ბარათაშვილის «მერანში» ამკარად იგრძნობა ა. მიცკევიჩის «ფარისის» გამოძახილი, ალ. ჭეიშვილი ერთმნიშვნელოვნად ფიქრობდა, რომ სინამდვილეში ეს ასე არ იყო და ხსენებულ ნაწარმოებთა მსოფლმხედველობრივი სიახლოვე იმით კი არ იყო განპირობებული, რომ ერთმა ავტორმა მეორეზე მოახდინა ზეგავლენა, არამედ ხსენებულ მწერალთა დროინდელ პოლონეთსა და საქართველოში არსებული მსგავსი ისტორიული ვითარებით.

ქართული და უცხოური მწერლობის ცალკეულ წარმომადგენელთა შემოქმედებას შორის არსებული მხატვრულ-მსოფლმხედველობრივი პარალელების ძიებით ზოგიერთი მკვლევრის მეტისმეტ გატაცებას ალ. ჭეიშვილი თვითმიზნურმოვლენად მიიჩნევდა და ასავსებით მართებულად უპირისპირდებოდა იმ ლიტერატურათმცოდნეებს, რომლებიც თავიანთი ამგვარი ფსევდომეცნიერული «აღმოჩენებით» უსაფუძვლოდ ცდილობდნენ, «ერთი მწერლის შემოქმედება გენეტიკურად რომ დაეკავშირებინათ მეორე მწერლის შემოქმედებისთვის... ბარათაშვილის შემოქმედების ბევრი მკვლევარი ამაოდ დაშვრა იმაზე, რომ ჩვენი პოეტის ლანდი მსოფლიო ლიტერატურის ამა თუ იმ კორიფეის ჩრდილში მიესვენებია... მათ ხშირად შეუდარებიათ ნ. ბარათაშვილი ბაირონთან, პუშკინთან, ლერმონტოვთან, მიცკევიჩთან იმ მიზნით, რომ აღმოეჩინათ მათ შორის მსგავსება, რომ ეთქვათ – ნ. ბარათაშვილი ჩვენი ბაირონია, ჩვენი ლერმონტოვია, ჩვენი მიცკევიჩიაო.

ჩვენი აზრით, ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შედარება დასავლეთ-ევროპული თუ რუსული მწერლობის კორიფების შემოქმედებასთან ერთხელ კიდევ ზედმეტად განაცდევინებს ყველა დაკვირვებულ მკითხველს, თუ რამდენად თავისებურია ნ. ბარათაშვილის პოეტური ინდივიდუალობა, მისი პოეზიის იდეური სამყარო, მისი მხატვრული სახეების სისტემა. ნ. ბარათაშვილის შედარება მსოფლიო პოეზიის ამა თუ იმ კორიფისთან სიამაყის გრძნობით ავსებს ჩვენი მკითხველის გულს, ათქმევინებს მას: იგი არის არა ჩვენი ბაირონი, ჩვენი პუშკინი, ჩვენი ლერმონტოვი, იგი არის ჩვენი ბარათაშვილი, ისევე თავისებური და განუმეორებელი, როგორც იყვნენ ბაირონი, პუშკინი და ლერმონტოვი».

როგორც ცნობილია, გარდა შემოქმედებითი მოღვაწეობისა, ალ. ჭეიშვილი აქტიურ სამეცნიერო საქმიანობასაც ეწეოდა და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ვაჟა-ფშაველას პოეზიაზე დისერტაციაც ჰქონდა დაცული. ამ დისერტაციის შემოკლებული ვარიანტი მას თავისი «კრიტიკული წერილების» ზემოთ უკვე ნახსენებ წიგნშიც აქვს შეტანილი სახელწოდებით – «მხატვრული სახის დინამიკა ვაჟა-ფშაველას პოემებში.»

განსხვავებით ქართველ მკვლევართა იმ წარმომადგენლებისაგან, რომელნიც ვაჟა-ფშაველას «შემოქმედების ძალასა და სიღრმეს» მისი პოეტური ქმნილებების «პირველწყაროდ დასახულ ხალხურ პოეზიაში ხედავდნენ,» ალ. ჭეიშვილი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ სინამდვილეში ეს ასესულაც არ არის და «ვაჟას პოეზიას თავისი საკუთარი, ამ ხალხური პოეზიისაგან დამოუკიდებელი სავალი გზები აქვს, თავისი საკუთარი მოტივები, იდეური სამყარო და სახეების სისტემა. თავისი მოტივებით, იდეური განწყობით და სახეების სისტემითაც კი ვაჟა-ფშაველას პოეზია მკვეთრად განსხვავდება და ხშირად უპირისპირდება კიდევ ფშავ-ხევსურული ხალხური პოეზიის მოტივებს, იდეებს, საერთოდ მსოფლშეგრძნებასა და მსოფლგაგებას, რომელსაც ხშირად ჩვენი კრიტიკა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების პირველწყაროდ სახავს» (ჭეიშვილი, 1958: 69).

იმის ნათელსაყოფად, მწერალი სინამდვილეში «უკრიტიკოდ, პასიურად რომ არ იღებდა ხალხური შემოქმედებიდან მომდინარე მასალას,» ალ. ჭეიშვილი მრავალ კონკრეტულ მაგალითს იმორჩმებს ვაჟას შემოქმედებიდან და ფშავ-ხევსურული ხალხური პოეზიის ნიმუშებთან მათი შედარება-შეპირისპირების გზით დამაჯერებლად ცხადყოფს იმ არსებით განსხვავებებს, რაც მათ შორის არსებობს. კრიტიკოსის აზრით, ხალხური საუნჯიდან აღებულ ამ მასალას ვაჟა «თავისი «ფანტაზიის მაგნაში» ატარებდა და თავისი «გრძნობა-გონების» საკუთრებად ხდიდა. ამრიგად გადამუშავებული მასალა კი საბოლოოდ წყდებოდა ფშავ-ხევსურული პოეზიის ჭიპლარს და ორგანიულად შეერთვოდა ვაჟას პოეზიის იდეურ და ემოციონალურ სამყაროს» (ჭეიშვილი, 1958: 2).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ალ. ჭეიშვილი ერთ-მნიშვნელოვნად დაასკვნა, რომ «ქართული კრიტიკის ერთ ნაწილში იმთავითვე დამკვიდრებული ტენდენცია ვაჟა-ფშაველას და ფშაველას ხალხური პოეზიის ერთმანეთთან გაიგივებისა» პრინციპულად მცდარ და არსებითად მიუღებელ თვალსაზრისს წარმოადგენდა.

\* \* \*

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჭეიშვილი დაიბადა 1903 წელს ოზურგეთის რაიონის სოფელ ასკანაში, გლეხის ოჯახში. ქუთაისის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1922-26 წლებში, სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე. 1917-23 წლებში იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ახალგაზრდული ჯგუფის წევრი.

სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1927 წელს. ამ დროიდან მოყოლებული, მისი ნარკვევები და ლიტერატურული წერილები სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულ და რუსულ პრესაში. 1936 წელს გახდა მწერალთა კავშირის წევრი. გარდა მშობლიური ქართულისა, მაღალ დონეზე ფლობდა რუსულ, გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებს.

1922-24 წლებში იყო გაზეთ «ტრიბუნის» კორესპონდენტი, 1924-26 წლებში – გაერთიანებული სამხედრო სკოლის ლექტორი. 1926-1929 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში, რომლის დამთავრების შემდეგაც მუშაობა დაიწყო იქვე, ფილოსოფიის კათედრაზე.

1930-32 წლებში სწავლობდა ბერლინის (გერმანია) უნივერსიტეტში. სამშობლოში დაბრუნებულმა ცოლად შეირთო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი ქეთევან ჭეიშვილი, რომელთანაც ჰყავდა ორი ვაჟი.

1932 წელს მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და კითხულობდა ლექციებს ქართული და საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიაში. 1941 წელს შეთავსებით ხდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი და შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი.

1943 წელს ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია. 1946 წელს არჩეულ იქნა დოცენტად. პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად, აქტიურად შეუდგა სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობას თემაზე: «ინდივიდუალიზმის იდეის ევოლუცია XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში.» თუმცა ამ საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ შეძლო.

1941-43 წლებში იყო სამხედრო გაზეთის – «ბოეც რკკა» ლიტმუშაკი. 1941 წელს გამოსცა სამამულო ომის თემაზე დაწერილი მოთხრობებისა

და ნარკვევების წიგნი (ალ. ჭეიშვილის ბიოგრაფიასთან დაკავშირებით მასალები იხ: ქლმ, ალ. ჭეიშვილის პირადი ფონდი).

როგორც მწერალს, ყველაზე დიდი წარმატება ალ. ჭეიშვილს მოუტანა რომანმა «ლელომ», რომლის პირველი ნაწილი გამოქვეყნდა 1938 წელს, მეორე ნაწილი კი 1948 წელს. თბილისურმა რუსულენოვანმა გამომცემლობა «ზარია ვოსტოკამ» ამავე წელს «ლელო» რუსულ ენაზეც გამოსცა. ხელისუფლების მესვეურთა მხრიდან მწერლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების მიუხედავად, მწერალთა კავშირში გამართული ამ რომანის განხილვის დროს ავტორის მიმართ მრავალი შენიშვნაცა და სურვილიც გამოითქვა.

მათ საფუძველზე გადამუშავებული რომანი მწერალმა 1950 წელს რუსულად გამოსცა, 1957 წელს კი ქართულად. იმის ნათელსაყოფად, ავტორს ამის გაკეთება საკმაოდ დიდ წინააღმდეგობათა დამლევის შედეგად რომ მოუხდა, დავიმოწმებ ფრაგმენტს მოსკოვიდან მეუღლისათვის გამოგზავნილი მისი წერილიდან: «რომ იცოდე, რა სიძნელების გადალახვა მიხდება, რომ წიგნი გამოვგლიჯო სტამბას... ეს ერთი კვირაა, ლანდივით დავსდევ მთავლიტს, რომ ხელი მოვაწერინო. ქვეყანა ფეხზე დავაყენე, ცეკასაც კი მივმართე და ძლივს ხვალისთვის დამპირდნენ... მთელი ეს დღეები ამას ვუნდები.» (ქლმ, ალ. ჭეიშვილის პირადი ფონდი, №27102).

საქართველოში ცხოვრების პერიოდში, პროზაულ ნაწარმოებებთან ერთად, ალ. ჭეიშვილი ქართველ და უცხოელ მწერალთა შემოქმედებისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ წერილებსაც აქვეყნებდა სისტემატურად (ამ წერილების რჩეული ნიმუშები იხ: ჭეიშვილი, «კრიტიკული წერილები», 1948; და »ნარკვევები, წერილები«, 1955).

გარდა რუსული და საბჭოთა კავშირის ხალხთა სხვა ენებისა, ალ. ჭეიშვილის ნაწარმოებები უცხოურ ენებზეც იყო გამოქვეყნებული ჯერ კიდევ ემიგრაციაში მის წასვლამდეც. მაგალითად, რომანი «ლელო» «საქართველოს მზის» სახელწოდებით 1953 წელს ცალკე წიგნად გამოიცა ვაიმარში.

1950 წელს მწერალს ხსენებული რომანისათვის სტალინური პრემია მიენიჭა. ამ გადაწყვეტილების მიღების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორს ის გარემოება წარმოადგენდა, რომანში მკვეთრად გამოხატული იდეოლოგიური ტენდენციურობით იყო განდიდებული საბჭოური ყოფა.

განსხვავებით ხელისუფლების მსახური მწერლებისა და კრიტიკოსებისაგან, ჩვენი მწერლობის ცალკეული წარმომადგენლები გარკვეული ფორმით მაინც ახერხებდნენ თავიანთი პროტესტის გამოხატვას აღნიშნული მოვლენისადმი. მაგალითად, ალ. ჭეიშვილისადმი ხელისუფლების მესვეურთა ტენდენციურად მხარდამჭერი დამოკიდებულებით გაღიზიანებულ გალაკტიონ ტაბიძეს ამ ფაქტისადმი თავისი ცინიკური დამოკიდებულება 1956 წელს დაწერილ ერთ-ერთ ექსპრომტში ამგვარად გამოუხატავს (ტაბიძე, 2008: 309):

ა. ჭეიშვილის პროზას  
 თუ გამოვაკლებთ «ოზა»-ს,  
 დარჩება მხოლოდ «პრ» და –  
 წუნსაც აღნიშვნა უნდა!  
 თუ მივუმატებთ «პრ»-ს წუნს,  
 მივიღებთ პრუწუნ-პრუწუნს.

საბჭოთა კავშირში ცხოვრების პერიოდში ალ. ჭეიშვილისადმი ხელისუფლების მხარდამჭერი დამოკიდებულება იმიტაც გამოვლინდა, რომ იგი არა მარტო ე. წ. მოძმე რესპუბლიკებში მოგზაურობდა შეუზღუდველად, არამედ ემიგრაციაში წასვლამდე ორივე გერმანიაშიც (დასავლეთშიცა და აღმოსავლეთშიც) იყო რამდენჯერმე ნამყოფი.

როგორც მოსკოვიდან მწერლის მიერ მეუღლისადმი გამოგზავნილი ერთ-ერთი წერილიდან ირკვევა, ემიგრაციაში წასვლამდე, 1957 თუ 1958 წელს, ალ. ჭეიშვილი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ქალაქ მიუნხენში, გამართულ ევროპელ მწერალთა შეკრებაში მონაწილეობის მისაღებადაც ყოფილა მივლინებული. აი, რას წერს თავად იგი ამ ამბავთან დაკავშირებით: «ჩემი მგზავრობა გერმანიაში ძალიან ნაყოფიერი იყო. იმდენი მწერლები და ჟურნალისტები გავიცანი, რომ იქ საელჩოში მთხოვდნენ ცნობები მიმეცა ყველაფერ ამაზე. იქაურ გაზეთებმაც ორჯერ აღნიშნეს (ჰამბურგში და მიუნხენში), რომ ქართველი მწერალი დაესწრო ყრილობას, რომელიც ასე თავისუფლად ფლობს ენას, ლიტერატურულ პრობლემებზე კამათობს, მსჯელობსო. ბევრმა მწერალმა თავისთან მიმიწვია, წიგნები მაჩუქა» (ქლმ, ალ. ჭეიშვილის პირადი ფონდი, საქმე №27102).

გერმანიაში იმხანად ყოფნის პერიოდში ალ. ჭეიშვილს ფაქტობრივად მთელი ქვეყანა მოუვლია. კერძოდ, მისივე ინფორმაციით, მას შეხვედრები ჰქონია შემდეგ ქალაქებში: ბონში, მიუნხენში, ფრანკფურტში, ჰამბურგში, ჰაიდელბერგში, კიოლნიში... სწორედ ამ მოგზაურობის დროს გაუცვნია მას ცნობილი გერმანელი მწერალი ჰაინრიხ ბიოლი, რომელთანაც სტუმრადაც ყოფილა მიწვეული ოჯახში. ჰ. ბიოლის დახმარებით, ალ. ჭეიშვილს თავის შვილთან დაკავშირებით სამედიცინო კონსულტაციის მისაღებად იქაურ ცნობილ ნევროპათოლოგებთანაც ჰქონია შეხვედრები.

აი, რას წერს თავად ის ამასთან დაკავშირებით ზემოთ დამოწმებულ წერილში: «ცნობილ პროფესორ ნევროპათოლოგთან ვიყავი საკონსულტაციოდ. არავის არ ღებულობდა, მაგრამ ბიოლმა სთხოვა და დაითანხმა... უთხრა, საქართველოდან ჩამოვიდა ამისთვისო.» როგორც ალ. ჭეიშვილის ბიოგრაფიიდან ირკვევა, ბიოლთან იმხანად დაწყებული ეს მეგობრული ურთიერთობა მას კიდევ უფრო მეტად გაულრმავებია ემიგრაციაში გახიზვნის შემდეგ.

საბჭოთა დიქტატურის მძვინვარების ჟამს რკინის ფარდით საგულდაგულოდ დაგმანული ქვეყნიდან კაპიტალისტურ ქვეყანაში მწერლის

ასეთი ხშირი და შეუზღუდველი მოგზაურობანი საზოგადოების გარკვეულ ნაწილს არც თუ უსაფუძვლოდ უჩენდა ეჭვს იმასთან დაკავშირებით, რომ ალ. ჭეიშვილი სპეცსამსახურებთან იყო დაკავშირებული და ამგვარი მოგზაურობების დროს მათ დავალებებსაც ასრულებდა ხოლმე. კულუარულად გავრცელებული ხმების მიხედვით, პირველ ყოვლისა სწორედ ასეთი შეფასება მიეცა 1958 წელს ემიგრაციაში მწერლის დარჩენის ფაქტსაც.

როგორც ცნობილია, 1958 წლის შემოდგომაზე ალ. ჭეიშვილი შემოქმედებითი მივლინებით იმყოფებოდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ბერლინში, საიდანაც დასავლეთ გერმანიაში გადავიდა და იქაურ ხელისუფლებას პოლიტიკური თავშესაფარი თხოვა. დღესდღეობით ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალების მიხედვით, ზუსტად არაა ცნობილი, ეს ამბავი როდის მოხდა. თავად ალ. ჭეიშვილის მიერ 1959 წლის 8 თებერვალს მეუღლისათვის გამოგზავნილი წერილიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 1958 წლის 24 ოქტომბერს იგი უკვე ყოფილა გერმანიაში გადასული («შენი წერილი მივიღე 24 ოქტომბერს გამოგზავნილი»). მაგრამ ამ თარიღის სისწორეს საეჭვოს ხდის 1958 წლის 7 ნოემბერს გაზეთ «ლიტერატურულ საქართველოში» გამოქვეყნებული მეგობრული შარჟი (ტექსტის ავტორი ვეფხვია გაფრინდაშვილი, ნახატისა – გიგლა ფირცხალავა):

მკითხველების გასახარად, ჩემი კალმის სასახელოდ,  
ერთი დარტყმით ცხრა მთას იქით გავიტანე უცებ ლელო.  
ლელოს კვრაში ოსტატობა შემომნატრონ სპორტსმენებმაც,  
ჩემთან ნატყორცნ ლელოს გავყევე, ქვეყნად გავლა როს მენება.  
გზები ისე დავახვიე, როგორც მაფი არიადნამ,  
რაინის და ელბის პირას ჩემი სიტყვის ქარი ადგა.  
ბევრი რამ მაქვს საკვებარი, საამაყოც მე მაქვს ბევრი,  
აქ ლექციებს გერმანულად მე ვკითხულობ ენამჭევრი.  
ისევ ლელო, მუდამ ლელო, ქვეყნად ერთად დავალთ რიხით,  
ცალი ფეხი მტკვარზე მიდგას, ცალი ფეხი ელბას იქით.

ვფიქრობ, მტკიცება არ ჭირდება იმ ფაქტს, რომ საკუთარი ქვეყნის მოღალატედ სახელდებულ კაცზე საბჭოთა პერიოდში მსგავსი შინაარსის ტექსტის გამოქვეყნება ყოვლად წარმოუდგენელი საქმე იყო. ასე რომ, ალ. ჭეიშვილის წერილში დასახელებული თარიღი ამკარად მცდარია.

მწერლის გერმანელი მეგობრის – ე. ციტერმანის ინფორმაციით, დასავლეთ გერმანიაში ალ. ჭეიშვილი 1958 წლის ნოემბრის ბოლოს გადასულა. მისი აზრით, ამ ნაბიჯის გადადგმის დროს მწერალი უპირველეს ყოვლისა «საუკეთესო განზრახვითა და კეთილი სურვილით მოქმედებდა და სურდა, აღმოსავლეთის ადამიანი გაეცნო დასავლეთისთვის, გამოემეხნა საერთო ენა, რომელიც სულ უფრო და უფრო დგებოდა გაქრობის საფრთხის წინაშე. დიახ, მან ეს ნაბიჯი გადადგა

ყველა ადამიანის თანადგომისა და დახმარების მიზნით, ინტელიგენციის ყველა წარმომადგენლის სასიკეთოდ, საბჭოთა აპარატის ტირანიისა და დიქტატურის, მისი არაგონივრული მთავრობის გვერდის ავლით.» ამ ნაბიჯის გადადგმით მან «არა თუ მიატოვა თავისი ოჯახი, არამედ მთლიანადაც მოიკვეთა იგი. ასევე უარი თქვა მან უნივერსიტეტის ლექტორის გვარიან შემოსავალზე, მატერიალურად უზრუნველყოფილ ცხოვრებაზე და გაწყვიტა ის «ოქროსფერი აბლაბუდა,» რომელშიც სულ უფრო და უფრო ეხვეოდა საბჭოთა ქვეყანაში მცხოვრები ინტელიგენციის ფენა. ახლა იგი საკუთარ აზრებს უკვე შეუზღუდველად გაანდობდა დასავლეთს.»

თუმცა, ე. ციტერმანისავე თქმით, თავად გერმანელთა შორისაც საკმაოდ მრავლად იყვნენ ისეთები, რომელთაც ალ. ჭეიშვილის «აზრები არასწორად ესმოდათ და ცუდად დაფარული უნდობლობით გამოხატავდნენ კიდევ ამას,» რის გამოც მწერალი «ხშირად აწყდებოდა გაუგებრობის კედელს.»

ე. ციტერმანისაგან განსხვავებით, ჩვენი საზოგადოების არც თუ მცირე ნაწილმა გერმანიაში ალ. ჭეიშვილის დარჩენის ფაქტი მწერალზე საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურების ზეწოლის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებად მიიჩნია. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, სახელისუფლებო უწყებათა მესვეურების მიერ ამ გადაწყვეტილების მიღებას ერთ-ერთ უმთავრეს საფუძვლად ისიც დაედებოდა, რომ ალ. ჭეიშვილი შესანიშნავად ფლობდა ევროპულ ენებს.

მკითხველს, რომელსაც თუნდაც ძალზე ზედაპირული წარმოდგენაც კი აქვს საბჭოთა კავშირში 1950-იან წლებში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე, ვფიქრობ, სავსებით ბუნებრივად გაუჩნდება კითხვა იმასთან დაკავშირებით, ოფიციალურად საკუთარი ქვეყნის მოღალატედ შერაცხული ემიგრანტი მწერალი რის საფუძველზე მოითხოვდა, რომ მისგანვე «უარყოფილ სამშობლოში» არც მისი ნაწარმოებების ბეჭდვა და გამოცემა შეეწყვიტათ და მისთვის კუთვნილი ჰონორარიც შეუფერხებლად მიეცათ მისი ოჯახისთვის?

მეტ-ნაკლებად დამაჯერებელ პასუხს ამ და მსგავს კითხვებზე მკითხველი თავად ალ. ჭეიშვილის ემიგრანტობის დროინდელ წერილებშიც იპოვის. თუმცა, როგორც ირკვევა, გერმანიაში მწერლის გადახვეწის შემდგომ მოვლენები წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით არ თუ ვერ განვითარდა, რაც იმითაც დადასტურდა, რომ ალ. ჭეიშვილის ნაწარმოებები, მათ შორის ორ ტომად ჩაფიქრებული მისი «რჩეულის» მეორე ტომი (პირველი ტომი 1957 წელს გამოიცა) უკვე აღარ გამოცემულა.

როგორც ალ. ჭეიშვილის ემიგრანტობის დროინდელი წერილებიდან თვალნათლივ ჩანს, მწერალი მის მიერ გადადგმულ ნაბიჯს სამშობლოსა და მახლობელ ადამიანთა ღალატად კი არ მიიჩნევდა, არამედ, პირიქით, ქვეყნის სასიკეთოდ გამიზნულ საქმედ. იგი მეუღლესა და შვილებს დაბეჯითებით არწმუნებდა იმაში, რომ ეს გადაწყვეტილება, რის

შედგებად იგი მხოლოდ გარკვეული დროის განმავლობაში შორდებოდა მშობელ ქვეყანას და შემდგომში კვლავაც უსათუოდ დაუბრუნდებოდა მას, მან უპირველეს ყოვლისა საქვეყნო ინტერესების გათვალისწინებით მიიღო და არამც და არამც პიროვნული კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

თუ მწერალი გერმანიიდან გამოგზავნილ თავის წერილებში ამ და მსგავს საკითხებზე მსჯელობის დროს გულწრფელი იყო და ასეთ რამეებს მისი ოჯახის აქაური «მწყემსებისათვის» თვალის ასახვევად არ წერდა, მაშინ ეს წერილები კიდევ უფრო განგვიმტკიცებენ ეჭვს იმასთან დაკავშირებით, რომ ემიგრაციაში ალ. ჭეიშვილი მართლაც ხელისუფლების სათანადო ორგანოების მიერ იყო გაგზავნილი გარკვეული დავალების შესასრულებლად.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად დავიმოწმებ ფრაგმენტს შვილებისადმი 1959 წლის 11 მარტს გამოგზავნილი წერილიდან: «ამ წერილს გწერთ როგორც დინჯ, ჭკუადაძვდარ, ცხოვრებისათვის მომზადებულ ახალგაზრდებს. გახსოვთ, უნივერსიტეტში შესასვლელად რომ ემზადებოდით, რამდენჯერ დაწერეთ თემა: «პატრიოტული მოტივები ილიას, აკაკის თუ ვაჟას შემოქმედებაში.» ჩვენი მწერლები მუდამ სამშობლოსათვის იღწვოდნენ, ერისა და ხალხის ინტერესებს ხშირად თავის პირად კეთილდღეობას ანაცვალდებდნენ. ასე იყო წარსულში და ასე არის და უნდა იყოს დღესაც. ყოველ შემთხვევაში მე ეს ჩემ სამღვთო მოვალეობად მიმაჩნდა მუდამ და მიმაჩნია დღესაც.

ასეთ ტონში იმიტომ ვიწყებ, რომ გული მატკინა რეზოს სიტყვებმა: «მამი, ამდენ ხანს ასე კარგად გვივლიდი და ახლა რა მოგივიდაო?» ჩემი სიყვარული, ფიქრი და ზრუნვა თქვენს მიმართ ოდნავაც არ შენელებულა. დღეს ამას უფრო მძაფრად განვიცდი, ვიდრე ოდესმე. მაგრამ ამავე დროს ჩვენს ხალხზე და განსაკუთრებით ჩვენს ახალგაზრდობაზე ვფიქრობ. როცა რაიმეს ვწერდი, მუდამ ჩვენი ახალგაზრდობა მედგა თვალწინ, მეწადა, როგორც მწერალს, ჩემი პატარა წვლილი მეც შემეტანა ჩვენი ახალგაზრდობის ცნობიერების, ფიქრების და გრძნობების ყალიბობაში.

მაგრამ ბუნებრივია იკითხავთ, თუ რა კავშირი აქვს ამას ჩემს აქეთ წამოსვლასთან. საქმე იმაშია, რომ მე მუდამ მწვავედ განვიცდიდი იმ ამბავს, რომ ზოგიერთ ჩვენ ახალგაზრდას სწორი და ნათელი წარმოდგენა არა აქვს აქაურ სინამდვილეზე და მისი ცნობიერების ყალიბობაზე ერთგვარ შემაფერხებელ გავლენას ახდენს. და თუ მე ამ მხრივ რაიმე სარგებლობის მოტანა შემეძლო, თავი არ უნდა დამეხოგა» (ქლმ, ალ. ჭეიშვილის პირადი ფონდი, №27102).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცოლ-შვილისათვის გამოგზავნილ წერილებში ალ. ჭეიშვილი დროდადრო იმასაც ცდილობდა, საბჭოთა ადამიანების არც თუ მცირე ნაწილის მიერ გაიდევალებული დასავლური სამყარო სოციალისტური იდეოლოგიისათვის დამახასიათებელი ტენდენციურობით წარმოეჩინა და კონტრასტული ფერებით დაეხატა ეჩვენებინა მისი მანკიერი მხარეები.

ნათქვამის ნათელსაყოფად განვაგრძოთ ზემოთ დამოწმებული ბარათის ციტირება: «ამ წერილში ერთი პატარა ფოტოსურათი ძევს. ეს ფრანკფურტის მთავარი სავაჭრო ქუჩაა. თუ კარგად დააკვირდებით, შენიშნავთ ტროტუარზე მდგომ ახალგაზრდას, რომელსაც მკერდზე და ზურგზე რეკლამით აჭრელებული ვეებერთელა ფანერის ფიცრები ჰკიდია. ფიცრები თითქმის კოჭებამდე სწვდება. ეს დაახლოებით თქვენი ხნის ახალგაზრდაა, ქერთმიანი, შესანიშნავი თვალტანადობის, ისეთი, ჩვენში რომ იტყვიან, «ვარსკვალავებს ეთამაშებაო.» იგი მთელი დღე ფიცრებაკიდებული დააბიჯებს მოზიმიში ბრბოში. რამდენი ხანია მე მას ვუკვირდები. ისეთი სევდა გამოსჭვივის მისი გონიერი თვალებიდან, საშინლად ეტყობა, რომ ერცხვინება ეს სულელური მდგომარეობა, ზურგზე ფიცრებაკიდებული, ცოცხალი რეკლამის როლში გამოსვლა. მისი ტოლა, გამოპრანჭული გოგონები გვერდში ჩაუვლიან და ზოგი თანაგრძნობით, ზოგი ღიმილით ახედ-დახედავს ხოლმე... მინდოდა სახის მხრიდან გადამელო სურათი, მაგრამ სიბრალულის გამო თვალი ვერ გავუსწორე. და განა ეს ერთი მაგალითია. ასობით შეხვდებით აქ ყველა ქალაქში ასე «ორშაბათის ყაენივით» მორთულ ახალგაზრდას თუ ხანში შესულ ადამიანს, რომელსაც ასეთი დამაცირებელი შრომით უხდება ლუკმა-პურის მოპოვება.»

ან კიდევ: «აქ ერთი ადამიანი მეორეზე არ ფიქრობს. გამდიდრების, ფულის მოხვეჭის დაუცხრომელი წყურვილი განსაზღვრავს აქ ადამიანთა ურთიერთობას, ზნეობას, გემოვნებას. უკვე გწერდით იმაზე, თუ რა საშინლად გათიშული არიან ადამიანები ერთმანეთისაგან. ერთ სახლში მცხოვრები, ერთ დაწესებულებაში მომუშავე ადამიანები აქ უფრო დაშორებული არიან ერთმანეთისაგან, ვიდრე ჩვენში შემთხვევით გაცნობილები. გარეგნული თავაზიანობა, რასაკვირველია, არ აკლიათ, მაგრამ ერთმანეთისათვის სავსებით არ შესტკივანთ გული... სამუშაო დღე რომ დამთავრდება, ყველა თავისი გზით გარბის, არავითარი სურვილი არ აქვთ, ერთმა მეორეს ფიქრი და გრძნობა, დარდი თუ სიხარული გაუზიაროს. ამჯერად განსაკუთრებით მწვავედ ვიგრძენი, თუ რა გულმკვდარი, უსულგულოა ეს საზოგადოება... ნამდვილი თვისობა, ამხანაგობა, ერთმანეთისთვის ჭირისა და ლხინის გაზიარება აქაური ადამიანებისთვის უცხოა... ნამდვილ სიხარულსა და ბედნიერებას (ადამიანური ურთიერთობებიდან გამომდინარე) აქაური ადამიანი იშვიათად განიცდის. ასეა გერმანიაში და ყველა ამბობს, რომ ეს ადამიანებისაგან ერთმანეთისაგან განთიშულობა ინგლისში თუ ამერიკაში უფრო მწვავედ იგრძნობა. საფრანგეთიც კი არ წარმოადგენს ამ მხრივ გამონაკლისს. ამ კუთხით და ამ თვალსაზრისით მე დასავლეთის ცხოვრება აქამდე არ დამინახავს. ფსიქოლოგიური, სულიერი ცხოვრების თვალსაზრისით ეს ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო და მე იმედი მაქვს, რომ ამ მგზავრობის შედეგებს კარგად გამოვიყენებ განსაკუთრებით ჩვენი ახალგაზრდობისათვის. მე მგონია, რომ ეს ძალიან, ძალიან სასარგებლო იქნება.»

ე. წ. «კაპიტალისტური სამოთხისთვის» «ვარდისფერი ნიღბის ასახედელად» და იქაური ცხოვრებისეული რეალობისა და ადამიანურ ურთიერთობათა მსგავსი ტენდენციურობით დახასიათების დასტურად აქ აღ. ჭეიშვილის მიერ ემიგრაციიდან გამოგზავნილი კიდევ ერთი წერილიდანაც დავიმოწმებ ფრაგმენტს: «რა საშინლად გათიშული, დაშორებული არიან ადამიანები ერთმანეთისაგან ყველგან და ყოველთვის, სახლში, ბინაში, სადაც ერთი მეორის გვერდით ცხოვრობენ, სამსახურში და სამუშაოზე, თეატრში, კინოში. ადამიანი ადამიანს აქ გულს არ უხსნის, თავის სიხარულსა და გაჭირვებას არ უზიარებს... გარეგნული ზრდილობა და თავაზიანობა არ აკლიათ, მაგრამ გრძნობები გაყინული, გული გაქვავებული აქვთ. ის ბედნიერება, რასაც ადამიანს არა თუ ჭირში და ლხინში ერთად ყოფნა, არამედ უბრალო გულთბილი ადამიანური ურთიერთობა ანიჭებს, აქაური, საერთოდ, კაპიტალისტური სამყაროს მცხოვრებთათვის სავსებით უცნობია. რომ წარმოვიდგენ, რა ახლოსა ხართ ერთმანეთთან თქვენ, ჩვენი ნათესავები, მეგობრები და მოკეთებები და როცა ვადარებ ამათ გამომშრალ, გულგრილ ურთიერთობას, გულშიც ვიმეორებ და ამათაც ხშირად ვეუბნები, რომ აქაურებმა არ იციან, თუ რა არის ნამდვილი ადამიანური სიხარული და ბედნიერება. საერთოდ ამაზე ამდენს იმიტომ ვწერ, რომ ეს ამ გზობა ძალიან მწვავედ ვიგრძენი და განვიცადე და ამაზე მინდა კიდევ დავწერო რაღაც მხატვრული. რა გულუბრყვილო წარმოდგენა აქვს ზოგიერთ მაქაურს პიროვნების, ინდივიდის ბედნიერებაზე დასავლეთის კაპიტალისტურ ქვეყნებში.»

მიუხედავად იმისა, რომ დასავლურ სამყაროსა და საქართველოში დამკვიდრებულ ადამიანურ ურთიერთობათა ავტორისეულ დახასიათებაში ბევრი რამ მართლაც შეესაბამება სინამდვილეს, დამოწმებული ფრაგმენტების წაკითხვის დროს მკითხველი გარკვეულწილად მაინც შეიგრძნობს მოვლენათა იდეოლოგიზებული შეფასების იმ გამოვლინებასაც, რასაც საბჭოთა ხელისუფლება ამკვიდრებდა ჩვენში იმხანად. როგორც ჩანს, ემიგრაციაში ცხოვრების მიუხედავად, აღ. ჭეიშვილმა მოვლენათა ამგვარი ცალმხრივობითა და რეტუმირებული ფორმით აღქმისა და წარმოსახვის ტენდენციას ემიგრაციამდელი მისი შემოქმედებითი პრინციპების ინერციული ზეგავლენის გამო თუ შეგნებულად, საბჭოთა ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან მისი იმჟამინდელი რეალური დამოკიდებულების გათვალისწინებით, მაინც ვერ თუ არ დააღწია თავი.

რაც შეეხება ემიგრაციაში წასვლასთან დაკავშირებით მწერლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, ეს, ჩემი აზრით, იძულებით გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა და თავად ის ასეთ რამეს საკუთარი ნება-სურვილით თუნდაც ორი უმთავრესი გარემოების გამო არ გააკეთებდა – მისი ოჯახური და მწერლური მდგომარეობიდან გამომდინარე.

როგორც აღ. ჭეიშვილის მიერ გერმანიიდან ცოლ-შვილისათვის გამოგზავნილი წერილებიდან თვალნათლივ ჩანს, იგი ოჯახზე იმდენად

იყო შეყვარებული, რომ ცოლ-შვილთან ფიზიკური განშორება უდიდეს სულიერ ტკივილს აყენებდა. ამ ტკივილს მას კიდევ უფრო უმძაფრებდა ის ფაქტი, რომ მისი უფროსი შვილი – გაი დაბადებიდანვე მძიმედ ტრამვირებული, ნევროლოგიური ავადმყოფი იყო. მწერალს იგი არა მარტო საქართველოში ყოფნის პერიოდში დაჰყავდა სამკურნალოდ საბჭოთა კავშირის სახელგანთქმულ კლინიკებში, არამედ გერმანიიდანაც გამუდმებით უგზავნიდა მას წამლებსა და იქაური ექიმებისაგან მიღებულ რჩევა-დარიგებებს.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ალ. ჭეიშვილის მიერ ემიგრაციაში წასვლასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების საკუთარი ნებით მიღებას საექვოდ ის დიდი შემოქმედებითი აღიარებაც ხდის, რომელიც მწერალს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირშიც ჰქონდა მოპოვებული. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ თავისი მოქალაქეობრივი მრწამსითაც და შემოქმედების თემატიკითაც ალ. ჭეიშვილი, როგორც მწერალი, იმდენად იყო საბჭოურ სინამდვილეს შეზრდილ-შესისხლხორცეებული, რომ ამ სინამდვილისგან მოწყვეტილი მისი შემოქმედება, მწერლური ღირსებებით არც თუ ისე მნიშვნელოვანი, ფაქტობრივად ყოველგვარ ლიტერატურულ ღირებულებას ჰკარგავდა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, საბოლოოდ კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს იმ გარემოებას, რომ ალ. ჭეიშვილის გაემიგრანტება საკუთარი ნება-სურვილით გადადგმული ნაბიჯი კი არ იყო, არამედ საბჭოთა სპეცსამსახურებისგან მიღებული დავალება.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, აღნიშნული თვალსაზრისის დასტურად აქ პირველ ყოვლისა ის სისტემატური და შეუზღუდველი მიმოწერა მინდა გავიხსენო, რომელიც ემიგრაციაში გახიზნულ მწერალს ჰქონდა გამართული საქართველოში როგორც ცოლ-შვილთან, ისე აქაურ ოფიციალურ პირებთანაც. უფრო მეტიც, ამ ადამიანებთან მწერალს ემიგრაციაში დარჩენის პირველივე დღეებიდან მოყოლებული გარდაცვალებამდე არა მარტო წერილობითი კავშირი არ გაუწყვეტია, არამედ სატელეფონოც. ოჯახის წევრებს კი სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთებსაც და წამლებსაც ხშირად უგზავნიდა ხოლმე, რაც, ცხადია, ხელისუფლების სათანადო ორგანოების ნებართვის გარეშე ვერ მოხდებოდა.

ამ შემთხვევაში მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტიც, რომ ეს ყველაფერი საბჭოთა დიქტატურის ზეობის პერიოდში ხდებოდა, იმ დროს, როცა ალ. ჭეიშვილი უკვე იყო გამოცხადებული საკუთარი ქვეყნის მტრად და სამშობლოს მოღალატედ.

ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ რამდენიმე ფრაგმენტს ალ. ჭეიშვილის ემიგრანტული პერიოდის წერილებიდან: 1. «გიას (შვილს – ა. ნ.) წამლები გადმოვუგზავნე. რეზოს (შვილის – ა. ნ.) ამხანაგის წამლებსაც ვეძებ» (ფრაგმენტი 1959 წლის 18 იანვარს მეუღლისათვის მოწერილი ბარათიდან). 2. «ცოტა რამეებს გიგზავნი და კიდევ გამოვ-

გზავნი (კავბოიკები, მითხრეს – არ გამოხარშოთ, თორემ რეზინა გაუფუჭდებაო)» (1959 წლის 11 მარტს ცოლ-შვილისადმი გამოგზავნილი წერილიდან). 3. «როგორაა მაქ საბაჟო პირობები, მოგიხდებათ თუ არა მაქ ბაჟის გადახდა და რა რაოდენობით. მაგალითად პალტოში, კაბაში, ფეხსაცმელებში, საცვლებში და სხვა... თუ ბაჟი ძალზე დიდია, მაშინ გადმოგზავნა არ ღირს. აქვე შეიძლება ბაჟის გადახდა, მაგრამ ძალიან რთული პროცედურაა... მომწერეთ, რა უფრო გამოგადგებათ: კაბები ქალის, პალტო კაცის, კოსტიუმი, ფეხსაცმელები, პერანგები რა ზომის და რა მასალისაგან... გულდინჯათ მოიფიქრე და მომწერე» (ფრაგმენტი 1959 წლის 23 აპრილს ცოლ-შვილისადმი გამოგზავნილი წერილიდან).

მწერალი მეუღლეს იმაშიც არწმუნებდა, თუ მათ ოჯახს რაიმე პრობლემა შეექმნებოდა, დახმარებისათვის უსათუოდ მიემართა ირაკლისათვის, ისიდორესა და თვით ვასილ პავლოვიჩისთვისაც კი.

მაგალითად: 1. «ლელოს» გამოცემები მჭირდება ქართული და რუსული... იქნებ **ირაკლის გადასცე და გამომიგზავნის**» (ფრაგმენტი 1958 წლის 31 დეკემბერს მეუღლისადმი გამოგზავნილი წერილიდან). 2. **«ირაკლის მოვწერე, რომ წიგნების ჰონორარი მოგცენ. ვთხოვე, რომ აკადემიიდან არ გამანთავისუფლონ. ირაკლის უთხარი და წერილის გამოგზავნაზე დაგეხმარება.** იმედი მაქვს, რომ ჩემს ჩამოსვლამდე ყველა დაგეხმარება» (ნაწყვეტი 1959 წლის 18 იანვარს გამოგზავნილი წერილიდან). 3. **«გაზეთის ამონაჭერები გამოვუგზავნე ირაკლის, ისიდორესა და ვასილ პავლოვიჩსაც»** (ფრაგმენტი ერთ-ერთი დაუთარი-ღებელი წერილიდან). 4. **«გამომცემლობის და აკადემიის ამბები რად არ მომწერეთ. ამის შესახებ ისიდორეს და ირაკლის ვწერდი.გამაგებინეთ, რომსაქმისკურსში ვიყო და აქედანვე ზომები მივიღო, სანამ ჩამოვიდოდე»** (1959 წლის 26 მარტი). 5. **«წიგნები, წიგნები გამომიგზავნე ირაკლის საშუალებით.»** 3. **«წიგნებზე, წიგნებზე გთხოვდი ყოველ წერილში. უკანასკნელად ირაკლისაც მივწერე ამის შესახებ და ვასილ პავლოვიჩსაც»** (1959 წლის 24 მაისი). 6. **«ისევ მიმართე ამ საკითხზე (იგულისხმება დახმარება მწერლისათვის საკუთარი ნაწარმოებების გაგზავნაში – ა. ნ.) ირაკლისაც, ისიდორესაც და თუ საჭირო დარჩეს ვასილ პავლოვიჩსაც»** (1959 წლის 24 მაისი). 7. **«უთხარი ირაკლის, ისიდორეს და ვასილ პავლოვიჩსაც, რომ ეს აუცილებელია ჩემი ჩქარა დაბრუნებისათვის»** (1959 წლის 24 მაისი). 8. ეტყობა, სამშობლოში დატოვებული ოჯახისათვის ემიგრაციაში წამოსვლამდე შესაბამისი ორგანოებისაგან დაპირებული ფინანსური დახმარების შეფერხებით შემფოთებული კი ცოლ-შვილს წერდა: **«დღეს რამდენიმე წერილს ვგზავნი თბილისში და მოსკოვში... თქვენ არაფერს მატყობინებთ. მართლა ასე გადაგიწურეს სულ წყალი, თუ საიდანმე რამეს ღებულობთ? მე მაქაურ ხელმძღვანელებს ვწერ ამის შესახებ»** (1959 წლის 15 მაისი).

ვფიქრობ, ალ. ჭეიშვილის წერილებში სახელებით მოხსენიებულ პიროვნებათა ვინაობის დადგენა სულაც არ წარმოადგენს ძნელ საქმეს.

კერძოდ, საეჭვო არ არის ის ფაქტი, რომ ირაკლი ირაკლი აბაშიძეა, საქართველოს მწერალთა კავშირის მაშინდელი პირველი მდივანი, ისიდორე – საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ისიდორე დოლიძე, რომელიც მწერლის ნათესავიც ყოფილა, ვასილ პავლოვიჩი კი ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მუჟანაძე.

ალ. ჭეიშვილი არა მარტო მეუღლეს აფრთხილებდა, ყოველგვარი თავშეკავების გარეშე ეთხოვა ამ ადამიანებისათვის დახმარება მათი ოჯახური პრობლემების მოსაგვარებლად და მისი ნაწარმოებების გამოსაქვეყნებლად, არამედ თავადაც ხშირად ეხმიანებოდა ხოლმე ზემოთ ხსენებულ პიროვნებებს ანალოგიური შინაარსის წერილებით.

იმის დასტურად, ემიგრაციაში დარჩენასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ალ. ჭეიშვილმა ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების დავალებით რომ მიიღო, ზემოთ უკვე ციტირებულ ფრაგმენტებთან ერთად, აქ მის მიერ ცოლ-შვილისათვის გერმანიიდან გამოგზავნილი წერილებიდან ამ ნაწყვეტებსაც დავიმოწმებ:

«ჯანმრთელად ვარ, მაგრამ უთქვენობა ძალიან მაწუხებს. წინა წერილშიც გწერდით, თუ რა მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის ის მიზანი, რომელმაც გადამაწყვეტინა ამდენი ხნით აქეთ წამოსვლა. ამაში არაფერი იყო პირადული და ეგოისტური, პირადი სიამოვნების მოსაზრებით ნაკანახევი... ჩემი აქ ყოფნა და ამდენხანს დარჩენა ოფიციალურად გაფორმდება მოსკოვში საგარეო საქმეთა სამინისტროში. ეს ცოტაოდენ დროს მოითხოვს და როგორმე გულდინჯად და დამშვიდებით შეხვდით ამ ამბავს» (1959 წლის 26 მარტი). 2. «ბევრჯერ მოგწერე, მე აქ სათვალსეიროდ არ დავრჩენილვარ ამდენ ხანს. რა საჭიროა, რომ გავიმეორო, სულიერად მე თქვენზე ნაკლებ არ მიმძიმს და მინდა სანამ ჩამოვიდოდე, აქედან დაგეხმაროთ. ჩვენებსაც ვწერდი ამის შესახებ მწერალთა კავშირში და გამომცემლობებში. კიდევ მივწერ და არა მგონია, რომ სულ მიგატოვონ» (1959 წლის 10 აპრილი). 3. «ალბათ ისევ გულზე სკდები, რომ დავიკარგე. სადაცაა მოვალ. «ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!» ჩემი მდგომარეობა, იმ ბუზის მდგომარეობას ჰგავს, თაფლიან ლამბაქზე ფეხს რომ დადგამს და დაეწებება, წვალებით ამოაძრობს ამ ფეხს და ახლა მეორე ეწებება.» 4. «მე შენი მოგონების გარეშეც ვგრძნობ ჩემს მოვალეობას ოჯახის და ბავშვების წინაშე. ვგრძნობ და მწვავედ განვიცდი. და თუ აქ დავყოვნი და ამდენხანს ვერ წამოვსულვარ, ეს იმიტომ, რომ სხვანაირად გაკეთება არ შემეძლო. მთელი ჩემი ბიოგრაფია, ჩემი წინასწარი მომზადება, მთელი ჩემი ბუნების და ხასიათის მიმართულეა აუცილებელს ხდიდა ჩემს ამ მიმართულებით მუშაობას. ამის გულისათვის ბევრი რამ, ჩემთვის პირადად საამო და სასარგებლო, დამშვიდებული და დალაგებული მუშაობის პირობები, ხელიდან გავუშვი და თქვენც ბევრი ტკივილი მოგაყენეთ. მაგრამ ეს მოხდა ჩემს უნებურად... შენც უნდა იგრძნო ჩემი მდგომარეობა. ტკივილი და სიმძიმე მეც ბევრი მაქვს.»

იმის გათვალისწინებით, რომ ემიგრაციაში დარჩენილი მწერლის მიერ საქართველოში გამოგზავნილ წერილებს მათ ადრესატებზე ადრე აქ შესაბამისი ორგანოების თანამშრომლები წაიკითხავდნენ, თავის ნამდვილ გულისთქმას იგი, ბუნებრივია, ბოლომდე გულწრფელად ვერ გამოხატავდა და უცხოეთში თუნდაც საგანგებო დავალებით გადახვეწის მიუხედავად, სამშობლოში მიმევლად დატოვებულ ცოლ-შვილზე გამუდმებული ფიქრი და დარდი აიძულებდა, მახლობელი ადამიანებისთვის გამოგზავნილ წერილებში ნათქვამი ყოველი სიტყვა განსაკუთრებული სიფრთხილით შეერჩია.

ემიგრაციაში მყოფს კი გულსატკენი და საშფოთველი ძალზე ბევრი რამ ჰქონდა. მათგან უმთავრესი ის იყო, რომ მწერლის ემიგრანტების ამბავს მისი თანამემამულეების დიდი ნაწილი ხელისუფლების ორგანიზებით დადგმულ სპექტაკლად მიიჩნევდა, დანარჩენები კი სამშობლოს ღალატში დებდნენ ბრალს, რის გამოც მის ოჯახთან ურთიერთობას აშკარად არიდებდნენ თავს. ალ. ჭეიშვილის ემიგრანტობის დროინდელი წერილები იმ თვალსაზრისითაც უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მათში ამ ამბით შემფოთებული მწერლის უღრმესი ადამიანური განცდებიცაა გამოხატული.

მაგალითად: «წინადაც გწერდი და ახლაც გწერ, თუ ყველაფერი, რასაც მწერ, მართალია (იგულისხმება მწერალთან დაკავშირებით ხალხში გავრცელებული აზრი სამშობლოს ღალატის თაობაზე – ა. ნ.), მაქ ჩამოსასვლელი პირი აღარა მაქვს. ხალხს თვალში როგორ უნდა შევხედო. საქმე, რომელსაც მე ვემსახურები, დიდი სახალხო და ეროვნული საქმეა; ამისათვის უდიდეს სატანჯველზე წავედი, თქვენ და ჩვენ ხალხს მოვშორდი ამდენი ხნით» (ფრაგმენტი 1959 წლის 30 სექტემბერს მეუღლისადმი გამოგზავნილი წერილიდან).

ან კიდევ: «ჩვენი ხალხი ასე როგორ გამოიცვალა ამ ოთხი თვის განმავლობაში, რომ თავს სრულიად უპატრონოდ გრძნობ და არავინ დახმარების ხელს არ გიწვდის... ჩვენ მწერალთა კავშირს, ლიტფონდს სპეციალური თანხები აქვს საბავშვო დახმარებისთვის, თითო რომ წამოგვტკივებოდა, მაშინ დაგვეხმარებოდა ლიტფონდი და ნუთუ ასეთ ყოფაში, როგორც შენ ხატავ, სრულიად მიგატოვებს?...ან ჩვენმა ნათესავებმა, მეგობრებმა, ნაცნობებმა ნუთუ ასე ხელი აიღეს ჩვენზე, როგორც გურიაში იტყვიან, «ძალის ხორცი გამოიბეს» (ფრაგმენტი 1959 წლის 10 აპრილს მეუღლისადმი გამოგზავნილი წერილიდან).

ემიგრაციაში მყოფი მწერლის ცხოვრებასთან დაკავშირებულ კითხვებზე სწორი და სათანადოდ არგუმენტირებული პასუხის გასაცემად განსაკუთრებით საინტერესოა 1958 წლის 31 დეკემბერს მეუღლისათვის (მწერალი მას ყველგან და ყოველთვის კუტკას მეტსახელით მოიხსენიებს ხოლმე) გამოგზავნილი ქვემოთ დამოწმებული წერილი: «კუტკა, ოქრო, საყვარელო!

შენი წერილი მივიღე და ბევრი ცრემლი დავღვარე. ჩემი «ხომ»-ები ხომ იცი, წიგნის კითხვის დროსაც რომ გული ამიჩუყდებოდა ხოლმე. თქვენზე ძვირფასი მე ვინა მყავს ამ ქვეყანაზე. მე ისეთს რას გავაკეთებ, რომ შენ, გიაკოს და რეზოს (მწერლის შვილები არიან – ა. ნ.), ჩვენს ნათესავეებს და მოკეთებებს, ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენს ქვეყანას, ჩვენს მეგობრებს და ამხანაგებს დამაშოროს, ის ნამუშევარი და პაწია ღვაწლი, რაც მე ჩვენი ხალხისთვის გამიწევია, წაშალოს და გააქარწყლოს (აქაც და ქვემოთაც ხაზგასმა ჩემია – ა. ნ.). რამდენი სიხარული განგვიცდია ერთად, რამდენი წელი ერთად გვიწევია ცხოვრების უღელი. გული იმან მატკინა და თვალეები ცრემლით დამილტო, რომ შენ ერთის წუთით თუნდ ერთის წამით გულში გაივლე, რომ მე შეიძლება თქვენ მიგატოვოთ, ან ისეთი რამ ჩავიდინო, რამაც შეიძლება თქვენგან მომწყვიტოს. ყველაფერი, რაც გავაკეთე, კარგი საქმისთვის გავაკეთე და დარწმუნებული იყავი, ცუდად არ დამთავრდება. შიში ნურაფრის გექნება. აქაც ჩვენი კულტურისათვის ვიღწვი და ჩვენს ოჯახურ ცხოვრებაში არაფერი შეიცვლება. არც აკადემიიდან გამათავისუფლებენ (მე ეს მჯერა) და არც ჩემი წიგნების გამოცემას შეწყვეტენ და თქვენც კარგად და ჯანმრთელად გიხილავთ. გიას წამალი გამოვუგზავნე (როგორც უკვე ვთქვით, მწერლის უფროსი ვაჟი დაბადებიდან იყო ტრამვირებული) – კარგა ბლომად და კიდევ გამოვგზავნი. სხვა რამეებსაც გამოვგზავნი. წერილი რომ მოიწერო, ნომრები და შენი სურვილები ჩაურთე... ომის მძიმე წლებში რა მხნე და გაუტეხავი იყავი და ამ მცირე ხნით ფარ-ხმალს ნუ დაჰყრი. ძალიან შემაწუხა რეზოს ამბავმა, ხელი რომ მოუტეხია. აბა შენ იცი, როგორ მოუვლი, თავსაც და ბავშვებსაც როგორ შემინახავ. გიაკოს რას შვება, ვარჯიშობას თუ განაგრძობს, ლოგოპედთან თუ დადის, როგორ მეცადინეობს. რეზო როგორ სწავლობს? უთხარი იყოჩაღოს და მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ მაგათი საქმე კარგად წავიდეს. გიაზე ბევრს ვფიქრობ და ყველაფერს გავაკეთებ, რომ სულ მთლად გამოჯანმრთელდეს. ხომიცი ჩემი ამბავი, რამეს რომ მოვინდომებ, შევასრულებ კიდევ. რაიმე სხვა საშუალებებსაც გამოვძებნი გიასათვის. გიას უთხარი მხნედ და მარჯვედ იყოს და ნურაფრის ფიქრი ნუ ექნება. რეზო, რეზო არ ჩამორჩეს. ამ წერილს ნაჩქარევად ვწერ და ცოტა მშრალი მეჩვენება. ყველა ნათესავეები დამიკოცნე... გკოცნით ბევრს. აბა თქვენ იცით, რა ყოჩაღად იქნებით.

შენი ალიომა.

«ლელოს» გამოცემები მჭირდება ქართული და რუსული... იქნებ ირაკლის გადასცე და გამომიგზავნის» (ქლმ, ალ. ჭეიშვილის პირადი ფონდი, საქმე №27102).

მიუხედავად იმისა, რომ ემიგრაციაში წასვლიდან სულ მალე ალ. ჭეიშვილი სამშობლოს მოღალატედ გამოაცხადეს და მწერალთა კავშირიდან გარიცხეს, გერმანიიდან გამოგზავნილ წერილებში იგი ამის შესახებ არა თუ არაფერს ამბობდა, არამედ, პირიქით, მეუღლესაც და

სათანადო უწყებათა ხელმძღვანელებსაც დაბეჯითებით თხოვდა, აქტიურად ეზრუნათ მისი ნაწარმოებების გამოქვეყნებასა და მისთვის შესაბამისი ჰონორარის მიცემაზე. მაგალითად: «რჩეულის მეორე ტომი გამოვიდა თუ არა? «ზარია ვოსტოკამ» თუ გამოუშვა ჩემი წიგნები. «მნათობი» თუ განაგრძობს «ოქროსფერი აბლაბუდის» (მწერლის ნაწარმოების სახელწოდება – ა. ნ.) ბეჭდვას» (მეუღლისათვის 1959 წლის 26 მარტს გამოგზავნილი წერილიდან).

პირველი და ყველაზე დიდი სათხოვარი, რომელსაც ალ. ჭეიშვილი გერმანიიდან გამოგზავნილ თითქმის ყველა წერილში იმეორებდა ხაზგასმით და დაბეჯითებით, მისთვის საბჭოთა კავშირში გამოცემული მისი წიგნების გაგზავნა იყო. მაგალითად: «ლელოს» ყველა რუსული და ქართული გამოცემა გამომიგზავნეთ. «რჩეულიც» მჭირდება, ნარკვევების წიგნი, «ვაჟა-ფშაველა»... ირაკლისაც ვწერდი ამის შესახებ, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. იქნებ თქვენ რაიმე გააწყოთ ირაკლის საშუალებით» (1959 წლის 11 მარტს ცოლ-შვილისადმი გამოგზავნილი წერილიდან).

თავისი წიგნების გაგზავნას ალ. ჭეიშვილი ესოდენი დაჟინებით უპირველეს ყოვლისა იმის გამო მოითხოვდა, რომ მისი ნაწარმოებების საფუძვლიან გადაამუშავებას აპირებდა. ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტი ენერგია მას «ლელოს» გადასაკეთებლად დაუხარჯავს. მაგალითად, არგენტინაში მცხოვრებ თავის ბიძაშვილს – ალექსანდრე ჭეიშვილს წერდა: «განუწყვეტლივ ჩემ რომანზე ვმუშაობდი, «ლელოზე.» სულ მთლიანად გარდავქენი და გადავამუშავე, ისე, რომ მეც ვეღარ ვცნობ. ამან წაიღო სულ ჩემი დრო, ენერგია და სახსრები. ჯერაც არ დამისრულებია ეს სამუშაო. მაგრამ კარგი გამოდის, «საიასალო,» გურიაში რომ იტყვიან. ახლო ხანში უნდა დავამთავრო ეს სამუშაო «მშობელთა ჩვენთა სანუგეშოდ, ეკლესიისა და მამულის სასარგებლოდ,» როგორც ასკანაში ვამბობდით ხოლმე «ლოცვაში სწავლის წინ.» ამ რომანისათვის მჭირდება დამატებითი მასალები... სახელდობრ, აკაკი წერეთლის ლექსი «წავალ, სადაც სიღარიბეს ბოროტებად არა თვლიან» (სათაური არ მახსოვს) და «ტანო ტატანო» ბესიკ გაბაშვილისა. იქნებ რაიმე მოგეპოვებოდეთ ქართული ცეკვის შესახებ, რომელსაც უმართებულოდ «ლეკურს» ეძახიან. ილია ზურაბიშვილს აქვს ამის შესახებ წიგნაკი დაწერილი, დათა ჯავრიშვილს («ქართული ცეკვა» ან სხვა რამ. კარგი იქნება, თუ ცეკვის ფირფიტებს გამომიგზავნი, ლეკურს და სხვებს). შენმა გამოგზავნილმა ფირფიტებმა «სული მომიბრუნეს.»

მეორეგან კი წერს: «სხვა, ვწერ და ვამუშავებ ჩემს რომანებს, ვბეჭდავ გაზეთებში. რადიოშიც გადასცეს ბევრჯერ აქ, ფრანკფურტში და ბაზელში. მაგრამ ერთი რამ არის აქ გულსაკლავი და სავალალო. უცხო ერების, სხვა ხალხების ბედ-იღბალი აქ ძალიან გულზე არ ეხატებათ.»

გადასაკეთებელი და არსებითად შესაცვლელი კი მკვეთრად გამოვლენილი პარტიული ტენდენციურობითა და ე. წ. სოციალისტური რეალიზმის იდეოლოგიური პრინციპების ერთგულებით შექმნილ მის

ნაწარმოებებში მართლაც ბევრი რამ იყო. ამგვარი გადაამუშავების შედეგად მწერლის შემოქმედება თუ მთლიანად არა, მნიშვნელოვანწილად განიტვირთებოდა იმ ეპიზოდებისაგან, რომლებშიც მკვეთრად გამოხატული ტენდენციურობით იყო განდიდებული საბჭოური ეპოქალური სინამდვილე.

ამ თვალსაზრისით ალ. ჭეიშვილის ემიგრანტული პერიოდის არქივის მოძიებას უალრესად დიდი მნიშვნელობა ექნება.

თუმცა, ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქვე მხედველობიდან არც ის გარემოება უნდა გამოგვრჩეს, რომ ემიგრაციაში ცხოვრების მიუხედავად, სამშობლოში დატოვებული ცოლ-შვილის შიში მწერლის შემოქმედებით თავისუფლებას მაინც საგრძნობლად ბოჭავდა და იმის შესაძლებლობას არ აძლევდა, ბოლომდე შეუზღუდველად გამოეხატა თავისი ნამდვილი გულისთქმა: «მე თვითონაც აღარ მეჩონდა მეტად წერის უფლება. ეს ჩემს ვაჟიშვილებს სირთულეებს შეუქმნიდაო», – წერდა თავადვე ზემოთ დამოწმებულ წერილში.

იმ დიდი პასუხისმგებლობის დასტურად, რითაც ემიგრაციაში მყოფი მწერალი საკუთარი შემოქმედების სრულსაყოფად გამიზნულ საქმეს ეკიდებოდა, ვფიქრობ, გერმანიიდან მეუღლისადმი გამოგზავნილი ერთ-ერთი წერილიდან ამ ფრაგმენტის დამოწმებაც იქნება საკმარისი: «კარგი რამე რომ გამოვიდეს, მწერალმა ცხრა ტყავი უნდა გაიძროს და ცხრა კოკა ოფლი მოიძინოს. მწერლობის უღელში რომ შეებმები, უნდა გასწიო კიდეც. მკითხველი გიდგას პირისპირ, პრესა და კრიტიკა, მტერი და მოყვარე. ასე სტრიქონ-სტრიქონ დავამუშავე მთელი ტექსტები. მაქრომ ვყოფილიყავ, არავინ მაცლიდა მუშაობას, აქ კი თითქმის ყოველდღე ვმუშაობ 10-12 საათი. ახლა აქედან გამოქცევა და საქმის მიტოვება არ შეიძლება.»

მიუხედავად იმ ობიექტური თუ სუბიექტური წინააღმდეგობებისა, რომლებიც ალ. ჭეიშვილს უცხო ქვეყანაში თვითდამკვიდრების გზაზე ელოებოდა, იგი მაინც ახერხებდა შემოქმედებით ასპარეზზე გზის გაკვალვას და მისი ნაწარმოებები, წერილები და საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებული მასალები დროდადრო იქაურ პრესაშიც იბეჭდებოდა და რადიოშიც გადაიცემოდა ხოლმე. მაგალითად, მეუღლისადმი გამოგზავნილ ერთ-ერთ დაუთარიღებელ წერილში მწერალი წერს: «ორი დღის წინ დიდ ევროპულ გაზეთში **«Die Welt»** გამოქვეყნდა ჩემი წერილი, თითქმის ნახევარი გვერდი «ფიქრები სააფიშე ბოდის წინ,» აქაურ კინემატოგრაფიაზე. ძალიან დიდი გამოძახილი ჰქონდა აქაურ ლიტერატურულ წრეებში. გაზეთის ამონაჭერები გამოვუგზავნე ირაკლის, ისიდორესა და ვასილ პავლოვიჩსაც.»

ემიგრაციაში მყოფ მწერალს იქაურ გამომცემლობათა ხელმძღვანელებთან საკმაოდ აქტიური და წარმატებული მოლაპარაკებები ჰქონია გამართული თავისი წიგნების გამოცემის თაობაზე. «აქაური გამომცემლობები, – წერდა, მაგალითად, იგი მეუღლეს ერთ-ერთ

წერილში, – «ლელოს» გამოცემას მპირდებოდნენ და იმის ანგარიშში ფული მომცეს.» მეორეგან კი აღნიშნავდა: «მე აქაურ გამომცემლობასთან ხელშეკრულება მაქვს დადებული. ამ ხელშეკრულების ანგარიშში ვლდებულობდი ამდენხანს ფულს და ამ ხელშეკრულების პირობები უნდა გავამართლო, უნდა ჩავაბარო ეს წიგნები.»

თუმცა მწერალი იმავდროულად იმის გამოც ხშირად გამოთქვამდა ეჭვს, თავისი წიგნების «სოციალისტური შინაარსის» გამო, იქაურ გამომცემლობებს შესაძლოა, მათი დაბეჭდვისაგანაც რომ შეეკავებინათ თავი. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, იგი მაინც ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დროულად რომ შეესრულებინა და წიგნები გამომცემლობებისათვის შეუფერხებლად წარედგინა. «შეიძლება გამომცემლობამ, – წერდა, მაგალითად, ერთ-ერთ წერილში, – სულაც არ გამოსცეს ეს წიგნები, არ მიიღოს ისინი მათი სოციალისტური შინაარსის გამო, მაგრამ წარდგენით მაინც უნდა წარვადგინო და ამით ჩემი ვალი მოვიხადო. თუ მე წარვადგინე და იმათ უარი თქვეს გამოცემაზე, მე ვალდებული აღარ ვარ, აღებული ჰონორარი უკან დავაბრუნო. მაგრამ ამ ფორმალურ-იურიდიული მხარის შესრულება – წიგნების და თარგმანების წარდგენა აუცილებელია... აქ უპასუხისმგებლოდ ვერ მოვიქცევი და აქ გადაუხდელ ვალებს ვერ დავტოვებ. ეს საბჭოთა მწერლისათვის შეუფერხებელი საქციელი იქნება.»

ალ. ჭეიშვილის ინფორმაციით, ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში იგი «ერთ დიდ გამომცემლობაში კონსულტანტად ყოფილა მიწვეული საბჭოთა ლიტერატურის ხაზით.» გარდა ამისა, დროდადრო, სპეციალური მიწვევებით, საჯარო ლექციებსაც კითხულობდა ხოლმე.

ყველაფერ ამაში მწერალი თურმე იმდენ გასამრჯელოს ღებულობდა, რომ ეს თანხა მას არა მარტო პირადი ცხოვრების ნორმალურად მოსაწყობად ჰყოფნიდა, არამედ სამშობლოში დატოვებული ცოლ-შვილისთვის დახმარების გასაწევადაც. «ამ დღეებში, – წერდა, მაგალითად, მეუღლეს ერთ-ერთ წერილში, – პარიზში მივდივარ. მინდა ის პროფესორი ვნახო (შვილის ექიმს გულისხმობს – ა. ნ.), რომელზეც მოსკოვში და თბილისში მითხრეს.»

ალ. ჭეიშვილის გაემიგრანტებასთან დაკავშირებით საქართველოში იმთავითვე გავრცელებული მოარული ხმების მიხედვით, რისმა ექომ დღემდეც მოაღწია, გერმანიაში საბჭოთა უშიშროების მიერ სპეციალური დავალებით შეგზავნილი მწერლის საიდუმლო გეგმები იქაურმა სამსახურებმა მალევე გამოაშკარავა.

სხვა ფაქტორებთან ერთად, პოლიტიკური თავშესაფრის მაძიებელი მწერლის გულწრფელობაში დასაეჭვებლად გერმანული სპეცსამსახურების თანამშრომლებს ამ კონკრეტულ შემთხვევაში საფუძველს ის ფაქტიც აძლევდათ, რომ ამ ნაბიჯს საბჭოთა ხელისუფლებასთან თუნდაც შინაგანად დაპირისპირებული პიროვნება კი არ დგამდა, არამედ სტალინური პრემიის ლაურეატი; ის მწერალი, რომლის შემოქმედების

თითქმის ერთადერთი თემა საბჭოური სინამდვილის ტენდენციური განდიდება იყო.

მწერლის იქაური მეგობრის, ქალბატონ ევგენია ციტერმანის ინფორმაციით, გერმანიის სპეცსამსახურების წარმომადგენლებში ალ. ჭეიშვილის მიმართ გაჩენილი სწორედ ზემოთ ხაზგასმული ეჭვის შედეგი იყო ის ფაქტი, რომ ემიგრაციაში ცხოვრების მთელი პერიოდის განმავლობაში მწერალს ოფიციალურად იქ ყოფნის «მხოლოდ ორი თვის უფლება ჰქონდა მიცემული და სხვა გარანტია არ გააჩნდა,» რასაც «ნიუნ-ბერგის ფედერალური საუწყებო სამსახური» იმით ხსნიდა, რომ მათთვის საბჭოთა კავშირიდან «მისი გაქცევის მოტივი გაურკვეველი იყო.»

ასე რომ, მიუხედავად დიდი მცდელობისა, «ალ. ჭეიშვილმა მაინც ვერ შეძლო შეემოკლებინა ქვეშევრდომობის მისაღებად განკუთვნილი ვადა. «მშვიდად დაელოდეთო,» – ისევ და ისევ ეუბნებოდნენ. ორჭოფული ცხოვრება, ურთიერთობების მოგვარება, სასტუმროებში ღამის თევა ნთქავდა დამატებით სახსრებს, აბათილებდა ყველა ხარჯსა და ანგარიშს. როდესაც აუცილებელი ხდებოდა ნაცნობებთან ღამის გათევა, ალ. ჭეიშვილი იძულებული იყო აეხსნა მათთვის ამის მიზეზი.»

ყოველივე ზემოთქმული ნამდვილად რომ წარმოადგენს სიმართლეს, ამის დასტურად აქ თავად მწერლის სიტყვებიც მინდა დავიმოწმო: მისი თქმით, «რადგანაც ის მის სამშობლოში პოლიტიკურად დევნილს არ წარმოადგენდა, ამიტომ იგი ლტოლვილისთვის სავალდებულო ნორმებს ვერ აკმაყოფილებდა და თავშესაფარიც არ ეკუთვნოდა.»

გერმანიაში ალ. ჭეიშვილის არასტაბილურად ცხოვრებას ე. ციტერმანი იმ დევნა-შევიწროებითაც ხსნის, რასაც იგი ამ ქვეყანაში გადახვეწის მიუხედავად მაინც განიცდიდა საბჭოთა სპეცსამსახურების მხრიდან. მისი ინფორმაციით, ემიგრანტად ქცეული მწერალი «იძულებული იყო გარესამყაროს გამიჯვნოდა, რადგანაც მის მიერ კეთილი მიზნებით უარყოფილი სამშობლო, ანდა უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, პოლიტიკური სამშობლო თუ «უფროს ძმად» წოდებული ქვეყანა ხან თხოვნით, ხანაც მუქარით არ ასვენებდა: თხოვნით – ოფიციალური გზებით, ხოლო მუქარით – მალულად. უეცარ გაჭირვებაში ჩავარდნილმა ალ. ჭეიშვილმა მთლიანად გაწყვიტა ნათესავებთან ურთიერთობა. იგი იძულებული იყო, ხშირად გამოეცვალა საცხოვრებელი ადგილი, რათა დევნა თავიდან აეცილებინა, მზად იყო ეწერა მოთხოვნები და ეწარმოებინა მოლაპარაკებები, რადგან ფიქრობდა, რომ ამ გზით ააშორებდა დევნას თავის უდანაშაულო ოჯახის წევრებს. მოპირდაპირე მხარემ მისი ეს მცდელობები უნდობლად მიიღო და ახალ-ახალი ეჭვებიც გაჩნდა.»

საკუთრივ საბჭოთა კავშირში კი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების ორგანიზებით, ემიგრაციაში დარჩენილი მწერლის მიმართ მკაცრი სადამსჯელო ღონისძიებანი იქნა გატარებული. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, ალ. ჭეიშვილმა ეს ნაბიჯი მართლაც

საკუთარი ნებით გადადგა, თუ სპეცორგანოების დავალებით. ამგვარი სადამსჯელო ზომების მიღება ორივე შემთხვევაში იყო აუცილებელი: თუ მწერალმა მართლაც თავისი ნებით დატოვა საბჭოთა კავშირი, იმჟამინდელი ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, მისი ამგვარი ქმედების სათანადო რეაგირების გარეშე დატოვება, რასაკვირველია, ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა; მაგრამ თუ იგი საბჭოთა ქვეყნის მესვეურთა მიერ ჩვენს საშიშ მტრად და იდეოლოგიურად მოწინააღმდეგე სახელმწიფოში თავად მათგან შეგზავნილ აგენტს წარმოადგენდა, ამგვარი რამის გაკეთება მით უფრო იყო აუცილებელი ამ ამბის შესანიღბად.

და მართლაც, ემიგრაციაში მწერლის დარჩენიდან თვენახევრის შემდეგ, 1959 წლის 7 იანვარს, საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით, ალ. ჭეიშვილი ერთხმად იქნა გარიცხული მწერალთა კავშირიდან. აი, ხსენებული დოკუმენტიც: «ამონაწერი ოქმიდან №1.

საქართველოს მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომისა. 1959 წლის 7 იანვარი.

თავმჯდომარე ირ. აბაშიძე, მდივანი ირ. ქავჭარაძე.

**მოისმინეს:** მწერალ ალ. ჭეიშვილის შესახებ.

**დაადგინეს:** მწერალი ალექსანდრე ნიკოლოზისძე ჭეიშვილი, როგორც სამშობლოს მოღალატე, გარიცხულ იქნას მწერალთა კავშირის რიგებიდან.

ამონაწერი სწორია. საქმეთა მმართველი ირ. ქავჭარაძე» (ქლმ, ალ. ჭეიშვილის პირადი ფონდი, საქმე №27106).

მიუხედავად მწერალთა კავშირის მესვეურთა მიერ ოფიციალურ დონეზე მიღებული ამ გადაწყვეტილებისა, რაც, ცხადია, ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოხდებოდა თვითინიციატივით, ხელისუფლებისგან გაცემული დირექტივის გარეშე, მაშინდელ პრესაში ამასთან დაკავშირებით არავითარი ინფორმაცია არ გამოქვეყნებულა, მათ შორის არც ხსენებული დადგენილების მიღებიდან 12 დღის შემდეგ, 1959 წლის 19 იანვარს, გამართულ ქართველ მწერალთა მეხუთე ყრილობის მასალებშიც.

დასავლეთ გერმანიაში საცხოვრებლად დარჩენილმა მწერალმა ფაქტობრივად ხანგრძლივი დროით ერთ ადგილზე დამკვიდრება ვერ შეძლო, რის გამოც გამუდმებით დაეხეტებოდა ქალაქიდან ქალაქში. კერძოდ, სხვადასხვა დროს მას უცხოვრია გერმანიის ისეთ ქალაქებში, როგორებიცაა: ბონი, ფრანკფურტი, მიუნხენი, კიოლნი, ვისბადენი, ანსბახი, ჰამბურგი, ნიუნბერგი...

ცხოვრების ბოლო პერიოდი კი ალ. ჭეიშვილმა ქალაქებში: ესენსა და ალსფელდში გაატარა. მწერლის ვაჟის – რეზოს ინფორმაციით, აქ მას ახლო მეგობრული ურთიერთობა დაუმყარებია იქაურ რუსული ენის მასწავლებელთან, ზემოთ უკვე არაერთგზის მოხსენიებულ ევგენია ციტერმანთან, რომელსაც რუსული ენის უფრო ღრმად და სა-

ფუძვლიანად შესწავლაში უწევდა დახმარებას. მათ მეგობრულ სიახლოვეს ის ფაქტიც უწყობდა ხელს, რომ ევგენია დაუოჯახებელი იყო და მარტო ცხოვრობდა.

როგორც ევგენია ციტერმანის მიერ დაწერილი ნეკროლოგიდან ირკვევა, მიუხედავად გერმანული სპეცსამსახურების თანამშრომლებთან ურთიერთობის დროს წარმოქმნილი გარკვეული წინააღმდეგობებისა, ალ. ჭეიშვილმა მაინც შეძლო მის წინაშე არსებულ დაბრკოლებათა მეტნაკლებად დაძლევა და ლიტერატურული საზოგადოების ყურადღების მიპყრობა. მწერლის გერმანელი მეგობრის თქმით, «მისმა პუბლიცისტურმა და მხატვრულმა ნაწარმოებებმა აღიარება ჰპოვეს. მას ახლა უკვე თავისუფლად შეეძლო მშვიდად დალოდებოდა თავისი უკანასკნელი რომანის გადამუშავებულ გამოცემას, რომელშიც იგი ყველაფერს ისე გადმოსცემდა, როგორც მას ახლაც და ადრეც სწამდა.»

სამწუხაროდ, ნაადრევი გარდაცვალების გამო, ალ. ჭეიშვილს თავისი შემოქმედებითი გეგმების განხორციელება არ დასცალდა. 1962 წლის 6 სექტემბერს ქალაქ ალსფელდში 59 წლის ასაკში გულის ინფარქტით გარდაცვლილი მწერალი მისმა იქაურმა მეგობარმა და ფაქტობრივად ერთადერთმა ჭირისუფალმა ევგენია ციტერმანმა იქვე მიაზარა მიწას, მისი ხელნაწერები კი საკუთარ არქივში შეინახა. ალ. ჭეიშვილის შვილის – რეზოს თქმით, მწერლის გარდაცვალებიდან თითქმის ერთი წლის გასვლის შემდეგ, 1963 წლის 1 აგვისტოს, ქალბატონ ევგენიას მათი ოჯახისთვის პირადად გამოუგზავნია მის მიერ დაწერილი და ზემოთ უკვე არაერთგზის მოხსენიებული ვრცელი (19 გვერდიანი) ნეკროლოგი, რომელშიც დაწვრილებითაა მოთხრობილი ალ. ჭეიშვილის მოღვაწეობის ამბავი.

მეგობარი მწერლის ტრაგიკული აღსასრულითა და პიროვნული ხვედრით გულნატკენი ქალბატონი ნეკროლოგის ბოლოს იმედს გამოთქვამდა, რომ «დასავლეთში ხელახლა შექმნილი თავისი ნაწარმოებების წყალობით ადამიანები ოდნავ მაინც ლმობიერი თვალით შეხედავდნენ ალ. ჭეიშვილის საქციელს და ეს ნაწარმოებები გაამართლებდნენ მას სამშობლოსა და იმ ადამიანების წინაშე, რომელთაც მან დაუამებელი ტკივილი მიაყენა.»

სავარაუდოდ აწ უკვე გარდაცვლილი ევგენია ციტერმანის პირადი არქივი, სადაც ალ. ჭეიშვილის მასალებიც უნდა ინახებოდეს, დღეისათვის გერმანიის ქალაქ აახენში მცხოვრები მისი ძმისშვილის – ლოტარ მოდელის ოჯახში ყოფილა დაცული. მწერლის შვილის – რეზო ჭეიშვილის თქმით, ყოველივე ზემოთქმულის შესახებ ინფორმაცია მისთვის ამჯერად ევგენიას ძმისშვილს მიუწოდებია ტელეფონით.

გარდა ცოლ-შვილისადმი გამოგზავნილი წერილებისა, გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში არგენტინაში, ქალაქ Bზუენოს-აირესში, მცხოვრები ბიძაშვილის, ემიგრანტი მწერლის – აკაკი პაპავას სიძისადმი – საშა (ალექსანდრე) ჭეიშვილისადმი ალექსანდრე

ჭიშვილის მიერ გაგზავნილი სამი წერილიცაა დაცული. ხსენებული წერილებისადმი ინტერესს პირველ ყოვლისა ის ფაქტი განსაზღვრავს, რომ განსხვავებით საქართველოში გამოგზავნილი ბარათებისაგან, რომლებშიც ავტორი ხაზგასმული სიფრთხილით ეკიდებოდა თავისი მოსაზრებების გამოთქმას, საკუთარი გულისნადების გამოხატვის დროს იგიამჯერად გაცილებით მეტ თავისუფლებას იჩენდა. მწერლის შვილის – რეზო ჭიშვილის ინფორმაციით, ხსენებული წერილები საქართველოში ა. პაპავას ქალიშვილს ჩამოუტანია და გადაუცია მათი ოჯახისთვის.

ალექსანდრე (მწერალი მას ყველგან საშას სახელით მოიხსენიებს) ჭიშვილისადმი გაგზავნილი წერილებიდან ჩვენთვის ცნობილი პირველი ბარათი 1959 წლის 22 სექტემბრით თარიღდება, მეორე – 1962 წლის 25 მაისით; მესამე, მართალია, უთარიღოა, მაგრამ წერილის შინაარსიდან ნათლად ჩანს, რომ ისიც 1962 წელს უნდა იყოს დაწერილი.

როგორც ხსენებული ბარათებიდან ირკვევა (მაგალითად, «რამდენი ხანია წერილი არ მომიწერია»), ალ. ჭიშვილს მის გაარგენტინებულ ბიძაშვილთან საკმაოდ ინტენსიური მიმოწერა ჰქონია გამართული. საშას მწერალთან წერილობითი კავშირის დამყარება პირველად 1930 წელს უცდია, ბერლინში მისი სწავლის პერიოდში. მაგრამ იმის შიშით, რომ ეს ამბავი შეიძლებოდა გახმაურებულიყო და საბჭოთა სპეცსამსახურების თანამშრომელთა ყურამდეც მისულიყო, მწერალს საპასუხო წერილის გაგზავნისაგან მაშინ შეგნებულად შეუკავებია თავი.

აი, რას წერს იგი თავისი ბიძაშვილისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით: «1930 წელს რომ ჩამოვედი ბერლინში, ჯერ მაშინაც მომწერე... მაშინ დარჩენას არ ვაპირებდი და გული დამწყდა, რომ ვერ გიპასუხე. არასოდეს დამვიწყებია ის წერილი, თითქოს ვალად მედო, მქენჯნიდა.»

საშა ჭიშვილისადმი მწერლის მიერ გაგზავნილი წერილებისადმი ინტერესს ისიც ზრდის, რომ მკითხველს მათი მეშვეობით მწერლის ემიგრანტულ ცხოვრებასთან დაკავშირებითაც შეუძლია მიიღოს ახალი, დაზუსტებული ინფორმაცია.

კერძოდ, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ემიგრაციაში დარჩენილ მწერალს საკმაოდ დიდი წინააღმდეგობების დაძლევა დაჭირვებია საიმისოდ, ხელისუფლებისაგან გერმანიაში ლეგალურად ცხოვრების ნებართვა რომ მიეღო. მისივე თქმით, ამ უფლების მოსაპოვებლად მას «თითქმის ორი წელი უბრძოლია» და ხსენებული მიზნისაკენ «დიდის ჭაპან-წყვეტითა და «ვაი-უშველებელით» მავალს, მხოლოდ ისეთი ადამიანების აქტიური დახმარებით მოუხერხებია ამ საქმის მოგვარება, როგორებიც «პროფ. კარლ შმიტი, ბუნდესტაგის თავმჯდომარის მოადგილე და მისთანანი» იყვნენ.

მოუხედავად ამგვარი სირთულეებისა, ემიგრაციაში მყოფი მწერალი ეკონომიკურად თურმე მაინც იმდენად შეძლებულად ცხოვრობდა, რომ არა მარტო გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში ახერხებდა მოგზაურობას, არამედ საფრანგეთსა და ინგლისშიც (მაგალითად: «ორჯერ პარიზში ვიყავი, ორჯერ აქაურ აგარაკზე»).

ემიგრანტობის პერიოდში ალ. ჭეიშვილს, მისივე თქმით, არა მარტო «გერმანელ ინტელიგენტებს შორის შეუძენია ბევრი მეგობრები,» არამედ გერმანიასა და საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებთანაც ჰქონია ხშირი «მისვლა-მოსვლა და მიმოწერა.»

ემიგრაციაში ცხოვრების პერიოდში ალ. ჭეიშვილის შემოქმედება არაერთგზის ქცეულა როგორც გერმანული, ისე სხვა ქვეყნების პრესისა და რადიოს დაინტერესების საგნად. მაგალითად, «ამას წინათ, – წერს მწერალი ერთგან, – ინგლისური რადიო BBC-დან მივიღე მოწვევა მოხსენებისათვის. მაგრამ არ ვიცი, როდის მოვახერხებ წასვლას. იმათი ჰონორარი ისეთი ცოტაა – გზას და იქ ყოფნის ხარჯს არ დაფარავს. 26 აპრილს აქ ლიტერატურული სადამო მოვაწყვე – მოხსენება საქართველოზე და ერთი ჩემი ნოველის კითხვა. ძალიან კარგად ჩაიარა. გაზეთის ცნობას გიგზავნი. 29 იანვარს 1962 წელს „Hessische Rundfunk“ გადაცემა იყო ჩემი რომანიდან. საქართველოს ცხოვრების აკრძალულ პრობლემებს ეხებოდა და რადიოს ბევრი წერილი და გამოძახილი მიუვიდა. რადიოს ლიტერატურული სადამოები სხვა ადგილებშიც არის დანიშნული. ორი ნოველა გაზეთში იბეჭდება ახლო ხანში.»

საშა ჭეიშვილისადმი გაგზავნილი წერილებისადმი ინტერესს ისიც ზრდის, რომ მწერალი იმ შემზღუდველ დამოკიდებულებაზეც გვიქმნის წარმოდგენას, რომელიც საბჭოთა კავშირში არსებული სახელისუფლებო რეჟიმის გამო იყო გადაულახავ ბარიერად აღმართული მასა და საქართველოში დარჩენილ მის მახლობელ ადამიანებს შორის. აი, რას წერდა ამ ამბით შეწუხებული მწერალი ამასთან დაკავშირებით მის გაარგენტიზებულ ნათესავს ბუენოს-აირესში: «თუ ვინმე ჩამოვიდა და რამე გაიგე თბილისზე, ჩვენებზე, მომწერე. წერილებს ვღებულობ სახლიდან, მაგრამ «მერდინში» გაცრილს გვანან. ხომ გახსოვს მერდინი რას ქვიოდა (ძალიან თხელ და წმინდა საცერს, სატკბილისკვერე ფქვილს რომ გაცრიდნენ).»

ალ. ჭეიშვილის ემიგრანტობის დროინდელი ბარათების დათარიღებიდან ისიც ირკვევა, მწერალს მის მახლობელ ადამიანებთან წერილობითი კონტაქტი გარდაცვალებამდე რომ არ გაუწყვეტია. მართალია, ამ მიმოწერის ინტენსივობა ბოლო პერიოდში საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ საამისო შესაძლებლობა მას, ეტყობა, ბოლო დრომდე ჰქონდა შენარჩუნებული. ეს რომ მართლაც ასე იყო, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ჩვენთვის ცნობილი უკანასკნელი წერილი საქართველოში მას 1962 წლის 25 მაისს გამოუგზავნია, გარდაცვალებამდე სამ თვეზე ცოტა მეტი ხნით ადრე.

როგორც მკითხველი ალექსანდრე ჭეიშვილის ემიგრანტული პერიოდის ცხოვრებასთან და შემოქმედებასთან დაკავშირებული საარქივო მასალების წინამდებარე ანალიზითაც დარწმუნდება, ამ მიმართულებით არსებული წერილობითი დოკუმენტების უდიდესი ნაწილი სამომავლოდაა მოსაძიებელი.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. არამილევნი ი. რომანი ხუთწლეულის ადამიანებზე, გაზ. «კომსომოლსკაია პრავდა» 1949 წ. №56.
2. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი, ალ. ჭეიშვილის პირადი ფონდი, საქმეები №22683-6, 27102.
3. ნაკაშიძე მ. იქნებ მართლა ბედისწერა იყო, ინტერვიუ ალ. ჭეიშვილის მეუღლესთან, ჟურნ. «საქართველოს ქალი», 1991 წ. №5.
4. ნატროშვილი გ. წიგნი შრომის რომანტიკაზე, გაზ. «ლიტერატურა და ხელოვნება», 1947 წ. 16 თებერვალი.
5. ნატროშვილი გ. სამშობლოს მიწაწყალზე, «ლიტერატურული გაზეთი», 1956 წ. 9 მარტი.
6. ტაბიძე გ. სარქივო გამოცემა ოცდახუთ წიგნად, ტ. 21, 2008 წ.
7. ჭეიშვილი ა. რჩეული, თბ. 1957 წ.
8. ჭეიშვილი ა. კრიტიკული წერილები, 1948 წ.
9. ჭეიშვილი ა. ნარკვევები, წერილები, 1955 წ.
10. ჭეიშვილი ა. შეხვედრა კობტაგორაზე, 1955 წ.
11. ჭეიშვილი ა. საერთო ენა, გაზ. «კომუნისტი», 1958 წ. 25 მაისი.
12. ჭილაია ს. რომანი საკოლმეურნეო სოფელზე, გაზ. «კომუნისტი», 1957 წ. 12 სექტემბერი.

AVTANDIL NIKOLEISHVILI

### THE CREATIVE PATH OF ALEKSANDR CHEISHVILI

#### Summary

A number of issues related to the life of Aleksandr Cheishvili (1903-1962), as one of the famous representatives of Georgian literature of the Soviet period, have not yet been properly studied. This circumstance was essentially due to the fact that he spent the last years of his life in emigration and little is known about his life at that time. The most important example of his work during his work in Georgia was the novel "Lelo" (1938). Written based on the ideological principles of socialist realism, this novel reflected the process of establishing collective farms in rural areas from a Soviet ideological perspective. The aforementioned novel brought the writer great creative success both in Georgia and throughout the Soviet Union. For his active service to Soviet ideology, Aleksandre Cheishvili was a person highly valued by the authorities of that time. In particular, he was awarded a number of prizes and enjoyed unlimited travel rights abroad, including to capitalist countries. In 1958, he once again took advantage of this privilege and traveled to the Federal Republic of Germany on a tourist visa. But he never returned and spent the rest of his life in this country. Nevertheless, we cannot say with certainty that by making this decision, Aleksandre Cheishvili escaped the Soviet regime or was sent by this govern-

ment as a secret agent to the Federal Republic of Germany. The basis for such suspicion is provided by his numerous letters sent from Germany to Georgia, the recipients of which were high-ranking officials of the Soviet government at that time. Therefore, we actually have doubts about whether he was sent by the government as an agent of the Soviet Union. The letters preserved in the Giorgi Leonidze Museum of Georgian Literature, which the writer sent from Germany to high-ranking officials of the Georgian government, reinforce the idea that Aleksandre Cheishvili's departure for emigration was not his personal decision and that he took this step on the instructions of the Soviet government.

## ელენე ჯაველიძე

### ორეულების ჰერმენევტიკა ორჰან ფამუქის რომანში „შავი წიგნი“

ორჰან ფამუქის „შავი წიგნი“ თანამედროვე თურქული მწერლობის გამორჩეული ნიმუშია. ტექსტში თხრობის მხატვრული მრავალფეროვნება ემყარება ფარდობით და ამბივალენტურ კავშირებს, ავტორის მიერ რომანში შეგნებულად მოთავსებული „გამოცანები“ ორაზროვან ატმოსფეროს აყალიბებს, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ „შავი წიგნი“ სავსეა ამოუხსნელი გაუგებრობებით. ეს ვითარება გამოწვეულია პოსტმოდერნისტული რომანის განსხვავებული სტრუქტურული თავისებურებებით, რომლებშიც ტრადიციული რომანის მკაცრად ორგანიზებული „შემთხვევითი“ ერთეულები არარელევანტურია. პოსტმოდერნიზმში ყოფიერების უნივერსალური პოზიტიური მნიშვნელობის პოვნის ნებისმიერი მცდელობა წარუმატებელია. ამ სამყაროს არ გააჩნია მკაცრი სისტემურობა, იერარქიულობა, ღირებულებითი კრიტერიუმები და გამოხატავს, როგორც იულია კრისტევა იტყოდა, „ეპისტემოლოგიურ კრიზისს“. ამ სტრუქტურების ადგილი ცარიელია. ოღონდ, ეს არ არის ეგზისტენციალისტების აბსოლუტური სიცარიელე, არამედ ემყარება ფარდობითობას, რომელიც მუდმივად მრავლდება, ანარეკლების ანარეკლებს იძლევა, ისეთ უკიდურესობამდე, ბოდრიარი „სიმულაკრას“ რომ უწოდებს. დოუვე ფოკემას მიერ შესწავლილი პოსტმოდერნიზმის სემანტიკური და ლინგვისტური თავისებურებები და ნონ-სელექციის გამოვლენილი აქცენტი გვიჩვენებს მულტიკულტურალისტურ ხედვას, რომელიც ეფუძნება მრავალპოლარული სამყაროს ყველა შემადგენელი ელემენტის თანაბარ ალბათობასა და ეკვივალენტურობას. პოსტმოდერნიზმი შეგნებულად ეწინააღმდეგება მოდერნიზმის იერარქიული სტრუქტურების ღრმა მნიშვნელობებისა და ერთიანი „ავთენტური ხმის“ იდეას (Fokkema, 1986:81-96). თანამედროვე რომანი უპირატესობას ანიჭებს სტრუქტურასა და ფორმას და არა - ისტორიას. „ეს არის იმ ეპოქის ლიტერატურა, რომელშიც ორკესტი, შექმნილი ბაროკოს მუსიკისათვის, უკრავს ბითლსს“ (Ecevit, 2008: 26). „შავ წიგნი“ ქრონოლოგიური თხრობა დარღვეულია და წინა პლანზე გამოდის ფრაგმენტაციის ტექნიკა. პოსტმოდერნიზმი ტრადიციული კულტურის ბინარულ და იერარქიულ წესრიგს უფრო რთულ, მაგრამ ასევე ნაკლებად

სტაბილურ სიმბოლური ორგანიზაციის ფორმებად აყალიბებს, რაც ქმნის დინამიკურ, არაიერარქიულ, არასტაბილურ, ჰიბრიდულ, ღიად წინააღმდეგობრივ და თვითრეფლექსულ წესრიგს, რომელიც აგებულია აღმნიშვნელთა თამაშზე და გაერთიანებულია „ტრანსცენდენტული აღმნიშვნელების“, როგორც რეპრესიის გარდაუვალი წყაროს უარყოფაზე“ (Липовецкий 2008: 167). პოსტმოდერნიზმი ტრადიციებსა და კანონებს უარყოფს, თუმცა არ უგულვებელყოფს დოპელგენგერის დუალისტურ ფენომენს.

დოპელგენგერის ჰერმენევტიკა ორჰან ფამუქის რომანში განიხილება ორი ძირითადი პოზიციიდან - როგორც დიაქრონულად, ასევე სინქრონულად; ონტოლოგიურ და აქსიოლოგიურ ჭრილში, რათა ეს ფენომენი დავინახოთ რეალობის სპეციფიკური აღქმის ფორმატში, ასევე კოსმოლოგიური ფასეულობების თვალსაზრისით, რომელიც გამოკვეთილია პოსტმოდერნიზმის მეტაფიზიკაში და მთლიანობაში მწერლის მხატვრული ცნობიერების პარადიგმას წარმოაჩენს. კვლევის მიზანი „შავ წიგნში“ დოპელგენგერის მოტივის, როგორც ნაწარმოების უმნიშვნელოვანესი ფიგურალური სისტემის ელემენტის გამოვლენაა. შესაბამისად, ამოცანებია: ნაწარმოების პერსონაჟთა სისტემაში ორეულის ფენომენის გამოკვეთა, სიუჟეტის განვითარებაში მისი მნიშვნელობის შესწავლა, წიგნის მხატვრული სივრცის შექმნაში ორობის და ორმაგი სამყაროს როლის გარკვევა.

ორეულის არქეტიპი სათავეს არქაულ მითში იღებს. მისი ფესვები როგორც ე.წ. „ტყუპების მითებში“, ასევე უძველეს „დემიურგ-ტრიქსტერის“ კომპლექსშია. ორეულის მხატვრული სტრუქტურის ფარგლებში ლიტერატურა ითვისებს რეალობას, აკავშირებს მას სიკვდილ/სიცოცხლის უნივერსალურ ოპოზიციასთან. თითქმის ყველა სიუჟეტი, რომლებშიც ორეულია წარმოდგენილი დაკავშირებულია სიკვდილის თემასთან, შეიძლება იყოს პირველადი მოტივი ან ფონი. ფამუქთან მიტოვება, გადამალვა წინ უძღვის სიკვდილს - მკვლელობას. მწერლობაში დოპელგენგერის გენეზისის ბიფურკაციის წერტილი რომანტიზმია. ჯონ ჰერდმანის ხედვით, ორეული, როგორც ლიტერატურული ხერხი, გერმანიაში ყალიბდება (Herdman, 1990:27), ტერმინიც გერმანული წარმოშობისაა. რომანტიზმში უფსკრული იდეალსა და არსებულს შორის გამოკვეთს მწერლების შემოქმედებით პოზიციას, მათთვის, ასე ვთქვათ, „პოზიტიური სიგიჟის“, „ჰამლეტის ფსიქიკურ მდგომარეობასთან მიახლოება“ ბუნებრივია. საერთოდ, გმირისთვის ორეულთან შეხვედრა ტრაგიკულად მთავრდება, თუმცა, მისი სულის უცნობ სამყაროში ჩახედვისა და საკუთარი ცნობიერების კრიზისიდან გამოსავლის ძიების ინსტრუმენტია.

ორეულის მოტივი მკვეთრად არის გამოკვეთილი ფიოდორ დოსტოევსკის „ორეულში“, ედგარ პოს „ვილიამ ვილსონში“, რობერტ ლუის სტივენსონის „დოქტორ ჯეკილისა დ მისტერ ჰაიდის უცნაურ ამბავში“,

ფაუსტის თემა ჟღერს ოსკარ უაილდის „დორიან გრეის პორტრეტში“, რომანს ფილოსოფიური ზღაპრის (conte philosophique) ჟღერადობა აქვს. მოგვიანებით, ორეულის მოტივი ხდება ერთ-ერთი მთავარი ელემენტი მოდერნისტი მწერლების შემოქმედებაში და ასახავს მოდერნისტულ შფოთვას იდენტობისა და რეალობის გახლეჩილი ბუნების გამო. მაღალ მოდერნიზმში ჯეიმს ჯოისთან და ვირჯინია ვულფთან ფსიქოლოგიური ორეულის სახეს იძენს, გვიჩვენებს შინაგანი „მე“-ს ფარულ ასპექტებს და ამჟღავნებს სარკისებურ ცნობიერებას, რასაც „მისის დელოუეში“ ადასტურებს კლარისა დელოუეის კავშირი სეპტიმუს სმიტთან (მიჩქმალული, რეპრესირებული „მე“), ხოლო ჯეიმს ჯოისი ორეულებს თემატური ერთიანობისა და შინაგანი ფრაგმენტაციისთვის იყენებს სტივენ დედალუსისა და ლეოპოლდ ბლუმის სახით „ულისეში“. ზოგიერთი მეცნიერი ვულფსა და ჯოისს ერთმანეთის ლიტერატურულ ორეულებადაც კი მიიჩნევს. დუალიზმი მოდერნიზმსა და პოსტმოდერნიზმში მნიშვნელოვანი მოტივია და ადამიანის რეალობისგან გაუცხოებას ემსახურება, თუმცა განსხვავებულად არის ინტერპრეტირებული: მოდერნიზმში ის გვიჩვენებს შინაგან დაყოფას, იდენტობის ძიებას და ფორმის ექსპერიმენტებს (ამ სიაში შეიძლება განვიხილოთ ჰერმან ჰესეს „ტრამალის მგელი“; რობერტ მუზილის „უთვისებო კაცი“; ვლადიმერ ნაბოკოვის „მოთვალთვალე“ და სხვ.). ხშირად ორეულის მოტივი გამოყენებულია აპოლონური და დიონისური საწყისების, მარტოობისა და სიკვდილის თემატურ ასახვაში. პოსტმოდერნიზმში ორეულის მოტივი კიდევ უფრო იცვლება, ხდება იდენტობის მთლიანობის დემონტაჟი, წარმოაჩენს დეცენტრირებულ „მე“-ს, დაუსრულებელ გაორებას, კულტურულ ასლებს და რეალობის არასტაბილურობას, გვიჩვენებს სუბიექტის დეკონსტრუქციას დანაწევრებულ სამყაროში. პოსტმოდერნიზმის ესთეტიკაში თამამისტილიზაცია „რეალურსა“ და „ხელოვნურს“ შორის საზღვრებს შლის და გამოიხატება „ჭეშმარიტებისა“ და „დიდი ნარატივების“ მიმართ კატეგორიული უნდობლობით, ისტორიის მიმართ ირონიული დამოკიდებულებით (ისე, როგორც ჟან-ფრანსუა ლიოტარის მოსწავლეს შემვენის).

„შავი წიგნი“ ორჰან ფამუქის მეოთხე რომანია. ჩარჩო თხრობის ხაზი ამგვარია: ერთ დღეს გალიფი აღმოაჩენს, რომ ის ცოლმა, რუიამ (სახელი ნიშნავს სიზმარს, ოცნებას) მიატოვა. რუიას მიერ დატოვებულ ცხრამეტისტყვიან წერილში არ ჩანს, სად და რატომ წავიდა იგი სახლიდან. გალიფი ბოლოს ხვდება, რომ რუია შეიძლება იყოს მის ნახევარძმა ჟურნალისტი, ჯელალ სალიქთან, რომელსაც მეხსიერების პრობლემა აქვს. ჯელალის ცნობილი ესეისტია და ძალიან პოპულარულია სტამბოლში. ის ოჯახის წევრებსაც კი არ უმხელს თავის საცხოვრებელ ადგილს (მას აქვს რამდენიმე ბინა სტამბოლში). გალიფი გადაწყვეტს მოძებნოს მინიშნებები ჯელალის წერილებში. იგი აგნებს ჯელალის ბინას იმ სახლში, რომელიც ადრე მათ ოჯახს ეკუთვნოდა, მალულად

სახლდება იქ, იწყებს ჯელალის ტანსაცმლის ტარებას, პასუხობს ტელეფონს, როგორც ჯელალი და საბოლოოდ წერს წერილებს ჯელალის სახელით. ფამუქის პერსონაჟთა სახელების დაშიფრული, კოდირებული სემანტიკა კვლევის საგანი ხდება (Ever, 1992: 115-127).

დოპელგენგერის ტიპოლოგიაში ყველაზე პროდუქტიული „ანტაგონისტური დუბლია“. გარკვეული გაგებით, სწორედ ანტაგონისტების სტრუქტურა განასახიერებდა რომანტიკული დუალიზმის პრინციპს. პოსტმოდერნიზმის კულტურაში ანტაგონისტური ორეულების, ისევე როგორც ორეულის ყველა სხვა ტიპის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მახასიათებელი **საერთო ფესვების** არსებობაა. დუბლები ყველაზე ხშირად წარმოდგენილია ძმების სახით, ფამუქთან - ბიძაშვილებით. თანამედროვე ლიტერატურაშიც ანტაგონისტი დუბლის ტიპი ხშირად გამოკვეთს ნათელი და ბნელი საწყისების ჭიდილს, თანაც ამ დუბლების ბინარული სტრუქტურა მკვეთრად კონტრასტულია. ამგვარი დიალექტიკის წარმოჩენა მწერალს აძლევს საშუალებას გამოკვეთოს დიამეტრულად განსხვავებული მიმართებები. ეს კი ცხადყოფს, რომ დუბლის ეს ტიპი უფრო აქტუალურია, ვიდრე „ტყუპები“ და „კარნავალური დუბლები“. ანტაგონისტური დუბლის დიქოტომიური სტრუქტურა აშკარად ჩანს ორჰან ფამუქის რომანში, რადგან წარმოდგენილი ორეული იყოფა კეთილ და ბოროტ არსებად (სტივენსონის დოქტორ ჯეკილისა და მისტერ ჰაიდის დიქოტომიის მსგავსად, ოღონდ იქ ერთ ადამიანს ორი სახე აქვს). „შავ წიგნში“ გალიფი არის ნათელი, კეთილშობილი 33 წლის ადვოკატი, ხოლო მიხანტროპი ჯელალი შავბნელი, დაუნდობელი არსებაა. კეთილისა და ბოროტის ამ მარტივ სემანტიკაში ჯელალის ნეგატიური სტატუსი ტრადიციული ფორმით არის წარმოდგენილი და ხასიათდება მარტოობით, ასოციალურობით, დისკრიმინირებული სტატუსით, „დაბალი“ წარმომავლობით (მისი მშობლები დამორდნენ, ის გაჭირვებაში გაიზარდა, მისი ბინა, მათი დიდი ოჯახის საერთო სახლში, სტამბოლში დაბრუნებულმა მამამ მითვისა). ბრუს რობინსთან ინტერვიუში ორჰან ფამუქი აღნიშნავს, რომ „ჯელალის სახე ძალიან ბევრი თურქული გაზეთის მიმომხილველზეა დაფუძნებული (...) მიმომხილველები ბევრს წერენ, ძალზე ცნობადები არიან და ძალაუფლება აქვთ. ისინი სპეციალისტები არ არიან; ისინი ყველაფრის პროფესორები არიან“ (Robbins, 2016).

ნებისმიერი ჟანრი, რომელშიც ანტაგონისტური ორეულები გვხვდება, სიუჟეტსა და სტრუქტურაში შინაგან კონფლიქტსა და ბრძოლას მოიცავს. ამ ტიპის ორეულში არსებული დამაბულობა და შინაგანი კონფლიქტი მიმზიდველია პოსტმოდერნიზმის მეტაფიზიკური დექტეტივისთვის. გოთიკური ელემენტების გამოყენებით მწერალი ჯელალისგან ერთგვარ ტრიქსტერს ქმნის: „გალიფს მოაგონდა, როგორ საუბრობდა ჯელალი ერთ სადამოს იმაზე, თუ რა იყო საჭირო ე.წ. **„ცრუ ჯელალის“** შესაქმნელად (ჩემს მეხსიერებას უნდა დაეპატრონოსო, -

ამბობდა მაშინ ჯელალი, ძილმორეული რუია კი თბილად იღიმებოდა). (...) გალიფს შიში დაეუფლა, რადგან იგრძნო, რომ სახიფათო, თითქმის სასიკვდილო თამაშში ჩათრევას უპირებდნენ“ (ფამუქი, 2013:263). რომანის ჰურეფიულ სუბსტრატში გადმოცემულია დეჯალის მეკდისთან ჭიდილის თემა, რომელიც დასავლელი მკითხველისთვის დაკავშირებულია იოანე ღვთისმეტყველის „აპოკალიფსთან“. ქრისტიანული კულტურის ანტაგონისტ ორეულ, ანტიქრისტეს ისლამში შეესაბამება დეჯალი. ორივე რელიგიურ სისტემაში ეს ფიგურა დემონურია. ჰადისებში დეჯალი აღწერილია, როგორც „ცრუ მესია, მატყუარა“, ხოლო მეკდი ნიშნავს „სწორ გზაზე მდგომს, ის, ვინც სწორ გზას პოულობს“. რომანში ამ ხაზს ავსებს ოსტატურად ჩართული დოსტოევსკის „დიდი ინკვიზიტორის“ თემა. ჯელალის როგორც საზოგადოების მომღვარის სტატუსი კორელირებულია ბოროტებასთან. ასე მაგალითად, სასულიერო სასწავლებლის სტუდენტი ჯელალის ნაწერებით ასკვნია, რომ „დეჯალი თავად ჯელალი იყო (...) შესაძლოა, ამავე დასკვნამდე მკვლელიც მისულიყო - ჯელალის მოკვლით მეკდი, ანუ „ის“ გახდებოდაო“ (ფამუქი, 2013:443). ნათელია, რომ ანტაგონისტი ორეულის სტრუქტურა კომპლექსური და მოქნილია რომანში.

„შავ წიგნში“ წარმოდგენილი დუალიზმი წარმოაჩენს, როგორც მსგავსება/განსხვავებას, ასევე ამ ორეულების დაკავშირების რეჟიმებს. ეს თხრობაში გამოკვეთილია არა მხოლოდ ორმაგი პერსონაჟების სახით, არამედ სიუჟეტისა და ჟანრის დონეზეც. პოსტმოდერნიზმში დოპელგენგერი რომანტიზმის სინგულარული, კონფლიქტური ორეულიდან მრავალჯერად, ფრაგმენტულ „მე“-ში გადადის, რაც პირდაპირ მიუთითებს კულტურულ არასტაბილურობაზე. რომანში გამოვლინილი მეტაფიქციური მახასიათებელი (ავტორის/პერსონაჟის ორეული, თხრობის არასტაბილურობა), პოსტმოდერნული გოთიკის ელემენტები (არასანდო „მე“, შემამრწუნებელი დუბლი) და მაგიური რეალიზმის ელემენტები (სიურრეალისტური ორეულები) გვიჩვენებს პოსტმოდერნისტული ინსტრუმენტების არსენალს.

რომანში დოპელგენგერის ტრადიციული სქემა ირღვევა, რადგან შავბნელი ჯელალის მიზანი სულაც არ არის ნათელი გალიფისათვის ზიანის მიყენება, რა ტიპის ანტიპოდიცა, რაიმეს უშავებს გალიფს?! კეთილშობილი გალიფი კი რატომღაც ჯელალის იმიტატორი ხდება. ფუნქციის თვალსაზრისით: „მზვერავი“ ორეული გალიფი გამოდის და ორიგინალის (ჯელალის) ჩანაცვლებას ცდილობს; ამას გარდა, იგი რომანის მსვლელობაში „ორსახოვანია“, თავის სახესაც ინარჩუნებს და შეგნებულად ცდილობს ჯელალის კოპირებას. იმიტატორი და თვითმარქვიაა, შესაბამისად, მატყუარა. ოღონდ, ეს დისფუნქცია და ტრადიციული ტიპოლოგიური სტრუქტურის ნგრევა ემსახურება რომანის მთავარი სათქმელის გამოვლენას, კერძოდ, რას: რომანის სივრცე ორ პირობით პლასტს მოიცავს: ფაქტობრივსა და ფიქტიურს. ფიქტიურ

პლანზე გვაქვს ჯელალისა და რუიას ფიგურები, ფაქტიურზე - გალიფი. ეს რომანის ყველაზე დაფარული შრეა, რომელიც მხოლოდ ფინალურ ნაწილში ხდება თვალსაჩინო. მანამდე კი მკითხველი მიჰყვება სიუჟეტს და თანაც, როგორც პლასტიკურს: „შავი წიგნის“ სტრუქტურის „კვანძებში“ ასახულია კონკრეტული ისტორიული სიტუაციები, სოციოკულტურული მოვლენები რელიგიურ-მითოლოგიური და ეზოთერული ფენომენები. სუფიური კონტექსტით გაჯერებული თხრობა ქმნის მრავალდონიან ნარატიულ გარემოს, იდუმალი ნიშნებით აგებული სამყაროს შთამბეჭდავ მოდელს, რომელსაც ვეცნობით რომანის ვირტუალური პროტაგონისტი ჯელალის ნაწერებში. რომანის ფაქტობრივი პროტაგონისტი გალიფი ეძებს ცოლს, უღრმავდება ჯელალის ესეებს, იწყებს საიდუმლო ნიშნების ამოცნობას და ხდება ამ უცნაური სისტემის მიმდევარი. ადვოკატი გალიფი ჯელალის ნაწერების გააზრებისას თანდათანობით ეუფლება ჰურუფიზმის საიდუმლო ნიშანთა სისტემას, მაგრამ ხვდება, რომ სახეზე დანახული ასოების შესწავლა მას არც ეზოთერიკოს ადეპტად აქცევს და არც დაკარგულ ცოლს აპოვნინებს, ამიტომ ასოთმეტყველების ამ იერარქიული პირამიდის მიმართ ინტერესს კარგავს ისე, როგორც ეს ახასიათებს თანამედროვე ადამიანს, რომელსაც მისტიკაც იზიდავს და თან ეჭვებშია, შესაბამისად, პოსტმოდერნისტულ „შემფოთებას“ ავლენს.

### რომანის შრეები: პროტოდუბლები

ნაწარმოებში ასახულია სხვადასხვა ეპოქის ლიტერატურული სტილისა და ჟანრის იმ მწერალთა ჰერმენევტიკა, რომელიც ინტერტექსტული თვალსაზრისით ნაწარმოების მრავალდონიან პოლისემანტიკას ავსებს. „შავ წიგნში“ სტამბოლის ქუჩები ტოპოგრაფიული სიზუსტითაა აღწერილი, ისევე, როგორც ჯეიმს ჯოისის „ულისეში“ - დუბლინი. ფამუქი ინტერვიუში მიუთითებდა, რომ „ულისეს“ კომპოზიციური სტრუქტურა ეფუძნება ჰომეროსის „ოდისეას“, მან კი „შავი წიგნის“ პროტორომანად მე-18 საუკუნის პოეტ შეიხ გალიფის სუფიური პოემა „ჰუსნუ აშქი“ შეარჩია. შეიხ გალიფის მესწვევი „შავი წიგნის“ ქსოვილში იმპლიციტური ანალოგიების სახით არის წარმოდგენილი, ეს პარატექსტისა და პერსონაჟების დონეზეც გამოვლენილია: მეტრფე აშქი რეინკარნირებულია გალიფში, სატრფო ჰუსუნი - რუიაში, მენტორი სუჰანი - ჯელალში. „შავ წიგნში“ გალიფი და რუია, ისევე როგორც ჰუსუნი და აშქი, ერთი ოჯახიდან არიან და ერთ კლასში სწავლობენ. გალიფს რუია „ჰუსნუ აშქის“ კითხვის დროს შეუყვარდა. შეიხ გალიფი თავს ჯელალ ედდინ რუმის მოსწავლედ აღიქვამდა, ეს მიმართება დაფიქსირებულია „შავი წიგნის“ პარატექსტში, რომანის ყალიბში გალიფისა და ჯელალის ტანდემი და მათი ფუნქციური როლები გამოკვეთილია: გალიფი შეგირდია, ჯელალი - ოსტატი. სუფიური მისტიციზმით ნასაზრდოებ დივანის პოეზიაში აშქ-მამუქის (მეტრფე-სატრფო) ყალიბი „ღვთაებრივი სიყვარულის“ კონცეფციაზე მიუთითებს,

რადგან ღმერთის მშვენიერების ერთ-ერთი იპოსტასი ქალის სილამაზეა, რომელიც სატრფოს სახეშია გამოვლენილი. მეტრფე აშქი ჰუსუნის მოსაპოვებლად დიდ მოგზაურობაში მიდის და „გულის ქვეყანას“ აღწევს, რომანში გალიფის სტამბოლის ქუჩებში რუიასა და ჯელალის ძებნის საბოლოო პუნქტი ჯელალის საიდუმლო ბინაა, სწორედ იმ სახლში, რომელიც ადრე მათ ოჯახს ეკუთვნოდა და ამ სახლს „გულის ქალაქი“ ჰქვია. აშქის მოგზაურობა სრულდება გასხივოსნებით და ღვთაებრივი სიყვარულის უკიდვანო ზღვაში გათქვევით, ხოლო გალიფი შემოქმედი ხდება. შეიხ გალიფის პოემის ტრადიციული სუფიური პარადიგმა „შავი წიგნის“ ეზოთერულ სიღრმეს მნიშვნელოვნად ამდიდრებს.

დავუბრუნდეთ ისევ „ულისესა“ და „შავი წიგნის“ ინტერფერენციას; სტივენ დედალოსის პერსონაჟი ტელემაქეს სიუჟეტური ხაზს წარმოადგენს და ითვლება ავტობიოგრაფიულ პერსონაჟად, ლეოპოლდ ბლუმი - ოდისევსის, მოლი ბლუმი - პენელოპეს. რომანის ერთ-ერთი მთავარი თემა მამა-შვილის ურთიერთობაა, რომელშიც ბლუმი სიმბოლურად მამას განასახიერებს, ხოლო სტივენი - შვილს. „შავ წიგნში“ ჯელალი გალიფის უფროსი ბიძაშვილია, რომელსაც გალიფზე ამაგი და უდიდესი გავლენა აქვს. რომანში სტივენ დედალოსის პროტოტიპი გალიფია, იგი ასევე ფსევდობიოგრაფიული პროტაგონისტია, რომელიც ხან იდენტიფიცირებულია ავტორ ფამუქთან, ხან - არა. მართალია, რომანში ავტორის ჩანერგვა პოსტმოდერნიზმამდეც არსებობდა, ოღონდ ამ მიმდინარეობის ფარგლებში კომპოზიციური მნიშვნელობა შეიძინა. „შავ წიგნში“ ჟურნალისტი ჯელალი ლეოპოლდ ბლუმის ანალოგია, რომელიც „ულისეში“ საგაზეთო რეკლამების აგენტია. რუიას ხატის იპოსტასი მოლი ბლუმია. ორივე ქალი სრულიად გულგრილია ქმრების მიმართ. ორივე რომანში აღწერილია პროტაგონისტების ვიზიტი საროსკიპოში.

ჯეიმს ჯოისის „ულისეს“ მრავალშრიანი თხრობა პროტაგონისტთა ცვლად პერსპექტივებზეა აგებული (ბლუმის, დედალუსის და მოლი ბლუმის ცნობიერების ნაკადი), ფამუქთან: გალიფის, ჯელალისა და მცირედ რუიას პერსპექტივა ჩანს. ფამუქთან ცნობიერების ნაკადი მსუბუქად არის წარმოდგენილი და გამოხატავს გალიფის ფოკალიზაციის ნიუანსებს. ჰომეროსის „ოდისეასთან“ „ულისეს“ 18 ეპიზოდის სტრუქტურულ პარალელებს, კათოლიკურ თეოლოგიასა და ლიტერატურაზე მრავალრიცხოვან მინიშნებებს ვხედავთ. ფამუქი ისლამის, სუფიზმის და მის წიაღში აღმოცენებულ ჰურუფიზმზე აკეთებს აქცენტს. ორივე მწერალთან ისტორია გადაჯაჭვული თანამედროვეობასთან, ეს ჩანს დუბლინისა და სტამბოლის ცხოვრების ამსახველ სურათებში. მითოლოგიური, მეტაფიზიკური და ისტორიული ფენები სიღრმეს მატებს ნაწარმოებებს. „ულისეში“ ჩვეულებრივი ადამიანების ერთი დღის ტრივიალური მოვლენები შეფარდებულია დიდებულ წარსულთან, გმირების საარაკო ვაჟკაცობასთან, რაც ტექსტს

ურთიერთდაკავშირებული მიმართების ქსელად აქცევს. თუმცა, გვეუბნება, რომ თანამედროვე ისტორიაში ეპიკური გმირების ნიშან-წყალი აღარ დარჩა.

ორჰან ფამუქის რომანში მოვლენები 1972 წელს ხდება, ამის მინიმუმს მწერალი იძლევა, თუმცა კონკრეტული დღეების ნაცვლად, სტამბოლის ქუჩებში ხეტიალი ქალაქის ისტორიული და კულტურული არტეფაქტების ქსოვილში ხანგრძლივ, რთულ პერიოდს მოიცავს. რუიას ძებნა მეტაფიზიკური დეტექტივის ჩარჩოში ვითარდება, სტამბოლის სხვადასხვა უბანსა და ისტორიულ ფენებში ხდება და ღრმა კულტურულ, ფილოსოფიურ და ანთროპოლოგიურ დაკვირვებებს გვიჩვენებს. „შავ წიგნში“ მწერალი დროს პერსონაჟების შინაგანი მოგზაურობებითა და სტამბოლის ისტორიებით აფართოებს; მოკლედ, „შავ წიგნში“ აღწერილი მოვლენები შეიძლება აღვიქვათ არა იმდენად კონკრეტული რაოდენობის დღეების განმავლობაში მიმდინარე მოვლენების სერიად, არამედ აღმოჩენების ხანგრძლივ პროცესად, რომელშიც გალიფის ძიება და სტამბოლის რთული სტრუქტურა ერთმანეთშია გადაჯაჭვული. რომანებში ისტორიული, ეზოთერული კონტექსტი, გარკვეულ დონეზე, ძვირფასი ტექსტების დესაკრალიზაციასაც გვიჩვენებს. რომანებს აქვს ლაბირინთული სტრუქტურა მნიშვნელობათა მრავალი ფენით და რთული სიუჟეტი.

„შავი წიგნის“ კიდევ ერთი შრე მარსელ პრუსტის „ახალგაზრდა გოგონების ყვავილობის ჩრდილთან“ ყალიბდება. მთხრობელი პრუსტისა და ალბერტინას თემატური ხაზი ირეკლება გალიფისა და რუიას ისტორიაში. „დეკამერონის“ ფორმატში შექმნილ თავში - „თოვლიანი ღამეების სასიყვარულო ისტორიებში« სწორედ გალიფი ჰყვება კაცის შესახებ, რომელიც მთლიანად პრუსტის შექმნილ სამყაროში ცხოვრობს, თავს მოკრძალებულად პრუსტთან აიგივებს და ალბერტინა გონების დაკარგვამდე უყვარს. რომანების საერთო დისკურსში ორივეგან მამაკაცი პროტაგონისტები დაუნდობლად მიტოვებულნი არიან. არის სტრუქტურული ანალოგია: პრუსტთანაც და ფამუქთანაც თხრობა ანალიტიკურად სტრუქტურირებულია. ორივე ავტორთან გვხვდება გრძელი, რთული სინტაქსური კონსტრუქციები მრავალი დაქვემდებარებული წინადადებით. არც „დაკარგული დროის ძიებაში“ და არც „შავ წიგნში“ დრო არ არის წარმოდგენილი მოვლენათა წრფივი თანმიმდევრობით, ეს არის ცნობიერების მიერ განცდილი დრო, სადაც წარსული და აწმყო ერთმანეთს ერწყმის. თხრობა ფოკუსირებულია პროტაგონისტთა რეფლექსიებზე, მცდელობებზე, გაერკვენ საკუთარ გრძნობებში, ეჭვებში, სიყვარულში. შეისწავლონ საზოგადოება სუბიექტური გამოცდილების საფუძველზე. პრუსტი აგნებს ფორმას, რომელსაც „რომანი რომანის შესახებ“ ეწოდება, რომელშიც მთხრობელი-პროტაგონისტი ასევე ავტორია და ნაწარმოების ფარგლებში ქმნის რომანს, აყალიბებს მას ჩვენ თვალწინ და შევყავართ შემოქმედებით პროცესში.

„შავი წიგნი“ მეტაფიქციური რომანია და წიგნის შექმნის ისტორიას გადმოგვცემს. ეს მხოლოდ რომანის დასასრულს ხდება თვალსაჩინო. სიუჟეტი გვიჩვენებს გალიფის ინტელექტუალურ განვითარებას, ოღონდ ეს ევრისტიკა სპეციფიკურია, გარკვეულ პლანში ემყარება მურ-შიდისა და მიურიდის ურთიერთობის სუფიურ სტრუქტურას (Kim, 2021:226-247), ხოლო რომანის მატერიალურ სტრუქტურაში გალიფი სწავლობს მხოლოდ ჯელალის ნაწერებს. რატომ უკავშირებს ავტორი პროტაგონისტის ინტელექტუალურ განვითარებას გაზეთის ერთი ესეისტის წერილების შესწავლას? რატომ არ შლის ცოდნის დაუფლების ფართო ამპლიტუდას? მწერლად ჩამოყალიბებისთვის ეს საკმარისია?! თანაც, ეს არც სტივენ დედალოსის გზაა, რომელიც გამოკვეთილია „ულისეს“ წინარე რომანში („ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობისას“) და არც პრუსტთან ჩანს. ამ კითხვებზე პასუხი ამგვარია: პოსტმოდერნისტ მწერალს არ აინტერესებს არც ცხოვრების „სინამდვილის“ აღწერა, არც პროტაგონისტთა ტიპიზაცია და ფსიქოლოგიური პორტრეტი, არც ისტორიული სურათის ავთენტურობა და სამყაროს ობიექტური ასახვა და კონფლიქტის გამოსახვა სუბიექტსა და საზოგადოებას შორის. ძნელი დასაჯერებელია, რომ მწერლად ჩამოყალიბება გაზეთის ესეისტის ნაწერების შესწავლით არის შესაძლებელი, თუმცა რომანის ლოგიკა ამაზეა აგებული.

ზემომოყვანილი პროტოდუბლები „შავი წიგნის“ პერსონაჟთა ლიტერატურული დუბლების მნიშვნელოვანი სეგმენტია, მაგრამ არა სრული. რომანის ერთ სიბრტყეზე, როგორც ადრე აღვნიშნე, ონო-მატოპოეტურ კონტექსტში ჟურნალისტი ჯელალი სუფიზმის უდიდესი წარმომადგენლის, ჯელალ ედ დინ რუმის (მევლანას), დუბლია, ხოლო გალიფი კი - შეიხ გალიფის. ამბიციური ჯელალი „მევლანაზე ისე საუბრობდა, როგორც საკუთარ თავზე. სიტყვებსა და წინადადებებს ერთი შეხედვით შეუმჩნეველი ოსტატობით ადგილებს უცვლიდა და მევლანად გარდაიქმნებოდა!“ (ფამუქი 2013:248). ეს ომონიმია გვიჩვენებს ჯელალ ედდინ რუმის თანამედროვე ვულგარულ ვერსიას კაცისა, რომელიც სუფიური ისტორიებით საზოგადოებას მოძღვრავს, სტამბოლის ისტორიებსა და დავიწყებულ ამბებს გატაცებით აღწერს, აპოკალიფსურ სურათებს ხატავს და „მისტიკის ოპიუმის ბოლში“ ახვევს დაზაფრულ გულუბრყვილო მკითხველს. საგაზეთო სვეტში: „ვინ მოკლა შემსი თებრიზი?“ ჯელალი გვარწმუნებს, რომ „მევლანა მთელი ცხოვრება ეძებდა იმ „სხვას“, რომელიც ააალებდა და აამოძრავებდა“ (ფამუქი 2013: 246). ეს „სხვა“ შემსი თებრიზი აღმოჩნდა. რუმის მიმდევრები შემსი თებრიზის სიკვდილით ემუქრებოდნენ, ამიტომ შემსი გაიქცა. რუმიმ შეყვარებულის სამეზნელად დამასკოს მიაშურა, „ქალაქის ყველა ქუჩა, ოთახი, სამიკიტნო მოიარა“ (ფამუქი 2013: 252). „შავ წიგნი“ ეს ისტორია vice versa „უკუღმა“ ირეკლება: გალიფი ეძებს ჯელალსა და რუიას სტამბოლის ქუჩებში და არა - ჯელალი. რუმის გზას

რომანში გალიფი გადის. შემსი თებრიზის კლავენ, მისი მკვლელობა ასევე გვიჩვენებს პარალელს ჯელალისა და რუიას მკვლელობებთან. ჯელალი თავის ესეში ამტკიცებდა, რომ „შემსის მოკვლისა და მისი გვამის ჭაში ჩაგდების ინიციატორი თავად მევლანაა (...) ჯელალი აცხადებდა, რომ შეყვარებულის სიკვდილი ყველაზე მომგებიანი მევლანასთვის აღმოჩნდა, რადგან იგი უბრალო მასწავლებლიდან უდიდეს მისტიკოს პოეტად იქცა, შესაბამისად, მკვლელობამ მას აშკარა სარგებლობა მოუტანა“ (ფამუქი 2013: 252). ამ ინსინუაციის მიუხედავად ფამუქი ფაქტობრივ მონაცემებსაც წარმოადგენს და აღნიშნავს, რომ რუმი თავის ლექსებს შემსის აკუთვნებდა და ამბობდა: „რადგან მე „ის“ ვარ (...), მაშ რაღატომ ვეძიებ?“ (ფამუქი 2013: 252) რომანში ეს პარალელი თვალსაჩინოდ ირეკლება, გალიფი ჯელალის სახელით აქვეყნებს წერილებს გაზეთში. „შავ წიგნში“ სუფიური ეზოთერული ხედვა გამოიყენება იდენტობის, კერძოდ, „მე“-ს დეკონსტრუქციისთვის. წარმოდგენილია სუფიზმის მთავარი კონცეპტი, fana („მე“-ს გაქრობა) და ittisal (ღმერთთან შეერთება). რომანში რუმი კარგავს თავის სულიერ წონას და ხდება დეკონსტრუქციული იგავი პიროვნულობის დაკარგვისა (Almond, 2003:83). თუ მწერლის მიერ შემოთავაზებულ ამ პროვოკაციული მოსაზრების ლოგიკას გავყვებით (რუმიმ მოაკვლევინა შემსი), გალიფიც ხდება ჯელალისა და რუიას მკვლელობის **ინიციატორი**, რადგან მკვლელს შეხვედრას იმ ადგილზე დაუთქვამს, სადაც ჯელალი და რუია **შემთხვევით** აღმოჩნდებიან.

ფამუქის „თეთრ ციხესიმაგრეში“ „კლასიკური“ დუბლი გვხვდება, ანუ გარეგნულად განურჩეველი ორი პროტაგონისტი. „ტყუპების“ ტრადიციული ფორმატის მიღმა ორობის კრიტერიუმი გულისხმობს პერსონაჟთა ხასიათების მსგავსებას, მაგრამ მეცნიერებს შორის არ არსებობს კონსენსუსი იმის თაობაზე, თუ რა ხარისხის შინაგანი მსგავსება გამოხატავს მათ დუალიზმს. ერთ-ერთი პირობა საკუთარი თავის სხვაში დანახვაა, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია პოსტმოდერნიზმისთვის. „შავი წიგნის“ იმანენტურ პლანზე ოსტატისა (ჯელალი) და შეგირდის (გალიფი) ინსტიტუტი გვხვდება. სწავლების დასრულება დუბლის თეზაურუსის დაუფლებაში გამოიხატება და სანიმუშო ინტელექტის მქონე დოპელგენგერის სიკვდილით მთავრდება. რომანში გალიფი, რუია, ჯელალის სამკუთხედის განხილვისას თვალსაჩინოა რენე ჟირარის ხედვა ამგვარ მოდელზე, როგორ ცდილობს წარუმატებელი სუბიექტი მეტოქეს დაემსგავსოს. ეს სქემა სხვა სტატიაში მაქვს განხილული, ამიტომ ამ საკითხზე აღარ შევჩერდები (ჯაველიძე, 2025:217). რომანს აქვს კიდევ ერთი მეტაფიქციური განზომილება: მწერლად ჩამოყალიბებისა და წიგნის შექმნის პროცესი. ამ პლანში რომანს ჰყავს მოქმედი პროტაგონისტი, გალიფი. ჯელალი თავისი ავტორიტეტით აიძულებს გალიფს საკუთარი რეპრესირებული ასპექტების სუბლიმაცია მოახდინოს, გადალახოს წინააღმდეგობები, გახდეს შემოქმედი. ცოდნის

დაუფლების პროცესი განსაზღვრავს პროტაგონისტის თვითშეგნების შეუნელებელ ზრდა-განვითარებას და მთავრდება ორი „მე“-ს გამთლიანებით.

ფამუქის როგორც ავტორის მონაწილეობა ტექსტში, რამდენიმე დონეზეა წარმოდგენილი და გვიჩვენებს, რომ ის დუალურ წრეშია მოქცეული; ავტორი თავდაპირველად ნიღბავს ამ ფაქტორს და წარმოდგენილია „უცხო“ მწერლის სტატუსით; მოგვიანებით ის იდენტიფიცირდება გალიფთან. ეს ფაქტორი ფუნქციურად რეალობასა და მხატვრულ ლიტერატურას შორის საზღვრებს არღვევს, ანგრევს ზღვარს ავტორის გარე, ტექსტის მიღმა სტატუსსა და შიდა მონაწილეობას შორის, არ უზრუნველყოფს „მე“-ს სტაბილურობას, რასაც გაუთავებელი თხრობითი მარყუქების, ანდა თვითრეფერენციული დუბლების სახით ახორციელებს.

მწერლის ხედვით, „სამყაროს საიდუმლო ის არის, რომ ყველა ადამიანში მისივე ტყუპისცალი, მეორე პიროვნება არსებობს“ (ფამუქი 2013: 327). ბახტინი ამ საკითხს უფრო რთულად განმარტავს: „მე“ იმალება სხვაში და სხვებში, სურს იყოს მხოლოდ სხვა სხვებისთვის, სრულად შევიდეს სხვების სამყაროში, მოიშოროს მსოფლიოში ერთადერთი „მე“-ს („მე“ საკუთარი თავისთვის) ტვირთი“ (Бахтин, 1986: 371). ორეულის ფორმირება ხორციელდება იდეალიზებული პროტოტიპის ცნობიერების ათვისებით. ტრადიციულად მხოლოდ ის პერსონაჟები, რომლებსაც წარმომავლობის გარდა აქვთ კიდევ რაიმე საერთო ნიშანი: სახელი, გარეგნობა - შეიძლება ჩაითვალოს ორეულებად, ყველაფერი, რაც მიუთითებს მათ მსგავსებაზე. ოღონდ გალიფსა და ჯელაღს შორის უფრო მეტი განსხვავებაა - difference (ჟაკ დერიდას ტერმინით), ვიდრე მსგავსება. ისინი ერთმანეთისგან განირჩევიან ასაკით, გარეგნობით, ხასიათით, ინტელექტით. ჯულიანა დე ნოოი პოსტმოდერნისტულ დოპელგენგერებს საექვო ორეულებად მიიჩნევს (De Nooy 2005) და არ ცდება, ნამდვილად ასეა.

ბინარული წყვილების რომანტიკული ინტერპრეტაციები არ მუშაობს პოსტმოდერნისტულ ლიტერატურაში. აქ ორეულის ფენომენის მაქსიმალურად ფართო გაგებას ვხედავთ, რომელიც გვამღებს ბინარულობის სხვადასხვა სახის იდენტიფიკაციას, რელატივიზმის გამოვლინებას, რომელიც მიუთითებს განსხვავებული პერსონაჟების მსგავსებაზე ან დაპირისპირებაზე, ტრანსგრესიაზეც. ასევე პიროვნების ორი საპირისპირო მხარის გამოვლინებაზე, მრავალჯერადი „მე“-ს შესაძლებლობაზე და ა.შ. პოსტმოდერნისტებმა ორეული ალტერ ეგოს სივრციდან ამოიღეს და ირონიის გამოხატვის ხერხად აქციეს. ეს ლიტერატურული ხერხი ანადგურებს წარმოდგენას სამყაროს ჰარმონიის, ყოფიერების პირველადი დუალურობის, ფსიქიკური ცხოვრების მთლიანობისა თუ სტაბილური მნიშვნელობის შესახებ. დუბლის ცნებამ დაკარგა კავშირი ტრადიციულ ლიტერატურულ და ფსიქოლოგიურ

ინტერპრეტაციებთან და ახლა ჯდება ლაკანის, ბარტის, ფუკოსა და დერიდას პოსტსტრუქტურალისტურ კრიტიკულ მოდელებში, როდესაც იკვლევენ და ხშირად უარყოფენ „მე“-ს ბინარული, ორობითი ორგანიზაციის იდეას სოციალურ მოდელებსა და ენაში (Slethaug, 1993: 30).

პოსტმოდერნიზმში ორეული ანტაგონისტი ხშირად გვიჩვენებს ფრაგმენტულიდენტობას, „მე“-ს მრავალი დუბლი ჰყავს, ასეთი ფენომენი მკვეთრად სცილდება რომანტიზმის მარტივ „შავბნელ ნახევარს“. რომანში ჯელალს თავისი თავი რიგრიგობით: ლაიბნიცი, ცნობილი მდიდარი ჯევედეთ ბეი (ფამუქის პირველი რომანის გმირი), მუჰამედი, მედია-მაგნატი, ანატოლ ფრანსი, წარმატებული მზარეული, ცნობილი მქადაგებელი იმამი, რობინზონ კრუზო, ბალზაკი და კიდევ 6 სხვა პიროვნება ეგონა (ფამუქი, 2013: 248-49). პროტაგონისტის ჰიბრიდულობა გვიჩვენებს, რომ ორეულებში დარღვეულია დემარკაცია საკუთარ/სხვას კულტურულ საზღვრებს შორის. ორჰან ფამუქი, სხვა უამრავ „ისტორიასთან“ ერთად გვიყვება უფლისწულის შესახებ, რომელსაც სურდა მხოლოდ თავისთავადი ყოფილიყო. ის ცდილობდა მოეშორებინა ყველაფერი, რასაც მასზე გავლენის მოხდენა შეეძლო და შეებილწა მისი ინდივიდუალური პიროვნულობა, მან მოიშორა ყველა გარეგანი გავლენა - მასწავლებლები, წიგნები, ავეჯიც კი, ყველაფერი - მხოლოდ იმის გასარკვევად, რომ საბოლოოდ აღარაფერი დარჩა. ბერნა მორანის აზრით, „უფლისწულის ისტორიასა“ და „ბედი უსტას მანეკენების“ სცენა მიმზამველობის წინააღმდეგ გაფრთხილებას (Moran, 2010:106), გარკვეულ დონეზე ეს ასეცაა, ირონია ამაზე მიუთითებს, თუმცა ნაწილობრივ. ფორმულა „მე - „მე“ უნდა ვიყო“, რომელიც სხვადასხვა ასპექტში ჟღერს ამ რომანში, საბოლოო პასუხს სწორედ „შეჰზადეს ისტორიაში“ იძლევა, რადგან ჩვენი „მე“ უამრავ სხვათა „მე“-თა ცოდნისა და გამოცდილებისგან შედგება და ამ ტელეოლოგიის კრიტიკული რღვევის ნიმუში სწორედ უფლისწულის ისტორიაა. პოსტმოდერნისტული იდეოლოგია, apriori უარყოფს „მე“-ს მთლიანობას, რეალობის თანმიმდევრულობას, კავშირებს, ასევე პერსონაჟთა სისტემაზე უცვლელი მნიშვნელობების დაწესებას.

გამოვეყოფ რომანის კიდევ ერთ მნიშვნელოვან რაკურსს დუბლის ანალიზში, რომელსაც შეუძლია თვითრეფლექსიის ფუნქციის გამოვლენა და ამით დუალურობის წარმოდგენა პოსტმოდერნისტულ რომანში. სხვად გახდომა პროტაგონისტისთვის კრიტიკული სიტუაციიდან გამოსავლის პოვნის ეფექტური რესურსია. გალიფში ჯელალის პერსონა, მისი ხედვა, აზროვნება, ხატება საწყის ეტაპზე დომინანტურია, რადგან იგი აღიარებს: „რეალურ სამყაროში ცხოვრებას ჯელალის შეთხზულ სამყაროში ცხოვრება მირჩევნიაო“ (ფამუქი, 2013:96). რუიას გაქცევის შემდეგ დემორალიზებული გალიფი თავის სტატუსს ჯელალის იდენტობაში შესვლით იმაღლებს, აღარ რცხვენია თავისი არასრულფასოვნებისა და სასოწარკვეთის. უფრო მეტიც, საკუთარი თავის

გამოვლენის სურვილი ახლა ადვილად რეალიზდება, რადგან ტრავმული ისტორია თანდათან დამღეულია, რაღაც დონეზე გაუცხოებულია და შეიძლება დაექვემდებაროს „მიკერძოებულ“ ანალიზს. რომანში დუბლი იკვეთება, როგორც თვითრეფლექსიის მნიშვნელოვანი ფენომენი, პროტაგონისტის ცნობიერების ტექსტი, რომლის მეშვეობითაც იგი აშენებს საკუთარი „მე“-ს ვერსიებს. როგორც ვხედავთ, „მე“-ს აქტიური კონსტრუქცია მაინც ვერ აიცილებს ტრავმულ სიტუაციებზე ფიქსაციას, მნიშვნელოვან გულსაკლავ მომენტებს, რაც იმდენად არ აფართოებს „მე“-ს პიროვნული განსახიერების ამპლიტუდას, რამდენადაც ამბაფრებს სუბიექტის პოსტმოდერნულ, მტკივნეულ, ეგზისტენციურ სიშიშვლეს. საბოლოოდ კი, იმის გამოვლენას, რომ მწერლად ჩამოყალიბების გზაზე იგი ირჩევს სანიშნო ფიგურას, ეცნობა მის შემოქმედებით პოტენციალს და სრულად დაუფლების შემდეგ სძლევს ორობას, შესაბამისად, მენტორის ფუნქცია ამოწურულია. ჯელალის ხატს რომანში სხვადასხვა მნიშვნელობა და კონოტაცია გააჩნია, მაგრამ მხოლოდ დისკურსის სახით არის წარმოდგენილი (Akçam, 2005: 26).

სხვათა სამყაროებსა და ისტორიებს მოჰყვება პირველწყაროს საკითხიც: **ვინ, ვისგან, რა გადაწერა, რა მოიპარა**, ეს არის ინვექტივა მათ მიმართ, ვინც ვერ ერკვევა პოსტმოდერნიზმის ესთეტიკაში და ინტერტექსტულობას პლაგიატად ნათლავს. „შავი წიგნი“ ცხადყოფს პოსტმოდერნიზმის უმთავრეს დისკურსს, რომ უმნიშვნელოვანესია ტექსტის სხვა ტექსტებთან კორელაცია. ავტორი ხაზს უსვამს ნაწირობის ინსტიტუტს, რომელიც დივანის ლიტერატურის „იგივეობის ესთეტიკის“ მახასიათებელია და გულისხმობს ცნობილი ნაწარმოების მხატვრული ტექნიკის ზოგიერთი გამორჩეული ასპექტის „მიბადვას“: მეტრის, რითმისა და რეფრენის სახით. ფართო პლანში ამ სტრუქტურის გამოყენება გულისხმობს როგორც ფორმალური, ასევე სტილისტური, სახისმეტყველებისა და თემატიკის მსგავსებასაც. რომანში ყოველ ისტორიას სხვა ისტორია მოჰყვება. ეს კი აყალიბებს დიფუზიას, მასშტაბურ გაფართოებასა და ჰიბრიდულობას: „სამყარო, სადაც ყველაფერი რაღაცის მიბადვა იყო, სადაც ყველა მოთხრობა თუ ადამიანი სხვის გამეორებას წარმოადგენდა“ (ფამუქი, 2013: 162). ფამუქი აყალიბებს განსაკუთრებულ მხატვრულ რეალობას, წიგნების სამყაროს. ამ ჰიპერტექსტში კლასიკური სუფიური ნაწარმოებების ნარატიული კოდები შეფარდებულია დასავლური რომანის თავისებურებებთან და თანამედროვე ხედვებთან. შედეგად, ტექსტი იქცევა მეტარომანად - რომანად, სადაც მხატვრული მოდელირების ობიექტი არა ცხოვრებაა, არამედ ტექსტების სივრცე.

დავუბრუნდეთ ისევ გალიფის ისტორიას, კრიზისული სიტუაციის დამღევის შემდეგ იგი იკავებს ჯელალის ადგილს, ხდება აქტიური, პროდუქტიული, კონკურენტული და ანაცვლებს მას: 1. ჯელალის სახელით აქვეყნებს ნაწერებს; 2. ბიბისის კორესპონდენტებთან პირველი

შეხვედრისას გალიფად ეცნობა, მეორე შეხვედრაზე გულუბრყვილო თავხედურობით უმტკიცებს მათ, რომ ჯელალია (აქაოდა, მათთვის ყველა თურქი ერთმანეთს ჰგავსო) და სწორედ ამ მეორე შეხვედრაზე **ორჯერ** უყვება მათ უფლისწულის ტრაგიკულ ისტორიას. თავიდან რომანში ჯელალის, როგორც შეუვალი ავტორიტეტის სტატუსის დომინირება გალიფზე გვიჩვენებს, რამდენად ჩამოუყალიბებელი და არასრულფასოვანია პროტაგონისტი გალიფი. შემდგომ ეს ორმაგი მეობის დისკურსში გადადის. მსგავსი მოდელი ახასიათებს არა მხოლოდ ფამუქის შემოქმედებას, არამედ იშიგუროს, ბარნსის, ამისის რომანებსაც. აქ მნიშვნელოვანია ნათელი მოეფინოს პერსონაჟის მიერ საგულდაგულოდ დამალულ იმედგაცრუების ფაქტორს: იგი ხვდება, რომ მისი ცოლი, რუია, გულგრილია მის მიმართ. გალიფისა და რუიას ურთიერთობაში ჯელალი, ხილულად თუ უხილავად, მუდამ მონაწილეობს. აყალიბებს გალიფის კომპლექსებს, სასოწარკვეთას, განსაზღვრავს მტკივნეული გამოცდილების ტრავმულ ნაკვეთებად გადაქცევას. მწერალი ოდენ გალიფისა და ჯელალის ორობით ორგანიზაციაზე არ არის კონცენტრირებული. თავში: „ამბავი იმათი, ვინც ამბავს ვერ ჰყვება“- იგი წუხს იმათზეც, ვისი ისტორიაც იკარგება, მათი ხმა არ ისმის. ამგვარი ჰუმანიზმი პოსტმოდერნიზმის კიდევ ერთი პოზიტიური ნიშანია.

### **რომანის დუალური სტრუქტურა**

მკვლევართათვის მთხრობელი ხმის გამოვლენის საკითხი არასდროს ყოფილა მხოლოდ ფორმალური. რატომ ირჩევს ავტორი მკითხველთან კომუნიკაციისთვის სხვადასხვა ტიპის მთხრობელებს? მისი ნებააო, ვიტყვით, თუმცა, შეიძლება გამოვავლინოთ მრავალი საკითხი, რომელიც გვიჩვენებს კავშირს ავტორს, სუბიექტს, თხრობის სტილსა და ნაწარმოების სიღრმისეულ შინაარსს შორის. საერთო ჯამში, ავტორს მხოლოდ მესამე და პირველ პირს შორის აქვს არჩევანი. მაშ, რას აკეთებს ფამუქი?! ის წარმოგვიდგენს, როგორც მესამე პირის, ასევე პირველი პირის მთხრობელს. ამ თვალსაზრისით, „შავი წიგნი“ უაღრესად საინტერესო რომანია: 1. მესამე პირის მთხრობელი ახერხებს თავისი პიროვნულობის დამალვას, ის სტატუსით იმპერსონალურია. 2. პირველი პირის მთხრობელის ხმა სუბიექტური და პერსონალურია. ავტორისეული „მე“-ს სხვადასხვა „ვერსია“ გვიჩვენებს, რომ ამ ორი განსხვავებული ხმით გადმოცემული თხრობის დუალიზმი პრინციპულად ორად ყოფს რომანს და თხრობის ამგვარი სტრუქტურირება ბევრი პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას აძლევს ავტორს.

რომანში მხატვრული ფორმისა და მთხრობელის ურთიერთობა, ასევე ლიტერატურულ ტექსტში ავტორისა და პროტაგონისტის დაკავშირებისა და გამოვლენის გზები, მეთოდები და ტექნიკა მრავალფეროვანია და მრავალ ფაქტორს ითვალისწინებს. „შავი წიგნის“ თხრობა

ორგანზომილებიან სტრუქტურას ეფუძნება: 1) ჩარჩო ტექსტს მესამე პირის მთხრობელი გადმოგვცემს. ის იმპლიციტურად არ მონაწილეობს თხრობაში, არ არის „ყოვლისმცოდნე“, გადმოგვცემს გალიფის ისტორიას. ამ დონეზე ფამუქი ტრადიციულ თხრობას მისდევს. ეს რომანის დომინანტური თხრობითი ფორმაა. თუმცა, მთხრობელის „მესამე პირი“ განსხვავდება უპიროვნო მეტყველებისგან: ის ზოგჯერ იძლევა პირდაპირ შეფასებებს, კითხვებს სვამს, იყენებს ირონიას, ქმნის ერთგვარ ლირიკულ გადახვევებს და მიმართავს როგორც გმირს, ასევე მკითხველს. გვხვდება თავისუფალი ირიბი დისკურსი მესამე პირის მთხრობელის ეპარქიაში, აქ ექსტრადიეგეტიკური მთხრობელი ნაწილობრივ უთმობს პერსონაჟს მეტყველების აქტის უფლებას, ავტორის ხმაც ამ პლასტში გვესაუბრება.

2) მეორე განზომილებაში თხრობა პირველ პირში ხორციელდება, მთხრობელი ჯელაღია, უფრო სწორად, წარმოდგენილია მისი საგაზეთო ესეები. ამ მონაკვეთში ტექსტისა და კომუნიკაციური სიტუაციის ველი გულისხმობს მკითხველთან გასაუბრებას. უმთავრესად მთხრობელი გადმოგვცემს ისეთ სიტუაციებსა და ამბებს, რომლებშიც თავად მონაწილეობდა ან ძველი ისტორიების გაცოცხლებას ეწევა. ავტორი, ჯელაღის რეფლექსიები გადმოგვცემს მოვლენებს აპოკალიფსურ ნიშნებში, იგი დაუნდობელი მსაჯულია. პირველი პირის მთხრობელის მონოლოგურ, სუბიექტურ განცხადებებს აუცილებლად თან ახლავს დეიქტიკური მარკერები. აქ ნაცვალსახელი „მე“ გამოირჩევა, როგორც მეტყველების აქტის დეიქტიკური ცენტრი, მეტყველების სანიმუშო ორიენტირი. „მე“ ანაცვლებს საკუთარ სახელს, რეფერენტულია, იღებს სრულად მეტყველი სუბიექტის ფუნქციებს.

თავში „მისი გმირი თურმე მე ვყოფილვარ“ პირველი პირის მთხრობელი **გალიფია**. ეს ნაწარმოების მონოლითური სტრუქტურის რღვევის ნიშანია. ფამუქი გრძნობების, ტკბილ-მწარე მოგონებების გადმოსაცემად ცნობიერების ნაკადის ტექნიკურ საშუალებებს იყენებს. გალიფის მონოლოგ-დიალოგი, ჯელაღის საგაზეთო ტექსტებისგან განსხვავებით, ხორციელდება ლოგიკური წესრიგის გარეშე, ირღვევა სინტაქსი, რათა წარმოჩინდეს ფსიქიკური ცხოვრების ბუნება და მკითხველს პერსონაჟის ცნობიერება დაანახოს: „მკითხველო, ეჰეი, მკითხველო (...) თავი ჩემს ადგილას წარმოიდგინე და ჩემს მინიშნებებს დაუკვირდი“ (ფამუქი, 2013: 322). მკითხველთან მეორე მიმართვაში აზრის ლოგიკური ორგანიზაცია ირღვევა: „მკითხველო, ეჰეი, მკითხველო, ჩემს ასობებს ხომ ადევნებ თვალს? არ მცოდნია, წარმოდგენა არ მქონია, თურმე ჩემი სახე რუკა ყოფილა. **მერეო,- ეკითხებოდი ბებიას და თან ფეხებს იქნევდი. მერე?**“ (ფამუქი, 2013:324). ამ საკვანძო თავის აგებულებაში ჩანს პროტაგონისტის ფიქრები და შინაგანი მეტყველება. ტექსტის ლოგიკური სტრუქტურირება შეგნებულად არის დარღვეული, აზრები ქაოტურადაა გადმოცემული. დაუმთავრებელი წინადადებები, პუნქტუაციისადმი გამოხატული ინტერესი, რომლის ნაკლებობა ან სიჭარბე ცნობიერების ნაკადის მახა-

სიათებელია: „მძიმეებს მივდევი, წერტილებთან ვპერდებოდი, შორისდებულებთან გაცეხას გამოვხატავდი“ (ფამუქი, 2013: 323). ეს პასტიში ჯოისისადმი მწერლის პატივისცემას გამოხატავს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ულისე“ „შავი წიგნის“ ინტერტექსტია (შეიძლება მავანი შემედავოს ცნობიერების ნაკადის ავტორი დუჟარდენიაო და ჯოისმაც მისგან შეითვისა ეს მეთოდო, მაგრამ არც დუჟარდენთან, არც ვულფთან, არც პრუსტთან და არც ფოლკნერთან ცნობიერების ნაკადის გამოსახვა ჯოისის დონეს ვერ აღწევს).

### **ვინ ლაპარაკობს? ვის ისტორიას ვეცნობით? საკითხავი, აი, ეს არის!**

დოპელგენგერის რეპრეზენტაცია ლიტერატურაში ძალზე დრამატულია, უმეტესად საკუთარ თავთან ბრძოლას გვიჩვენებს, „ერთი „მე“-ს მიერ მეორის დამარცხებას ან, საუკეთესო შემთხვევაში, ხდება რთული შერიგება დაპირისპირებულ „მე“-თა შორის“ (Berman 1988: 963). ექსტრადიეგეტიკური მთხრობელის ფორმატში დაწერილ მეთერთმეტე თავში „მეხსიერება კინოში დაკვარგეთ“ გალიფისტუმრობს რუიას ყოფილ ქმარს, რადგან ფიქრობს, რომ რუია მას დაუბრუნდა. გამომშვიდობებისას ყოფილი ქმარი გალიფს რუიასთან მოკითხვას აბარებს. შემდეგ თავს, „ამბორს“ პირველი პირის მთხრობელი ჰყავს, ჯელალი. იგი ესეს ასე იწყებს: „ზუსტად ერთი კვირის წინ მავანმა მოგიკითხა. რა თქმა უნდა, გადავცემ-მეთქი, დავპირდი, მაგრამ მანქანაში ჩაჯდომამდე გადამავიწყდა“ (ფამუქი, 2013: 131). გალიფისთვის დაბარებული მოკითხვა, ჯელალის საგაზეთო სვეტის პირველი ფრაზა ხდება, ეს მკითხველს ცოტა არ იყოს აბნევს, ვერ ხვდება, როგორ ყალიბდება ორი სხვადასხვა ასაკის, გარეგნობის, პროფესიის, მენტორი ინტელექტუალისა და რიგითი პიროვნების: ჯელალისა და გალიფის ტოლობა. ფამუქი სხვადასხვა ძაფით აკავშრებს გალიფსა და ჯელალს, ეს ამ ტიპის პირველი პროვოკაციაა. ოღონდ, ავტორი არ ჩქარობს, ეტაპობრივად ალაგებს ჯელალისა და გალიფის სინკრეტიზმს. ჯელალი აგრძელებს: „მკითხველმა იცის, ჩემი პროფესიის გამო ცოლი არასდროს მყოლია და არც არასდროს მეყოლება, ამიტომ პირველივე წინადადებიდან მიხვდებოდა, თავსატეხი რომ გავუჩინე. ვის მივმართავ? ფოკუს-მოკუს!“ (ფამუქი, 2013:131). ავტორმა თითქოს ყველაფერი განმარტა და დაამშვიდა მკითხველი, მაგრამ ჯელალი ესეს დასასრულს, ძველ ნაცნობთან შეხვედრის აღწერისას ისევ მიუთითებს, რომ ცოლიანია: „...ვუყვებოდი, დიდი ხანია დავქორწინდი, კარგი შემოსავალი მქონდა და შენ სახლში მელიოდებოდი (..) თავიდან მორიდებით, შემდეგ კი, როცა გაიგო, „კარგი ოჯახიდან“ იყავი, დაჟინებით გამომკითხა შენ შესახებ. თან ცოლთანაც თავს იწონებდა, რომ „კარგ ოჯახებთან“ ჰქონდა ურთიერთობა. მეც დრო ვიხელთე და ვუთხარი, შენც უნდა გახსოვდეს-მეთქი. მანაც სიამოვნებით გაგიხსენა და შენთან მოკითხვა დამაბარა“ (ფამუქი, 2013: 136-137). ეს ამ დუალისტური მოდელის ერთგვარი პოლილოგია, რომელშიც ყოველი მომდევნო ფიგურის გამონათქვამი წინასთან არის დაკავშირებული.

პერსონაჟები თავიანთი აზრების ინფორმაციული ქსელიდან გამოდიან; „ამბორის“ ექსპლიციტური ავტორი, ჯელალი, მეორედ მსჯელობს, თავის დაოჯახებაზე და არ ეუბნება მკითხველს: უი, ისევ მოგატყუეთ, გაგეხუმრეთო, რადგან მწერალი უკვე ამ ეტაპიდან გვაწვდის გზავნილს ამ ორი გმირის ინტერფერენციის შესახებ. რომანის ორგანიზაციული სტრუქტურის მხატვრული პრინციპი გვიჩვენებს, რომ ამ დამაბნეველი მონაკვეთის შემდეგ დაეჭვებული მკითხველი უკვე ვეღარ არკვევს, რამდენად ჯდება ცოლიანი გალიფის ბიოგრაფიული მონაცემი უცოლო ჯელალის თხრობაში?! ეს არის ამ ორი პერსონის პირველი გამაერთიანებელი მარყუჟი, რასაც კიდევ უფრო სრული ინტერფერენცია მოჰყვება, ეს მეტამორფოზა იწყება ჯელალის ბინაში გალიფის ჩასახლების მომენტიდან, როდესაც გალიფი ჯელალისა და რუიას მკვლელს გაუთავებლად ტელეფონით ესაუბრება და თავს ჯელალად ასაღებს. ეს არის ავტორის მკითხველთან პოსტმოდერნისტული თამაშის პირველი ეტაპი.

მეცამეტე თავში - „ნახე, ვინ მოვიდა“ - ექსტრადიეგეტიკური მთხრობელი მოვლენებს გალიფის ფოკალიზაციით გადმოგვცემს. გალიფს ერთი ჩია კაცი ცნობილი კინოვარსკვლავების ალბომს უშლის, ოღონდ იქ „ნამდვილი ვარსკვლავები კი არა, მათ ტანსაცმელში გამოწყობილი, მათი მანერების მიმბაძველი ორეულეების ფოტოები გახლადათ“ (ფამუქი, 2013:139). ამ საროსკიპოს ბუკლეტში მეძავი ქალები ცნობილი თურქი ვარსკვლავების დუბლებს წარმოადგენენ. გალიფს თურქან შორაის ორეულთან მოუწია შეხვედრა. მოკლედ, ისეთი სიურრეალისტური სურათი იხატება, თითქოს ბუნუელის ფილმში ამოჰყავი თავი. მეძავი ქალი თურქან შორაის განასახიერებს ფილმიდან „ჩემი საბუთიანი სატრფო“, ამ ფილმის ფრაზებით ელაპარაკება გალიფს და მას ისე ესაუბრება, როგორც მსახიობ იზეთ გუნეის. რა თქმა უნდა, ეს სცენა მოგვაგონებს ჰერმან ჰესეს „ტრამალის მგლის“ უნიკალურ „მაგიურ თეატრს“. ორივე რომანში ეს ეპიზოდი ხელოვნურია, მაგრამ მკაცრად სისტემური და ფუნქციური ჩანს. ორივეგან ეს სცენები, მათი სივრცითი გამოსახულებები რეალობასთან სუსტად არის დაკავშირებული და წარმოადგენს არა იმდენად ობიექტური სამყაროს ანარეკლს, რამდენადაც შინაგანი, სულიერი სივრცის გარე პროექციას. შესაბამისად, ამ სცენებში ხდება გარკვეული ემოციური ბმის ფიქსაცია და ამ ფანტასმაგორიულ სივრცეში მოძრაობა სიმბოლურად გამოხატავს რომანის განვითარების დინამიკას. მეძავის აბსურდული კითხვები: „ფადიშაჰსა და ბოსფორის ხიდს შორის რა განსხვავებაა? (...) ათათურქსა და მუჰამედს შორის?“ განცხადება: „ყველანი „მას“ ველოდებით, (...) ყველანი, ყველანი „მას“ ველოდებით“ (ფამუქი, 2013:146-147) სრულიად დამაბნეველია და სიურრეალისტურად ჟღერს. თუ რომანში წარმოჩენილ ჰურუფიულ დომინანტას გავიხსენებთ, შეიძლება ითქვას, რომ აქ მესიის, მეჰდის მოლოდინია გაჟღერებული. თუ მეტაფიზიკური პლანიდან იმანენტურში გადავინაცვლებთ, შესაძლოა,

ათათურქის რეინკარნაცია სჭირდება თურქულ საზოგადოებას. ამ თემით თამაში ჩანს რომანის სხვადასხვა ეპიზოდებში, განსაკუთრებით დიქტატორისა და მისი ორეულის შეხვედრის სცენაში, რომელიც ასახულია თავში, სახელწოდებით: „ხანგრძლივი საჭადრაკო პარტია“.

რომანის სტრუქტურა მკაცრად ორგანიზებულია და ფრაგმენტაცია ჭადრაკულად ხორციელდება: გალიფის ისტორიას მოჰყვება ჯელალის ესე. ქართული „გვეშველება რამეს?!“ თურქული ვერსია - „ყველანი მას ველოდებით“ ესტაფეტით გადაეცემა შემდეგი თავის ავტორს, ჯელალს. ამ თავში ჯელალი გვესაუბრება „მხსნელის“ იდუმალ პიროვნებაზე: „შაბათ საღამოს კინოთეატრებიდან გამოსულები, სადაც ჩხუბისთავი კაცებისა და მზეთუნახავი ქალების თავგადასავლები ვნახეთ; ან **საროსკიპოების** მონახულების შემდეგ ქალებთან გატარებული დრო მარტოობის გრძნობას კიდევ უფრო რომ გვიმძაფრებს (...), ასევე „მას“ ველოდებით (ფამუქი, 2013: 148). საროსკიპო ორივე პროტაგონისტის ისტორიაში გვხვდება, რატომ? იმიტომ, რომ მწერალს სჭირდება გალიფისა და ჯელალის ერთარსად წარმოდგენა, შესაბამისად, გალიფის ცხოვრების დეტალების ჯელალის წერილებში გადასვლა მიუთითებს ამ ორი ფიგურის იდენტურობაზე. ეს გამაოგნებელი ერთიანობა სუფიური განტოლებიდანაც ჩანს. ამ ფორმულით ღმერთის შეცნობისა და მასთან გაერთიანების გზაზე ადეპტი მეობას კარგავს და თავს ღმერთისგან არ განარჩევს. ის, რაც მკრეხელობად ჟღერს დასავლური აზროვნებისთვის, - სუფიზმის უმთავრესი დოქტრინაა. ამ პოსტულატს წინა თავში მეძავიც კი აჟღერებს: „შენ თუ „მე“ ხარ, მე კი შენ“ (...) აქედან რა გამოვა“ (ფამუქი 2013: 147).

გალიფისა და ჯელალის ცხოვრებაში „თვალი“ განსაკუთრებულ როლს თამაშობს, ის ორივეს მიჰყვება, უთვალთვალეს. თავში, სათაურით „კაფის მთის ასოები“: „გალიფს ლადინმა ჟურნალები ძველ „მილიეთში“ გაუხვია, საიდანაც მას ჯელალი შემოსქეროდა“...

„უცნაური ის გახლდათ, რომ ამ ფოტოზე, რომელსაც გალიფი წლების განმავლობაში ყოველ დილით ხედავდა, ჯელალს სრულიად განსხვავებული გამოხედვა ჰქონდა. თითქოს აფრთხილებდა: კარგად გიცნობ და მუდმივად თვალს გადევნებო. გალიფმა მას თითი დააფარა, მაგრამ ჯელალის თვალს ახლა თითქოს თითით შეიგრძნობდა“ (ფამუქი 2013: 69). ჯელალიც აღწერს თვალს, მაგრამ ის არ დომინირებს მასზე და განმარტავს: „თავდაპირველად თვალი მე გამოვიგონე. რა თქმა უნდა, იმისთვის, რომ დავენახე და ეთვალთვალა. არ მინდოდა მისი მხედველობის არედან გაქრობა. მე მისი მზერის შედეგი ვიყავი და ამით კმაყოფილი გახლდით (ფამუქი 2013:115).

თავი, რომელსაც რომანის ავტორმა უწოდა: „მიცანით?“ ინტერტექსტულად დაკავშირებულია დანტე ალეგიერის „ღვთაებრივ კომედიისთან“ და ჯოჯოხეთს აღწერს. ბედი უსტას მანეკენების ლაბირინთში გალიფი პირველად გამოხატავს გალიზიანებას ჯელალის მიმართ,

როცა მიწისქვეშა პავილიონში ჯელალის მანეკენს დაინახავს: „შენ გამო საკუთარი მეობა ვერ შევინარჩუნე, - მიმართა ჯელალს გულში, - შენ გამო ყველა ის ისტორია დავიჯერე, შენად რომ მაქცევდა!“ (ფამუქი, 2013: 185). აქაც მწერალმა ჯელალს ადგილი ჯოჯოხეთში მიუჩინა. ბევრად უფრო რთული კონტექსტი ჩანს ესეში: „მე“ „მე“ უნდა ვიყო“. ჯელალი გვიყვება: „სინამდვილეში, მე დალაქთან იმისთვის დავდიოდი, საკუთარი თავი რომ გამეთავისუფლებინა (...), მაგრამ დალაქთან ერთად სარკეში ჩემი თმის, თავის, მხრების, ტანის დანახვისას ვხვდებოდი, რომ სავარძელში მე კი არა, სრულიად სხვა პიროვნება იჯდა. წინ რამდენი ავილოო, - მეკითხებოდა დალაქი და თავზე ხელს მკიდებდა ხოლმე, თუმცა თავი, კისერი, მხრები და სხეულიც არა მე, არამედ ესეისტ ჯელალ ბეის ეკუთვნოდა. მე კი ამ ადამიანთან არაფერი მაკავშირებდა. ეს იმდენად აშკარა იყო, მეგონა, დალაქიც ხვდებოდა, არადა, ის ვერაფერს ამჩნევდა. თანაც გეგონებოდა, იმის ხაზგასმა უნდა, რომ მე „მე“ კი არა, ესეისტი მწერალი ვარ და ამიტომ შესაბამის კითხვებს მისვამდა: - ახლა რომ ომი დაიწყოს, ბერძნებს დავამარცხებთ? - პრემიერის ცოლი მართლა ბოზია? - სიძვირე მემწვანნილებების ბრალია? გაუგებარი წარმოშობის რაღაც უხილავი ძალა, ამ შეკითხებზე პასუხის გაცემაში ხელს მიშლიდა. ესეისტი მწერალი კი, რომლის ანარეკლსაც სარკეში გაოგნებული შევეყურებდი, ბუტბუტს იწყებდა“ (ფამუქი, 2013:178-179). ამ პასაჟს ორგვარი ახსნა აქვს: 1. გამოხატავს ჯელალის ფრუსტრაციასა და პროტესტს საკუთარი პიროვნების მიმართ. 2. გადმოგვცემს გალიფის სასოწარკვეთას, რადგან იმ ადამიანის სახე, სხეული, ის, რასაც სარკეში ხედავს, მისი არ არის და სამულველ ესეისტ ჯელალს ეკუთვნის. რთულია რელევანტურად მივიჩნიოთ რომელიმე ვარიანტი, მაგრამ ჩანს, რომ ჯელალის ესეც ავტორი გალიფია, ეს რომანის ფინალურ ნაწილში თვალსაჩინოა.

თავი „ეს ხომ ჩემი დაწერილია“ ექსტრადიეგეტიკური მთხრობელის ფორმატშია და მოვლენებს გალიფის ფოკალიზაციით გადმოგვცემს. ჯელალის ცხედრის დანახვისას „გალიფს უნდოდა ეთქვა, მე მცოდნია, რომ ყველაფერი ვიცოდით“ (ფამუქი, 2013:422). ზოგიერთი მონაკვეთი სიცხადეს მოკლებულია: „პოლიციის მინიბუსის რაციიდან ლითონისებრი ხმა ისმოდა - ვიღაც უფროს კომისარს კითხულობდა. ჩემო ბატონო, რუია სად არის, სად, სად? კუთხეში შუქნიშანი ტყუილად ინთებოდა სხვადასხვაფრად: მწვანე, წითელი. ისევ მწვანე, ისევ წითელი. შემდეგ კიდევ მწვანე, წითელი. ირეკლებოდა კონდიტერი მაღამის ვიტრინაშიც - მწვანე, წითელი. **მახსოვს, მახსოვს, მახსოვსო, -იმეორებდა ჯელალი.** ალადინის დუქნის გისოსები დაშვებული იყო, მაგრამ შიგნით სინათლე ენთო. შესაძლოა, რომ ეს რაიმე სამხილი ყოფილიყო? „ბატონო კომისარო“, - უნდოდა ეთქვა გალიფს, - **მე პირველ თურქულ დეტექტიურ რომანს ვწერ**, შეხედეთ, ესეც პირველი სამხილი: სინათლე ანთებული დარჩენილა. **ძირს სიგარეტის ნაშვვი, ქალაღლის ნაგლეჯები, ნაგავი ყრია**“ (ფამუქი, 2013:423). ეს ჩამონათვალი გინდა, არ

გინდა პრუსტის რომანის, „დაკარგული დროის ძიებიდან“ „მადლენის ნამცხვრის“ ფენომენს გახსენებს, იმას, რასაც „პრუსტის ეფექტს“ უწოდებენ, ასოციაციური რიგის ნაკადით მოვლენის აღქმის სიმბოლო ხდება და ნაწარმოების სემიოტიკურ ორგანიზაციაზე მიგვითითებს. რომანის დასაწყისშიც რუიასაგან მიტოვებული გალიფი იმეორებს: „პალტო, ღილი, ჩაიდანი“ (ფამუქი, 2013: 35).

ამას გარდა, ეს მონაკვეთი მიუთითებს პოლ ოსტერის „ნიუ იორკული ტრილოგიის“ „შუშის ქალაქთან“ კავშირზე. იქაც უამრავი სამხილია სიგარეტის ნარჩენების, ნამწვის, ქაღალდის ნაგლეჯების სახით. ორივე რომანი ტიპოლოგიურად პოსტმოდერნისტულ მეტაფიზიკურ დეტექტივს განეკუთვნება, რომანებში ტრადიციული დეტექტიური ჟანრის დეკონსტრუქცია ხდება. თხრობა ფოკუსირებულია იდენტობის დაშლის, ენის არასტაბილურობისა და ეგზისტენციური იზოლაციის თემებზე. ტრადიციული დეტექტივებისგან განსხვავებით, არც „შუშის ქალაქში“ და არც „შავ წიგნში“ კვანძის გახსნა არ ხდება, საქმე გაუხსნელია, „ბოროტმოქმედი“ ორივეგან კვდება, გამომძიებელი დეტექტივი წარუმატებელია, რაც ხაზს უსვამს ქაოტურ სამყაროში წესრიგის ძიების უშედეგობას. ორივე ავტორი მეტაფიქციის დიდოსტატია: იყენებენ თვითრეფერენციულ ტექნიკას, ფამუქთან შეფარულად, ხოლო ოსტერი კი ღიად ხდება საკუთარ რომანის პერსონაჟი.

„შავი წიგნის“ ფინალურ ნაწილში ექსტრადიეგეტურ თხრობაში განსაკუთრებული დუალური ფორმატის შექმნა დაკავშირებულია პერსონაჟთა ხმების დუბლირებასთან, უნისონთან, რაც მიიღწევა პროტაგონისტთა პირდაპირი და ირიბი მეტყველების შეჯვარებით. რომანის ამ ნაწილში იგი მეტყველების ორგანიზაციის მთავარ პრინციპად იქცევა და სხვა მახასიათებლებთან ერთად ქმნის მთხრობელის უნიკალურ სახეს, რომელსაც შეიძლება „ორმაგი“ ვუწოდოთ. ექსტრადიეგეტიკული მთხრობელი, რა თქმა უნდა, წამყვან, ორგანიზაციულ როლს ასრულებს, მაგრამ ის პერსონაჟთა ფოკალიზაციას საკუთარ პერსპექტივაში აერთიანებს. რომანის ორგანოზომილებიანი სტრუქტურა ინგრევა და ერთგანზომილებიანი ხდება. ექსტრადიეგეტიკური მთხრობელის ობიექტურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ასეთი ფსევდობიექტურობა გვიჩვენებს, რომ ანონიმური თხრობის სივრცეში ორივე სუბიექტის ფოკალიზაცია ერთიანდება. დეტალურად:

მწერალმა გალიფის ფოკალიზაციით აღწერილ სურათში ჯელაღს მიაკუთვნა სიტყვები: „მახსოვს, მახსოვს, მახსოვსო“. აქ რომანის თხრობის ორგანოზომილებიანი ნაკადი და ლოგიკა დარღვეულია: ვთქვათ, ჯელაღს ახსოვს, რომ მოკლეს, იგი ელემენტარულად არტიკულაციას მოკლებულია, მწერალი იმიერში გადასული პერსონაჟის ფიქრებს არ გადმოგვემს, ნაწარმოების ლოგიკა ამის საფუძველს საერთოდ არ იძლევა. მეორე მხრივ, გაუგებარია, გალიფს რა უნდა ახსოვდეს?! ყველაზე მართებული კი ის არის, რომ ეს დეტალი გვარწმუნებს, -

ავტორისათვის ჯელალი გალიფის იდენტურია. უფრო მეტიც, როგორც კი გალიფმა ჯელალის გვამი დაინახა, განაცხადა: „მე, მე ვარ!“ (ფამუქი 2013:423). ჯელალის გვამზე დაფარებულ გაზეთ „მილიეთში“ ჯელალის ფოტოს ნახვისას აღნიშნა: „სახე ფოტოზე მე მეკუთვნის. ჩემს სახეზე რომ სახეა - ისიც“ (ფამუქი 2013: 423). ლოგიკურ შეუსაბამობას ხაზს უსვამს ცნობიერების ნაკადში თხრობის მსუბუქად გადაყვანა, მხოლოდ ეს ხდება პოსტმოდერნისტულად დეცენტრირებულ, არასტრუქტურირებულ ცნობიერებაში, სადაც სიტყვათა სემიოტიკური ურთიერთდაკავშირება შესაძლოა შემთხვევითი და ფარდობითი იყოს, რეფერენტულობა - ასოციაციური. ჩანს, რომ რომანის ის ხაზი, სადაც გალიფი ცოლსა და ცოლისძმას ეძებდა, დასრულდა და გამოიკვეთა მისი, როგორც მწერლის სტატუსი. რომანის დასასრულს მკითხველმა მოულოდნელად შეიძლება გაიაზროს, რომ ჯელალისა და რუიას პერსონაჟები არსებობენ მხოლოდ გალიფის გონებაში. ეს არის რომანის ყველაზე გამაოგნებელი დისკურსი.

„შავი წიგნის“ სამყაროში „მე“ აღარ არის სტაბილური, გვხვდება სხვადასხვა პლანის ტიპოლოგიური გაორება, რაც რომანის სხვადასხვა პლასტში აყალიბებს სიმულაკრულ და ფრაგმენტულ რეალობას. ფამუქთან დუბლის მექანიზმი გვიჩვენებს მრავალფეროვნებას, კონსტრუირებულ იდენტობებს და კულტურულ ასლებს. რომანში დუბლი არსებითად „დამხმარე“ პერსონაჟია. ფუნქციის თვალსაზრისით იგი ემსახურება პროტაგონისტის თვისებების უკეთ გამოვლენას, ასევე ნაწარმოების იდეისა და ავტორის პოზიციის გამოკვეთას. პროტაგონისტსა და მის ორეულს შორის მსგავსება/განსხვავება უპირატესად შემდეგი კრიტერიუმებით ხასიათდება: ორეული ადასტურებს პროტაგონისტის დაუცველობას და მარტობას; ორეულში ვლინდება როგორც პროტაგონისტის დადებითი, ასევე უარყოფითი თვისებები. რომანი ასახავს გარემოს, სადაც ნიშნებსა და რეფერენტებს შორის კავშირი ირღვევა. გვიჩვენებს, რომ რეალობა თავად არის კონსტრუქტი (თუნდაც, ნიკ ბოსტრომის „სიმულაციის თეორიით“). თუ კონფუციის დაუუჯერებთ, „სამყაროს ნიშნები და სიმბოლოები მართავს და არა სიტყვები და კანონები“.

ორეული ფრაგმენტირებული სამყაროსა და კონსტრუირებული იდენტობის მახასიათებელი ხდება, რაც პირდაპირ მიუთითებს, რომ მოდერნიზმის დომინანტა (ფროიდისეული ფსიქოლოგიური პრობლემატიკა) უკვე წარსულშია და ფილოსოფიასა და კულტუროლოგიაში გადასვლას ასახავს. რომანის ექსპლიკაციაში გოთიკური ჟანრობრივი ხერხებისა და ჰურუფიული მოდელის გაერთიანება (ბოსფორის წყლების უკან დახევა, შემზარავი ღრეჩო) და ეზოთერულ-ფილოსოფიურ ინსტრუმენტების გამოყენება (სუფიური კონსტანტა) სწორედ ამ ფენომენს ემსახურება. პოსტმოდერნულ კონტექსტში არ არსებობს ნამდვილი „მე“, ამის ნაცვლად, არსებობს მითითებებისა და როლების, პროტოდუბლების დაუსრულებელი ქსელი. ფამუქი ქმნის არატიპური,

ცრუ ორეულის მოდელს, იმგვარ რთულ პროექტში, როდესაც ფიზიკური მსგავსება არ არსებობს და მთხრობელის არასანდოობა ხაზგასმულია.

ნაწარმოებში „მე და არა მე“ გემტალტი გვიჩვენებს ავტორში არსებულ ორ არსს: მწერალსა და სუბიექტს. ბორხესი ამას ესეში „ბორხესი და მე“ შემდეგნაირად გადმოგვცემს: „გაზვიადებული იქნება თუ ვიტყვი, რომ ჩვენ მტრული ურთიერთობა გვაქვს (...) ნელ-ნელა მე მას ყველაფერს ვაძლევ, თუმცა საკმაოდ კარგად ვიცი მისი უკუღმართი ჩვეულება, გააყალბოს და გააზვიადოს (...) მე არ ვიცი, რომელი ჩვენგანი წერს ამ გვერდს“ (Борхес 1992, 365). სწორედ ასეთი ამოცანის ამოხსნას ანდობს მკითხველს ფამუქი, რომანში ხაზგასმულია ორი პროტაგონისტის განსხვავება და შეუთავსებლობა და მაინც მწერალი მათ გაერთიანებას ახერხებს. ორჰან ფამუქი „შავ წიგნს“ „დადაისტურ რომანს“ უწოდებს. ამ რომანს ახასიათებს ტრადიციული ნორმების უარყოფა, პროვოკაცია, აბსურდულობა, ირაციონალურობა, ლოგიკური სტრუქტურების სუსტი გამოვლენა. გალიფისა და ჯელალის სახეთა სინკრეტული წარმოჩენა. რაღაც დონეზე, მწერლის ეს რომანი მართლაც დადაისტურია.

გალიფის ოდისეის დასასრულს ფამუქი ასკვნის: „ადამიანისთვის მეობის შესანარჩუნებელი ერთადერთი გზა სხვად გადაქცევა ან სხვის ისტორიაში ჩაკარგვა“(ფამუქი 2013: 446). ნასესხები, გაცვლილი იდენტობა აღარ ქმნის დისკომფორტსა და დანაშაულის გრძნობას. „შავ წიგნში“ „სარკეების“ მოტივი მრავალმხრივ რეფლექსიებს აღძრავს. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა შევაფასოთ ავსტრიელი ხელოვანების მიერ ტოკიოს სასახლეში გამოფენის, „დოპელგენგერის“ (2023–2024) მოწყობა. ისინი იდენტობის იდეას ეჭვქვეშ აყენებენ და „ტრანს-იდენტობის“ პოპულარიზაციას ეწევიან, იყენებენ სარკეებსა და ინტერაქტიულ გარემოს, რათა მაყურებელი შეიყვანონ „სურვილების სივრცეებში“ (აბა, სამოცი გენდერის ათვისება იოლია!?) ამ ფონზე ფამუქის ორეულები მოკრძალებული ჩანს.

ავტორი ნარატორისა და მკითხველი ნარატატორის პოლუსების დამოკიდებულების საკითხის გააზრება გვიჩვენებს, რომ ტექსტის იდეური პოტენციალი ყოველთვის უფრო ფართოა, ვიდრე ის ავტორმა ჩაიფიქრა. პოსტსტრუქტურალისტებამდე ამას ბახტინიც მიუთითებდა. რომანში სემანტიკური ფენომენები შეიძლება არსებობდეს ლატენტური ფორმით და გამოვლინდეს მხოლოდ განსხვავებულ კულტურულ კონტექსტში. მაგალითად, „ასი წლის მარტოობაზე“ უამრავი კვლევა დაიწერა. მარკესი თავიდან ამას კმაყოფილებით შეხვდა, თუმცა ბოლოს გაღიზიანდა, რადგან, მისი ხედვით, კრიტიკოსები რომანში კითხულობენ მხოლოდ იმას, რისი ნახვაც სურთ. როლან ბარტისთვის რომ ეკითხა, აუხსნიდა, მწერალი სკრიპტორია, მთავარი მკითხველიაო, მკითხველმა ლიტერატურული ნაწარმოები მისი შემქმნელისგან დამოუკიდებლად უნდა განიხილოს და ავტორის „ინტერპრეტაციის ტირანიისგან“ განათავისუფლოს ტექსტი. ჯეფრი ჰარტმანისთვის მკვლევრის სტატუსი

ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ავტორის ფაქტორი. იგი ამტკიცებს, რომ კრიტიკა ლიტერატურის შემოქმედებით ფორმად უნდა მივიჩნიოთ და არ უნდა ჩავთვალოთ კანონიკური ნაწარმოებების უბრალო, მეორეხარისხოვან, დაქვემდებარებულ კომენტარად (Hartman 1980,: 41). როგორც ჩანს, ჰარტმანს მწერლის, როგორც შემოქმედის ავტორიტეტის სჯერა. ვვარაუდობ, რომ არც ერთ ლიტერატურის მკვლევარს „ავტორის სიკვდილი“ არ სწამს. მისი ასეთი დამცირება მისაღებია?! წლობით რომ მუშაობს თავის ნაწარმოებზე მწერალი ოდენ სკრიპტორია? რადგან სიტყვათა ჩვეულ კომბინაციას იყენებს და ყველა სიუჟეტი და თემა ამოწურულია? სიახლე სწორედ ამ ფენომენების დამუშავებაში ჩანს. დღეს მთავარი ფიგურა მკითხველია, როგორც დილთეიმ უკარნახა: ავტორზე უკეთ გაიგეო, ისიც ცდილობს მწერალზე უკეთ გაიგოს, მაგრამ გაგებაც არის და გაგებაც... არა მგონია როლან ბარტს მოსწონებოდა ის, რომ მიშელ ფუკომ, ავტორის სიკვდილის განხილვისას, ბარტი პირდაპირ არ მოიხსენია? ანუ, ბარტიც მოკვდა, როგორც ავტორი?! მიხეილ ბახტინისთვის, ავტორთან და მკითხველთან ერთად ტექსტში წარმოდგენილია „მესამე მხარე“. დიალოგში ორივე მხარე გრძნობს მესამე მხარის არსებობის საჭიროებას და მას უზენაესი, მიუკერძოებელი მსაჯულის სტატუსს ანიჭებს (Бахтин, 1979: 305).

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Akçam, A. (2005). "Kara Kitap'a Karnavalesk Bakış", Virgül Dergisi, Aralık, s.25-28;
2. Almond, I. (2003). "Islam, Melancholy, and Sad, Concrete Minarets: The Futility of Narratives in Orhan Pamuk's The Black Book." *New Literary History* 34(1) 75- 90 The Johns Hopkins University Press;
3. Барт, Р. (1994) Смерть автора // Избр. работы : Семиотика. Поэтика. Москва: Прогресс ; Универс;
4. Бахтин, М. М. (1975) Вопросы литературы и эстетики. Исследования разных лет. Москва: Художественная литература;
5. Бахтин, М. М. (1986) Эстетика словесного творчества. 2-е изд. Москва: Искусство;
6. Berman, J. (1988). "Personality (Double-Split-Multiple)." *Dictionary of Literary Themes and Motifs*. Ed. Jean-Charles Seigneuret. Vol. 2. New York: Greenwood.
7. Борхес, Х. (1992) Коллекция; Рассказы; Эссе; Стихотворения. СПб.: Северо-Запад;
8. Çeçen, R. (1992). "Kara Kitap Üzerine Kara-Ak Denemeler" in Nüket, E. (Ed.), *Kara Kitap Üzerine Yazılar (191-204)*. Istanbul: İletişim Yayınları.
9. Ecevit, Y. (1996). *Orhan Pamuk'u Okumak*. İstanbul: Gerçek Yayınevi;
10. Ever, M. (1992). "Adlar ve Kitaplar" in Nüket, E. (Ed.), *Kara Kitap Üzerine Yazılar (115-127)*. Istanbul: İletişim Yayınları;
11. Fokkema, D. (1986). *The Semantic and Syntactic Organization of Postmodernist Texts in Approaching Postmodernism*, John Benjamins Publishing Company Utrecht;
12. Hartman, G. H. (1980). *Criticism in the Wilderness*, Yale University Press, New Haven;

13. Herdman, J. (1990). *The Double in Nineteenth-Century Fiction*, Edinburgh Studies in Culture and Society, Palgrave Macmillan;
14. Липовецкий, М. (2008) «Паралогии. Трансформации (пост)модернистского дискурса в русской культуре 1920–2000-х годов»;
15. Kim, S. (2021). “Mürşid ile Mürid: Kara Kitap’ı bir Yorumlama Çeröevesi Olarak Tasavvuf”. *Kara Kitap Tartışmaları (Hazırlayan Nüket Esen)*. İstanbul:Yapı Kredi Yayınları;
16. Moran, B. (2010). “Üstkurmaca Olarak Kara Kitap“, *Türk Romanına Eleştirel bir Bakış* 3, 95-107, İstanbul: İletişim Yayınları;
17. De Nooy J. (2005). *Twins in contemporary literature and culture: look twice*. Basingstoke; New York: Palgrave Macmillan;
18. Robbins, B. (2016). <https://www.academia.edu/80264138/An-Interview-with-Orhan-Pamuk>
19. ფამუქი, ო. (2013). „შავი წიგნი“, თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა;
20. Slethaug, G. (1993). *The Play of the Double in Postmodern American Fiction*. Carbondale: Southern Illinois UP;
21. ჯაველიძე ე. (2025).X საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“, შრომები, ნაწილი II, ქუთაისი გამომცემლობა „მერიდიანი“, 214-223

ELENE JAVELIDZE

## THE HERMENEUTICS OF THE DOPPELGÄNGER IN ORHAN PAMUK’S “THE BLACK BOOK”

### Summary

The doppelgänger motif in the structure of Orhan Pamuk’s novel is considered from two main positions: ontological and axiological. The hermeneutics of this phenomenon is outlined in a metaphysical and existential perspective, showing a specific postmodernist perception of reality. This vision reveals a criticism of religious and moral values organic to the Turkish mentality, an ironic game with fundamental values, which as a whole represents the paradigm of the writer’s artistic consciousness. One of the important conditions for the explication of the doppelgänger motif is seeing oneself in another, which is critically important for postmodernism.

Authors usually explain the appearance of doubles in their works, in *The White Castle*, Pamuk chooses a “classic” model: a Venetian captive and his Turkish owner look like twins. In *The Black Book*, the writer complicates his task even further. The doppelgänger cousins presented in the novel differ from each other in age, appearance, character, profession, and intelligence. In *The Black Book*, almost everything: the characters, the plot conflicts, reveal both the duality and its two-dimensional structure. At the first level there are two cousins: the famous newspaper essayist, Jelal Salik, and his cousin, the lawyer, Galip, who is searching for his missing wife (Ruya) and her brother (Jelal). On the second level in one lay-

er of the novel's onomatology, the ambitious Jelal Salik identifies himself with the greatest figure of Sufism, Jelal ad-Din Rumi, while Galip's proto-double is Sheikh Galip, the author of the 18th-century Sufi poem *Hüsni ü Aşk*. The proto-novel of the Black Book is *Hüsni ü Aşk*. Orhan Pamuk follows the scheme of Sheikh Galip's *Masnavi*. At the end of the novel Jelal's discourse as a mentor is exhausted, Galip has "graduated from school," thus the difference between Jelal and Galip disappears, Jelal is killed, his annihilation shows that the duality has been overcome, there is only Galip, the author of *The Black Book*. Although in postmodernism the factors of terrifying mystery and destructive fate associated with the motif of duality are largely neutralized, but for Pamuk it is critically important to insert secret "mines" into the text and introduce the factor of "evil fate" typical of Romanticism. The writer creates a kind of trickster from Jelal.

The motif of the doppelgänger presented in *The Black Book* is clearly productive, as even the prostitute is in the role of a double of a famous movie star (Türkan Şoray), everyone and everything is doubled, the structure of the work is irreversibly dual, consisting of Galip's adventure, which forms the framework narrative of the novel, and Jelal's writings, with which the reader is introduced. Metafiction is characterized not only by doppelgänger protagonists, but also by the duality of the author and the hero. This is evident in the novel. Orhan Pamuk's novel involves postmodernist gimmicks, including the author's involvement in the text, deconstruction, intertextual twists, and fragmentation that create textual hybridity. The two-dimensional structure presents a diverse arsenal of Islamic, Sufi, and Hurufi stories. The narrative is built on an intertextual substrate, paratextuality, and hybridity. Paratext is another guide to the doppelgänger structure.

სოსო სიგუა

ქართველური არქაიკის არტეფაქტები  
(ძვ. წ. III ათასწ. - ძვ. წ. IV ს.)

კულტურის ცენტრი უძველესი დროიდან იყო ქალაქი, დაცული და შემოზღუდული არე, რომელსაც აგეგმარებდა და აშენებდა არქიტექტორი (ხუროთმოძღვარი) ქურუმ-ბელადის, ქურუმების თუ მეფის იდეის თანახმად.

იბერიის მეფეები, ასევე - ტომთა ბელადები იყვნენ მთავარ-ქურუმები. ქურუმთა კასტა ფლობდა ღვთაებრივი და რეალური ცოდნის საიდუმლოს, იგონებდა და განაგებდა რიტუალებს, დღესასწაულებს, წეს-ჩვეულებებს, ცხოვრების ყოველდღიურ ყოფას.

ქურუმები იძლეოდნენ დაკვეთებს თუ როგორი რელიგიური სიუჟეტები, რომელი ღმერთები გამოესახათ იუველირ-მჭედლებს, მეთუნეებს, სკულპტორებს, მხატვრებს, მქსოველებს. ისინი დამოუკიდებლადაც მოქმედებდნენ, იღებდნენ არისტოკრატთა დაკვეთებსაც, მაგრამ რელიგიურ ნორმებს ფანტაზიით განავრცობდნენ.

თიხის, წნელის, ქსოვილის, ძელის თუ ლითონისაგან დამზადებულ ყოველ ნივთს ერქვა ჭურჭელი, რომელსაც სულხან-საბა 15 სახეობად გამოყოფს. მათგან ერთ-ერთი იყო საჭურველი (აბჯარი). ჭურჭელის (თავდაპირველად - ჭურ-წელი) ცნება შემდეგ შეცვალა საგანმა და ნივთმა, ჩვენს დროში - artefactus-მა, რაც ხელოვნურად შექმნილს ნიშნავს. ღმერთების რწმენა სისხლხორცეული განცდა იყო, მაგრამ ოსტატს მიცემული მიმართულება და დაკვეთა უადვილებდა შრომას. სხვანაირად მის მიერ დამზადებულ ნივთებს მომხმარებელი არ ეყოლებოდა. ამიტომ ყოველ საგანს, რომელზეც ძვირფასი, ძნელად მოსაპოვებელი ლითონი იხარჯებოდა, რომელსაც სჭირდებოდა ფიქრი და გარჯა-ადრესატი უნდა ჰყოლოდა.

პრაქტიკული მოხმარების ნივთებიც, შრომისა და ომის იარაღებიც რელიგიური მოტივებით იყო განსაზღვრული და დაცული.

რაც შეეხება თავად ქალაქს, იგი სახალხო კრების ნებითა და დასტურით, ქურუმ-ბელადის თუ ქურუმ-მეფის ანუ საერთო სახსრებით უნდა აგებულიყო.

დამოუკიდებლად ხუროთმოძღვარი ამას ვერ შეძლებდა, უფლებასაც არავინ მისცემდა. ქართველი მეფეები ან ტომთა ბელადები

ხშირად ვერ ისარგებლებდნენ შემოყვანილი ტყვეების სამუშაო ძალით, მათგან გადარჩეული ოსტატების უნარით ან ნამარცვი ქონებით.

ისინი საკუთარი მწირი ეკონომიკური პოტენციალით აგებდნენ ქალაქებს, მენჭირებსა და კრომლეხებს, ხიდებს, ტაძრებს, ციხე-სიმაგრეებს, ყორღანებს, ავითარებდნენ მეტალურგიის კერებს, ამუშავებდნენ მიწას, უვლიდნენ საქონელს, თავს იცავდნენ მომხდური მტრისაგან, ფიქრს, ოცნებას, რწმენას, პრაქტიკულ მოთხოვნილებას აქცევდნენ იარაღებად, ქანდაკებებად, კერამიკულ მხატვრობად, სამკაულებად.

სტატიაში გამოყენებული შინაარსობრივი ანალიზის მეთოდი დაფუძნებულია საკითხის ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაზე; გამოყენებულია შემთხვევათა ანალიზის კვლევითი სტრატეგია, ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, ემპირიული მასალის კრიტიკული გააზრება და განზოგადება.

ქართველური არქაიკის მოღწეული არტეფაქტები არქეოლოგების მონაპოვარია. ათასწლეულების მანძილზე მათ მიწის სქელი ფენა ფარავდა და კაცთა ხელი არ შეხებია. უძველესია, როგორც ვთქვით, ქართველურ ტომთა წინაპრების ქვის, კაჟის, რქის, თიხის საგნები, რომელთა უამრავ ნიმუშს ინახავდა მღვიმეები (მაგ., საკაჟია, საგვარჯილე, კუდარო).

დაბა წალკასთან, მდინარე ქციის ხეობაში, 1976 წელს მიაკვლიეს მეზოლითის პერიოდის კლდეზე ამოკაწრულ ნახატებს.

ესენია - ირმის, ცხენის, გველის, აქლემის, ფრინველის, ფანტასტიკურ ცხოველთა ფიგურები, მშვილდისრიანი მონადირე კაცუნები, სულ 100-მდე პეტროგლიფი (გაბუნია, ვეკუა, 1980).

ხელოვნების პრანიმუშები მაგიიდან, ტოტემებიდან, სამყაროს ფანტასტიკური აღქმიდან იღებს სათავეს, ისევე როგორც ზეპირი სიტყვა, მითები და რიტუალები. შემდეგ გამოიყოფა პრაქტიკული ასპექტი და მზადდება ის ნივთები, რაც ადამიანს სჭირდება ყოველდღიურ ცხოვრებაში. მაგრამ ესეც ზეციურ ძალთა მონაწილეობით, უფლის ხედვის გათვალისწინებით, მისი თანაზიარობით.

ნეოლითის (ახალი ქვის ხანა) პერიოდის საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომებში ჩნდება მეთუნეობა. ამზადებენ ხელით ნამერწ ბრტყელძირა, უყურო, ქილისებურ, ცუდად გამომწვარ და სუსტად გაპრიალებულ ჭურჭლეულს, თიხისაგან აკეთებენ ქალის, კაცის, ხარის, ცხვრის ქანდაკებებს. მასალა - თიხაში არეული ნამჯა, ქვიშა და კვარცი.

წინარე ქართველურ ტომებში ერთ-ერთი უძველესია V ათასწლეულის ქალის 21 ფიგურა, ზოგი მთელი, ზოგი - ფრაგმენტული, სიმბოლური და დაუხვეწავი, თიხისგან ნამერწი, მეტწილად - მჯდომარე პოზაში. ისინი განასახიერებენ ნაყოფიერების კულტს, „დიდ დედას“.

ამავე დროისაა იმირის გორისა და ნახიდურის კაცის ფიგურები. ამ ქანდაკებებს ანათესავებენ ჰასუნასა და ჰალაფას აღმოსავლურ კულტურებთან. III ათასწლეულს განეკუთვნება ურბნისთან ქვაცხელებში ნაპოვნი გრძელკაბიანი კაცის სამი ფიგურა. ზომა 6X8 სმ (გ. ჯავახიშვილი).

საერთოდ ითვლება, რომ ადამიანის გამოსახულებანი ჩნდება ორინიაკის ხანაში, 35.000 წლის წინათ.

მას შემდეგ, რაც შემოდის ლითონი - შავი, ნაცრისფერი, ყვითელი, წითელი კერამიკის პარალელურად - მზადდება ოქროს, ვერცხლის, სპილენძის, ბრინჯაოს, რკინის ნივთები. აქ უკვე თავს იყრის მათი სამმაგი დანიშნულება - რიტუალურ-მაგიური, პრაქტიკული და ესთეტიკური.

განვიხილოთ ზოგი მათგანი:

მაგ., ბრინჯაოს კვერთხი სტეფანწმინდის განძიდან (ძვ. წ. I ათასწ. I ნახევარი) სწორედ იმიტომ იყო ფანტასტიკურად გააზრებული, რომ მეტი ძალმოსილება ჰქონოდა. აქვს სამი ზარი, გამოზმული სამ გრებილ რქაზე. ისინი ერთად ქორბუდა ირმის სტილიზებული რქებია. მათ ზევით დგას შიშველი ღვთაება, რომელსაც აცვია ყელიანი ფეხსაცმელი და მარცხენა ხელში უკავია კვერთხი. ღვთაების მზერა დამაბუღია. იგი საბრძოლველად არის გამზადებული, ალბათ იმის დასაცად, ვისაც ეკუთვნის ეს კვერთხი.

ამ რთულ კომპოზიციას ამზადებდა ოსტატი, რომელსაც ჯერ ჩანაფიქრი უნდა ჩამოეყალიბებინა, შემდეგ - ბრინჯაოში მოექცია, დაეხვეწა დეტალები, რაც იწვევს ახალ ასოციაციებს. მაგ., ცალკე რქა დაგრაგნილი გველია. კვერთხს ზარიც უკეთია, რომლის ხმა არის მოხმოზა და გაფრთხილება. ყოველივე ერთად ქმნის სიდიადის შთაბეჭდილებას (სტეფანწმინდის განძი აღმოაჩინა გ. ფილიმოზოვმა 1877 წელს).

ასეთივეა რახტის ოქროს საკიდი ახალგორის განძიდან (ძვ. წ. V ს.).

იგი სამკაულია და, მაშასადამე, ლამაზი უნდა იყოს. სილამაზეს ამ ნივთსაც აძლევს რთული კომპოზიცია. ზედა ნაწილი მრგვალი დისკოა, გარშემორტყმული ორი წრით. მათგან მეორე მარცვლებად არის გაწყობილი. შიგნით ჩაჭდებულია რვა ფოთოლი, რომლის უკანაც არის რვა ფოთოლი და მოჩანს მათი წვეროები.

ფოთლების ძირას, ცენტრშიმცირე, ამოზურცული დისკოა, რომელსაც არტყია ორი დამარცვლილი წრე. დისკოდან ეშვება ექვს-ექვსი რომბითა და თხუთმეტმარცვლიანი სწორი ხაზით გაწყობილი, დაწინწკლული სარტყელი. იგი დისკოს აერთებს ცხენის ორ ქანდაკებასთან. მოხატული, დარახტული ცხენები ტყუპად დგანან და გარს ევლებათ ოქროს ფირფიტები. ისინი დგანან კვარცხლბეკზე, რომლიდანაც ძეწკვებით ჩამოშვებულია ოთხკუთხა, შუბის ბუნიკისებური მარცვლები (ახალგორის განძი 1908 წელს იპოვეს წარჩინებული ქალის სამარხში).

ასეთი სამკაულის დამზადებას მდიდარი ფანტაზია, იუველირის გამოცდილი ხელი და ზუსტი მზერა სჭირდებოდა, რათა დაეცვა პროპორციები, რაც ყველაზე უკეთ გამოჩნდა ცნობილ თრიალეთურ ვერცხლის თასზე (ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარი).

თასი მოზრდილია, გაყოფილი ორი ფრიზით. დგას შემადლებულ ფეხზე, როგორც დღევანდელი სასმისები. ფეხს ზემოთ გამოხატულია ლოტოსის ყვავილი, ქვედა ფრიზზე - ხარირემი და ცხრა ფურ-ირემი.

ზედა ფრიზი უკავია ცხოვრების ხეს. მის წინა მცირე კვარცხლბეკზე დგას სკამი. სკამზე ზის, როგორც ანუბისი, მგლისთავა კაცი, რთულად და მდიდრულად შემოსილი, მოკლე ქულაჯით, შარვლით. ხელთ უკავია სასმისი. აცვია ჭვინტიანი ფეხსაცმელი, ხეთურის მსგავსი. წინ უდგას საკურთხეველი, რომლის სამი ფეხი ცხოველის ჩლიქებით ბოლოვდება.

საკურთხეველს იქეთ-აქეთ უწევს ორი ცხოველი. მათ უკან დგას დიდი ჭურჭელი, საიდანაც ალბათ იღებს სასმელს. მისკენ მოემართება ასეთივე ნიღბოსანი, ასევე ჩაცმული 22 ცხოველ -კაცი. მათაც სასმისები უკავიათ. ხოლო ფოჩებიანი, ქულაჯისებრი სამოსი კუდით ბოლოვდება (Куртин, 1949); ამირანაშვილი, 1971), რაც საიქიოსთან კავშირის ნიშანია.

რიტუალურ პროცესიას სხვადასხვანაირად განმარტავენ სპეციალისტები - ხედავენ მსგავსებას ხეთურ, კლდეზე ნაკვეთ რელიეფებთან. ზოგი - მაიკოპის ყორღანების ხელოვნებასთან აკავშირებს.

ასევე საინტერესოა კოლხური ვერძის თავის ქანდაკებები, რომელთაგან ზოგს ცულებად ქცეული ფრთები აქვთ გამოსხმული და ამკობთ მზის ნიშნები (ძვ. წ. I ათასწლეული).

შეიძლება ეს ფანტასტიკური ფრინველ-ვერძი ყოფილიყო ფასკუნჯი (იხ. “ფასკუნჯი - მფრინავი ვერძი”). ქართველურ ტომებს, განსხვავებით ეგვიპტელებისა, ხეთებისა, ასურელებისა, ირანელებისაგან არ ჰქონიათ გიგანტური მითიური გამოსახულებანი. მაგ., პერსეპოლისში, ტაძრის „ქვეყნიერების კარიბჭის“ შესასვლელთან იდგა 10 მეტრის სიმაღლის ხარ-კაცის ქანდაკებები.

არც ისეთი სიუხვით დაუმზადებიათ ღმერთების, ადამიანების, ცხოველების, ფრინველების, ურჩხულების გამოსახულებანი, როგორც ძველ ბერძნებს. მაგ., დელფოს ორაკულამდე მიმავალ გზაზე მდგარა 3.000 ქანდაკება.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი არტეფაქტების დიდი ნაწილი ფანტასტიკური ხედვის ნაყოფია. როგორც ვიცით, ველურის აზროვნება დღევანდელი სიზმრული ცნობიერების მსგავსია, სადაც რეალობა, სივრცე-დრო ირღვევა, დაცილებულია სიბრტყეები და საგნები უცნაურად წაებმის ერთმანეთს, როგორც მრუდე სარკეში არეკლილი.

შემდეგ არქაული, პირველყოფილი აღქმა და ხედვა გადავიდა მითებსა და რიტუალებში, ტოტემურ და აკრძალვათა სისტემაში, იქცა სიტყვებად და ღმერთებად ანუ განიმუხტა ნევროზული შიშებისაგან, რასაც ადამიანს ჰგვრიდა ტვინის სტრუქტურის ცვალებადობა.

მსგავსი ხედვა ჰქონდა პირველყოფილ მხატვარსაც, სკულპტორსაც, ქურუმსაც. ამიტომ რასაც ისინი თხზავდნენ, რაც გადაჰქონდათ რიტუალებში, მაგიურ ქცევაში, თიხის ჭურჭლებზე თუ ბრინჯაოს ბალთებზე, სამაჯურებსა და ყელსაბამებზე, ცულებსა და თასებზე - ჩვენ ფანტასტიკური გვეჩვენება.

მაგრამ თავად შემოქმედი ასეთი ცნობიერებით ცხოვრობდა და მისი ხედვაც ისევე ბუნებრივი იყო, როგორც სიზმარი დღეს (მაგ.: ქალღვთაება ირმის სახით). ამ მხრივ ჩვენი წინაპარაც ისეთივე იყო, როგორც ინდოევროპელისა თუ სემიტისა. ცნობიერების სტრუქტურა ყველგან ერთნაირია, განსხვავებულია გამოვლენის სივრცე - დრო და ფორმები, განვითარების სტადია.

საქართველოს ტერიტორიაზეც დიდად იყო გავრცელებული თიხის და მინის ჭურჭლეული, სხვადასხვა სახის კერამიკა - ფერადი და მოხატული. განსაკუთრებით გამოირჩევა თრიალეთური შავი და პრიალა კერამიკა, შემკული გრავირებული ორნამენტებით. ეს არის კლაკნილი ხაზები, სვასტიკა, ფრინველები (ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარი). მაგრამ მეთუნეების ოსტატობასა და ფანტაზიას მეტ გამომსახველობას და დამაჯერებლობას აძლევდა ლითონი, მჭედლისა და იუველირის ხელი, ჭედურობა. თიხის ზოლიანი სასმისები, დოქები, ქამრები, ბრინჯაოსა და რკინის გრავირებული ცულები, სამაჯურები, სურები, ფიბულები, ოქროს საკიდები და საყურეები, ყელსაბამები, ოქროსა და ვერცხლის თასები, მოჭიქული მძივები, მინის ჭურჭლეული, ოქროს სამაგრები, ვერცხლის სარწყული, ბრინჯაოსა და ვერცხლის ბალთები და სარტყელები, თიხის ბეჭედი ირმის გამოსახულებით, ითიფალური ქანდაკებები, ცხენოსნის ქანდაკება, ცხენშებმული საომარი ეტლი, ღმერთქალის ქანდაკებები, ვერძის ქანდაკებები მხოლოდ მცირე ნაწილია იმისა, რაც უჩინარ და უსახელო ოსტატებს უკეთებიათ. წნორის ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩნდა ბედენური დროის ოქროს ლომის ქანდაკება (ძვ. წ. XXII ს.). ეს არის ის, რაც მიწაში ჩარჩა და დღემდე მოატანა.

ეს ყოველივე ეკუთვნოდა ელიტას - ბელადებს, ქურუმებს, მათ ნათესავთა წრეს. ზოგი შეიძლება შემოტანილია, მაგრამ უმრავლესი ნაწილის სტილური ერთგვარობა (მაგ., კოლხური, თრიალეთური) და მხოლოდ მსგავსება უცხოურ ნიმუშებთან ცხადყოფს, რომ ადგილობრივი ოსტატების ნახელავია.

ელინელები და მესოპოტამიელები ფანტასტიკურ რელიეფებსა და ქანდაკებებს ამზადებდნენ ცხოველებისა და ადამიანების შეერთებით, არა შერევითა და შერწყმით, სადაც ზღვარი წაშლილია. მაგ., კენტავრები, მინოტავრები, სირინოზები. მათი ერთ ნაწილი ცხოველურია, მეორე - ადამიანური, როგორც ეგვიპტური სფინქსისა.

ქართველურ ტომებს უფრო ჰყვარებიათ ფანტასტიკურ, გაურკვეველ არსებათა წარმოდგენა, მათი სტილიზაცია, სხეულების ნაწილების კომბინაცია (მაგ., თავი, ფეხები, ფრთები). ამიტომ ამ ცხოველთა ზოოლოგიური ტიპების განსაზღვრა შეუძლებელია. ისინი თავისუფალი ფანტაზირების ნაყოფია. მაგ., კოლხურ ცულებსა და ჩუგლუგებს პირველ რიგში პრაქტიკული, გამოყენებითი ფუნქცია ექნებოდათ, იმდენად გავრცელდა კავკასიაში და გავიდა მის გარეთაც. მაგრამ ცულებზე ამოკვეთილია ფრინველები, გველები, თევზები, წყლის სპირალები და ცხოველები.

მათი ფიგურები სტილიზებულია და დღევანდელ მულტფილმების პერსონაჟებს მოგვაგონებს. ამ ორნამენტებში სიმბოლურად გაერთიანებულია ზესკნელი და ქვესკნელი, ხთონური და ზეციური სამყაროები, მზის, მთვარისა და ვარსკვლავების ასტრალური ნიშნები. ძველი ოსტატი ისე მუშაობდა ამ ცულებზე, როგორც ბალზაკის მხატვარი ფრენკოფერი, რომელმაც ხანგრძლივი ფანტაზირებით, ასოციაციური გადასვლებით სურათი ფერებისა და ხაზების გაურკვეველ გროვად აქცია.

ზოგჯერ გეომეტრიულ და ფანტასტიკურ ორნამენტს ერთვის ცულის ყუაზე დასკუპებული ცხოველის მინიქანდაკება. ცხადია, ასეთი ცულები რიტუალებისათვის იყო გათვალისწინებული, არა ხის საჩხებად ან ტყის საკაფად. სიმბოლური ხაზები, პირობითი ნიშნები, დეფორმირებული საგნები რეალობის ფანტაზიით გავრცობა და შევსება. ალბათ, იუველირი როცა კვეთდა ცხოველის ფიგურებს, მოდელოდ სახავდა მგელს, რომელსაც ასოციაციების ჯაჭვი ფანტასტიკურ არსებად აქცევდა. ამას რელიგიურ-რიტუალური მნიშვნელობა ექნებოდა, რათა მისტიკურ ძალებს დაეცვათ პატრონი, უკუეგდოთ მტერი და ზეციურ ძალთა მეშვეობით გზა გაეკაფათ. ნადირი მისი ძმობილი იყო.

ფანტასტიკური ცხოველები გადადიან ფართო და მდიდრულ სარტყელებზე (მაგ., რქოსანი ცხენი). ეს გავრცელებულია მიკენურ, მესოპოტამიურ, ურარტულ, ყობანურ კულტურებშიც.

ფანტასტიკურ თუ ნატურალისტურ ფიგურებს ჰქონდათ თავისი მაგიური და სიმბოლური ნიშნები (მაგ., ძაღლის დაღებული ხახა ყეფაა, წინ ვარსკვლავი - მიმართულება, უკან გველი - მდევარი ძალა, მოხრილი რქა - ახალი მთვარე, კლაკნილი - წყალი და მდინარე, ფარფლი - თევზი, ღრუბელი - ფრინველი, სპირალი - მზე, წერო - გაზაფხული).

ზოგ საბეჭდავზე გამოსახულია ცხენი და ფრინველი, რვასხივიანი ვარსკვლავი. ცხენი მზის ღვთაების სიმბოლოა, ფრინველი - მონადირე მამაკაცისა (შდრ. “მთვარის მოტაცებაში” მონადირეთა მეთაური თემური ნაპოლოს დაირქმევს, რაც სვანურად ფრინველს ნიშნავს), ვარსკვლავი - ოჯახი (სახლი). სიმბოლური ნიშნების თავმოყრა - ეს ქვეყნიერების სურათი იყო (ხიდაშელი, 2005).

ადრეულ სარტყელებზე სიუჟეტი სქემატური და გეომეტრიულია. შემდეგ რთულდება სტილიზება და ფანტასტიკა ჭარბობს. ბოლოს იმარჯვებს რეალური ფიგურები. მაგ., თრიალეთურ ბრინჯაოს სარტყელზე გამოსახული ნადირობის სცენა სტილიზებულია, სტილიზებულია ირმების, ლომების და მშვილდოსანი მონადირეების ფიგურები, მაგრამ არა ფანტასტიკური. ასეთივეა ოქროს ლომის, ბრინჯაოს ჯიხვის ქანდაკებები.

ფანტასტიკურია ის დეკორი, რომელიც ნადირობის სურათს ახლავს. ეს არის ჯვრის ასტრალური ნიშანი, თევზი, გველი, თხა და ვერძი. ნადირობის სცენა ჩასმულია ორნამენტულ ჩარჩოში, რომელიც არის ორმწკრივად განლაგებული ხვეულები (ძვ. წ. II ათასწლეულის I

ნახევარი). ასევე ნადირობის სცენას გვაცნობს თრიალეთის ვერცხლის სარწყული. აქ მხოლოდ ცხოველებია, ზოგი - მკერდში ისარგაყრილი.

თრიალეთის შემდეგ ქრება ანთროპომორფული გამოსახულებანი. ისინი ბრუნდებიან მე-9 საუკუნიდან. მაგ., გურჯაანის მელაღელეს ბრინჯაოს ფიგურები, თოჯინის მსგავსი. ისინი უკავშირდებიან დიდი დედის კულტს. იქვე ჭურჭელზე გამოუსახავთ შიშველი ქალი. ასევე შიშველია ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ღვთაება, რომელსაც ყანწი უჭირავს. მეორე მეომრის ფიგურაა. ასევე მრავლადაა ნაპოვნი ამავე დროის ბრინჯაოს ქალის შიშველი ქანდაკებები.

გეომეტრიულად სტილიზებულია სამთავროს სამარხის ბრინჯაოს სარტყელის ნადირობის სურათი, ცხოველები და მონადირეები (ძვ. წ. I ათასწ. I ნახ.). სტილიზება, მინიშნება, სიმბოლიზება, ფანტაზირება, დეტალით საგნის გადმოცემა და საერთოდ ასეთი პირობითობათა სისტემა არის გაშლა არქაული პრინციპისა - ნაწილი უდრის მთელს.

მამაკაცის ქანდაკებები აღმოჩენილია სხვადასხვა ადგილას (მაგ., გუდაბერტყაში, სტეფანწმინდაში, მელაანში, საირმეში, ზეკარში). ზოგი დგას ხარის თუ ირმის რქებზე, ზოგიც - მხედარია.

მხედრის ფიგურა სტილიზებულია. თავზე ჩაფხუტი ახურავს. ზის ცხენზე, რომელიც სახედარს ჰგავს. ცხენს არა აქვს ლაგამი და უნაგირი. უიარაღო მხედარი წინ იხედება, ხელები მოუმუშტავს და ყივის. ზურგზე უჩანს მოსასხამი. ითიფალური ქანდაკებები ერთმანეთს ჰგავს. ესენიც სტილიზებულია. ზოგი კაცი როკავს, ზოგი დადის. ხელი ყველას გაშლილი აქვს, ან - წინ შემართული.

თავზე ხურავთ მაბრისებური ან ხარისრქიანი ჩაფხუტები. ყველა შიშველია. ფეხზე კი აცვიათ (I ათასწლეული). ზოგი ფიგურა აქაც მხედარია. ერთი ჰკლავს მეორეს. სხვა კომპოზიციებში კაცი მოხუცს მიათრევს ან ცხვრის რქებზე დგას ორი შიშველი მხედარი.

საერთოდ, ხელოვნებაში ცხენოსანი მხედარი ჩნდება II-I ათასწლეულების მიჯნაზე, როცა საბრძოლო ეტლი დავიწყებას მიეცა და მისი ადგილი დაიკავა ცხენოსანმა მეომარმა (ამირანაშვილი, 1971).

ამ დროიდან იწყება ცხენის კულტიც. იგი უკავშირდება ღვთაებებს და ხდება ბელადის, მეფის, სარდლის განუყრელი ატრიბუტი.

შემდეგ ცხენი იქცევა სახელმწიფოებრიობის სიმბოლოდ და დაიტვირთება მრავალი მისტიკური და საბრძოლო ნიშნით (მაგ. სიმბოლური ქორწინება მოკლულ ცხენზე ინდოევროპულ ტომებში).

მოღწეულია ირმისა და ვერძის, ხარისა და ძაღლის ქანდაკებები. მაგრამ უმთავრესია ცხენი, რომელიც კოლხურ კულტურაში ბრინჯაოს ბალთების კომპოზიციამში დიდ ადგილს იჭერს.

მხედრები მეტწილ შიშველია, თუმცა ხურავთ ჩაფხუტი და წელზე სარტყელი აქვთ შემოვლებული. მაგ., ცხინვალურ ბრინჯაოს ბალთაზე გამოსახულია ცხენ-ირემზე მჯდარი შიშველი მამრი ღვთაება. საერთოდ სიშიშველე, ეროტიკა, სექსი არქაული ხელოვნების თვისებაა.

კიმერიელ-სკვითების შემოსევამ შეწყვიტა ხელოვნების განვითარება. შემდეგ ჩნდება ჩრდილოური ელემენტები. მაგ., ოქროთი მოჭედილი აკინაკები, ორფრთიანი ან სამწახნაგიანი ბრინჯაოს ისრის ბუნიკები. ურდობმა თავადაც განიცადეს კოლხური ხელოვნების გავლენა. მაგ., ცხოველის თეძოსა და ბეჭზე დეკორის მოთავსების წესი. ქართველური არქაიკის არტეფაქტები გაფანტულია სხვადასხვა ქვეყნების ტერიტორიაზე.

მაგ., ჩრდილო კავკასიის ერთ ყორღანში იპოვეს თასი, რომელსაც ბერძნულად აწერია - „ვეკუთვნი აპოლონ წინამძღვარს, რომელიც ფაზისშია“. თასზე რელიეფურად გამოუსახავთ რქებგამოშლილი ირმის თავები და დახვეული გველი.

ათენში ნაპოვნია ძვ. წ. VI საუკუნის კოლხის მიერ დამზადებული ჰიდრია და ამფორა, ყობანში - ვერცხლის თასი (ფიალა). ჰიდრია (წყალსაზიდი ყურიანი ჭურჭელი) დაფარულია არეოსთან ჰერაკლეს ბრძოლის სცენით. აქ არიან ზევსი, ათინა, კიკლოსი. ფრიზის ქვემოთ ცხოველთა ფიგურებია. ასევე ორნამენტებითაა დაფარული ჭურჭლის ყელი და სახელური (ჰიდრია ინახება ბერლინში).

„კოლხმა გამაკეთა“, - ბერძნულად აწერია ჭურჭელს (თ. ყაუხჩიშვილი). როგორც ჩანს, ავტორი ათენში ყოფილა განსწავლული. შესაძლოა იგი კოლხეთიდან მონად იყო წაყვანილი.

ამფორაზე (თიხის ორყურიანი ჭურჭელი ღვინისა და ზეთისათვის) კი წარწერილია - „ექსითეოსმა გამაკეთა კოლხმა მომხატა“ (შდრ - კოლხი ქალის საფლავი ათენში, 153 დრაქმად შეფასებული კოლხი მონა - 415-414 წწ.).

ბრინჯაოს ბალთები, ისევე როგორც ცულები, კოლხური კულტურის სპეციფიკაა. ბალთებზე გამოსახულია ფანტასტიკური ცხოველები, ვერძები, ფრინველები, ირმები, ძაღლები, ხარები, გველები, ორთავა ირემი, რომელზეც ზის ღვთაება, ალბათ ნადირობის ღმერთი (სოფ. ღებში ასეთი 13 ბალთა აღმოაჩინა და გაანალიზა გ. გობეჯიშვილმა). ასეთივე ფანტასტიკური მოტივები: ცხოველები, ფრინველები და ღმერთებია გადახლართული წინარე აქემენიდურ და სკვითურ ცხოველსახოვან ხელოვნებაში (აფანასიევა, ლუკონინი, პომერანცევა, 1986). ამათ უნდა დავურთოთ შრომისა და ბრძოლის იარაღები. ისინი მტკიცე და გამძლე უნდა ყოფილიყო. მაგრამ აქაც გადაჰქონდათ გეომეტრიული ფიგურები, სტილიზებული სურათები. მაგ., კოლხური ცული მხოლოდ შრომისათვის არ გამოიყენებოდა, იგი საომარი ჩუგლუგიც იყო.

სატევრები, მახვილები, შუბისპირები, ისრისპირები, მშვილდები, ცხენის აღკაზმულობა ზოგჯერ ძვირფასი ლითონებისაგან მზადდებოდა. ზოგ სატევარზე გველი იყო ამოტვიფრული.

იუველირს აქაც უნდა გამოეყვინა ფანტაზია, ოსტატობა, გემოვნება. მაგრამ მაშინაც, როცა მათ ბრინჯაოსა და რკინისაგან აკეთებდა, იჩენდა გამომგონებლობას (მაგ., ბრინჯაოს სატევრის ტარის მოხატვა, სისხლსადენი ღარები).

ხუროებიც ასევე მუშაობდნენ. მაგრამ მათი ნამუშევარი დროს, ომის ხანძარს, გემოვნების ცვალებადობას ვერ უძლებდა და სწრაფად ნადგურდებოდა.

ხელოვანი თავის ნიჭს მდიდრული სამარხების, მაგ., ყორღანების მოწყობის დროსაც ავლენდა, როცა უნდა მოეფიქრებინა სამარხის კონსტრუქცია, ჩასატანინივთები. ამას იგი ქურუმის გარეშე ვერ გადაწყვეტდა, მაგრამ ნივთი თავად უნდა დაემზადებინა, თუმცა გაითვალისწინებდა შემკვეთის მითითებებს.

მეტალურგიას მჭიდროდ დაუკავშირდა იუველირული ხელოვნება, სამყაროს რელიგიური და ესთეტიკური აღქმა, თუმცა თითქოს მხოლოდ პრაქტიკული მიზანი უნდა ჰქონოდა.

ვანში ნაპოვნ ოქროს დიადემებზე (ძვ. წ. V ს.) გამოსახულია თუ როგორ გლეჯენ ლომები ხარსა და ქურციკს. საერთოდ ცხოველთა ბრძოლის სურათები IV ათასწლეულიდან ჩნდება მესოპოტამიურ გლოპტიკურ ძეგლებზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საკულტო ცენტრების და სამლოცველოების აგება. მათგან გამოყოფდნენ საკურთხეველს და სამსხვერპლოს, საიდანაც სისხლი გაედინებოდა.

ზოგან საკურთხეველის სკამის ზურგზე გამოყვანილი იყო ხარის თავი და სვასტიკა. იქვე იდგა თიხის ხარებისა და ვერძების ქანდაკებები.

კულტურისა და ხელოვნების ყოველ ფორმას აერთიანებდა სამლოცველო და საცხოვრისი, რომელიც საუკუნეების მანძილზე სტიქიური არქიტექტორული გამომგონებლობით იძენდა სხვადასხვა სახეს - იგი იყო მენჰირი, კრომლეხი, ვეშაპი, ტაძარი, სასახლე, ციხე-სიმაგრე, გალავნით შემოზღუდული დასახლება - ქალაქი (ქართა - kardა).

უფლის-ციხის, არმაზ-ციხის, ზადენ-ციხის აგებას მონა-ტყვეების ქანცგამწყვეტი შრომა სჭირდებოდა. ეს იყო ბრძოლით მოპოვებული ენერჯია, ზედმეტი ღირებულება, რაც შეუძლებელს აქცევდა შესაძლებლად.

მეფე-სარდალთა და ქურუმთა ფანტასტიკურ ოცნებას რეალობად აქცევდა მონების სასიკვდილო ჯაფა, სიცოცხლის ძალადობრივი შეწირვა ან კიდევ - მასის კოლექტიური შრომა. ალბათ ადამიანს ამის სიმბოლურ ნიშნად ატანდნენ სამირკველში ადამიანის სხეულის ნაწილს, ადამიანის ჩრდილს, საქონლის თუ ფრინველის სისხლს (Фрээр, 1980), სამხრეთელი სლავები - სპერმას.

მონების ძალას ფორმასა და მიმართულებას აძლევდა ხუროთმოძღვარი. ბრძანებას იგი აკონკრეტებდა (მაგ., ნინევიანში, სინაქერიბის სასახლის რელიეფზე გამოსახულია თუ როგორი ორგანიზებით გადააქვს უამრავ მონას გიგანტური ქანდაკება - ძვ. წ. VII ს.).

ციხე-სიმაგრეებს, სასახლეებს, ტაძრებს, გალავნებს, აკლდამა-ყორღანებს აგებდნენ ლოდებისა და ქვებისაგან, ხისა და აგურისაგან (აფაქიძე, 1963).

მაინც მათაც სპობდა უღმობელი დრო, მტერი და ხანძარი. ყველა-ფერი დავიწყებას მიეცა. მხოლოდ მიწამ და სიტყვამ შემოინახა უძველესი არტეფაქტების კვალი, ცოცხალთა და მკვდართა ქალაქების ნაშთები.

ასე რომ, უძველესი ქართველური ტომების კოსმოლოგია, სამყაროს აღქმა და ხედვა გამოსახულია ენის თხზვითა და ენობრივი ცნობიერებით, საცხოვრისებით, კულტებითა და რიტუალებით, არტეფაქტებით, სამარ-ხებით, რაც ინახავს უცხოურ კულტურებთან კონტაქტის კვალს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ამირანაშვილი, შ. (1971). ქართული ხელოვნების ისტორია. თბილისი).
2. აფანასიევა, ვ., ლუკონინა, ე., პომერანცევა, ნ. (1986). ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება. თბილისი.
3. აფაქიძე, ა. (1963). ქალაქები და სამოქალაქო ცენტრები ძველ საქართველოში. I. თბილისი.
4. გაბუნია, მ., ვეკუა, ა. (1980). პატარა ხრამის პეტროგლიფები. თბილისი.
5. გაგოშიძე, ი. (1964). ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან. თბილისი.
6. გოგაძე, ელ. (1972). თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბილისი.
7. ინანიშვილი, გ. (2015). ქართული მეტალურგიის სათავეებთან. თბილისი.
8. ლორთქიფანიძე, თ. (1986). არგონავტიკა და ძველი კოლხეთი. თბილისი.  
ლორთქიფანიძე, თ. (2002). ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისი).
9. მელიქსეთბეგი, ლ. (1938). მეგალითური კულტურა საქართველოში. თბილისი.
10. საქართველოს არქეოლოგია. (1991). I. თბილისი.
11. საქართველოს არქეოლოგია. (1992). II. თბილისი.
12. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. (1970). I. თბილისი.
13. სულავა, ნ. (2011). კავკასიის ფიზიკური. თბილისი.
14. ფანცხავა, ლ. (1988). კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები. თბილისი.
15. ფიცხელაური, ვ. (2013). სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ეთნოკულტურული სისტემა ბრინჯაო-რკინის ხანაში. თბილისი.
16. ღლონტი, ლ., ჯავახიშვილი, ალ., კილურაძე, თ., (1973). ხრამის დიდი გორის ანთროპომორფული ქანდაკებები. „ძეგლის მეგობარი“. #33).
17. ხიდაშელი, მ. (2005). რიტუალი და სიმბოლო არქაულ კულტურაში. თბილისი.
18. ჯაფარიძე, თ. (2012). საქართველოს არქეოლოგიის ძირითადი საკითხები. თბილისი.
19. Большая иллюстрированная энциклопедия древностей. (1980). Прага.
20. Куфтин, Б. (1949a). Археологические раскопки в Триалети. I. Тбилиси.
21. Куфтин, Б. (1949b). Материалы к археологии Колхиды. I. Тбилиси.
22. Токарев, С. (1990). Ранние формы религии. Москва.
23. Фрэзер, Дж.Дж. (1980). Золотая ветвь. Москва.

---

**SOSO SIGUA****ARTIFACTS OF THE KARTVELIAN ARCHAIC  
(3RD MILLENNIUM BC - 4TH CENTURY BC)****Summary**

The cultural center has been a city since ancient times, a protected and enclosed area, which was designed and built by architect according to the idea of a “Kurumi” (chief priest) or king.

The structure of the city - streets, temples, fences, towers, dwellings should have been related to the environment. The city was built on the sea (e.g., Phasis), the lake (e.g., Tushfa), and mostly on the river (e.g., in Kutaisi and Mtskheta), the fortress, the temple and the altar - on a mountain or a hill, in some places - on the rock (e.g., Uplistsikhe).

It was most ideal if the location of the city combined water and mountains. Such was Mtskheta, which was established as a religious and governmental center, between the mountains, at the confluence of two rivers - the Mtkvari and the Aragvi, at the confluence of the roads coming east, west and north.

As it is noticed, the kings of Iberia, as well as the chiefs of the tribes, were the chief priests. The caste of priests possessed the mystery of divine and real knowledge invented and managed rituals, holidays, customs, and daily life.

So - the cosmology of the ancient Kartvelian tribes, the perception and vision of the world is reflected in the language and linguistic consciousness, dwellings, cults and rituals, artifacts, tombs, which keeps track of contact with foreign cultures.

## თემურ ჯაგოდნიშვილი

### ფოლკლორული „როსტომიანი“ და მისი რემინისცენციები ქართული ხალხური ეპოსის სივრცეში

ქართული ფოლკლორი ფართოდ გავრცელებული ზეპირსიტყვიერი ტექსტებით როსტომის, ბეჟანის ზურაბის შესახებ აქტიურად ეხმიანება ლიტერატურის სამყაროში საყოველთაოდ ცნობილი ფირდიუსის ქმნილების „მაჰნამეს“ მხატვრულ სივრცესა და ისტორიებს. „მაჰნამეს“ ცოდნა ქართულ სინამდვილეში ლამის მისი შექმნისდროიდანვეა დაფიქსირებული. XIX საუკუნეში ისეთი აზრიც კი არის გაცხადებული, რომ ფირდიუსის თხზულების წყაროებს შორის ქართული (კავკასიური) ზეპირი ისტორიებიც უნდა იყოს გამოყენებული [ვრცლად აღნიშნულის თაობაზე: ჯაგოდნიშვილი 2004: 36-75]. რუსი ფილოლოგი, ეთნოლოგი და ფოლკლორისტი აკადემიკოსი ვსევოლოდ მილერი ნაშრომში „ირანული გამოძახილები კავკასიურ თქმულებებში“ ამტკიცებს, რომ ხალხური როსტომიანის ვერსია თვით ფირდოუსის თხზულებაზე მეტ არქაულობას შეიცავს მამა-შვილის ორთაბრძოლის მოტივში; რომ სვანური „როსტომიანის“ ტექსტში ირანული თქმულების თავისებურ ჩონჩხს ვხვდებით, მაგრამ არა ფირდოუსისეულს, არამედ უფრო ადრინდელს [მილერი 1889: 11]. ვს. მილერის ფიქრით, როსტომის თქმულება საქართველოში (და მთლიანად კავკასიაში) VI საუკუნეში უკვე იყო ცნობილი, ანუ იმ ეპოქაში, როდესაც სპარსთა მეფემ ხოსრო ანუშირვანმა (531-578) შეაკრებინა ძველი მეფეებისა და ბუმბერაზების ზეპირი ისტორიები (თქმულებები) და სასახლის ბიბლიოთეკაში შეანახვინა. ეს ის ეპოქაა, როდესაც გასრულდა სპარსთა მიერ აღმოსავლეთ კავკასიისკოლონიზაცია. ვს. მილერის ვარაუდით, სპარსმა მოლაშქრეებმა კავკასიაში მოისმინეს თქმულება და შემდეგ ირანში გაავრცელესო [მილერი 1889: 31-34].

„მაჰნამესადმი“ ინტერესი, როგორც ირანელი მეფეების ისტორიების შემცველი ეპოპეისადმი საქართველოში გამოწვეული იყო არა ირანელი მონარქების ამბებით, არამედ მთავარი პერსონაჟის როსტომის ეპიკური თავგადასავლებით და მასთან დაკავშირებული საგმირო-საფალავნო თავგადასავლებით: ქართულ ლიტერატურაში ამ ამბების ვერსიები „როსტომიანის“ სახელწოდებით დამკვიდრდა და „მაჰნამესეული“ „ფრიდონიანის“ და „როსტომიანის“ მხატვრული ტექსტები მოიცვა. ამას

გარდა, „შაჰნამეს“ მიბაძვებიდან შეიერთა „უთრუთიან-საამიანი“, „ზაა-ქიანი“, „ბარზუნამე“, „საამნამე“, „ბარამიანი“, „სირინოზიანი“, „ყარამანიანი“ (ნ. ბართაია). მსოფლიო რეზონანსის მხატვრული თხზულებისადმი ქართველების ინტერესი იმაშიც გამოიხატა, რომ XV და XVI საუკუნეებში სერაპიონ სოგრატის ძე საბაშვილმა, ხოსრო თურმანიძემ, ფარსადან გორგიჯანიძემ გალექსეს და გაავრცელეს. ქართველი ირანისტის ნომალი ბართაიას მიხედვით, „შაჰნამეს“ ვერსიების მეორე ტომი ვ. კველიძის, ალ. ბარამიძის, იუსტ. აბულაძის, პ. ინგოროყვას და ავ. შანიძის რედაქციით გამოიცა 1934 წელს ფირდოუსის 1000 წლის იუბილესთან დაკავშირებით; 1975 წელს გამოიცა „შაჰნამეს“ მესამე ტომი, დავით კობიძის რედაქციით.

ჩვენს დროში განხორციელდა „შაჰნამეს“ სრული ტექსტის ქართული თარგმანი (ადეკვატური თარგმანის პრინციპით). იგი ეკუთვნის პოეტსა და მთარგმნელს ბელა შალვაშვილს. 2019 წელს გამომცემლობა „მერიდიანმა“ გამოსცა პირველი ტომი (ბართაია 2020, 27-28), 2023 წელს გამოიცა ოთხი ტომი; 2024 წელს კი მეხუთე-მეცხრე ტომები, სულ 9 ტომი. ამას გარდა, „შაჰნამეს“ ქართული პროზაული და პოეტური ვერსიებიც შეიქმნა. განსაკუთრებით გავრცელდა „როსტომიანი“, „ზურაბიანი“, „ბეჟანიანი“. ქართლში, კახეთში, ფშავში, მთიულეთში, ხევსურეთში, მესხეთ-ჯავახეთში, იმერეთში, სვანეთში XIX საუკუნიდან დღემდე არა ერთი თავისთავადი ტექსტი და ვარიანტია დაფიქსირებული. ვ. მაცაბერიძის გამოთვლით, მარტო ქართული ხალხური როსტომიანის ვარიანტების რაოდენობა ასს აჭარბებს. საყურადღებოა ერთი გარემოებაც: არც ერთი ზეპირსიტყვიერი ტექსტიდან არ გავრცელებულა იმდენი აფორიზმი და მაქსიმა, რამდენიც „როსტომიანიდან“ შემორჩა ქართულ ფოლკლორულ ტრადიციას. ამ აფორიზმებითა და მაქსიმებით როსტომი ხალხური სიბრძნის მეტაფორადაც კი წარმოსდგება. რამდენიმე ასეთი გამონათქვამი სასწავლო გამიზნულობის წიგნებშიც მოხვდა. მაგალითად, ვ. ბარნოვმა თავის სახელმძღვანელოში „ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები“ [ბარნოვი 1919: 40]. როსტომის თქმულად ცნობილი ათზე მეტი აფორიზმი შეიტანა, მათ შორის ასეთებიც:

ამქვეყნად გმირი მეც ვიყავ, ჯირითი მეც შევისრიე, სოფელში ამაყობასა ისევ დარჩომა ვირჩიე;

სიბერე ძნელი ყოფილა, შავი ქვა აეწონება; დამჯდარი ვეღარ ადგება, ყავარჯენს დაეღონება;

როსტომ თქვა: ერთი არა სჯობს ამ ჩემსა მოგონებასა; ერთხელ სჯობია სიკვდილი სულმუდამ დაღონებასა”.

„შაჰნამეს“ ქართული ვერსიების პერსონაჟი როსტომთან ერთად ჩვენში ცნობილია ფოლკლორული თქმულება-გადმოცემებისა და ზღაპრების როსტომიც.

ფირდოუსის „შაჰნამეს“ ცენტრალური პერსონაჟი როსტომი და ქართული ფოლკლორის როსტომი ერთმანეთის ორეულებს არ

წარმოადგენენ: ქართული ზეპირსიტყვიერი ტექსტების როსტომი ფირდოუსის პერსონაჟის წინაპარია, შესაძლოა არაპირდაპირი, მაგრამ შვილთან შებრძოლების მოტივით კი უსათუოდ. ამას უპირველესად „შაჰნამეს“ თხზვის ისტორია გვაუწყებს, რომელიც უცხო მკვლევარმა (ვს. მილერი) ირწმუნა, ქართველები კი დუმილით შეხვდნენ. მეტიც, მათ უფრო ადვილად ქართული ხალხური „როსტომიანის“ „შაჰნამესეული“ წარმომავლობა დაიჯერეს. ფოლკლორის როსტომის „შაჰნამესეული“ წარმომავლობა ივარაუდა, მაგალითად, ა. შანიძემ ნარკვევში „შაჰნამეს“ ერთი ეპიზოდი ქართულ ფოლკლორში” [შანიძე 1935: 177-195]. მისი მთავარი არგუმენტია: „ხალხური ვარიანტები „ბეჟანიანის“ ისეთ დამატებებს შეიცავენ, რომლებიც ასე მცირე ხნის განმავლობაში ვერ შემუშავდებოდა (მაგალითად, ბეჟანის ბრძოლა ტახთან, გურგენის ხეზე ასვლა და სხვა). ხალხში „როსტომიანიდან“, „ბეჟანიანის“ გარდა სხვა ეპიზოდებიც არის გადასული” [შანიძე 1935: 194].

ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ „ბეჟანიანი“ და „როსტომიანი“ დამოუკიდებელი ფოლკლორული ტექსტების ფორმატშიც არსებობს და ერთიან ტექსტადაც. მართალია, ფოლკლორული როსტომი „შაჰნამედან“ ცნობილ სხვა ამბებშიც ფიგურირებს (მაგალითად, როგორც ბეჟანის ნათესავი, ან როგორც გმირობის მაძიებელი ფალავანი და ა. შ.), მაგრამ ამ როსტომის ეპიკურ თავგადასავალში ისეთ ამბებსაც გვიამბობს ხალხი, რომელთა კვალი წიგნიერ „როსტომიანში“ არ იძებნება.

„შაჰნამესა“ და ფოლკლორული „როსტომიანის“ თუ „ბეჟანიანის“ ურთიერთგავლენის რკვევის გართულება ქართულ სინამდვილეში ფოლკლორული როსტომ - ბეჟანიანის ტექსტებისა და „შაჰნამეს“ ქართული ვერსიების გვერდი-გვერდ არსებობამ გამოიწვია. როსტომის, ბეჟანის წარმომავლობაზე (ვინაობაზე) დღესაც აზრთა სხვადასხვაობა სუფევს: ზოგი მას ქართულ გარემოს უკავშირებს (ნ. ხიზანიშვილი, ე. თაყაიშვილი, ალ. ბარამიძე, გ. წერეთელი, დ. კობიძე, მ. ჩიქოვანი, ვ. მაცაბერიძე და სხვანი), ზოგი (ალ. ლლონტი) „შაჰნამეს“ პერსონაჟად მოიაზრებს; ჩვენში ისეთი აზრიც ფესვმაგრობს, თითქოს როსტომის ეპიკური თავგადასავლის ფრაგმენტები „შაჰნამეს“ ქართულად თარგმნამდე იყო ცნობილი (ალ. ხახანაშვილი) და ა. შ.

ხალხური „როსტომიანის“ ერთი მნიშვნელოვანი მოტივის - მამა-შვილის ორთაბრძოლის - ქართული წარმომავლობის ვარაუდი თავის დროზე ვს. მილერმა გამოთქვა ხალხური თქმულების **სვანური და ფშაური** ვერსიების „შაჰნამესთან“ შედარების საფუძველზე. მან გაარკვია, რომ სვანური ვარიანტი თვით ფირდოუსის ნაწარმოებზე ძველია. სვანურში ამ ირანული თქმულების თავისებური ჩონჩხია, მაგრამ არა ის, რომელსაც ფირდოუსთან ვხვდებით, არამედ უფრო ადრინდელი [მილერი 1889: 11]. კიდევ ერთი, უფრო სერიოზული, დამამტკიცებელი საბუთი წარმოადგინა ვ. მაცაბერიძემ. მან მიუთითა ზღაპარზე „ხრისტაგან და ბელთაგან ტარიელების არიკი“, რომელშიც

„არ შეიმჩნევა მწიგნობრობის კვალი“ და მამაშვილის ორთაბრძოლის სიუჟეტი „ქართულ ხალხურ ეპოსში როსტომიანთან ერთად არსებობს“, თანაც „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიებამდე ბევრად ადრე არსებობდა. მამაშვილის ბრძოლის ეპიზოდი საერთაშორისო გავრცელებისაა, თუმცა კონკრეტულ ეროვნულ სინამდვილეში სპეციფიკური (ეროვნული) ნიშნები აქვს შეძენილი. ქართული ეპიზოდი ისეთ მოტივებს შეიცავს, რომლებიც ამირანის თქმულების გავლენით არიან გაჩენილი. ასე რომ, მამაშვილის ორთაბრძოლის პირვანდელ ქართულ ფოლკლორულ ტექსტში პერსონაჟები იყვნენ არა **როსტომი**, **ზურაბი** და სხვანი, არამედ **ტყისკაცი**, **ხრისტაგანი** და სხვანი. სხვა იყო გეოგრაფიული გარემოც, ანუ მხატვრული სივრცეც [მაცაბერიძე 1958: 425, 445].

ამ მეგრული ზღაპრის ტექსტი, როგორც ცნობილია, პირველად ი. ყიფშიძემ დაბეჭდა თავის „მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკაში“ [ყიფშიძე 1914: 82-104], გაიმეორა 1920 წელს გამოცემულ „მეგრული ზღაპრების“ კრებულშიც. ვ. მაცაბერიძის დაკვირვებით, ამ ზღაპრის სიუჟეტი „იდეურად და კომპოზიციურად უახლოვდება მამაშვილის ბრძოლის სიუჟეტის დანარჩენ ვარიანტებს, სადაც მოქმედებენ როსტომი და ზურაბ“ [მაცაბერიძე 1958: 420]. ვ. მაცაბერიძე, სამწუხაროდ, ამის იქით აღარ წავიდა, არ დასვა საკითხი მეგრული ზღაპრის სიუჟეტის თავად „შაჰნამეს“ შესაძლო წყაროდ განხილვის თაობაზე, რის საფუძველს (თუნდაც თეორიულ ასპექტში) აშკარად შეიცავს ამ ზღაპრის პასაჟები, უპირველესად სათაური - „ხრისტაგან და ბელთაგან ტარიელების არიკი“, საიდანაც მკაფიოდ გვეხმაურება ხსოვნადაკარგული ქართული მითოსის მხატვრული ცნობიერების გამოთქმანი (თუნდაც გასუბსტანტივებული **„ტარიელების“** დაფიქსირება რად ღირს მეორეული ნომინაციის დანიშნულებით, **„დარეჯანების“** დარად).

წიგნური „როსტომიანი“, როგორც „შაჰნამეს“ ქართული ვერსიის ერთი განმარტება და ფოლკლორული „ბეჟანიანისა“ და „როსტომიანის“ ტექსტები საქართველოში გასაკვირად პოპულარული იყო, თანაც კიდევ უფრო გასაოცრად დიდი ხნის განმავლობაში - XX საუკუნის 20-იანი წლების მიწურულამდე. პოპულარობა, როგორც ცნობილია, უცხოელებსაც შეუმჩნევიათ. მიხ. თამარაშვილის მოწმობით ერთი ასეთი ადამიანი ყოფილა ცნობილი მისიონერი კათოლიკე ბერი ბერნანდე ნეაპოლელი. ქართული მენტალობისა და კულტურული ცნობიერების „მცნობ“ ამ დაკვირვებულ მკვლევარში გაოცება გამოუწვევია იმას, რომ „ქართველები თუმცა ძლიერ გონიერნი არიან... მაგრამ მიზიდულნი არიან ბეჟანიანის, ბარამიანის, როსტომიანის და მათი მსგავსი წიგნების კითხვაზე“ [თამარაშვილი 1934: 21].

„როსტომიანით“, „ბეჟანიანითა“ და მსგავსი მხატვრული თხზულებებით აღტაცებული ქართველი საზოგადოების წარმომადგენლებს ერთობ გულუბრყვილო არგუმენტები მოეპოვებოდათ ამ თხზულებათა პოპულარობის ასახსნელად. ერთი ამგვარი არგუმენტის შინაარსი

მოჰყავს ვ. მაცაბერიძეს მის ციტირებულ ნაშრომში. ესაა ცნობა, რომელიც შემონახულია „შაჰნამეს“ ქართული ვერსიების” დადიანის კუთვნილი ხელნაწერის არშიაზე და რომლის შინაარსიც დაბეჭდილია ე. თაყაიშვილის “ხელნაწერთა აღწერილობის” I ტომში [თაყაიშვილი 1902-1904: 360]. ეს ტექსტი გვამცნობს:

„ჰოი, მკითხველნო, ამ წიგნს ნუ დასცინებთ“... რადგან „ჰჰომოცა ამას შინა ძველი ზნეობა და ზოგადი ჩვეულება ძველთა ქართველთა და გმირულნი მოთხრობანი, რომელთაც ძველნი შთამომავლობათა ანდაზად (ანუ: ანდრეზად) დაუდებიან“. „ვეფხისტყაოსანის“ პატრონი ხალხის ამგვარი განცხადება კულტურული და მხატვრული ცნობიერების დადლილობით მოდუნებისა და ღირებულებათა სისტემის დევალვაციის გამოხატულება უფრო იყო, ვიდრე აღმოსავლური (სპარსული) კულტურულ-ესთეტიკური ტრადიციების გავლენაში მყოფობისა. ამაზე სხვასთან ერთად ისიც მიგვანიშნებს, რომ „შაჰნამეს“ ქართული ვერსიებიც და ხალხური როსტომ-ბეჟანიანების „პოპულარული“ სიუჟეტები საანდრეზოს თითქმის არაფერს შეიცავენ და ეპიკური მხატვრული ცნობიერების დონეზედაც ამბის, ფაბულის ფრაგმენტულობით ხასიათდებიან. ეპოსის პარადიგმა: მამისეული სახლიდან წასვლა → საცოლის ძიება → ცხოვრებისეული (პრაქტიკული) ცოდნა-გამოცდილების შექმნა → დაბრუნება → მამის ადგილის დაკავება → მამის აშენებული სახლის (ქვეყნის, სახელმწიფოს) წილ (ნაცვლად) ახალი (თავისი) ქვეყნის აშენება ეპიკური თავგადასავლის თხრობაში მამაშვილის ბრძოლა-შერკინების ამბავს ეპიზოდის ფუნქციას აკისრებს. ეპოსში შვილი მიდის მამისეული სახლიდან ბედის საძიებლად და არა მამა. „შაჰნამეში“ და როსტომ-ბეჟანის თქმულებებსა თუ ზღაპრებში კი ეპოსის თავდაპირველი პარადიგმატულობა დარღვეულია. როსტომიანის სვანურ ვერსიებში ამ პარადიგმატიკის ნიშნები უფრო შემონახულია (ამაზე დაწვრილებით სხვაგან და სხვა დროს). დადიანის კუთვნილი ხელნაწერის მინაწერი, ამდენად, ქართული კულტურული ცნობიერების დასასვენებლად გარინდებსა და ეროვნული კულტურული ორიენტირებისადმი წაყრუებას ცხადყოფს.

ცნობილია, რომ შინაარსობრივად „შაჰნამეს“ წიგნური ქართული ვერსიები ფირდოუსის „შაჰნამეზე“ ვრცელია: გამრავალფეროვნებულია როსტომის გმირობანი, მიმატებულია ბეჟან-მანიჟეს ამბები. ხალხურ „როსტომიანს“ ებმის „ბეჟანიანის“ სახელწოდებით ცნობილი ამბავი; ვ. მაცაბერიძის დაკვირვებით, წიგნური ბეჟანისა და ომანის ბრძოლა ფოლკლორში წარმოდგენილია ღორებთან ბრძოლად; ბეჟანის თავგადასავალი შეუერთდა ადრე ცნობილ ვარიანტებს, რომლებშიც შემორჩენილია ძირითადი მოტივები (მაგალითად, ბეჟანის ორმომი ჩაგდება და არქან დევის მიერ მოტანილი ქვის დაფარება. ქვის მოტანა არც ხალხურ ვერსიებში ჩანს და არც „შაჰ-ნამეში“); ხალხური „როსტომიანისათვის“ უცნობია ზურაბის დედის მიერ შვილის სიკვდილის გაგება, ამ ნიადაგზე

მისი გარდაცვალება; წიგნური წარმომავლობისაა მძინარე როსტომის აქავან დევის მიერ მოტაცების ამბავი, რომელიც დაცულია ხალხური „როსტომიანის“ მესხურ და სვანურ ვარიანტებში. ასევე დაცულია „ამირანდარეჯანიანში“ [„ამირანდარეჯანიანი“, 1939: 25]. არქან // აქავან დევის მსგავსად ექცევიან მძინარე ამირან დარეჯანის ძეს ბაყბაყ და ხაზარან დევები. ეს მოტივი არ არის შესული ყველა ფოლკლორულ ვარიანტში და ამიტომ არ წარმოადგენს ხალხური როსტომიანის ნაწილს. ფოლკლორული ვარიანტებისათვის უცნობია (როგორც ქართული სინამდვილისათვის უცხო) „შაჰნამეს“ ქართული ვერსიებისეული ბარზაუს ამბები, რომლებიც როსტომსა და ზურაბს უკავშირებდა და ა. შ. [მაცაბერიძე 1964: 337-348].

ხალხური „როსტომიანი“ და „ბეჟანიანი, ჩვეულებრივ, პროზაული ტექსტებია, თუმცა ლექსნარევი ვარიანტებიც გვხვდება და ლექსითებიც. ლექსითი ვარიანტები უმეტესად როსტომისა და ზურაბის ორთაბრძოლის თხრობას შეიცავს. ვ. მაცაბერიძის აზრით, ლექსითი ვარიანტები წიგნური წარმომავლობისანი არიან, რადგან ისინი ფრაგმენტებს შეიცავენ და სიუჟეტურ მთლიანობას ვერ ინარჩუნებენ. მათი შინაარსი გასაგებია მხოლოდ პროზაულ ტექსტებთან ურთიერთობაში, ფოლკლორული ვარიანტები კი სწორედ ამგვარი (სიუჟეტური მთლიანობის შემანარჩუნებელი) უნარით გამოირჩევიან. აბსოლუტურად უტყუარი დაკვირვებაა, რაც იმასაც ცხადყოფს, რომ ლექსნარევი ვარიანტებში ჩართული პოეტური ფრაგმენტებიც გვიანდელი წარმომავლობის ტექსტებად უნდა მივიჩნიოთ. ვ. მაცაბერიძემ ამის საფუძველზე გაიზიარა კ. კეკელიძის აზრი „შაჰ-ნამეს“ ქართული თარგმანების ფოლკლორულ ტექსტებზე შესაძლო ზეგავლენის თაობაზე. ამ ვარაუდის საფუძველი კი გარკვეულწილად მართლაც არსებობს. აკ. შანიძის გამოთვლით „ბეჟანიანი“ საკითხავი წიგნაკის ფორმატით 30 წლის განმავლობაში (1873-1903) 12-ჯერ გამოიცა. პირველი გამოცემა განახორციელეს იაგორ ნერსესოვმა და არსენ კალანდაძემ, 1873 წელს, შემდეგ სხვათა გამოცემებიც გამოქვეყნდა (მათივე-1875, ჩარკვიანის – 1879, ნერსესოვისა – 1880, ფამბაკელისა – 1990 და ა. შ.) [შანიძე 1935: 194]. ამ გარემოებამ, ცხადია, ხელი შეუწყო ფოლკლორული ვარიანტების გავრცელებას. თუმცა, მაგალითად, ხალხური „ბეჟანიანის“ ტექსტის ერთი ვარიანტი 1864 წელს გამოვლინდა ზეპირსიტყვიერ ტრადიციაში. ეს ტექსტი ჩაწერილია ხევში. შეტანილია კ. უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერების“ პირველ ტომში (გვ. 27-29). მას რამდენიმე ვარიანტი მოეპოვება: ილია ჭავჭავაძის მიერ ჩაწერილი 1871 წელს; ლ. ჩერქეზიშვილის მიერ კახეთში, სოფ. თოხლიაურში, 1871 წელს ჩაწერილი; ქართლში (ქარელში) 1869 წელს ჩაწერილი და სხვა.

ხალხური „როსტომიანისა“ და „ბეჟანიანის“ ტექსტები დიდი რაოდენობით არის გამოვლენილი ცოცხალ ზეპირსიტყვიერ სივრცეში. ჩანაწერები უმთავრესად დაცულია შოთა რუსთაველის ქართული

ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების არქივში, კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში, საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში და ა. შ.

ფოლკლორული „ბეჟანიანის“ გამოქვეყნებული ტექსტებიდან ყველაზე ადრინდელია სვანური ვარიანტი („ივერია“, 1887, №214). მას მოჰყვება ქართლური ვარიანტი, თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი („ივერია“, 1889, №82). XIX საუკუნეში ჩაწერილი უამრავი ფოლკლორული ვარიანტული ტექსტების ფონზე მნიშვნელოვანია აკაკი შანიძის მიერ 1913 წელს ჩაწერილი და 1935 წელს გამოქვეყნებული ლექსნარევი ტექსტი „ხალხური ბეჟანიანი“, რომელიც მთიულეთში, ხადაში, ს. გომურში, ბეგოთ-სოფლელი აბა ნინიას ძე ზაქაიძისაგან მოუსმენია [შანიძე 1935: 117-135]. იგი კლასიკურ ფოლკლორულ ჩანაწერს წარმოადგენს იმ თვალსაზრისით, რომ დაზღვეულია ჩამწერის ტექსტოლოგიური ჩარევებისაგან, რაც XIX საუკუნის ჩანაწერთა „სენს“ წარმოადგენს. ამ ჩანაწერთან სიახლოვით გამოირჩევა თ. რაზიკაშვილის მიერ ქართლში, სოფ. ქიწნისში, სოლ. გულაშვილის ნაამბობის მიხედვით ჩაწერილი ტექსტი.

მეცნიერულ-დიალექტოლოგიური სიზუსტით გამოირჩევა „როსტომიანის“ სავარაუდო წყაროს პრეტენზიის მქონე მეგრული ზღაპრის - „ხვისტაგანისა და ბელთაგანის ტარიელების არიკი“ - და „ბეჟანისა და მანიჟანის არიკის“ ტექსტების ი. ყიფშიძისეული ჩანაწერები, რომლებიც პირველად მის „მეგრული ენის გრამატიკაში“ (გვ. 82-104; 104-107) დაიბეჭდა, შემდეგ „ნაკადულში“ (1916, №1). ი. ყიფშიძემ „ბეჟანისა და მანიჟანის არიკის“ ქართული თარგმანი, თავის „მეგრულ ზღაპრებშიც“ (1920) შეიტანა.

ქართულ ფოლკლორისტიკაში „როსტომიანისა“ და „ბეჟანიანის“ მნიშვნელოვან ტექსტებად შემდეგ პუბლიკაციებს ასახელებენ: თ. რაზიკაშვილის ჩაწერილ ტექსტს „როსტომი (ხალხური ზღაპარი)“, რომელიც ჯერ „ივერიაში“ (1889, №82) გამოქვეყნდა, შემდეგ კი მის „ხალხურ ზღაპრებშიც“ (1909, გვ. 243) შევიდა, ხოლო ამ კრებულიდან მცირეოდენი ცვლილებებით გადაბეჭდეს: ს. გიორგაძემ („ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“, 1927, გვ. 47), ვ. ხუროძემ („ხალხური ზეპირსიტყვიერება საშუალო სკოლაში“, 1935, გვ. 65), კ. გაგუამ („ქართული ზეპირსიტყვიერების (ფოლკლორის) ნიმუშები“, 1936, გვ. 105), მ. ჩიქოვანმა („ხალხური სიტყვიერება საშუალო სკოლის VIII კლასისათვის“, 1940, გვ. 80), თ. ბეგიაშვილმა („ქართული ფოლკლორი“, 1941, გვ. 105-127; 1950, გვ. 446), ასევე კრებულში „ქართული ხალხური ზღაპრები შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ“, წიგნი 2 (1952, გვ. 176) და წიგნი „ხალხური სიბრძნე“, III (გვ. 83).

მნიშვნელოვან ფოლკლორულ ჩანაწერებს განეკუთვნება აგრეთვე მესხი კ. გვარამაძის მიერ მესხეთში, ხიზაბავრაში ბერნადეთ სოლომანასაგან მოსმენილი და „აკაკის კრებულში“ (1898, №7, განყოფილება III, გვ. 1-8) გამოქვეყნებული ტექსტი „როსტომი“ (ზღაპარი); მიხეილ

როსტომაშვილის მიერ ჩაწერილი „როსტომი“ („აკაკის კრებული“ 1898, №9, განყოფილება III, გვ. 53-55). აკაკი შანიძე, მიუხედავად იმისა, რომ ხალხური „როსტომიანის“ „შაჰ-ნამედან“ მომდინარეობის თეზისს ავითარებდა, მიხეილ როსტომაშვილის მიერ ჩაწერილ ტექსტზე იძულებული იყო ეთქვა: ეს ტექსტი „სრულებით სხვა რამეა, ვიდრე „შაჰნამეს“ როსტომი [შანიძე 1935: 178]. ფოლკლორული „როსტომის“ ერთი საინტერესო ვარიანტი ფიდა კვიციანიძის ნაამბობის მიხედვით გამოაქვეყნა ალ. ლლონტმა [ლლონტი 1952: 36-52].

ლექსითი ფორმატის ფოლკლორული „ბეჟანიანის“ ფრაგმენტები ს. გაჩეჩილაძის ჩანაწერების მიხედვით გამოქვეყნებულია „ძველ საქართველოში“ (ტ. I, 1909, გვ. 8-9); რამდენიმე პოეტური ტექსტის („ბეჟანიანი“, „ბეჟან, ბეჟან გივიშვილი“, „ათირდა და მოახსენა“, „ბეჟან-გურგენი ჩადიან“ სოფელ დილომში 1951-1952 წლებში ანტონ ლაზარეს ძე სონღულაშვილის, ტუხა ივანეს ძე სოზიაშვილის, გიგო ფირუზაშვილის ნაამბობთა მიხედვით ჩაიწერა და გამოაქვეყნა ჯუანშერ სონღულაშვილმა [სონღულაშვილი 1955: 84-88].

„ბეჟანიანისა“ და „როსტომიანის“ ფოლკლორული ტექსტები, როგორც წესი, აუცილებლად შეჰქონდათ და შეაქვეთ ფოლკლორული და დიალექტოლოგიური დანიშნულების კრებულებში. ამ კრებულებიდან ყველა „აპრობირებული“ ტექსტი შემოტანილია კრებულში „როსტომიანი“, რომლის გამოცემაც გათვალისწინებულია „ქართული ხალხური პროზის“ მრავალტომეულის ფორმატის გამოცემაში. მაგრამ ამას გარდა, ათეულობით წლების განმავლობაში ფოლკლორულ ექსპედიციათა მიერ გამოვლენილი არაერთი ტექსტი გამოუქვეყნებელია. ეს ტექსტები უმთავრესად შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების არქივშია. „ქართული ხალხური პროზის“ მრავალტომეულის გამოცემებისათვის ეს არქივი სპეციალურად შეისწავლეს პროფესორმა რუსუდან ჩოლოყაშვილმა, ნესტან რატიანმა. მათ „ბეჟანიანისა“ და „როსტომიანის“ ტექსტების დღემდე უცნობი ჩანაწერების ფოლკლორისტული ექსპერტიზა ჩაატარეს, გამოავლინეს საინტერესო ვარიანტები. მიუხედავად იმისა, რომ ზოგი ტექსტი უპასპორტო აღმოჩნდა, მაინც გადაწყდა მათი ხალხური პროზის კრებულში შეტანა. ის ვარიანტები კი, რომლებიც შინაარსობრივი თვალსაზრისით ფრაგმენტულია, ან ახალს არაფერს შეიცავენ, მხოლოდ მათი საარქივო ინდექსები და ფოლკლორული პასპორტები დაფიქსირდა:

\* \* \*

ბიბლიის შემდეგ საქართველოში ყველაზე პოპულარული წიგნის „ვეფხისტყაოსნის“ ფოლკლორული ვარიანტები ცოცხალ ზეპირსიტყვიერ ტრადიციაში მრავლად არის გამოვლენილი. ამ ვარიანტების უმრავლესობას „ტარიელიანის“ სახელწოდებით მოიხსენიებენ, ზოგს პირდაპირ „ხალხურ ვეფხისტყაოსანს“ უწოდებენ. ეს გარემოება, ცხადია,

მკაფიო პასუხს წარმოადგენს ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ ამბის წიგნიერი წარმომავლობის შესახებ. მ. ჩიქოვანის გამოთვლით, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ხალხური „ვეფხისტყაოსანი“ 15 ვარიანტად არის ცნობილი [ჩიქოვანი 1935: 208]. ყველა ძირითადი ვარიანტი 1888-1898 წლებში „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა.

ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ ფოლკლორულ ტექსტებს თავი მოუყარა და ტექსტოლოგიური ანალიზი ჩაუტარა მ. ჩიქოვანმა. მანვე ორჯერ, 1936 (I გამოცემა) და 1937 (II გამოცემა) წლებში, გამოსცა კრებული ხალხური „ვეფხისტყაოსანი“. ამ კრებულში მან მეტნაკლებად განსხვავებული 25 ვარიანტი შეიტანა, ზოგი პოეტური (ფრაგმენტული), ზოგიც პროზაული. ცალკე არსებობის „უფლებების მქონე“ ტექსტებად დღეისათვის მიჩნეულია: „ტარიელიანი“, „ტარიელის ზღაპარი“, „ტარიელის ამბავი“, „ვეფხისტყაოსნის ზღაპარი“, „ტარიელი და ნესტანდარეჯანი“, „ქაიხოსრო ხელმწიფე“, „ტარიელი და ლერწამ-დარეჯანი“, „ხალხური ვეფხისტყაოსანი“, „ხელმწიფე და მისი შვილი“.

ქართულ ფოლკლორისტიკაში დღეისათვის ტარიელიანის მრავალი ვარიანტია ცნობილი. მათ შორის მთავარია:

- თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი - (დაიბეჭდა: „ივერია“, 1890, №239);
- ს. მერკვილაძისა - („ივერია“, 1891, №№74, 75);
- ს. მერკვილაძისა - („აკაკის კრებული“, II, 1897, გვ. 33-53);
- ს. მაჭავარიანისა - („ივერია“, 1888, №49);
- თ. სახოკიასი - („ივერია“, 1890, №№7, 8);
- მ. ჩიქოვანისა - („ლიტერატურული მემკვიდრეობა“, I, თბილისი, 1935, გვ. 208-231);
- ს. მაჭავარიანისა - („ივერია“, 1887, №224);
- თ. რაზიკაშვილისა - („ივერია“, 1890, №252);
- დ. ხიზანიშვილისა - („ივერია“, 1888, №№230, 231);
- აღ. ხახანაშვილისა - („ივერია“, 1888, №131);
- აღ. ხახანაშვილისა - („ივერია“, 1888, №165);
- ჯ. ნოღაიდელისა - („აჭარის ხალხური სიტყვიერება“, I, ბათუმი, 1936, გვ. 92-100);
- მ. ალავიძისა - („ლექსუმური ზეპირსიტყვაობა“, თბილისი, 1951, გვ. 53-55);
- აკ. შანიძისა და ვ. თოფურიასი - („სვანური პროზაული ტექსტები“, ტ. I, თბ., 1939, გვ. 58-63);
- პ. უმიკაშვილისა - (ნაწყვეტები ლექსად, „ხალხური სიტყვიერება“, I, თბილისი, 1937, გვ. 17-22).

ასევე საყურადღებოა ისეთი ვარიანტები, როგორცაა პ. უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერების“ პირველ ტომში დაბეჭდილი „ტარიელი“ (ჩაწერილი კახეთში, ს. კალაურში, 1862 წელს); ს. მარაბდაში ნინო ბარათოვის მიერ ჩაწერილი ტექსტი და მისი ვარიანტები; ქართლში, სოფ. ქარელში 1869 წელს ანდრია როინიშვილის მიერ ჩაწერილი, 1870 წელს ხევში გაგა გოგოჭურის თქმით ჩაწერილი ტექსტი და სხვა.

დ. ხიზანიშვილის მიერ ჩაწერილი ტექსტი (გამოქვ. „ივერია“, 1888, №№230; 231), ს. მერკვილაძის მიერ ჩაწერილი ტექსტი („ივერია“, 1891, №№74, 75) და თ. სახოკიას მიერ ჩაწერილი ქართლში გაგონილი ტექსტი 1992 წელს გადაბეჭდა ა. ლომთაძემ კრებულში „ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო...“ (გვ. გვ. 79-111; 56-78; 28-55). ეს ტექსტები 1936 წელს გადაბეჭდა მ. ჩიქოვანმა თავის „ხალხურ ვეფხისტყაოსანში“, მაგრამ ა. ლომთაძემ მ. ჩიქოვანისეულ პუბლიკაციას გვერდი აუარა და პირველწყაროს მიმართა. მიზეზს ცხადყოფს „ივერიის“ მიერ გამოქვეყნებული ტექსტების შედარება მ. ჩიქოვანის მიერ დაბეჭდილ ანალოგურ ფოლკლორულ ტექსტებთან: მ. ჩიქოვანს ადგილ-ადგილ ჩასწორებები აქვს შეტანილი. მართალია ეს სწორებები არ არღვევს ტექსტის სემანტიკას, მაგრამ თუ ერთ შემთხვევაში სასიკეთოა, სხვაგან შინაარსის სუბიექტური გააზრების შედეგს წარმოაჩენს, რაც ნებისმიერ შემთხვევაში გაუმართლებელია. ორიოდ მაგალითით გავერკვეთ ამ სწორებათა პრინციპებში. ს. მერკვილაძის მიერ თიანეთის მაზრის სოფელ ჩრდილში ჯოყოლა არაბულისაგან ჩაწერილი ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ ლექსითი ფრაგმენტი ცხადყოფს, რომ ს. მერკვილაძეს შეცდომა გაეპარა, მეოთხე სტრიქონი არ ერთმემა მეორეს:

„გაიღვიძა ტარიელმა, / ნელა-ნელა წამოდგისა; / ფეხი შედგა უზანგოში, ამოდ შეჯდა, არ შეშინდა“ (ა. ლომთაძე, გვ. 89).

მ. ჩიქოვანმა ეს შენიშვნა და ამ მეოთხე სტრიქონში „მძიმით“ (სასვენი ნიშნით) განცალკევებულ შესიტყვებებს ადგილები შეუნაცვლა („არ შეშინდა, ამაოდ ჯდეს“) და ლექსი შედარებით გაიმართა. თუმცა მ. ჩიქოვანის სწორებებს ზოგ შემთხვევაში მაინც ვერ ეძებნება საფუძველი. მაგალითად, ქართლში თ. სახოკიას მიერ ჩაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი (დაიბეჭდა: „ივერია“, 1890, №№7, 8) გვხვდება შემდეგი პასაჟი: „...იმის ნახოცი ყაჩაღი მალა მოსჩანს, როგორც ბორა“. ა. ლომთაძემ ეს პასაჟი „ივერიასეული“ პუბლიკაციით გაიმეორა (ა. ლომთაძე, გვ. 64), მ. ჩიქოვანმა სიტყვა „ბორა“ ჩაასწორა, ჩაანაცვლა სიტყვით „გორა“ [ჩიქოვანი 1936: 161], რადგან დახოცილი ყაჩაღების გვამების დიდი რაოდენობით ერთმანეთზე დაყრის გორად (ამაღლებულ ადგილად) წარმოდგენა უფრო უპრიანად მიიჩნია. ეს კი სიტყვა „ბორა“-ს სემანტიკის უგულებელყოფის გამო დაემართა.

ცნობილია, რომ სიტყვა „ბორა“ პოლისემანტიკურია. ქართული განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით „ბორა“ მოზრდილი მტაცებელი ფრინველია, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ძერას მაგვარი, ოღონდ დიდი ფრინველია („ძერას ჰგავს, უდიდეა“), ასევე გვიხასიათებენ ბორას ნიკო და დავით ჩუბინაშვილები; ვაჟა-ფშაველას ინფორმაციაზე დაყრდნობით ასევე განმარტავს აკ. შანიძე („ერთგვარი ძერა“); ს. მაკალათიას მტკიცებითაც ბორა ძერის მსგავსი ფრინველია, დიდი ძერა. ალ. ლლონტის მონაცემებით ფშავში, ხევსურეთში, ხევში, ქართლში ნიშნავს ძერის მსგავს, ოღონდ მასზე ზომით დიდ ფრინველს.

ქართულ ენობრივ ცნობიერებაში ბორას სხვა სემანტიკაც აქვს. მაგალითად, მთიულეთში **ბორა** მცენარის ფოთოლს ეწოდება (ლ. კაიშაური), ხევში ბორა მერისონის ჯიშის ცხვარს ჰქვია (ო. ქაჯაია) [ლლონტი 1984: 80-81]. გარეკახეთში (ს. ხაშმი) ბორას უძახიან დიდი ზომის რუხი ფერის, ფრთებზე შავი ზოლების მქონე ბუზს, რომელიც შინაურ მსხვილფეხა საქონელს ეტანება, უმოწყალოდ კბენს, ხოლო შეწუხებული ცხოველები უთავბოლო სირბილით და ტლინკებისყრით ცდილობენ თავის დაღწევას.

**ბორას** ფრინველად მოვიაზრებთ, მწერად თუ გამორჩეულობის (ჯიშიერების) აღმნიშვნელ სიტყვად, ყველა შემთხვევაში **დიდი ზომის** გამოხატვის ფუნქცია აქვს. რაკილა ქართლში ბორა დიდ ფრინველს ნიშნავს, ქართლელი მთქმელის თქმა „იმის ნახოცი ყაჩაღი, მაღლა მოსჩანს, როგორც ბორა“, ცხადია, არ უნდა შესწორებულიყო, მით უფრო, რომ მ. ჩიქოვანის მიერ ჩანაცვლებული სიტყვა „გორა“ ერთგვარ ტავტოლოგიასაც ქმნის, რადგან საანალიზოსტროფში მეორდება. „ბორას“ სიდიდით დახოცილი ყაჩაღების დიდი რაოდენობის გამოხატვის მეტაფორიკა აქ ძნელი აღსაქმელი არ უნდა იყოს.

ისე, არც ის არის უგულვებელსაყოფი, რომ ფოლკლორული ტექსტების ენობრივი თუ სემანტიკური სიზუსტის თვალსაზრისით არც „ივერიის“ პუბლიკაციები გამოირჩევა და ამის მიზეზი ზეპირსიტყვიერი ტექსტების ჩამწერნი არიან. არაიშვიათად ამას თავადვე აღიარებენ. მაგალითად, „ივერიაში“ 1888 წელს (№230) ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ („ზღაპარი ტარიელისა ან ხალხური ვეფხისტყაოსანი“) შენიშვნაში დ. ხიზანიშვილი წერდა: „ჩვენ ბევრს ვეცადეთ, რომ სწორედ ისე დაგვეწერა ზღაპარი, როგორც თვით გლეხმა გვიამბო, მაგრამ ვერ მოვახერხეთ და ჩვენის სიტყვებით ჩავწერეთ მოთხრობა. თვით ლექსები - კი სწორედ ისეა ჩაწერილი, როგორც გლეხმა სთქვა“ (მ. ჩიქოვანმა ეს შენიშვნა, ისე როგორც ჩამწერთა სხვა შენიშვნები, ტექსტებს ჩამოაცილა, ა. ლომთაძემ კი აღადგინა).

ბოლო დროის კვლევებით გაირკვა, რომ ხალხური „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ფოლკლორული ტექსტი, ჯადოსნური ზღაპრის ჟანრს განეკუთვნება. გამოითქვა ვარაუდი, რომ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტს ფოლკლორული ჯადოსნური ზღაპრის ინვარიანტი უდევს საფუძვლად [კარბელაშვილი 1980: 743]. პოემის ნესტან-დარეჯანი სემანტიკურად ფოლკლორულ მზეთუნახავს უკავშირდება. ეს მხატვრული სახე მითოსურია, მასში მზე და მისი მთავარი იპოსტასი ნაყოფიერების ქალღვთაება იფარება;

„ვეფხისტყაოსანში“ გარკვეული მითოლოგემაა დაშიფრული. მისი სტრუქტურა „დაკარგვა-ძებნა-პოვნას“ - კლასიკურ სქემა ემყარება, რომელიც საერთოა სოლარული, კალენდარული და ესქატოლოგიური მითოსისათვის;

ნესტანის ქაჯეთში ყოფნა სემანტიკურად ქვესკნელში ჩასვლაა / „სიკვდილია“, რადგან ქაჯეთი ხთონური სამყაროა/. ნესტანის როსანზე დაწინდვა ქვესკნელის მეუფესთან ნაყოფიერების ქალღვთაების ნაძა-ლადევი ქორწინებაა;

ტარიელის „ტირილი“, ნესტანის დაკარგვისა გამო, ნაყოფიერების ქალღვთაების „წასვლა“/„სიკვდილის“ მისტერიული დატირებაა;

ტარიელის ბრძოლა ლომ-ვეფხთან ურჩხულთან//მხეცთან//სიკვ-დილთან ბრძოლა;

ნაყოფიერების ქალღვთაება „აღმდგარი“ ბუნების მითოლოგიური სიმბოლოა. ამ მხრივ შემთხვევითი არ უნდა იყოს ნესტანის მწვანე სამოსელი;

ნესტან-ტარიელის ქორწილი ღვთაებათა საგაზაფხულო საკრალური ქორწინებაა - ნაყოფიერების მითოსური და ფოლკლორული სიმბოლო;

ვეფხისტყაოსნის სიუჟეტური კომპოზიციის საფუძველია ჯადოს-ნური ზღაპრის სტრუქტურა [კარბელაშვილი 1982: 650-651].

\* \* \*

საქართველოს უკანასკნელი ძლიერი ხელმწიფის - ქართლ-კახეთის მეფის - ერეკლე მეორის შესახებ ქართულ ზეპირსიტყვიერებაში დიდ-ზე დიდი რაოდენობის ფოლკლორული ტექსტია გამოვლენილი, ზოგი ლექსითი, ზოგიც ლექსნარევი პროზის ფორმატისა. ამ მხატვ-რული ტექსტებიდან აბსოლუტური უმრავლესობა ერეკლე მეორის პიროვნებას, ცხოვრება-მოღვაწეობას, მეფობას - სახელმწიფო მართვას შეეხება. ამას გარდა, ბევრი ისეთი ზეპირსიტყვიერი ტექსტიც შეუქმნია ჩვენს ხალხს, რომლებიც ერეკლე მეორის ეპოქის ამბების თხრობას შეიცავს, ან ერეკლე მეორის თანამედროვე სახალხო გმირების, მოყ-მეების, გამოჩენილი ადამიანების გმირობა-თავგადასავლების ხსოვ-ნას ინახავს. ეს ფოლკლორული ტექსტები XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გახდა ცნობილი, ანუ იმ დროიდან, როდესაც დაიწყო ჩვენში პრაქტიკული ფოლკლორული საქმიანობა - ცოცხალ ტრადიციულ ყო-ფაში ზეპირსიტყვიერი ტექსტების გამოვლენა (ჩაწერა) და პერიოდულ პრესაში პუბლიცირება თუ სპეციალური ფოლკლორული კრებულების ფორმით ბეჭდვა-გამოქვეყნება. თითქმის იმავედროულად დაიწყო ამ ზეპირსიტყვიერი ტექსტების ფოლკლორისტული კვლევებიც, მით უფ-რო, რომ ქართული ფოლკლორისტიკისათვის ეს პერიოდი მოძიებული ფოლკლორული ტექსტების სემანტიკის, სტრუქტურის, ჟანრობრივი კუთვნილების რკვევის დონეს შეესაბამება. ამ დროს გამოვლინდა, მაგა-ლითად, ამირანის, აბესალომ და ეთერის, ცოტა მოგვიანებით არსენა ოძელაშვილის შესახებ არსებული ზეპირსიტყვიერი ამბების, ამბავთა ფრაგმენტების, ვარიანტების შემცველი ფოლკლორული ტექსტები. სწორედ ამ დროს დამუშავდა, ეპიკური თავგადასავლის პრინციპით დალაგდა - გაერთიანდა და მოხერხდა ხალხური ეპოსის სამი სრული

ტექსტის ფოლკლორისტული რესტავრაცია: გამოვლინდა ამირანის ეპოსი (ამირანიანი), აბესალომ და ეთერის ეპოსი (“ეთერიანი”) და არსენას ეპოსი (“არსენას ლექსი”).

ერეკლე მეორის შესახებ შექმნილი ხალხური ლექსები, ლეგენდები და თქმულება-გადმოცემები არც რაოდენობით და არც კოპულარობით არ ჩამოუვარდება ქართული ხალხური ეპოსის ტრადიციული პერსონაჟების - ამირანის, აბესალომის, ეთერის, არსენა ოძელაშივილის შესახებ ჩვენი ხალხის მიერ შექმნილ ზეპირსიტყვიერ პოეტურ ქმნილებებს. როგორც გვიან გაირკვა, ერეკლე მეორის თემატიკა-პრობლემატიკის ფოლკლორულ ტექსტებს არც ერთიანი ეპიკური ამბის და შესაბამისად მთლიანი ტექსტის რეკონსტრუქციის, რეპრეზენტაციისათვის აუცილებელი კოპეზიურობის (ტექსტის ბმულობა-შეკრულობის) მარკერები და საფუძველი აკლდა. ამის მიუხედავად ხალხური ეპოსის დიდი ფოლკლორისტული შესაქმის ჟამს ერეკლეს ეპოსის რეკონსტრუქცია ვერ მოხერხდა. სამ სხვა შემთხვევაში წარმატებული პეტრე უმიკაშვილი ერეკლეს ეპოსის რესტავრირების საკმაოდ მორიდებული მცდელობით დაკმაყოფილდა, მხოლოდ ერეკლე მეორის მიერ განხორციელებული ასპინძის ომის თემაზე შექმნილი რამდენიმე ზეპირსიტყვიერი ტექსტი გააერთიანა მისთვის ჩვეული მხატვრული ალღოიანობით. არა და პ. უმიკაშვილის მიერ გამთლიანებული ამირანის თქმულების, ეთერიანის, განსაკუთრებით კი არსენას ეპოსის ტექსტები თანამედროვე ქართული ფოლკლორისტიკის პროფესიონალური სტანდარტების მოთხოვნათა დონეზედაც ოპტიმალურ ტექსტებად არის მიჩნეული. შორს არც სხვა ფოლკლორისტები წასულან. ყველა, ვინც კი ერეკლე მეორის თემატიკის ფოლკლორულ ტექსტებს შეეხო, მხოლოდ სხვადასხვა არქივებსა და პუბლიკაციებში (პერიოდული პრესა, სპეციალური ფოლკლორული კრებულები,...) გაბნეული ლექსების, ლეგენდების, თქმულება-გადმოცემების თავმოყრითა და ერეკლე მეორის მიერ განვლილი გზის ქრონოტოპის შესაბამისად დალაგებით შემოიფარგლა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩნენ სოლ. ცაიშვილი („ერეკლე მეორე ხალხურ სიტყვიერებაში“, თბ., 1943 წ.) და ქს. სიხარულიძე („ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება“, ტ. II, თბ., 1964 წ.). ერეკლე მეორის ეპოსის ტექსტის რესტავრირების ზღვარს ყველაზე მეტად ქს. სიხარულიძე მიუახლოვდა - ქართული საგმირო და საისტორიო სიტყვიერების პროფესიონალი მკვლევარი, მაგრამ რატომღაც გადამწყვეტი ნაბიჯი ამ მიმართულებით აღარ გადადგა.

პროფესიონალ ფოკლორისტთა ამგვარმა პოზიციამ ისეთი შთაბეჭდილებაც კი შექმნა, რომ ჩვენი ხალხის ეპიკურ ცნობიერებაში დაიწყო ერეკლეს ეპოსის თხზვის პროცესი, მაგრამ საქართველოს რუსეთთან შეერთების „მწარე“ შედეგების გამო, ერეკლე მეორის - ხალხის მოიმედე - მოსარჩლე და ქვეყნის პატრონი მეფის - ხატი გაფერმკრთალდა და „ჩაფიქრებული“ ეპოსიც ვერ შედგა, მისი ვირტუალური ტექსტი

ისტორიულ ლექს-სიმღერებად დაიშალა. ამ დასკვნას კი ის აზრიც დაუკავშირდა, რომ ქართველი ხალხის ისტორიული ცნობიერება არ აღმოჩნდა იმ ძალისა და სიმაღლისა, რომ საგმირო-საისტორიო ხალხური ეპოსის დონეზე გაეაზრებინა საკუთარი არსებობა და შეექმნა ეპოსი დიდი სახელმწიფო მოღვაწეთა შესახებ ევროპელი ხალხის მსგავსად (მაგალითად დასახელდა „სიმღერა ჩემს სიღზე“ და სხვა ამგვარი). ამ მოსაზრების თანახმად ნაკლულოვანება მიეწერა მთლიანად ქართულ ხალხურ მხატვრულ ეპიკურ ცნობიერებას, რადგან ხალხური ეპოსის არსებობის (ფუნქციონირების) მატრიცად აღიარებულია თავდაპირველად მითოლოგიური ეპოსის შექმნა, შემდეგ სამიჯნურო-სარაინდო ეპოსისა, შემდეგ საგმირო-საისტორიო ეპოსისა და ბოლოს - სოციალური ეპოსისა. ამ კანონზომიერების შესაბამისად ქართულ ხალხურ ეპოსს „ჩავარდნად“ ჩათვალა მესამე საფეხური - „საგმირო-საისტორიო ეპოსის“ არქონა, რადგან აღიარებული სამი ხალხური ეპოსის ტექსტებიდან ერთი - „ამირანიანი“ - მითოსურია, მეორე - „ეთერიანი“ - სამიჯნურო-რომანტიკული, ხოლო მესამე - „არსენას ლექსი“ - სოციალური.

ერეკლე მეორის შესახებ შექმნილი ზეპირსიტყვიერი ტექსტების შინაარსი, მხატვრული თხრობის სტილი, ამბის გადმოცემის მანერა ცხადყოფს, ერთი მხრივ, ერეკლე მეორის, როგორც ეპოსის გმირის, ეპიკური თავგადასავლის არსებობის, მეორე მხრივ, მისი დროის იმ სახალხო გმირების და გამოჩენილი პიროვნებების შესახებ შექმნილი ზეპირსიტყვიერი ლექს-სიმღერებისა თუ თქმულება - გადმოცემების შექმნას, რომლებიც ერეკლე მეორის სახელით, თუ ერეკლე მეორის დავალებით (ან მისთვის) გმირობენ - ებრძვიან მტერს და ემსახურებიან ქვეყანას.

ფოლკლორისტიკის ენაზე ეს მოვლენა ციკლური სტრუქტურის მქონე ხალხური ეპიკური მეგატექსტის არსებობას ცხადყოფს: ასეთი ხალხური ეპოსის არსებობა, მაგალითად, გამოავლინა ვ. პროპმა რუსულ ფოლკლორში ვლადიმირის (კიევის მთავრის) შესახებ შექმნილი ზეპირ-სიტყვიერი ტექსტების სახით, სადაც მოქმედებენ ილია მურომელი, ალიოშა პოპოვიჩი, დობრინია ნიკიტიჩი, მიკულა სელიანიხოვიჩი და სხვები. ასეთ ეპოსში მთავარი გმირი ქვეყნის მთლიანობის იდეად, სიმბოლოდ, მეტაფორად არის გადაქცეული. მისი სახელით სხვანი გმირობენ. ამგვარი სტრუქტურის ხალხური ეპოსები მსოფლიოს არაერთ ქვეყანაშია გამოვლენილი. მაგალითად, ევროპაში მეფე არტურის ციკლური ეპოსი, მეფე კარლოსის ფინური ციკლური ეპოსი, შორების ეპოსი „კან მერგენი“ (Шорский фольклор, записи, перевод, вступительная статья и примечания Н. П. Дыренковой. Издание АН СССР, 1940).

ერეკლე მეორის შესახებ შექმნილი ფოლკლორული ტექსტები კი ცხადყოფს, რომ ერეკლეს საკუთარი ზეპირსიტყვიერი თავგადასავალიც მოეპოვება (ანუ არ არის მხოლოდ ქვეყნის მთლიანობის იდეა, მეტაფორა)

და იმ ისტორიული პიროვნებების ფოლკლორული ტექსტებიც არის შექმნილი, რომლებიც მისი სახელით იბრძვიან და მის წინაშე არიან ზნეობრივად ანგარიშვალდებულნი. ეს გმირებია: ლევან ბატონიშვილი, მათა წყნეთელი, თინა წავკისელი, თამრო ვაშლოვანელი და სხვები.

ერეკლეს ეპოსის ტექსტის ფოლკლორისტული რეკონსტრუირების ერთი ცდა ქართულ ფოლკლორისტიკაში ამჟამად უკვე განხორციელებულია, - 2005 წელს გამოიცა ერეკლეს ეპოსის გამთლიანებული ტექსტი, მისი არსებობის დამასაბუთებელი გამოკვლევით, ტექსტოლოგიური ისტორიით. („ერეკლეს ეპოსი“, თ. ჯაგოდნიშვილის რედაქციით გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“). ამ ეპოსის შემადგენელი ზეპირსიტყვიერი ტექსტობრივი ელემენტები - თავისთავადი შინაარსობრივი ეპიზოდების შემცველი ფოლკლორული ტექსტები ერეკლეს ცხოვრების ფოლკლორული თხრობის თვალსაზრისით, უფრო სრული და თანმიმდევრული ლექსითი ფორმის ტექსტები აღმოჩნდა. პროზაული ტექსტები უფრო ფრაგმენტულია, თუმცა არც თუ იშვიათად ასევე ფრაგმენტულად იმეორებენ ლექსითი ხასიათის ტექსტებში შთაბეჭდილ ამბებს. ამის მიუხედავად, პროზაული ტექსტები ამ დიდი სახელმწიფო მოღვაწისა და ხალხური ეპოსის პერსონაჟის ცხოვრება-მოღვაწეობის მხატვრული გააზრებისა და თხრობის იმგვარ ფრაგმენტებს შეიცავენ, რომ დამოუკიდებელ მხატვრულ ღირებულებებსაც ინარჩუნებენ და ერეკლეს ეპოსის არსებობაზეც მიანიშნებენ. ამ ტექსტების შეტანა ქართული ხალხური პროზის სივრცეშიც ამით არის გამართლებული. საინტერესო ისიც არის, რომ ცოცხალ ქართულ ტრადიციულ ყოფაში კვლავ გრძელდება ერეკლე მეორის ეპიკური თავგადასავლის რეალიების გამოვლენის პროცესი, რაც თავისებურად ავსებს და აკონკრეტებს ამ ეპოსის მხატვრულ ტექსტს. ამ გარემოების გათვალისწინებით ჩემ მიერ გადამუშავდა ერეკლეს ეპოსის ტექტი და 2021 წელს განმეორებით გამოიცა.

ამ გამოცემების არსებობა კი თავისთავად აყენებს „ერეკლეს ეპოსის“ ლექსნარევი პროზის ფორმით ჩვენამდე მოღწეული საგმირო-ისტორიული ეპოსის „ქართული ხალხური პროზის“ ფორმატში ცალკე ტომად გამოცემის მიზანშეწონილობის საკითხს.

\* \* \*

ძველი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი საინტერესო ძეგლია „რუსუდანისანი“. შეიცავს ძირითად ნაწილს და თორმეტ ჩართულ ამბავ-ეპიზოდს. სტრუქტურით იგი უკავშირდება სპარსულ-ტაჯიკური ხალხური პროზის - **დასთანების** ჟანრულ თავისებურებებს. ჩამოჰგავს „ვისრამიანს“, „ქილილა და დამანას“, „ბახტიარ-ნამეს“, განსაკუთრებით „როსტომიანს“.

„რუსუდანისანის“ რუსუდანი სახელოვანი მამის ერთადერთი, სილამაზით განთქმული ასულია (არა მეფისა!). იგი უნახავად შეუყვარდება

იამანეთის მკვიდრ მოყმე მანუჩარს, რომელსაც ტახტი წაართვეს. მანუჩარი მოიპოვებს რუსუდანის ხელს. მათ ორი შვილი ეყოლებათ: ქალიშვილი როდენი და ვაჟი ფრიდონი.

მოშულართა მცდელობით მეფემ თავისთან დაიბარა ჯერ მანუჩარი, შემდეგ მისი შვილები. რუსუდანს განშორება გაუჭირდა. მასთან ჩავიდნენ მშობლები და 20-დან 12 ძმა. თითო ძმა თითო ამბავს უამბობს და ასე ართობენ. მე-10 და მე-11 ამბავს შორის რუსუდანს მოუვიდა შვილის წერილი, მერე დაბრუნდა ფრიდონიც. მალე რუსუდანი მიიცვალა და მანუჩარს მხოლოდ ამის შემდეგ დართეს სახლში დაბრუნების ნება. ასეთია ლიტერატურული „რუსუდანიანის“ სიუჟეტური ქარგა.

**„რუსუდანიანის“** კვლევა ინტენსიურად XIX ს. დაიწყო. პირველები იყვნენ მ. ბროსე და დ. ჩუბინაშვილი. მ. ბროსე ძეგლს XV ს-ით ათარიღებდა, დ. ჩუბინაშვილი XIII ს-ით. მათ აღწერეს ძეგლი და შემოიტანეს ფილოლოგიური მეცნიერების სფეროში, გადმოსცეს შინაარსი და გამოაქვეყნეს ნაწყვეტები (Грузинская хрестоматия, СПб., 1845, მეორე გამოცემა - 1863წ.).

„რუსუდანიანში“ შემავალ ერთ-ერთ ჩანართს (სამი გონებამახვილი ძმის ზღაპრის ქართულ ვერსიას) სპეციალური სტატია უძღვნა ნ. მარმა (Н. Я. Марр, Грузинский извод сказки о трёх остроумных братьях из «Русуданиани». Восточные заметки, СПб., 1895, с. 221-259).

ნ. მარისაზრით, „რუსუდანიანში“ შეინიშნება XIII საუკუნის რეალური ისტორიული მოვლენების კვალი (საქართველოში). კერძოდ, მანუჩარი ისევე უყურებდა უზნეო ხელმწიფეს, როგორც ღვთაებრივ სასჯელს და ნებაყოფლობით დამორჩილდა, ოღონდ სამეფო ხელისუფლება შეენარჩუნებინა. ასე ფიქრობდნენ და მოქმედებდნენ ქართველი მეფეები მონღოლების ბატონობის დროს. უფრო მეტიც: სწორედ რუსუდანის ვაჟი დავითი იყო გაგზავნილი მონღოლთა ხელმწიფესთან, ხოლო რუსუდანი მის მოლოდინში გარდაიცვალა, რადგან ვერ გადაიტანა საყვარელ შვილთან განშორება. თუმცა „რუსუდანიანის“ რუსუდანის კავშირს თამარ მეფესთან შეუძლებლად მიიჩნევდა. ნ. მარი სხვა რეალიებზეც ამახვილებდა ყურადღებას (ფულადი ერთეული „აბაზი“, რომელიც მიმოქცევაში შევიდა შაჰ აბას I დროს და ა. შ.). ამის საფუძველზე ნ. მარი „რუსუდანიანის“ - ზღაპრების კრებულის შექმნას ვარაუდობდა XVII საუკუნეში.

ნ. მარის აზრით, ყველა ჩართული ამბავი სხვადასხვა ლიტერატურული წყაროდანაა აღებული, თუმცა „რუსუდანიანის“ ავტორმა შეძლო მათი ქართული ელფერით შემოსვა. **ნ. მარი კატეგორიულად უარყოფდა რომელიმე ჩანართი ამბის ზეპირსიტყვიერ წარმომავლობას.**

შემდგომში „რუსუდანიანის“ კვლევა ნ. მარის დასახულ კვალს მიჰყვა.

ნ. მარის შემდეგ ამ ძეგლს შეეხო ალ. ხახანაშვილი. მან „რუსუდანიანი“ XIII ს. ძეგლად მიიჩნია. ნარკვევებში რუსუდანიანს ცალკე თავი დაუთმო (Очерки по истории грузинской словесности, Вып. 3, 1901).

ალ. ხახანაშვილი ფიქრობდა, რომ „რუსუდანიაანის“ ავტორი სარგებლობდა ზეპირი მოთხრობებით.

ნ. მარის მოსაზრებები გაღრმავდა კ. კეკელიძის, განსაკუთრებით ა. ბარამიძის შრომებში. ა. ბარამიძე, სპეციალური ნაშრომი უძღვნა „რუსუდანიაანს“ („შაჰნამეს“ ქართული ვერსიები, ტ. II, 1934). ა. ბარამიძის ფიქრით, „რუსუდანიაანის“ ავტორი კარგად იცნობდა „შაჰნამეს“ ქართულ ვერსიებს, კერძოდ, „როსტომიანს“, რომლებიც ქართულ ენაზე გადათარგმნეს XVI საუკუნეში. ამაზე მიუთითებს პერსონაჟთა სახელების გამოყენება, რომლებიც აღებულია „როსტომიანიდან“ (მანუჩარი, როდამროდენი, ფარემუზი, ბარამი, გივი, გოდერძი, გურგენი, ფირამი, ზაალი და ა. შ.), ასევე საერთო ფრაზეოლოგია და მთელი ეპიზოდები ლექსითი „როსტომიანიდან“. (მაგალითად, „რუსუდანიაანის“ მესამე ამბავში - „ყვითელი ქალაქის შესახებ, ანუ შირვან მეფისა და მისი შვილის ხოსროს შესახებ“). ა. ბარამიძემ კიდევ რამდენიმე წყაროზე მიუთითა (ნარკვევებში „რუსუდანიაანის“ ლიტერატურული წყაროები“, ნარკვევები, თ. II, გვ. 93-113).

„რუსუდანიაანის“ პირველი ზღაპარი მოდის „ვარშაყიანის“ ერთ-ერთი ეპიზოდიდან; მესამე ზღაპარი „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების გადაკეთებაა, მეოთხე ზღაპრის წყარო გამოურკვევია: იგი სპარსული ზეპირსიტყვიერებიდან მომდინარეობს. მეექვსე, ნ. მარის აზრით, უნდა მომდინარეობდეს აგიოგრაფიული თხზულებიდან „ცხოვრება წმ. ევსტათისი და მოყვასთა. მისთა“ ეს აზრი გაიმეორა ა. ხახანაშვილმაც. ამჟამად გარკვეულია, რომ ეს ზღაპარი გადმოკეთებულია „ბახტიარ-ნამედან“.

მე-7 ზღაპარი იმეორებს ლეგენდას კონსტანტინე დიდის შესახებ. მე-10 ზღაპარი პარალელს პოულობს ნაწარმოებში „ანგია ლალში“, რომელიც გამოაქვეყნა ალ. ხახანაშვილმა (ნარკვევები, ტ. III, გვ. 8-9).

მე-12 ზღაპარი, რომელსაც „იტიტინე და ილაპარაკე“ ჰქვია, გალექსილი აქვს ხოსროვ დეჰლევს თავის პოემაში „ჰაფთ ბეჰიშითი“ (რვა სამოთხე, პირველი ნოველა) [კობიძე 1945: 393-394].

დაუდგენელია II, VIII, XI ზღაპრების წყაროებიც, თუმცა „რუსუდანიაანის“ საერთო ხასიათი და წყაროებთან დამოკიდებულება ნათელს ხდის, რომ ეს ზღაპრების კომპილაციური დამუშავების ნაყოფი უნდა იყოს“ [ცაიშვილი 1966: 441]. „ბახტიარ-ნამედან“, „ვარშაყიანიდან“ (XVIII სკ. ანონიმი ავტორის), „(XVIII სკ.). ერთ წყაროზე მიუთითა დ. კობიძემ (სპარსი ავტორის ხოსრო დეხლევსის „სამოთხის რვა ბაღი“ - XIV ს. [კობიძე 1945: 394].

„რუსუდანიაანის“ სრული კრიტიკული ტექსტი ვარიანტებითა და იკითხვისებით, ვრცელი წინასიტყვაობით, პირველად გამოიცა 1957 წელს („რუსუდანიაანი“ ი. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბ., 1958). წინასიტყვაობის ავტორი ი. გიგინეიშვილი თვლიდა, რომ „რუსუდანიაანის“ გვიანი წარმომავლობის არგუმენტები უსაფუძვლოა. რაც შეეხება წყაროებს („როსტომიანს“), ავტორს შეეძლო სპარსული

ორიგინალიდან ესარგებლაო. ი. გიგინეიშვილმა დიდი ადგილი დაუთმო ენობრივ ანალიზს.

ი. გიგინეიშვილის მოსაზრებები გააკრიტიკეს კ. კეკელიძემ, ა. ბარამიძემ („ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. II, თბ., 1981, გვ. 431; ა. ბარამიძე - „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, ტ. IV, თბ., 1964, გვ. 100-118; ს. ცაიშვილი - „რუსუდანიანი“, „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. II, თბ., 1966, გვ. 144. ასევე მისი რეცენზია ჟ. „ცისკარში“, 1958, №5). ა. გვახარია აზრით, ჩვენამდე მოღწეული „რუსუდანიანი“ თავისი ფორმით სავარაუდოდ გადამუშავებულია XVII საუკუნის პირველ ნახევარში. ეს თარიღი დგინდება, ერთი მხრივ, „როსტომიანის“ ქართული ვერსიებით (XVI ს.), მეორე მხრივ, თავად „რუსუდანიანის“ პოეტური ხელნაწერებით (XVII ს. II ნახევარი), რომლებიც გავრცელებული ინფორმაციების გამო, საკმაოდ დეფექტურია, ასევე დგინდება მამუკა ბარათაშვილის პოემა „ჯიმშედიანით“ (1732), რომელიც წარმოადგენს „რუსუდანიანის“ მეორე ჩანართის (ამბის) გალექსილ გადამუშავებას („ამბავი ხატაეთის მეფის ტომერანისა და მისი შვილის ჯიმშედისა“) [გვახარია 1988: 18].

მიუთითებენ, რომ „რუსუდანიანი“ წარმოადგენს როგორც სადევ-გმირო, ისე საზღაპრო და სახასიათო ამბებისა და ნოველების კრებულს.

„რუსუდანიანის“ ავტორი ძალიან მჭოდრო კავშირშია მდიდარ ქართულ ფოლკლორთან და ამაში უნდა დავინახოთ თხზულების ერთ-ერთი თავისებურება“ მსუბუქი, ხალხური მიქცევებითაა მდიდარი მისი ენა. ეს აახლოებს საზღაპრო ეპოსთან. საზღაპრო ეპოსთან მჭიდრო კავშირშია „რუსუდანიანის“ მრავალი მოტივი, რომლებიც პარალელს პოულობენ ფოლკლორულ მასალებში“.

ს. ცაიშვილი კონკრეტულ ზეპირსიტყვიერ ტექსტებს არ ასახელებს. თუმცა მიუთითებს, რომ მოტივებს შორის გამოირჩევა „ფოკლორში თითქმის დამოუკიდებელ ჟანრამდე განვითარებული ე. წ. გოდება-დატირების მოტივი და ეს მოტივი „რუსუდანიანშიც“ არაერთგზის გვხვდება. „მთელი თავისი უშუალოებით გადმოსულია ხალხური გლოვა-დატირება და თხზულების ავტორს თავის მიზანდასახულებისამებრ გადაუმუშავებია ისინი“ [ცაიშვილი 1966: 441].

აშკარაა, რომ „რუსუდანიანი“ ზეპირსიტყვიერებიდან ამოზრდილი მხატვრული ტექსტია (თავისი სტრუქტურით, ცნობიერებით, თხრობით, მოტივებით), ფოლკლორის „მომხმარებელია“, თუმცა სათქმელის გააზრებით, მიზანდასახულობით ღრმად სუბიექტური და ინდივიდუალისტურია, თანაც იმდენად, რომ ამბავიც კი ვერ გარდასახულა უზუალურობაში და თავისი ზეპირსიტყვიერი ვერსიები ვერ შეუქმნია „როსტომიანისა“ თუ „ბეჟანიანის“ მსგავსად. ამას, ცხადია, თავისი მიზეზები მოეპოვება. ერთი მიზეზი მისი წარმომავლობა და როგორც მხატვრული ნარატივის ფუნქციონირების ფორმაა. ს. ცაიშვილი, მაგალითად, მიუთითებს, რომ „რუსუდანიანი“ თავის დროზე დიდი პოპუ-

ლარობით სარგებლობდა. XIX ს. 50-იან წლებში ჟურნალი „ცისკარი“ აღნიშნავდა, რომ საქართველოში ვერ იპოვნის კაცი მიკიტან-ხანას თუ საფეიქროს, სადაც ყველასათვის ცნობილ „რუსუდანთანს“ არ კითხულობდნენო“ (ცაიშვილი 1966: 442). თავი რომ დავანებოთ ამ თხზულების პოპულარობის სივრცის ჰიპერბოლურობას - მთელი საქართველო არ არის მიკიტან-ხანები და საფეიქრო. ეს ქალაქური სივრცეა - ზეპირსიტყვიერებას სოფელი ქმნის, ქალაქი კი - „მოიხმარს“. „რუსუდანთანს“ ქართული სოფლისათვის კი უცნობ ნაწარმოებად დარჩა. ამიტომაც ვერ შექმნა ფოლკლორული ვარიანტები. ამასთან, მისი ქალაქური პოპულარობაც ფრიად ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან ს. ცაიშვილისავე მითითებით XIX საუკუნემ მთლიანად და XX საუკუნის პირველმა ნახევარმა ისე ჩაიარა, რომ სერიოზული ცდაც კი არ ყოფილა ამ თხზულების მლიანად გამოცემისა [ცაიშვილი 1966: 442]. რატომ? – იმიტომ, რომ მთლიანად ამოწურა აქტუალობა, ზღაპრული მიამიტურ-ჯადოსნური მოტივებისადმი ინტერესი სოციალურმა სიმძაფრეებმა გადაფარა, ეპოსი სოციალური პრობლემატიკით აივსო, „არსენობა“ იქცა ხალხური ეპოსის ორიენტირად, მისი ეპიკური ცნობიერების ინტენციურ გამოვლინებად.

ამას გარდა, „რუსუდანთანს“ ქართველი ხალხის ცნობიერებაში მიბმული იყო „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიებზე, „როსტომიანზე“. **ხალხური გმირულ-რანდულით უფრო იყო დაინტერესებული, ვიდრე მოთქმა-გოდებრივით.**

გასათვალისწინებელია აგრეთვე „რუსუდანთანის“ სავარაუდო ავტორების ვინაობაც, რომლებიც, კ. კეკელიძის ფიქრით, უნდა იყვნენ სამეგრელოს დედოფალი ელენე და ვამეხ დადიანის თანამედროვე როდამ ფალავა, რომლებიც იხსენიებიან „რუსუდანთანის“ ხელნაწერების მინაწერებში. XIX საუკუნის 50-იან წლებში სამეგრელო ცალკე სამთავროდ არსებობდა და „რუსუდანთანის“ გავრცელებას ქართულ კულტურულ საერთო სივრცეში ეს გარემოებაც ზღუდავდა. ამას გარდა, რუსულ კულტურულ სივრცეში ინტეგრირებით ქართული კულტურული ცნობიერების საბოლოო და უკანმოუხედავი შებრუნებით ისედაც ყავლი გაუვიდა ბუმბერაზულის, ჰიპერბოლიზებული ყოფის (ადამიანური ლტოლვა-მისწრაფებების ჰიპერბოლიზებული რაკურსებით წარმოჩენის) რეალიებით ტკობის ტრადიციებს.

ამგვარად, ზეპირსიტყვიერების ერთ თემატურ-პრობლემურ სფეროში გაერთიანდა ქართველი ხალხის მიერ შექმნილი „როსტომიანი“, „ტარიელიანი“, „რუსუდანთანს“ და ერეკლეს ეპოსის პროზაული ტექსტები.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ბართაია 2020: - ნ. ბართაია, “შაჰნამეს” სრული ქართული თარგმანი, ჟურნალი “ანეული”, 2020, №3
2. ჯაგოდნიშვილი 2004: - თ. ჯაგოდნიშვილი, ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია, ტ. I (XIX საუკუნე), თბ., 2004
3. მილერი 1889:- В. Ф. Миллер, Иранские отголоски в сказаниях Кавказа, ж. “Этнографическое обозрение”, 1889, 12, книга II, с. 1-36
4. ბარნოვი 1919:- ვ. ბარნოვი, ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები, რვეული პირველი, თბ., 1919
5. შანიძე 1935:- ა. შანიძე, შაჰნამეს ერთი ეპიზოდი ქართულ ფოლკლორში, კრებულში: “ლიტერატურული მემკვიდრეობა”, I, თბ., 1935
6. მაცაბერიძე 1958: - ვ. მაცაბერიძე, ქართული ხალხური როსტომიანი, “კრ. ლიტერატურული ძიებანი”, ტ. XI, 1958
7. თამარაშვილი 1934: - მ. თამარაშვილი ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1934
8. თაყაიშვილი 1902-1904: ე. თაყაიშვილი, ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, თბ., 1902-1904 (რუს. ენაზე)
9. ამირანდარეჯანიანი 1939: - ამირანდარეჯანიანი, თბ., 1939
10. მაცაბერიძე 1964: - ვ. მაცაბერიძე, ბეჟანანის ხალხური ვერსიები, კრ. “ქართული ფოლკლორი, I-II, 1964
11. ღლონტი 1952: - ალ. ღლონტი, ქართული ხალხური ეპოსი ფიდა კვინიკაძის ნამუშობი, ჩაწერა, გამართა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ალ. ღლონტმა, სტალინირი, 1952
12. ყიფშიძე 1914: - ი. ყიფშიძე, მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკა, სპბ., 1914 (რუს. ენაზე)
13. სონღულაშვილი 1955: - ხალხური სიტყვიერების მასალები, შეკრებილი ჯუან-შერ სონღულაშვილის მიერ, ე. ვირსალაძის რედაქციით, I, 1955
14. ჩიქოვანი 1935: - მ. ჩიქოვანი, ხალხური “ვეფხისტყაოსანი” //ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, 1935
15. ჩიქოვანი 1936: - მ. ჩიქოვანი, ხალხური “ვეფხისტყაოსანი” თბ., 1936
16. ღლონტი 1984: -ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შედგ. ალ. ღლონტის მიერ, II გამოცემა, თბ., 1984
17. კარბელაშვილი 1980: - მ. კარბელაშვილი, ხალხური “ვეფხისტყაოსნის” სტრუქტურა და ტიპოლოგია, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 97, 13, 1980
18. კარბელაშვილი 1982: - მ. კარბელაშვილი, “ვეფხისტყაოსნის” სიუჟეტის მითოლოგიური ძირები (გენეზისი და სემანტიკა), საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 105, 13, 1982
19. კობიძე 1945: - დ. კობიძე, სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, III, 15, 1945
20. ცაიშვილი 1966: - ს. ცაიშვილი, “რუსუდანიანი”//ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1966
21. გვახარია 1988: - ალ. გვახარია, სიტყვა “რუსუდანიანი” // ”რუსუდანიანი”, მოსკ., 1988 (რუს. ენაზე)

TEMURI JAGODNISHVILI

**FOLK “ROSTOMIANI” AND ITS REMINISCENCES IN THE  
SPACE OF GEORGIAN FOLK EPOS**

## Summary

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, its Folklore Department, carries out successfully publishing a multi-volume collection of Georgian folk prose, the scientific and cultural significance of which is, of course, immeasurable. One of the volumes is planned to publish the folk “Rostomiani” and the orally transmitted folk texts “Tarieliani” imprinted with its reminiscences, folk “The knight in the Panther’s skin”, “Rusudaniani”, and the prose folk texts of the Erekle’s epos. The collection has been ready for publication for a long time. It contains all the more or less important folk texts revealed in the Georgian orally transmitted tradition, as well as their variants;

The study and relevant scientific equipment are attached: passports of folk texts, search engine, notes and comments. In the study, the importance of this folk monument for Georgian folk prose is focused on. It is noted that interest in Firdaws’s “Shahnameh” has been recorded in Georgian reality since ancient times. In the 19th century, when the comparative studies of this monument and its folk (especially) orally transmitted versions were especially strengthened, the opinion was expressed (V.S. Miller) that along with the knowledge and popularity of the Persian “Shahnameh”, another Rostomiani was also known in Georgia - local, folk (especially in Samegrelo and Svaneti), so much, that the folk “Rostomiani” pave the way for the peculiar traditions of the heroic-knightly orally transmitted epos.

## დავით ახლოური

### ქსნის ხეობა გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე

„საქართველო“ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი გახლდათ, გამოდიოდა 1915-1921 წლებში. 1915-1916 წლებში გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი პოეტი სანდრო შანშიაშვილი იყო, 1917 წლიდან შანშიაშვილის საქმე ცნობილმა ქართველმა პოლიტიკოსმა, პუბლიცისტმა, ჟურნალისტმა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრმა გრიგოლ ვეშაპელმა გააგრძელა. 1919-1920 წლებში ეროვნულ-დემოკრატიების გაზეთს ახალი საქართველო ეწოდა, 1920-1921 წლებში „ივერიის“ სახელით იყო ცნობილი.

ეროვნულ-დემოკრატიები მემარჯვენე ნაციონალისტები იყვნენ. 1917-1919 წლებში პარტია წარმოდგენელი იყო საქართველოს ეროვნულ საბჭოში, 1918-1919 წლებში - კოალიციურ მთავრობაში, 1919-1921 წლებში - დამფუძნებელ კრებაში. პარტიის წევრები თავადაზნაურობის, ბურჟუაზიის, ინტელიგენციის, სამხედრო და სასულიერო წოდების ინტერესებს იცავდნენ.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ თანაუგრძნობდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და მონაწილეობდნენ რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში. პარტიას წარმოადგენდნენ იმ დროის გამორჩეული ერისკაცები: ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო ნიკოლაძე, სპირიდონ კედია, შალვა ამირეჯიბი... ისინი თავს ილია ჭავჭავაძის იდეურ მემკვიდრებად მიიჩნევდნენ, რადგან, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჩამოყალიბების მცდელობა 1905-1906 წლებიდან იწყება. პარტიის პროგრამაზე, რომელიც 1906 წლის მარტში გამოქვეყნდა, სწორედ ერის სულიერი მამა - ილია ჭავჭავაძე მუშაობდა...

„საქართველო“ იდეოლოგიურად ოპოზიციური გაზეთი იყო. ჰქონდა მკვეთრად გამოხატული ანტიბოლშევიკური პოზიცია, რაც ნათლად ჩანს ერთ-ერთ საგაზეთო პუბლიკაციაში „ბრძოლა ბოლშევიკებთან“. ყველა ქურდი და ავაზაკი დღეს ბოლშევიკობსო - წერდა ავტორი ქართლელის ფსევდონიმით და ბრძოლის პრიმიტიული მეთოდების გამო მკაცრად კიცხავდა საქართველოს სოციალურ-დემოკრატიული

პარტიის მენშევიკური მიმართულების მთავრობას. „რა სწეულებაა „ბოლშევიკობა“ და როგორის სიადვილით ედება იგი უპატრონო პროვინციას, - ეს ყველამ ვიცით, არ ვიცით მხოლოდ ის, თუ რა შემუშავებული სისტემით ებრძვის ჩვენი მთავრობა ამ გადამდებ სწეულებას? მეთოდი ბრძოლისა როგორღაც პრიმიტიულია. ჰანიბალის პარტიზანულ ბრძოლას რომაელები გაცილებით მეტის გამჭრიახობით ეკიდებოდნენ, ვიდრე ჩვენი მთავრობა ბოლშევიკებს, რომელნიც არა თუ რეგულიარ ჯარს, არამედ ბრზოს, მძარცველ მაწანწალათა კონგლომერატს თუ წარმოადგენენ“ (ქართლელი, 1915: 1-2). ავტორის მოწოდებაში, მკაცრად დაისაჯონ პარტიულ ლოზუნგებს ამოფარებული დამნაშავენი, ჩანს ეროვნულ-დემოკრატიული იდეური სულისკვეთება: „დღეს, როდესაც ნორჩ სახელმწიფოს საძირკველი იყრება, შეუწყნარებელია მერყეობა. მთავრობას უნდა ჰქონდეს შემუშავებული ერთი წესი, ერთი გეგმა, და მის მიხედვით უნდა მოქმედებდეს. მეამბოხე და ურჩი უნდა დაისაჯოს, თუნდაც მათი სახით ჩვენივე ოჯახის წევრნი გამოვიდნენ. მთავრობა კი ერთგვარად არ ექცევა ყველას. მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ ვინაა მის წინაშე წარმომდგარი ელლინი თუ ბარბაროსი!<sup>1</sup> მის მოქანცულ თვალებს ყოველგან დალატი და კონტრ-რევოლუცია ებლანდება, ნამდვილი კონტრევოლუციონერები და მოლაღატენი კი მის მფარველობით სარგებლობენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ყაჩაღს და პოლიტიკურ საჭის ხელში დამჭერს რაღაც ეფემერული წითელი დროშა აერთიანებს.“ (ქართლელი, 1915: 1-2).

„საქართველო“ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქართველი ხალხის საჭირბოროტო საკითხებს და დაუფარავად ამხელდა მანკიერ მხარეებს. გაზეთის ფურცლებზე ხშირად ვხვდებით დღეს უკვე ოკუპირებული შიდა ქართლის რეგიონის შესახებ არსებულ ცნობებს, საქართველოში ჩამოსახლებული ოსების ყოველდღიური ცხოვრების ამსახველ ინფორმაციებს, მათგან მომდინარე საფრთხეებს. მათ შორის რამდენიმე პუბლიკაცია ეძღვნება ქსნის ხეობასა და მასში შემავალ ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფლებს.

1915 წლის 23 დეკემბრის ნომერში სოსოს ფსევდონიმით დაიბეჭდა წერილი „ქსნის ხეობა“, რომელშიც მოთხრობილია იმ დროის ქართულ საზოგადოებაში ფეხმოკიდებულ ცრუმორწმუნოებაზე, რომლის ერთ-ერთი გამოვლინება მკითხაობა გახლდათ. მჩხიბავებმა ხალხის ძარცვა პროფესიულ საქმიანობად აქციეს. თანდათან მორალურად ნადგურდებოდა ფეხის ხმას აყოლილი, ერთდროს ქრისტიანულ რწმენას

1 მსოფლიო ცივილიზაციის სათავეებთან მდგომ ეგვიპტელებს, ორიგინალური და თვითმყოფადი კულტურის შექმნამ საკუთარი წარმომავლობისადმი გამორჩეულობის განცდა გაუჩინა. ეგვიპტური „რემეჩ“ - ადამიანი მათ სინონიმად იქცა, დანარჩენი ხალხები ველურებად მიაჩნდათ. ეს „სენი“ ელინებსაც სჭირდათ, ძველი ბერძნული კულტურის შემოქმედ ხალხს... ვისაც მათი ენა არ ესმოდა, ბარბაროსებად მიიჩნევდნენ. ქართლელის ფრაზა „ელლინი თუ ბარბაროსი“ სწორედ ამ ფაქტს უნდა ეხმიანებოდეს.

მტკიცედ ნაზიარები ქართველობა. ყოველივე ამას კი უსწავლელობა და სკოლების არ ქონა უწყობდა ხელს.

ცრუმორწმუნოება რომ ქართველებში ფესვგადგმული ერთი დიდი სენი იყო, რომელსაც როგორც დაბალ, ისე საშუალო შეძლების ხალხში ჰქონდა ფეხი მოკიდებული, ამაზე ქსნის ხეობისადმი მიძღვნილი წერილის ავტორიც საუბრობს: „ერთი დიდი სენი ჩვენი ხალხისა არის ცრუმორწმუნოება, რომელსაც ღრმად გაუდგამს ფესვები ჩვენს სოფელში, თუმცა საკმაოდ მოიპოვება იგი ქალაქის დაბალ და საშუალო შეძლების ხალხშიაც; შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ ქ. გორის მკითხავი გრიქუროვი, რომელთანაც დაიარება არა მარტო დაბალი ხალხი, როგორც გორის ისე ახლო-მახლო სოფლელებისა, არამედ ბევრი „ინტელიგენტიც“ (სოსო, 1915: 4)..

მოტყუებული გლეხკაცი ყველგან და ყველაფერში ხსნას მკითხავებში ეძებდა. მკითხავებიც ურცხვად სარგებლობდნენ მათი „საქმიანობის“ მიმართ გამოჩენილი ასეთი ინტერესით და უფრო და უფრო მაღლა სწევდნენ მკითხავობის „ნიხრს“: გლეხს გაუხდება ავით ვინმე, შეხვდება რამე გადამდები სენი, მუშაობის დროს იტკენს რამეს, ნაღვინევს დაემართება რამე უბედურება, თუ საქონელი დაეხუთება, მაშინვე მიეშურება მკითხავისაკენ, რომელნიც ბლომად არიან აქეთკენ. მკითხავი შეულოცავს ავათმყოფს, მისცემს წამალს და თანაც დააბარებს: აი ეს წამალი, ასვი, როგორც მე გითხარი და თუ თუ არ არგოს კიდეც მნახე. თავის ხელობას იგი ძვირად აფასებს, ამ ბოლო დროს ისინიც აჰყვნიენ ფეხის ხმას და მკითხავობის ნიხრი ასწიეს“ (სოსო, 1915: 4)..

მკითხავები ყოფილან სოფლებში: ლამისყანასა და მუხრანში, სადაც მცხოვრები მოლა ავადმყოფს ზოგჯერ საკუთარ, ზოგჯერ დაავადებულის სახლში რაიმე ნიშანზე ულოცავდა: „სოფ(ელ) ლამისყანაში სცხოვრობს ერთი მკითხავი კაცი, რომელთანაც დაიარებიან სამკითხავოთ მახლობელ სოფლების მცხოვრებნი და რომელიც უტიფრათ ატყუებს ყველას.

ამ ბოლო დროს სოფ(ელ) მუხრანში მიდიან ხოლმე, სადაც თურმე სცხოვრობს ვიღაც მოლა; იგი ან თავის სახლში ულოცავს ავათმყოფს რამე ნიშანზე, ან სახლში მისდევს ავათმყოფის პატრონს და იქ ბურტყუნებს უაზრო ლოცვას. სამკითხავოში აძლევენ ფულს, თივას, ფუჩქეს და სხვა. სოფელს არა ჰყავს პატრონი, არა ჰყავს გულშემატკივარი“ (სოსო, 1915: 4).

ქსნის ხეობაში გავრცელებულ ცრუმორწმუნოებაზე ხშირად ვხვდებით პუბლიკაციებს XIX-XX საუკუნეების ქართული პრესის ფურცლებზე. სწორედ ხალხის მომტყუებელ ერთ-ერთ მჩხიბავზეა საუბარი 1901 წლის 17 აგვისტოს „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ ანტონისძის წერილში „სოფელი ახალგორი“: „ამ ყრუ სოფლებში<sup>2</sup> ერთი ვიდაცა ვაჟბატონი გაბატონებულია; იმ ვაჟბატონის სახელი ივანეა. ტომით აისორი, მაგრამ თავის თავს ბერძენს უწოდებს. საფრანგეთში გავათავე ფაკულტეტი და კარგი

2 იგულისხმება ქსნის ხეობის სოფლები.

მკითხავი და ექიმი ვარო. იგი დროებით ს. მონასტერში<sup>3</sup> იმყოფება და იქიდან დაჰყავთ, სადაც გასაჭირი არის. მკითხაობა მორიგებაზე არის, მაგრამ მანეთ ნაკლებ აღარ შეიძლება. ვინც რამეს დაჰკარგავს, მაშინვე ამ ვაჟბატონთან მიდის სამკითხველოდ, ამ ვაჟბატონმა ვითომც გიჟების მორჩენაც უნდა იცოდეს. ეს ვაჟბატონი ხაზინებსაც ეძებს, ძველ დროს შენახულებს. ამას წინად სამს ალაგას ათხრევიანა მიწა თითო კვირა, მაგრამ ჯერ-ჯერობით არაფერი უპოვნიან, ხალხი მაინც უკან დასდევს, როგორც დიდ ბრძენს და ნასწავლს“ (ანტონისძე, 1901: 3).

აქაც ილია გვახსენდება. მისი გენიალური „კაცია-ადამიანი?!“ და მკითხავებისგან გაბითურებული თათქარიძეების სახლეული.

მოჰყვება ლამაზისეული წელში მოხრილ, დაჩივებულ დედაბერს და გულუბრყვილოდ უმხელს ყველა საიდუმლოს:

„მამ ქალაქში რომ მკითხავს აკითხვინეს და ეთქო, თელეთი ილო-ცეთო, ისიც გეცოდინება?.. – უთხრა გოგომა და დააცქერდა გოცებულები, ვნახოთ, რას იტყვისო.“

– მამ, ჩემო კარგო, ჩვენი ხელობა რა არის? პურს მაგითი ვჭამ და ეგ როგორ არ მეცოდინება? – მიუგო ოსტატმა დედაბერმა ისე არხეინად, ასე გგონია – მართლა იცოდაო.

– თელეთში რომ ვიყავით, ისიც იცი?

– გეუბნები, შვილო, ჩვენი ხელობა ეგ არის-მეთქი. მაგითი ვცხოვრობთ, მამ არ გვეცოდინება?

ძალიან უხაროდა გულში მკითხავსა, რომ ამისთანა სულელი გოგო შეჰხვდა, რომ ზოგიერთი საჭირო ამბავი გზა-და-გზა გამოათქმევინა“ (ჭავჭავაძე, 1984: 347-348).

როგორც ითქვა, უსწავლელობა იყო ყველაფრის სათავე, ადვილად ტყუვდებოდა გაუნათლებელი გლეხკაცი. ამიტომაც ცდილობდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება მეტი სკოლის გახსნას, უცოდინრობის ლიკვიდაციას (ახლოური, 2026: 343-344).

ხაზინებზეც უნდა ითქვას ორიოდესიტყვა. ქსნის ხეობის მთიანეთის თითქმის ყველა სოფელში მიგვითითებდნენ ისეთ ადგილებზე, სადაც წინაპრებს საგანძური უნდა ჰქონოდათ გადამალული... მკითხავი ივანეს რჩევითაც უძებნიათ იგი, მერეც ეძებდნენ... თუმცა ამ ხეობის უმთავრესი საგანძური მაინც აქ მცხოვრები გლეხკაცის უღალატო, მიმდობი ხასიათი და ღვთიური სულიერება იყო (ახლოური, 2025 ა: 6).

მკითხაობა განსაკუთრებით გავრცელებული ყოფილა ჟამთურელ ოსებში: „არა მხარეში არ მოიპოვება იმდენი მკითხავი, რამდენიც აქ. ყველა მკითხავთა შორის განთქმულია მათე ყ-შვილი, მისი სიტყვა ხალხს ღვთიურ სიტყვად მიაჩნია. ხალხს რომ უთხრას: დღეს ნუ მუშაობთო, „სირხი ძვარი“<sup>4</sup> ჯავრობსო, რაც უნდა გაჩქარებული მუშაობა ჰქონდეთ,

3 დღევანდელი ლარგვისი.

4 ოსების სალოცავი.

თავი უნდა გაანებონ; ან რომ უთხრას ვისმე: ესა და ეს ხარი უნდა დაუკლა „სირხი ძვარსაო“, ის დაუყოვნებლივ აასრულებს“ (ცხვედამე, 1886: 2-3). ჟამურელები გამოირჩეოდნენ დაკრძალვის თავისებური რიტუალებითაც, მიცვალებულს შემოატარებდნენ ცხენს, საფლავში ატანდნენ, პურს, არაყს... რადგან ფიქრობდნენ, რომ იქაც მოიხმარდა (ახლოური, 2025 ბ: 27).

ქართლელი გლეხის გულუბრყვილობასა და გაბითურებაზეა საუბარი გაზეთ „ივერიის“ 1886 წლის 11 სექტემბრის პუბლიკაციაში „ქართლიდგან“: ერთ გლეხს ღამით ცოლი დაუკარგავს. მთელი ღამე ეძებდა თურმე შეწუხებული. განთიადისას მშვიდი სახით დაბრუნებულია დიაცი. ხატმა წამიყვანა, ეკლესია დამაგვევინა, იქაურობისთვის მომავლევიანა და დილით ადრე უკან გამომისტუმრაო. დაიჯერა თურმე გულუბრყვილო გლეხმა. „ეხლა ქალი ღამეებს სახლში არ ატარებს, ქმარიც აღარ სძებნის ცოლს და დარწმუნებულია, რომ ხატს მიჰყავს იმის ცოლი. სოფელში-კი ამის თაობაზე სხვა გვარი ჭორი დადის: კარგად ვიცით სად დადის ეგ ქალი ღამ-ღამობითო“ („ივერია“, 1886: 2).

ახალგორში საკოოპერაციო დუქანის გახსნაზეა საუბარი „საქართველოს“ ფურცლებზე სოსოს ფსევდონიმით გამოქვეყნებულ კიდევ ერთ წერილში: სოფელი ახალგორი (ქსნის ხეობა). ვინც არ იცნობს ახალგორს და არ იცის მისი ცხოვრება, შეიძლება ყურადღება არ მიაქციოს ამ ფრიად დიდ მნიშვნელოვან ფაქტსო - შენიშნავს ავტორი წერილის დასაწყისში და თვალწინ გვიშლის ხეობის გეოგრაფიულ არეალსა და აქ მცხოვრები ვაჭარ-ჩარჩების ხასიათს, რომლებიც დახელოვნებულნი ყოფილან მთიელი გლეხკაცის მოტყუებითა და უმოწყალო მარცვით: „წარმოიდგინეთ ვიწრო ხეობა, ორივე გვერდზე აყუდებული, მაღალ ტყით შემოსილი მთები; ხევის ძირზედ მოქუხს წყალი - მდინარე ქსანი. მის მარცხენა ნაპირას მისდევს საურმე გზა; ეს არის ერთად-ერთი გზა ამ ხეობაზე. ერთ ადგილას ამ გზის ორივე მხარეს გაშენებულია დუქნები და სამიკიტნოები, ხოლო უკან ამ სავაჭროებს მიდგმული აქვს ამ ვაჭართა საცხოვრებელი სახლები. აი, ეს არის ახალგორი. მგზავრი მთიდან ბარში, თუ ბარიდან მთაში მიმავალი ამ გზაზედ მიდის, ქსანს რომ მარცხნივ მისდევს, ისე რომ ახალგორს და მის დუქნებს ვერას გზით ვერ ასცდება, ისე რომ დახელოვნებულ ჩარჩ სომხებს აქ დიდი პრაქტიკა უჩნდებათ მთის გულუბრყვილო ხალხის ყვლევაში. სცდილობენ ყოველივე მთის ნაწარმოები: ყველი, ერბო, მატყლი ჩალის ფასად ჩაიგდონ ხელში; სამაგიეროდ მათი სავაჭრო ყველაფერი ძვირფასად ღირს; მაგალითად, შაქარი გირვანქა ხათრით ათი შაური“ (სოსო, 1916: 4).

ქსნის ხეობაში გლეხკაცის დაქცევის ფონზე ვაჭართა გამდიდრება ლაიტმოტივად მიუყვება იმ დროინდელ ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს.

ახალგორელი ვაჭრებისა და გლეხების ურთიერთობაზე საუბარია 1902 წლის 9 ნოემბერის გაზეთ „ივერიაში“ ქსნელის ფსევდონიმით

გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში: „ორი ათასამდე გლეხ ქართველში ათს ვერ იპოვით თავისუფალს, ყველას ქედი აქვს მოდრეკილი მებატონის წინაშე. საუკეთესო ღირსების ყოფილა ქსნის ხეობის მატყლი, მაგრამ დიდ გასაჭირში იმყოფებოდნენ მწყემსები საბალახოს უზომო ხარჯის გამო. ეს წერილიც ეპოქის მთავარი სატკივართ მთავრდება: „სოფლის ნაღვან-ნაშრომი იკრიბება სოფ. ახალგორში, ამ ერთად ერთს ქსნის ხეობის სავაჭრო ალაგას, რომელიც დასახლებულია მთლად ვაჭარ სომხობით და ხეობას, როგორც უნდათ ისე სცქვლევდნენ. ერთ მხარეს უენო გლეხი, მეორე მხარეს ვაჭარი, მყვლევავი, მძარცვავი, ყველა გლეხს ებღაუჭება, ყველა ამას მისევია და სწუწის, ვიდრე საწუწნია“ (ქსნელი, 1902: 3).

უყურადღებოდ და უპატრონოდ დარჩენილი ქსნის ხეობის მოსახლეობის ბედ-იღბალი აფიქრებდა 1884 წლის გაზეთ „დროების“ კორესპონდენტსაც: „საკვირველი ის არის, რომ - ნუთუ ამ კუთხეში ხალხი არა სცხოვრობს, ნუთუ ამ მხარის ხალხს არა აქვს მოთხოვნილებანი გონებითნი და ზნეობრივნი, რომ კრინტიც არ იძვრის ამ ხალხის ცხოვრებაზე! ეს სამწუხარო მოვლენა იმით აიხსნება, რომ ეს ხეობა ერთობ შორს არის ჩვენის ქვეყნის განათლების ცენტრებიდან, და ამ ხეობაში საშინელი განუვითარებელი ის წოდებაა, რომელიც უნდა მწყემსავდეს და ხელმძღვანელობდეს ხალხსა“ („დროება“, 1884: 1-2). ავტორის მიზნებით: „სტუმრის მოყვარეობა, დარბაისლობა და სხვა ჩვენი პატრიარქალური სათნოებანი ამ ხეობაში დღემდის უხრწნელად დაცულნი არიან. ბევრს, ძალიან ბევრს ეტნოგრაფიის მასალას შეჰკრებს ამ მხარეში დამკვირვებელი, თუ რამდენსამე ხანს იცხოვრებს აქა“, თუმცა სწუხს სოფელ ოძისიდან ჩრდილოეთით უყურადღებოდ დარჩენილ ხეობებზე: ალევზე, ცხავატზე, დაბაკნეთზე ანუ ცხრაზმაზე, ჭურთაზე, ქარჩოხზე ანუ ახალდაბაზე, რომელთა „ბუნებითი შვილები“ გამოირჩევიან ნიჭიერებით, სიმხნევით, ვაჟკაცობით, მაგრამ ჩამორჩენილები არიან ახალ საზოგადოებრივ მოძრაობას, რითაც სარგებლობენ ახალგორში თავმოყრილი ვაჭრები: „ამ მხრის ნაწარმოებნი - ყველი, მატყლი, ერბო, ქერი ახალგორს იქით არ მიდის. ახალგორი სავსეა „წურბელა ვაჭრებით“, რომელნიც ქსნის ხალხს თვალებს უბამენ და ისე მდიდრდებიან, ძნელად იპოვის კაცი ახალგორელს ვაჭარს, რომელიც კაი შემძლებელი ოჯახის-შვილი არ იყოს: ისე აქვთ სხვადასხვა სოფლებში გაბმული მახეები, რომ იშვიათი იქნება ქსნელი კაცი, რომელსაც ახალგორელის „ნისიები“ არ ემართოს!“ („დროება“, 1884: 1-2). წერილის ბოლოს ხალხის გაღვიძების მთავარ ფაქტორად სკოლების გახსნაა მიჩნეული, რომელზეც თანაბრად უნდა ეზრუნა, როგორც ქვეყნის ინტელიგენციას, ისე წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას (ახლოური, 2025 გ: 218-219).

„ივერიის“ 1888 წლის 27 ივლისის ნომერში ქსნის ხეობისადმი მიძღვნილი პუბლიკაციის ავტორი, ფსევდონიმით „მმუსიელი“ ყურადღებას ამახვილებს ქსნის ხეობის ბუნებრივ სიმდიდრეზე, შესანიშნავ

წარსულსა და აწმყოზე. მხატვრულად აღწერს ხეობის გეოგრაფიულ გარემოს: „მტკვრიდგან დაწყებული სოფ. კორინთამდინ, 35 ვერსის მანძილზედ, ხეობა ცოტა უფრო განიერია, კეკლუცია, ვენახებითა და ბაღებით მდიდრულად მორთული, და შიგ სოფლებია გაბნეული. შუაში მდინარე ქსანი მიჰქმინავს დარწყავს გარშემო ატეხილს ჭალებს, ვენახებსა და ბაღებს, თუმცა-კი ძუნწად. სოფ. კორინთიდგან ხეობა ძლიერ ვიწროა, ასე რომ ტყით შემოსილი მთები პირდაპირ ჩაყუდებულან მდ. ქსანში. (ძმუისელი, 1888: 2). ავტორის მინიშნებით: ბაღებში მოჰყავდათ ხუთასი თუმნის ვაშლი და მსხალი, ასი თუმნის ნიგოზი, ხუთასი თუმნის ჯონჯოლი. იყიდებოდა ხუთი ათასი თუმნის ღვინო, ხუთი ათასი თუმნის ქერი და პური. დიდ შემოსავალს იძლეოდა ტყის უხვი მასივი, ასევე აქ დამზადებული ნიჩბები, კალათები და სხვა სახელოსნო ნაწარმი. ავტორის ანგარიშში არ შედიოდა ახალგორის სამხრეთით მდებარე სოფელი მუხრანი, სადაც 700 კომლამდე მცხოვრები იყო და დიდი რაოდენობით ღვინო მოჰყავდათ.

სამწუხაროდ, ეს აურაცხელი ქონება მშრომელ ხალხს ვაჭარ-ჩარჩების მეშვეობით ხელიდან ეცლებოდა. ვიდრე ქსნის ხეობის გლეხების ნაშრომ-ნაწვალები მომხმარებელთან მივიდოდა, რამდენიმე ხელი უნდა გაევიღო. იდეაც ჰქონიათ, მეცხვარეს მატყელი აგენტის შემწეობით პირდაპირ ფაბრიკისთვის გადაეცა, მაგრამ ეს აზრი მხოლოდ აზრად დარჩენილა (ახლოური, 2025 ბ: 27).

გლეხის ფსიქოლოგიური მდგომარეობა და „ვაჭრის სახე“ კარგად ჩანს ძმუისელის სიტყვებში: „წელს მთელს ხეობაზე კარგი მოსავალია, მაგრამ გლეხს რომ ჰკითხოთ, გიპასუხებსთ ცუდიაო. იმან იცის, რომ ვაჭარმა ცხენი გაგზავნა მთაში გასასუქებლად, რათა უფრო გაუძლოს ჭირნახულის ზიდვას, იცის, რომ ვაჭარი ამზადებს დიდ-ძალს ტომრებს, ჩანახს ასწორებს და ეშინიან გლეხს, თავს იკატუნებს, ვაი თუ ვაჭარმა ჭირნახული სულ გამიზიდოს ნისიასა, თუ ვალში და წლის სარჩო აღარ დამრჩესო. თუმცა ბევრს ოსტატობას ხმარობს გლეხი, კაცობას იმცირებს, მაგრამ წლის თავზე, ხან შუა წლიდგან მოსავალი აკლდება. გლეხმა ნისიად მისცა იმ იმედით, რომ გაჭირ(ვ)ების დროს ვაჭარი ისევ ხელს გაუმართავს თავისებურად. წელს გლეხებზე ქერ-ჭრელი იყიდებოდა სამ მანეთ ნახევრად. თვითონ-კი დაკვეთილი ჰქონდათ ქერი ოთხის აბაზის კვალობაზე“ (ძმუისელი, 1888: 2).

გლეხი მოსავალს ნატურით ცვლიდა მარილზე, ფარჩაზე, ღვინოზე (მთის ხალხი), თევზზე... როცა ვაჭარი ჰკითხავდა, რაზე ჰყიდო - ფარჩაზე, ჭირნახულზე ან ბურნუთზეო<sup>5</sup> ფულის მიღებაზე უარს ამბობდა, რადგან ვაჭრობაში გამოუცდელი იყო და ფიქრობდა, მოატყუებდნენ. ფული კი ყოველთვის ჭირდებოდა, „ხელმწიფიანთვის“ უნდა მიეცა, ბატონი და მღვდელი უნდა გაესტუმრებინა... ფულს გლეხები ურმის

ქირავნობისა და მკა-თიბვის მეშვეობით იღებდნენ: „დადგება თუ არა მკათათვე და თიბათვე, მთის ხალხი დაიმკრება ბარისკენ ნამგლებით და ცელებით. წელს მუშის დღიური ქირა არის სამიდგან ოთხ აბაზამდე. შემოდგომაზე ეზიდებიან დაქირავებულის ურმებით თავიანთ კალო-ვენახებიდგან, ან მემამულეთა ზვრებიდგან ტკბილს, ჭირნახულს სოფ. ახალ-გორში. გაზაფხულზე ახალ-გორელებისაგან წვრილად მოგროვილს ჭირნახულს, - ღვინოს, ყველს, ჯონჯოლს, მატყლს და სხვას, - ყიდულობენ მოიჯარადრენი, სირაჯები, ალაფები და ეზიდებიან ურმებით სტანციებისა და ქალაქებისაკენ და იქიდგან-კი დუქნის საქონელი მოაქვსთ. თვალად აქ გლეხები შეძლებულნი უნდა იყვნენ, მაგრამ ვალსა და ვახშმი-კი არიან ჩაცვინულნი“ (ძმუისელი, 1888: 2).

ახალგორელი ვაჭრების სიმდიდრესა და ხელგაუმღლელობაზე საუბრობს ხ. გარიშვილი: „ახალ-გორის საზოგადოება ამ ხეობაში შეძლებულია... აქ თითქმის სულ ვაჭრები არიან, რომელთაც მარტო საწყალი ხალხის ყვლეფაზედ უჭირავთ თვალი და კეთილს საქმეში კი ხელ გაუშლელნი არიან“ (გარიშვილი, 1904: 3).

ახალგორი არსებული სოციალური პრობლემების ანარეკლია 1901 წლის 17 აგვისტოს „ცნობის ფურცელში“ გლახა ხუცესის ფსევდონიმით დაბეჭდილია დუშეთის მაზრის სოფელ ახალგორისადმი მიძღვნილი წერილი, სადაც კიდევ უფრო მეტადაა დაკონკრეტებული ის სარგებელი, რომელსაც იქ მცხოვრები სომხები იღებდნენ. მისი დაკვირვებით, ქსნის ხეობის მცხოვრებთა მთელი მრეწველობა: ჭირნახული, ღვინო, მატყლი, ყველი, ერბო და სხვა სულ ახალგორელ ჩარჩ-ვაჭრების ხელში იყრიდა თავს. ისინი ქსნისხეობელი გლეხკაცისგან ყველაფერს იაფად ყიდულობდნენ და „მამა სისხლად“ ჰყიდიდნენ. „ამიტომაცაა, რომ აქ ბევრია შეძლებული ვაჭარი და რატომაც არ იქნება: საწყალი გაჭირებული გლეხთან მიდის, კოკა ტკბილს 3 მანეთად და ზოგჯერ ნაკლებად უკვეთამს მას და თვითონ კი 10 მ., 13 მან. და ბევრჯერ 16 მანეთადაც ჰყიდის. ამდენს იგებს ღვინოში; ახლა პურში, ქერში, რომელსაც თვითონ კოდს 1 მანეთად იკვეთამს და 25 გირვანქიან საწყაოთი იწყავს, ჰყიდის კი 3 მანეთად და მეტადაც ისიც 18 გირვანქიან საწყაოთი. იგებს აგრეთვე მატყლში, ყველში და სხვ., თანაც ვინ იცის, იქნება მიცემულს ნისიასაც ნახევარს ისევ ზედვე აწერს“... წერილის ავტორი ყოველივე ამის საფუძვლად ხალხის გაუნათლებლობას და სკოლების არქონას მიიჩნევს. „მთიულები რომ დაიაროთ, ასზე კი არა(,) სამას კაცზედაც ერთს ვერ იპოვით, რომ წერა-კითხვა იცოდეს“ (გლახა ხუცესი, 1901: 2).

ახალგორში არსებულ აღებ-მიცემობის მანკიერებებზეა საუბარი „ივერიის“ 17 ოქტომბრის ნომერში. ანონიმი ავტორის ცნობით, „დადგა შემოდგომა და გახურდა აქაც აღებ-მიცემობა. მიდის და მიდის ფეხ-აუქცევრად ზოგი ქარავნათ და ზოგი თვითობით დატვირთული ცხენები მატყლით და ერბოთი, აგრეთვე ფარა საკლავი, მსხვილ-ფეხი და წვრილ-ფეხი, ქათამი და კვერცხი, ვაშლი და მსხალი და სხვ. ღვინოც კარგი

იცის აქეთ, მაგრამ ღვინოცა და ყოველივე სულყველაც ძვირია. სადაც დუქანში შეხვალ, მოგიტანენ გამხმარს თევზსა და ისეთს მყავე ღვინოს, რომ ყვავს დააჩხავლებს, ფასი კი ჩარეკა აბაზი - ხუთი შაური. ზემოდ მოხსენებული სანოვაგენი კი, ღმერთმა უწყის, სად სადდება და სად არის მიკუნჭული. აქ არის ექიმი, აფთიაქი, მომრიგებელი შუა-კაცი, ბოქაული, მამასახლისი, დუქნები, სკოლა და სოფლის სამმართველო“ („ივერია“, 1904: 2-3).

გასაყიდი პურის ცხოვრება დაუწყიათ, მაგრამ პურის რაოდენობა მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა, „მოთხოვნილი ათასი იყო და პური საპურეში ერთი არ იბადებოდა“. „როგორც იყო, გამოთანთლეს ლავაშები და ერთბაშად დაიტაცა ხალხმა. სასაცილო სანახავი იყო, სწორედ იერიში მიიტანეს მეპურეზედ, მეათედს ნაწილს არ გახვდა და დანარჩენებს გამოეცხადათ ორის საათის მერე მობრძანდითო“ („ივერია“, 1904: 2-3).

ახალგორში დუშეთთან შედარებით სიძვირე ყოფილა, გირვანქა შაქარი ოცი კაპიკი ღირებულა, ფუთი მარილი - ოთხი აბაზი, გირვანქა ზეთი - ექვსი შაური... დუშეთში კი შაქარის ღირებულება - 15-16 კაპიკს შეადგენდა, ეს მაშინ, როცა ახალგორში მოტანა აქაურ ვაჭრებს უფრო იაფი უნდა დაჯდომოდათ და სხვა ხარჯებიც უფრო ნაკლები გაეღოთ. ბოქაულს ყრილობაზე ხალხისთვის ურჩევია საზოგადო დეპო დაეარსებინათ, რომ მათი მოსავალი სხვას ჩალის ფასად არ ჩაეგდო ხელში, მაგრამ საზოგადოებას არ ჰქონდა იმდენი სწავლა-განათლება, რომ ამგვარ საქმეს სათავეში ჩადგომოდა.

ქსნის ხეობის შესახებ არსებული პუბლიკაციების ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად საშური იყო საკოოპერაციო დუქნის გახსნა, რასაც გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორი ფრიად მნიშვნელოვან საქმედ მიიჩნევს მისი დასკვნით, კოოპერატიულ მაღაზიის გახსნით ცოტად თუ ბევრად ჩარჩ-ვაჭრების თარეშს ბოლო მოეღებოდა და ფრთა შესამჩნევად შეეკვეცებოდა, იგი მაღლიერებას გამოხატავს ამ საშვილიშვილო საქმის აღმსრულებელთა მიმართ და ბოროტზე კეთილის ძლევის იმედი აქვს: „დიდი მაღლობის ღირსნი არიან ყველანი, ვისაც კი რამე ღვაწლი მიუძღვის ამ კეთილ საქმის დაწყებაში და უფრო დიდი მაღლობის ღირსნი იქნებიან თუ კეთილ-გონივრულად აწარმოებენ ამ საქმეს დაჩაგრულ ხალხის სასარგებლოდ და თვის სასახელოდ“ (სოსო, 1916: 4).

ქსნის ხეობაში სკოლების არ არსებობის პრობლემაზე მიგვითითებს მიხეილ ქსნელი გაზეთ „საქართველოს“ 1916 წლის 20 სექტემბრის ნომერში: „ძველს სასწავლო წლებს ჰყვება ახალი სასწავლო წელიც, ქსნის ხეობა კი, როგორც იყო ისევე არის. სამი ათასამდე მეკომურ გლეხ-კაცს სძინავს. არავის არ აწუხებს, რომ სასწავლებელი არა აქვთ.

სოფ(ელ) ომისის ზევით ორი ათასი მეკომური ერთი სამინისტრო სკოლის ანაბარაა. ისიც მარტო ერთ სოფელს - ახალგორსაც ვერ აკმაყოფილებს. ჯერ ისევ ომის დაწყებამდე რამდენიმე სოფელმა ითხოვა

სამ(ინისტრო) სკოლების დაარსება. ბ-ნი ინსპექტორი, პოლიტოვი პირადა(და)ც დაჰპირდა, მაგრამ ეს ჩვეულებრივ დაპირებად გამოდგა“ (ქსნელი, 1916 ა: 4).

ავტორი მკაცრად აკრიტიკებს სასულიერო პირებსა და მამასახლის-მოსამართლეებს, რომლებსაც საზოგადოება ინახავდა, მაგრამ ხალხზე ზრუნვა არ აფიქრებდათ: „სხვაგან არ ვიცი და აქ კი სულიერი მამები სხვა ჩვეულებრივი მომაკვდავისაგან მხოლოდ ანაფორით განსხვავდებიან. აქ ჩამქრალია ქართული სული. ერთად, ერთი ალაგობრივი ვითომ სახალხო საზოგადო მამასახლის მოსამართლეების არსებობაც, ჩვენის აზრით, სრულიად არ ამართლებს თავის ტრადიციულს მოვალეობას. არსებულ პირობებში არჩეული მამასახლისები ხალხიდან შორს დგანან და მოუმზადებლებიც არიან ხალხის სამსახურისთვის. ზოგს მათგანს სამიკიტნო აგონდება, ვიდრე საზოგადო საქმე. როგორც ვიცით მამასახლისის კანცელარიის შენახვა საზოგადოებას ყოველ წლივ ას თუმნობით უჯდება. უკვე რა ხანია ასეთი წესია და დღევანდლამდე შემთხვევა არ არის საზოგადოებას მოეთხოვოს ანგარიში ვისგანაც ჯერ არს თუ სად იხარჯება ეს ფული!“ (ქსნელი, 1916 ა: 4).

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ქართულ პრესაში აქტუალური იყო სკოლების გახსნისა და სწავლა-აღზრდის საკითხები. 1879 წლის 6 სექტემბრის „დროების“ ნომერში გამოქვეყნებულია ცნობა ახალგორში ადგილობრივი მღვდლის მიერ ფულის შეგროვებისა და სკოლის გახსნის შესახებ: „სოფ. ახალგორიდან გვატყობინებენ, რომ იქაურ მღვდელს სამასი მანეთი მოუგროვებია შკოლის გასამართავად; ამ ფულით ერთი ძველი სახლი უყიდნია და გადაუკეთებინებია შკოლისათვის. ამ შკოლაში ამ ჟამად 50 ვაჟი სწავლობსო; მოსწავლე ქალები კი ამ პატივცემულ და საქებ მღვდელს თავის ნაქირავებ სადგომში გარდაუყვანია და იქ ასწავლისო“ („დროება“, 1879: 2). თითქმის ერთი წლის შემდეგ, 1880 წლის 4 სექტემბრის კორესპონდენციაში გაზეთი მღვდლის ვინაობასაც გვამცნობს: ამ კეთილი საქმნის შემოქმედი მღვდელი ნიკოლოზ სამხარაძე გახლდათ („დროება“, №186, 1880: 2).

მართლაც, რომ საშვილიშვილო საქმე იყო XIX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს ახალგორში პირველი სკოლის გახსნა, ამას დიდი შრომა და ძალისხმევა სჭირდებოდა, რაც გაუწევია კიდევ ქსნის ხეობაში მოღვაწე მღვდელს (ახლოური, 2025 დ: 7).

ახალგორის სკოლა რამდენიმე საზოგადოებას უნდა მომსახურებოდა. მის შენახვაზეც ამ საზოგადოებებს უნდა ეზრუნათ, მაგრამ ახალგორის სკოლა, რომ სხვა სოფლების მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი არ იყო, ამის შესახებ „ივერიის“ 1898 წლის 10 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ კორესპონდენციაშიც იყო აღნიშნული, მისი ინფორმაციით, სკოლით მხოლოდ ადგილობრივი მდიდარი ვაჭრები სარგებლობდნენ. თხუთმეტი წლის მანძილზე, რაც ახალგორის სკოლა იყო დაარსებული, დანარჩენი ექვსი საზოგადოებიდან მხოლოდ ოთხ მოსწავლეს მიუღია ცოდნა (ძმუისელი, 1898 წელი. გვ. 2-3).

წერილში, რომელიც 1900 წლის 15 ივნისს გამოქვეყნდა რუბრიკით „მოწერილი ამბები“ ავტორი (ახალგორელის ფსევდონიმით), სურვილს გამოთქვამდა სკოლასთან არსებულიყო თავშესაფარი, სადაც სხვა სოფლებიდან ჩამოსული მოსწავლეები დაბინავდებოდნენ. თუმცა ესეც მიუწვდომელ ოცნებად მიაჩნდა, რადგან თვითონ ახალგორის სკოლა სავალალო მდგომარეობაში იყო: „ჯერ როცა სკოლასაც არა აქვს საკუთარი შენობა, ბავშვებისათვის საცხოვრებელ ბინაზედ როგორ ვილაპარაკოთ! ახალ-გორში, ამ ქსნის ხეობის შუა-გულში, მოწაფეთა მაგიდებს ურის ბოხჩასავით დაათრევენ ერთი შენობიდან მეორეში, რომელთაგანაც, სამწუხაროდ, ვერცერთი ვერ აკმაყოფილებს სკოლის უბრალო მოთხოვნილებას. გარდა ამისა, რომ ვაი-ვაგლახით 40 მოსწავლეს ძლივს იტევს, და მარტო ახალგორიდან კი ყოველ წლივ სამოცამდე მთხოვნელია“ (ახალგორელი, 1900: 3). ავტორს სასიკეთო საქმისთვის ქსნის ერისთავების, საერო სკოლების ინსპექციის, სოფლის საზოგადოებების და ადგილობრივი ინტელიგენციის გაერთიანების იმედი ჰქონდა, რითაც დაიძლეოდა წინააღმდეგობები და ახალგორიდან დაშორებულ სოფლის ბავშვებსაც მიცემოდათ მშობლიური ენის ანბანზე „ქვეყნიერობის“ გაცნობის საშუალება.

მიხეილ ქსნელი ქსნის ხეობაში სკოლების არ ქონის გამო გაზეთ „ივერიის“ 1902 წლის 9 ნოემბრის ნომერშიც სწუხდა: „მთელს ქსნის ხეობაში მხოლოდ ერთი სამინისტრო სკოლაა ახალ გორში, რომელიც, თავის სივიწროვით თვით ახალ-გორელების მესამედს სურვილსაც ვერ აკმაყოფილებს. სკოლა-კი დაარსებულია საზოგადო ხარჯით მთელის ხეობისათვის“ (ქსნელი, 1902: 3).

მიუხედავად, ზემოთ აღნიშნული პრობლემებისა, ახალგორის სკოლის არსებობა ბნელში ანთებული სანთლის როლს ასრულებდა, რომელიც სანიმუშოდ უნდა ქცეულიყო მთელი ქსნის ხეობისთვის.

სამართლიანობის უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ იმ დროის გამოჩენილი მოღვაწენი ბევრს ზრუნავდნენ ქსნის ხეობაში სკოლების გახსნაზე, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს დუშეთის მაზრის მომრიგებელ-შუამავალს თ. ა. ო. ჩოლოყაშვილს, ბევრი დაბრკოლების დამლევით გაუხსნია მუხრანის ორკლასიანი სასწავლებელი, დაუარსებია ზახორისა და მჭადიჯვრის ერთკლასიანი სასწავლებლები, იგეგმებოდა მონასტრის (ლარგვისის) სკოლის გახსნაც (მმუისელი, 1898 წელი. გვ. 2-3)... ბევრს ცდილობდა ცნობილი თავადი ზაქარია გიორგის ძე ერისთავი ბევრს ცდილობდა ახალგორის სკოლა თავის სკოლასთან შეერთებინა და გაერთიანებული ძალით გასძლიოდა ამ საშვილიშვილო საქმეს. მას ოფიციალური წერილით მიუმართავს გუბერნიის წინამძღოლ ლუარსაბ მაღალაშვილისთვის, სადაც აცნობებდა, რომ სამეურნეო სასწავლებლისთვის სწირავდა დუშეთის მაზრაში არსებულ თავის მამულს. „ამ მამულში 1000 დესეტინამდეა. მშენიერ ქვიტკირის ორსართულიანი სახლები თავისი მოწყობილობით, ვენახი 30 დღისა, ხოლო ბაღი 10 დღისა, 100 დღის მეტი სარწყავი მინდორი, ტყე და სამოვარი“ (ქენქაძე, 2016: 215).

ზაქარიას გვერდით ედგა ქსნის ხეობის ბოქაული, თავადი კონსტანტინე როსტომის ძე შალიკაშვილი, საუცხოო გეგმაც შეუდგენიათ, მაგრამ ოდისში, საკუთარ მამულში, ზაქარია ერისთავს მხოლოდ 1900 წელს დართეს სკოლის გახსნის ნება. 1902 წელს სამეურნეო სკოლის გამგედ აგრონომი შულაყენკო დანიშნეს, რომლის დროსაც პირველი მოსწავლეები მიიღეს.

მკაცრი პათოსი გამოარჩევს მიხეილ ქსნელის ქსნის ხეონისადმი მიძღვნილ კიდევ ერთ წერილს, რომელიც გაზეთ „საქართველოს“ 1916 წლის 20 ოქტომბრის ნომერშია გამოქვეყნებული. წერილის პირველ ნაწილი „ოფიციალი მზრუნველების“, წერა-კითხვის მცოდნე პირებისა და სასულიერო მოღვაწეთა კრიტიკით გამოირჩევა, რაც გლეხკაცზე ფიქრით ჩანს განპირობებული. ავტორი, ზოგიერთ ძველ ადათ-წესსაც უპირისპირდება, თუმცა არ აკონკრეტებს, რა შეიძლება ყოფილიყო მისთვის მიუღებელი: „როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ ეს ხეობა, ბუნებით იშვიათი სიმდიდრისა, უდაბნოთ არის მივსდებული. ოფიციალი მზრუნველები ჩვენთვის თავს არ იტკიებენ და თავისუფალი გულშემატკივარი ძალაც, სამწუხაროდ, სანთლით საძებნელია. რომ იტყვიან, ერთ ქვეყანაში აქლემი არ იყო და კატა აქლემი ეგონათო - სწორედ ეს ითქმის აქაურს ვითომდა „ინტელიგენციაზე“. - ვისაც ანა-ბანა უსწავლია და „ზდრასტი-პრაშჩაი“, თავის თავი ინტელიგენტი ჰგონია და თავმომწინეთ იგრიხებიან დატანჯული ხალხის წინ. უეჭველია, ასეთ პირობაში ვაი-ვაგლახით, კუს ნაბიჯით და მწარე გამოცდილებით მიცოცავს წინ გლეხ-კაცი. ათასნაირი უკუსაგდები ადათი და წესები თითქმის ხელშეუხებელია, და პირ-იქით ბევრი მათგანი უფრო მტკიცდება სხვათა შორის სრულიად მოუშაადებელი, უვიცი სულიერი მამების მეოხებითაც“ (ქსნელი, 1916: 4).

ავტორი მონასტრის, იგივე ლარგვისის საზოგადოებაში<sup>6</sup> არსებულ სავალალო მდგომარეობაზეც წერდა, მოუსავლიანობა, უიარალობით გამოწვეული ნადირის მომრავლება-მომალებაკიდევ უფრო ურთულეობდა ისედაც გართულეებულ ცხოვრებას მთიელ გლეხკაცს: „ჩვეულებრივ მრავალნაირ ბედშაობას მთლად მონასტრის საზოგადოებას ზედ დაერთო თითქმის სრული მოუსავლობა. ბალახიც კი არ მოუვიდათ, რის გამო სხვათა შორის ჰყიდიან უკანასკნელ „ნიკორას“. უიარალობამ ხომ გაალაღა ტყის ნადირი, მეტადრე დათვი და მგელი, რომლებიც დიდს ზიანს აყენებენ; ლამის ოჯახებში შეუვარდნენ და წარმოიდგინეთ, რა იქნება ზამთარში ერთის სიტყვით, ჩვენს ხეობას ყველა მხრიდან თავს დაატყდა არაჩვეულებრივი განსაცდელი“ (ქსნელი, 1916: 4).

რთული მისაღები და აღსაქმელია მოხუცის ფსევდონიმით გაზეთ „საქართველოს“ 1920 წლის 19 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებული სტატია „ახალგორის ინკვიზიცია“, რუბრიკით „მწარე ფიქრები“. წე-

6 მონასტრის საზოგადოება ქსნის ხეობის მთის სოფლებს აერთიანებდა.

რილში გადმოცემულია ახალგაზრდა, გასათხოვარი ქალის ნაამბობი, რომელიც მკერავი ყოფილა და თავს თავისი შრომით ირჩენდა, მისი ძმა კი რკინიგზაზე მსახურობდა და მამული ჰქონია დუშეთის მაზრაში, ახალგორთან ახლოს. რადგან ძმას არ ეცალა, დისთვის დაუვალეობა ახალგორში წასვლა და ღალის<sup>7</sup> აკრეფა. ნაცნობთან დაბინავებული ქალისთვის გლეხებს ღალის მიცემაზე უარი უთქვამთ, რის გამოც ადგილობრივი კომისრისთვის საჩივრით მიუმართავს. „ახლა სხვაგან მივდივარ, სადამოხე დავბრუნდები, კარგი ვახშამი მოამზადე და საქმეს გაგიკეთებო“ - უთქვამს კომისარს. ქალს კომისრის ნათქვამი ხუმრობად მიუღია, მაგრამ სადამოს მასთან მისულა მისი მოგვარე ქალბატონი და შეუთავაზებია მასთან წასულიყო: „კომისარი ჩემთან არის, ჩემთან წამოდი, ვახშამი ვაჭამოთ და საქმე გავაკეთოთ“. ქალბატონები კომისარს და მის მილიციონერებს სათანადოდ გამასპინძლებიან. ვახშმის შემდეგ სტუმარი დიასახლისს სახლიდან არ გაუშვია: „ღამეა, სად უნდა წახვიდე, კომისარს და მილიციონერს ძარში დავაძინებ, მე და შენ კი აქ ოთახში მოვისვენოთ“. ქალი ფრთხილობდა თურმე, ტანგაუხდელი დაწოლილა. ჩამინებულს თავზე კომისარი დასდგომია, თავზარდაცემულ ქალს უცდია ხელიდან დასხლტომოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. მისი მოგვარე ქალი კი დახმარების ნაცვლად ლოგინიდან წამომხტარა და გარეთ გავარდნილა: „მივხვდი, რომ ფულზე გამყიდა და გამწარებულმა საშინელი ყვირილი ავტეხე. დიდი ხნის ჭიდაობის შემდეგ კომისარს ალბათ შეეშინდა, ხალხმა არ გაიგოსო და გინებითა და მუქარით თავი გამანებაო“.

სამართლის საძიებლად ერობის თავმჯდომარესთან მისულა, მასაც დაეკვებით უკითხავს: რა ვიცით, ვინა ხარ, იქნებ ძმისაგან არ ხარ გამოგზავნილი... გამოგზავნოს შენმა ძმამ თბილისიდან დეპეშა და ღალას აგიკრეფავთო. ძმის ძმის გამოგზავნილი უწყება „ენდო“ ერობის თავმჯდომარე - „იქნებ ამ დეპეშას სხვა იწერება“. დაღონებულ ქალს თბილისში დაბრუნება გადაუწყვეტია და ამ დროს ქუჩაში ორი ნაცნობის საუბრისთვის მოუკრავს ყური: „ერთი მეორეს ეუბნებოდა: ჩემი დაჭერილი ძმა როგორც იყო გავანთავისუფლეო. რანაირადაო? ჰკითხა მეორემ. ერობის თავმჯდომარეს ორასი თუმანი მივეცი და გაანთავისუფლაო, მერე მე მომიბრუნდნენ და მკითხეს: შენი საქმისა რა ჰქენიო. მე ვუპასუხე: რა ვქნა, მე ორასი თუმანი არა მქონდა; ვერ მივეცი და ამიტომ ჩემი საჩივარი არ მიიღო მეთქი“. მისი ნათქვამი თავმჯდომარეს გაუგია და დაუტასულებიათ. ქალის ნაამბობით ახალგორის მაშინდელი სატუსაღო ორი ოთახისგან შედგებოდა: „ერთ ოთახში ვიღაცა დატუსაღებული კაცი იჯდა, მეორე ოთახში მილიციონერები იდგნენ. მილიციონერებმა მითხრეს: მეტი ჯანი არ არის, ამ ღამეს აქ ჩვენ ოთახში უნდა იყოვო. მერე თქვენ სადღა წახვალთ მეთ-

7 მიწით სარგებლობის გადასახადი

ქი... მილიციონერები წავიდნენ, დავრჩი მარტოდ ბნელაში, კარები ჩავკეტე, ტახტზე ჩამოვჯექ და ტირილი დავიწყე“. შუალამისას მთვრალი მილიციელი დასდგომია თავს: „მილიციონერი ვარ, კარები გააღეო... გულის კანკალით კარები გა(ვ)უღე და უკან გამობრუნება ვეღარ მოვასწარი, რომ მეცა და იატაკზე წამაქცია. საშინელი ყვირილი მოვრთე: მიშველეთ, ვინა ხართ მეთქი ქრისტიანი! ყვირილზე შემოცვინდა ოთახში ორი მილიციონერი, მთვრალი გახეთქილი ამხანაგი გულიდან ამგლიჯეს და კარში გაათრიეს. პატარა ხანს უკან, არ გასულა ერთი საათი, ოთახში შემოვიდა ერთი მილიციონერთაგანი და მითხრა: ჩემო დაო, შენი ამ ოთახში ყოფნა შეუძლებელია, ჩვენი ამხანაგი მთვრალია, კიდევ შემოგეჭრება, როგორც ძმა ისე გეუბნები, წამომყევი და ისეთ ადგილას მიგიყვან, სადაც ვერავინ ვერ მოგაგნებსო. ამ სიტყვებით გამიძღვა წინ და კარში გამოვედით, პატარა ხანს უკან ამ მილიციონერმა მიმიყვანა ორსართულიან შენობასთან, ძირის სართული ცარიელი ოთახი იყო საცხე ნაგავითა და ნეხვითა. შემინებულმა ვუთხარი, აბა, ამ ოთახში როგორ გავათიო მეთქი ღამე და გამობრუნება დავაპირე, მაგრამ დამტაცა ხელი, შემათრია ოთახში და დამიწყო ბლადუნნი. აქ კი ვეღარც ჩემმა მუდარამ გასჭრა და ვეღარც ყვირილმა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა მცემდა თავში და პირში, ცხვირიდან, ყურებიდან და პირიდან სისხლი თქრიალით გადმომდიოდა<sup>8</sup>... ჩვენმა ბრძოლამ დიდხანს გასტანა, ბოლოს გული შემიწუხდა და ასე გულშეწუხებული გათენებამდის ვეგდე. გათენებისას ძალზე ნაცემმა და სისხლ დაცლილმა, როგორც იყო, ფორთხვით, გარედ გამოვცოცდი, იქვე ქალაქის საავადმყოფოს შენობა დავინახე, მივცოცდი, მაგრამ კიბეზე ვეღარ ავედი და ისევ გული შემიწუხდა. გონს მოვედი მხოლოდ საავადმყოფოში. ადგილობრივ ფერშალს დავენახე, ავეწიე და შიგნით შევეყვანე“.

ვერც ამ ტრაგიკულმა ამბავმა შეაშფოთა ერობის თავმჯდომარე: „ეგ გაფუჭებული ქალია, ქალაქში საროსკიბოში იყო, რა ყურადღებას აქცევთო“. საპასუხოდ ექიმს განუცხადებია: „ქალწული ყოფილა და მილიციონერს წუხელი(ს) გაუ(უ)პატიურებიაო“. ექიმის განცხადებას მტარვალეები ჩაუფიქრებია, მაგრამ ქალის ტანჯვა-წამება არც ამით დამთავრებულა.

„ამ საქმეს უმაღლეს მთავრობას ვაცნობებთო“ - აღშფოთებულა ექიმი, მაგრამ ისიც შეუშინებიათ და ჩაუჩუმებიათ.

სვეგამწარებულ ქალს შიშით ოთახსაც აღარავინ აქირავებდა. ბოლოს ერთ მოხუცებულ ქალს შეუკედლებია. ერთი თვე ლოგინში გაუტარებია, რა დროსაც ერობის თავმჯდომარე და კომისარი ხან მოკვლით ემუქრებოდნენ თურმე, ხან ქრთამის შეძლევიტ, რაც იყო, იყო, ნუ გვიჩივლებო. ჯერ 3000 მანეთი შეუძლევიტათ, მერე - 5000 და ბოლოს 20 000

8 წერილის ავტორის ცნობით, ქალის „მთლად შესისხლიანებული ტანსაცმელი“ იმჟამად გამომძიებელთან ინახებოდა.

მანეთამდე ასულან. ადგილობრივ მღვდელსაც კი უკისრია მაშვლობა: „მართალია ქალწული ყოფილხარ, მაგრამ ეგ ვინ იცოდა, რაც მოხდა, უნდა აპატივო, ფულები მიიღე და ნუ იჩივლებო“. ქალი სიკვდილს მთელი თვის განმავლობაში ყოველდამე ელოდებოდა, სიცოცხლეც აღარ უნდოდა, ან რაღად მინდა თავი ცოცხალიო, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიდა, არ ნებდებოდა, ცდილობდა ქალაქში გაპარულიყო, მაგრამ ყველგან გზები ჰქონდა შეკრული, ისიც იცოდა, რომ გაპარულიყო, გზაში მოკლავდნენ. იმ დროს მომრიგებელი მოსამართლე ასულა ახალგორში, დაუჩოქია ქალს, მოუყოლია თავისი უბედურება, თბილისში წაყვანა უთხოვია, მაგრამ ისიც ისიც შეშინებულა და უარი უთქვამს. „ვიყავი ამ შიშში და გაჭირვებაში. ბოლოს, ერთი ჩემი ნაცნობი ქალი მოდიოდა ტფილისში, დავსწერე წერილი და ამ ქალს გამოვატანე ერთ ჩემ ნაცნობ ქალთან, რომლის ქმარს დიდი თანამდებობა უჭირავს და რომელთანაც ხშირად საკერავზე ვმუშაობ. ამ ქალისა და მისი ქმრის მადლობელი უნდა ვიყო, რომ დღეს მე ცოცხალი ვარ და ჩემი მტარვალეები პასუხის გებაში მიცემული“ - საბრალო ქალის ამ მონათხრობით ამთავრებს ავტორი საგაზეთო წერილს, რომელსაც თურმე ორი თვის მერეც სახეზე ემჩნეოდა მილიციელის მუშტების კვალი და თვალებიდან ჯერაც არ გაჰქრობოდა განცდილი უზომო შიში (მოხუცი: 1920: 3-4).

წერილს შემდგომში განვითარებულ მოვლენების ამსახველი მინაწერი ახლავს: „ამ ქალის ასე უბრალოდ და მარტივად ნაამბობ თავგადასავალს საჭიროდა ვს(ვ)თვლი დავუმატო ზოგიერთი დამახასიათებელი წვრილმანი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ სასტიკი ზომები მიიღო და ამ ჟამად საქმეს იძიებენ.“

დაატუსაღეს ერობის თავმჯდომარე, კომისარი და ორი მილიციონერი, მაგრამ გამომძიებელმა თავმჯდომარე და კომისარი თავდებობის ქვეშ გაანთავისუფლა. თავი და თავი დამნაშავე მილიციონერი დაჭერის შემდეგ გაიქცა და დღესაც ვერ უპოვნიათ, თუმცა, როგორც ამბობენ, გაქცევის დროს ტყვიით დაუჭრიათ.

ხოლო გამომძიებმა ჯერ-ჯერობით ასეთ ცნობებს გვამღევეს. მილიციონერებმა გამომძიებელს განუცხადეს, ერობის თავმჯდომარემ და კომისარმა გვითხრეს: ეგ, გაფუჭებული ქალია, წაიყვანეთ და რაც გინდა ის უყავით! ამას გარდა თავმჯდომარის მეუღლემ განაცხადა: დამე მაგ ქალის წივილ კივილი შემომესმა, ქმარი გავაღვიძე და ეს გარემოება ვუთხარიო. ქმარმა მიპასუხა: მაგისთვის ეგ კიდევ ცოტა არისო! გამომძიებამ აგრეთვე აღმოაჩინა, რომ დუშეთის სამაზრო ერობა საქმის გამომქვადენებამდე რამდენჯერმე შეეკითხა თურმე ახალგორის ერობას: რა ჰქენით? მაგ ქალის საქმე მოაგვარეთ, თუ არაო!!“ (მოხუცი: 1920: 3-4).

სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავსო - ბრძანებდა დიდი ილია, არც ახალგორელთა შემთხვევაში დაუკარგავს. ყველა დამნაშავე იქნა მხილებული, გამოაშკარავებული, ვინ როგორ დაისაჯა, ეს სხვა საკითხია...

საგულისხმოა და დამაფიქრებელი მინაწერის დასკვნითი ნაწილი: „სამი წელიწადია დამოუკიდებლად ვმართავთ ჩვენს სახელმწიფოს და მგონია, დროა ჩავხვდეთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საზომი და სასწორი ჩვენ არ გამოგვადგება. დროა, ჩავხვდეთ, რომ ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეები, რაც უფრო დაშორებულია ჩვენს კულტურულ ცენტრებს, მით უფრო ველურია და გაუნათლებელი. დროა აგრეთვე ჩავხვდეთ, რომ ჩვენ ჯერ-ჯერობით მოუწყობელნი ვართ და არა გვყავს იმდენი მომზადებული პიროვნებანი, რომელთა მეოხებით შესაძლებელია სახელმწიფო კარგი აპარატის შექმნა. დროა, ლამაზ თეორიებს თავი გავანებოთ და სინამდვილეს მივუბრუნდეთ“ (მოხუცი: 1920: 3-4).

ავტორის სამართლიანი შენიშვნით, ახალგორში ჩვენთვის უცნობი ქალის მიმართ მოწყობილი „ინკვიზიცია“ არც პირველი შემთხვევა იყო და არც ბოლო იქნებოდა, ბევრი სისამაგლე ხდება ყველგან, მაგრამ ჩვენამდე არ აღწევს... მძიმე დროების აღსაქმელად კი ესეც კმარა, რამაც ჩვენამდე მოაღწია.

საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, კავკასიის მთებიდან ქართლში გადმოსასვლელ გზებს ეხება 1918 წლის 5 ივნისს „საქართველოს“ ა. ლ.-ს ფსევდონიმით გამოქვეყნებული პუბლიკაცია, რომლის დასაწყისშიც აღნიშნულია, რომ ოსები საქართველოში ცხოვრობენ იმ მიწაზე, რომელიც „ძველის ძველი დროიდან ქართველების საკუთრებას შეადგენდა“. ჩრდილო კავკასიასთან დამაკავშირებელი გზები მთების სიმაღლის მიუხედავად, რთული გადასალახი არ ყოფილა, მათი დიდი ნაწილი მგზავრს ცხენით უნდა გაეველო.

ავტორის მითითებით, საგაზეთო პუბლიკაციას მხოლოდ აღწერითი ხასიათი არ ჰქონდა, მისი მიზანი იყო ხელისუფლებასაც და საზოგადოებასაც ჯეროვანი ყურადღება მიექცია ჩრდილოეთიდან მოსალოდნელი საფრთხისათვის: „ამ წერილით მინდა გავაცნო ჩვენს მკითხველებს ეს გადმოსავალი გზები და ყურადღება მივაქციო, როგორც საზოგადოებისა, ისე მთავრობისა, რომ ჩრდილოეთიდან მოსალოდნელ საფრთხის თავიდან ასაშორებლად ამ გადმოსასვლელ გზებს საჭიროა გამაგრება და დარაჯი, თორემ, ვინ იცის, იქნებ ყასიდად დარიალის ხეობიდან მოდიან ჩვენი ქვეყნის მტრები და ნამდვილად კი ამ ქვემო ჩამოთვლილს გზებიდან შემოგვეპარნენ. მე დარწმუნებული ვარ რომ ჩვენი ქვეყნის სტრატეგები უეჭველია ამ გზების მცოდნენიც არიან და მათ დაცვას ეპირებიან, მაგრამ მე ამითი გავაფ(რ)თხილებ ყველა ქართველს, რომ ამ გზებისკენ მყოფ მეცხვარეებმაც და ვაჭარ მგზავრებმაც თვალი დაიჭირონ და მთავრობას შეატყობინონ ყოველივე უჩვეულო ხალხის მოძრაობა და მიმოსვლა ამ მთის ბილიკი გზებით“ (ა. ლ., 1918: 3).

პუბლიკაციის ავტორი საქართველო-ჩრდილო კავკასიის დამაკავშირებელ ოთხ გზას გამოჰყოფს: მამისონის, ზეკარის, როკოს და ჯომახის, ედისის.

„1) მამისონის გადმოსავალი, ლეთეს თავზე, მერმე ურმის გზა კავკავისკენ, ეს გზა გადმოდის ზამთორეთზე, ნაკრეფაზე, ჩასავალზე (რაჭაში), მერე უწერაზე ურმის გზაა, კავკავისკენ დარკოხზე მიდის.

2) ზეკარისა. ს. ქეშელთაში ჩამოდის ზრუგუსა და ნარის ხეობიდგან (პირიქითა ოსეთი). ცხენებით გადმოდინა“.<sup>9</sup>

პუბლიკაციაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა როკისა და ჯომალის გზას, რომელიც როკიდან ჯერ ნარაში, შემდეგ კი სალუგვერდანაში გადადიოდა, ამ გზით სამხრეთელი ოსები პირდაპირ კავშირს ამყარებდნენ ჩრდილოეთელებთან და ამიტომაც ხელისუფლებისგან რკინიგზის გაყვანას ითხოვდნენ:

„3) როკისა და ჯომალის გზა ცხენისა, როკიდან გადადის ნარაში, იქიდან სალუგვერდანაში მიდის. ამ გზას პირდაპირი კავშირი აქვს ჩრდილოეთელ ოსებთან და თვით სამხრეთელ ოსების მთავარი ყურადღება ამ გასავალ გზასა აქვს მიქცეული. ჩვენებურმა ოსებმა მრავალჯერ სთხოვეს ძველ მთავრობას ამ გზაზე რკინის გზის გაკეთება და პროექტიც იყო, (ფურცელის). მაგრამ ვერ მოხერხდა; შარშან კი გამოკვლევა მოახდინეს საურმე გზისა, უკვე შეიმუშავეს გეგმა, და მიმდინარე წლის მაისში უკვე უნდა ემუშავნათ ამ დაგეგმილ გზაზე, მუშაობა უნდა დაეწყოთ ჯომალადგან როკის მიმართულებით, და შეერთებინათ სალუგრდნისკენ მიმავალ საურმე გზისთვის, ვითომდა ჭირნახულის გამოსაზიდად. როგორც ხმა მოდის, მუშაობა უკვე დიდის ხალისით მიდის, და ვითომ 3 მილიონი ფულიც უშოვნიათ ამ გზის ჩქარა გასაყვანად. შეიძლება ეს ჭორიც იყოს, რადგან არა მგონია, რომ ამ გვარი სტრატეგიულის მნიშვნელობის გზების გაყვანა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის ნებადაურთველად მოხდეს, ყველა ვიგინდარას ალაყაფის კარები გაუღოს შუა საქართველოში შემოსასვლელად და სათარეშოთ“.

თბილისისა და ჩრდილო კავკასიის დამაკავშირებელ საუღელტეხილო რკინიგზაზე გაზეთ „საქართველოს“ 1916 წლის 28 სექტემბრის ნომერშიც იყო საუბარი; ვრცელ წერილში მიმოხილულია იდეა, რომელიც, გაზეთის ცნობით, ჯერ კიდევ 1856 წელს გასჩენია მეფის ნაცვალს<sup>10</sup>, რუსეთ-ოსმალეთის ომმა კი რკინიგზის საკითხი კიდევ უფ-

9 ავტორის მინიშნებით, ზრუგუს ხეობას მაჩაბლები ეპატრონებოდნენ.

10 1854-1856 წლებში კავკასიის მეფისნაცვალი ნიკოლოზ მურავიოვი იყო, 1856-1862 წლებში - ალექსანდრე ბარიატინსკი, რომელიც გახლდათ ასევე კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის მთავარსარდალი და სათავეში ედგა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის მთიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობას, მისი სტრატეგიული გეგმით, მთიელთა დასახლებების დროდადრო დალაშქვრის მაგივრად, თანდათან უნდა დამკვიდრებულყვნენ დაპყრობილ ტერიტორიაზე. იგი ხელმძღვანელობდა საქართველოში საგლეხო რეფორმის მოსამზადებელ პერიოდს. ასევე მისი გეგმით გახდა შესაძლებელი 1859 წლის 25 აგვისტოს აულ ლუნიზში იმამად აღიარებული კავკასიის მთიელ ხალხთა მეთაურის, ხუნძი პოლიტიკური და რელიგიური მეთაურის შამილის წინააღმდეგობის გატეხვა და დატყვევება.

რო აქტუალური გახდა: „საქართველო და მთელი ამიერკავკასია რომ მჭიდროდ გარდაეჭედოს რუსეთს სტრატეგიულად, ეკონომიურად და საზოგადოდ პოლიტიკურად, - ამისათვის აუცილებელია კავკასიის ქედზე რკინის გზის გაყვანა... ბაქოს მაგისტრალი, როგორც დაამტკიცა მიმდინარე ომმა, მეტის-მეტი გრძელია და შორი, რუსეთის ქალაქებიდან თბილისში მოსასვლელად; ბაქო-თბილისის რკინის გზა ვერ უძლებს რუსის ჯარის ფართო ოპერაციებისათვის საჭირო სამხედრო მასალის და სურსათის გადატან-გადმოტანას და ამით კრიზისს იწვევს მთელი მხარის ცხოვრებაში. ამიტომაც მეფის ნაცვლის ბრძანებით საჩქაროდ დაიწყო სამზადისი საუღელტეხილო გზის გაყვანისათვის; გროვა ინჟინრებისა მისეულია ამ ჟამად ამ გზის ლიანდაგის ხელსაყრელ მიმართულების გამოსაკვლევად“ (საქართველო, 1916: 1).

კონცესია ინჟინერ კუჩინსკის ჰქონია აღებული, მასში სხვადასხვა დაწესებულებები და პირები მონაწილეობდნენ, მათ შორის „კავკაველები (ვლადიკავკაზელები) ჩვენი ცნობილ(ი) თანამემამულე თ-დ ი. მ. ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით“.

საუღელტეხილო გზა, რომელიც გენერალ კუჩინსკის პროექტით გაჰყავდათ, ქვენამთის უღელტეხილს გაივლიდა და ვლადიკავკაზს თბილისთან დააკავშირებდა: „მუშაობა უნდა დასრულდეს 1917-1922 წლამდის. საუღელტეხილო გზა ელექტრონული იქნება, და ამიტომ არ მოითხოვს დიდ ტონელების გაყვანას (უწინდელი პროექტი ინჟ. ვურცელის მიერ შედგენილი გულისხმობდა 23 ვერსიან „არხოტის“ გვირაბს, რაც 120 მილიონ მანეთ ხარჯს და 15 წლის მუშაობას მოითხოვდა გზის დასრულებისთვის). კუჩინსკის პროექტით, ლიანდაგი გაჰყვება საქართველოს სამხედრო გზას, თერგის და არაგვის გასწვრივ, საიდანაც ამოიღებენ საჭირო ელექტრონის ძალას“ (საქართველო, 1916: 1). როგორც ვხედავთ, რკინიგზის პროექტი რუსეთის ხელისუფლებას 1918 წლამდე ანუ დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე ჰქონია გეგმაში, ამ ფაქტს „საქართველო“ ყოველთვის საგანგებო ყურადღებას უთმობდა და იმედოვნებდა, რომ ამგვარი სტრატეგიული მნიშვნელობის გზების გაყვანა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის ნებადაურთველად არ მოხდებოდა...

არანაკლებ საყურადღებო იყო „ედისის გადასავალი“: „ამ გზით ამ თხუთმეტი წლის წინათ გრაფინია უვაროვისა გადმოვიდა პატარა ეტლით, რომელიც ალაგ-ალაგ დაეშალათ და ისე ხელით გადმოეტანათ, ამ გზით ხეების ძელებს სარებით გადიტანენ ხოლმე პირიქითოსებისგან. ეს გზა უერთდება სადგურ კობს, - სამხედრო გზაზე. ამ გზით გადმოვიდა ამ ასი წლის წინად რუსების ცხენოსანი რაზმი ზარბაზნებით, რომელიც შემთხვევით ყინულ გადაკრულ ყელის ტბაში დაიღუპა. მგონი მათის თვე იყო, ჯერ ისევ ყინულგადაკრული ტბა თოვლით იყო დაფარული. გზის მაჩვენებელი მოსტყუვდა, ზედ შეაყენა რაზმი, ყინული ჩაიმტვრა და დაიღუპა“.

როცა საქართველო-ჩრდილო კავკასიის დამაკავშირებელ გზებზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია გავიხსენოთ ის ძირითადი გადმოსასვლელები, რომლებიც ქართველ ხალხს მეზობლებთან აკავშირებდა: დარიალის გზა, დვალეთის გზა, თაკვერის გზა, აფხაზეთის გზა... თითოეულ მათგანს ქართული სახელმწიფოსთვის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, გარდა ამისა, იყო არაერთი გზა-ბილიკი, რომლებზეც პროფესორი გიორგი თოგოშვილი საქართველო-ოსეთის საერთო საზღვარსა და დამაკავშირებელ გზებზე საუბრისას ვრცლად ამახვილებს ყურადღებას (თოგოშვილი, 1968: 23-35).

რაც შეეხება, საგაზეთო სტატიაში მოხსენიებულ ყელის ტბას; იგი მდებარეობს ახალგორის მუნიციპალიტეტში, ყელის ვულკანურ ზეგანზე, ზღვის დონიდან დაშორებულია 2914 მეტრით, სარკის ფართობი 1, 28, აუზის ფართობი - 9, 9 კვ.კმ.-ს შეადგენს. ტბის სიგრძე - 2731, სიგანე - 1216, ხოლო მაქიმალური სიღრმე 63 მეტრია. წელიწადის უმეტესი ნაწილი (7-8 თვე) ყინულითაა დაფარული. ტბაში თევზი არ ბინადრობს. საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლებით (მარუაშვილი, 1964: 64; Апхазова И. С. 1973: 144-154; Динник Н. Я. 1883; Ефремов Ю. В. 1984: 112). ქსნის ხეობის მკვლევარის, ისტორიკოს ვ. ქენქაძის აღწერით „ტბის წყალი მტკნარია, ძლიერ ცივი, სასიამოვნო გემოსი და ზურმუხტის ფერისაა... ტბის შემოგარენი და მდინარე ქსნის სათავეები საუკუნეების განმავლობაში ქსნის ხეობელთა ცხვარ-ბატკნის საუკეთესო და ყუათიან სამოვრებადაა მიჩნეული“ (ქენქაძე, 2008: 53). ქსნის ხეობელი ისტორიკოსის სიტყვებს ეხმიანება გაზეთ „საქართველოში გამოქვეყნებული პუბლიკაციის პროლოგი: „უწინ ამ, გზების დარაჯათ ქართველი მოსახლეობა ყოფილა, ახლა კი იქ ქართველი აღარავინ სცხოვრობს, გარდა მეცხვარეებისა, რომლებსაც ორი თვის განმავლობაში აქ ცხვარი უყენიათ“ (ა. ლ., 1918: 3).

არაერთი საინტერესო თქმულება შემოგვინახა ქართულმა ფოლკლორმა, მათ შორის ყელის ტბასთან დაკავშირებული. ქსნური ზეპირსიტყვიერების მიხედვით, ყელის ტბის მიდამოებში უცხოვრია ერთ მეცხვარეს, რომელიც ნაყოფიერ ალპურ სამოვრებს ცხვრის გამოსაკვებად იყენებდა. ერთი ნაკლი ჰქონია ძველად ამ ადგილს - უწყლოობა. დაუკრავს წერაქვი მწყემსს და წყალს ჯერ ჟონვა დაუწყია, მერე მძლავრად ამოხეთქილა. შემფოთებულ მეცხვარეს წყლის შესაკვებლად სიპის ქვა დაუდვია. საჭიროების შემთხვევაში აიღებდა სიპს, ცხვარს წყალს დააღვინებდა და ისევ დააფარებდა.

ერთ დღესაც, მოუცლელობის გამო კაცს ცოლი გაუგზავნია სამწყემსურში. დავიწყნია ქალს ჭისტვის სიპის დაფარება. „გათენდა მეორე დილა და ჰოი საკვირველება... ღამით იმდენი ედინა წყალს, რომ მთელი ის უზარმაზარი ტაფობი... დაეფარა, მათა შუა ყელი მოენახა

და ეწყო დენა. ყორის ქვით ნაგები ბაკები<sup>11</sup> აღარსად ჩანდნენ. ცხვარს კი საშიშროებისთვის თავი დაეღწია და ნოტო-ნოტო დაქსაქსულნი, მაღალი მთის ფერდობებზე გაჩერებულიყვნენ“ (ქენქაძე, 2008: 52-53). ასე გაჩენილა ყელის ტბა, საიდანაც იწყება ქსნის ხეობა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. ლ., ქართლში გადმოსავალი გზები კავკას(იის) მთებზე, გაზეთი „საქართველო“, №109, თიბათვის 5, 1918.
2. ანტონისძე, ს. ახალგორი (დუშეთის მაზრა), გაზეთი „ცნობის ფურცელი“, №1555, 17 აგვისტო, 1901.
3. ახალგორელი, ახალ-გორი (დუშეთის მაზრა), „ივერია“, №127, 15 ივნისი, 1900.
4. ახალგორი (დუშეთის მაზრა), გაზეთი „ივერია“, №238, 17 ოქტომბერი, 1904.
5. ახლოური დ., მკითხაობა აისორულად, „საქართველოს რესპუბლიკა“, №148 (9979), 5 ნოემბერი, 2025 (ა).
6. ახლოური დ., ქსნის ხეობა გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალი „მაცნე“, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების სერია, №2, 2025 (ბ).
7. ახლოური დ., ქსნის ხეობა გაზეთ „დროების“ ფურცლებზე, ფილოლოგიური კვლევები, № XI, 2025 (გ).
8. ახლოური დ., პირველი სკოლა ახალგორში, „საქართველოს რესპუბლიკა“, №125-126 (9951-9952), 12 სექტემბერი, 2025 (დ).
9. ახლოური დ., XX საუკუნის ქართული პრესა და ქსნის ხეობა („ცნობის ფურცელი“, „კვალი“, „მოგზაური“ „მიწა“, „ისარი“), ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის ჟურნალი „ანალები“, №21, 2026.
10. გარიშვილი ხ., ქსნის ხეობა, გაზეთი „ივერია“, №88, 13 აპრილი, 1904.
11. გლახა ხუცესი, ს. ახალგორი (დუშეთის მაზრა), გაზეთი „ცნობის ფურცელი“, №1555, 17 აგვისტო, 1901.
12. მარუაშვილი ლ., საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 1964.
13. მოხუცი, ახალგორის ინკვიზიცია, „საქართველო“, №152, გიორგობისთვის 19, 1920.
14. საულელტეხილო გზა, გაზეთი „საქართველო“, №215, 28 ენკენისთვე, 1916.
15. სოსო, სოფელი ახალგორი (ქსნის ხეობა), გაზეთი „საქართველო“, №206, 17 ენკენისთვე, 1916.
16. სოფელ ახალგორიდან, გაზეთი „დროება“, №184, 6 ენკენისთვე, 1879.
17. ქართლელი, ბრძოლა ბოლშევიკებთან, გაზეთი „საქართველო“, №109, თიბათვის 5, 1918.
18. ქართლიდან გვწერენ, გაზეთი „დროება“, №186, 4 სექტემბერი, 1880.
19. ქართლიდან, გაზეთი „ივერია“, №195, 11 სექტემბერი, 1886.
20. ქენქაძე ვ., ქსნური ზეპირსიტყვიერების ქარაგოზი, თბ., 2008.
21. ქენქაძე ვ., ქსნის ერისთავების საქართველო, თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი“, 2016.

11 ცხვრის სადგომი.

22. ქსნელი, ქსნის-ხეობა (დუშეთის მაზრა), „ივერია“, №240, 9 ნოემბერი, 1902.
23. ქსნელი მ., ქსნის ხეობა (დუშეთის მაზრა), „საქართველო“, №208, 20 ენკენისთვე, 1916 წელი.
24. ქსნელი მ., ქსნის ხეობა დუშეთის მაზრა, გაზეთი „საქართველო“, №233, 20 ღვინობისთვე, 1916.
25. ქსნის ხეობა, გაზეთი „დროება“, №184, 6 სექტემბერი, 1879.
26. ქსნის ხეობა, გაზეთი „დროება“, №186, 4 სექტემბერი, 1880.
27. ქსნის ხეობა, გაზეთი „დროება“, №47, 1 მარტი, 1884.
28. ძმუისელი, ქსნის-ხეობა, გაზეთი „ივერია“, №156, 27 ივლისი, 1888.
29. ძმუისელი, წერილი ქსნის ხეობიდან, „ივერია“, №30, 10 თებერვალი, 1898.
30. ჭავჭავაძე ი., რჩეული თხზულებანი, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1984.
31. Апхазова И. С. Озера Кельского вулканического нагорья. Физико-географические исследования Грузии. Тбилиси. Мецниереба, 1973.
32. Динник Н. Я. Озеро Кель и его окрестности. Материалы для описания местности и племен Кавказа. Тифлис, 1883.
33. Ефремов Ю. В. Горные озера Западного Кавказа. Л., Гидрометеиздат, 1984.

DAVIT AKHLOURI

## THE KSANI GORGE IN THE PAGES OF THE NEWSPAPER “SAKARTVELO”

### Summary

The Ksani Gorge is one of the most picturesque regions of Georgia. Owing to its rich historical past, architectural monuments, archaeological findings, unique treasures preserved in churches and monasteries, and its distinctive ethnographic way of life, the region frequently attracted the attention of the Georgian press of the nineteenth and twentieth centuries.

The present study analyzes materials related to the Ksani Gorge published in the daily political, economic, and literary newspaper Sakartvelo, which was affiliated with the National Democratic Party. The newspaper was issued between 1915 and 1921, and the articles published on its pages constitute unique primary sources on the villages of the Akhlagori area in the first half of the twentieth century.

These publications provide valuable insights into the political, economic, and social conditions of the region, the relations between former serfs and peasants and petty traders, as well as religious and ethnographic practices. Education was regarded as the principal means of achieving success in life and escaping oppression. The articles reveal how various social groups of the time—particularly merchants and petty traders—took advantage of the widespread illiteracy of the population; consequently, special emphasis was placed on the urgent need to establish schools.

The extensive publication entitled “The Akhgori Inquisition” openly exposes the details of a tragic incident that occurred in Akhgori involving a woman who had gone to collect firewood. The law was violated by all parties involved, from the chairman of the local council to law enforcement officials, thereby contributing to the prevalence of complete lawlessness. Regrettably, powerful figures of the time even exploited certain members of the clergy in an attempt to conceal the crimes committed.

A number of articles are devoted to Georgian–Ossetian relations, the roads connecting Georgia with the North Caucasus, and the threats perceived as originating from Ossetian groups.

Ideologically, Sakartvelo was an opposition newspaper. It maintained a clearly articulated anti-Bolshevik as well as anti-Menshevik stance, which is evident from its journalistic writings. The authors of the published articles generally wrote under pseudonyms, a practice that enabled them to portray openly the pressing problems and social vices of the period.

Above all, the central pathos of the articles dedicated to the Ksani Gorge lies in their concern for improving the social conditions of the peasantry.

## სოსო სიგუა

### დიდთა საქმეთა საკეთებლად

გამომცემლობა „არტანუჯმა“ წელს გამოსცა აკადემიკოს როინ მეტრეველის ახალი წიგნი - „განათლება-გზა წარმატებისა“. იგი გვიჩვენებს დღევანდელი დღეების განათლების რეფორმების წინაისტორიას, განათლებისა და პოლიტიკის ურთიერთობას, თსუ-ს ჩართვას საერთაშორისო სისტემაში. როინ მეტრეველი ამ პროცესის ერთ-ერთი წარმართველი თავად იყო. ამიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა მის სიტყვას, განსჯას, დაკვირვებას, შეხვედრებს, გამოსვლებს.

წიგნი მემუარულ-პუბლიცისტური ფორმით არის დაწერილი. იგი გვაცნობს ავტორის გარეგნულად მშვიდ, შინაგანად კი დრამატულ ცხოვრებას. ავტორი ფაქტებით მსჯელობს და თითქმის პირადი ემოციებისთვის ადგილს არ ტოვებს. მაგრამ მის მიღმა იგულისხმება სტრესული სიტუაციები, პოლიტიკურ პროცესებში ლავირება, კომპრომისები უმთავრესის გადასარჩენად. ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ როგორი სამნელო იქნებოდა ხელმძღვანელობა, სამეცნიერო მუშაობა, მუდმივი ინტრიგების მოგერიება მერყევი და რევოლუციური პროცესების ფონზე, მათი სინთეზირება.

80-იან წლებში ენციკლოპედიის გამოცემა იყო ერთ-ერთი მთავარი კულტურული მოვლენა, 90-იან წლებში უნივერსიტეტის გადარჩენა და საერთაშორისო კონტაქტების ძიება (მაგ., ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის წევრობა, ბოლონიის „მაგნა კარტას“ ცნობა), ახლა - აკადემიის აღორძინება (რომელიც თითქმის დაშალა მიხეილ სააკაშვილმა).

ყველა ამ პროცესის მოთავე იყო როინ მეტრეველი, რაც საინტერესოდ არის გადმოცემული და ფოტოსურათებით ილუსტრირებული.

დღეს, როცა ლომიას დამანგრეველი ე.წ. რეფორმის შედეგად აუდიტორიები ცარიელია, ლექციებს თითქმის არავინ ესწრება და სტუდენტს ლექტორი აღარ აინტერესებს, კიდევ უფრო აქტუალური ხდება გამოჩენილი მეცნიერისა და მოღვაწის გაფრთხილება:

„კარგად უნდა გავაცნობიეროთ: გადარჩენის გზა ერთია - მოზარდი თაობა, მასზე რეალური ზრუნვა, სწორ გზაზე დაყენება - აი, ერთადერთი იმედი ხვალისა. ორიგინალურს არ ვამბობ, პირიქით, ვიმეორებ მრავალჯერ გამოთქმულს, მაგრამ ვიმეორებ უდიდესი რწმენით: ჩვენს ქვე-

ყანას კრიზისიდან გამოიყვანს და გადაარჩენს ახალგაზრდა თაობის აღზრდა-განათლება. განათლება ერისა და საზოგადოების რეალური გადარჩენის ჭეშმარიტი გზაა. რეალური განათლებისათვის კი აუცილებელია მეცნიერების (სწორედ ეროვნული მეცნიერების) განვითარებაზე ზრუნვა“.

\*\*\*

როინ მეტრეველი სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა გამოჩნდა პოლიტიკურ და სამეცნიერო ასპარეზზე. წიგნში აღნიშნულია, რომ მას 1972 წელს მოუხდა პოლიტიკური კარიერის დატოვება - ედუარდ შევარდნაძე მასში კონკურენტს ხედავდა. ეს მართლაც ასე იყო - 32 წლის როინ მეტრეველი უკვე იყო კომკავშირის ცეკას პირველი მდივანი, პარტიის ცეკას ბიუროს წევრობის კანდიდატი და ერთ-ერთი მთავარი განყოფილების ხელმძღვანელი. მის ნიჭიერებას, ცოდნას, ორგანიზაციულ უნარს აფასებდა რესპუბლიკის პირველი პირი ვასილ მჟავანაძე, აფასებდა და ხელს უწყობდა პარტიულ სისტემაში წინსვლისათვის.

როინ მეტრეველს იცნობდა ბრეჟნევი. ამიტომ დაუშვებლად მიაჩნდა მისი ყოფნა პარტიულ იერარქიაში.

ეტყობა, ედუარდ შევარდნაძეს ეჭვი მაინც არ ასვენებდა და წლების განმავლობაში უნდობლად და კრიტიკულად უყურებდა როინ მეტრეველის მოღვაწეობას, როგორც ეს წიგნშია ნაჩვენები, ხან რა ბრალდებას წაუყენებდა, ხან - რას.

ამის შედეგი იყო ის, რომ აიძულებდნენ თვითკრიტიკით გამოსულიყო, ხელს უშლიდნენ სადოქტორო დისერტაციის დაცვაში. მაგრამ, როგორც გვეუბნება ავტორი, საბჭომ უჩვეულო სიმტკიცე გამოიჩინა და ყველა წევრმა ხმა მისცა ახალგაზრდა დისერტანტს, ე.ი. საზოგადოება არ იზიარებდა შევარდნაძის სუბიექტურ პოზიციას.

ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო ასეთი ფაქტი:

1974 წელს, როცა როინ მეტრეველი ოფიციალურად ახალგაზრდა იყო, მზადდებოდა ჟურნალ „განთიადის“ პირველი ნომრები. რედაქტორმა გურამ ფანჯიკიძემ მითხრა, გრიგოლთან შევიდეთო.

გურამმა გააცნო გრიგოლ აბაშიძეს რამდენიმე მასალა და შემდეგ უთხრა, როინ მეტრეველის წერილი გვაქვს და როგორ მოვიქცეთო.

ბატონმა გრიგოლმა უყოყმანოდ თქვა:

- როინ მეტრეველი მაინც როინ მეტრეველია!

წერილი დაიბეჭდა.

წიგნი მრავალ საგულისხმო, საზოგადოებისათვის უცნობ ფაქტს გვაცნობს. ერთ-ერთი ასეთია პერესტროიკის პერიოდში როინ მეტრეველის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად დანიშვნის საკითხი, რომელიც ყველასთან შეთანხმებული ყოფილა. მაგრამ მოულოდნელად უარი უთხრეს - ჩანს ისევ აშინებდათ მოსკოვში მყოფი მინისტრის ლანდი!

მაგრამ როცა დაბრუნდა შევარდნაძე, შეიცვალა ადამიანებთან ურთიერთობა. მაგ., ჩრდილში მოაქცია შოთა ნიშნიანიძე, დაიახლოვა რეზო ამაშუკელი და ჯანსუღ ჩარკვიანი. როინ მეტრეველსაც გულთბილად ექცეოდა, რადგან უკვე მას მეტოქედ აღარ მიიჩნევდა. ასეთი „ტრანსფორმაციის“ მაგალითად მოტანილია შევარდნაძის წერილიდან ციტატა.

ახალგაზრდისათვის პოლიტიკური სივრცის მოულოდნელი დატოვება, ცხადია, მტკივნეული იქნებოდა. მაგრამ საბოლოოდ ეს კრიზისი მისთვის წარმატების საწინდარი აღმოჩნდა - დიდ საქმეთა საკეთებლად. ამის შემდეგ დაიწერა დიდმნიშვნელოვანი ნაშრომები - „დავით IV აღმაშენებელი“, „მეფე თამარი“, „საქართველო რუსთაველის ეპოქაში“... გახდა უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი, აკადემიის პრეზიდენტი, არაერთი სამეცნიერო პრემიის ლაურეატი, მრავალი სამეცნიერო და პედაგოგიური იდეის რეალიზატორი.

შემდეგ, 90-იან წლებში, მისთვის არაერთხელ შეუთავაზებიათ პოლიტიკაში დაბრუნება. მაგრამ არჩია დარჩენილიყო მეცნიერული კურსის ერთგული. ალბათ გამონაკლისი იყო უზენაესი საბჭოს დეპუტატობა, როცა მან სხვებთან ერთად ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. მაგრამ ეს უფრო იყო ეროვნული მოღვაწეობის ნაწილი და პასუხობდა მის მოქალაქეობრივ და სამეცნიერო კვლევა-ძიების ინტერესებს.

როგორც გვეუბნება წიგნის ავტორი, მან 14 წელი იმუშავა ენციკლოპედიაში მთავარი რედაქტორის, პოეტი-აკადემიკოსის ირაკლი აბაშიძის მოადგილედ. ენციკლოპედიის გამოცემას ყველა მოუთმენლად ელოდა, მაგრამ ის გაჭიანურდა, თურმე ერთხანს იმედიც გადაეწურათ. შევარდნაძეს არც ირაკლი აბაშიძე მოსდიოდა თვალში. საზოგადოების მოლოდინი დიდი იყო. მიუხედავად ობიექტური და სუბიექტური დაბრკოლებებისა, რასაც გვიყვება როინ მეტრეველი, სწორედ მისი მონდომებისა და ორგანიზაციული ძალისხმევის შედეგად გამოვიდა 1975 წელს პირველი ტომი. შემდეგ კი ყოველწლიურად იბეჭდებოდა მორიგი ტომი, თუმცა ცალკეული წინააღმდეგობანი (მაგ., აფხაზ მეცნიერთა და ცეკას მხრიდან) მაინც არსებულა, რაზეც მაშინ საზოგადოებამ არაფერი იცოდა.

ერთ-ერთ ბრალდებად ისიც სახელდება, რომ ტომებში ვრცლად იყვნენ წარმოდგენილი მენშევიკი მოღვაწეები. ენციკლოპედიის მესვეურთა და სტატიის ავტორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მართლაც დაარღვიეს კომუნისტური სტერეოტიპი და მაქსიმალური ობიექტურობით წარმოადგინეს როგორც ცალკეულ მოღვაწეთა ბიოგრაფიები, ისე მათი თვალსაზრისი.

ტომეულებს დიდი გამოხმაურება მოჰყვა, 80 000-იანი ტირაჟიც კი არ აღმოჩნდა საკმარისი. მაგრამ ვისაც ახსოვს, იცის როგორი პრობლემა იყო მაშინ ქალაქი, მითუმეტეს - მაღალი ხარისხისა.

პერესტროიკის პერიოდში როინ მეტრეველს, რამდენიმე კოლეგასთან ერთად, ენციკლოპედიის მაღალი სამეცნიერო და პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემისათვის მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

საინტერესოდ არის გადმოცემული ურთიერთობა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან, როინ მეტრეველის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად დანიშვნა. აქ ჩანს ზვიადის ბუნებაც, ძიების პროცესი, ყოყმანიც და პირდაპირობაც. განსაკუთრებით დასამახსოვრებელია პრეზიდენტის სიტყვები:

„ჩვენ შორის თამრიკო გამსახურდია და შოთა მესხია არიან. ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტის რექტორად თქვენ დაინიშნოთ“. ამის შემდეგ ბატონი როინი დათანხმდა რექტორობას იმ ურთულეს პერიოდში.

როინ მეტრეველის რექტორად დანიშვნას გამოეხმაურა ჩვენი გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ - პირველ გვერდზე დავბეჭდეთ ოთარ მიმინოშვილის წერილი „რექტორი“.

საინტერესოა როინ მეტრეველის მიერ ერთი ფაქტის გახსენება - პუშკინის ინსტიტუტის რექტორად რომ დაენიშნათ, სათანადო გასაუბრება გაუვლია მოსკოვში სსრკ განათლების სამინისტროში და მხოლოდ ამის შემდეგ დაუმტკიცებიათ რექტორად. ამჯერად, ცხადია, ასეთი პროცედურა აღარ იყო საჭირო.

განათლება, ახალი თაობა და ახალი კადრები სახელმწიფოსათვის მუდამ აქტუალური პრობლემა იყო, რათა მათი მეშვეობით განესაზღვრათ ქვეყნის მომავალი. ეს ძიების პროცესსაც გულისხმობს, თუმცა ოპტიმალური ვარიანტი ჯერ არ ჩანს. მაგრამ ამგვარი ძემა, რომელსაც სადღეისოდაც ძირითადად არასპეციალისტები, არაპროფესიონალები წარმართავენ, უფრო ნგრევა გამოდის, ვიდრე აღშენება. ვხედავთ, მინისტრების ცვლას არ მოაქვს შედეგი. ექსპერიმენტები კი გრძელდება, რაც მტკივნეულია საზოგადოებისათვის.

საბჭოთა განათლების სისტემა, რომელზეც ჩვენ აღვიზარდეთ, გერმანული მოდელიდან ამოდიოდა. გერმანული კი ეფუძნებოდა ბერძნულ-ლათინურს. იდეოლოგიური ფაქტორის ჩამოცილებით და ცალკეული კორექტივებით ჩვენ მივიღებდით კლასიკური განათლების სისტემას, როგორც სასკოლო, ისე საუნივერსიტეტო დონეზე. მაგრამ აქ მოქმედებდა ორი ფაქტორი, რომელსაც ვერ გავექვევადით: პირველი იყო გლობალიზაციის პროცესი და მეორე - ქვეყნისათვის განვითარებადის სტატუსის მინიჭება. საბჭოთა კავშირის უეცარი დაშლის შემდეგ კი, ამათთან ერთად, ჩვენ აღმოვჩნდით პრობლემების მთელი სპექტრის პირისპირ, რასაც კიდევ უფრო ამწვავებდა ქვეყნის ხელმძღვანელ პირთა ვოლუნტარიზმი და ეგოცენტრიზმი, ეკონომიკური კრიზისი, შიდა ქაოსი და სეპარატისტული მოძრაობა.

როინ მეტრეველი იხსენებს 20-30-იანი წლების ბოლშევიკ რექტორებს, მათ ტრაგიკულ დასასრულს, უღირს მოპყრობას ივანე ჯავახი-

შვილის მიმართ, იხსენებს პერესტროიკის პერიოდში და შემდეგ რექტორების ხშირ ცვლასაც. დასკვნის სახით კი წერს:

„უნივერსიტეტი პრაქტიკულად განსაზღვრავდა ეროვნულ ორიენტაციას. ამიტომ ხელისუფლება ყოველთვის ცდილობდა თავისი გავლენის ქვეშ მოექცია უნივერსიტეტი და თავად ემართა. ზოგ შემთხვევაში საკმაოდ დიდი „მსხვერპლის“ ფასად ახერხებდნენ ამას. არცერთი ქვეყნის ისტორიაში უმაღლესს არ შეუსრულებია ისეთი მნიშვნელოვანი როლი, როგორც ქართულმა უნივერსიტეტმა შეასრულა ქართველი ერის ისტორიაში“.

როინ მეტრეველი 13 წლის განმავლობაში იყო უნივერსიტეტის რექტორი. ეს იყო უმძიმესი პერიოდი ჩვენს ცხოვრებაში, რაც ყველას კარგად გვახსოვს. მან შეძლო შიდა ქაოსის პირობებში, როცა თითქმის არ იყო შუქი, ხელფასი, გათბობა, შეენარჩუნებინა პროფესურა, სტუდენტთა კონტიგენტი და ნორმალურად წარემართა სასწავლო პროცესი. წიგნში არაერთი ფაქტია მოხმობილი თუ როგორ ყალიბდებოდა კონტაქტები ევროპულ უნივერსიტეტებთან, ეწყობოდა შეხვედრები, კონფერენციები, იბეჭდებოდა წიგნები, იცავდნენ დისერტაციებს, ირჩევდნენ საპატიო დოქტორებად გამოჩენილ უცხოელ მოღვაწეებს და მეცნიერებს. უნივერსიტეტის ეზოში აშენდა დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარი და ა.შ.

ჩემთვის განსაკუთრებით დასამახსოვრებელია კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტის გახსნა, რომლის იდეა ეკუთვნოდა რევაზ მიშველაძეს. ჩვენ ბატონ როინთან მივიტანეთ ფრაქცია „XXI საუკუნის“ წევრების მიმართვა, მაგრამ რადგან ოპოზიციას განვეკუთვნებოდით, დავურთეთ აკადემიკოს თამაზ გამყრელიძისა და განათლების კომიტეტის თავმჯდომარის აკადემიკოს ნოდარ ამაღლობელის ხელმოწერაც (ისინი „მოქალაქეთა კავშირის“ წევრები იყვნენ).

ბატონმა როინმა კაბინეტისათვის გამოყო I კორპუსის II სართულზე, ყოფილი დოსააფის ოთახი, ილიასა და აკაკის კაბინეტების წინ, გაარემონტებინა, ექსპონატები და სკამები ჩვენ მივიტანეთ და 2000 წლის 26 მაისს თავად გახსნა, რომელსაც ესწრებოდა განათლების მინისტრი ალექსანდრე კარტოზია (გახსნის სურათი ჩართულია წიგნში). ედუარდ შევარდნაძემ კობა იმედაშვილის ხელით გამოაგზავნა მისალმება. რექტორის ბრძანებით მე დავინიშნე კაბინეტის მეცნიერ-ხელმძღვანელად.

რამდენიმე წლის შემდეგ მიხეილ სააკაშვილის თანამოაზრე ლომაია და ხუბუამ კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტიც გააუქმეს და დაანგრის, ისევე, როგორც სხვა კაბინეტები, კათედრები და ფაკულტეტები. უნივერსიტეტს ჩამოაცილეს სამეცნიერო ნაწილი და ფაქტობრივად კოლეჯად აქციეს.

წიგნში ეფექტურად, მწერლური დასახსომებელი შტრიხებით არის ნაჩვენები სააკაშვილთან ურთიერთობა, მისი მერყევი, იმპულსური, არასტაბილური ხასიათი.

დღეს ამ კაცს ედავებიან კოსტუმებისა და მასაჟისტების გამო, და არა იმიტომ, რომ უნივერსიტეტი დაატოვებინა ძირითად თანამშრომლებს, რომ დაშალა აკადემია, მხატვართა კავშირი, დაარბია მწერალთა კავშირი, ჟურნალისტთა სასახლე „სამშობლო“, თავისი ავანტიურის გამო ტერიტორიები დააკარგვინა ქვეყანას...

როგორც წიგნშია ნაჩვენები, თურმე სააკაშვილი პრეზიდენტობის შემდეგ თავის ერთ-ერთ შეცდომად მიიჩნევდა, რომ არ გააუქმა მეცნიერებათა აკადემია!

უნივერსიტეტის პროფესურა რომ იოლად მოეშორებინათ და მისი ღირსება შეელახათ, როინ მეტრეველი ისევე აიძულეს დაეტოვებინა უნივერსიტეტის რექტორის პოსტი, როგორც ძველ დროში მოხდა ივანე ჯავახიშვილის მიმართ, თუმცა ჰქონდა საყოველთაო მხარდაჭერა...

მაშინ კომკავშირელები აქტიურობდნენ, ახლა - კმარელები. ორივენი კი ხელისუფლების ანტიეროვნულ დავალებას ასრულებდნენ.

ბატონ როინ მეტრეველის წიგნი „განათლება - გზა წარმატებისა“ შუქს ჰფენს ჩვენი ისტორიის მრავალ რთულ და უცნობ საკითხს, აღძრავს მრავალ საფიქრალს, გვიჩვენებს თუ რა ძნელია დიდ საქმეთა აღსრულება და გვინერგავს რწმენას, რომ „სახელმწიფო პოლიტიკის წარმატების გარანტი შეიძლება გახდეს მეცნიერებისა და განათლების პრიორიტეტულობა“.

## SOSO SIGUA

### A MAN OF GREAT DEEDS

#### Summary

Academician Roin Metreveli's new book, «Education - The Path to Success,» is written in a memoir-publicistic form.

It introduces us to the prehistory of the current education reform, the relationship between education and politics, the relationship with the leaders of the republic (Vasil Mzhavanadze, Eduard Shevardnadze, Zviad Gamsakhurdia, Mikheil Saakashvili), the preservation of Tbilisi State University and its inclusion in the international system, the publication of the Georgian Encyclopedia in the 1980s, and the current process of revitalizing the Academy of Sciences. At the head of each of them was Roin Metreveli. Therefore, his words, judgments, observations, meetings, speeches, and demonstration of the priority of science and education for state policy are of great importance.

## ქეთევან ტომარაძე

### ზღვაში გაბნეული მარგალიტები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ჩინებული მეცნიერი და მრავალი ირანისტის აღმზრდელი ალექსანდრე გვახარია (1929-2002) წლების მანძილზე რუდუნებით იკვლევდა აღმოსავლური ლიტერატურისა და ქართველოლოგიის კარდინალურ საკითხებს.

მეცნიერის მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან, ქართულ მწერლობასთან ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ლიტერატურის მიმართების შესწავლის თვალსაზრისით, საყურადღებოა ალ. გვახარიას მიერ გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე გამოქვეყნებული ნაშრომი: “ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან“. ერთი წერილი ნარკვევების ციკლიდან ქართული ორიენტალისტური სკოლის ფუძემდებლისა და ბრწყინვალე არაბისტის, აკადემიკოს გიორგი წერეთლის ხსოვნას ეძღვნება. ვინც ალექსანდრე გვახარიას პირადად იცნობდა ანდა მის ნაწერებს ადევნებდა თვალყურს, მისთვის საცნაური უნდა იყოს განცდის სიწრფელე, რომლითაც იგი ეთხოვება უფროს კოლეგას. სულ რაღაც ერთ გვერდზე მკვლევარმა დაგვიხატა სწავლულისა და მოქალაქის წარუშლელი პორტრეტი, რომელიც გიორგი წერეთლის მიერ არაბულიდან თარგმნილი ცნობილი პოეტის, ემინ რეიჰანის ლექსით დაასრულა: “მომისმინე მე, ჩემს წყვდიადში. დამიბრუნდი მე, თუნდაც ერთხელ ჩემს ფიქრებში. შემეწიე მე, ვიდრე ჩემი დღეები დაჰკნებოდნენ“...

“ადრიანი შემოდგომით დაჰკნენ გიორგი წერეთლის დღეები“, სევდითა და სინანულით დასძენს წერილის ავტორი. ასევე ადრიანი შემოდგომით გასრულდა სახელოვანი ირანისტის, წყაროთმცოდნის, ლექსიკოლოგის, ლიტერატურის ისტორიკოსისა და თეორეტიკოსის, მთარგმნელის, მრავალი წიგნისა და სტატიის ავტორის, ალექსანდრე გვახარიას პატიოსნებით აღსავსე, მდიდარი შემოქმედებითი ცხოვრების გზაც...

აღნიშნული ნარკვევების მეორე ნაწილში, რომელიც 1995 წელს გამოცემული პირველი წიგნის ორგანული გაგრძელებაა, მეცნიერი გვთავაზობს საუბრების ციკლს აღმოსავლური ლიტერატურისა და, ზოგადად, მწერლობის კარდინალურ საკითხებზე.

პირველი ნაწილის შესავალში ალ. გვახარია დასძენს: “ზუნებრივია, პირველ წიგნში ადრინდელი ნარკვევები შევიტანე ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, თუმცა ბოლოს ზოგი რამ ახალიც დაფურთე გარკვეული სისრულისა და თანადროული ჟღერადობის მისაცემად“...

კრებულში თავმოყრილი, სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული წერილები, თემატიკის მრავალფეროვნების, კვლევის მეთოდოლოგიის, ლიტერატურის საჭირობოროტო საკითხების მარჯვედ აქცენტირებისა და მრავალმხრივი ანალიზის თვალსაზრისით, დღესაც უაღრესად თანადროული და საყურადღებოა. ნარკვევების ორივე წიგნი თავიდან ბოლომდე შეუწელებელი ინტერესით იკითხება, რომელი ეპოქისა თუ ქვეყნის ლიტერატურულ მემკვიდრეობას არ უნდა აცნობდეს მკითხველს ავტორი<sup>1</sup> დაწყებული რუდაქის პოეზიით, ნიზამით, რუსთველითა და გასული საუკუნის ცნობილი ირანელი პროზაიკოსის, სადეყ ჰედაიათის შემოქმედებით დამთავრებული. კრებული შთამბეჭდავად ასახავს ალ. გვახარიას მეცნიერული ინტერესებისა და კვლევის არეალს. მის მიერ მაღალი პროფესიონალიზმით შერჩეული და გაანალიზებული აღმოსავლური მწერლობის პრობლემები შუქს ჰფენს არა მხოლოდ საკუთრივ ირანისტიკის, არამედ, ზოგადად, ფილოლოგიის მრავალ სადავო საკითხს. გარდა ორიენტალისტური მეცნიერების მიზნების და საკვლევი თემების ახლებური კუთხით, ორიგინალური რაკურსით წარმოჩენისა, ამა თუ იმ ავტორის თვალთახედვის გააზრებისას, მეცნიერი არ ივიწყებს ჩვენთვის ესოდენ ძვირფას პიროვნებებს, დიდებულ მკვლევართა კოჰორტას და მოწიწებით გვაცნობს ქვეყნის წინაშე თითოეულის დამსახურებას.

სანკტ-პეტერბურგისა და მოსკოვის ორიენტალისტური სკოლების მიერ შემუშავებული და დამკვიდრებული კვლევის მეთოდოლოგიური ბაზა და მდიდარი ტრადიციები პროფესორ ალექსანდრე გვახარიას სამეცნიერო მიმართულების განმსაზღვრელი და მასტიმულირებელი ფაქტორი გახლდათ.

ქართველი ირანისტი სკრუპულოზურად სწავლობდა და ღრმა და ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად მიღებული დასკვნებით ამდიდრებდა სახელოვან წინამორბედთა ძალისხმევით დაგროვილ ცოდნას. ამგვარი ესტაფეტა განაპირობებდა, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერის მიერ ქართული და აღმოსავლური ფილოლოგიის საკითხების შესწავლის პარამეტრებს და მასშტაბებს, სამეცნიერო სკოლებისთვის ესოდენ ნიშანდობლივ აკადემიზმის პრინციპების ერთგულებას. ამიტომაც იყო ასე პოპულარული ალექსანდრე გვახარია ქართველ და უცხოელ კოლეგებს შორის, რომლებმაც მას „ნათელი გონების“ მეცნიერი უწოდეს. ამით ისინი ხაზს უსვამდნენ ქართველი მეცნიერის მიერ საკვლევი მასალის სიღრმისეული წვდომის გამორჩეულ უნარს, ხედვის ვრცელ თვალსაწიერს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ალ. გვახარიას შრომები აღმოსავლეთმცოდნეობის მნიშვნელოვანი შენაძენი, ჰუმანუტარული მიმართულების მკვლევართა სამაგიდო წიგნებია.

შრომების ვრცელ ნუსხას გამორჩეულ ხიბლს მატებს ალ. გვახარიასთვის ჩვეული წერის მაღალი კულტურა და აზრის გამჭვირვალება, ამა თუ იმ პრობლემის გაშუქების დროს კოლეგების ყოველგვარი მოსაზრების მიმართ უაღრესად ფაქიზი, ტაქტიანი დამოკიდებულება, ხოლო ციტირებისას მისაბამი მეცნიერული კეთილსინდისიერება. ხაზგასასმელია ჩინებული ირანისტის სტუდენტ-ახალგაზრდობასთან ურთიერთობაც. ჩანს, ეს თვისება მას მამისგან, ოცდაათიან წლებში რეპრესირებული ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, აკაკი გვახარიასგან გენეტიკურად ბოძებულ პედაგოგიურ ალღოს უნდა მიეწეროს. ამ ფაქტმა დღეს ერთობ საგულისხმო ზნეობრივ-ეთიკური მნიშვნელობა შეიძინა და კეთილისმყოფელი მოძღვრის ძალისხმევა, შემდგომ თაობათა აღმოსავლეთმცოდნეებისთვის მეცნიერ-პედაგოგისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის ერთგვარ ნიმუშადაც იქცა.

ალ. გვახარიას შრომების გაცნობისას ყურადღებას იქცევს მეცნიერის ინტერესთა ფართო სპექტრი და ერუდიცია. ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობებისა თუ ცალკეული პრობლემების რელიეფურად წარმოსაჩენად იგი ხშირად მიმართავს ქართველოლოგიისთვის მანამდე უცნობი ძალზე საჭირო და ღირებულ ისტორიულ წყაროებსა და ლიტერატურულ ძეგლებს, უცხოელ მკვლევართა შრომებსა და წერილობით დოკუმენტებს. მრავალფეროვანია მათი ნუსხა და ქრონოლოგიური არეალი - ადრეული შუა საუკუნეებიდან დაწყებული, უახლესი ეპოქის მწერლობისა თუ კულტურის უმნიშვნელოვანესი მოვლენებით დამთავრებული.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ალ. გვახარიას დღის სინათლეზე გამოაქვს არა მხოლოდ კონკრეტულ ლიტერატურულ ტექსტზე ამა თუ იმ პოლიტიკური და სოციალური, შიდა თუ გარე ფაქტორების გავლენის, ან იდეურ-ესთეტიკური ზემოქმედების საკითხები, არამედ გაცილებით რთული, ირიბი ზეგავლენის მაგალითებიც სხვადასხვა ეპოქის პლასტებში ჩაკირული ტიპოლოგიური აზროვნების საყურადღებო ნიმუშები.

ცნობილი ირანისტის, ა. სტარიკოვის საგულისხმო გამონათქვამს თუ მოვიშველიებთ, რომლითაც იგი კაცობრიობის განვითარების ისტორიისა და კულტურის ერთ-ერთი საიდუმლოს ამოხსნას ტიპოლოგიური აზროვნების ნიუანსებში წვდომით ცდილობს, ნათლად გამოჩნდება, რომ “შორეულ, ისტორიამდელ წარსულშიც კი, ჩვენი პლანეტის სხვადასხვა, ერთი შეხედვით, ერთმანეთისგან სრულიად იზოლირებულ რეგიონებში, კაცობრიობა ზოგჯერ უხილავი, ზოგჯერ კი მხოლოდ ჩვენ მიერ გარდუვალობად აღქმული ურთიერთობის გზებით იყო ერთმანეთთან შეკავშირებული“.

ხშირად სწორედ ეს “შეკავშირება“ თამაშობს გადაწყვეტ როლს ცალკეული ლიტერატურული მიმართულების ფორმირებაში, რომლის წინ წამოსაწევად და საანალიზოდ ალ. გვახარია მიმართავს მეცნიერული კვლევისთვის საჭირო ინსტრუმენტების მდიდარ არსენალს,

ყველაფერს, რაც მკითხველს აღმოსავლური მწერლობის რთულ ლაბირინთებში გზას გაუკვალავს და ჭეშმარიტების მარცვლების მიგნებაში გაუწევს დახმარებას. პრობლემების კვალიფიციურ გაშუქებას განაპირობებს ალ. გვახარიას მეცნიერულ ძიებათა ციკლი, რომელთაც მკითხველი თანდათან ითავისებს ახლო აღმოსავლეთის მიმზიდველ, უცხო თვალისთვის ესოდენ უჩვეულო, ეგზოტიკურ სამყაროს და აცნობიერებს შემოქმედებით გარემოს, ინტელექტუალურ და სულიერ საწყისებს, რომლის წიაღშიც ამოიზრდება მხატვრულად გააზრებული, ყველასთვის ახლობელი, ცნობიერებაში განფენილი მშვენიერების საყრდენი პოსტულატები, - ყოველივე, რაც მთლიანობაში ცალკეული შემოქმედის მწერლურ პალიტრას სრულყოფს და ამდიდრებს.

მკვლევარს დიდ სამსახურს უწევდა თანდაყოლილი შრომის-მოყვარეობა და მეცნიერული პასუხისმგებლობა. წლების მანძილზე მან შეიმუშავა მეცნიერების წინაშე დასმული, შესასწავლი საკითხების ისტორიულ-ფილოლოგიურ ჭრილში გააზრების ეფექტური მანერა, რასაც ხელს უწყობდა ძველი ხელნაწერების კითხვისა და დაზიანებული ადგილების რეკონსტრუქციის ხანგრძლივი მუშაობით შეძენილი გამოცდილება. მეცნიერი ლიტერატურულ ტექსტს განიხილავდა როგორც ავტორის სწრაფვას სამყაროს შემოქმედებითი განზოგადებისკენ, რომლის საფუძველზეც პოეტიკის მდიდარი არსენალი - სახეებისა და ხატების, ეპოქის აღქმის მხატვრულ-ემოციური მოდელები ყალიბდებოდა. ნიშანდობლივია, რომ ალ. გვახარიასთვის თანაბრად მნიშვნელოვანი და ხელმისაწვდომია ადამიანის სულიერი ფორმირების წიაღში აღმოცენებული ნებისმიერი ეპოქის ლიტერატურული ფაქტი და გარემო, რომელშიც იგი ყალიბდებოდა. ყოველივე, ზოგადად, ხელს უწყობს ტექსტის მხატვრულ სისტემად ფორმირებას, განცდილის შემოქმედებით გარდასახვას და იდეების განსხეულებას.

აღსანიშნავია, ასევე, ალ. გვახარიას უაღრესად ფაქიზი დამოკიდებულება პოეტური აზროვნების, სიტყვისა და ფრაზის როგორც ტექსტის მათგანიზებული ფენომენისადმი. ერთი მხრივ ლიტერატურული ძეგლის ჟანრული თავისებურების გაცნობიერება «ფორმისა და სტილის შეგრძნება, მეორე მხრივ, მეცნიერული კვლევის პროცესში სიტყვის სემანტიკური მრავალფეროვნების ლინგვისტური გააზრება და იდენტიფიცირება, გემოვნება და ეტიმოლოგიურ ნიუანსებში წვდომის უნარი, ფრაზის კონსტრუირებისას მას საშუალებას აძლევს, სათუთად მოეკიდოს ენის უსაზღვრო შესაძლებლობებს. ამასთან, შეფასების პროცესში მაქსიმალური დატვირთვა მიანიჭოს და სასურველი პლასტიკა შესძინოს თითოეულ ფრაზას.

კვლევითა და ძიებით მიღებული შედეგების განზოგადებისას იკვეთება ალ. გვახარიას დამოკიდებულება მხატვრული ტექსტის, თავად ავტორისა და მის შესახებ სათანადო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების მიმართ. ტექსტის ბუნებაში წვდომის ნიჭი, გარდასახვის

ოსტატობა და კრიტიკული ხედვა მკვლევარს საშუალებას აძლევს მაქსიმალურად ზუსტად გადმოსცეს ავტორის შემოქმედებით პოზიცია და რაც შეიძლება მიმზიდველი, ამასთან, ეფექტური კუთხით დაანახოს მკითხველს ტექსტის საზოგადოებრივ-ესთეტიკური მიზანდასახულობა, დელიკატურად, ძალდაუტანებლად, გასაგები ფორმით მიანიშნოს საკვლევი ობიექტისადმი მისეულ მიმართებაზე.

სიტყვის მშვენიერების მწერლური განცდა, სხვადასხვა მეცნიერული აზრის წარმოჩენის, რაღაც ახლისა და უჩვეულოსადმი განსაკუთრებული ხიზლის მინიჭების ოსტატობა წასეთია ალ. გვახარიას პროფესიული ხელწერა, რამაც მის პიროვნულ და მოქალაქეობრივ თვისებებშიც ძალუმად იჩინა თავი.

“გეოგრაფიული მდებარეობისა და ისტორიული განვითარების პირობების წყალობით, საქართველო პოლიტიკურად, ეკონომიკურად და ლიტერატურულად უძველესი დროიდანვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ირანულ სამყაროსთან. ეს კავშირი ნათლად აისახა ენაში, მატერიალური კულტურის ძეგლებში, ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროებში. სამწუხაროდ, ამჟამად მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტების მიხედვით შეიძლება გავადევნოთ თვალი ამ ურთიერთობათა ნაკვალევს“ დასძენს “ნარკვევების“ ავტორი სტატიაში “დავით აღმაშენებლის ეპოქა და ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ჩასახვა“.

მითითებული წერილი თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, ცალკეულ ფრაგმენტებსა და მინიშნებებზე დაყრდნობით, როგორ ხდება მეცნიერებაში მთელი რიგი ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების მხატვრული ინტერპრეტაცია და ტექსტის რეკონსტრუირება.

საილუსტრაციოდ კიდევ ერთი მშვენიერი ნარკვევი, “ნიზამი და საქართველო“ გამოდგება, რომელიც პირველად 1953 წელს დაიბეჭდა. ავტორი მიზნად ისახავს აჩვენოს, “თუ რა მჭიდრო ურთიერთობაშია ისტორიულად გენიალური პოეტი საქართველოსთან“. ამგვარი მიდგომა გვიჩვენებს მაშინ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ირანისტის, ალ. გვახარიას სწორ მეცნიერულ ორიენტაციას, ქართული მხატვრული-ისტორიული სინამდვილის შესწავლის დროს აღმოსავლური მასალის ეფექტურად გამოყენების მნიშვნელობას და მაქსიმალურად ზუსტი და ობიექტური მეცნიერული შედეგების მიღწევაზე ზრუნვას. საქართველოში ორიენტალისტიკის, როგორც ჰუმანიტარული მეცნიერების უმნიშვნელოვანესი სფეროს ჩამოყალიბების მოტივად ხომ სწორედ ეს ფაქტორი იკვეთება.

დასახელებულ ნარკვევში მკვლევარი განიხილავს ნიზამის ორ ლიტერატურულ ძეგლს: “ხოსროვსა და შირინს“ და “ისქანდერნამეს“. ერთგან იგი თავდაპირველად პოემის ქრონოლოგიურ საზღვრებს ადგენს და შემდეგ მიმართავს შედარებითი ანალიზის მეთოდს, მეორე შემთხვევაში - მრავალმხრივი ტექსტოლოგიური კვლევა მას საშუალებას აძლევს ზუსტად განსაზღვროს პოემის დაწერის თარიღი.

ამგვარი ისტორიულ-ფილოლოგიური წიაღსვლებისთვის კატალი-ზატორის როლს ასრულებს ნიზამის ლექსი “ხარაბათისკენ გავწიე წუხელ“, რომლითაც წერილის ავტორი იწყებს მკითხველისთვის ასე მახლობელი და მიმზიდველი პოეტის შემოქმედებაში ქართული ისტორიულ-ფილოლოგიური რემინისცენციების ძიებას.

ნიზამის მშვენიერი ლირიკული ქმნილება საყურადღებოა იმითაც, რომ მრავალმხრივი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ლექსში აღწერილია ხარაბათად წოდებული განჯის უბანი, სადაც პოეტები და რინდები იყრიან თავს. იქ ყველას აქვს უფლება მივიდეს, განურჩევლად ეროვნების და სარწმუნოებისა. ნიზამი წერს: “ყოველი მხრიდან ეს-წრებიან აქ გაიური თუ არმენიელი, მართლმორწმუნე ქრისტიანი და იუდეველი“.

ლირიკული ლექსის ბირთვის წარმოადგენს სიტყვა “ხარაბათი“, რომლის თავდაპირველი მნიშვნელობა სამიკიტნოა, სადაც სუფიები იკრიბებიან ახალმოსულის ზიარების, მისტიკური თრობისა და ღვთაებრივი ნეტარების განსაცდელად.

პოეტის მიერ ალეგორიის სახით მოწოდებული სუფიურ-თეო-სოფიური კოსმოლოგია, რომლითაც აღნიშნული ლექსია განმსჭვალული, ქმნის ნიზამის მხატვრულ-ფილოსოფიური აზროვნების საფუძველს, ტოლერანტიზმს და, ზოგადად, ჰუმანიზმის მკვეთრად გამოხატულ ტენ-დენციებს აზერბაიჯანელი პოეტის შემოქმედებაში.

აღმოსავლურ მწერლობაში ჩახედული მკითხველისთვის ბუნებ-რივად აღიქმება განჯის ერთ-ერთ უბანში, ხარაბათში სხვადასხვა ეროვ-ნებათა და კონფესიების წარმომადგენელთა თავშეყრის ეპიზოდები. ამავე დროს, ნიზამის პოეტური ხედვა მიგვანიშნებს, რომ იგი კარგად იცნობდა ქრისტიანობას და, საერთოდ, იმდროინდელი ცივილიზებული სამყაროს ინტელექტუალური მონაპოვარი უცხო არ იყო მისთვის.

ლექსის, “ხარაბათისკენ გავწიე წუხელ“ მხატვრულ-ფილოსოფიურმა გააზრებამ მკვლევარს საშუალება მისცა დაეკონკრეტებინა კულტურულ-გეოგრაფიული არეალი, რომელიც პოეტის შემოქმედებით ფანტაზიას უხვად ასაზრდოებდა. ამით მან მკითხველის ყურადღება მიაპყრო ნიზამის შემოქმედების ქართულ სინამდვილესთან მჭიდრო კონტაქტს.

ალ გვახარიათ დამაჯერებელი მაგალითებით შეამაგრა აღნიშნული ტექსტისადმი მისი, როგორც ირანული სამყაროს მკვევრისადმი დამო-კიდებულება და აღმოსავლური ისტორიული და ფილოლოგიური დოკუმენტების გულდასმით შეჯერებით, საგრძნობ პოზიტიურ შე-დეგს მიაღწია. მკვლევარმა ხაზგასმით მიუთითა, რომ კულტურათა ინტეგრირება შუა საუკუნეებში გაცილებით მრავლისმომცველი და ანგარიშგასაწევი ფაქტორი იყო, ვიდრე დღეს შეიძლება ვივარაუდოთ. შესაბამისად, ყოველი კულტურული ერი გარესამყაროსთან არა მხო-ლოდ ინტენსიური პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობებით იყო დაკავშირებული. მსგავსი კონტაქტები ქნაყოფიერ შედეგებს იძლეოდა იდეათა გაცვლის დონეზეც.

ამ გარემოებათა გათვალისწინებით მეცნიერმა ვრცლად გაშალა ნიზამის შემოქმედების კვლევა და მრავალ საგულისხმო დებულებას მიანიჭა არსებობის უფლება.

თავდაპირველად, აღნიშნულ ნარკვევში იგი უარყოფს ცნობილი ირანისტის ე. ბერტელსის მოსაზრებას, თითქოს პოემა “ხოსროვი და შირინი“ 1180 წელს დაიწერა და მხედველობიდან არ რჩება ქრონოლოგიური შესაბამისობის საკითხიც. წმკვლევარი მიდის დასკვნამდე, რომ მეცნიერის მიერ შემოთავაზებული თარიღი მცდარია, რადგან, როგორც ფაქტების ხელახალი შეჯერება ისე ქართული და აღმოსავლური რეალიების გათვალისწინება დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ამ დროს ნიზამიმ მხოლოდ პოემის შეკვეთა მიიღო, მისი წერა კი 1186 წელს დაასრულა.

აღნიშნული თარიღის დაზუსტება არსებით მნიშვნელობას იძენს მომდევნო ეტაპზე მეცნიერის მიერ სკრუპულოზური კვლევის შედეგად გამოთქმული არგუმენტების კიდევ უფრო გასამყარებლად.

ვრცელი ისტორიულ-ფილოლოგიური ექსკურსის შემდეგ ალ. გვახარია მკითხველს სთავაზობს მნიშვნელოვან დასკვნას, რომ ნიზამის პოემაში საქართველოსთან დაკავშირებული მხატვრულ-ისტორიული რეალობის გათვალისწინების მრავალი ფაქტი აღინიშნება. ეს დებულება, უპირველეს ყოვლისა, ნიზამის პოემების პერსონაჟთა სახელების ქართველ ისტორიულ პირებთან, თამარ მეფესთან და დავით სოსლანთან ასევე შოთა რუსთველის პოემის, “ვეფხისტყაოსნის“ გმირებთან შედარებისა და ანალიზის გაშლის საფუძველზეა გამოთქმული.

ცნობილია, რომ ალ. გვახარია სამეცნიერო მოღვაწეობის პირველივე წლებში დაინტერესდა ქართული მწერლობის ამ უნიკალური ძეგლით. ეს ინტერესი მას მთელი ცხოვრება გაჰყვა. სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მკვლევარი “ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის შეუცვლელი წევრი იყო. მან არა ერთი მნიშვნელოვანი მოსაზრებით გაამდიდრა რუსთველოლოგიური მეცნიერება, ახლებური ელფერი შესძინა ამ სფეროში არსებული კვლევის მიმართულებას. ალ. გვახარიას მიერ რუსთველოლოგიური საკითხების შესწავლის სფეროში გაწეული ფასდაუდებელი შრომა საგანგებო აღნიშვნის ღირსია.

საგულისხმოა ის ვარაუდები და დასკვნები, რომლებსაც მკვლევარი ნიზამის მეორე პოემის, “ისქანდერნამეს“ ანალიზის საფუძველზე გვთავაზობს. იგი არ გამორიცხავს, რომ ნიზამის დასახელებულ პოემაში შესაძლოა თამარისა და დავით სოსლანის ქორწინების ფაქტის ანარეკლი იკითხებოდეს. ამ შინაგან კავშირს, ავტორისავე თქმით, აგვირგვინებს პოემაში გაცხადებული უმაღლესი შეფასება-დასკვნა, რომელიც უშუალოდ რუსთველს ეხმიანება: “მე ვარ ლომქალი თუ შენ ხარ ლომკაცი, ბრძოლის დროს რა ძუ და რა ხვადი ლომი“...

ტექსტის გამოწლილვით შესწავლის საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ ნიზამის შემოქმედების კვლევა უამრავ მასალას იძლევა

მისი საქართველოსთან ნაცნობობის დასაზუსტებლად. იგი “მჭიდრო ურთიერთობაშია ისტორიულად მეზობელი საქართველოს ცხოვრებასთან“... საყურადღებოა, ასევე, მისი მეორე დასკვნაც, რომ „წმინდა ლიტერატურულ ურთიერთობებზე მსჯელობა მომავალში კიდევ უფრო უხვ შედეგებს მოგვცემს“.

შედეგები კი მართლაც ძალზე მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია კვლევის გასაღრმავებლად. ალ. გვახარიას მეცნიერულმა დასკვნებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა და შუა საუკუნეების ირანული და აზერბაიჯანული მწერლობის შესწავლას მყარად ჩამოყალიბებული მიმართულება მისცა.

ქართველოლოგიური მეცნიერებისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სულხან-საბა ორბელიანის არაკების კრებულის - “სიბრძნე-სიცრუისა“ - ანალიზი. ქართული სიტყვიერების გამორჩეული ძეგლის ლიტერატურული წყაროების დადგენას არაერთი მკვლევარი შეეცადა და საგრძნობ წარმატებასაც მიაღწია. გავიხსენოთ ვ. კეკელიძის, დ. კობიძის, მ. ჩიქოვანის, ალ. ბარამიძისა და სხვათა ძალისხმევა. ალ. გვახარია ფართოდ მიმოიხილავს თითოეულის მეცნიერულ მოსაზრებებს და სპარსული წყაროების მოშველიებით არაერთ საკამათო და ბუნდოვან საკითხს ჰფენს ნათელს.

სულხან-საბას არაკების ორიგინალობის პრობლემას მკვლევარი, ზოგადად, დიდაქტიკური ჟანრის თხზულებათა შედარებითი ანალიზის ჭრილში მოიაზრებს, მსჯელობისას იგი მრავალ დამაჯერებელ მეცნიერულ არგუმენტს მოიშველიებს და საქმიანი, საკითხის ყოველმხრივი შესწავლის ფონზე ასკვნის, რომ ზოგი არაკის აღმოსავლური, კერძოდ, სპარსული წარმომავლობა უდავოა და რომ, ზოგჯერ უშუალოდ წყაროს მითითებაც ხერხდება“... ანგარიშგასაწევია მეცნიერის მიერ შემოთავაზებული სხვა დებულებაც. ცალკეული იგავ-არაკის შექმნისას, როგორც ალ. გვახარია აჩვენებს, “საბა სარგებლობდა ქართული ვერსიით და არა სპარსული ტექსტით, რადგან არ არის შემთხვევა სპარსული და საბასეული ტექსტების შეხვედრისა ქართული ვერსიისგან დამოუკიდებლად“.

შედარებისთვის იგი მიმართავს ერთი ჩარჩოთი შეკრული სპარსული იგავ-არაკების კრებულს “ზახთიარნამეს“, რომლის ქართული ვერსია ავტორის დაკვირვებით, წარმოადგენს სულხან-საბას თხზულების ერთ-ერთ ლიტერატურულ წყაროს. მაგალითად, საბას “უბედური ვაჭარი“ დასახელებული სპარსული კრებულის მსგავსი ფაბულისა და სათაურის მქონე არაკთან მჭიდრო სიახლოვეს ავლენს.

საკითხის განხილვისას მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს, აგრეთვე, სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებით დამოკიდებულებაზე მის ხელთ არსებული მწიგნობრული წყაროების მიმართ, ასევე, იგავ-არაკების მხატვრული სტილის ლაკონურობასა და ფრაზის სისხარტეზე.

“ზახთიარნამესა“ და საბას არაკის შეპირისპირებისას იგი ამავე დროულად აზუსტებს “სიბრძნე სიცრუის“ დაწერის თარიღსაც. ასეთი მიდგომის საფუძველი კი, მისი აზრით, სპარსული წყაროს ქართულ ვერსიასთან სიახლოვეა. თავისი მოსაზრების ამოსავალ დებულებად მეცნიერი სწორედ ამ უკანასკნელის თარგმნის თარიღს<sup>1</sup> 1703-1712 წ.წ. მიიჩნევს.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, სულხან-საბამ თავისი კრებული ბერად შედგომამდე შექმნა, რასაც მკვლევარი მხარს არ უჭერს და აღმოსავლურ წყაროებთან ტექსტის გულდასმით შეჯერების საფუძველზე ასკვნის, რომ “უცილობელი ხდება, საბა შემდეგშიც, თუნდაც 1703-1712 წლებში მუშაობს ამ კრებულზე, შეაქვს მასში ახალი არაკები თუ სხვა სახის ცვლილება“...

აღმოსავლური ლექსის სტრუქტურის ანალიზის მეთოდოლოგიაზე დაკვირვების მხრივ ძალზე საყურადღებოა ალ. გვახარიას წერილი “რუდაქის პოეტიკა“, რომელიც პირველ წიგნში განსახილველად წარმოდგენილ პრობლემებს ავსებს და ამთლიანებს. ავტორი მიზნად ისახავს ყველა იმ კომპონენტის შესწავლას, რომელიც რუდაქის პოეზიის ერთიან მხატვრულ სისტემას აყალიბებს, ქმნის ფორმას, რომელიც პოეტს “იდუბურ-თემატური შინაარსის გაშლაში ეხმარება“.

პოეტიკის საკითხებზე მსჯელობა, საზოგადოდ, ორიენტალისტების უსაყვარლესი თემაა. ლიტერატურის თეორიის პობლემებზე აღმოსავლეთში ძველთაგანვე უმდიდრესი სამეცნიერო ლიტერატურა იქმნებოდა, სადაც ხშირად შეხვდებით მსგავს და ურთიერთგამორიცხავ მოსაზრებებს. იდეათა ასეთ სიჭრელეში საკუთარი პოზიციის შემუშავება უამრავ თავსატეხს უქმნის პოეტიკის საკითხებზე მომუშავე მკვლევარს. თავდაპირველი და უმთავრესი კი მაინც ტექსტის ანალიზია, სადაც ალ. გვახარია ასე თავისუფლად გრძნობს თავს. სპარსული ენისა და ლიტერატურის ნიუანსებში ღრმად ჩახედული მეცნიერი დაწვრილებით შეისწავლის აღმოსავლური ლექსის ცალკეულ შენაკადებს, მათ ისტორიულ ჭრილში და განვითარების დინამიკაში განიხილავს და რუდაქის პოეზიაში იწყებს შესაბამისობათა ძიებას.

X საუკუნის სპარსი პოეტი რუდაქი აღმოსავლურ მწერლობაში სალექსო ფორმის დიდოსტატად ითვლებოდა. საერთოდ, სამეფო კარის პოეტთა შემოქმედებაში ლექსის გარეგან მხარეს, როგორც უძვირფასეს სამკაულს, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა. შესაძლოა ამგვარმა დამოკიდებულებამაც მისცა ბიძგი თავისებური მხატვრული სტერეოტიპების ჩამოყალიბებას, საიდანაც გადახვევა ერთგვარ მკრეხელობად ითვლებოდა. მოგვიანებით დაიშტამპა კიდევ აღმოსავლური ლექსი, რადგან მას ბუნებრივი განვითარება შეეზღუდა და ამიტომაც სტრუქტურა მკაცრ კანონიკურ ჩარჩოებში მოექცა.

ყასიდა, ყაზალი, მესნევი, როზაი, ყითა ეს იმ სალექსო ფორმების არასრული სიაა, რომლებსაც რუდაქის შემოქმედებაში შეხვდება მკით-

ხველი. ალ. გვახარია დაკვირვებით სწავლობს თითოეულ მათგანს და ვრცლად იკვლევს მსგავსებასა და სხვაობას, რასაც ტრადიციასთან კონტექსტში რუდაქის პოეზია ავლენს. იგი განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობს სალექსო ფორმათა გენეზისის საკითხებს, რადგან რუდაქის პოეზიაზე მსჯელობისას შეუძლებელია ფილოლოგმა ამ პრობლემას გვერდი აუაროს. იგივე შეიძლება ითქვას მეტრიკაზეც, რაც ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე რუდაქის შემოქმედებით დაინტერესებული არაერთი მკვლევრისთვის კამათის ობიექტად იქცა. თუმცა პანალიზის ისინი ძირითადად სპარსულ ვერსიფიკაციულ სისტემაში არაბული გავლენების ძიებასა და ორიგინალობის საკითხის დაზუსტებისაკენ მიჰყავს.

რუდაქის ლიტერატურული მემკვიდრეობა ამ თვალსაზრისითაც ფასდაუდებელი წყაროა, რადგან მისი შემოქმედება სპარსული პოეტური აზროვნების მწვერვალად, მხატვრული შემოქმედების ერთგვარ კვინტესენციად მიიჩნევა, სადაც მიმზიდველ მხატვრულ სახეებად და მეტაფორებად გარდატყდა პოეტის აზროვნებისა და მხატვრულ ძიებათა მრავალფეროვანი სპექტრი.

რუდაქის ნაწარმოებების ფრაგმენტების ციტირებისა და მაღალპროფესიული კომენტარების მოშველიებით ალ. გვახარია ლიტერატურის თეორიის მკვლევრისთვის ანგარიშგასაწევ მრავალ საგულისხმო დასკვნას აკეთებს და დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ “რუდაქის დიდი პოეტური რეზონანსის ერთ-ერთი საფუძველი ახალ-ახალი ზომების ძიებასა და გამოყენებაშიც მდგომარეობს”.

შუა საუკუნეების მწერლობაში ქართული და სპარსული რითმის ნათესაობა-მსგავსების განხილვისას ყურადღებას იქცევს შინაგანი რითმების ირგვლივ მკვლევრის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რომლებიც სრულად აისახა ნარკვევში “შინაგანი რითმის ისტორიიდან”. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მეცნიერი მსგავსი ჟღერადობისა და განსხვავებული მნიშვნელობის მქონე სიტყვების რიტმულ განმეორებას შინაგანი რითმის ხმარების აშკარა გამოხატულებად მიიჩნევს და ხაზგასმით მიუთითებს მისი გამოყენების ბუნებრიობაზე, რადგან შინაგანი რითმა ვერ ადის გაცნობიერების დონემდე. თუმცა, მკვლევარს მიაჩნია, რომ ამ გარემოებამ მოგვიანებით (მაგ. XII საუკუნეში) სათანადო ნიადაგი მოამზადა შინაგანი რითმის სათანადო სისტემაში მოსაყვანად.

ამ პრობლემაზე დაკვირვებამ სხვა, მხედველობაში უთუოდ მისაღებ შედეგამდეც მიიყვანა მეცნიერი. მაგ. ძალზე მნიშვნელოვანია მისი დაკვირვება, კერძოდ: “რითმის ყველა გართულებული სახეობის (შინაგანი, ორმაგი, სამმაგი და ა. შ.) გაჩენა-განმტკიცებას ხელი შეუწყო მეტყველებაში როგორც პროზაულში, ისე პოეტურში არსებულმა ტენდენციამ, რასაც ფიქსირებული ფორმის განმეორებას უწოდებენ”. ეს დასკვნა, ფაქტობრივად, ახალი სიტყვაა აღმოსავლური პოეტიკის პრობლემების შესწავლის ისტორიაში.

დიდი ინტერესი გამოიწვია და მრავალ მეცნიერულ კვლევას იმპულსი მისცა შედარებებისა და მეტაფორების ანალიზმა რუდაქის პოეზიაში, რაც დასახელებულ ნარკვევში ასევე ვრცლად არის წარმოდგენილი. ირკვევა, რომ რუდაქის შემოქმედება აქაც მრავალ თავისებურებას ავლენს და მომხიბვლელი პოეტური სახეების მთელ სისტემას ქმნის, რაც “ვეფხისტყაოსანზე“ აღზრდილი ქართველი მკითხველისთვის არ უნდა იყოს უჩვეულო და ინტერესს მოკლებული.

პროფესორ ალექსანდრე გვახარიას „ნარკვევებში“ წარმოდგენილი წერილები ამდიდრებს და აფართოებს ინფორმაციას, რომელსაც მკითხველი, მეცნიერის მიერ სხვა დროს გამოქვეყნებულ შრომებში ასახული ორიენტალისტური პრობლემების გაცნობისას იღებს. ფუნდამენტურმა კვლევებმა, ზოგადად, შორს გაუთქვა სახელი ქართველ ირანისტს და მას საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე მეცნიერის სახელი დაუმკვიდრა.

გვერდს ვერ ავუვლით ალ. გვახარიას მიერ “იოსებზილიხანიანის“ ირგვლივ გამოთქმულ მოსაზრებებსაც.

ნაწარმოების ანონიმური ვერსიის განხილვისას მკვლევარი ლექსიკურ მხარეზე ამხვილებს განსაკუთრებულ ყურადღებას და მიუთითებს, რომ ქართულ ვერსიაში ჭარბად შემოჭრილი უთარგმნელი უცხოური სიტყვები გვაწვდის მრავალ საკონტროლო მასალას, რაც გვეხმარება თითოეულის წარმომავლობის დაზუსტებაში.

საყურადღებოა, ასევე, ავტორის მიერ გამოთქმული მეორე მოსაზრება, რომ “იოსებზილიხანიანის“ ორ ძველ ქართულ ვერსიას შემოუნახავს იმ სპარსული ვარიანტების კვალი, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ. თეიმურაზისეული “იოსებზილიხანიანის“ აღმოსავლური ვერსიების ფონზე განხილვამ მეცნიერს შესაძლებლობა მისცა გაეკეთებინა დასკვნა, რომ ნაწარმოების ლექსიკა, აფორისტული და იდიომატური გამოთქმები, პოეტიკა<sup>1</sup> “ყოველივე ეს იმდენად საერთოა “ვეფხისტყაოსანთან“, უბრალო შედარებაც კი ააშკარავებს მათ კავშირს“...

აგრეთვე, “აღორძინების ხანის“ ეს ერთ-ერთი ადრინდელი და მნიშვნელოვანი ძეგლი უდავოდ შეიტანს განსაკუთრებულ წვლილს “ვეფხისტყაოსნის“ შესწავლისა და კომენტირების ურთულეს საქმეში.

ალექსანდრე გვახარიას მეცნიერულ ხედვას არც ერთი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა არ გამოჰპარვია, რაც ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის პრობლემის ირგვლივ იყვრის თავს. ამასთან, იგი უდიდესი სითბოთი და სიყვარულით იხსენებს იმ ადამიანებს, რომლებმაც ამაგი დასდეს აღნიშნული ლიტერატურული ფაქტების მეცნიერულ გაშუქებას თუ საკუთრივ ირანისტიკის პრობლემების შესწავლას. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: ნიკო და იური მარები, სოფიო მარი თუ ალექსანდრე ბოლდირევი, იუსტინე აბულაძე თუ დავით კობიძე. ბევრთან მას პირადი ნაცნობობა აკავშირებდა, ზოგს კი თავად არ იცნობდა, თუმც მათი მეცნიერული მემკვიდრეობის თავყანისმცემელი და მოჭირნახულე იყო...

აკადემიკოს გიორგი წერეთელს აქვს ერთი ძალზე საინტერესო დაკვირვება, რომელიც რუსთველური პოეტური ხატის, “ხელიხელ საგოგმანები მარგალიტის“ ეტიმოლოგიურ ძიებას უკავშირდება. ზღვაში გაბნეული ძვირფასი თვლების ამოღების შემდეგ ერთ მწკრივად დაწყობილი მარგალიტის მამიებლები ხელში სათუთად აგოგმანებენ თავიანთ იშვიათ მონაპოვარს და ერთმანეთს გადასცემენ ამ უაღრესად რთული და შრომატევადი სამუშაოს შესასრულებლად მანამ, ვიდრე მარგალიტი იდეალურად მრგვალ ფორმას არ მიიღებს. ამიტომაც გაჩენილა სიტყვათშეთანხმება “ხელიხელ საგოგმანები“, რომლის სინონიმიდაც “იშვიათი“, იგივე “ობოლი“ მარგალიტი მოიაზრება. შუა საუკუნეების აღმოსავლურ მწერლობაში ამ სახემ მნიშვნელოვანი მხატვრულ-თეოსოფიური დატვირთვა შეიძინა.

ჭეშმარიტი მეცნიერის მგზნებარებით ამოჰქონდა აღმოსავლური ლიტერატურის უკიდევანო ზღვაში “გაბნეული მარგალიტები“ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ -კორესპონდენტს, პროფესორ ალექსანდრე გვახარიას და თითოეულ მათგანს, მხოლოდ მისთვის ჩვეულ განუმეორებელ ფორმასა და ხიზლს ანიჭებდა.

მეცნიერის კერძო არქივში შემონახული დიდი და ხანგრძლივი კვლევის შედეგად მიღებული, ერთად თავმოყრილი მრავალი დასკვნა თუ მოსაზრება წლების შემდეგაც ელის დღის სინათლეზე გამოტანას და პირუთვნელ შეფასებას, რათა ალექსანდრე გვახარიას დამსახურება ორიენტალისტური მეცნიერების წინაშე სათანადოდ დაფასდეს, ხოლო მის დანატოვარზე ღირსეული თაობები აღიზარდოს.

KETEVAN TOMARADZE

## PEARLS SCATTERED IN THE SEA

### Summary

Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Corresponding Member of the Georgian National Academy of Sciences, distinguished scholar and mentor for those interested in studying Iranian literature, Alexander Gvakharia (1929-2002) spent years diligently researching the cardinal issues of Oriental literature and Kartvelology. From the scholar's rich creative heritage, in terms of studying the relationship between Georgian writing and the literature of the Middle Eastern countries, the work published by Al. Gvakharia shortly before his death: “Excerpts from the History of Georgian-Persian Literary Relations’ (Book I, II) is noteworthy.

Scientific papers collected in this edition and published at different times, are still highly contemporary and noteworthy today in terms of the diversity of topics, research methodology, skillful emphasis on problematic issues in literature, and broad analysis. It is still highly contemporary and noteworthy today. Both books of

essays are read with unwavering interest from beginning to end, no matter what era or country the author tries to introduce the reader to - starting with the poetry of Rudaki, Nizami, Rustaveli and ending with the work of the famous Iranian prose writer of the last century, Sadegh Hedayat.

In addition to presenting the goals and research topics of Orientalist science from a new angle, an original perspective, while understanding the point of view of this or that author, the scientist does not forget about the personalities so dear to us, the cohort of great researchers, and respectfully introduces us to the merits of each of them to the country.

With the passion of a true scholar, Professor Aleksandre Gvakharia brought out “scattered pearls” from the vast sea of Oriental literature, and gave each of them a unique form and charm that was only his own.



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა  
თბილისი - 2026  
რუსთაველის გამზ. 52

Georgian National Academy Press  
Tbilisi – 2026  
52, Rustaveli Ave.